ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ამერიკის შესწავლის ცენტრი
CENTER OF AMERICAN STUDIES

ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია
GEORGIN ASSOCIATION OF AMERICAN STUDIES

ამერიკის შესწავლის საკითხები

I

JOURNAL OF AMERICAN STUDIES

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
თბილისი 2002 Tbilisi

კრებულში გაერთიანებულია ქართველი და ამერიკელი მეცნიერების სტატიები, მიძღვნილი ამერიკის შესწავლის სხვადასხვა საკითხისადმი. სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს მსოფლიოს ამ უძლიერესი სახელმწიფოს ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს. მეცნიერების ნაშრომებთან ერთად წარმოდგენილია იმ სტუდენტების საუკეთესო სტატიები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი III და IY კონფერენციების მუშაობაში (2001-2002 წწ).

კრებული გათვალისწინებულია ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

კრებულის ავტორები მადლობას უხდიან საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს გამოცემის დაფინანსებისათვის.

The anthology includes of the articles by Georgian and American scholars, dedicated to the research of issues in American Studies. The themes vary and refer to nearly all the fields of the state. Together with the articles by scholars, the collection presents the papers by students, who took part in the 3rd and 4th conferences on American Studies (2001-2002).

The collection is intended for the specialists and non-specialists interested in American Studies.

The authors thank the US Embassy in Georgia for the financial support in publishing.

რედკოლეგია:	ვასილ კაჭარავა (მთავარი რედაქტორი)
	ელენე მეძმარიაშვილი, ცირა ჩიკვაიძე
Editorial Board:	Vasil Katcharava (Chief Editor),
	Elene Medzmariashvili, Tsira Chikvaidze
რეცენზენტები:	იოსებ ცინცაძე, პროფესორი, დიპლომატიური
	აკადემიის რექტორი
	ნოდარ კიკვაძე, პროფესორი, თსუ
Reviewwers:	Prof. Ioseb Tsintsadze, Rector of the Academy of Diplomacy
	Prof. Nodar Kikvadze, Tbilisi State University

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.
Tbilisi University Press

ა $\frac{5030200000}{608(06)02}$

ISBN 99928-959-7-7

სარჩევი

შესავალი 9

ისტორია, პოლიტიკა, სამართალი, ეკონომიკა

დორის ფრიდერსონი
ნისლი, ბიგ მაკი, ტყუპი ცათამბჯენები და დროშა. 11 სექტემბრის პერსპექტივები 13

ალექსანდრე რონდელი
აშშ-ის ახალი როლი ევრაზიაში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ 20

ლევან აბალიშვილი
ამერიკის შეერთებული შტატები და ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნები 24

თამარ ბაკურაძე
ამერიკული საზოგადოების სამოქალაქო ღირებულებანი 29

ვასილ კაძარავა
პერბერტ პუვერის მოღვაწეობა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის პოსტზე უორენ ჰარდინგის ადმინისტრაციაში 34

გიორგი ალდიაშვილი
კუბის (სარაკეტო) კრიზისი 47

დავით გეგეჭკორი
კორეის კონფლიქტი 1950-53 წლებში 53

ვიხეილ ვიქელაძე
აშშ-ის ბრძოლა უსამა ბინ ლადენის წინააღმდეგ 58

თეიმურაზ აბაასაძირი
ფრანკლინ რუზველტი და ბალკანეთის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხი 1944 წლის შემოდგომაზე 68

ნათია ჯანიბეგაშვილი
აშშ-ს მთავრობის როლი 1930-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში (ახალი კურსის პირველი ეტაპი) 74

თამარ ვაისაშვილი
ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობა ისლამური რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდში (მძევლების საკითხი) 81

ნინო ბოლქვაძე
აშშ-ის როლი ირანის ისლამურ რევოლუციაში 87

ლელა ჩახაია
მარშალის გეგმის როლი დასავლეთ ევროპის ინტეგრაციაში 97

ლევან ბაბიაშვილი
შეერთებული შტატების პოლიტიკა კოსოვოში 104

ანი ფორგოშია
ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა 109

რუსუდან დაუშვილი
ქართველი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში 114

ნიკა ხიდურელი
რონალდ რეიგანის ფისკალური პოლიტიკა (საგადასახადო სისტემა) 120

თამაზ სალუქვაძე, ალექსანდრე ბალავაძე, ეთერი ხელაია
მავნე ატმოსფერულ მოვლენებზე ხელოვნური ზემოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში 124

განათლება, რელიგია, ქალთა და სოციალური საკითხები

ვახტანგ სართანია
საქართველოში განათლების სფეროს განვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების როლი 128

ვახტანგ ამაღლობელი
აშშ-ის განათლების სისტემა და საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ზოგიერთი საკითხი 132

თამარ შიოშვილი
ამერიკის შესწავლის პერსპექტივები საქართველოში 139

ირინე ძანტურიშვილი
საქართველოსა და აშშ-ის საბიბლიოთეკო ასოციაციების თანამშრომლობა 145

ოთარ ნიკოლეიშვილი
მისურის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან 150

თეო ნეფარიძე
კომპიუტერიზაცია განვითარებად ქვეყნებში როგორც ამერიკანიზაციის ერთ-ერთი ასპექტი 155

ნანა ციხისთავი
პროტესტანტიზმი და პროტესტანტული სექტები ამერიკის შეერთებულ შტატებში XIXს-ში 162

ლალი ჯოხაძე
სამოქალაქო რელიგია რელიგიის ამერიკული ინტერპრეტაცია 171

ზაზა აბაშიძე
მართლმადიდებელი ეკლესია ამერიკაში და მისი ავტოკეფალია 174

ქრისტინ მარი სელი
ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები და ქალების მოძრაობა თავისუფლებისათვის: მათი წინაპირობები, განვითარება და ქალების მნიშვნელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში 180

ჟანან შერმანი
სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი 187

ტატიანა დენისოვა, ელენე მეჭმარიაშვილი
ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში 192

თეა გერგედავა
ცვლილებები ამერიკელთა ყოფაში 1920-იან წლებში 200

ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა

რეზო თაბუკაშვილი
ჩვენი ამერიკა 207

ძეთევან დგებუაძე
თანამედროვე ლიტერატურული პროცესები ამერიკაში და ახალგაზრდა „ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის" მიერ მათი პოპულარიზაცია საქართველოში 210

მაია ჩარქსელიანი
„ლოლიტა" _ ნაბოკოვის პრობლემატური რომანი 220

ელენე გაგუნია
პენრი ჯეიმზის "ექსპერიმენტული პერიოდის" ფილოსოფიური და ესთეტიკური თავისებურებები 228

ალექსანდრე ჯაფარიშვილი
რომელია პირველადი: ემოცია თუ კოგნიცია? ამერიკელი ფსიქოლოგების ლაზარუსისა და ზეიონცის დისკუსია 235

ჯოის გარეტი
ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი შეერთებულ შტატებში 240

გიორგი კუპრავა
კონტრკულტურა და მასმედია 245

ნინო ეარდოსანიძე
თოქ-შოუს სპეციფიკა და მისი მოდიფიკაციები (აშშ-ის, რუსეთის, საქართველოს მაგალითზე) 255

კონსტანტინე ამირეჯიბი
ურბანული პროცესები აშშ-ი და საქართველოს ქალაქების განვითარების პრობლემები (შედარებითი ანალიზი) 260

ელენე კილაძე
უტოპია ამერიკულ და საბჭოთა არქიტექტურაში 266

მარინა მაისურაძე
ურთიერთმოქმედების პარმონია (არქიტექტურა მონუმენტური ხელოვნება ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს მაგალითზე) 274

ლადო ეარდოსანიძე
კონდომინიუმი – საბინაო ფონდის თანამედროვე ფორმა (ამერიკული მოდელი და საქართველოს რეალიები) 278

ნიკა შავიშვილი
თანამედროვე ამერიკული არქიტექტურა დასავლეთის და აღმოსავლეთის სანაპიროების ტენდენციები 286

გიორგი ხოშტარია
აშშ-ს კულტურის სიღრმობრივი გააზრების პრობლემა 297

გია გულაძე
ამერიკული პოპ-არტის რამდენიმე მახასიათებელი ნიშანი და მისი წანამძღვრები 303

ძეთეეან კინნარაშვილი
ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი და საბჭოთა არა-კონფორმისტული მხატვრობა 308

ნინო ზაალიშვილი
ამერიკელი მხატვარი ჯორჯია ოკიფი ბიოგრაფია და შემოქმედება ფრაგმენტები 316

ძეთეეან ჯაფარიძე
რეალობად ქცეული ილუზია 322

ნატალია გაღდაეაძე
1960-იანი წლების სტუდენტური მოძრაობა აშშ-ში და ამ პერიოდის მუსიკა 326

მარიკა ნადარეიშვილი
არადეტერმინირების ფენომენი ამერიკულ ავანგარდულ მუსიკაში 330

ეკატერინე გუჩუკური
„ჯონ კეიჯის ესთეტიკა და აღმოსავლეთი" 336

ძეთეეან გოლაშვილი
ჩარლზ აივზის მუსიკალური აზროვნების პარადოქსულობა 342

ნანა შარიძაძე
ამერიკული მუსიკალური მინიმალიზმის მხატვრული და ესთეტიკური ორიენტირები ... 348

CONTENT

PREFACE 11

HISTORY, POLITICS, ECONOMICS

DORIS FRIEDENSOHN
The Fog, the Big Mac, the Twin Towers and the Flag: Perspectives of September 11th 355

ALEXANDER RONDELI
The New Role of the United States in Eurasia after September 11 355

LEVAN AVALISHVILI
The United States and newly Independent States 356

TAMARA BAKURADZE
Civic Values of the American Society 356

VASIL KACHARAVA
Herbert Hoover as Secretary of Commerce in the President Warren Harding Administration 1921-1923 357

GEORGE KLDIASHVILI
Cuban Missile Crisis 357

DAVID GEGECHKORI,
The Korean War 358

MICHAEL MIKELADZE
The US Fight against the International Terrorism 358

TEIMURAZ Z. PAPASKIRI
Franklin Roosevelt and the Division of Balkan States into Spheres of Influence in the Fall of 1944 359

NATIA JANIBEGASHVILI
Role of the US Government in Social and Economic Life of the 1930's (the 1st stage of the New Deal) 359

TAMAR MAISASHVILI
Relations between America and Iran in the Period of Islamic Revolution and After (the Problem of Hostages) 359

NINO BOLKVADZE
The US Factor in Iran's Islamic Revolution 360

LELA CHAKHAIA
The Role of Marshall Plan in the Integration of Western Europe 360

LEVAN BATIASHVILI
The US Policy in Kosovo 360

ANI MORGOSHIA
Review of the US Administrative Law 361

RUSUDAN DAUSHVILI
The Georgian Emigrants in the USA 361

NICK KHIDURELI
Reagan's Fiscal Policy (Tax Reduction) 362

TAMAZ BALUKVADZE, ETERI KHELAIA, ALEXANDER BALAVADZE
Hail Quailing in the US and Contemporary Methods of Influencing Weather for Increasing Precipitation and the Perspectives of their Atmospheric Physics 363

EDUCATION, RELIGION, WOMEN'S STUDIES

VAKHTANG SARTANIA
The Role of the USA in the Development of Educational System in Georgia 363

VAKHTANG AMAGLOBELI
American System of Education and Some Issues Concerning Current Educational Reform in Georgia 363

TAMAR SHIOSHVILI
Perspectives of American Studies Teaching in Georgia 364

IRINE CHANTURISHVILI
Georgian and US Library Associations Cooperation 364

OTAR NIKOLEISHVILI
From the History of Missouri University Foundation 365

TEO NEPARIDZE
Computerization as One of the Aspects of Americanization in the Developing Countries 365

NANA TSIKHISTAVI
Protestantism in the USA in the XIX Century 366

LALI JOKHADZE
Civil Religion: American Interpretation of Religious Faith 366

ZAZA ABASHIDZE,
The Orthodox Church in America and its Autocephaly 367

CHRISTINE M. SELL
Women's Studies Programs and the Women's Liberation Movement: Their Roots, Growth and Importance to Women in the United States 367

JANANN SHERMAN
Senator Margaret Chase Smith 368

TATYANA DENISOVA, ELENE MEDZMARIASHVILI
The Role of Women in Contemporary Political Life of the US 368

TEA GERGEDAVA
Changes in American Way of Life in the 1920's 368

LITERATURE, JOURNALISM, ARCHITECTURE, ARTS, MUSIC

REZO TABUKASHVILI
Our America 369

KETEVAN DGEBUADZE,
Contemporary American Literature and its Popularization by the Republic Center of the Young Writers 369

MAIA CHANKSELIANI,
"Lolita" - Nabokov's Controversial Novel 370

ELENE GABUNIA
Philosophic and Aesthetic Peculiarities of Henry James' Experimental Period 370

ALEXANDER JAVAKHISHVILI
Which is Primary: Emotion or Cognition? (Debate of American Psychologists Lazarus and Zajonc) 371

JOYCE BARRETT,
Journalistic Codes of Ethics in the United States 371

GEORGI KUPRAVA
American Counter-Culture and Mass Media 371

NINO VARDOSANIDZE
Peculiarities of Talk-Show and It's Modifications 372

KONSTANTIN AMIREJIBI
Urban Processes in the US Cities and Issues of Tbilisi City Development 372

ELENA KILADZE,
Utopia in American and Soviet Architecture 373

MARINA MAISURADZE,
The Harmony of Interaction (Examples of Architecture and Monumental Art in New York City and Chicago) 373

LADO VARDOSANIDZE
Condominium Contemporary Form of Housing Stock (American Case and Georgian Reality) 373

NIKOLOZ SHAVISHVILI
Modern American Architecture: West and East Coast Concepts 374

GIORGI KHOSHTARIA
The Problem of an In-Depth Analysis of American Culture 374

GIA BUGHADZE
American Pop Art; Preconditions and Results 375

KETEVAN KINTSURASHVILI
American Abstract Expressionism and the Soviet Non-Conformist Painting 375

NINO ZAALISHVILI
Georgia O'Keefe 376

KETEVAN JAPARIDZE
The Illusion That Became Reality 376

NATALIA BAGHDAVADZE
Student Movement of the 1960's and Music of That Period 376

MARIKA NADAREISHVILI
Phenomena of Indetermination in American Avant-Garde Music 377

EKATERINE BUCHUKURI
Aesthetics and the East of John Cage 377

KETEVAN BOLASHVILI
Paradoxes of Charles Ives' Musical Thinking 378

NANA SHARIKADZE
Guidelines of Aesthetics and Art in American Musical Minimalism 379

შესავალი

კრებული წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის რამდენიმე წლის საქმიანობის შედეგს. ცენტრმა უკვე მეოთხე ყოველწლიური კონფერენცია ჩაატარა. კონფერენციების დონე და მასშტაბი წლიდან წლამდე იხვეწებოდა და ფართოვდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ 2002 წლის კონფერენცია, რომელიც ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციასთან ერთად დაიგეგმა და ჩატარდა უკვე საერთაშორისო მასშტაბის იყო. მან მოიზიდა 88 მომხსენებელი არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ შეერთებული შტატებიდანაც.

კრებულში თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლით დასაქმებულ და დაინტერესებულ მეცნიერთა და სტუდენტთა სტატიები. თემების მრავალფეროვნება განპირობებულია თვით ამერიკის შესწავლის დარგის სპეციფიურობით, რაც გულისხმობს ამ ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროს: ისტორიას, პოლიტიკას, ეკონომიკას, კულტურას, ხელოვნებას, განათლებას მეცნიერებასა და სხვა. კრებულში წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის, აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, სახელმწიფო მოხელეთა ინსტიტუტისა და სტრატეგიული კვლევის ცენტრის წარმომადგენელთა ნაშრომები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ცენზურა და საინფორმაციო ზღუდეები მოისპო, საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობამ ამ სფეროშიც იჩინა თავი და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს დღესაც საკმაოდ წინააღმდეგობრივი და ზედაპირული წარმოდგენა აქვს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოზე. ბევრი მხოლოდ ზოგადი სტერეოტიპების დონეზე იცნობს შეერთებულ შტატებს და უნდა ითქვას, ზოგ შემთხვევაში ეს სტერეოტიპებიც კი მცდარია.

დღეს ამერიკის შეერთებული შტატები დამოუკიდებელი საქართველოს უახლოესი პოლიტიკური პარტნიორია და დღითი დღე იზრდება ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო თუ სამეცნიერო კავშირები. თანამშრომლობა ამერიკულ სახელმწიფოსთან, ამერიკელებთან ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. შესაბამისად, ნაყოფიერი პარტნიორობისა და ჭეშმარიტი მეგობრობის აუცილებელი პირობაა პარტნიორისა და მეგობრის ზედმიწევნით კარგი ცნობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიზანია გააერთიანოს საქართველოში არსებული ინფორმაცია შეერთებული შტატების შესახებ და პროფესიულ დონეზე წარუდგინოს იგი ქართულ საზოგადოებრიობას. ამ კრებულში გვსურს გავაერთიანოთ ამერიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გამოცდილება, რათა მან კონკრეტული დახმარება გაუწიოს ქართველ სპეციალისტებს. ამავე დროს, ამერიკის ისტორიისა და თანამედროვე სოციალურ – ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლა ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის

ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიგვაჩნია.

ცენტრი მიზნად ისახავს ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას. სწორედ ამიტომ შევიტანეთ კრებულში მაგისტრანტთა და სტუდენტთა საუკეთესო სტატიებიც. მართალია შეიძლება ზოგიერთ მათგანს ახალგაზრდა ავტორის გამოუცდელობა ეტყობა, მაგრამ სარედაქციო კოლეგიას სურს ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ავტორთა საქმიანობას აღნიშნულ სფეროში.

სწორედ ახალგაზრდობისა და უფროსი თაობის საქმიანი თანამშრომლობის საფუძველზე წარმართავს ცენტრი ამერიკის შენავლის სხვადასხვა სფეროში სერიოზულ სამეცნიერო კვლევით საქმიანობას. მით უმეტეს, რომ წარსულისაგან განსხვავებით, დღეს ათეულ და ასეულობით საქართველოს მოქალაქეს აქვს საშუალება ითანამშრომლოს თავის ამერიკელ კოლეგებთან შეერთებული შტატების საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ცენტრებში. თავის მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად უწყობს ხელს ამერიკის შესწავლის განვითარებას. უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს როინ მეტრეველის აქტიური მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ცენტრის ნაყოფიერი საქმიანობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს თვით ამერიკის სურვილი უკეთ გააცნოს ქართულ საზოგადოებას თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები, უმდიდრესი გამოცდილება დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის სფეროში. ხდება ინტერესთა დამთხვევა. ამერიკელებს სურთ, რაც შეიძლება კარგად გაგვაცნონ საკუთარი თავი, ჩვენ კი გვსურს - რაც შეიძლება კარგად გავიცნოთ ისინი. ამერიკელები მონდომებით გვეხმარებიან ამ საქმეში.

მიგვაჩნია, რომ ეს კრებული მსგავსი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ შეერთებული შტატების საელჩოს მეშვეობით მოხერხდა მისი გამოცემის დაფინანსება. იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული კრებული ყოველწლიურ გამოცემად იქცევა.

გვსურს უდიდესი მადლიერებით მოვიხსენიოთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თანადგომა და განსაკუთრებით აღვნიშნოთ საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის ქალბატონ შერონ პადსონ-დინის დიდი ღვაწლი, რომელიც უერთგულეს მეგობრად მოევლინა ამერიკის შესწავლის ცენტრს.

ასეთი მხარდაჭერა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნისა და საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტისაგან იმის საწინდარია, რომ მართლაც კარგ სამსახურს გავუწევთ ჩვენს სამშობლოს. გვწამს, რომ ამ კრებულის პირველი გამოცემის სახით დიდებულ წამონყებას ეყრება საფუძველი, რომელიც ღირსეულ წელილს შეიტანს ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის საერთო პროცესში.

ვასილ კაკაბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოცენტი, თსუ ამერიკის

შესწავლის ცენტრის დირექტორი

PREFACE

The Journal is the result of the durable activity of the Center of American Studies at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Eighty-eight participants from different parts of Georgia and the United States took part in the 2002 4th Annual Conference that had been planned and organized by the Center jointly with the Georgian Association of American Studies. Such broad participation manifested the genuine international character of the Conference.

The Journal contains variety of articles by scholars and students from Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Tbilisi State Conservatoire, Tbilisi State Academy of Arts, Sulkhan-Saba Orbeliani Tbilisi State pedagogical University, Georgian Institute of Public Affairs and Strategic Research Center, who are interested in and working on American studies. The diversity of these articles is based on a broad range of fields and aspects of American studies, covering every sphere of life of this great country: history, politics, economics, culture, education, science, etc.

Regrettably, the Soviet legacy has been one of the factors that the major part of the Georgian society today has a rather superficial and contradictory knowledge about this world power despite the end of censorship and elimination of informational vacuum as a result of restoration of independence of Georgia. Many still perceive the United States through the prism of general stereotypes only and most of them are erroneous.

The United States is the closest political partner of independent Georgia today. The economic, social, military and scientific cooperation between our two countries is broadening and developing successfully. Contacts with the US officials as well as grass root Americans have become a part of our everyday life and it is obvious that fruitful partnership and genuine friendship require more profound understanding of your partner and friend.

The aim of the Center of American Studies and Georgian Association of American Studies is to collect all the available information on the USA existing in Georgia and present it to the Georgian society on a professional level. We hope that this journal, which compiles diverse experience in various areas of American life, will be of practical assistance to the Georgian specialists.

At the same time, the in-depth study of the American history and the contemporary social–economic life will play an important role in building civil society in Georgia.

The Center also aims at bringing up young specialists interested in issues related to American studies. The best articles by BA and MA students are included in this Journal for this specific reason. The Editorial Board wishes to encourage them in their further activity in different fields of American studies, though some of young authors may lack professional skills.

The Center conducts its serious scientific research work of the American studies based on the business-like cooperation of the representatives of young and old generations. Moreover, many Georgians nowadays have a chance to cooperate with their colleagues from leading research centers in the United States. At the same time the leadership of Ivane Javakhishvili Tbilisi State University takes all efforts to facilitate the development of the

American studies.

We wish to acknowledge with gratitude the active support given to us by Academician Roin Metreveli, the Rector of the University, without which the Center's activity would be unimaginable.

It should be mentioned that the United States is eager to share its social-economic and political experience with the countries building democratic societies. So, interests for the mutual cooperation really coincide, while Americans express their desire to introduce themselves to us and we wish eagerly to have a better knowledge of them. We believe that the first edition of the journal represents a notable initiative on this way and hope that it will became an annual publication.

The journal was published with help and financial assistance of the American Embassy in Tbilisi. We wish to thank personally Mrs. Sharon Hudson-Dean, Public Affairs Officer of American Embassy and the devoted friend of the Center of American Studies, for her invaluable contribution and unfailing support. .

Such support from the world leading nation and Georgia's major University is the precondition of our good service to the country. We are confident that the first edition of this Journal lays the groundwork for the initiative that will facilitate the overall process of Georgian-American cooperation.

Vasil Kacharava
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Director of the Center of American Studies

ისტორია, პოლიტიკა, სამართალი, ეკონომიკა

დორის ფრიდერსონი
ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტი (აშშ)
პროფესორი

ნისლი, ბიგ მაკი, ტყუპი ცათამბჯენები და დროშა. 11 სექტემბრის პერსპექტივები

ტყუპი ცათამბჯენების და პენტაგონის აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემი გამაჯანსაღებელი კლუბის საუნაში ვიყავი. ესტერი, 50 წელს გადაცილებული აზიელი ქალბატონი, ჩემს პირდაპირ იჯდა. ორივეს მხოლოდ პატარა ყვითელი პირსახოცები გვქონდა შემოხვეული ორთქლით სავსე ოთახში, მოჩვენებებს ვგავდით და ერთმანეთს ძლივს ვარჩევდით. ესტერმა მითხრა, რომ იგი კორეულ თეოლოგიურ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. როდესაც ვკითხე, თუ რომელ საგანს ასწავლიდა, ესტერმა მიპასუხა, რომ მისნობას. ო, მისნობას ასწავლით თეოლოგიურ სკოლაში? – გაკვირვებულმა გავიმეორე მისი პასუხი, თან მინდოდა დავრწმუნებულიყავი, სწორად თუ გავიგე. როგორც აღმოჩნდა, თურმე, ესტერი მისნობას კი არა, მუსიკას ასწავლის, კერძოდ პიანისტი ყოფილა. ამგვარი შეცდომების დაშვება ადვილია. არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში ახალჩამოსულთა გამოთქმები, არამედ თვით ამერიკელთა ლექსიკონში სიტყვათა მნიშვნელობაც ძალიან განსხვავებულია. გასულ წელს, ვაშინგტონში აფრო-ამერიკელმა მერმა მოითხოვა თეთრკანიანი თანამშრომლის გადაყენება, ამ უკანასკნელის მიერ სიტყვა "niggardly"-ს გამოყენების გამო (რაც ღარიბულს, იაფს ნიშნავს). მერმა რომელმაც, ალბათ, სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, იგი რასობრივ შეურაცხყოფად აღიქვა. მიუხედავად იმისა, რომ მერი შეცდა სიტყვის გაგებაში და უსამართლოდ მოექცა თანამშრომელს, ეს ადამიანი მისმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ განაწყო ისე, რომ სიტყვაში "niggardly" – nigger (ზანგი) ამოეკითხა და ეს მტკივნეულად აღექვა.

საჯარო გამოსვლებისას, ამერიკელები სიფრთხილეს იჩენენ. ჩვენი სუბი-

ექტური გრძნობების მიუხედავად, დიდ პატივს ვცემთ. ტერაქტის შემდეგ, ტელევიზიით სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტმა ბუშმა ხალხს შეახსენა, რომ ჩვენი მტრები ისლამისტი ტერორისტები არიან და არა ამერიკაში მცხოვრები 8 მილიონი მუსლიმი.

უმცირესობათა განტევების ვაცად წარმოჩენა უნივერსალურ საკაცობრიო ტენდენციას წარმოადგენს; ამას დიდი ხნის ისტორია აქვს. აქ არის ერთი პარადოქსი: ჩვენ აშშ-ში ეთნიკურ განსხვავებებს აღვნიშნავთ მუსიკალური დღესასწაულებით, დემონსტრაციებით, სამხატვრო გამოფენებითა და ეთნიკური სამზარეულოთი, მაგრამ დისკრიმინაცია მაინც გრძელდება – ზოგჯერ დახვეწილი, ზოგჯერ კი საკმაოდ უხეში ფორმით. ეს განსხვავებები ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას, მრავალფეროვნებას ანიჭებს მას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქუცმაცებს ჩვენს ეროვნულ პოლიტიკას, ადგილობრივ საზოგადოებას, ჩვენს სკოლებს, პროფკავშირებსა და ეკლესიებს. ადვილია მრავალკულტურული ამერიკის სირთულეებისაგან – ამდენი ხალხის, კულტურისა და ქვეკულტურის ტვირთისგან, კონტრასტული ინტერესებისაგან, მიუღებელი პერსპექტივებისაგან განზე გადგომა და ჭიის პარკში თავის შერგვა.

ჩემი გამაჯანსაღებელი კლუბის საუნა ერთი ტიპის ამერიკულ აბრეშუმის ჭიის პარკს წარმოადგენს. აქ ზოგი ჩვენთაგანი ზედმეტი ქონების თავიდან მოშორებით არის დაკავებული. ჩვენ სხეულებს ვავარჯიშებთ, რათა გვქონდეს მოხდენილი ტანი და ხანგრძლივი უდარდელი სიცოცხლე. თუმცა კლუბის გარეთ კი არის ნამდვილი სამყარო, სადაც ნიუ-იორკის უსახლკაროები ერთი თავშესაფრიდან მეორეში გადადიან, შიდსი იპყრობს აფრიკას, სერბები და ბოსნიელები ერთმანეთის ქალებს აუპატიურებენ, შეერთებულ შტატებში ერთი სკოლის მოსწავლე მეორეს კლავს, საუნაში კი ჩვენ ორთქლი გვაწყნარებს, გვიხსნის სტრესს და გვწყვეტს რეალობას.

ოკეანეებითა და სხვადასხვა კეთილგანწყობილი სახელმწიფოებით გარშემორტყმული ამერიკის დიდი კონტინენტი, კიდევ ერთი ტიპის ჭიის პარკს წარმოადგენს. 11 სექტემბრამდე, სანამ ტერორისტები მას შეეხებოდნენ, ჩვენ ვერც კი წარმოგვედგინა თუკი შესაძლებელი იყო ჩვენს ქალაქებზე თავდასხმა და ჩვენი აეროპორტების დახურვა. ჩვენ ვერ წარმოგვედგინა, რომ გლობალურ ტერორისტულ ქსელს შეეძლო ემუშავა ჩვენი ქალაქების დასანგრევად. ჩვენ არ გვეგონა, რომ ოდესმე ფეხქვეშ მყარი საყრდენი გამოგვეცლებოდა და რომ კიდევ უფრო დიდი ტერორის შიში შეგვიპყრობდა. 11 სექტემბრის შემდეგ ჩვენ სულ ვცდილობთ გავიგოთ: რატომ? რატომ სძულთ ამერიკა ასე ძალიან?

ალექსის დე ტოკვილმა თითქმის 170 წლის წინ აღნიშნა, რომ ამერიკელებს "ძალზე დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე და თითქმის სჯერათ,

რომ დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებულ ბიოლოგიურ ჯგუფს წარმოადგენენ". ეს დღესაც სიმართლეა. იმიგრანტთა და ლტოლვილთა მზარდი რაოდენობა ამერიკელთა საკუთარ თავში რწმენას კიდევ უფრო ზრდის. "მათ" სურთ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი კარგი ცხოვრება, ჩვენ კი გვინდა გამოვიყენოთ ისინი, როგორც მუშახელი. ის ქედმაღლობა, რომლის შესახებაც დე ტოკვილი საუბრობს, ჩემი გამაჯანსაღებელი კლუბის საუნის ატმოსფეროს წარმოადგენს. იგი ჩვენგან, ჩვენთვის უხერხულ რთულ სამყაროს განდევნის.

ამერიკელებმა არ იციან ისტორია (საკუთარი ქვეყნისაც კი), არც გეოგრაფია; ინგლისურად მოლაპარაკე მშობლების ამერიკაში დაბადებული შვილები ინგლისურის გარდა არც ერთ ენას არ ფლობენ. დღევანდელ კრიზისამდე თითქმის არ ვაქცევდით ყურადღებას იმას, თუ როგორ იტანდნენ დანარჩენები – კერძოდ, აზიაში, აფრიკასა და მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებნი – ჩვენს სამხედრო თავდასხმებს, ექსპორტსა და თვალშისაცემ სიმდიდრეს. კარგად ვიცით, რომ ჩვენი სექსით სავსე კულტურა კარგად "საღდება" საზღვარგარეთ. ისიც კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ყოველივე ეს სავსეა ძალადობითა და ნაგავით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სრულად ვერ განგვისაზღვრავს იმ კონფლიქტების მნიშვნელობა, რომლებიც ისახება ჩვენგან ასე დიდად განსხვავებულ საზოგადოებაში; არ გვესმის მათი წყენის, აღშფოთების, შურისა და სიძულვილისა; არც არასოდეს მიგვიქცევია ყურადღება იმ იდეოლოგიური მძვინვარებისათვის, რომელმაც მუსლიმური სამყარო მოიცვა.

გულწრფელი საუბარი – მაკდონალდსის შესახებ

უნივერსიტეტების ერთ-ერთი მძიმე ტვირთია იმ გლობალური უგუნურების და ეთნოცენტრული "ბურუსის გაფანტვა", რომელმაც ჩვენი სტუდენტები მოიცვა.

1988 წლის გაზაფხულზე ჩემს უნივერსიტეტში ქალთა საკითხების ფაკულტეტმა წამოიწყო იდეალისტური, ინტერნეტზე დაფუძნებული ექსპერიმენტი: ერთმანეთს დავაკავშირეთ 125 სტუდენტი, ამავე რაოდენობის თურქ სტუდენტს ანკარის ბილკენტის უნივერსიტეტიდან. ელ. ფოსტისა და ლისტსერვის საშუალებით მათ ღიად უნდა ელაპარაკათ საკუთარ ვინაობაზე, თვითყოფადობაზე, უნდა განეხილათ სექსთან დაკავშირებული საკითხები.

სემესტრის ბოლოს ჩვენს პროექტს მივანიჭეთ კოდური სახელწოდება "Talking Turkey", რაც გულწრფელ საუბარს ნიშნავს. ახლა გვსურს ვაღიაროთ, რომ ამერიკელი და თურქი სტუდენტების უმრავლესობას შორის კონტაქტი ვერ შედგა; მათ შორის აღმოჩნდა ძალიან დიდი, გადაულახავი კულტურული გამყოფი.

ამერიკული ყაიდის უნივერსიტეტის თურქი სტუდენტები, პრივილეგირებული, ინგლისურად მოლაპარაკე ელიტიდან, აღმოჩნდნენ ამერიკული კულტურის დაუნდობელი კრიტიკოსები.

მეორე მხრივ, ჩვენს სტუდენტებს ვერ წარმოედგინათ თურქეთი, როგორც პრო-დასავლური, საერო, დემოკრატიული და მუსლიმური ქვეყანა. მიუხედავად ამისა, ამერიკელი სტუდენტები თურქების მხრიდან ამერიკის სრული უპირატესობის აღიარების მოლოდინში იყვნენ, როგორც თანამედროვე, ტექნიკურად განვითარებული, ტოლერანტული და მომავალზე ორიენტირებული კულტურისა.

ამერიკელები გაოცებულნი დარჩნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ თურქები ერთმანეთს სოციალური და პოლიტიკური საკითხების, განსაკუთრებით კი, მაკდონალდსის გამო ებრძოდნენ. ბილკენტის ბევრი სტუდენტი თვლიდა, რომ მაკდონალდიზაციას გარკვეული გავლენა ჰქონდა თურქულ კულტურაზე. მათ განაცხადეს, რომ მაკდონალდსის მუშაობის ეფექტურობა, სიჩქარე, ეკონომია, ხარისხის უცვლელი სტანდარტები და თვითმომსახურების დემოკრატიული ჩვევა მათ ტრადიციებს ძირს უთხრიდა. მაკდონალდსი ხომ შეერთებული შტატების სტუდენტებისათვის სექსუალური თავისუფლების ტოლფასია. ის თანადროულობასთან, საერთო გამოცდილებასთან, თანასწორუფლებიანობასთან, გლობალიზაციის გარდაუვალ პროგრესსა და განვითარებასთანაა გაიგივებული. მაკდონალდსთან მიმართებაში თურქების წინააღმდეგობისა და პროტესტის გამომხატველი რიტორიკა ამერიკელების მიერ გაუგებარ ენად აღიქმებოდა. 2002 წელს ამერიკელების უმრავლესობის დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში იგივე რჩება.

მაკდონალდსი 40 მილიარდ დოლარად შეფასებული უშველებელი ინდუსტრიაა 29000-მდე სუბსიდიით 120 ქვეყანაში. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ მუსლიმ სამყაროში ბრბომ მაკდონალდსი დაარბია, რადგანაც ის აღიქმებოდა ამერიკის დროშის, მიუდგომელი აშშ-ის საელჩოებისა და შორეული კაპიტოლიუმის ჩანაცვლებად. არამდგრად მუსლიმ სამყაროში მაკდონალდსისთვის უბრალოდ თვალის მოკვრაც კი ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში ისრაელისათვის აშშ-ის მხარდაჭერას, ვერ-შემდგარ პალესტინის სახელმწიფოს, საუდის არაბეთში განლაგებულ ჯარებსა და სპარსეთის ყურის ომში 200 000 ერაყელის მკვლელობას წამოატივტივებს; და კიდევ ერთი, ამჯერად ბოლო შტრიხი: მაკდონალდსი ასოცირდება ბიგ მაკებითა და ფრენჩფრაებით სავსე ამერიკულ ღიპებთანაც, რომლებიც მათ უნდათ და თან არ უნდათ, ან ფინანსურად ვერ შეწვდებიან.

მე იმ ამერიკელ სტუდენტებზე ვფიქრობ, რომლებმაც ეს ვერ გაიგეს 1998 წელს. შესაძლოა, 11 სექტბერის შემდეგ, გასული შვიდი თვის მანძილზე

მათი გაგების ხარისხი ამაღლდა. შესაძლოა, ისინი "თურქულად მსჯელობენ" მეგობრებსა და ნათესავებთან იმის შესახებ, თუ რატომ დაკარგა აშშ-მა ბევრის თვალში ნდობა და რატომ სწამებენ მას ცილს. როგორც მასწავლებელი მე ამ იმედს ვებლაუჭები, თუმცა ვეჭვობ, რომ ჩემი ყოფილი სტუდენტების დიდი უმრავლესობა ან მეტისმეტად აღშფოთებულია, ან კი დაბნეული იმისათვის, რომ მომხდარის შეუმცდარი ანალიზი გააკეთოს.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი შენობები – ჩვენი საერო ტაძარი

11 სექტებრის ტერორისტული აქტიდან 2 დღის შემდეგ საოცარი სიზმარი ვნახე: მე ცრემლმორეულ ჰილარი კლინტონთან ერთად ვიდექი და მან მითხრა: „იმდენი ემოცია შეელია ამ შენობებს...". სიზმარში ჰილარიმ მიმანიშნა 16 აკრის სიმაღლის მიწასთან გასწორებულ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე. მე არ მჭირდება ფსიქოანალიტიკოსი იმის მისახვედრად, რომ სიზმარი ჩვენი დანაკარგების გამო წუხილს მოასწავებდა და რომ ჰილარიც ჩემს სათქმელს ამბობდა. ემოცია და კაპიტალდაბანდება აქ მთავარი სიტყვებია: – ფსიქოლოგიური და ეკონომიკური – ნება მიბოძეთ, აგიხსნათ:

1973 წელს აშენებული ტყუპი შენობები ჩემი ქალაქის ფონს ამშვენებდა. ეს იყო დრამა სიმაღლეში, სიამაყე და სწრაფვა ზეცისაკენ... ეს იყო პოეზია მოუმწიფებელ ძალაში, წყნარი და შეკავებული, ზღვარს გადასვლას რომ ცდილობდა... რა თქმა უნდა, ტყუპ შენობებს ფინანსური დატვირთვაც ჰქონდათ: ეს იყო ამერიკული კაპიტალიზმის და გლობალური კაპიტალიზმის განვითარების წამყვანი სისტემა თანამედროვე მსოფლიოში. იმ 5 პატარა შენობის გარდა, რომლისგანაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი შედგებოდა, ტყუპ შენობებში ასევე განთავსებული იყო სხვადასხვა საბანკო, საფინანსო და სამეწინეჯერო დაწესებულებები. ნიუ-იორკის ბირჟაც ზუსტად იქვე იყო კუთხეში.

"თუ გინდა რომ დააკნინო იმპერია", წერია ჟურნალ "ტაიმსის" ერთ-ერთი სტატიის სათაურად, "მაშინ მისი ტაძრები უნდა დაასახიჩრო". ტყუპები ჩვენი წმინდა ტაძრები იყო და ყველა, ვინც აკონტროლებდა აშშ-ის აქციების მერყეევი ფასების გავლენას ევროპის, იაპონიისა და ლათინური ამერიკის ბაზრებზე, შეუძლია დამემოწმოს, რომ ეს ტაძრები, კარგად თუ ცუდად, მხოლოდ ამერიკისათვის არ იყო წმინდა.

ისევე როგორც ამერიკა არის მსოფლიოში, როგორც ამბობენ – ბატონობს მსოფლიოში ფინანსური, სამხედრო და კულტურული თვალსაზრისით, ასევე მსოფლიოც ამერიკაშია. განსაკუთრებით, 10 მილიონი კვადრატული ფუტის ფართობის ოფისების კომპლექსში, რომელიც ახლა განადგურებულია; მსოფლიო სავაჭრო ცენტრში განთავსებული იყო 28 ქვეყნის 430 კომპანია, აქ მუშაობდა ხალხი, ჩამოსული 80 ქვეყნიდან. 11 სექტემბრის ტერორისტულ

აქტში 63 ქვეყანამ დაკარგა თავისი მოქალაქე. ტყუპების ყოველდღიური ცხოვრება გლობალიზებულ ბაზარსა და სოფელს ემსგავსებოდა. ეს შესაძლოა არ იყო ერთი დიდი ბედნიერი ოჯახი, მაგრამ იყო ორი განსხვავებული ხალხის კონცენტრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ადგილი: აქ იგულისხმება ფინანსური ცხოვრების მაღალი დონე, პროფესიონალური და ტექნიკური ტიპები და იმ იმიგრანტების მცირედანაზღაურებადი სამუშაო, რომლებიც ლანჩს დაატარებენ, ოფისებს ალაგებენ, თმას ჭრიან, მანიკურს აკეთებენ, ყიდიან გაზეთებს, სიგარეტებს, საჭმელს.

სისხლი და დროშა

ჩემი კორეელი „მანიკიურშა" ჯოი, რომელთანაც ათი წელია დავდივარ, არ იღიმებოდა, როცა მის პირდაპირ სავარძელში მოვთავსდი თავდასხმიდან სამი დღის შემდეგ. "ტელევიზიით", – დაიწყო ჯოიმ, – გადმოსცეს, როგორ გაიღეს არაბმა ამერიკელებმა სისხლი. ერთ ხელში სისხლი, ხოლო მეორეში დროშა ეჭირათ. ირგვლივ ხალხი ბოლმასა და სიძულვილს ხმამაღლა გამოხატავდა. სხვადასხვა გარემოში ეს შეიძლება მეც გადამხდეს თავს, განაგრძობდა ჯოი, სეულში, სადაც მე ვიზრდებოდი, ყველას ყოველთვის გვეშინოდა, რომ ჩრდილოეთ კორეელები დაგვბომბავდნენ. როცა 1989 წელს აქ ჩამოვედი, თავი უსაფრთხოდ და თავისუფლად ვიგრძენი. ახლა ჩემი ოთახის ფანჯარაში დროშა გამოვფინე. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ჩემს ბავშვებს ამერიკული ცხოვრების სტილი ვასწავლო, მაგრამ არის რაღაც, რაც არასოდეს შეიცვლება". ჯოიმ თავის სახეზე მიმანიშნა. "მე ვფიქრობ, – თქვა ჯოიმ, – რომ ვცდებოდი, როცა მინდოდა ჩემი შვილები კორეელებზე დამექორწინებინა. ერთადერთი გამოსავალი მათთვის ამერიკელზე დაქორწინებაა. ამ გზით ჩვენი სისხლი შეირევა. თუკი ყველა შეერწყმება ერთმანეთს, სიძულვილიც ნაკლები იქნება."

მე მაღელვებს მუსლიმი ამერიკელების სახეები, რომლებიც ამერიკის დროშით ხელში სისხლის გადასხმის ცენტრებისკენ მიიჩქარიან. მათ გარეგნობით განასხვავებ, სწორედ ამიტომაც სჭირდებათ ამერიკული თვითმყოფადობის ეს სიმბოლო. მე დროშა ამ მიზნით არ მჭირდება... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ბავშვობაში II მსოფლიო ომის დროს და შემდეგ, მე დროშის სიამაყით ტარება ვისწავლე. ვიეტნამმა კი ყველაფერი შეცვალა. 60-იან წლებში ომის ინიციატორებმა დროშის უზურპაცია მოახდინეს; იგი იარაღასხმული მემარჯვენეების საყრდენად აქციეს. თუმცა 11 სექტემბრის შემდეგ ყველაფერი საგრძნობლად შეიცვალა. დღეს დროშას შეხვდებით ყველგან: ნიუ-იორკელების უდიდესი უმრავლესობა, მკვიდრი და ის მოსახლეობა, რომელთა 40% უცხოეთშია დაბადებული, დიდი მოწიწებით ატარებს მას. მათ

კანონიერების აღდგენა სურთ: ტერორიზმის აღმოფხვრა უდანაშაულოთა დახოცვის გარეშე.

მე დროშისაგან თავი შორს მიჭირავს, რადგანაც მას ვერ ვაცალკევებ ამერიკული მილიტარიზმისა და ნაციონალიზმის ისტორიისაგან. თუმცა, ჯოისათვის და მილიონობით იმიგრანტისა და ლტოლვილისათვის ამერიკული დროშა წარმოადგენს მათ სამშობლოზე უფრო თავისუფალ, ტოლერანტულ ქვეყანას ურყევი ინდივიდუალიზმითა და კანონით. ჯოის სალონის ვიტრინაზე გამოკრულია ლოზუნგი "ჩვენ გაერთიანებულები გავიმარჯვებთ" (United We Stand). ჯოი თავს იმ "ჩვენის" ნაწილად გრძნობს.

ვერსად გავექცევით 11 სექტემბრის შედეგებს, იმ რეალობას, რომ ხანგრძლივ გლობალურ ომში ვართ ჩაბმული. ნება მიბოძეთ, დავასრულო იმის აღიარებით, რომ მე კვირაში რამდენჯერმე ვახერხებ გავექცე რეალობას ჩემი გამაჯანსაღებელი კლუბის საუნაში. მალულად ვეძებ მუსიკოს ესტერს, რომელზედაც ადრე მოგახსენეთ. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მე სწორად ვერ გავიგე და ესტერი ნამდვილი ჯადოქარია. აქედან გამომდინარე შემეძლო დამერწმუნებინა ის გამოეყენებინა თავისი ჯადოსნური ძალა გლობალურ ომში სიღარიბის, შიმშილის და ავადმყოფობის, უსახლკარობის და უკანონობის, ბოროტების, უსამართლობის და სასოწარკვეთილების წინააღმდეგ, თუმცალა ვხვდები, რომ ძალიან ბევრს მოვითხოვ ყოვლის შემძლე ჯადოქრისაგანაც კი.

ალექსანდრე რონდელი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, პროფესორი.

აშშ-ის ახალი როლი ევრაზიაში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ

11 სექტემბრის მოვლენებმა მრავალმხრივ შეცვალა აშშ და მთელი მსოფლიო. აშშ-ში განმტკიცდა პატრიოტიზმი, ეროვნული სიამაყე, ერთიანობის შეგრძნება. ამავე დროს, შეერთებულმა შტატებმა და მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საერთაშორისო ტერორიზმისაგან, თუ მას საგანგებოდ და გლობალურ დონეზე არ შეებრძოლე, ვერც უზარმაზარი სამხედრო ძალა, ვერც მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკა და ვერც უმაღლესი ტექნოლოგიები დაგიცავს.

მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი ძვრები აშშ-ის გეოპოლიტიკურ ხედვასა და სტრატეგიულ გეგმებში. ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს სერიოზული საზრუნავი გაუჩნდა საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და საზოგადოდ ქვეყნის ეროვნული ინტერესების ხელახლა განსაზღვრის თვალსაზრისით. ყველაზე აშკარა და გამოკვეთილი საფრთხე-სსრკ გაქრა და უსაფრთხოების ახალ საერთაშორისო პირობებში საჭირო გახდა ქვეყნისათვის საფრთხეთა ახლებურად გაცნობიერება და შეფასება. უკვე 90-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო ტერორიზმი ლამის ნომერ პირველ საფრთხედ იქნა აღიარებული, მაგრამ 11 სექტემბრის მოვლენებმა დააჩქარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ახლებურად შეფასების პროცესი. „ალ კაიდასა“ და თალიბებთან ჭიდილმა აიძულა აშშ-ი მეტი ყურადღებით მოკიდებოდა საკუთარ ინტერესებსა და მიზნებს ევრაზიის ცენტრალურ ნაწილში, აგრეთვე რუსეთთან მიმართებაში. ახალი ურთიერთობები ჩამოყალიბდა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, გაძლიერდა ინტერესი კავკასიის მიმართ, კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ. ავღანეთში რადიკალური, ექსტრემისტული ისლამისტური რეჟიმი დამხობილ იქნა და მიმდინარეობს, მართალია, დიდი სიძნელეებით, ახალი ავღანური სახელმწიფოს შექმნის პროცესი.

საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემათა ჩამონათვალში საერთაშორისო ტერორიზმმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. უნდა აღინიშნოს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ის ხელმძღვანელობა ყოველთვის

აღნიშნავდა საერთაშორისო ტერორიზმის მზარდ საშიშროებას, ბევრს ეს გაფრთხილებები გაზვიადებულად და არარეალურად ეჩვენებოდა. 11 სექტემბრის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ აშშ-ის შეხედულებები მართებული იყო. არა მხოლოდ აშშ-მა, სხვა ქვეყნებმაც აღიარეს საერთაშორისო ტერორიზმის დიდი საფრთხე.

11 სექტემბერს აშშ-მა პირველად იგემა საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმა და ისიც ყველაზე მგრძობიარე ადგილებში! ამ აგრესიის აქტმა შეარყია არა მხოლოდ აშშ, არამედ მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, საფინანსო ბაზრები, საერთაშორისო ბიზნესი. საერთაშორისო ტერორისტთა შესაძლო აგრესიული აქტები შეიძლება მოხდეს ქიმიური, ბიოლოგიური თუ ბირთვული იარაღის გამოყენებით. ამიტომ აშშ-ს აქვს ყველანაირი უფლება იფიქროს საკუთარ უსაფრთხოებაზე და ებრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, როცა იგი მას საფრთხეს უქმნის.

აშშ-ში ტრადიციულად არსებობს დაპირისპირება ე. წ. იზოლაციონისტებსა და იმ ხალხს შორის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აშშ-მა საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისათვის გლობალურ დონეზე უნდა იზრუნოს და აქტიურად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე.

11 სექტემბრის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ აშშ, ჭეშმარიტად გლობალური ძალისა და ავტორიტეტის მქონე სახელმწიფო, არ შეიძლება პროვინციული იზოლაციონიზმის შეხედულებებით ხელმძღვანელობდეს. უნდა აშშ-ს ეს თუ არა, იგი ამჟამად საერთაშორისო ასპარეზზე ერთადერთი სუპერ-სახელმწიფოა და მას საერთაშორისო წესრიგის დამყარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება. სხვა სახელმწიფოებს, უბრალოდ, ამის შესაძლებლობა არ გააჩნიათ. საერთაშორისო წესრიგის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საერთაშორისო სისტემაში ხდება დიდი ცვლილებები, როგორც ეს მოხდა ე.წ. სოციალისტური ბანაკის და სსრკ-ის დაშლის შედეგად, როცა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა ერთბაშად უნიპოლარული, ჰეგემონურით შეიცვალა. აშშ-ის ჰეგემონობა, მართალია, ბევრს არ მოსწონს, მაგრამ წესრიგის დაცვა და შენარჩუნება საერთაშორისო სისტემაში ამჟამად მხოლოდ აშშ-ს ძალუძს. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის წარმართვაც გლობალურ დონეზე, ასევე მხოლოდ აშშ-ს შეუძლია.

უახლესმა მოვლენებმა განსაკუთრებით გააძლიერა აშშ-ის ინტერესი ცენტრალური ევრაზიის მიმართ. ავღანეთი თავისთავად აშშ-ის ინტერესთა ცე-

ნტრში მოექცა. აშშ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პაკისტანს. ცენტრალური აზიის სახელმწიფოების მიმართ აშშ-ის ინტერესი ერთგვარად „გაცივდა“ 2000- 2001 წლებში (ეს იყო დაკავშირებული იქ ადამიანის უფლებათა მიმართ აშშ-სთვის მიუღებელ დამოკიდებულებასთან!) და რუსეთის მიერ რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერების მცდელობებთან, მაგრამ სექტემბრის მოვლენებმა და ავღანეთში ანტიტერორისტულმა ოპერაციამ ერთბაშად შეცვალა სტრატეგიული ბალანსი ცენტრალურ აზიაში და რეგიონის ქვეყნების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი უზბეკეთი (საკვანძო ქვეყანა) აშშ-ის აშკარა მოკავშირეთა წრეში მოაქცია. არც ყაზახეთი, რომელიც ესაზღვრება რუსეთს და რომლის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი რუსულენოვანია, დარჩა განზე და აშშ-ს აქტიური დახმარება შესთავაზა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყაზახეთი უახლოეს 10 წლის განმავლობაში მსოფლიოს ნავთობისმომპოვებელ ქვეყანათა პირველ ხუთეულში უნდა მოხვდეს!

რუსეთის რეაქცია აშშ-ის ცენტრალურ აზიაში გამოჩენასთან დაკავშირებით ბევრისათვის მოულოდნელი იყო. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც რუსეთმა არა “ნულოვანჯამიანი“, არამედ რაციონალური, გაწონასწორებული მიდგომა დააფიქსირა და ცენტრალურ აზიაში აშშ-ის მიერ საკუთარი „დაჩრდილვა“ რეგიონში შექმნილი ვითარების გაუმჯობესების აუცილებლობით ახსნა. აშშ-მა განუცხადა რუსეთს, რომ წავა ცენტრალური აზიიდან, როგორც კი აღარ იქნება მისი იქ ყოფნის საჭიროება, რაშიც ბევრ ექსპერტს ეჭვი ეპარება.

აშშ-ის რუსეთთან ურთიერთობამ ახალი სტიმული და შინაარსი მიიღო. ორივე ქვეყანამ თანამშრომლობა დაიწყო ისეთ სფეროებში, როგორიც არის დაზვერვა და უშიშროება. 11 სექტემბრის მოვლენებმა ხელი შეუწყო აშშ-ის რუსეთთან უფრო საქმიან დამოკიდებულებას.

გაიზარდა თურქეთის მნიშვნელობა როგორც აშშ-ის გეგმებში, ისე მისი საერთაშორისო როლიც. სეკულარული თურქეთი იმის საუკეთესო მაგალითია, რომ რადიკალური ისლამიზმის ბევრად უკეთესი ალტერნატივა არსებობს. გარდა ამისა, თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და მისი განსაკუთრებული ურთიერთობები აშშ-თან, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში თურქეთს უნიკალურ როლს ანიჭებს.

კავკასიაში აშშ-ის გააქტიურება დაკავშირებულია მთლიანად ევრაზიაში მისი პოლიტიკის გააქტიურებასთან. აშშ-ის სერიოზული პოლიტიკური სვლები ამ რეგიონში საყურადღებოა არა მხოლოდ ტერორისტებთან ბრძოლასთან

დაკავშირებით, არამედ კასპიის აუზის ენერგორესურსების ათვისებასთან მიმართებაშიც.

საქართველოს და აზერბაიჯანის მიმართ აშშ-ის პოლიტიკა კიდევ უფრო გამოკვეთილი გახდა. გარდა ამისა, აშშ-მა გამოაცხადა, რომ სამხედრო დახმარებას გაუწევს აზერბაიჯანს და სომხეთს. აშშ-ის სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკის გააქტიურება, რეგიონში რუსეთის შედარებითი შესუსტების პარალელურად ხდება.

საყურადღებოა, რომ სომხეთის ხელმძღვანელობა, აკეთებს რა დასკვნებს მიმდინარე პროცესების თაობაზე, იწყებს საკუთარი საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი მომენტის გადასინჯვას. ეს ხდება შემდეგი ფაქტორების გამო:

- თურქეთის მზარდი მნიშვნელობა რეგიონში;
- სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაყვანა სულ მალე დაიწყება;
- ბაქო-თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის გარდაუვალობა;
- საქართველოში აშშ-ის სამხედრო კომპონენტის გამოჩენა;
- აშშ-ის ხელმძღვანელობით ევრაზიაში ანტიტერორისტული ოპერაციის გატარება;
- რუსეთის შესამჩნევი შესუსტება რეგიონში.

სომხეთის ხელმძღვანელობის სურვილი, გადასინჯოს ზოგიერთი საკუთარი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტი შეიმჩნევა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ოსკანიანის და სხვა ოფიციალური პირების გამოსვლებში.

აშშ-მა გლობალური ჰეგემონიის პიკს მიაღწია. მაგრამ საერთაშორისო წესრიგის დაცვა და შენარჩუნება მას მოკავშირეების გარეშე არ ძალუძს. ევრაზიაში მისი გაზრდილი როლი ახალ სირთულეებს და გამოწვევებს უქმნის. ამიტომ აშშ ცდილობს რეგიონში არსებული და პოტენციური მოკავშირეებისათვის დახმარების გაწევას. ეს კი, თავის მხრივ, რუსეთის სამხრეთით მდებარე პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებს საკუთარი სუვერენიტეტის განმტკიცების დამატებით პირობებს უქმნის.

ლევან ავალიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ამერიკის შეერთებული შტატები და ახლადწარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნები

თანამედროვე ამერიკელი პოლიტიკური ანალიტიკოსები ტერმინით „ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნები" (Newly Independent States) საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოთა ერთობლიობას აღნიშნავენ, ჩვენ კი, ძირითადად, მას პოსტსაბჭოთა სივრცეს ვუწოდებთ.

ამერიკელი ანალიტიკოსების თვალსაზრისით, ეს სივრცე შეერთებული შტატებისა და რუსეთის ურთიერთობებში სახიფათო კონფრონტაციის დაწყების მიზეზად შეიძლება იქცეს, რადგანაც რუსეთი ამ რეგიონს თავისი სასიცოცხლო ინტერესების ზონად აღიქვამს. ამავე დროს, მიუხედავად რუსეთის ეკონომიკური სისუსტისა, იგი რჩება ყველაზე ძლიერ ქვეყნად პოსტსაბჭოთა სივრცეში და ინარჩუნებს მოსაზღვრე ქვეყნებზე ზემოქმედების ძლიერ ეკონომიკურ ბერკეტებს. ადრე აქ სიტუაციას ართულებდა ის ფაქტი, რომ მოსკოვი ამ რეგიონში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სტრუქტურებით მოქმედებდა, რომელთაც ხშირად რეგიონთან მიმართებაში განსხვავებული მიდგომა ახასიათებდათ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რეგიონში შექმნილ სიტუაციას აფასებდა გეოპოლიტიკური თვალთახედვით, მაგრამ ხშირად არ გააჩნდა შესაბამისი რესურსები, რათა ეწარმოებინა უფრო მიზანმიმართული პოლიტიკა. თავდაცვის სამინისტროც ამ სივრცეს სტრატეგიული თვალსაზრისით აღიქვამდა, მაგრამ დაკმაყოფილებული იყო სამხედრო ბაზებით, რომლებიც განლაგებული ჰქონდა ზოგიერთ სახელმწიფოში. ამ ორ სააგენტოს აბალანსებდა მრავალმხრივი კომერციული გაერთიანებები, ისეთი როგორც გაზის მონოპოლისტი „გაზპრომი" და რუსეთის უდიდესი ნავთობკომპანია „ლუკოილი", ასევე სხვადასხვა ეკონომიკური სამინისტროები (ვაჭრობის, ენერგორესურსების), რომლებიც რეგიონში მოქმედებდნენ დამოუკიდებელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით(1).

სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა პუტინის გუნდის მოსვლის შემდგომ (2000 წლის მაისი). ეკონომიკური ინტერესები რუსეთის საშუალოვადიანი სტრატეგიის საფუძვლად გამოცხადდა. მთავრობის მტკიცე კონტროლქვეშ მოექცა ისეთი გიგანტიც კი, როგორიც „გაზპრომია". ახალი პრინციპის თანახმად, მსხვილი კომპანიები სახელმწიფოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ და არა პირიქით. შეერთებულ შტატებსაც აქვს უაღრესად მნი-

შენელოვანი ინტერესები ამ რეგიონში, მაგრამ არა სასიცოცხლო, როგორც ამას ბევრი ფიქრობს. ამერიკის საზოგადოება ამ სივრცეს განიხილავს როგორც განაპირა მნიშვნელობის რეგიონს. მიუხედავად ამისა, აშშ, ისევე, როგორც სხვა ძალები, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის შესუსტებისთანავე გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ კლინტონის ადმინისტრაციას არ ჰქონდა საკმარისად არგუმენტირებული თავისი სტრატეგია ამ რეგიონში, თუმცა ძირითად მოტივებზე საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ.

პირველ რიგში, სტრატეგიული პერსპექტივებიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების ხელისუფლება მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს, რომ სიცოცხლისუნარიანი დამოუკიდებელი ქვეყნების შექმნა სტაბილურობის ძირითადი პირობაა, არამარტო ამ რეგიონში, არამედ მის გარშემოც. ამავე დროს ეს აუცილებელი ფაქტორია, რათა რუსეთში აღიკვეთოს იმპერიული აზროვნებისა და ძველი საბჭოთა მოთხოვნების (მსოფლიო ბატონობა) აღდგენა-განახლების სურვილი.

მეორე მხრივ, კომერციული პერსპექტივებიდან გამომდინარე შეერთებულ შტატებს აქვს მნიშვნელოვანი ინტერესები ცენტრალური აზიისა და კასპიის რეგიონის ენერგოსექტორში. შეერთებულ შტატებს სჭირდება გასასვლელი ამ რეგიონსა და მის ენერგორესურსებზე. მიუხედავად რუსეთში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისა (არამარტო რუსეთში), ვაშინგტონი ყველნაირი გზებით ცდილობს გამოდევნოს რუსეთი ამ რეგიონიდან. აშშ-ის ადმინისტრაცია არ არის წინააღმდეგი მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებისა რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საბაზრო პრინციპებს და არ ხელყოფს აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესებს(2).

განსხვავებული ინტერესებისა და სტრატეგიული გეგმების გამო პოსტსაბჭოთა სივრცე შეიძლება მართლაც იქცეს ძლიერი დაპირისპირების ზონად რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, საჭიროა გარკვეული ზომების მიღება ამ დაპირისპირების შესარბილებლად.

– პირველ რიგში, მათი აზრით, საჭიროა შეერთებულმა შტატებმა ჩამოაყალიბონ ნათელი და არგუმენტირებული დოქტრინა თავის პრიორიტეტებზე ამ რეგიონში. კონკრეტულად კი ეს გამოიწვევს ამ რეგიონის „დაშლა-დანაწევრებას" და თითოეული მათგანისადმი განსხვავებული მიდგომისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

– მეორე, შეერთებულმა შტატებმა კვლავ უნდა გააგრძელოს ახლად წარმოშობილი ქვეყნების დამოუკიდებლობის მხარდაჭერა და რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნება.

– მესამე, ვაშინგტონმა უნდა დაითანხმოს მოსკოვი რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებზეც განისაზღვრება თითოეული მხარის მიზნები და ამოცანები ამ რეგიონში, ასევე შემუშავდება ყველასათვის მისაღები „თამაშის წესები".

– მეოთხე, ორივე მხარემ (აშშ-მა და რუსეთმა) უნდა ეძებოს გზები ამ

რეგიონში კოოპერაციისათვის – დაწყებული მშვიდობის დაცვის შენარჩუნებით, დამთავრებული სტრატეგიული რესურსების გამოყენება-ათვისებით.

– მეხუთე, შეერთებულმა შტატებმა რუსეთთან და სხვა დაინტერესებულ ძალებთან ერთად უნდა იმუშაოს, რათა ჩამოყალიბდეს ამ რეგიონში ყველასათვის მისაღები „ქცევის" წესები.(3)

იმავე ანალიტიკოსების აზრით, ამერიკული ინტერესებიდან გამომდინარე პოსტსაბჭოთა სივრცე შეიძლება დაიყოს რამდენიმე რეგიონად, რომელთაგან თითოეულს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. მათ ასე დაყვეს ეს სივრცე: აღმოსავლეთი რესპუბლიკები (უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა), ბალტიისპირეთი, კავკასია და ცენტრალური აზია. ჩვენ მხოლოდ კავკასიის რეგიონს განვიხილავთ.

კავკასია

ეს განსაკუთრებით საინტერესო რეგიონია ჩვენთვის, ამიტომ საყურადღებოა დასავლელი და რუსი ექსპერტების შეფასებები აქ განვითარებულ მოვლენებსა და მათი პერსპექტივების შესახებ. მათი აზრით, ეს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ფეთქებადი რეგიონია, რასაც უთუოდ ადასტურებს განახლებული ომი ჩეჩნეთში. ამავე დროს მოსალოდნელია, რომ უეცრად განახლდეს სხვა კონფლიქტებიც კავკასიაში და ეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული აფხაზეთის, ცხინვალისა და ყარაბაღის საკითხები. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალთა გადანაწილების პროცესი ჯერ არ არის დასრულებული საქართველოსა და აზერბაიჯანში. ამას ემატება უცხო ძალთა, მართლაც რომ, უდიდესი ინტერესი რეგიონის ენერგეტიკული რესურსებისადმი და მილსადენების გაყვანის საკითხში მათი გეოპოლიტიკური გეგმების დაპირისპირება, რაც იწვევს ამ ძალთა აშკარა ჩარევას სუვერენული ქვეყნების საშინაო საქმეებში(4).

შეერთებულ შტატებს ორი ძირითადი ინტერესი აქვს ამ რეგიონში: არასტაბილურობის შეკავება, რათა იგი დესტაბილიზაციით არ დაემუქროს რუსეთსა და შუა აზიას და მტკიცე პოზიციების მოპოვება ენერგორესურსებით პოტენციურად ძალზე მდიდარ რეგიონში. ამის შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა ამერიკელმა პოლიტოლოგმა არიელ კოენმა. მისი სიტყვებით, აშშ-ის ინტერესები კავკასიაში გულისხმობს ტერიტორიული სუვერენიტეტის გარანტირებას საქართველოსათვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის, კონტროლის განხორციელებას ირანზე და ისლამური ფუნდამენტალიზმის ყოველგვარ გამოვლინებაზე, ენერგეტიკულ რესურსებზე გასასვლელის მოპოვებასა და რეგიონში რუსეთის იმპერიული ამბიციების განახლების აღკვეთას. შეერთებულმა შტატებმა უნდა უზრუნველყოს თავისი სტრატეგიული ინტერესების დაცვა სხვადასხვა საშიში მოვლენებისაგან სამოქალაქო ინსტიტუტებისა და ეკონომიკური ბაზრების გაძლიერებით სამივე ამიერკავკასიურ რესპუბლიკაში. აუცილებელია თურქეთისა და ისრაელის მხრიდან მხარდაჭერილი საქართველო-აზერბაიჯანის კოალიციის განვითარება-გაღრმავება. ღო-

ნისძიებები მიზნად ისახავს ამერიკული კომპანიების მხარდაჭერითი ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობის გარანტიებს. თუ ვაშინგტონი ვერ მიიღებს პოლიტიკურ დივიდენდებს კავკასიაში, ამერიკის ინტერესები, ისევე როგორც მისი ძირითადი მოკავშირეების, თურქეთისა და ისრაელის ინტერესები, კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება, მოგებულები კი ანტიდასავლური ძალები დარჩებიან რუსეთსა და ირანში(5).

პრინციპში, ამასვე ემთხვევა რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესებიც. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი დასავლელი ექსპერტის აზრით, ამ რეგიონის დაპყრობა დროთა განმავლობაში იქცა რუსების თვითიდენტიფიკაციის განუყრელ ნაწილად(6). ამიტომ ვაშინგტონი ძალზე ფრთხილად უნდა მოქმედებდეს კავკასიის საკითხებზე რუსეთთან შეთანხმების მისაღწევად.

შეერთებულ შტატების პოლიტიკის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს მთელი რეგიონის მასშტაბით ყოველგვარი მოსალოდნელი აფეთქების თავიდან აცილება. ამისათვის საჭიროა სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის მათი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ძლიერი მხარდაჭერა, აგრეთვე ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტების გადაწყვეტის სამშვიდობო გზების ძიება. ამავე დროს დასავლელ ანალიტიკოსებს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნიათ ამ კონფლიქტების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე მოგვარება.

რა თქმა უნდა, შეიძლება მოინახოს პრობლემის მოგვარების ყველასათვის მისაღები გზა, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს მთელ რეგიონს და იყოს კომპლექსური. საკითხის ასეთ გადაწყვეტას სჭირდება დიდ კომპრომისებზე წასვლა დაპირისპირებულ მხარეთა მხრიდან და არცთუ პატარა ფინანსური მხარდაჭერა. ანალიტიკოსთა აზრით, ერთ-ერთი გზა, ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილებისაკენ, შეიძლება იყოს რეგიონის პრობლემებზე საერთაშორისო კონგრესის მოწვევა, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ყველა დაინტერესებული მხარე და ერთი დასავლეთისაგან ზურგგამაგრებული მხარე. ძირითადი მხარეები უნდა მორიგდნენ უსაფრთხოების საკითხებზე, ხოლო დასავლეთი გამოყოფს თანხებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად(6).

საინტერესოა, თუ რატომ არ ხდება პროგრესი ამ კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით და რა როლს ასრულებს რუსეთის ფაქტორი ამ საკითხში. ამის შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტის მკვლევარმა დოუვ ლინჩიმ. მისი აზრით, რუსეთის ინტერვენციამ 90-იანი წლების დასაწყისში გადამწყვეტი როლი ითამაშა კავკასიური და დნესტრისპირეთის კონფლიქტების წარმოქმნასა და მათ შემდგომ „გაყინვაში". გარეშე ჩარევა, სტატუს კვოს შენარჩუნების თვალსაზრისით, კვლავაც მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება: რუსეთის სამშვიდობო ძალები სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო საზღვრებზე არიან განლაგებული, მთიანი ყარაბაღი კი სომხური დახმარების გარეშე არსებობას ვერ შეძლებდა. ამის მიუხედავად, გარეშე ფაქტორები საკითხის მხოლოდ ერთ ნა-

ნილს ხსნის. იმის დასადგენად, თუ რატომ ვერ ხდება კონფლიქტების მოგვარება, თავად სეპარატისტულ რეგიონებზე დაკვირვებაა საჭირო. სეპარატისტთა აზრით კი, სტატუს კვოს შენარჩუნება და კონფლიქტის გაყინვა მათ ინტერესებს ემსახურება, უღიარებლობა და საერთაშორისო იზოლაცია კი ის საფასურია, რომელიც მათ უნდა გაიღონ(8).

ფაქტია, რომ სამშვიდობო ოპერაციები და კონფლიქტების გაყინვა რუსეთმა კავკასიურ რესპუბლიკებზე კონტროლის შესანარჩუნებლად გამოიყენა და ამ მხრივ დღესაც მომგებიან პოზიციაშია. ამიტომ მოსკოვის ინტერესები სრულიად ემთხვევა დასავლეთში გაბატონებულ აზრს, რომ ეს კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას. ამავე დროს რუსეთის ინტერესებში შედის რათა ეს მოლაპარაკებები ძალზე ნელა და არაპროდუქტიულად მიმდინარეობდეს, რადგან კონფლიქტების მოგვარებამ შეიძლება შეარყიოს რუსეთის პოზიციები მთლიანად კავკასიის რეგიონში. ამიტომ საქართველოსათვის მხარდაჭერის იმედი დასავლეთიდან და, მითუმეტეს, ჩრდილოეთიდან დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში სრულიად არარეალური ჩანს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეს უკავია ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილი აშშ-ის ახალი მთავრობის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ გეგმებში. თუ ჩვენ დავუჯერებთ სხვადასხვა ანალიტიკოსებს, მაშინ მოსალოდნელია, რომ უახლოეს ხანებში ვაშინგტონი უფრო დაკონკრეტებს თავის პოზიციას ცალკეული რეგიონების მიმართ. ბუშის სიტყვებიც ამას მოწმობს – მსოფლიო დღეს უფრო ურთიერთდაკავშირებულია, ვიდრე ადრე. ჩვენი ეკონომიკა, ყოველი ამერიკელის ცხოვრების დონე, პირველ რიგში, დამოკიდებულია ჩვენს პოზიციებზე მსოფლიოში.

ერთი კი ფაქტია – კავკასია კვლავ რჩება ყველაზე რთული პოლიტიკური თამაშის და ზესახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების სახიფათო გადაკვეთის ადგილად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. US-Russian Relations at the Turn of the Century – Carnegy Endowment for International peace working group, p. 39

2. იხ. იქვე, გვ. 40

3. იხ. იქვე, გვ.40

4. იხ. იქვე, გვ.41-42

5. "Российская Газета" – 1998წ. 28 ნოემბერი

6.იხ. იქვე

7. იხ. იქვე, გვ.41-42

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი №8 (41), გვ. 5-10.

თამარ ბაკურაძე
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, დოცენტი

ამერიკული საზოგადოების სამოქალაქო ღირებულებანი

ამერიკელ ისტორიკოსს ფ. ფუკუიამას მიაჩნია, რომ საზოგადოების განვითარების პროცესს მთელ მსოფლიოში ახასიათებს დემოკრატიისაკენ სწრაფვა. მსჯელობს რა ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რეფორმების შესახებ, ის თვლის, რომ ჩვენ ვართ მოწმენი "არა მარტო ციკი ომის ანდა ომისშემდგომი თავისებური პერიოდის დასრულებისა, არამედ საერთოდ ისტორიის დასასრულისა" და ხაზს უსვამს, რომ "ეს ნიშნავს კაცობრიობის იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო პუნქტს და დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაოდ უნივერსალურ ფორმად აღიარებას". ფ.ფუკუიამა გამოყოფს დემოკრატიის განვითარების შემდეგ ოთხ დონეს:

1. <u>იდეოლოგია.</u> ეს არის მრწამსი იმის შესახებ, თუ რამდენად მისაღებია და გამართლებულია დემოკრატიული ინსტიტუტების და მათი მხარდამჭერი საბაზრო სტრუქტურების არსებობა. დემოკრატიული საზოგადოება ხანგრძლივად ვერ იარსებებს, თუ დემოკრატია ხალხს არ მიაჩნია მმართველობის სრულყოფილ და საუკეთესო ფორმად. დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი მიდგომა და დემოკრატიის ლეგიტიმურობის აღიარება იდეოლოგიის დონეზე შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს, რისი ტენდენციაც ბოლო დროს მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა.

2. <u>ინსტიტუტები.</u> ეს სფერო მოიცავს კონსტიტუციებს, სასამართლო და პარტიულ სისტემებს, საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურებს და ა.შ. მოცემული სტრუქტურები იდეებისგან განსხვავებით ნაკლები სისწრაფით იცვლებიან.

3. <u>სამოქალაქო საზოგადოება.</u> ეს არის "განვითარებული ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც დამოკიდებული არ არის სახელმწიფოზე, მაგრამ ურთიერთქმედებაშია მასთან". სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე პოლიტიკური ინსტიტუტებისა.

4. <u>კულტურა.</u> დემოკრატიის განვითარების ეს დონე, ფ.ფუკუიამას აზრით, მოიცავს რელიგიას, ზნეობრივ და სამოქალაქო ღირებულებებს, ეთნიკურ შეგნებას და სხვ.

საზოგადოების დემოკრატიული ინსტიტუტები ეფუძნება სამოქალაქო სა-

ზოგადოებას, რომელიც შეუძლებელია თავისუფალი, თანასწორუფლებიანი მოქალაქეების გარეშე. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური კულტურა საკმაოდ იოლად განიცდის ცვლილებებს იდეოლოგიის, დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ზეგავლენით. თუმცა ცვლილებები პოლიტიკურ კულტურაში უფრო შენელებული ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ სამ დანარჩენ სფეროში.

ამერიკელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ ამერიკული საზოგადოების რელიგიურ და ეთნიკურ სიჭრელეს, რის გამოც შეუძლებლად და გაუმართლებლად მიაჩნიათ ამ საფუძველზე საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევა. მათი აზრით, ამერიკული საზოგადოების ერთობის საფუძველს წარმოადგენს ისეთი ღირებულებები, რომლებიც ერთიანდება, უპირველეს ყოვლისა დემოკრატიულობის ნიშნით და იმავდროულად ამერიკულიც არის. ესენი დემოკრატიული საზოგადოების სამოქალაქო ღირებულებებია, რომელიც კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ სხვაობაზე მაღლა დგას და მჭიდროდ აკავშირებს ცალკეულ მოქალაქეებს ერთ მთლიანობაში, რომელსაც ამერიკელი ხალხი ჰქვია.

სწორედ სამოქალაქო ღირებულებები (ადამიანის უფლებები, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, საყოველთაო კეთილდღეობა, ტოლერანტობა, პატრიოტიზმი და სხვ.) წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს და უზრუნველყოფს მის სტაბილურობას. სამოქალაქო ღირებულებები საზოგადოებრივი აზრის ყველაზე მყარი ელემენტია, რადგან უშუალო კავშირშია ამერიკელთა ძირითად ინტერესებთან და სასიცოცხლო ორიენტირებთან.

სოციოლოგიურ გამოკვლევათა და ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ასევე მხატვრული ლიტერატურის, საზოგადო მოღვაწეების გამონათქვამების და სხვა წყაროების გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ ფუნდამენტალური სამოქალაქო ღირებულებების მთელი რიგი, რომელიც საერთოა ამერიკელთა უმრავლესობისათვის.

ცნობილია, ამერიკელები ამაყობენ თავიანთი ქვეყნით და ყოველთვის მჭიდროდ ერთიანდებიან თავიანთი ეროვნული დროშის ქვეშ საერთაშორისო კრიზისების დროს. ეს პატრიოტული გრძნობა აიძულებს მათ მხარი დაუჭირონ (ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური კონფლიქტის საწყის ეტაპზე მაინც) პრეზიდენტის თითქმის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. პრეზიდენტიც ხშირად სარგებლობს თავისი ხალხის ამ რეფლექსით. ამერიკელები აკეთებენ ამას არა პრეზიდენტის, არამედ საკუთარი ქვეყნის სიყვარულის გამო.

ამერიკელების უმრავლესობა ამაყობს ქვეყნის ისტორიით, მასში დამკვიდრებული ეროვნული ღირებულებებით და იმით, თუ როგორ გამოიყენებს შეერთებული შტატები თავის გავლენას მთელ მსოფლიოში ამ ღირებულებების გასავრცელებლად და დასამკვიდრებლად. მათ მიაჩნიათ, რომ ამერიკული მუსიკის, კინოს, ტელევიზიის პროგრამების გავრცელება მთელ მსოფლიოში არის დასტური იმისა, რომ ამერიკული ცხოვრების წესი მისაღებია ყველასათვის და ყველგან.

1982 წელს გელაპის ინსტიტუტმა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა რომის კათოლიკური ორგანიზაციის - გამოყენებითი გამოკვლევების ცენტრისათვის. სხვადასხვა ხალხის გამოკითხვის დროს სპეციალისტებს აინტერესებდათ, თუ რა გრძნობებს იწვევს რესპონდენტებში სხვადასხვა რელიგიური და საერო თემები. მრავალ სხვა კითხვას შორის იყო კითხვა იმის შესახებ, თუ რას განიცდიან ისინი სამშობლოსთან მიმართებაში. ამერიკელების 80 პროცენტმა აღნიშნა, რომ ძალიან ამაყობენ ამერიკით. სხვა ქვეყნების წარმომადგენლების მაჩვენებლები გაცილებით უფრო დაბალი აღმოჩნდა. ასე, ბრიტანელების 55 პროცენტმა, იტალიელების 41 პროცენტმა, ფრანგების 33 პროცენტმა, იაპონელების 30 პროცენტმა და დასავლეთგერმანელების 21 პროცენტმა აღიარეს, რომ მსგავს გრძნობებს განიცდიდნენ სამშობლოსთან მიმართებაში.

სამშობლოსადმი სიყვარული ამერიკელებისთვის სრულიადაც არ ნიშნავს ქვეყნის ლიდერებისადმი ან მათ მიერ გატარებული პოლიტიკისადმი არაკრიტიკულ მიდგომას. ამერიკელების პატრიოტიზმი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველთვის იწონებენ მათი ქვეყნის ნებისმიერ აქციას საზღვარგარეთ. მაგალითად, პრეზიდენტი ბილ კლინტონი თავის დროზე იღებდა მონაწილეობას საპროტესტო დემონსტრაციებში, რომელიც მიმართული იყო შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ ვიეტნამში. ანდა, მაგალითად, ბევრმა პატრიოტული სულისკვეთებით განწყობილმა ამერიკელმა, თავის მხრივ, დაგმო შეერთებული შტატების პოლიტიკა სომალში.

1970-იან წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ამერიკელების სკეპტიკური დამოკიდებულება ამერიკელი ლიდერებისადმი, მრავალი კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებისადმი. ეს რწმენა გარკვეულწილად აღსდგა რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს, 1980-იან წლებში კი ისევ დაქვეითდა. 1980-იან წლების დასასრულიდან 1993 წლამდე ამერიკელები მზარდი პესიმიზმით აფასებდნენ შეერთებული შტატების მომავალს. 1992 წლის ზაფხულში ამერიკელების სამ მეოთხედს მიაჩნდა, რომ მათი ქვეყანა არასწორ გზას ადგას. პესიმიზმი განსაკუთრებით ჭარბობდა ღარიბებსა, რასობრივ უმცირესობებსა და ქალებს შო-

რის. 1993 წლისთვის ახალი პრეზიდენტის მიერ პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით შეიმჩნეოდა პესიმიზმის დაქვეითება. მაგრამ განწყობილების ამ ცვლილებების მიუხედავად ამერიკელთა უმრავლესობა ოპტიმისტია. ისინი აღიარებენ, რომ ამერიკელად ყოფნა და ამერიკაში ცხოვრება მათთვის დიდი ბედნიერებაა.

ერთ-ერთი ყველაზე მიღებული ღირებულება ამერიკულ საზოგადოებაში არის ზომიერება. ზომიერება, ამერიკელების აზრით, გულისხმობს სიფრთხილეს, ერთგულებას და თანმიმდევრობას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელებს არ უყვართ ცვლილებები. პირიქით, პოლიტიკური რეფორმების ტრადიციამ ღრმად გაიდგა ფესვები. მაგრამ ამერიკელებს არ უყვართ მოულოდნელი, ანდა უსაფუძვლო ცვლილებები. ამიტომაც ამერიკელებს არ უყვართ ლიდერები, რომელთა სიტყვები საქმეს არ ემთხვევა. ამიტომ არის, რომ ამერიკელების დიდმა ნაწილმა ვერ აპატია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს 1988 წლის საარჩევნო კამპანიის დროს საზეიმოდ მიცემული ფიცის გატეხვა ახალი გადასახადების შემოღებლობის შესახებ.

მეორე წახნაგი ამერიკული ზომიერებისა მჟღავნდება რადიკალიზმთან დაპირისპირებაში. რადიკალურად განწყობილ ამერიკელებს თავი პროგრესულ მოღვაწეებად მიაჩნიათ. ამერიკელთა შეგნებაში რადიკალიზმი ასოცირდება ექსტრემიზმთან, რომელიც მათ მიუღებლად მიაჩნიათ. ამერიკელებს არ უყვართ უკიდურესობები, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება ხოლმე. ასე, მაგალითად, 1964 წელს ექსტრემიზმის დაცვა ძვირად დაუჯდა რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის კანდიდატს სენატორ ბ. გოლდუოტერს. მან განაცხადა, რომ "ექსტრემიზმის გამოვლინება თავისუფლების დასაცავად ცოდვად არ ჩაითვლება, . . . ხოლო ზომიერება სამართლიანობის დაცვისათვის სულაც არ ნიშნავს მაღალ ზნეობრიობას". ამიტომაც იყო, რომ მან განიცადა ერთ-ერთი უდიდესი მარცხი ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაში.

ამერიკელებს ახასიათებთ ცენტრიზმისაკენ მისწრაფება. ზომიერება და კონსენსუსი ამერიკაში აღიარებული ლოზუნგებია. სხვა განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში პარტიის პროგრამაში სიტყვა „რადიკალური" შეიძლება ფიგურირებდეს. შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში ეს სიტყვა არ გამოიყენება, რადგან მას უარყოფითი პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

ამერიკელ პოლიტოლოგ ე.ბარკერის განსაზღვრის მიხედვით, დემოკრატია ნიშნავს "დისკუსიის მეშვეობით მმართველობას". მას მიაჩნია, რომ დისკუსიამ შეიძლება დაუპირისპიროს ერთმანეთს ოპოზიციური პარტიები, მაგრამ საბოლოო ჯამში ის აერთიანებს მათ. შესაძლოა, რომ ე.ბარკერი გადაჭარბებული ოპტიმიზმით აფასებს დისკუსიის მნიშვნელობას კონსენსუსის მი-

საღწევად, მაგრამ უეჭველია, რომ დემოკრატია თანხმობის ანუ კონსენსუსის გარეშე წარმოუდგენელია.

ამერიკელებს ახასიათებთ პოლიტიკური ტოლერანტობა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიის სტაბილურობას და ხელისუფლების მშვიდობიან შეცვლას. სულ საპირისპირო ვითარება იქმნება, თუ არჩევნებში მონაწილე ყველა პარტია წარმოდგენილია მტკიცე ექსტრემისტებით, რომლებიც დამარცხებას ვერ ურიგდებიან. მსგავსმა სიტუაციამ შეიძლება გამოიწვიოს საბედისწერო შედეგები, რაც ამერიკაში იშვიათად ხდება. ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს 1860 წელს ჩატარებული არჩევნები, როდესაც უთანხმოება მონობის საკითხის თაობაზე ქვეყანაში სამოქალაქო ომის წინაპირობა გახდა.

პოლიტიკურმა უთანხმოებამ ნებისმიერ საზოგადოებაში შეიძლება იჩინოს თავი. მაგრამ განვითარებული დემოკრატიისათვის დამახასიათებელია ტოლერანტობა საზოგადოების იმ წევრთა მიმართ, რომლებიც განსხვავებული პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური იდეების მატარებლები არიან. ამის გარდა, ასეთ საზოგადოებაში საპირისპირო შეხედულებების მქონე მოქალაქეებს აერთიანებს ფუნდამენტალური სამოქალაქო ღირებულებები. ამიტომაც არის, რომ უმძაფრესი პოლიტიკური კრიზისის დროსაც კი არავის ებადება ეჭვი ქვეყანაში სამართლებრივი წესრიგის და დემოკრატიული რეჟიმის აუცილებლობაში და "ამერიკული ცხოვრების წესის" სრულყოფაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barker E., Reflections on Government, New York, Oxford University Press, 1958.

2. Bishop G.F., Experiments with the Middle Response Alternative in Survey Questions, Public Opinion Quarterly (Summer 1987).

3. Briggs D., Study Finds Evidence of Religious Revival, Associated Press, in the Record (Bergen County, NJ), May 18, 1992.

4. Safire W., Safire's Political Dictionary. New York: Ballantine Books, 1978.

5. Фукуяма Ф. Конец истории?//«США: Экономика, политика, идеология, 1996, № 5.

ვასილ კაკარაძე,
იუ. ჯაჯანიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი,
ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი

ჰერბერტ ჰუვერის მოღვაწეობა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის პოსტზე უორენ ჰარდინგის ადმინისტრაციაში

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ამერიკელს, ჰერბერტ ჰუვერს, თავისი ოთხმოცდაათწლიანი სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამ აქვს გაკეთებული, მაგრამ იმ ეპოქის მკვლევრები მას სამი სახის საქმიანობით იცნობენ:

1. ჰუვერის საქმიანობა საქველმოქმედო და სახელმწიფო დახმარების სფეროში პირველი მსოფლიო ომის დროს. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ომისა და ომისშემდგომ ევროპაში მილიონობით ადამიანის შიმშილისაგან გადარჩენა. მარტო რუსეთში 1921-23 წლებში მისი მეშვეობით ამერიკის დახმარების ასოციაციამ 60 მილიონი დოლარის საკვები გაგზავნა და 10 მილიონამდე ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს.

2. ჰუვერი, როგორც აშშ-ის ვაჭრობის მინისტრი 1921-28 წლებში. ბუნებრივია, ვაჭრობის მინისტრი, თუნდაც ამერიკის, ეს ის ფიგურა არ არის, რომელმაც საყოველთაო ყურადღება უნდა მიიპყროს. მაგრამ ჰუვერმა ამ პოსტზე ისეთი ენერგიული და მრავალფეროვანი საქმიანობა გააჩაღა, რომ თვით სამინისტროს მნიშვნელობა და პრესტიჟი უზომოდ გაზარდა და ოცი-ანი წლების ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და დაფასებული პოლიტიკური მოღვაწე გახდა, რამაც მისი აშშ-ის პრეზიდენტად არჩევაც განაპირობა. მე-20 საუკუნის ამერიკაში ჰუვერი ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელმაც მინისტრის პოსტიდან მიაღწია პრეზიდენტის სავარძელს (ძირითადად ისინი სენატორები ან გუბერნატორები არიან). 1924 წელს თვით აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა, კალვინ კულიჯმა, აღიარა და განაცხადა ნიუ-იორკელი ჟურნალისტების წინაშე, რომ ჰუვერი გაცილებით ახლოს არის ამერიკელი ხალხის არსთან, ვიდრე რომელიმე სხვა საზოგადო მოღვაწე (1).

3. ჰუვერი, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი 1929-33 წლებში. მოსალოდნელი ტრიუმფის ნაცვლად ჰუვერს უდიდესი ტრაგედია ელოდა ამ პოსტზე: იგი აშშ-ის ისტორიაში და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო ისტორიაშიც, ყველაზე მძიმე ეკონომიკური კრიზისის მოწმე გახდა. ვინაიდან მან ვერ მოახერხა ამ

კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა, ოსტორიაში იგი მეტად უარყოფითად არის შეფასებული, თუმცა, ალბათ, დაუმსახურებლად. ცუდის მოგონება კი წარმატებაზე ორიენტირებულ ამერიკელებს არ უყვართ და, შესაბამისად, ჰუვერის სახელიც საზოგადოების ფართო ფენებში მივიწყებულია. ამას ვერ ვიტყვით მეცნიერების შესახებ: იგი ახსოვთ და მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა.

აღნიშნული ნაშრომი ეთმობა ჰუვერის საქმიანობას უ. ჰარდინგის ადმინისტრაციაში, სადაც იგი არა მარტო ვაჭრობის მინისტრი იყო, არამედ პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი მრჩეველიც მრავალ საკითხში.

ჰ. ჰუვერის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნას საკმაოდ რთული კულუარული ბრძოლა უძღოდა წინ. რესპუბლიკურ პარტიაში მტკივნეულად აღიქვეს ახალი, მეტად პოპულარული, ფიგურის გამოჩენა. ჰუვერს პარტიის სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. ზოგისთვის იგი მეტად კონსერვატული იყო, ზოგისთვის, პირიქით, მეტად ლიბერალური, ზოგისთვის მეტისმეტად ჩართული საერთაშორისო საქმეებში და ა.შ. მაგრამ პრეზიდენტ ჰარდინგს მიაჩნდა, რომ მისი მთავრობისათვის მეტად საჭირო და გამოსადეგი იქნებოდა ჰუვერის ნიჭი, ენერგია, საერთაშორისო გამოცდილება და საკმაოდ მოქნილი, ყოველ შემთხვევაში იმ დროისათვის, რესპუბლიკანიზმი. ამიტომაც მან წამყვან რესპუბლიკელ სენატორებს დაუსაბუთა თავისი პოზიცია, ზოგი კი უბრალოდ აიძულა დათანხმებულიყო ჰუვერის კანდიდატურაზე. ამავე დროს თვით ჰუვერს, რომელიც ფეხს ითრევდა დათანხმებულიყო ამ თანამდებობაზე დანიშვნას, დაპირდა მაქსიმალურ მხარდაჭერასა და უფლებამოსილებებს, რათა მას საშუალება ჰქონოდა ცხოვრებაში გაეტარებინა ვაჭრობის სამინისტროსთან დაკავშირებული გეგმები.

პრეზიდენტისადმი გაგზავნილ თანხმობის დეპეშაში ჰუვერმა რამდენიმე პირობა წამოაყენა:

1. ვაჭრობის სამინისტროს სერიოზული რეორგანიზაცია და მისი რეალური მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

2. სტანდარტიზაციის საკითხზე ყურადღების გამახვილება.

3. რეალური თანამშრომლობა შრომის სამინისტროსთან შრომის ბაზარზე არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.

4. მოხალისეთა უფრო აქტიური ჩართვა სამინისტროს საქმიანობაში და პრეზიდენტის აქტიური მხარდაჭერა (2).

უნდა ითქვას, რომ ჰარდინგს და მთლიანად ამერიკასაც არ უნანიათ ჰუვერის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნა. სულ მალე ეს ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე აქტიური სამინისტრო გახდა.

როგორც ჰ. ჰუვერის ბიოგრაფი დევიდ ბერნერი წერდა, „ჰუვერის ერთ-

ერთი მიზანი იყო პირადი ინიციატივის გაერთიანება. ბიზნესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ენერგიის ძალდაუტანებლად, მაგრამ ეფექტურად წარმართვა ეროვნული მიზნების განსახორციელებლად" (3).

დანიშვნიდან სულ რაღაც ხუთიოდ დღეში ჰუვერმა შექმნა საინფორმაციო სამსახური, რომელიც ზოგადეროვნული მასშტაბით უწევდა პროპაგანდას სამინისტროს მრავალ ძველ და ახალ ფუნქციას, ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას ამერიკული ეკონომიკისათვის.

ერთი თვის შემდეგ ჰუვერმა შეკრიბა აშშ-ის ბიზნესის, პროფკავშირებისა და სოფლის მეურნეობის ცნობილი მოღვაწეები სამინისტროს მრჩეველთა საბჭოში. ამით იგი ცდილობდა სამინისტროსა და დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობის უკეთ კოორდინირებას ორივე მხარის ინტერესებში.

ჰუვერმა საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბიუროს დირექტორის თანამდებობაზე მიიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ლათინური ამერიკის ისტორიის პროფესორი იულიუს კლეინი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სამინისტროს საქმიანობაში. როდესაც ჰუვერი პრეზიდენტი გახდა, კლეინი ვაჭრობის მინისტრის თანაშემწედ დაინიშნა. ბევრ სხვა სასიკეთო ღონისძიებასთან ერთად ცნობილი იყო მისი ყოველკვირეული რადიოგამოსვლები, რომლებშიაც იგი ამერიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა საკითხს განიხილავდა, ატარებდა დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას და მრავალ რჩევას აძლევდა როგორც ბიზნესმენებს, ასევე სხვა სფეროში მოღვაწე ამერიკელებს(4). ამ რადიოგამოსვლების ტექსტები ჰუვერის ინსტიტუტის არქივშია შენახული და არამარტო იმ ეპოქის ამსახველ შესანიშნავ პირველწყაროს წარმოადგენს, არამედ მისაბაძი მაგალითია დღევანდელი პოლიტიკოსებისათვის, თუნდაც საქართველოში, სადაც იშვიათია, რომ რომელიმე დარგის მოხელე ნამდვილად საქმიანი საუბრითა და რჩევებით ანებივრებდეს თავის თანამოქალაქეებს.

1923 წლისათვის ჰუვერმა იმდენი მოახერხა, რომ ფინანსთა სამინისტროდან გადმოიბარა სტატისტიკის ბიურო, ხოლო საშინაო საქმეთა სამინისტროდან მაღაროებისა და საპატენტო სამსახური. იგი თვლიდა, რომ რიგი უწყებები ჯეროვნად ვერ იყენებდნენ მათ განკარგულებაში მყოფ სამსახურებს და ცდილობდა ასეთები საკუთარ ხელში მოექცია. ბუნებრივია, კოლეგები ასე ადვილად არ ეთანხმებოდნენ ჰუვერის საკმაოდ საკამათო პოზიციას და მას „პირატობაშიაც" დებდნენ ბრალს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ე. ნ. მიტაცებული სამსახურები მან მართლაც უფრო ეფექტურად აამუშავა.

ჰუვერი შეეცადა შრომის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სტატისტიკური ინფორმაციის სამსახურის თავის სამინისტროში გადმოყვანას, მაგრამ ეს აღარ გამოუვიდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იყო მომენტები, რო-

დესაც ჰუვერი თვით აცხადებდა უარს თავისი სამინისტროსთვის, მისი აზრით, ზედმეტი და მიუღებელი ფუნქციების გადაცემაზე. მაგალითად, იგი წინააღმდეგი იყო, რომ ვაჭრობის სამინიტროსათვის აშშ-ის საზღვაოსნო საბჭოს ან ფლოტის საგანგებო კორპორაციის ფუნქციები გადაეცათ, რადგან მიაჩნდა, რომ მთავრობა მინიმალურად უნდა ერეოდეს საოკეანო გადაზიდვის ფასების კონტროლის საქმეში, არადა სწორედ ამ ფუნქციას ასრულებდა დასახელებული საბჭო (5).

ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც 1921 წელს წარმოადგენდა დაქსაქსულ ტექნიკურ ბიუროთა კრებულს, 1928 წლისათვის გადაიქცა ძლიერ და ქმედით, ერთი მიზნისათვის მომუშავე 1600-კაციან ორგანიზაციად.

ჰუვერი ყველაფერს აკეთებდა, რათა ბიზნესი სასარგებლო ინფორმაციით მოემარაგებინა. სამინისტროს მიერ გამოცემული ყოველთვიური მიმდინარე ბიზნესის მიმოხილვა (Survey of Current Bisiness) 1921 წლიდან გამოდიოდა და ამერიკულ ბიზნესს სამინისტროს მიერ მოძიებული და დახარისხებული უახლესი ეკონომიკური ინფორმაციით ამარაგებდა დაახლოებით 19 000 ფირმას. მათ შორის იყო ინფორმაცია ვაჭრობისა და წარმოებული პროდუქციის მფლობელობაში და მოძრაობაში მყოფი აქციების ფასების ცვალებადობაში არსებული ტენდენციების, ფასდაკლების მასშტაბების, ფულის ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ და ა.შ.

კომპანია გუდიერის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ფედერალური სარეზერვო სისტემის დაფუძნების შემდეგ ამ გამოცემის გამოშვება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამერიკის სამრეწველო ცხოვრებაში"(6).

1923 წელს ფ. სერფისის ხელმძღვანელობით შეიქმნა საშინაო კომერციის განყოფილება, რომელიც ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრის შესაძლებლობებს მიმოიხილავდა.

1922 წლიდან ვაჭრობის სამინისტრო უკვე ყოველკვირეულად აგზავნიდა ინფორმაციას 160 გაზეთში.

ჰუვერს მთავრობის სხვა წევრებზე უკეთ ესმოდა კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა და დაუზარებლად მუშაობდა ამ მიმართულებით.

ჰუვერის მოღვაწეობის ცნობილი მკვლევრის, რობერტ მიურეის აზრით, "პაბლისიტი" ჰუვერისათვის აღზრდას ნიშნავდა, ანუ საზოგადოების აღზრდას თანამშრომლობისა და პარტნიორობის სულისკვეთებით, ბიზნესმენთა აღზრდას საზოგადოებრივი პასუხისგებლობის სულისკვეთებით.

ჰუვერმა და ი. კლეინმა შექმნეს სავაჭრო წარმომადგენლობები როგორც მთავარ ამერიკულ ქალაქებში, ასევე საზღვარგარეთ, ისეთ ადგილებშიც კი, როგორებიცაა ესტონეთი, ლატვია, ბატავია, ტიანცინი და სხვ. ჰუვერის მინი-

სტრობის პერიოდში ასეთი წარმომადგენლობების რიცხვი 23-დან 58-მდე გაიზარდა, ამერიკაში კი 7-დან 29-დე. ბუნებრივია, კლეინის უწყების ბიუჯეტი ძალზე გაიზარდა. ბიუროს საინფორმაციო საქმიანობა არამარტო ქვეყნების მიხედვით, არამედ პროდუქციის მიხედვითაც ხარისხდებოდა. მაგალითად, საავტომობილო წარმოებას ურჩევდნენ მეტი საზღვარგარეთული ოფისი შეექმნათ და, ამავე დროს, ამარაგებდნენ ინფორმაციით რეგიონის თუ ქვეყნის ბაზრის, ადგილობრივი კანონების შესახებ.

საერთაშორისო ეკონომკურ ინფორმაციას სამინისტრო ავრცელებდა შემდეგი გამოცემების მეშვეობით: „რა უნდა მსოფლიოს", „მსოფლიო ვაჭრობის თვიური შეჯამება", „ექსპორტიორის ინდექსი", „საკვები პროდუქციის საკითხები მსოფლიოში" და ა.შ. იყო აგრეთვე სპეციალური გამოცემები, მაგალითად: „სიზალთან დაკავშირებული ვითარება იუკოტანში", „შავი ზღვის სავაჭრო გასასვლელები" და ა.შ.

ერთი სიტყვით, ეს ბიუროები ამერიკულ ბიზნესს უმნიშვნელოვანესი და უახლესი ინფორმაციით ამარაგებდნენ პროდუქციის გასაღების ბაზრების შესახებ და მილიონობით დოლარის მოგება მოჰქონდათ. მაგალითად, სწორედ მათი საქმიანობის შედეგად 1922 წელს მოინახა კალიფორნიული ბრინჯის ზედმეტი პროდუქციის გასაღების ბაზარი.

სახელმწიფო დეპარტამენტთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ვაჭრობის სამინისტროს შეუთანხმებდნენ საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, უცხოურ სესხებს, ომის ვალებს და სავაჭრო ხელშეკრულებებს. ეს ჯერ კიდევ 1921 წელს, თეთრ სახლში მოწვეული კონფერენციების შედეგი იყო. თუმცა ეს სურვილები ყოველთვის ვერ ტარდებოდა ცხოვრებაში, მითუმეტეს, რომ ბევრს, მათ შორის ფინანსისტ ბ. სტრონგს (ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ოლქის ხელმძღვანელი), ასევე პოლიტიკოსებს (ვირჯინიის სენატორ კ. გლასს, ჟურნალ "ნეიშენ-ის რედაქტორ ლ. განეტს) მიაჩნდათ, რომ ჰუვერის პროგრამა ეწინააღმდეგებოდა კაპიტალის ტრადიციულ, თავისუფლად მოძრაობის, ამ შემთხვევაში, გადინების უფლებას.

საერთოდ, ჰუვერი თვლიდა, რომ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ამერიკულ ინვესტიციებს უნდა გაეძლიერებინათ უცხოური ქვეყნების ეკონომიკა. მაგრამ ეს არ იყო ქველმოქმედება, ვინაიდან გაუმჯობესებული ეკონომიკური შესაძლებლობები საშუალებას მისცემდა ამ ქვეყნებს მეტი ამერიკული პროდუქცია შეესყიდათ და, ამავე დროს, ომის ვალებიც გაესტუმრებინათ.

ჰუვერი ეწინაღმდეგებოდა ამერიკულ სესხებს შეიარაღებისათვის და, საერთოდ, რისკიანი სესხების წინააღმდეგი იყო, ვინაიდან თუ რისკი არ გაამართლებდა, გაცემული თანხის დაუბრუნებლობას ამერიკის სამხედრო ინტერვენციის პროვოცირება შეეძლო.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ჰუვერის ინსტიტუტის არქივში დიდი რაოდენობის დოკუმენტია გრიფით „საიდუმლო" და „განსაკუთრებით საიდუმლო", რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის საკუთრებას წარმოადგენდა და ხშირად სახელმწიფო მდივნისათვის იყო განკუთვნილი. თანდათანობით გამოჩნდა უშუალოდ ჰუვერის სახელზე გამოგზავნილი დოკუმენტებიც(7).

ეს ძალზე საინტერესო დოკუმენტებია. განსაკუთრებით გამოირჩევა ნავთობის პრობლემისადმი მიძღვნილი დოკუმენტების კრებული, რომელშიაც ნათლად იკვეთება აშშ-ის უდიდესი დაინტერესება ამ მიმართულებით, მაგალითად, შეთანხმების პროექტი შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობასთან 1921-22 წლებში სახალინზე ნავთობის ძიების სამუშაობის ჩატარებისა და შესაბამისი კონცესიის შესახებ.

იმავე დოკუმენტებშია იტალიაში აშშ-ის დროებითი რწმუნებულის წერილი სახელმწიფო მდივნისადმი, რომელშიაც ასახულია ვითარება ალბანეთში არსებული ნავთობის საბადოებთან დაკავშირებით და დიდი ევროპული სახელმწიფოების აქტიურობა ამ მიმართებით. ამ წერილის პათოსი იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ არ უნდა ყოფილოყო პასიური ამ რეგიონში.

ერთ-ერთ დოკუმენტში ინგლისის ელჩი არწმუნებს სახელმწიფო მდივანს, რომ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, თითქოს ინგლისმა მიიტაცა აქტივების ერთი მეოთხედი თურქეთის ნავთობის კომპანიაში, არ შეესაბამება სინამდვილეს – ეს წილი საფრანგეთს გადაეცა.

ერთ-ერთ დოკუმენტში კი აშშ-ის კონსული სიჩუანში, კლარენს სპაიკერი, ამცნობს ამერიკის ელჩს ჩინეთში სიჩუანის ადგილობრივ ხელისუფლებასა და ამერიკელ ბიზნესმენს შორის დადებული შეთანხმების შესახებ ნავთობის ერთობლივ მოპოვებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს ამერიკელი ბიზნესმენი ნამდვილად წარმოადგენს სერიოზულ კომპანიას და, საერთოდ, იგი ამერიკის კი არა, კანადის მოქალაქე ყოფილა.

საინტერესოა, თუ რა ყურადღებითა და შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს ამერიკელი დიპლომატები ბრიტანელთა გაძლიერებას ირანის ნავთობის ბიზნესში. საუბარია რუსეთის იმპერიის ყოფილ ქვეშევრდომთა, ქართველ ბიზნესმენთა (ხოშტარია - კომპანიის ხელმძღვანელი, ჯაყელი, მანულაშვილი, იოსელიანი, დადიანი, კვიტაშვილი) მფლობელობაში ომის დროს მიღებული კონცესიის მიყიდვაზე ინგლის-ირანული ნავთობკომპანიისათვის 200 000 გირვანქა სტერლინგად. კონფიდენციალურ წერილში აღნიშნულია ინგლის-ირანული კომპანიის საქმიანობის, მის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ და ა.შ. მაგრამ მთავარია ამ დოკუმენტებში გამოხატული ამერიკელ დიპლო-

მატთა შეშფოთება, რომ ბრიტანულისაგან განსხვავებით ამერიკის მთავრობა მეტად პასიურია ნავთობის მოპოვების რეგიონებში.

ამერიკელები იმის გამოც არიან შეშფოთებულები, რომ ფრანგული კაპიტალი აქტიურად არის ჩართული პოლონეთის ნავთობის მომპოვებელ ბიზნესში გალიციის რეგიონში. აღარაფერს ვაბობთ ნავთობზე ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც ამერიკა ტრადიციულად გაბატონებული იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა უშუალოდ ჰუვერისადმი მიმართული წერილები, რომლებშიც ამერიკული ბიზნესი სამთავრობო მხარდაჭერას თხოვს ვაჭრობის მინისტრს საერთაშორისო ბაზარზე, ვინაიდან, როგორც „ვაკუუმ ოილ კომპანის" პრეზიდენტი აღნიშნავდა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და მათი კოლონიები ყოველნაირად ზღუდავენ ყველა სხვა მოქალაქის აქტიურობას. შესაბამისად, იგი ამერიკული მთავრობის მხარდაჭერას თხოულობდა უცხოეთის, ამჯერად ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების, ბაზრებზე შესაღწევად.

ნიუ ჯერსის "სტანდარტ ოილ კომპანის" პრეზიდენტი უ. ტეეგლი სთხოვდა ჰუვერს მხარდაჭერას რუმინეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებში, რათა მისი კომპანია ჩაერთოთ რუმინულ ნავთობმოპოვებაში.

ასეთი წერილები უხვად იყო და, შესაბამისად, ამას მოყვებდა ჰუვერის შუამდგომლობა სახელმწიფო მდივანთან, რათა მის უწყებას ყველა ძალა ეხმარა ამერიკელი ბიზნესმენების მხარდასაჭერად. მართლაც, რიგ შემთხვევაში ამერიკული ბიზნესი იღებდა ამ მხარდაჭერას და, ბუნებრივია, ჰუვერის მადლიერიც იყო (8).

ეს მხოლოდ 1921-22 წლების დოკუმენტებია, ანუ ჰუვერის მოღვაწეობის საწყისი ეტაპი. შემდგომში ამერიკული დიპლომატიის ამერიკული ბიზნესის სამსახურში ჩაყენება და ცალკეული კომპანიების ინტერესების ლობირება ამა თუ იმ ქვეყანაში ჰუვერმა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა.

უდიდესი და შეიძლება ითქვას გადამწყვეტი როლი ითამაშა ჰუვერმა ზოგადეროვნული საწარმოო სტანდარტების შემუშავებაში. იგი აქტიურად თანამშრომლობდა სავაჭრო ასოციაციებთან. 1921-24 წლებში სტანდარტების შემუშავების მიზნით სამინისტროს სპონსორობით 90-მდე კონფერენცია მოეწყო და 229 კომიტეტი მუშაობდა სტანდარტიზაციის საკითხებზე.

სტანდარტების ზოგადეროვნული ბიურო, რომელიც 1901 წელს ზომა-წონის სტანდარტების დანერგვისას დაარსდა, ჰუვერის ხელშეწყობით მრავალი სამეცნიერო და სამრეწველო კელეების ცენტრად იქცა (9).

როგორც ჰუვერის თანამშრომელი ედვარდ პანტი წერდა, სტანდარტების ბიუროს ბიზნესისა და ხალხის სამსახურში ჩაყენება ჰუვერის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ, ჰუვერი დიდ იმედებს ამყარებდა სხვადასხვა სახის კონფერენციებზე, რომლებიც, როგორც იმავე სტანდარტების საკითხთან დაკავშირებით გამოჩნდა, ძალზე ხშირად იმართებოდა. ამ კონფერენციების მიზანი იყო, რომელიმე მნიშვნელოვან სოციალურ ან ეკონომიკურ საკითხზე შეეგროვებინათ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ამის საფუძველზე შეემუშავებინათ პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტები საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან კერძო სფეროებში და გაევრცელებინათ ეს ინფორმაცია დაინტერესებულ ჯგუფებში.

მსგავსი კონფერენციების მეშვეობით ჰუვერი ცდილობდა საჭირო ღონისძიებების გატარებას დარწმუნების და არა დირექტივების მეშვეობით.

მაგალითად, გზის მოსაკირწყლი აგურების საერთო სტანდარტების შესამუშავებლად შექმნილმა სპეციალურმა კომიტეტმა მოიწვია კონფერენცია, სადაც მრავალი ფედერალური, შტატის და მუნიციპალური სამსახურების ინჟინერი მიიწვიეს. კონფერენციის შედეგად 66 სხვადასხვა სახის აგურის მაგივრად მხოლოდ 11 ტიპის აგური დარჩა, ბოლოს კი მხოლოდ 5 კატეგორიის აგურზე შეთანხმდნენ. მომზადდა აგრეთვე მიმოხილვა ავეჯის წარმოების სფეროში და აღმოჩნდა, რომ ამერიკაში 78 სხვადახვა ზომის საწოლი მზადდებოდა. შეიკრიბა კონფერენცია, რომელზეც ერთდროულად მწარმოებლები, გამყიდველები და მყიდველებიც იყვნენ და საბოლოოდ 4 სტანდარტულ ვარიანტზე შეთანხმდნენ. ეს იყო სრული ზომა, სამი მეოთხედი ზომა, ნახევარი ზომა და ორმაგი ლოგინი. სიგრძე ყველას ერთნაირი დარჩა.

მსგავსი კონფერენციების მეშვეობით მრავალი ნაწარმის ზოგადეროვნული სტანდარტი შეიქმნა. მაგალითად, 78 სხვადასხვა ზომის ზეწრის მაგივრად 12 ზომა დარჩა, სამშენებლო აგურის 44 სახეობა ერთ სახეობამდე დაიყვანეს, საავადმყოფოების ლოგინები 34 სხვადასხვა ზომის 2 ვერსიამდე დაიყვანეს, საპირფარეშოსა და ხელსაბანისათვის საჭირო ლითონის ტრაპების 1114 ნაირსახეობა 72-მდე დაიყვანეს, საღებავი ჯაგრისები – 480 დან 138-მდე, ფოლადის საკეტების 65 ზომა – 17-მდე და ა. შ. (10)

ალბათ, ძნელია ღირსეულად შეფასდეს აღნიშნული საქმიანობა, რომელიც, ზოგი თანამედროვის აზრით, ჰუვერის მთავარ და უდიდეს მიღწევად უნდა ჩათვლილიყო მისი ვაჭრობის მინისტრის პოსტზე მუშაობისას (11).

ჰარდინგი, ხედავდა რა ჰუვერის ასეთ შემოქმედებით უნარს, მას სხვა უამრავ სფეროშიც იყენებდა: ჰუვერი მის მრჩეველად იქცა თითქმის ყველა საკითხში. ჰარდინგმა იგი მდინარე კოლორადოს კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა (წყლით სარგებლობის წესები და უფლებანი 7 შტატში). 1922 წელსვე დანიშნა მთავარ მედიატორად მაღაროელთა და მაღაროს მფლობელთა შორის არსებულ დავაში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ჰუვერმა აიძულა თავის დროზე აშშ-ის ფო-

ლადის კორპორაციის ხელმძღვანელობა უარი ეთქვა თორმეტ საათიან სამუშაო დღეზე. ჯერ კიდევ 1919 წლის უდიდესმა გაფიცვამ ცხადყო ფოლადის წარმოებაში არსებული შრომის ძალზე მძიმე პირობები. ამ სფეროს მეწარმეთა განსაკუთრებული კონსერვატიზმი იმაში გამოიხატა, რომ ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ თორმეტ საათიანი სამუშაო დღის გაუქმებას, რაც უკვე ყოვლად მიუღებელი ხდებოდა და რამაც მთავრობის ყურადღებაც მიიქცია. რეფორმების აუცილებლობას ფოლადის ბიზნესის მესვეურთა ნაწილიც ხედავდა, მაგრამ ძალზე დიდი ძალისხმევა აღმოჩნდა საჭირო, მათ შორის, უმაღლეს სახელმწიფო დონეზე, რათა გარკვეული პროგრესისათვის მიეღწიათ. ამ ბრძოლაში მთავრობის მხრიდან სწორედ ჰუვერი იყო მთავარი ინიციატორიცა და ძალაც. სწორედ ჰუვერის დაჟინებული მოთხოვნით პრეზიდენტმა ჰარდინგმა ამერიკის ფოლადის მთავარ მწარმოებელს, "იუნაითედ სტეიტს სტილ კორპორეიშენის" ხელმძღვანელს, მოსამართლე ელიოტ გერის სთხოვა თორმეტ საათიანი სამუშაო დღის გაუქმება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ, ასევე ჰუვერის რეკომენდაციით, პრეზიდენტმა 1922 წლის 18 მაისს თეთრ სახლში სადილად მიიწვია ფოლადის წარმოებაში ჩართული 41 უმაღლესი რანგის მეწარმე და ოფიციალური პირი, რასაკვირველია, ელიოტ გერის ჩათვლით. მთავრობას, ჰუვერის გარდა, ფინანსთა მინისტრი, ამერიკის უმდიდრესი ადამიანი ე.მელონი და შრომის მინისტრი დევისი წარმოადგენდნენ.

სადილის მსვლელობისას ჰუვერი სტატისტიკური მონაცემებისა და საკუთარი გამოთვლების მეშვეობით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სამუშაო საათების შემცირება უფრო ეფექტურს გახდიდა მუშათა შრომის ნაყოფიერებას. მაგრამ მისმა სტატისტიკამ მეწარმეები ვერ დაარწმუნა, უფრო მეტიც, მათ ჰუვერის გამოსვლა ზეწოლის მცდელობად მიიჩნიეს და სადილის დატოვებასაც კი აპირებდნენ. ჰარდინგის დიპლომატიურმა მოქმედებამ და კომპრომისულმა წინადადებამ გადაარჩინა ეს შეხვედრა. შეთანხმდნენ, რომ გერის ხელმძღვანელობით იმუშავებდა სპეციალური კომიტეტი და განიხილავდა მთავრობის ინიციატივას.

მართალია, ამერიკულმა პრესამ მხარი ადმინისტრაციას დაუჭირა, მაგრამ გერის კომიტეტზე ამან არ იმოქმედა და თითქმის ერთი წლის დუმილის შემდეგ 1923 წლის 25 მაისს მან ოფიციალურად გამოაცხადა უარი სამუშაო დღის შემცირებაზე. ასეთმა შეუვალობამ აღაშფოთა პრეზიდენტი და ამჯერად ყოველგვარი შესწორების გარეშე გააგზავნა ჰუვერის მიერ მომზადებული წერილი კომიტეტესადმი, რომელშიც კიდევ ერთხელ და ამჯერად მეტად კატეგორიული ფორმით იმეორებდა თავის მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაეუქმებინათ თორმეტსაათიანი სამუშაო დღე.

როგორც ჩანს ამან შეაშინა მეფოლადეები და 27 ივნისს მათ მისწერეს პრეზიდენტს: „ვითვალისწინებთ რა საზოგადოებრივ აზრს, განსაკუთრებით კი თქვენს პირად მოსაზრებას, ჩვენ უახლოეს მომავალში გამოვაცხადებთ თორმეტსაათიანი სამუშაო დღის გაუქმების შესახებ“ (12).

ჰუვერი ძალზე აქტიურად ჩაება ომის შემდგომი უმუშევრობის (დაახლოებით 5 მლნ.) დაძლევისათვის მიმართულ საქმიანობაში, სწორედ ჰუვერი და არა შრომის მინისტრი დევისი. საერთოდ, მან ამ საკითხში დევისზე მეტი გააკეთა.

ჰუვერის ინიციატივით მუშაობდა ეროვნული კონფერენცია უმუშევრობის საკითხებზე 1921-22 წ.წ.-ში საინტერესოა, რომ როდესაც ჰუვერმა კონფერენციაზე მოწვეულთა სია აჩვენა უ. ჰარდინგს, ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ დელეგატთა შორის არასაკმარისი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი ქალები და სანამ ჰუვერმა ეს ხარვეზი არ შეასწორა, თავისი თანხმობა არ მისცა. ჰუვერი უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას ინდივიდუალისტური მეთოდებით, ანუ სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის გზით ცდილობდა. მას მიაჩნდა, რომ უმუშევრობის პრობლემა წარმოების უკეთ ორგანიზაციისა და მეწარმეთა და მშრომელთა ნებაყოფილობითი თანამშრომლობის მეშვეობით უნდა გადაწყვეტილიყო.

ამავე იდეოლოგიის საფუძველზე უმუშევრებისადმი დახმარებას იგი ადგილობრივი ხელისუფლების კერძო ორგანიზაციებისა და ინდივიდუმების საქველმოქმედო საქმიანობაში ხედავდა (იგივე დარჩა მისი პოზიცია 1929-33 წლების კრიზისის პერიოდში და ეს დამლუპველი აღმოჩნდა).

ჰუვერმა სასწრაფოდ შექმნა უმუშევრობის საკითხთა შემსწავლელი ბიურო ვაჭრობის სამინისტროში. ამ კომიტეტის მეშვეობით შტატისა და ადგილობრივი ხელისუფლება ადგილობრივ ბიზნესთან ერთად ცდილობდა სამუშაო ადგილების შექმნას, იმუშავებდა ახალ პროექტებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰუვერი არ ეთანხმებოდა კლასიკურ კონსერვატულ ფორმულას, რომელიც ფედერალური ხელისუფლების სრულ უმოქმედობას გულისხმობდა და მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ფედერალური ბიუჯეტით დაფინანსებული ე. წ. საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, განსაკუთრებით კი გზების მშენებლობის ასპექტში. იგი წინააღმდეგი იყო ძველი ფორმულის, რომ შეემცირებინათ ხელფასები და ფასები, სანამ ვითარება თვითონ არ დარეგულირდებოდა.

საბოლოოდ, კონფერენციის კომისიებმა საკმაოდ სერიოზული რეკომენდაციები შეიმუშავეს ჰუვერის სტილში და ადგილობრივი ხელისულებაც ჩაებეს ამ საქმიანობაში. უმუშევრობის 209 ბიურო შეიქმნა. თუმცა დიდ ქალაქებში ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესის რესურსები მალე ამო-

ინურა, კერძოდ, 1922 წლის შემოდგომაზე. სამაგიეროდ, საკმაოდ ეფექტური გამოდგა 1921 წელს კონგრესის მიერ მიღებული ფედერალური გზების კანონი, რომელიც ახალი ავტოსტრადების მშენებლობის ხარჯების ნახევარს ფედერალურ მთავრობას აკისრებდა.

შემდგომში ჰუვერი ამტკიცებდა, რომ კონფერენციის რეკომენდაციების შედეგად დაახლოებით ერთნახევარმა მილიონმა კაცმა იშოვა სამუშაო, მაგრამ ბერნერი თვლის, რომ ეს არ დასტურდება ფაქტებით(13).

ამერიკის შრომის ფედერაციაც აღნიშნავდა, რომ კონფერენციას ჰქონდა რიგი დადებითი მომენტები და ზოგ საკითხებში ეს თვალსაჩინო მიღწევა იყო. მაგალითად, ამ კონფერენციამ მსგავსი სამუშაო შეხვედრების ახალი და მაღალი სტანდარტი შეიმუშავა, სამეცნიერო დონეზე აიყვანა უმუშევრობის საკითხის შესწავლა, დააფიქსირა უმუშევრობის სხვადასხვა ფორმის არსებობის ფაქტი და ვითარების გამოსწორების საკმაოდ ეფექტური გზები დასახა. მიუხედავად ამისა, ფედერაცია მაინც თვლიდა, რომ კონფერენცია შეზღუდული იყო ორგანიზატორთა მიერ თავიდანვე დაწესებული ფარგლებით (14).

ამ კონფერენციამ ინდივიდუალისტური იდეოლოგიის საფუძველზე მრავალი საინტერესო ნაბიჯი გადადგა, თუმცა, იმავე ჰუვერის მხარდაჭერით, თავი შეიკავა მოეწოდებინა ფედერალური ხელისუფლებისათვის, უფრო აქტიური მოქმედებისაკენ. ამასობაში კრიზისიც ჩაცხრა და, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდა კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების აპრობირება. მაგრამ კონფერენციის ორგანიზატორები თვლიდნენ, რომ „აღმავლობა და დაღმავლობა ბიზნესის ციკლებში, რასაკვირველია, გაგრძელდება, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ გამოკვლევის წყალობით განსაკუთრებით მძიმე და დესტრუქციული გამოვლინებები ნამდვილად შემცირდება."

ჰუვერი თვლიდა, რომ უმუშევრობასთან საბრძოლველად პრევენტული ზომები უფრო ეფექტურია, ვიდრე დახმარება უკვე დაწყებულ პროცესში და, შესაბამისად, ამ მიმართულებით უნდა ემუშავათ.

იყო სხვა საინტერესო გამოკვლევებიც. მაგალითად, ჰუვერის პარტნიორის, „ჯენერალ ელექტრიკის" თავმჯდომარის, ოუენ იანგის ხელმძღვანელობით უმუშევრობისა და საქმიანი ციკლების კომიტეტმა, რომელშიც ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ამერიკის უდიდესი პროფკავშირის, ამერიკის შრომის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტიც მონაწილეობდა, 1923 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი "საქმიანი ციკლები და უმუშევრობა", რომელშიც უმუშევრობის წარმოშობის მიზეზები და მათი თავიდან აცილების ან შემცირების რეცეპტები იყო ნაჩვენები. როგორც ამ გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა ჰუვერი, ავტორები ფართომასშტაბიანი უმუშევრობის მიზეზად მიიჩნევდნენ სპეკულაციას, უყაირათობას, მფლანგველობას, ინფლაციას, ცუდ საკრედიტო

პირობებსა და არაეფექტურობას წარმოებაში ეკონომკური აღმავლობის პერიოდში. შესაბამისად, ვითარების გამოსწორება აღნიშნული მიზეზების აღმოფხვრით შეიძლებოდა, რაც საზოგადოების და, განსაკუთრებით, ბიზნესის დროული ინფორმირებით უნდა გადაწყვეტილიყო და ა.შ. (15).

· როგორც კონფერენციის მდივანი პანტი აღნიშნავდა:

1. ბიზნესმენები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ბიზნესის ზოგად მდგომარეობაზე ქვეყანაში და, აგრეთვე, სავარაუდო განვითარების ტენდენციებზე. 2. მათ უნდა ჰქონდეთ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის სფეროში არსებული ვითარების შესახებ. 3. მათ უნდა გააჩნდეთ საკმაო მასალა უშუალოდ თავიანთი ბიზნესის შესახებ, რათა ეს მარტო სტატისტიკისათვის კი არა, არამედ სერიოზული ანალიზისა და მისგან გამომდინარე საერთო მოქმედების დასაგეგმად გამოიყენონ. 4. მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ზოგადი საკრედიტო ვითარების შესახებ, განსაკუთრებით მათი ბანკების დამოკიდებულების შესახებ სესხების გაგრძელებისადმი (16).

ჰუვერის ინიციატივით ფართო მხარდაჭერა აღმოუჩინეს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას. ბიზნესი ფინანსურად უნდა დახმარებოდა უნივერსიტეტებში მიმდინარე წმინდა სამეცნიერო კვლევებს იმ იმედით, რომ შესაფერის დროს ეს მიღწევები გამოყენებული იქნებოდა ბიზნესის განვითარებისათვის. შეიქმნა ეროვნული სამეცნიერო კვლევის ფონდი ჰუვერის თავმჯდომარეობით, რომელშიც როგორც საბჭოს წევრები შევიდნენ ჩ. ე. ჰიუჯი, ო იანგი, ჯ. დევისი, ი. როზენფელდი და ბანკირი ფ. ვარბურგი.

ჰუვერის მიბაძვით საზღვაო, ომის, სოფლის მეურნეობის, საშინაო საქმეთა სამინისტროები ქმნიდნენ ახალ პროქტებს, ძველებს სრულყოფდნენ და მნიშვნელოვან კონტრაქტებს ანვითარებდნენ. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც შრომის სამინისტრო ძალზე პასიური იყო. როგორც შემდგომში ხუმრობდნენ, უმუშევრობის კონფერენციის მსვლელობისას, როდესაც ჰუვერმა ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი, "უმუშევრობის და დაუსაქმებლობის ერთადერთი მაგალითი სწორედ შრომის მინისტრი დევისი იყო".

ჰუვერი კიდევ მრავალ სხვა სფეროში აქტიურობდა, მათ შორის იყო ბავშთა ჰიგიენა, რადიომრეწველობის ხელშეწყობა, კომერციული ავიაციის განვითარება და სხვ.

ჰუვერმა ბრწყინვალედ შეაფასა რადიოს მნიშვნელობა და როლი პროპაგანდისა და ინფორმაციის გავრცელების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ სურდა რადიო სახელმწიფოს ხელში ყოფილიყო.

1922 წელს ჰუვერმა მოაწყო პირველი იმ ოთხი ყოველწლიური კონფერენციიდან, რომლებზეც მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლები რადიომაუწყებლობის ორგანიზაციისა და დარეგულირების საკითხებს განიხილი-

ვვდნენ.

ავიაციის განვითარების სფეროში ჰუვერი ბევრს აკეთებდა კომერციული ავიაციის განვითარებისათვის. ითვლება, რომ სწორედ ვაჭრობის სამინისტრომ დაიწყო კომერციული ავიაციისადმი სამთავრობო მხარდაჭერა.

რასაკვირველია, მოკლე სტატიაში შეუძლებელია ამ გამორჩეული ადამიანის საქმიანობის სრული წარმოდგენა, მაგრამ ზემოთ ნათქვამიდანაც ჩანს, რომ ჰუვერმა მრავალ სფეროში გამოიჩინა ნოვატორული სულისკვეთება, უჩვეულო ენერგია და სიბრძნე. რაოდენ პარადოქსულია, რომ სულ მალე იგი ისტორიაში (ძირითადად ლიბერალური ისტორიოგრაფიის წყალობით) შევიდა, როგორც ერთ-ერთი შეუვალი კონსერვატორი. ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვიზიარებთ ამ აზრს და ვთვლით, რომ თუ 1920-იანი წლების დასაწყისში ჰუვერმა გაუსწრო დროს, სულ რაღაც 10 წელიწადში უკვე დრომ გაუსწრო მას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Herbert Hoover, box 11, folder H.Hoover about, The Hoover Institution Archives, Stanford, California.

2. H.Hoover, box 10, folder Cabinet 1921, The Hoover Institution Archives.

3. D. Burner, Herbert Hoover. A Public Life, Atheneum, New York, 1984, p.160.

4. Julius Klein, boxes 1,2, 3, The Hoover Institution Archives,

5. D. Burner, Op. cit., p. 162.

6 .H. Hoover, box 15, folder Shipping , Hoover Institution Archives.

7. H. Hoover, boxes 13, 14 Hoover Institution Archives.

8. Petrolium, US Foreign Concesions H-Z.,box 14, Hoover Instituion Archives.

9. R. K. Murray Herbert Hoover and Harding Cabinet, Papers Presented at the Herbert Hoover Centennial Seminars, Herbert Hoover as Secretarty of Commerce, University of Aowa Press, Iowa City, 1981, p.24.

10. Hunt Edvard E., The National Bureau of Standarts Under Hoover, p5, H. Hoover box 14, folder National Bureau of Standarts, Hoover Institution Archives.

11. Industrial Management the Engineering Magazine, April 1926, American Management: Aknoledges, It's Debt to Herbert Hoover, A Symposium of Appreciation of His Work By Leaders of Industry, p.8.

12. R. K. Murray, Op. cit., p. 29.

13. D. Burner, Op. cit., p166.

14. American Federationist, January 1922, p.14.

15. Business Cycles and Unemployment. Washington, Government Printing Office, 1923, p.vi.

16. A Symposium of H. Hoover's Work as Secretary of Commerce, H.Hoover box.12. folder H. Hoover about, Hoover Institution Archives.

გიორგი კლდიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

კუბის (სარაკეტო) კრიზისი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ცივი ომის პერიოდში, მსოფლიო არასოდეს ყოფილა თერმობირთვულ კატასტროფასთან ისე ახლოს, როგორც 1962 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, „კუბის სარაკეტო კრიზისის" დროს. იმ პერიოდში შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის კონფრონტაციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ეს ორი ზესახელმწიფო მთელს დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად რეალური ატომური ომის ზღვარზე იდგა. მსოფლიო კატასტროფის თავიდან აცილება მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ლიდერის ურთიერთდათმობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

კრიზისის მომდევნო პერიოდში საბჭოთა კავშირში დიდი ხნის განმავლობაში მაქსიმალურად იჩრდილებოდა იმ დროს მომხდარი ფაქტები და მოვლენათა რეალური მსვლელობა. მხოლოდ ოთხმოციანი წლების მინურულს, როდესაც მიხეილ გორბაჩოვმა საბჭოთა კავშირში „საჯაროობა" გამოაცხადა, ნაწილობრივ გამოაშკარავდა მანამდე გასაიდუმლოებული სინამდვილე და ხალხმა შეიტყო, თუ რა რეალური საფრთხის წინაშე იდგა მსოფლიო რამდენიმე დღის განმავლობაში „კუბის კრიზისის" პერიოდში და რა შემთხვევითობებს შეიძლებოდა მიეცა ბიძგი თერმობირთვული ომის დაწყებისთვის.

შეერთებულ შტატებში კუბის კრიზისზე განსაკუთრებით ვრცელი ლიტერატურა არსებობს. აღსანიშნავია ამერიკის ექს-პრეზიდენტის ჯ. ფ. კენედის ძმის და მის კაბინეტში იუსტიციის მინისტრის რობერტ კენედის წიგნი „ცამეტი დღე"(1), სადაც საკმაოდ ზუსტად არის მოთხრობილი შეერთებული შტატების იმდროინდელი მთავრობის საქმიანობა კრიზისის ყველაზე დაძაბული ცამეტი დღის განმავლობაში. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შეერთებულ შტატებში სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნებულ სსრკ-ის ცკ-ის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის მემუარებს, რომლებმაც ამ საკითხისადმი კიდევ უფრო გაზარდა საზოგადო ინტერესი და გარკვეულწილად ახალი ინფორმაცია მიაწოდა მკითხველს. „კუბის კრიზისის" ობიექტურ ანალიზს ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაედო საფუძველი და ამ დროიდან მოყოლებული თითქმის ყველა საიდუმლოებას აეხადა ფარდა. „კუბის კრიზისზე" რამდენიმე სტატია დაიწერა ჟურნალ „ლატინსკაია ამერიკა"- ში, მათ შორის ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება 1993 წლის 4 ნომერმა მიიპყრო,

სადაც დაიბეჭდა კრიზის მონაწილე საბჭოთა კავშირის მაღალი სამხედრო პირების მოგონებები (2). აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ა. ფ. დობრინინის მოგონებები „კუბის კრიზისზე" (3).

რამდენიმე წლის წინ შეერთებულ შტატებში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულმა ეროვნული უშიშროების არქივმა ათასობით გასაიდუმლოებული დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომლებშიც ასახულია ყველა ის საიდუმლო მოლაპარაკება და მოქმედება, რომელიც კრიზისის დროს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის გაიმართა (4). დღესდღეობით მკითხველს შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს ამ საკითხისადმი მიძღვნილ არა მარტო შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულ საიდუმლო დოკუმენტებს, არამედ იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მასალებსაც.

დღეს, როდესაც ხელი მიგვიწვდება „კუბის კრიზისთან" დაკავშირებულ საბჭოურ, ამერიკულ და კუბურ მასალებზე, უკვე შესაძლებლობა გვეძლევა ობიექტურად გავაშუქოთ ეს საკითხი, რეალური ანალიზი გავაკეთოთ მასზე და სათანადოდ შევაფასოთ იგი.

მიზანშეწონილად ვთვლით გამოვყოთ ოთხი ძირითადი ეტაპი „კუბის კრიზისში": 1. მოვლენები 1962 წლის 16 ოქტომბრამდე, როდესაც მიმდინარეობდა აქტიური ანტიკასტროისტული აქციები შეერთებული შტატების მიერ და აგრეთვე, როდესაც საბჭოთა კავშირში მიიღეს გადაწყვეტილება კუბის ტერიტორიაზე საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების განთავსების შესახებ და ხორციელდებოდა მათი გადატანა კუბაზე. 2. 16-22 ოქტომბერს მომხდარი მოვლენები, როდესაც შეერთებული შტატების მთავრობა კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალს ეძებდა და შეიქმნა „ექს-კომი". 3. 22-28 ოქტომბერი _ სახელმწიფოთა კონფრონტაციისა და მოლაპარაკებების პერიოდი, როდესაც მოხდა სიტუაციის შედარებით ნორმალიზება და დაიდო საიდუმლო შეთანხმებები. 4. 28 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე - „შოკისშემდგომი" პერიოდი, როდესაც დაიწყო ხელშეკრულების პირობების მოდიფიკაცია და მათი შესრულება, ამავე დროს გაიმართა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საბჭოთა კავშირ – კუბის საიდუმლო მოლაპარაკებები (5).

დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდ აზრთასხვაობას იწვევდა კუბაში საბჭოთა ბირთვული იარაღის განთავსების ფაქტი. საბჭოთა მხარე მაშინაც და შემდგომ პერიოდშიც მტკიცე უარზე იდგა და აცხადებდა, რომ არავითარი ბირთვული იარაღი მას კუბაში არ შეუტანია. მხოლოდ 1992 წელს შეერთებულ შტატებში გამართულ სამმხრივ კონფერენციაზე გახდა ცნობილი, რომ ბირთვული ქობინები საბჭოთა კავშირმა მართლაც შეიტანა კუბის ტერიტორიაზე, მაგრამ მათი დამონტაჟება არ მოუხდენია.

საბჭოთა კავშირი კრიზისის და მის შემდგომ პერიოდში აცხადებდა, რომ ის კუბას მხოლოდ თავდაცვით იარაღს ანვდიდა და მის ერთადერთ მიზანს მხოლოდ შეერთებული შტატების აგრესიისგან კუბის დაცვა წარმოადგენდა. მაგრამ, კუბის დაცვა ალბათ უფრო საბაბი იყო ვიდრე მიზეზი. საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა მიეღწია სამხედრო პარიტეტისთვის, რომელიც იმ დროს შეერთებული შტატების მხარეს იხრებოდა. ხოლო ამერიკის საზღვრებიდან 90 მილის დაშორებით ბირთვული იარაღის განთავსება მას აშკარა უპირატესობას მისცემდა. როგორც ხრუშჩოვი ამბობდა, ის აპირებდა შეერთებული შტატებისთვის „ზღარბი შეეგდო", მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა ის და მისთვის „მწარე აბი" გადაეყლაპებინა. ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირს სჭირდებოდა უპირატესობა ჰქონოდა შეერთებულ შტატებთან ბერლინის კედელთან დაკავშირებული მოსალოდნელი კრიზისის დროს.

კუბაზე ბირთვული იარაღის გადატანის ოპერაცია საიდუმლო სახელწოდება „ანადირს" ატარებდა. ამ ოპერაციის გასაცნობად საკმარისია მისი მონაწილე რუსი სამხედროების მოგონებების მოყვანა. ისინი დეტალურად აღწერენ მის დაგეგმვას და განხორციელებას. ოპერაცია ისეთი გასაიდუმლოებული იყო, რომ მის შესახებ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს წევრებისთვის და ვიწრო სამხედრო ხელმძღვანელობისთვის იყო ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ „ანადირი" საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა, სრული კონფიდენციალურობის დაცვით მოხერხდა საბჭოთა რაკეტების, მისი მომსახურე ორმოცდაათათასიანი სამხედრო პერსონალის და საჭირო სამხედრო თუ სამშენებლო ინვენტარის გადასროლა კუბაში(6).

კრიზისის გადაწყვეტაში მთავარი როლი, უპირველეს ყოვლისა, საიდუმლო მოლაპარაკებებმა ითამაშეს. ამის შესახებ აღსანიშნავია რობერტ კენედის და დობრინინის მოლაპარაკებები.

კრიზისის დასაწყისში მოხდა ერთი დრამატული ეპიზოდი. ეს ცნობა გასაიდუმლოებული იყო ბოლო დრომდე, მაგრამ მას შეიძლება მოჰყოლოდა საბედისწერო შედეგები. 22 ოქტომბერს მოსკოვში დააპატიმრეს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი ოლეგ პენკოვსკი, რომელიც, როგორც გაირკვა, დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა როგორც ამერიკის, ასევე ბრიტანეთის დაზვერვაზე. მას შეხება ჰქონდა მნიშვნელოვან საბჭოთა სამხედრო და სახელმწიფო ინფორმაციასთან, რომელსაც პერიოდულად აწვდიდა ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს. ამ საქმიანობისთვის მას საიდუმლოდ მიენიჭა შეერთებული შტატების პოლკოვნიკის წოდება. გამოქვეყნებული უახლესი ინფორმაციით, სწორედ პენკოვსკისგან მიიღო ცნობა ამერიკის დაზვერვამ კუბაზე დაგეგმილი ოპერაციის შესახებ. როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართვე-

ლოსგან პენკოვსკის მიღებული ჰქონდა ორი დაშიფრული კოდი, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა მათთან სასწრაფოდ დასაკავშირებლად. პირველი კოდი მის გარდაუვალ დაპატიმრებას აღნიშნავდა. მეორე პენკოვსკის უნდა გამოეყენებინა გარდაუვალი საომარი საშიშროების, შეერთებულ შტატებზე საბჭოთა კავშირის სარაკეტო დარტყმის შემთხვევაში.

მოხდა ისე, რომ მის დაპატიმრებამდე პენკოვსკის მხოლოდ რამდენიმე წუთი ჰქონდა სიგნალის გადასაცემად, მან კი მხოლოდ ერთი სიგნალი გადასცა – გარდაუვალი სარაკეტო დარტყმის შესახებ. ალბათ პენკოვსკიმ გადაწყვიტა: თუ უნდა დაღუპულიყო ის დაე, ამას მთელი მსოფლიოც შესწირვოდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რამდენიმე თანამშრომელმა, რომლებიც პენკოვსკისთან ურთიერთობას კურირებდნენ, იმავდროულად აცნობეს მისი დაკავების შესახებ (ეს ინფორმაცია მათ სხვა არხებიდან მიიღეს) ც.ს.ს.-ის დირექტორს მაკკოუნს, მაგრამ ხმა არ ამოიღეს მის მიერ გადმოცემული სიგნალის შესახებ, რომელიც ატომური ომის საშიშროებას აცხადებდა. მათ თავიანთ თავზე აიღეს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა, მაგრამ, ალბათ, ისინი კარგად იცნობდნენ პენკოვსკის ხასიათს. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ წარიმართებოდა მოვლენათა მსვლელობა „კუბის კრიზისის" პიკის დროს, პრეზიდენტ კენედის რომ შეეტყო პენკოვსკის მეტად საგანგაშო სიგნალის შესახებ. ამერიკელთა შეიარაღებული ძალები ხომ ისედაც გლობალური მასშტაბით სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ(7).

არანაკლები რეაქცია შეიძლება მოჰყოლოდა კუბის თავზე 27 ოქტომბერს შეერთებული შტატების სადაზვერვო თვითმფრინავის უ-2-ის ჩამოგდებას. ამ ფაქტს შეიძლება თითქმის ნორმალიზებული კრიზისის ხელახალი გამწვავება მოჰყოლოდა. დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო, თუ ვის მიერ გაცემული ბრძანებით მოხდა თვითმფრინავის ჩამოგდება. საბჭოთა კავშირი დიდი ხნის განმავლობაში ამას კუბელებს მიაწერდა. უკანასკნელი გამოქვეყნებული ინფორმაციით, რასაც რუსი სამხედროებიც ადასტურებენ თვითმფრინავი ისეთი საბჭოთა საჰაერო საზენიტო დანადგარით ჩამოაგდეს, როგორიც კუბელებს შეიარაღებაში საერთოდ არ გააჩნდათ.

დღესდღეობით საზოგადო მსჯელობის და განხილვის საკითხს წარმოადგენს ის, თუ ნამდვილად ითხოვდა თუ არა კუბის პრემიერ მინისტრი ფიდელ კასტრო შეერთებულ შტატებზე დამსწრები სარაკეტო დარტყმის მიყენებას. ამას ადასტურებს თავის მოგონებებში ნიკიტა ხრუშჩოვი. იგივეს აღნიშნავდა დობრინინიც, რომ 27 ოქტომბერს თავის წერილში ხრუშჩოვისადმი ფიდელ კასტრო მას ურჩევდა შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების დროს გამოეყენებინა ისეთი უპირატესობა, როგორიც იყო ბირთვული დარტყმის მუქარა, იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები გადაწყვეტდა კუბაზე ინტერვენციას.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, რომელშიც ფიდელ კასტრო აღნიშნავდა, რომ ის კრიზისის განმავლობაში საბჭოთა მხარეს არასოდეს არ მოუწოდებდა შეერთებულ შტატებზე სარაკეტო დარტყმა განეხორციელებინა(8).

„კუბის სარაკეტო კრიზისი" გახდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი. ზესახელმწიფოს ავანტურისტულ მოქმედებას შეიძლება მთელი მსოფლიო უკონტროლო სიტუაციამდე და უპირველეს ყოვლისა, უდიდეს კატასტროფამდე მიეყვანა, რომლის საშიშროებაზეც გვაფრთხილებდა ალბერტ აინშტაინი. როგორც შემდგომში კენედის მრჩეველი მ.ბანდი აღნიშნავდა, „კუბის კრიზისი" იყო „შეცდომათა ბრძოლა", რომელშიც უმაღლესი სახელმწიფო პირები მონაწილეობდნენ და რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიძლებოდა შეეწირა. კრიზისმა ცხადყო, რომ შესაძლებელი იყო უაღრესად ღრმა კრიზისის გადაწყვეტა დიპლომატიური და უშუალო მოლაპარაკებების გზით, განსაკუთრებით კი მოლაპარაკებებით უმაღლეს დონეზე, ქვეყნების ლიდერებს შორის. ორი ქვეყნის მეთაურმა ნათლად დაინახა, რომ მოსალოდნელ ომს არ შეიძლებოდა დადებითი შედეგი მოეტანა არც ერთი და არც მეორე მხარისთვის. სწორედ კრიზისის შემდგომი ხელშეკრულებები გახდა ამის ნათელი დასტური, როდესაც ერთი წლის განმავლობაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვის შესახებ. ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დამყარდა „ცხელი ხაზი" (წითელი ხაზი), რომლითაც ორი ქვეყნის მეთაური ნებისმიერ დროს უშუალოდ ერთმანეს დაუკავშირდებოდა. ამასთან ერთად დაიდო ხელშეკრულება, რომელიც მხარს უჭერდა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას კოსმოსში მასობრივი განადგურების იარაღის განთავსების აკრძალვის შესახებ. აგრეთვე ოქტომბრის კრიზისის შემდგომ აღარ გამწვავებულა სიტუაცია ბერლინთან დაკავშირებით.

1 ნოემბერს ნიკიტა ხრუშჩოვი კენედისადმი გაგზავნილ კონფიდენციალურ წერილში შემდეგნაირად აჯამებდა კუბის კრიზისში მათ მოქმედებას: „ჩვენ გადავაბიჯეთ ჩვენს თავმოყვარეობას და ორივენი დავრჩით კმაყოფილნი. ალბათ მომავალში აღმოჩნდებიან ქაღალდის მჩხიბავები, რომლებიც დაიწყებენ ბრწყინვალების ძიებას ჩვენს ხელშეკრულებებში, იმის გარკვევას, თუ რომელმა უფრო მეტი დასთმო. მე კი ვიტყოდი – ჩვენ ორივემ დავუთმეთ გონიერებას და გამოვნახეთ ნათელი გამოსავალი, რომელმაც ყველას მშვიდობის გარანტია მისცა".

ახლად გადატანილი კრიზისის გავლენა იგრძნობოდა კენედის სიტყვაში, რომელიც მან ერთი წლის შემდეგ ამერიკის უნივერსიტეტში წარმოსთქვა: „საბოლოოდ, მთავარი, რაც ჩვენ გვაკავშირებს, ეს არის პლანეტა, რომე-

ლზეც ჩვენ ვცხოვრობთ, პაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ. ჩვენთვის ყველასთვის უმთავრესია შვილების მომავალი. და, რაც მთავარია, არ უნდა დავივიწყოთ რომ ყველანი მოკვდავები ვართ" (9).

მართლაც, ძნელი სათქმელია, თუ ვინ დარჩა მოგებული ყველაზე მეტად „კუბის კრიზისის" შედეგად. ალბათ, მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ მოგებული დარჩა შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირიც და კუბაც, მოგებული დარჩა მთელი მსოფლიო – ეს არის ახალი საუკუნის პარადოქსი.

„კუბის კრიზისი" გარდამტეხ ეტაპად მოგვევლინა ზესახელმწიფოთა ურთიერთობებში და ბირთვული დაპირისპირება უკანა პლანზე გადავიდა, როგორც „მაკნამარას კანონშია" ჩამოყალიბებული: „შეუძლებელია წინასწარ სრული დარწმუნებით გავთვალოთ, როგორი იქნება სამხედრო ძალის გამოყენების ეფექტი, რადგან საკმაოდ დიდია შემთხვევითობის, არასწორი გათვლის, არასწორი გაგების და დაუდევრობის რისკი". „კუბის კრიზისის" შემდგომ სოციალისტური და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უკვე ცხადად დადგა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. R. Kennedy. Thirteen Days. New York, 1969.
2. «Карибский кризис: вспоминают военные». В журнале «Латинская Америка». М, 1988, №4, с. 25-46.
3. Добрынин А. Ф. Карибский кризис - http://-salnikov.narod.ru/dobr.htm
4. Kornbluch P. Chang L. The Cuban Missile Crisis – www.gwu.edu/~nsarchiv/nsa/cuba_mis_cri/
5. «Карибский кризис – важнейший урок истории». В журнале «Латинская Америка». М, 1988, №1. С. 40-80, 143-144.
6. «Карибский кризис: вспоминают военные», с. 25 – 46.
7. Добрынин А. Ф. Указ. статья.
8. ıb: Сухостат А.А. Просил ли Фидель Кастро нанести упреждающий ракетно-ядерный удар по Соединенным Штатам. «Латинская Америка». М, №5, с 57-66. «Куба», М,1991,№ 1. с. 16-18.
9. Добрынин А. Ф. Указ. статья.

დავით გეგეჭკორი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო
ურთიერთობათა ინსტიტუტის დოცენტი

კორეის კონფლიქტი 1950-53 წლებში

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა ყოფილ მოკავშირეებს შორის და მსოფლიოში ჩამოყალიბდა ორი ანტაგონისტური ბანაკი. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მიმდინარე მოვლენების ზეგავლენით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეცვალა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ და მასთან ურთიერთობის ოფიციალურ პოლიტიკას „შეკავების" (Containtment) დოქტრინა დაუდო საფუძვლად. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ დოქტრინა ამერიკისათვის მიუღებული იყო, რადგან ის მას პასიურ როლს სთავაზობდა დიპლომატიურ არენაზე. სწორედ ამ პასიურმა როლმა განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირმა ხელთ იგდო მთელი აღმოსავლეთი ევროპა და მსოფლიო გაყოფილი აღმოჩნდა ორ ანტაგონისტურ ბანაკად, რომლებიც გამალებული იარაღდებოდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი გავლენის სფერო მოეპოვებინათ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

1949 წლის აგვისტოში მსოფლიომ შეიტყო საბჭოთა ატომური იარაღის გამოცდის შესახებ. შეერთებული შტატების ატომურ მონოპოლიას ბოლო მოელო. 1949 წლის 1 ოქტომბერს კი გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის გამძაფრების კიდევ ერთი მიზეზი გახდა კორეაში მიმდინარე ომი.

1910 წლიდან კორეა იაპონიის კოლონია იყო. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ კორეა ისევე, როგორც გერმანია, საოკუპაციო ზონებად დაიყო. საზღვარი 38-ე პარალელზე გადიოდა. ჩრდილოეთით მდებარეობდა საბჭოთა, სამხრეთით კი -ამერიკული ზონა. 1948 წელს ჩრდილოეთით კორეა „სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად" გამოცხადდა, საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით, სახელმწიფოს მეთაური გახდა კიმ ირ სენი.

1950 წელს 25 იანვარს ჩრდ. კორეამ საბჭოთა კავშირის დახმარებით დაიწყო საომარი მოქმედებები სამხრეთის წინააღმდეგ, ქვეყნის გაერთიანების მოტივით. ბუნებრივია, ასეთი სახელმწიფო კომუნისტური გახდებოდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ერთხმად აღიარებს, რომ საომარი მოქმედებები სამხრეთ კორეამ დაიწყო, თუმცა დღეისათვის არსებული წყაროებით ეს არ დასტურდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს საუბრობენ იმის შე-

სახებ, რომ კორეის ომი ორმაგი გაუგებრობის შედეგი იყო. ამ პერიოდში, უკვე ორივე მხარეს, მსოფლიო გადანაწილებული ჰქონდა, კომუნისტებმა გააკეთეს ამერიკელთა აზრის პოლიტიკური ანალიზი და ჩათვალეს, რომ ამერიკა არ შეეწინააღმდეგებოდა მათ შეჭრას ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, რადგან 1949 წლის მარტში გენერალმა დუგლას მაკარტურმა, ამერიკის ჯარების ხელმძღვანელმა, წყნარი ოკეანის აუზში, საგაზეთო ინტერვიუში კორეა ამერიკის თავდაცვის პერიმეტრს გარეთ შოაქცია. სახელმწიფო მდივანი დინ აჩენსონი 1950 წლის 12 იანვარს კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ „ამერიკას არ შეუძლია მისცეს რაიმე გარანტია აზიის მატერიკზე განლაგებულ ტერიტორიებს".(1)

მართალია, ამერიკა ნაკლებად იყო დაინტერესებული კორეის გეოპოლიტიკური მნიშვნელობით, მაგრამ მთავარი აქ ის იყო, რომ კომუნისტურ სამყაროს მორიგი გამარჯვება არ უნდა ეზეიმა, ეს კი, მართლაც, მეტისმეტი იქნებოდა და ამიტომ გამოესარჩლა ამერიკა კორეას. ნ.ხრუშჩოვი თავის მემუარებში აცხადებს, რომ „სტალინი, თითქოსდა პირველად ეწინააღმდეგებოდა კორეაში შეჭრას, შემდეგ კი დათანხმდა, რადგან დარწმუნდა, რომ ეს ადგილი გაკეთებული იქნებოდა".

ამერიკის ლიდერები არ ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოეხდინათ რეაგირება აგრესიაზე კორეის ან სხვა რეგიონის წინააღმდეგ. ისინი ბერლინის კრიზისის და ჩინეთის რევოლუციის შემდეგ პირისპირ შეეჯახნენ ამ პრობლემას, მათ ეს ჩათვალეს იმის მტკიცებად, რომ კომუნიზმი განიცდის აღმავლობას და იგი უნდა შეჩერდეს ძირითადი პრინციპების გამო და არა სამხედრო სტრატეგიის შედეგად. საბჭოთა კავშირს სურდა თავისი გავლენის სფეროში მოექცია მთელი კორეა, პრეზიდენტმა ტრუმენმა მოგვიანებით დაწერა: „კომუნისტები ისევე მოქმედებდნენ, როგორც ჰიტლერი, მუსოლინი და იაპონელები ათი, თხუთმეტი, ოცი წლით ადრე". (2)

საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო კორეით პირადი გამორჩენის მიზნით. კორეის ხელში ჩაგდებით სსრკ გააკონტროლებდა მთელ ნახევარკუნძულს, შემდეგ იოლად დაეუფლებოდა ტაივანს, ხელს შეუშლიდა იაპონიის მისწრაფებებს ყოფილიყო დასავლეთთან და აზია კომუნისტების გავლენის სფეროდ გადაიქცეოდა. ალენ დალესი ამბობდა: „კომუნისტები აჩქარებდნენ შეტევას, რადგან მათ სურდათ აღეკვეთათ აზიის დემოკრატიული ექსპერიმენტი, რასაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ კორეაში". (3)

რთულ სიტუაციაში იყო ამერიკის შეერთებული შტატები იმის გარდა, რომ ამერიკას უნდა დაეცვა თავისი, როგორც ზესახელმწიფოს პრესტიჟი და ხელი შეეშალა სსრკ-სთვის მორიგი გამარჯვება ეზეიმა, მას უნდა გაეფანტა ეჭვები გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, უნდა და-

ემტკიცებინა, რომ გაერო ერთა ლიგა არ არის და მას შეუძლია წინ აღუდგეს აგრესიას.

კორეის ომი მიმდინარეობდა იმ პერიოდამდე, სანამ გამოჩნდებოდნენ საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტები. ტრუმენის განცხადებით ამერიკელთა მთავარი მიზანი მესამე მსოფლიო ომის აღკვეთა იყო. სსრკ-ს გადაწყვეტილებას კი, მართლაც, შეიძლება გამოეწვია გლობალური ომი, რაც ორივე მხარეს სერიოზულად დააზიანებდა. ამერიკას შეეძლო სსრკ-სათვის შეეტია თავისი შეზღუდული რაოდენობის ბირთვული რაკეტებით, მაგრამ ეს ვერ შეაჩერებდა ამ უკანასკნელის სახმელეთო შეტევას დასავლეთ ევროპაში, რაც ევროპის კონტინენტზე კომუნისტების დომინანტების ფონზე საკმაოდ ეფექტური იქნებოდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გააანალიზეს საბჭოთა კავშირის განზრახვა, დაეწყო საომარი მოქმედებები და ამის მიხედვით ჩამოაყალიბეს თავიანთი სტრატეგია, რაც შემდეგში მდგომარეობდა:

1. „ყურადღების გადატანის მოძრაობა". არსებობს მოსაზრება, რომ საომარი მოქმედებების დაწყება კორეაში აიძულებს ამერიკას მთელი თავისი რესურსები გადაისროლოს რეგიონებიდან იქ, სადაც ისინი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ასეთ რეგიონად კი ასახელებენ დასავლეთ ევროპას. ტრუმენმა განაცხადა, რომ „ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ევროპა სსრკ-ს აგრესიას დასუსტებული არ შეხვდეს".

2. საბჭოთა დოქტრინის თანახმად საბჭოთა კავშირმა უნდა გამოიწვიოს ძალის ვაკუუმი, სამხრეთ კორეაზე შეტევით, რომელიც ამერიკისაგან მიტოვებული ვერ შეძლებს თავის დაცვას.

3. „ტესტირება". ეს მოსაზრება ასახავს ტრუმენის წარმოდგენას ჩრდ. კორეის შეტევაზე. ის მას ჰიტლერის აგრესიას ადარებდა და ამტკიცებდა, რომ ჩრდ. კორეის შეტევა იქნებოდა პრელუდია მიზნის მისაღწევად შეტევისათვის სხვა რეგიონში. კორეის შეტევის მიზანი არის შეამოწმოს დასავლეთის სიმტკიცე.

4. „ძალის დემონსტრირება". საბჭოთა კავშირი შეეცდება თავისი ძლიერების დემონსტრირებას და ამერიკის სისუსტის დამტკიცებას, რაც მას არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ამერიკას არა აქვს „ხანგრძლივი ბაზები" რეგიონში. ამერიკის სისუსტე არეულობას გამოიწვევს მოკავშირეებში.

5. „საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის სტრატეგია". საბჭოთა კავშირი იმედოვნებს, რომ ხელს შეუშლის იაპონიის გასვლას დასავლეთის ბანაკში და ამით გზას გაუკაფავს კომუნისტების ექსპანსიას შორეულ აღმოსავლეთში".(4)

საბრძოლო მოქმედებები კორეაში 1950 წლის 25 ივნისს დაიწყო. იმავე

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ მოიწვია უშიშროების საბჭოს სხდომა კორეის საკითხზე. მიიღეს რეზოლუცია ჩრდ. კორეის აგრესიის შესახებ. 27 ივნისს პრეზიდენტმა ტრუმენმა გასცა ბრძანება დაეწყოთ შეიარაღებული ინტერვენცია კორეაში გაეროს ეგიდით. გაეროს ჯარების მეთაურად კი დაინიშნა ამერიკელი გენერალი - მაკარტური.

გაერომ ჩრდ.კორეას ბრძოლის შეწყვეტა და დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება მოსთხოვა. ჩრდ. კორეა ამ მოთხოვნას არ დაემორჩილა, ბუნებრივია ის დიმედებული იყო საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით, რომელმაც არ ცნო უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

1. ოქტომბერში გაერო-ს შეიარაღებული ძალების მეთაურმა ჩრდ.კორეის სახალხო არმიის დაუყოვნებლივი და უსიტყვო კაპიტულაცია მოითხოვა, იმავე დღეს მათ გადალახეს 38-ე პარალელი. 12 ნოემბერს კი ჩინეთმა განაცხადა, რომ „ნება დართო ჩინელ მოსახლეობას მონაწილეობა მიეღო „კორეის განთავისუფლებაში". სულ 300 ათასი ჩინელი მოსახლე მონაწილეობდა ამ აქციაში.

ჩრდილოეთ კორეა, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხელშეწყობით ძალღონეს არ იშურებდა, რათა სამხრეთი დაემარცხებინა და იქაც საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებინა, მაგრამ იმდენად დიდი წინააღმდეგობა გაუწია მას ამერიკამ და გაერომ, რომ იძულებული გახდა ხელი აეღო ამ განზრახვაზე. საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა საშიშროების წინაშე არა მარტო სამხრეთი, არამედ ჩრდილოეთ კორეაც კი დაეკარგა. ამიტომ, ის ყოველნაირად ცდილობდა გაეროს ჯარებს შეეწყვიტა საომარი მოქმედებები და გაეროში ვეტო დაედო რეზოლუციებისათვის, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის საპირისპიროდ იქნებოდა მიმართული.

ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწე მოითხოვდა ატომური ბომბის გამოყენებას, მაგრამ პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელსაც ასევე ბევრი თანამოაზრე ჰყავდა, როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში, არ დაუშვა ლოკალური ომის მსოფლიო ომად გადაქცევა. ამერიკას ჰქონდა სერიოზული საფუძველი არ გამოეყენებინა ბირთვული იარაღი, რაც ეფუძნებოდა ამერიკელი პოლიტოლოგების დასკვნებს.

1.კორეის ომი რუსეთს თვალის ასახვევად სჭირდებოდა, რათა მთავარი შეტევა სხვაგან განეხორციელებინათ და აი სწორედ აქ დასჭირდებოდათ ამერიკელებს ატომური ბომბი. ეს კი, მათი აზრით, ევროპა უნდა ყოფილიყო;

2. ამერიკელი პოლიტიკოსები ეყრდნობოდნენ საჰაერო ძალების მეთაურის ანგარიშს, რომლის მიხედვითაც კორეაში არ იყო ატომური ბომბისათვის ვარგისი სამიზნეები. ატომური იარაღი ჯერ კიდევ ტესტირებას გადიოდა და სამხედროები ეძებდნენ პოტენციურ სამიზნეებს ბირთვული იარაღი-

სათვის, რაც მათი აზრით კორეაში არ იყო.

3. ამერიკის მოკავშირეები, კერძოდ ბრიტანეთი, ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენებას.

4. ატომური იარაღის წარუმატებელი გამოყენება კორეის ომში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ამერიკის უახლოეს მონოპოლიას ბირთვულ იარაღზე. (5)

1953 წლის 27 ივლისს კონფლიქტი დასრულდა. დაიდო ზავი მეომარ მხარეებს შორის. აღდგა სადემარკაციო ხაზი 38-ე პარალელზე. პრეამბულაში ნათქვამი იყო საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივი შეწყვეტის შესახებ. უნდა შექმნილიყო სამხედრო კომისია ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებიდან (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეცია, შვეიცარია), რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ხელშეკრულების შესრულებისათვის. 60 დღის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო ტყვეების რეპატრიაცია. საუბარი იყო მათზე, ვინც კი მოისურვებდა თავის ქვეყანაში დაბრუნებას.

კორეის კონფლიქტი დასრულდა. პირველად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დადგა საშიშროება ლოკალური კონფლიქტი მსოფლიო ომში გადაზრდილიყო, რომელიც ბირთვული ტექნოლოგიების არსებობის ფონზე ორივე მხარეს სერიოზულად დააზიანებდა. საბჭოთა კავშირი შეეცადა კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა აზიაში და კორეაც შეემატებინა თავისი გავლენის სფეროში მყოფი სახელმწიფოების სიისათვის, რაც კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი იქნებოდა გადადგმული მის მიერ ამერიკის გასაძევებლად რეგიონიდან. ყოველივე ამას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუპირისპირა დემოკრატიული ქვეყნების ერთიანი ფრონტი, საფრთხე დაემუქრა თვით სსრკ-ს ხელში უკვე არსებულ ჩრდ. კორეას, ამიტომ ის იძულებული გახდა მიეღო ამერიკის გეგმა და ეზრუნა Status quo-ს აღდგენაზე რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Robert Art, Kenneth Waltz. „The USE of Force". N.Y.1993.
2. Harry Truman, Memoirs, Vol. II. Years of trial and Hope, N.Y. 1956
3. Kissinjer H. „Diplomacy" N.Y. 1994
4. Hearing Before the committee of Armed Services and the Committee on Foreign Relations, Military Situation in the for East, U.S. senate, 82nd Congress, Its session, 1951, five parts, p. 154.
5. Bernard Broody, "Strategy in the missile Age". N.Y. 1959.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ
თბილისის იუ. ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრანტი.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲣᲡᲐᲛᲐ ᲑᲘᲜ ᲚᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

XX საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ საინტერესო პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს წარმოშობით იემენელი, დაბადებული ერ-რიადში, პიროვნება, რომლის სახელიცაა უსამა ბინ ლადენი. იგი 1958 წელს დაიბადა. მისი ქონება განიზომება 300 მლნ-დან _ 5 მლრდ დოლარამდე. იგი რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, საფინანსო დაწესებულების და საექსპორტო-საიმპორტო კომპანიის მფლობელია, რომლებიც ბაზირებულია ლონდონში, დუბლინსა და ამსტერდამში (2, №36, გვ.74).

ვიდრე მასზე გავაგრძელებდეთ საუბარს, ყურადღება შევაჩეროთ მის მშობლებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უსამა ბინ ლადენის მამა წარმოშობით იემენელი და საკმაოდ წარმატებული საქმოსანი იყო, რომელმაც თავისი სახსრებით ერ-რიადში მეფის სასახლე ააშენა. იქ შესასვლელად მას პრობლემები აღარ შექმნია. მას თერთმეტი მეუღლე და 52 ქალ-ვაჟი ჰყავდა. მათგან მუჰამედისათვის, (ასე ერქვა უსამას მამას), ყველაზე სასურველი უკანასკნელი მეუღლე იყო. იგი წარმოშობით პალესტინელი იყო, ვისგანაც შეეძინა უსამა ბინ ლადენი და იგი მუჰამედის საყვარელი შვილი გახდა. უსამას საყვარელი თანამოსაუბრენი იყვნენ არა საკუთარი თანატოლები, არამედ ულემები (სწავლულები). მიუხედავად ამისა, მან სწავლა ეკონომიკის განხრით დაიწყო და მარკეტინგის კურსების გაელით დაამთავრა. მისი სახელი 80-იან წლებში გახდა ცნობილი. სხვა თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, იგი აქტიურად იბრძოდა ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უცნაურია, როგორ აღმოჩნდა მოჯახედებში ეკონომიკური განათლების მქონე კაცი? მისი ცხოვრება შეიცვალა ორი შეხვედრის შემდეგ. პირველი 1978 წელს შედგა ქ. ჯიდაში, როდესაც საუდის არაბეთის სპეც. სამსახურის უფროსს პრინც ტურკი იბნ ფეისალ იბნ აბდელ აზიზს შეხვდა და მეორე შეხვედრა კი ქ.ფეშავარში (პაკისტანი) ცნობილ პალესტინელ მოღვაწესთან, რომელიც „ძმები მუსლიმების" ისლამურ ორგანიზაციაში ირიცხებოდა. ეს იყო აბდელ აზამი, რომელიც „ჭეშმარიტი ისლამის" თეორიას-ვაჰაბიზმს ქადაგებდა. მას შემდეგ, ბინ ლადენი მისი სულიერი შვილი ხდება.

ავღანეთის ომის დაწყებამდე უსამა ბინ ლადენმა ჩამოაყალიბა „ისლამის გადარჩენის ფონდი", რომლის მეშვეობითაც ავღანეთში მებრძოლებს ათე-

ულობით მილიონი დოლარი გადაეგზავნებოდათ. მან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა ავღანეთის საველე მეთაურებთან, გულბელდინ ჰიკმატიარუსა და აჰმად შაჰმასუდთან. მათთან მჭიდრო კავშირში ბინ ლადენმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები. შექმნა კომუნიკაციები და იბირებდა მეომრებს. 1989 წელს ქ. ფეშავარში მოკლეს მისი სულიერი მამა აბდალ აზამი, რის შემდეგაც მან დაიახლოვა ალჟირელი ისლამისტი ბუნუა ბუჯემაა. ამის შემდეგ, ბინ ლადენის გვარდიას სწორედ ალჟირელი ავღანელები შეადგენდნენ (2, გვ.75).

ამ პერიოდში გაუარესდა ბინ ლადენისა და საუდის არაბეთის ურთიერთობა. ამის მიზეზი გახდა საუდის არაბეთის მთავრობის თანხმობა საკუთარ ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგებაზე, რაც უსამა ბინ ლადენმა მოღალატეობად ჩათვალა და გაიმიჯნა. საუდის არაბეთმა კი მოქალაქეობა ჩამოართვა. ავღანეთის ომის დასრულების შემდეგ, ბინ ლადენი სუდანში დასახლდა, სადაც მას აქვს ფერმები, სამშენებლო კომპანიები და ფლობს მონოპოლიას გუმიარაბიკაზე. ამ პროდუქტზე მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ მიუხედავად სუდანის მიმართ ბლოკადისა, ერთ-ერთი ამერიკული ფირმა წარმატებით ახორციელებს ამ ნაწარმის შესყიდვა-გასაღებას (2, გვ.76)

ფილიპინების სპეც. სამსახურების ინფორმაციით, 1994 წელს ბინ ლადენის ორგანიზაციები მუშაობდა მსოფლიოს 13 ქვეყანაში, ესენია: პაკისტანი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ერაყი, იორდანია, ლიბანი, მალაიზია, მაროკო, ჰოლანდია, რუმინეთი, რუსეთი, სირია და თურქეთი (2. გვ.77).

1995 წელს ეროვნული გვარდიის მომზადების ცენტრში მომხდარი ტერაქტისა და 1996 წ. დახრანში მოწყობილი აფეთქების შემდეგ, ბინ ლადენმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუმცა არის ერთი საინტერესო დეტალი. საუდის არაბეთის სპეც. სამსახურებმა. სასწრაფოდ დახვრიტეს ოთხი შიიტი ისე, რომ ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა ვერ მოასწრეს მათი დაკითხვა. ამით კი ეჭვი გაჩნდა, რომ საუდის არაბეთი ხელს აფარებდა ბინ ლადენს (2, გვ.78).

ამის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აიძულა სუდანი, რათა ბინ ლადენს ქვეყანა დაეტოვებინა. ისიც თავის მებრძოლებთან ერთად ავღანეთში გადავიდა. ანალიტიკოსების განცხადებით, ბინ ლადენი ისლამურად განწყობილი ბიზნესმენებისაგან ღებულობს სახსრებს, რომლებსაც ამერიკულ და ევროპულ ბანკებში ატრიალებს. ათეთრებს და უზრუნველყოფს ფულის მეომრებისათვის გადარიცხვას.

ამ დროს კი ბინ ლადენთან დაახლოვებას სადამ ჰუსეინიც აპირებდა, რომელიც ცდილობდა ირანის მსგავსად ტერორისტული ორგანიზაციის ჩამო-

ყალიბებას. მათ საერთო ინტერესები ჰქონდათ. მაგალითად, ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლა ორივესთვის წმინდა საქმეს წარმოადგენდა. მათი სურვილია ამერიკული სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სპარსეთის ყურის ტერიტორიებიდან. ექსპერტების აზრით, ჰუსეინი ვერ მიაღწევდა ამ საქმეში ირანის დონეს. ბინ ლადენის ინტერვიუში კი ეს საკითხი არც განიხილებოდა. მას თემა ფართო სიბრტყეში გადააქვს და აცხადებს: „ამ თემაზე მუსლიმებს დაელაპარაკეთო"(4, №133, გვ. 27).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბინ ლადენს პოზიციები საკმაოდ ბევრგან აქვს, თუმცა ყველა მათგანი საიმედო არ ჩანს. მაგალითად: სუდანი, საუდის არაბეთი და ა.შ.

1996 წლის აგვისტოში უსამა ბინ ლადენი ჯელალაბადში იმყოფებოდა. როგორც წესი, იგი საკმაო სიფრთხილეს იჩენს და მისი სამყოფელის ირგვლივ მდებარე ტერიტორია ყოველთვის დანაღმულია, ვინაიდან ყოველთვის არის დესანტის გადმოსხმის საშიშროება. აგრეთვე გათვალისწინებულია პილოტების გზის ასაბნევი შენიღბული ცრუ სამიზნეების შექმნაც. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თალიბების ბინ ლადენის გამო პასუხი მოსთხოვა და მისი ექსპედიციის საკითხი დასვა. თალიბებმა ხელი პოლიტიკურ ვაჭრობას მიჰყვეს და განაცხადეს, რომ ორ ქვეყანას შორის არ არსებობს ხელშეკრულება ექსტრადაციის შესახებ. ამ უკანასკნელი ხელშეკრულების დადება ნიშნავს შეერთებული შტატების მიერ თალიბების სახელმწიფოს აღიარებას, რაზეც შტატები არ დათანხმდა. რაც შეეხება ბინ ლადენის გასამართლებას, თალიბების განცხადებით, იგი იმ შემთხვევაში გასამართლდება ნეიტრალურ ტერიტორიაზე, როცა ამას თვითონ მოინდომებს. ამ პასუხმა შეერთებული შტატების უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან იგი უარის ტოლფასი იყო. ამის გამო, უსამა ბინ ლადენმა დატოვა ჯელალაბადის ბაზა და სხვა რაიონში გადავიდა. საფრთხე, მართლაც, რეალური იყო, ვინაიდან პაკისტანის ნაპირებს წინა დღეს მიადგა ორი ამერიკული სამხედრო გემი, საიდანაც ჯელალაბადში დესანტის გადმოსხმა იყო დაგეგმილი. ბინ ლადენის გადაადგილების გამო აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა ამ ეტაპზე ვერ შეძლეს უსამა ბინ ლადენის აყვანა. სამაგიეროდ შეერთებული შტატების დაზვერვის მუშაობის შედეგად 2000 წლის მარტში აიყვანეს არაერთი ტერორისტი, რომლებიც ამზადებდნენ ტერაქტებს ბრიტანეთში, გერმანიაში, კანადაში, შეერთებულ შტატებში, იორდანიასა და პაკისტანში. ამით საგრძნობლად შესუსტდა ბინ ლადენის ტერორისტული ორგანიზაცია და მას ყურადღების გადატანა მოუწია მტრის სუსტი ადგილებისაკენ (1, №12, გვ.47).

თალიბების სულიერი მამის მოჰამად ომარის პირადი რჩევის შედეგად, მთავარი ტერორისტი ჯელალაბადიდან ბამიანის რაიონში გადავიდა. მას თან

გაპყვა 450 მებრძოლისაგან შემდგარი პირადი გვარდია და 2000-კაციანი დაქირავებული ჯარი პაკისტანიდან, ბანგლადეშსა და შრინალკიდან, რომლებიც ბინ ლადენის მეთოდით იყვნენ გაწვრთნილნი. ჩვეულებრივ იგი 40-50 მანქანითა და ჯავშანტექნიკით გადაადგილდება და მისი სამყოფელი მხოლოდ მისმა პირადმა დაცვამ იცის. მისი შტაბ-ბინა, რომელიც ყანდაჰარში მდებარეობს მიწისქვეშა კომპლექსს წარმოადგენს. ასეთივე ნაგებობებია ლაჰორში, ჯელალაბადსა და ხოსტში. ბინ ლადენი ავღანეთში ყოფნის სანაცვლოდ. თალიბებისათვის მეომრებს წვრთნის. ამ მიზნით, მან დააფინანსა ყანდაჰარის მეჩეთისა და ამ ქალაქიდან პაკისტანის საზღვრამდე გზის მშენებლობა (6, №29, გვ.122)

2000 წლის აგვისტოში ავღანეთში შეიჭრნენ აშშ-ის სადაზვერვო დივერსიული რაზმები, რათა ხელში ჩაეგდოთ, ან მოეკლათ უსამა ბინ ლადენი. ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი აღმოაჩინეს და უკუაგდეს (1, №29, გვ.54-55).

2000 წლის ნოემბერში იემენის ნავსადგურში მდგარი ამერიკის სამხედრო გემის წინააღმდეგ, ტერორისტული აქტი განხორციელდა, სადაც რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ამის საპასუხოდ შტატების სპეც. სამსახურებმა კელავ დაგეგმეს ტერორისტული აქტი ბინ ლადენის წინააღმდეგ, რაც ასევე ჩაიშალა (1, №44, გვ.58). ამ ტერაქტის საპასუხოდ 2000 წლის ნოემბერშივე დაიგეგმა აფეთქებათა სერია შეერთებულ შტატებში, იორდანიაში და იემენის ნავსადგურ ადენში, რაც ვერ განხორციელდა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მუშაობის შედეგად, რომლებმაც დააპატიმრეს ვინმე აჰედ რესამი, რომელსაც სამივე ადგილას უნდა მოეწყო ტერორისტული აქტი (1, №1, გვ.48).

ამასთანავე დაგეგმილია ტერორისტული ღონისძიებები თვითონ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. ეს ამბავი ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დაკავებული იქნა ბინ ლადენის ერთ-ერთი აქტივისტი „ალ-კაიდას" მებრძოლი მოჰამედ რაშედ დაუდ ელ-ოვჰალი. ბინ ლადენს ასეთი ღონისძიებების ჩატარების დიდი შანსები აქვს, რასაც მოწმობს ინდური რადიო. მისი განცხადებით მას გააჩნია მილიონების ღირებულების კავშირგაბმულობის სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დედამიწის რამდენიმე წერტილში ერთდროულად მოხდეს აფეთქება, თანაც სადაზვერვო სააგენტოს კონტროლში მოხვედრის გარეშე (1, №8, გვ.47). ბინ ლადენი ფლობს თანამედროვე სამხედრო ტექნიკას და აქვს მეომრების მომზადების საკუთარი ინსტრუქციები. აქ არის ინფორმაცია ცეცხლსასროლი იარაღიდან ბიოლოგიურ იარაღამდე, ასევე ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადების, მეომართა მიმხრობა-დამუშავების შესახებ. ეს ინფორმაცია აღმოაჩინა იორდანიის

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს გადასცა, რის მეშვეობითაც ტერორისტების ფსიქოლოგიას შეისწავლიან. აქვე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ცრუ მასალაა და გაშვებულია სპეც. სამსახურის დასაბნევად (1, №40, გვ.50).

ბინ ლადენი ნაყოფიერად იყენებს თავის საქმიანობაში ვირტუალურ სამყაროს. ამ თემაზე კონფერენცია მოაწყო მსოფლიოში უმსხვილესმა ფირმამ „ზიფ-დეივისმა", რომელიც უმაღლესი ტექნოლოგიების საშუალებების მიმწოდებელია მსოფლიოს ბაზარზე. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა ჯეფრი ჰანკერმა განაცხადა, რომ ვირტუალურ სამყაროს აქტიურად იყენებს „ჰიზბილახი" და ბინ ლადენი. ჰანკერი რეალისტურად უყურებს მოსალოდნელ საფრთხეს და აცხადებს, რომ ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია მწყობრიდან გამოვიდეს ენერგეტიკული სისტემა, ტრანსპორტის მოძრაობის სისტემა, საბანკო სისტემებისა და სახელმწიფო ელექტრონული ბაზები (1, №20, გვ.52). ექსპერტების აზრით, ტერორისტები (ალ-კაიდა, ჰიზბილახი და ჰამასი) საკუთარ ინფორმაციას გზავნიან ელექტრონული. ფოსტით და ათავსებენ მას პოპულარულ საიტებზე პორნოგრაფიულის ჩათვლით, რაც მათ ინფორმაციის დაშიფვრის საშუალებას აძლევს. ამგვარი „სამალავებით" გადაიცემა რუქები, გეგმები და სამიზნეთა ფოტოები. უნდა აღინიშნოს, რომ ბინ ლადენს ჰყავს თავისი სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ თანამედროვე ტექნიკა და მისი გამოყენების გამოცდილება. ამან წარმოშვა ტერორიზმის ახალი დარგი „კიბერტერორიზმი", რომელიც უფრო საშიშია ვიდრე კონკრეტული აფეთქება. ვინაიდან ეს იწვევს მთელი სისტემების განადგურებას (1 №8, გვ.46). ის ბრძოლის ეფექტური მეთოდია და მოწინააღმდეგის ზარალიც უფრო მნიშვნელოვანია (მ.მ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერორიზმი განვითარდა, რამაც შექმნა ტერორისტის ახალი სახე. ამ უკანასკნელებმა მიიღეს ბრძოლის ახალი, აქამდე არარსებული იარაღის მთელი ასორტიმენტი. ამასთანავე შეიცვალა ტერორისტთა სურვილი დამჯდარიყვნენ მოსალაპარაკებლად მაგიდასთან. ახლა ისინი მოლაპარაკებებს არც კი ითხოვენ. მათი ძალები მიმართულია ბიოლოგიური და ატომური იარაღის მოპოვებისაკენ. ამის გამო ბინ ლადენს სუდანში დაუბომბეს ლაბორატორია და ამგვარი იარაღის წარმოება დროებით გადაიდო. ტერორისტების მთავარი მიზანია დაამარცხონ ისრაელი და შეერთებული შტატები, რათა როგორც თვითონ აცხადებენ, ბოლო მოუღონ მათ მძარცველურ ქმედებებს (1, №5, გვ.50)

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მაღალი ჩინის წარმომადგენლის სტენდი ბედლინგტონის განცხადებით, საჭირო არ არის ბინ ლადენისაგან მსოფლიო ფიგურის შექმნა. ამ განცხადების გაკეთება საჭირო გახდა მას შე-

მდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბინ ლადენი კოსოვოში გამოჩნდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მისივე განცხადებით, იგი არ წარმოადგენს მუსლიმთა ერთპიროვნულ ლიდერს, თუმცა იქვე ასკვნის, რომ მისი ფინანსური შესაძლებლობები კვლავაც გიგანტურია. სადაზვერვო სამსახურს გამოვლენილი აქვს რამდენიმე კომპანია, რომელიც უსამა ბინ ლადენზე მუშაობს. ამის შემდეგ ეს ფირმები გაუქმდა. გაეროს ექსპერტების დასკვნით კი _ ავღანეთი, სადაც ბინ ლადენი იმყოფება, მსოფლიოში ჰეროინის 60% აწარმოებს. ბინ ლადენი კი თავის ფირმებში მის გასაღებასა და ფულის გათეთრებას აწარმოებს. აქედან გამომდინარე იგი ამ საქმეში შუამავლად გვევლინება (1, №23, გვ.50).

მიუხედავად სადაზვერვო სამსახურისა და ფედერალური საგამოძიებო ორგანიზაციის მუშაობისა, ამერიკის შეერთებული შტატების 120 მსხვილი ქალაქის ხელმძღვანელობა უძლურია ტერორიზმის წინაშე. 1996 წელს კონგრესმა ამ მიზნებისათვის ქალაქებს 30 მლნ დოლარი გამოუყო. მომზადდა 22 ქვედანაყოფი. ამის შესახებ განცხადება გააკეთა მისურის შტატის რესპუბლიკელმა კონგრესმენმა აიკ სკელტონმა და ირნოისელმა რესპუბლიკელმა დენის ჰესტერტმა. აშშ-ის სპეცსამსახურის განცხადებით, აღნიშნული 120 ქალაქიდან რეალურად ბრძოლა 11 ქალაქს შეუძლია, დანარჩენები კი საშიშრობას ვერ აცნობიერებენ და ამიტომ მათ არ იციან, რა სახის დახმარება ესაჭიროებათ (1, №18, გვ.49).

ეს არის შტატების სუსტი წერტილი და შეიძლება ითქვას, რომ ამ სუსტ წერტილს ბინ ლადენიც იცნობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალზე ძნელია და საჭიროა დროზე გაირკვეს გამარჯვებულის ვინაობა, რათა მალე დასრულდეს „გონების ჭიდილი“, რაც შეუძლებელია ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე. სავარაუდოდ ტერორისტები მომავალშიც მრავლად იქნებიან. ამის გამომწვევი მიზეზია ტექნიკური პროგრესი, რომელიც ასე უხვად იყო მეოცე საუკუნეში. ის დამახასიათებელი ნიშანია ამ მოვლენისა. ამ „პროგრესმა“ მრავალ დადებით მხარესთან ერთად, ვფიქრობ ორჯერ მეტი უარყოფითი შედეგი მოუტანა კაცობრიობას. მან ხელი შეუწყო დიდი სახელმწიფოებისათვის საძულველ ტერორისტებს, აკეთონ თავიანთი საქმე სამყაროს სხვა, მეორე ნაწილში ისე, რომ ისინი ხელმიუწვდომელი დარჩნენ. ტერორისტიც შეიცვალა. იგი შესაძლოა განათლებული ადამიანი იყოს, რომელიც ფლობს თანამედროვე ტექნიკას. მას მეტი ზარალის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის, ვიდრე ამას წარმოადგენს ტერორისტული აქტის მსხვერპლი.

ტერორიზმმა გლობალური ხასიათი მიიღო „კიბერტერორიზმის“ სახით, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს მილიარდობით ზარალი მიაყენოს. თუ

ამგვარი ქმედება სისტემატურად განმეორდება, ამას ვერც შეერთებული შტატების ეკონომიკა გაუძლებს. ყოველივე ზემოთქმულს ვერც ტანკებითა და თვითმფრინავებით უშველიან. ამრიგად, უხეში ძალა მეორე პლანზე გადაიწევს. იგი უძლური გახდება და გზას დაუთმობს ტექნოლოგიური „პროგრესის" ნაყოფს, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვება. ამრიგად, ტერორისტი ადამიანი ხელიდან აგდებს ავტომატს და მიუჯდება კომპიუტერს. ავტომატიანი ტერორისტი ისტორიას ბარდება. არადა რაოდენ ადვილი იყო ავტომატიანი ინდივიდის დაყოლიება, ან მოსპობა?

როგორც ჩანს ტერორიზმი სერიოზულ პრობლემად გადაჰყვა კაცობრიობას XXI საუკუნეში. მას მრავალი მიზეზი აქვს. თუმცა ამ მიზეზებში აშკარად გამოირჩევა ერთი, გაირკვეს მსოფლიოში დომინანტი ქვეყნის სტატუსი. კოლონიალურია ეს ქვეყანა, თუ ნებაყოფლობით მიპატიჟებული მხსნელი. ეს აუცილებლად უნდა დადგინდეს. რამეთუ სწორედ სახელმწიფოს ხასიათზე ხდება აპელირება. თუმცა ამ პრობლემასაც მეორეხარისხოვნად მივიჩნევთ. ვინაიდან მთავარ როლს მაინც ფინანსური და ეროვნული საკითხები წყვეტენ. ამრიგად, გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება ტერორიზმის წარმოშობის მიზეზების ძიებაში. რა წარმოშობს ტერორიზმს მატერიალური, თუ ეროვნული საკითხი? აქ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე.

ტერორიზმის წარმოშობის მატერიალური მიზეზი უკავშირდება მსოფლიო ბაზრის გადანაწილების პროცესს. უკმაყოფილო ქვეყნები სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ და თუ ეს მათ ვერ გამოსდით, მაშინ საქმეში მასა ერევა, ან განსაკუთრებით რადიკალური ჯგუფი. სწორედ ტერორიზმი არის ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. ამის თვალსაჩინო დადასტურება 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე მიტანილი იერიში.

მატერიალურ მიზეზთაგან აღსანიშნავია:

1. მდიდარი სახელმწიფოს მიერ საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნება-გაძლიერების სურვილით გამოწვეული „ეკონომიკური აგრესია";

2. ფინანსების უქონლობით გაღიზიანებული მასა, რომელიც გამოსავალს ტერორში ხედავს;

3. ცენტრისა და რეგიონის საბიუჯეტო დაპირისპირება, რაც ნაციონალურ მიზეზში გადაიზრდება;

ეროვნულ მიზეზებს წარმოშობს:

1. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დაპყრობისას შექმნილი წინააღმდეგობა, რაც შედარებით ძლიერმა და დიპლომატიურად გამართულმა ქვეყანამ ტერორიზმად შერაცხა და საინფორმაციო ომს აწარმოებს ცალმხრივად;

2. კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიერ წარმოებული ძირგამო-

მთხრელი საქმიანობა, რაც საბოლოო ჯამში სეპარატიზმის ფორმას ღებულობს;

ჩვენი მსჯელობა გარკვეულწილად ემთხვევა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსისა და მეცნიერის ზბიგნევ ბჟეზინსკის მოსაზრებებს. სწორედ ამიტომ ზემოთქმულის დასადასტურებლად მოვიყვანთ მის არგუმენტებს. პირველ რიგში აღსანიშნავია ბჟეზინსკის და შეერთებული შტატების ზრახვების დაუფარავად გამჟღავნება. მისი განცხადებით, საბჭოთა კავშირის „კრახის შედეგად, შტატები უნიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეერთებული შტატები გახდა პირველი და ერთადერთი მსოფლიო მასშტაბის იმპერია".

ამრიგად, ზ. ბჟეზინსკი აღიარებს, რომ შეერთებული შტატები წარმოადგენს „მსოფლიო მასშტაბის იმპერიას", ანუ ეს ფრაზა ეხმიანება ჩვენი თემის დასკვნით ნაწილს, სადაც ვამბობთ რომ „სასწრაფოდ უნდა გაირკვეს მსოფლიოში დომინანტი ქვეყნის სტატუსი კოლონიალურია ეს ქვეყანა, თუ ნებაყოფლობით მიწვეული მხსნელი"? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სავსებით შესაძლებელია ბჟეზინსკის მონოგრაფიის მეშვეობით. იგი გამოკვეთილად ადარებს ამერიკის შეერთებულ შტატებს რომის, ჩინეთის და სხვა იმპერიებს. იგი აკნინებს ზემოთ ჩამოთვლილი იმპერიების მნიშვნელობას და მათგან განსხვავებით შეერთებულ შტატებს მსოფლიო მასშტაბის იმპერიად მიიჩნევს. ზ. ბზეჟინსკი ამის მიზეზსაც ასახელებს და აცხადებს, რომ შტატები ფინანსურად იმდენად ძლიერია, რომ ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერი რაოდენობის სახსრების გამოყენება შეუძლია დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

დასკვნის სახით ვაცხადებთ, რომ შეერთებული შტატების ასეთი ავტორიტეტული პოლიტიკოსის განცხადება დამყარებულია სერიოზულ არგუმენტებზე. მისი მონოგრაფია შტატების მსოფლიო ბატონობის ცნობარია.

ამერიკული იდეოლოგიისა და ისლამური იდეოლოგიის დაპირისპირებამ პიკს სწორედ 2001 წლის 11 სექტემბერს მიაღწია, როდესაც ტერორისტების შურისძიებამ მთელი მსოფლიო შეძრა და შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ბევრმა პოლიტიკოსმა ამის შესახებ შემდეგი კომენტარი გააკეთა. „ამის მოთმენა მეტი აღარ შეიძლება"! შესაძლოა ეს განცხადება ემოციურადაც მივიჩნიოთ, მაგრამ იგი სიმართლის ელემენტებსაც შეიცავს. დიახ, ყოვლად დაუშვებელია დილას შტატების ფინანსურ ცენტრზე ასეთი ვერაგული თავდასხმა და განსაკუთრებით მისი სიმბოლოების შეურაცხყოფა. 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტი გაცილებით მეტია, ვიდრე ორი შენობის დანგრევა. ეს არის ამერიკული სახელმწიფოებრიობის გარანტსა და საფუძველზე თავდასხმა და ეროვნული შეურაცხყოფა. ეს კარგად გაიაზრა პრეზიდენტმა ბუშმა და მისმა მთავრობამ. ამიტომაც მათ მიზნად დაისახეს საკადრისი პასუხის გაცემა. პასუხი მტრისათვის დამანგრეველი უნდა ყოფილიყო, თუმცა საბოლოო

მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. შოკიდან მცირედი გამოსვლის შემდეგ, ამერიკული დიპლომატია გამოცოცხლდა. დაიწყო აქტიური მუშაობა საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ტერორისტების წინააღმდეგ და შემუშავდა გეგმა თალიბების რეჟიმის დასამხობად ავღანეთში. გარდა ამისა დასახელდა მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა წინააღმდეგადაც უნდა ჩატარებულიყო ანტიტერორისტული ღონისძიებები, რაც ამ ქვეყნებში ხელისუფლების ცვლილებებს მოასწავებდა. ამერიკულმა დიპლომატიამ წინ წამოწია პრინციპი „ვინც ჩვენთან არ არის ჩვენი მტერია". აქედან გამომდინარე ვისაც არ სურდა პრობლემები, ყველა შტატებს მიემხრო. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე რუსეთმა პოზიციები დათმო და შტატებსაც უფლება მისცა საკუთარი ბაზები ჰქონოდა შუა აზიაში და მსოფლიოში განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები. 11 სექტემბრის შემდგომი პერიოდი საერთაშორისო პოლიტიკაში გადამწყვეტია. ვინაიდან ის ქვეყნები, რომლებიც სამხედრო პოტენციალს და ფინანსებს დახარჯავდნენ ანტიტერორისტულ ღონისძიებებში, მათი მზის ქვეშ ადგილი გარანტირებული ექნებოდათ, ანუ დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური კაპიტალის დაბანდების აუცილებლობა, რაც ზოგიერთმა ევროპულმა სახელმწიფომ განახორციელა და ისინი მომავალში სერიოზულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ დივიდენდებსაც მიიღებენ. უნებლიე მინი კაპიტალისტად მოგვევლინა რუსეთი, რომელსაც ჰუმანიტარული ფუნქცია დაეკისრა. მსოფლიოში ომის საშიშროების სიტუაცია შეიქმნა. ინიციატივის ხელში ჩაგდება ამ პერიოდში ყველას შეეძლო, ვისაც ამ დროისათვის გამართული ეკონომიკა ექნებოდა, მაგრამ ასეთი ქვეყანა არ გამოჩნდა, რომელიც მსოფლიოში ცოტათი მაინც შეავიწროვებდა შტატებს. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ლოკალურ ინიციატივას. საქმე ისაა, რომ თუ რომელიმე ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა თავის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით ისარგებლებდა და საკუთარ ამოცანებს გადაჭრიდა, სერიოზულად დაიწყებოდა მსოფლიოს გლობალური გადანაწილება, რაც მესამე მსოფლიო ომის მიზეზი გახდებოდა. ასეთი ქვეყანა კი არ მოიძებნა, ხოლო რაც შეეხება ლოკალურ ინიციატივებს, ეს საკმაოდ მრავლად განხორციელდა. მაგალითად: ინდოეთის ინიციატივა, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ინდოეთმა მაშინვე გამოუცხადა თანადგომა შეერთებულ შტატებს, რადგანაც მას უაღრესად სერიოზული მტერი ჰყავდა მეზობლად, რომელიც არ იყო გულგრილი თალიბანის რეჟიმთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ინდოეთმა მიიჩნია, რომ ტერაქტების საბაბით, შტატებთან მოკავშირეობის ფორმატში პაკისტანის პრობლემას თავისთვის დადებითად გადაწყვეტდა. ეს ასეც მოხდებოდა რომ არა ისლამაბადის მიერ პროამერიკული პოზიციის დროული დაფიქსირება ნიუ-იორკის ტერაქტების შემდეგ, ინდოეთის პარალელურად. ამან ინდოეთის გეგმები ჩაშალა, რასაც შედეგად რელიგიური დაპირისპირება მოჰყვა. მანამდე ინდოეთ-

პაკისტანის ჯარების დაპირისპირება შედგა, რაც იმ მომენტში შტატებს არაფრით არ აწყობდა, ვინაიდან ეს მას ხელს შეუშლიდა ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებისათვის მთელს მსოფლიოში. სიტუაციის გამოყენების ანალოგიური ვარიანტი გათამაშდა ისრაელ-პალესტინის, ფილიპინებისა და სხვა კონფლიქტურ კერებში.

როგორც ზემოთ განვაცხადეთ, ლოკალურმა ინიციატივამ ზოგ სახელმწიფოებს მეტ-ნაკლები წარმატება მოუტანა. ოღონდ ეს წარმატება „ნებადართული" იყო და არა ბრძოლით მოპოვებული. დღეისათვის ანტიტერორისტული ბრძოლა დაწყებულია და გაიმარჯვებს ის, ვინც მეტ გამძლეობას გამოიჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. «Глобус», Москва, 1998, 99, 2000,2001.
2. «Компас», Москва, 1999, 2000.
3. Midle East Times, 1999, 2001.
4. New York Times, 1997, 1999.
5. News Week, 2000.
6. Washington Times, 2000, 2001.

თეიმურაზ პაპასქირი
თსუ სოხუმის ფილიალი
ისტ. მეცნ. კანდიდატი, მასწავლებელი

ფრანკლინ რუზველტი და ბალკანეთის ქვეყნების გავლენის სფეროებად დაყოფის საკითხი 1944 წლის შემოდგომაზე

1944 წლის შემოდგომაზე დიდი სამეულის ქვეყნებს შორის ომისშემდგომი დაპირისპირების პირველი ნიშნები გამოიკვეთა. ამის უმთავრესი გამოვლინება გახდა ბალკანეთის საკითხი. აღნიშნული პრობლემა მანამდეც ხშირად წამოჭრილა ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრებზე, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მოკავშირეთა დიპლომატიაში სწორედ 1944 წლის შემოდგომაზე დაიკავა, რადგანაც ამ დროისათვის საბჭოთა ჯარების წინსვლამ სავსებით რეალური გახადა მთელი რეგიონის განითლების საფრთხე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბალკანეთის საკითხის წინ წამომწევი, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი იყო. აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს კი ამ პრობლემის თავისებური ხედვა გააჩნდა. „წითელი საფრთხის" შიში მას მაინცდამაინც არ ჰქონდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ყოველთვის გამონახავდა საერთო ენას სტალინთან(1). მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, საბჭოთა არმიის წარმატებებმა იგი მაინც შეაშფოთა და მისი პოზიცია გარკვეულწილად შეიცვალა. ეს კარგად გამოჩნდა კვებეკის მეორე კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 1944 წლის 12-16 სექტემბერს.

კვებეკის მეორე კონფერენციაზე ჩერჩილმა კვლავ წამოაყენა ისტრიის ოპერაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დესანტის გადასხმას ისტრიის ნახევარკუნძულზე, ტრიესტისა და ფიუმეს (თან. რიეკა) აღებას და ლიუბლიანის გასასვლელით ცენტრალურ ევროპაში შეჭრას(2). ამ ოპერაციის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა ჯარებზე უფრო ადრე ცენტრალური ევროპის (კერძოდ, უნგრეთისა და ავსტრიის) დაკავება(3). რუზველტი, რომელიც მანამდე ამ იდეას მხარს არ უჭერდა, კვებეკში მოულოდნელად დამყოლი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მან ერიკ-ჰერცოგ ოტო ჰაბსბურგთან საუბარში აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა ავსტრიასა და უნგრეთში კომუნისტების შეშვება(4). შედეგად, კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ ისტრიის ოპერაციის ჩატარებაზე და დადებითად გადაწყდა საკითხი ამ ოპერაციისათვის საჭირო სადესანტო ხომალდების გამოყოფის შესახებ(5).

კვებეკის მეორე კონფერენციის შემდეგ, ლონდონში დაბრუნებამდე ჩერჩილი 18-19 სექტემბერს ვაშინგტონში იმყოფებოდა აშშ-ის პრეზიდენტ ფრა-

ნკლინ რუზველტთან სტუმრად. ბრიტანეთში ჩასვლის შემდგომ ჩერჩილმა მოსკოვში ჩასვლა გადაწყვიტა. უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება ჩერჩილმა აშშ-ის პრეზიდენტისათვის მეტად მოულოდნელად მიიღო, რადგან არც კვებეკში და არც ვაშინგტონში მას რუზველტისათვის არ უთქვამს, რომ მოსკოვში აპირებდა წასვლას. მხოლოდ ლონდონიდან შეატყობინა ბრიტანეთის პრემიერმა აშშ-ის პრეზიდენტს, რომ საჭირო იყო სტალინთან შეხვედრა. მიღებულ გადაწყვეტილებას ის ასაბუთებდა ორი გარემოებით: პირველ რიგში, საბჭოთა კავშირისაგან იაპონიასთან ომში ჩაბმაზე საბოლოო თანხმობის მიღების აუცილებლობით და, მეორე რიგში, პოლონეთის საკითხის მოწესრიგების საჭიროებით(6). შეეფერებოდა თუ არა ეს სინამდვილეს? მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ. მოსკოვში სტალინმა და ჩერჩილმა განიხილეს უამრავი საკითხი პოლონეთის პრობლემით დაწყებული და საბჭოთა კავშირის მიერ დიდი ბრიტანეთისათვის 1945-1946 წლებში მისაწოდებელი ხე-ტყის მასალის რაოდენობის განსაზღვრით დამთავრებული. ყველაზე მეტი დრო მართლაც პოლონეთის საკითხს დაეთმო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სწორედ მას ეკავა უმთავრესი ადგილი მოლაპარაკებებზე. ჩერჩილის მთავარი სატკივარი ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო ბალკანეთი. ის კიდევ უფრო შეაშფოთა 1944წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე ამ რეგიონის მიმართულებით საბჭოთა არმიის შეტევების განვითარებამ და სწორედ ამიტომ თვლიდა ის საჭიროდ „დიდი სამეულის" ახალი შეხვედრის სასწრაფოდ მოწყობას(7). ასეთი სამიტის ჩატარება 1944წ. შემოდგომაზე შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნები კარზე იყო მომდგარი და რუზველტი ვერ დატოვებდა დიდი ხნით ქვეყანას. ბრიტანეთის პრემიერმა მაშინ განუცხადა მას, რომ „რუსული არმიები არ დაუცდიდნენ მიჩიგანიდან, სამხრეთ დაკოტასა და ორეგონიდან არჩევნების შედეგების მიღებას". ამიტომ ჩერჩილმა უთხრა რუზველტს, რომ ის და იდენი გაემგზავრებოდნენ მოსკოვში და შეეცდებოდნენ შეთანხმების მიღწევას ბალკანეთში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ(8).

როგორ შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტი ჩერჩილის ამ ინიციატივას? თავდაპირველად რუზველტმა გადაწყვიტა მიეცა ბრიტანეთის პრემიერისათვის უფლება, ეწარმოებინა ეს მოლაპარაკებები აშშ-ის სახელითაც, მაგრამ შემდეგ მისი მრჩეველისა და მეგობრის ჰარი ჰოპკინსის დაჟინებული მოთხოვნით გადაიფიქრა(9) და სტალინს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც ის ამ მოლაპარაკებებს მიიჩნევდა დიდი სამეულის შეხვედრების მოსამზადებელ ეტაპად. რუზველტი ხაზს უსვამდა, რომ აშშ დაინტერესებული იყო მოსკოვში განსახილველი ნებისმიერი საკითხით და რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ შეუთანხმებელ ყველა საკითხზე უნდა მიღებულიყო მხოლოდ სამი ლიდერის კონფერენციაზე. ამასთან ის სთავაზობდა სტალინს, რომ შე-

ხვედრაში მონაწილეობა მიეღო აშშ-ის ელჩს საბჭოთა კავშირში ავერელ ჰარიმანს(10). ეს თხოვნა საბჭოთა ლიდერმა დააკმაყოფილა კიდეც, თუმცა ჰარიმანს მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა და ის არ დასწრებია ყველა მოლაპარაკებას, რომელიც შედგა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანტონი იდენსა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვიაჩესლავ მოლოტოვს შორის (ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ის სტალინისა და ჩერჩილის ყველა შეხვედრის მონაწილეც.).

რუზველტის ამგვარი ცვალებადობა, ჩვენი აზრით, ნათლად მეტყველებს, რომ მას საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გარკვეული, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ის ბალკანეთის საკითხის გარშემო. როგორც ჩანს, მას იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვში რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ იქნებოდა და ყველაფერი გადაწყდებოდა „დიდი სამეულის" ლიდერების შეხვედრაზე. მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა.

მოსკოვში შემდგარ მოლაპარაკებებზე გულითადი ატმოსფერო სუფევდა. თვითონ ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ მისი ურთიერთობები სტალინთან არასდროს არ იყო იმდენად კარგი, როგორც ამ ვიზიტის დროს(11). ამიტომ ინგლისის პრემიერმა პირველსავე სხდომაზე – 9 ოქტომბერს – ჩამოაგდო საუბარი ბალკანეთის შესახებ. მან შესთავაზა სტალინს ამ რეგიონის გაყოფა გავლენის სფეროებად. ჩერჩილი იგონებს, რომ მან ფურცელზე ჩამოწერა ასეთი დაყოფის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირს უნდა ჰქონოდა უპირატესი მდგომარეობა რუმინეთსა (90% 10%-ის წინააღმდეგ) და ბულგარეთში (შესაბამისად 75% და 25%), დიდ ბრიტანეთს აშშ-სთან ერთად კი _ საბერძნეთში (90%), უნგრეთსა და იუგოსლავიაში ინგლისის პრემიერის გეგმით ორივე მხარეს თანაბარი უფლებები ეძლეოდა(12). სტალინმა, ჩერჩილის გადმოცემით, დაამოწმა ეს დოკუმენტი და დაუბრუნა ის მის ავტორს(13).

როგორც ჩანს, ჰარიმანმა ოპერატიულად შეატყობინა რუზველტს მოსკოვში მიღწეული შეთანხმების შესახებ. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის პრეზიდენტს სულაც არ მოეწონა აღნიშნული ვარიანტი, თუმცა არა იმის გამო, რომ მას რაიმე შენიშვნები ჰქონდა პროცენტებთან დაკავშირებით. მისი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი იყო ის, რომ შეთანხმება მოხდა მის გარეშე და ის ფაქტობრივად სტატისტის როლში აღმოჩნდა. ამის დასტურად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ აშშ-ში საბჭოთა ელჩის ა. გრომიკოს მიერ კონფერენციის მსვლელობის პერიოდში სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელზე გაკეთებული ერთ-ერთი შეტყობინება. გრომიკოს ცნობით, მას სადილზე მოწვეული ჰყავდა ჰარი ჰოპკინსი, რომელმაც საუბარში გამოთქვა შეშფოთება მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებებით(14). გარდა ამისა,

ჰოპკინსის თქმით, ძალზე სამწუხარო იქნებოდა, თუ შეთანხმება ბალკანეთის ქვეყნების შესახებ მიღწეული იქნებოდა რუზველტის მონაწილეობის გარეშე(15). აქვე ის აღნიშნავდა, რომ რუზველტს სულაც არ აწუხებდა ბალკანეთი არც ტერიტორიული და არც ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ პოლიტიკური ასპექტებით ის არ შეიძლებოდა არ დაინტერესებულიყო ამ რეგიონში შექმნილი ვითარებით. გრომიკოს გადმოცემით, ჰოპკინსი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ თუ ეს საკითხი განხილული იქნებოდა აშშ-ის პრეზიდენტის მონაწილეობით, მაშინ სტალინსა და რუზველტს შორის არ წარმოიშობოდა არანაირი დავა ტერიტორიული გადანაწილების გარშემო და რომ რუზველტი და სტალინი ძალიან იოლად შეთანხმდებოდნენ ამ საკითხზე, რომელ ქვეყანასაც არ შეხებოდა ეს ფინეთიდან შავი ზღვის ჩათვლით(16).

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, რუზველტის პოზიციამ ბალკანეთის საკითხისადმი კიდევ ერთხელ განიცადა ტრანსფორმაცია. ამჯერად ის უკვე ყველაფერს დაუთმობდა საბჭოთა მხარეს, თუკი მსგავსი შესაძლებლობა მიეცემოდა, მაგრამ ბალკანეთის საკითხი პრაქტიკულად საბოლოოდ აღმოჩნდა გადაწყვეტილი. რუზველტი იძულებული გახდა, შერიგებოდა იმ ფაქტს, რომ მას მეორეხარისხოვანი როლის თამაში მოუწია ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტაში(17).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფრანკლინ რუზველტის დამოკიდებულება ბალკანეთის საკითხისადმი მეტად ცვალებადი იყო, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მას არ გააჩნდა რაიმე განსაზღვრული გეგმა ამ რეგიონის ომისშემდგომი მოწყობისა. გარდა ამისა, ეს ცხადყოფს, რომ აშშ-ის პრეზიდენტს არ გააჩნდა რაიმე ინტერესები ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში 1944წ. შემოდგომაზე, რამაც განაპირობა კიდეც მისი პასიურობა ამ საკითხის განხილვისას. ერთადერთი, რაც მართლაც აწუხებდა რუზველტს, იყო ის, რომ აღნიშნული პრობლემა მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყდა, ეს კი მისი და მთლიანად აშშ-ის პრესტიჟის ერთგვარ შელახვას ნიშნავდა.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Ch. Wilmot., The Struggle for Europe, L., 1971, p. 447-448.

2. აღსანიშნავია, რომ ასეთი ოპერაციის გეგმა პირველად რუზველტმა წამოაყენა თეირანის კონფერენციაზე (იხ.: **თეირანი, იალტა პოტსდამი. – დოკუმენტების კრებული**, თბ., 1969, გვ.7; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. II. **Тегеранская конференция** руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (28 ноября – 1 декабря 1943 г.), М., 1978, с. 94-95; *Foreign Relations of the United States.* The

Conferences at Cairo and Tehran, Wash., 1961, p. 489), მაგრამ შემდეგ თავი შეიკავა ამ თემის განვრცობისაგან.

3. W. S. Churchill. The Second World War. Vol. 6. Triumph and Tragedy, Boston, Mass., 1953, p. 148. შესაძლოა, ჩერჩილი დამატებით დატვირთვასაც აძლევდა ამ გეგმას. მთელი ეს ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო პრაქტიკულად მხოლოდ ბრიტანული ძალების გამოყენებით, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ მას სურდა, შეენარჩუნებინა ის გავლენა ევროპაში, რომელიც გააჩნდა საუკუნეების განმავლობაში დიდ ბრიტანეთს. შესაძლოა, ჩერჩილის გეგმებში შედიოდა არა მარტო საბჭოთა ჯარების დასწრება ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, არამედ ამ რეგიონის სწორედ ბრიტანული, და არა ბრიტანულ-ამერიკული (ან უბრალოდ დასავლური) გავლენის სფეროში მოქცევა. ჩერჩილს კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდებოდა საომარი მოქმედებები ევროპაში, მით ნაკლები იქნებოდა ბრიტანეთის როლი „დიდ სამეულში" და ის თანდათანობით დავიდოდა მესამე მოკავშირის რანგამდე (ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური ბრიტანელი ისტორიკოსი ჯონ ერმანი სინანულით ახდენს იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ „ოქტაგონი" (კვებეკის კონფერენციის კოდური სახელწოდება) იყო უკანასკნელი ინგლისურ-ამერიკული კონფერენცია, რომელმაც მოახდინა დიდი სტრატეგიის ფორმულირება. 1945 წელს კი, აღნიშნავს ის, იალტისა და პოტსდამის შეხვედრებზე, ბრიტანული გავლენა სულაც არ იყო ისე დიდი, როგორც ადრე – იხ.: J. Ehrman. Grand Strategy. Vol. 5. August 1943–September 1944, L., 1956, p. 506.). 1944 წლის ზაფხულში ვითარება ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ შეცვლილი და დიდ ბრიტანეთს ევროპაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში დაახლოებით იმდენივე ჯარისკაცი ჰყავდა ჩაბმული, რამდენიც აშშ-ს (იხ.: W. S. Churchill. The Second World War. Vol. 6, p. 150.). კინგმა მზადყოფნა გამოთქვა, გამოეყო ისტრიაში შესაჭრელად ის სადესანტო ხომალდები, რომლებიც საჭირო იყო რანგუნის დასაკავებლად და შესაბამისად გადაედო ეს ოპერაცია (აღნიშნული ოპერაცია, რომლის კოდური სახელწოდება იყო "დრაკულა", უნდა ჩატარებულიყო 1945 წლის მარტში, მაგრამ საბოლოო ჯამში ის გაუქმებული იქნა.). როგორც გაირკვა, კინგის ამგვარი მოქმედების მთავარი მიზანი ისევ და ისევ ბრიტანელების წყნარი ოკეანიდან მოცილება იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტრიის ოპერაცია ძირითადად ბრიტანული ძალებით უნდა განხორციელებულიყო და კინგი იმედოვნებდა, რომ მათ ამის შემდეგ უკვე არ დარჩებოდათ პრაქტიკულად არანაირი რეზერვები წყნარ ოკეანეში გადასასროლად (იხ.: B. J. C. McKercher. Toward the Postwar Settlement: Winston Churchill and the Second Quebec Conference, In: *The Second Quebec Conference Revisited*, – ed. by D. Woolner, New York, 1998, p. 29.).

4. *Foreign Relations of the United States.* The Conference at Quebec, 1944, Wash., 1972, p. 367.

5. ამ პრობლემის განხილვისას ჩერჩილი მეტად გააოცა იმ გარემოებამ, რომ ადმირალი კინგი, რომელიც ადრე ყოველთვის წინააღმდეგი იყო იაპონიასთან ომის ხარჯზე ევროპული ფრონტის მომარაგებაზე, ამჯერად აღნიშნული ოპერაციის მთა-

ვარი მხარდამჭერი აღმოჩნდა ამერიკელების მხრიდან (**W. S. Churchill.** The Second World War. Vol. 6, p.159.).

6. **W. F. Kimball.** Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence, vol. 3. Alliance Declining. February 1944 – April 1945, – ed. with commentary by ***Warren F. Kimball***, Princeton, New Jersey, 1984, p. 323.

7. **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins: An Intimate History, New York, 1948, p. 851.

8. **W. F. Kimball.** Churchill and Roosevelt, vol. 3. p. 328.

9. **R. Sherwood.** Roosevelt and Hopkins, p. 852; **W. A. Harriman, E. Abel.** Special Envoy to Churchill and Stalin, New York, 1975, p. 353.

10. **Переписка** председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг., т. II, М., 1957, с. 161.

11. **W. S. Churchill.** The Second World War. Vol. 6, p. 188.

12. იქვე, გვ. 176. მომდევნო დღეებში უნგრეთის საკითხი გადასინჯული იქნა და იდენმა საბოლოოდ 80% დაუთმო საბჭოთა მხარეს. ამის დასტურია ჩერჩილის მიერ თავისი მთავრობის წევრებისადმი 12 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ რადგანაც საბჭოთა ჯარები ამყარებენ სრულ კონტროლს უნგრეთზე, ამ ქვეყანაში უპირატესი უფლებები საბჭოთა კავშირს უნდა მინიჭებოდა, ოღონდ, რასაკვირველია, დიდი ბრიტანეთის და, შესაძლოა, აშშ-ს თანხმობითაც. ამასთან უნგრეთი უნდა განხილულიყო როგორც ცენტრალურ-ევროპული, და არა ბალკანური, სახელმწიფო (იხ.: **W. S. Churchill.** The Second World War. Vol. 6, p. 180.).

13. **W. S. Churchill.** The Second World War. Vol. 6, გვ. 176.

14. **Советско-американские отношения** во время Великой Отечественной войны, 1941-1945гг. Документы и материалы, в 2-х томах, т. II, М., 1984, с. 233. ეს შეტყობინება მოსკოვში მიღებული იქნა 13 ოქტომბერს, სადილი კი ალბათ შედგა 12 ოქტომბერს ან უფრო ადრე – 11-ში.

15. **Советско-американские отношения..**, т. II, с. 233-234.

16. **Советско-американские отношения..**, т. II, с. 234.

17. The Politics of War: The World and the United States Foreign Policy. 1943-1945, New York, 1990, p. 190-191.).

ნათია ჯანიბეგაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აშშ-ს მთავრობის როლი 1930-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში (ახალი კურსის პირველი ეტაპი)

საფონდო ბირჟის კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი, საყოველთაო დეპრესია, გაჭირვება და შიმშილი, უმუშევრობა და უმოქმედობა, შიში და სასოწარკვეთილება, ნიჰილიზმი და იდეათა კრიზისი – ამ სიტყვებით შეიძლება ზოგადად დახასიათდეს 30-იანი წლების ამერიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. ამერიკელი ისტორიკოსები ამ კრიზისს თავისი მნიშვნელობით ისეთ დრამატულ ფურცლებს უტოლებენ, როგორიც იყო ომი დამოუკიდებლობისათვის და 1861-65 წლების სამოქალაქო ომი ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის. ეს ცოტა გაზვიადებულადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან ეკონომიკური კრიზისი ზოგიერთ ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში გრძელდება და ხალხიც ასე თუ ისე ეგუება ამ მდგომარეობას. მაგრამ ამერიკაში, "ახალი პერსპექტივებისა და იმედების მიწაზე" ამ დონის გაჭირვება და დეპრესია რაღაც დაუჯერებელი მოვლენა იყო. ამერიკას შესაძლოა უფრო ბუნებრივად გადაეტანა კიდევ ერთი ომი, ოღონდ მის ეკონომიკურ კეთილდღეობას საფრთხე არ შექმნოდა. 30-იანი წლები ერთ-ერთი შავი ლაქაა ამერიკის ისტორიაში, რომელიც მაინცდამაინც კარგ მოგონებებს არ იწვევს ამერიკელებში, თუმცა ამის მიუხედავად დიდი დეპრესიის პერიოდზე მასალები, წიგნები, ფოტოები, შეიძლება ითქვას საკმარისზე მეტია. ზოგიერთებისაგან განსხვავებით, ამერიკას არასოდეს უცდია მიეჩქმალა თავისი წარსულის არცთუ მომხიბლავი ფურცლები.

30-იან წლებში ამერიკული ეკონომიკა ჯერ გაიყინა, შემდეგ კი საოცარი სისწრაფით თავქვე დაეშვა. მთელ რიგ დარგებში წარმოების ოდენობა 50%-ზე მეტად შემცირდა. მაგ. ამერიკული ეკონომიკის ერთ-ერთი ფლაგმანი-საავტომობილო მრეწველობა 65 %-ით შემცირდა, ლოკომოტივთა წარმოება – 86.4 %-ით, რკინისა და ფოლადის გამოდნობა – 54.3 %-ით და ა.შ. ფერმერთა შემოსავალი, რომელიც 1929 წელს 5, 125 მლნ დოლარს შეადგენდა, 1932 წლისათვის 2, 032 მლნ-მდე დავიდა. მასობრივი გაკოტრების შედეგად 1929 წელს არსებული 25 560 ბანკიდან მხოლოდ 14 771 დარჩა. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 1929 წელს 103,1 მილიარდი დოლარიდან რაღაც სამ წელიწადში 58 მილიარდამდე შემცირდა. ამ მშრალი სტატისტიკის უკან სამუშაოდან დათხოვნილი მილიონობით ადამიანი იდგა. უკვე 1930 წელს ამერიკაში 4 340 000 უმუშევარი იყო, ეს კი შრომისუნარიანი მოსახლეობის 8,7%-ს

შეადგენდა. მომდევნო ორი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებლები კატასტროფულად იზრდებოდა. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ უმუშევრებს მშიერი ცოლ-შვილი შეჰყურებდა ხელში, რაც ერთი სამად ზრდიდა დაზარალებულ ადამიანთა რიცხვს(2). ასე, რომ სასოწარკვეთილი უმუშევრები, ქალები, რომელთა უმუშევრობის დონე კიდევ უფრო მაღალი იყო და ალბათ ყველაზე მეტად დაზარალებული აფრო-ამერიკელები შეადგენდნენ 30-იანი წლების საზოგადოების ძირითად ბირთვს.

ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: "ვინ არის დამნაშავე?" პასუხი თითქოს საკმაოდ მარტივია და ლოგიკურიც. 20-იან წლებში საზოგადოებაში დომინირებდა მოსაზრება, რომ ამ ათწლეულის წინსვლა ბიზნესმენების გენიალობის შედეგი იყო. თუ ბიზნესმენებმა განაპირობეს წარმატება, ბუნებრივია, ისინივე იყვნენ პასუხისმგებელნი ამ წარმატების შენარჩუნებაზე. ისიც საკითხავია, როგორ შეიძლებოდა 20-იანი წლების არნახული აყვავების შემდეგ ასეთი რადიკალური ცვლილებები და საყოველთაო დეპრესია. ცხადი გახდა, რომ აქ რაღაც რიგზე ვერ იყო. ამიტომ, მიუხედავად ფინანსური სამყაროს დიდი წინააღმდეგობისა, 1932 წელს პრეზიდენტმა ჰუვერმა დაიწყო ფინანსური სამყაროს "გადამოწმება". ფერდინანდ პეკორამ, რომელიც ამ "გადამოწმებას" ხელმძღვანელობდა, მალე გააქარწყლა ამ სამყაროს წარმომადგენელთა პატიოსანი იმიჯი; გამოავლინა უამრავი ბიზნესმენის ხრიკები, რომლებიც ხელოვნურად ზრდიდნენ ფასებს აქციებზე და კოლოსალური თანხებით ივსებდნენ ჯიბეს.

და მაინც, ხალხში ერის ბიზნეს-ლიდერებში რწმენის დაკარგვა უფრო მათმა ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია, ვიდრე ამ ბიზნესმენების სოციალურმა უპასუხისმგებლობამ. იმ დროს, როდესაც ათასობით ამერიკელი შიმშილით კვდებოდა (პირდაპირი გაგებით) მსხვილი ბიზნესმენები ასტრონომიული ციფრების ხელფასს იღებდნენ და უარს ამბობდნენ უმცირესი გადასახადების გადახდაზეც კი. ზოგიერთი კი, მაგ. ჯონ ედგერტონი ამბობდა, რომ უმუშევრებმა სიღარიბე საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. ედგერტონის ტონი გასაგები იყო, რადგან ამ პერიოდის ბიზნეს-ლიტერატურაში ფიგურირებდა იდეა, რომ კრიზისმა მსხვილი ბიზნესმენები უფრო დააზარალა, ვიდრე უბრალო მუშები(5).

მეორე მხრივ, არსებულ მდგომარეობაში დამნაშავე თვით ამერიკელების წინდაუხედაობა იყო. საოცარია, მაგრამ 30-იანი წლების ამერიკაში არც შტატისა და არც ფედერალურ დონეზე არ არსებობდა სოციალური დაზღვევის ან უზრუნველყოფის ინსტიტუტები, რომლებიც უმუშევართ დაეხმარებოდნენ. დღეს ეს შეიძლება საკვირველად მოგვეჩვენოს, მაგრამ 20-იანი წლების ინდივიდუალისტური ამერიკა ამაყობდა კიდეც ასეთი მდგომარეობით. ბევრს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო დახმარება მაშინვე შეზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას, გადააგვარებდა მის ფსიქიკას და სახელმწიფოსაგან დავალებულ მათხოვრად აქცევდა(2). მოგვინებით თავის ერთ-ერთ სიტყვაში ფრანკლინ

რუზველტი იტყვის: "მეც მწამს ინდივიდუალიზმის და ვაღიარებ ამ ფენომენს ხელოვნებაშიც, მეცნიერებაშიც, ბიზნესშიც. მაგრამ მე ვაღიარებ ინდივიდუალიზმს იმ დონემდე, ვიდრე იგი კეთილგონიერებას ეფუძნება. ჩვენ უკვე გვაქვს მწარე გამოცდილება იმისა, თუ რა მოგვიტანა ინდივიდუალიზმმა კეთილგონიერების გარეშე. ეს იწვნია საზოგადოებამაც და ბიზნესმაც".

მაგრამ მთავარი და ამოსავალი წერტილი მაინც ის იყო, რომ კრიზისის პერიოდში თავად ბიზნესმენებმა დაკარგეს რწმენა საკუთარ თავში და მიხვდნენ, რომ დადგა დრო, როცა მთავრობისათვის უნდა ეთხოვათ დახმარება. ერთმა ეკონომისტმა ისიც აღნიშნა: "უფრო ადვილად დავიჯერებ იმას, რომ დედამიწა ბრტყელია, ვიდრე იმას, რომ ჩვენ მხოლოდ კერძო ინიციატივა გადაგვარჩენს"(იქვე).

1931 წელს კრიტიკოსი ედმუნდ უილსონი წერდა: "დღესედღეობით არსებულმა კრიზისმა რაღაცას წერტილი დაუსვა". მაშინ საზოგადოებას მთლად გაცნობიერებული არ ჰქონდა, რა იყო ეს "რაღაც". ეს მხოლოდ 2 წლის შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ფრანკლინ რუზველტმა შეიმუშავა ე.წ. "ახალი კურსი".

ვიდრე უშუალოდ "ახალი კურსის" პროგრამებზე გადავიდოდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ვთქვათ აშშ-ის ეკონომიკის თავისებურებებზე, რათა უფრო გამოიკვეთოს მთავრობის როლი აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

აშშ-ის ბიზნესის მიმართ მთავრობის პოლიტიკის თეორიულ საფუძველს მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა Laissez faire (ლესი ფერ) ანუ leave-it-alone, ანუ თავის ნებაზე მიშვების კონცეფცია, რომელიც კერძო ინტერესებს აძლევდა უფლებას თავად ემართათ ბიზნესში ოპერირების სადავეები. სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი და განსაკუთრებით კი 30-იანი წლები ასოცირდება "ლესი ფერის" შესუსტებასა და ეტატიზმის გაძლიერებასთან. თუმცა ეს ასე მარტივად არ ხდებოდა, რადგან "ლესი ფერის" კონცეფციას საკმაოდ მყარი და მრავალფეროვანი ბაზისი უმაგრებდა ზურგს.

ა) პოლიტიკური საფუძველი – მე-18 საუკუნის შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა ძლიერი გავლენა მოახდინა "ლესი ფერის" იდეის განვითარებაზე და, აქედან გამომდინარე, ამერიკაში კაპიტალიზმის განვითარებაზეც. ის ამტკიცებდა, რომ კერძო პირთა მოქმედებანი, რომლებიც მოტივირებულია მათი პირადი ინტერესებით, კონკურენტული ბაზრების არარსებობის პირობებში ერთობლივად მუშაობდნენ საზოგადოების კეთილდღეობისათვის.

ბ) Laissez faire-ის ეკონომიკური ფილოსოფიის რელიგიური საფუძველი – რა თქმა უნდა, რელიგიური ხასიათის არგუმენტები მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იყო XIX ს-ის ბოლოს და, თუნდაც XX ს-ის დასაწყისში, ვიდრე წმინდა ეკონომიკური მოსაზრებები. ასეთი აზრიც ფიგურირებდა, რომ თუ საკმაო სიმდიდრეს ფლობდი, ეს ღვთიური საჩუქარი იყო, ხოლო სიღარიბე – პირიქით, ცოდვებისა და მანკიერების

ბრალი. ამიტომაც ნებისმიერი მცდელობა სიღარიბის დაძლევისა ესმოდათ, როგორც ღვთის საქმეში ჩარევა. ამიტომ status quo-ს დამცველები ხშირად ბიბლიასა და რელიგიას იშველიებდნენ, რათა აეხსნათ სიმდიდრის ან სიღარიბის მოვლენა და განევითარებინათ არგუმენტები მთავრობის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.

გ) Laissez faire-ის მეცნიერული საფუძველი მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. იგი ემყარებოდა დარვინიზმის თეორიის ვარიანტს, რომელსაც თანამედროვე ისტორიკოსებმა სოციალური დარვინიზმი უწოდეს. ჰერბერტ სპენსერი, რომელმაც ჩამოყალიბებული ფორმა და არსი მისცა ამ მიმართულებას, ცდილობდა ბიოლოგიური განვითარების დარვინისტული კონცეფციების საფუძველზე აეხსნა საზოგადოებრივი და სოციალური ურთიერთობები. სპენსერი დარვინიზმის საფუძველზე ხსნიდა საზოგადოებაში ინდივიდის ბრძოლას თვითგადარჩენისათვის. მას ასევე სწამდა, რომ ეს ბრძოლა უთუოდ ღირსეულის გადარჩენით დასრულდებოდა.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სპენსერის დოქტრინა ოპტიმისტური იყო, რადგანაც ამ ხანგრძლივი და დაუნდობელი ბრძოლის შემდეგ ბრძოლის ველზე რჩებოდნენ მხოლოდ ღირსეულები. ამ ფილოსოფიის შედეგად სპენსერმა დაიკავა ულტრა-კონსერვატული პოზიცია სოციალურ საკითხერბში. იგი ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ სოციალურ რეფორმას, როგორც ადამიანის არასასურველ ჩარევას საზოგადოების ბუნებრივ განვითარებაში. სპენსერი ასევე ეწინააღმდეგებოდა მთავრობის პროგრამას გაჭირვებულთა დახმარებისათვის. მან განაცხადა, რომ ბუნების მცდელობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ასეთი ელემენტები (ღარიბები) თავიდან მოეშორებინა და ადგილი გაეთავისუფლებინა უკეთესებისათვის (მდიდრებისათვის). თუ ისინი სიცოცხლისუნარიანი იყვნენ, იცოცხლებდნენ, თუ არადა დაიხოცებოდნენ და ეს ალბათ საუკეთესო რამ იქნებოდა, რისი გაკეთებაც შეეძლოთ.

დ) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც ზურგს უმაგრებდა Laissez faire-ის, გახლდათ ალბათ ტიპიური ამერიკული ფენომენი – ინდივიდუალიზმი. ამერიკული ინდივიდუალიზმი მოითხოვდა ფედერალური მთავრობის ჩაურევლობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ფედერალურ ხელისუფლებას კი ე.წ. „ღამის დარაჯის" როლი ეკისრებოდა – შეერთებული შტატების საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები უნდა დაეცვა, ხოლო საშინაო პოლიტიკაში აქტიურობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოეჩინა.

ასეთი იყო ის წინამძღვრები, რაც საფუძველს უმაგრებდა 30-იანი წლების ეკონომიკის ავტონომიას. ამ ავტონომიის დარღვევა ვერ მოახერხა ჰუვერმა, რომლის პოლიტიკაც კონსერვატიულ ხასიათს ატარებდა. მისგან რადიკალურად განსხვავდებოდა ფ. დ. რუზველტი, რომელიც 1932 წელს, არჩევიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ხალხს ასე მიმართავდა: "ჩემი ადმინისტრაციის ძირითადი მიზანი ამიერიდან დრომოჭმული, სულელური ტრადიციების

დარღვევა იქნება. მე მოგიწოდებთ თქვენ და მოვუწოდებ საკუთარ თავს ახალი კურსისაკენ ამერიკელი ხალხის საკეთილდღეოდ". ეს სიტყვები (ახალი კურსი) რომლისთვისაც მაშინ რუზველტს არავითარი სპეციფიური მნიშვნელობა არ მიუცია, მთელი მისი პოლიტიკური პროგრამის აღმნიშვნელი გახდა.

ვინაიდან იმ ეკონომიკური პროცესების სკურპულოზური აღწერა, რაც "ახალი კურსის" პროგრამების განხორციელებას მოჰყვა, შორს წაგვიყვანს, და ფაქტობრივად, ეს არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს, მხოლოდ ზოგადად შევეხებით იმ პროგრამებს, რაც ამ პერიოდში გაატარა მთავრობამ ეკონომიკის სფეროში (33-34 წწ), მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გაფართოვდა მთავრობის ჩარევის დონე ეკონომიკაში და აგრეთვე, რამდენად ნაჩქარევი და წინდაუხედავი იყო "ახალი კურსის" პროგრამები საწყის ეტაპზევე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუზველტის თვითმიზანი მართლაც ეკონომიკის ხელშეუხებლობა, ტრადიციის დამსხვრევა იყო და ამდენად, დიდად არ იწუხებდა თავს ამ პროგრამების ბოლომდე გააზრებით და მათი ეფექტიანობის წინასწარ განჭვრეტით.

იმისათვის, რომ ახალ კურსს საწყის ეტაპზე უფრო სისტემური სახე მივცეთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველაზე თვალშისაცემი პროგრამები სამი ძირითადი მიმართულებით გატარდა.

ა) შრომითი დასაქმება – უმუშევართათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო „კონსერვაციის სამოქალაქო კორპუსი" (CCC) – პროგრამა, რომელიც მიიღო კონგრესმა 18-25 წლის ბიჭების დასახმარებლად. CCC-ს ჰქონდა ნახევრად გასამხედროებული სტილი. ეწერებოდნენ ახალგაზრდა ბიჭები მთელ ქვეყანაში განლაგებულ შრომით ბანაკებში სამუშაოდ 30 დოლარად თვეში. ამას დაერთო „სამოქალაქო სამუშაოების განხორციელების პროგრამა", რომელმაც ფაქტობრივად დაიწყო შრომითი დახმარება. მაგრამ მას აკრიტიკებდნენ, როგორც იძულებით "შრომას". 1933 წელს მიღებულ ამ პროგრამაზე უკვე უარი თქვეს 1934 წელს.

ბ) სოფლის მეურნეობა – 1933 წელსვე კონგრესმა მიიღო „სოფლის მეურნეობის გამოკეთების აქტი" (AAA). მის არსს წარმოადგენდა პროდუქციაზე ფასების აწევა ფერმერებისათვის სუბსიდიების გაცემის გზით, რითაც მიიღწეოდა წარმოების ნებაყოფლობითი შემცირება. ამ სუბსიდიების დაფინანსება ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობისთვის გადასახდების დაწესებით, ე.ი. ფართოვდებოდა სოფლის მეურნეობის მინისტრის ფუნქციები, მაგრამ არ ილახებოდა ფერმერთა ინტერესები. თითქოს ყველაფერი გააზრებული იყო და ამ აქტს წარმატებით უნდა ემუშავა, მაგრამ საწყის ეტაპზევე შეხვდა დაბრკოლება. იმ დროს, როდესაც ეს აქტი კანონად იქცა, მოსავლის აღება დიდი ხნის დაწყებული იყო, რამაც მისი ეფექტურობა საგრძნობლად შეასუსტა.

მომდევნო წლებში ჭარბი პროდუქციის ოდენობა შემცირდა და ფერმერთა შემოსავალიც 50%-ით გაიზარდა, მაგრამ საკითხავია ამას AAA-მ შე-

უწყო ხელი თუ ბუნების სტიქიამ. 30-იან წლებში დიდი დაბლობების სამხრეთით მძვინვარებდა ქვიშის ქარიშხლები, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის შემცირებას.

1936 წელს AAA-ზეც უარი ითქვა, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელთათვის გადასახდების დაწესება არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს.

გ) მრეწველობა - იმავე 1933 წელს შეიქმნა ეროვნული აღორძინების ადმინისტრაცია, რომლის მიზანს, ეროვნული მრეწველობის აღორძინების აქტთან ერთად წარმოადგენდა დაუნდობელი კონკურენციის აღკვეთა კონკურენციის სამართლიანი კოდექსის შემოღებით და სამუშაო ადგილებისა და მსყიდველობითი უნარის გაზრდა. თუმცა თავდაპირველად ამ აქტს მოწონებით შეხვდნენ, მაგრამ მოგვიანებით, როცა აღორძინება დაიწყო, ბიზნესმენები უჩიოდნენ გადაჭარბებულ რეგულირებას. მათ მიზანს მიაღწიეს და 1935 წელს ეროვნული აღორძინების ადმინისტრაცია არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

ბიზნესმენებისა თუ ისტორიკოსების მხრიდან არ წყდებოდა "ახალი კურსის" კრიტიკა. ობიექტურადაც რომ შევხედოთ, რუზველტის "კურსი", მართლაც არცთუ ისე ახალი იყო იმ თვალსაზრისით, რომ იგი უბრალოდ წარმოადგენდა laissez faire-ის შესუსტებისა და ეტატიზმის გაძლიერების პროგრამის კულმინაციას. (უბრუნდებოდა 1880 წლის რკინიგზის რეგულირების პოლიტიკას და თ. რუზველტის და ვუდრო უილსონის "პროგრესულ ეპოქაში" გატარებული რეფორმების წყებას ეროვნულ და სახელმწიფო კანონმდებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ რუზველტის რეფორმების უმრავლესობა საწყის ეტაპზევე ზედმეტად ნაჩქარევი, ბოლომდე გაუაზრებელი და სუსტად განვითარებული იყო, რუზველტმა მაინც მიაღწია წარმატებას. თუმცა ალბათ ეს უფრო ობიექტური მიზეზების გამო მოხდა, რადგან მრეწველობა და მეურნეობა, როგორც ასეთი, მუშაობდა. უბრალოდ ხალხის მსყიდველობითი უნარი იყო დაქვეითებული. ამერიკას ნამდვილად ჰქონდა პოტენცია მდგომარეობის დასარეგულირებლად, უბრალოდ მოქმედების ცოტა ჭკვიანური გეგმა და პატარა ბიძგი სჭირდებოდა. (შესაძლოა, laissez faire-ის მეცნიერული საფუძველი გამართლებულიყო კიდეც და, როგორც ჰუვერი ვარაუდობდა, მდგომარეობა თავისთავად გამოსწორებულიყო). გარდა ამისა, რუზველტის წარმატება მისმა აქტიურობამაც განაპირობა რესპუბლიკელების პასიურობის ფონზე. ამას კი ნამდვილად ვერ დავუკარგავთ, ჰუვერისაგან განსხვავებით ის ნამდვილი ექსპერიმენტატორი იყო. 1932 წელსვე მან თქვა: "კარგი იქნება, თუ გარკვეულ მეთოდებს პრაქტიკულად გამოვცდით. თუ ერთი მეთოდი არ გაამართლებს, უბრალოდ გულღიად ვაღიაროთ მარცხი და ახალი ვცადოთ"(9). ეს შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით სახიფათო თვისებაც იყოს იმ ადამიანისთვის, რომელსაც ამხელა ქვეყნის ბედი აბარია, მაგრამ რისკს დადებითიც უთუოდ თან ახლავს (ყოველ შემთხვევაში უმოქმედობას ნამდვი-

ლად სჯობს).

რუზველტის პოლიტიკა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მის თვითმიზანს თავისუფალი მეწარმეობის აღკვეთა წარმოაგენდა. პირიქით, თავის თითქმის ყოველ გამოსვლაში იმ აზრს აფიქსირებდა, რომ თავისუფალი მეწარმეობა აშშ-ის კეთილდღეობის ხერხემალს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მიუხედავად ახალი კურსის სისუსტისა, არც ერთი რეფორმა არ ლახავდა ბიზნესმენების ინტერესებსა და უფლებებს. პირიქით, მთავრობის ეკონომიკაში ჩარევა გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ეხმარებოდა იმ ფერმერებს, ბიზნესმენებსა თუ მუშებს, რომლებიც ადრე იმ ადამიანთა სიის ბოლოში იდგნენ, ვინც რაიმე სარგებელს იღებდა მთავრობისაგან.

დღევანდელი გადასახედიდან ძნელი სათქმელია, ეტატიზმის გაძლიერება დადებითი იყო თუ უარყოფითი აშშ-ის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისათვის. ერთი რამ კი ცხადია: იმ პერიოდში ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი მეტნაკლებად დარწმუნდა, რომ ერის მამოძრავებელი ძალა მთავრობა იყო და არა მარტო ბიზნესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამერიკის ეკონომიკა (ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა). აშშ საინფორმაციო სააგენტო

2. კაჭრავა ვ. მშრალი კანონი ამერიკაში. თბილისი, განათლება, 1991.

3. Burns, McGregor J., The Workshop of Democracy, New Dehli, 1987.

4. Leuchenberg W.E. The Perilsof Prosperity. 1914-1932. Chicago and London, 1958.

5. Leuchenberg W.E., Franklin D. Roosevelt and the New Deal., Harper and Row Publishers Incorporated, 1963.

6. Luther S. Luedthe, Making America. The society and culture of the United States, US Information Agency, 1995.

7. McElvaine R.S, The Great Depression, Times Book, 1984.

8. An Economic History of the US, Houghton Mifflin Company Boston, The riverside Press, Cambridge, 1959.

9. The Annals of America, (Vol 15), Encyclopedia Britannica, 1976.

10. The World Book. Encyclopedia. Chicago,London,Sidney, Toronto, 1995.

11. Morison S.E., Steele H., Leuchtenberg W.E., The Growth of American Republic, (Vol. 12), Oxford University Press, 1980.

თამარ მაისაშვილი
თსუ ისტორიის ფაკულტეტის დიპლომატიისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
ისტორიის განყოფილების სტუდენტი

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობა ისლამური რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდში (მძევლების საკითხი)

როგორც ყველასთვის ცნობილია 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ქვეყნებმა მთელი ყურადღება გადაიტანეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ აქტიურ ბრძოლას სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) შუა აღმოსავლეთის რეგიონში ირანი იმ ქვეყნებს შორის დაასახელა, რომლებიც მფარველობას უწევენ ტერორისტულ ორგანიზაციებს. აქედან გამომდინარე მათი ურთიერთობა დღესდღეობით ნამდვილად არ არის მეგობრული და მათ შორის არსებული არამყარი ურთიერთობების საფუძვლები ისლამური რევოლუციის პერიოდიდან უნდა მოვიძიოთ. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს მონოგრაფიები, მიძღვნილი სპეციალურად ამ საკითხისადმი. ქართულ ენაზე არსებობს ნაშრომები, მიძღვნილი სპეციალურად ირანის ისტორიისადმი, მათ შორის, პ.სურგულაძის, გ.ჭიპაშვილის, გ. სანიკიძის დისერტაციები, რომლებშიც ზოგადად არის ნახსენები ირანისა და ამერიკის ურთიერთობის ცალკეული დეტალები. შედარებით ზოგადი ხასიათის არის თბილისში IREX-ის ბიბლიოთეკაში არსებული ამერიკული ლიტერატურაც (მაგ., იხ. 1, 3, 6), ისევე როგორც თავის დროზე საბჭოთა კავშირში გამოცემული წიგნები, რომლებშიც ამერიკა-ირანის ურთიერთობა ცალკე გამოყოფილი არ არის.

ამიტომ დაგვჭირდა ამერიკელი მეგობრების დახმარება, რომლებმაც გამოგვიგზავნეს რამდენიმე უაღრესად საინტერესო მონოგრაფია, მათგან ორი უშუალოდ ამერიკა-ირანის ურთიერთობას ეხება. ესენია: გერი სიქის „ოქტომბრის გაკვირვება. ამერიკელი მძევლები ირანში და რ. რეიგანის არჩევნები“(5) და დონ ლოუსონის „ამერიკა ფლობს მძევლებს. ირან-მძევლების კრიზისი და ირან-კონტრას საქმე“(2). ვინაიდან ერთ-ერთი წიგნის ავტორი გერი სიქი იყო უშუალო წარმომადგენელი პრეზიდენტების ფორდის, კარტერისა და რეიგანის დროს, თეთრ სახლში ირანთან დაკავშირებულ საკითხებში, ამიტომ მის წიგნში ბევრი ახალი, აქამდე უცნობი და გასაიდუმლოებული მასალაა გადმოცემული. ეს მასალა შესაძლებლობას გვაძლევს ახლებურად შე-

ვხედოთ რეიგანის საპრეზიდენტო კამპანიის მეთოდებს და ამერიკისა და ირანის ურთიერთობებს ამ პერიოდში. სტატიისათვის გამოვიყენეთ, აგრეთვე, პირველწყაროები ინტერნეტიდან, მათ შორის, ჯიმი კარტერის მუზეუმში დაცული დოკუმენტები(4).

ისლამურ რევოლუციამდე ამერიკელები ირანს აღიქვამდნენ შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქვეყნად, ირანის შაჰი მოჰამად რეზა ფეჰლევი კი ამერიკელთა მთავარი საყრდენი იყო ამ რეგიონში. შაჰი აქტიურად ცდილობდა ირანის გადაქცევას მყარი, მონარქიული რეჟიმის მქონე ძლიერ სახელმწიფოდ, ამერიკასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შენარჩუნებას, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფდა ირანის სტაბილურობას შუა აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურის რეგიონში.

მოდერნიზაციამ და უცხოური გავლენის გაზრდამ კი მძიმე დარტყმა მიაყენა სამღვდელოების გავლენას ირანულ საზოგადოებაზე. ირანელი მეცნიერის ჯალალ აჰმატის სიტყვებით, რელიგიის სფერო არ ექვემდებარება სახელმწიფოს და რელიგია პოლიტიკაზე მაღლა დგას. აქედან გამომდინარე, ულემები ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი ხასიათის ცვლილებას, პროგრესსა და რევიზიას. ოპოზიცია შაჰის წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა. აშკარა გახდა ამერიკელთა დახმარების უსუსურობა შაჰის რეჟიმის დასაცავად.

მაგრამ ამერიკის დიდი გაკვირვება გამოიწვია შაჰის გადაწყვეტილებამ, რომელმაც ოჯახთან ერთად სამუდამოდ დატოვა ირანი. მას თავისი მოკავშირის, ამერიკის იმედი ჰქონდა, რომ სწორედ შეერთებულ შტატებში შეაფარებდა თავს. მაგრამ კარტერის ადმინისტრაცია ვერ ბედავდა მის მასპინძლობას, თუმცა შაჰს ჰყავდა ქომაგები: სახელმწიფო მდივანი – ჰენრი კისინჯერი, ბანკირი როკფელერი და დიპლომატი მაკკლოი, რომლებმაც სცადეს დაერწმუნებინათ კარტერი, რათა შაჰისთვის ქვეყანაში შესვლის ნება დაერთოთ. სწორედ ამან განსაკუთრებით გაამწვავა ამერიკა-ირანის ურთიერთობა.

თავდაპირველად თეირანში ამერიკის საელჩოს გახსნას ირანელები დადებითად აღიქვამდნენ. მათი აზრით, ამერიკას სურდა გამოყოფოდა იმ მსოფლიო ძალებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ზევიდან დაჰყურებდნენ ირანს და იმედოვნებდა ირანთან თბილი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ 1979 წლის შემოდგომისთვის ეს ატმოსფერო ადგილობრივ ირანელებსა და საელჩოს წარმომადგენლობას შორის სავსებით გაქრა. ირანელი დემონსტრანტები, რომელთა უმრავლესობაც რადიკალურად განწყობილი სტუდენტები იკვნენ, მართავდნენ ყოველდღიურ დემონსტრაციებს ამერიკის საელჩოს წინ. ის სტუდენტები, რომლებიც ადრე ამაყად აცხადე-

ბდნენ, რომ ამერიკისა და ამერიკელების მეგობრები იყვნენ, ახლა გამოდიოდნენ ლოზუნგებით „ძირს ამერიკული სატანა, ამერიკელებო წადით თქვენს სახლში, სიკვდილი შაჰს“. მათი აზრით, ამერიკის საელჩო იყო ჯაშუშების ბუდე და მოითხოვდნენ მის მოსპობას. დემონსტრაციამ კულმინაციას მიაღწია 1979 წ. ოქტომბერში, როდესაც ჯ. კარტერმა ნება დართო კიბოთი დაავადებულ შაჰს ჩასულიყო ამერიკაში და ემკურნალა ნიუ-იორკის ჰოსპიტალში. აღშფოთებულმა სტუდენტებმა დაიკავეს საელჩო და მძევლად აიყვანეს საელჩოს თანამშრომლები, რომელთაც მათი პირობების შესრულებამდე არ გაანთავისუფლებდნენ. ერთ-ერთი დათმობა, რაზეც დემონსტრანტები წავიდნენ იყო ის, რომ გაათავისუფლეს ყველა შავკანიანი და ქალების უმრავლესობა. ზანგები იმის გამო, რომ, მათი სიტყვებით, ისინი თეთრი ამერიკელი მჩაგვრელების მსხვერპლნი იყვნენ, ხოლო ქალები იმის გამო, რომ მუსლიმები ომს არ აწარმოებენ ქალების წინააღმდეგ. საბოლოოდ მძევალთა რაოდენობა 52-მდე შემცირდა. სხვა ერები, ისევე როგორც ამერიკა, აღშფოთებულნი იყვნენ ირანის მიერ მძევალთა აყვანის ფაქტით. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს არღვევდა საყოველთაოდ აღიარებულ წესს, რომ საელჩოები უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხელშეუხებელი იყო და არ შეიძლებოდა იქ შესვლა იმ ქვეყნის ნებართვის გარეშე, რომელსაც ისინი ეკუთვნოდა. ამერიკელი ხალხი მთავრობისგან საპასუხო მოქმედებას მოითხოვდა.

ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეეძლო ამ ვითარების განმუხტვა, იყო აიათოლა ჰომეინი. მაგრამ როგორც ისლამური რევოლუციის ლიდერი, იგი არ იყო დაინტერესებული კომპრომისზე წასვლით „ურწმუნო“ დასავლეთის სამყაროს წინაშე.

ვინაიდან ირანი არანაირ გარიგებაზე წასვლას არ აპირებდა, ამერიკამ მას სავაჭრო-ეკონომიკური ბოიკოტი გამოუცხადა, ემბარგო დააწესა სამხედრო შეიარაღების მიწოდებაზე და გაყინა ირანის ანგარიშები ამერიკის ბანკში (დაახლოებით 12 მლრდ დოლარი). მაგრამ ამ ეკონომიკურ სანქციებს არავითარი შედეგი არ მოჰყვა. ფაქტობრივად ამერიკას მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენების იმედილა დარჩა, მაგრამ თუ რუსულ პრესას დავეყრდნობით, ამერიკა მხოლოდ ყველას თვალის ასახვევად ამბობდა, რომ ძალისმიერი მეთოდი იყო უკანასკნელი შანსი მძევალთა დასახსნელად, თუმცა ირანელთა მტკიცებით, შეერთებული შტატები ირანის წინააღმდეგ სამხედრო მზადებას აწარმოებდა. შეერთებულ შტატებს სურდა გამოეყენებინა თავის მოკავშირეთა ბაზები ირანში სამხედრო ჩარევის შემთხვევაში და ამ მიზნით თავის ნატოელ პარტნიორებზე „აქტიურ ზეგავლენას“ ახდენდა(იხ.7). თუკი გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ იმ ფაქტს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ირანის ნავთობის ფართო მომხმარებლები იყვნენ, მაშინ შეიძლება გამართლდეს მათი ე.წ. „ჰუმანური“ დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. მაგრამ ჰომეინის

განცხადებების შემდეგ არ შეიძლება უარყოფითად შეეფასებინათ ამერიკის რეაქცია. ჰომეინი აცხადებდა: „ჩვენ ვავრცელებთ რევოლუციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბრძოლა გაგრძელდება მანამ, სანამ მოწოდება „არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა“ არ გავრცელდება ყველგან. ეს საჭიროა, რათა ბოლო მოეღოს ამერიკის ბატონობას მუსლიმურ ქვეყნებში“ (9,გვ 5).

კარტერმა განაცხადა, რომ არ დაუშვებდა ამერიკა-ირანის კრიზისის განუსაზღვრელი ვადით გაჭიანურებას: „ჩვენ გვაქვს საკუთარი მიზნები და სიმტკიცე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენებთ“(4). სამხედრო ოპერაცია მძევალთა გასათავისუფლებლად, რომელსაც კოორდინაციას პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკი უწევდა, ტექნიკური გაუმართავობის გამო ჩაიშალა, რასაც ვერტმფრენის ეკიპაჟის რვა წევრი შეეწირა, თუმცა ირანელები უფრო მეტს ასახელებენ. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა პრეზიდენტის კარიერაზე. ისევე როგორც მძევალთა საკითხის გადაწყვეტაზე უარყოფითად იმოქმედებდა რეიგან-ბუშის საპრეზიდენტო კამპანია, რომელიც იქითკენ იყო მიმართული, რომ დაებორკილებინა მძევლების განთავისუფლება არჩევნებამდე. საარჩევნო კამპანიის პერიოდში წარმოებდა მრავალი უშედეგო ოპერაცია. ვინაიდან კარტერისადმი ნდობა მთლიანად გაქრა, რესპუბლიკელთა კამპანიის ერთ-ერთი წევრი მეორე საიდუმლო გეგმის შესახებ წერს: „თუკი ოპერაციის გეგმა განხორციელდებოდა, ეს იქნებოდა ყველაზე მკაცრი ოპერაცია, რაც კი ოდესმე მინახავს კარიერის მანძილზე“(2,გვ.5). მაგრამ გეგმა განუხორციელებელი დარჩა, ვინაიდან კარტერის პოლიტიკური რეიტინგი საბოლოოდ დაეცა.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რაც კულისებს მიღმა ხდებოდა. მხედველობაში მაქვს იმ დროისათვის გასაიდუმლოებული უმნიშვნელოვანესი ურთიერთობები. სწორედ მათ შესახებ გადმოგვცემს საიდუმლო მასალებს ზემოხსენებული მონოგრაფიების ავტორი გერი სიქი. მისი აზრით, სამი ქვეყნის: ამერიკის, ირანის და ისრაელის საიდუმლო ურთიერთობები იყო სტრატეგიული ინტერესების, პოლიტიკური კონკურენციის და პირადი ამბიციების შედეგი. 1980 წლის აპრილში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მენაჰემ ბეგინმა შესთავაზა კარტერს მძევლების დასახსნელად გამოეყენებინა ისრაელის კონტაქტები ირანთან, რაზეც უარი მიიღო. თუმცა, მოგვიანებით ისრაელმა მაინც დაამყარა საიდუმლო ურთიერთობა ირანთან. მაგრამ რესპუბლიკელთა ფარული მხარდაჭერით, ირანთან რესპუბლიკელების საიდუმლო ურთიერთობების შესახებ კარტერის ადმინისტრაციამ არაფერი იცოდა. რასაკვირველია, რეიგანის ქმედებები არღვევდა საგარეო პოლიტიკურ დირექტივებსა და კონგრესის მიერ მიღებულ კანონებს და ცდილობდა ამის საიდუმლოდ შენახვას (თუმცა ეს მათი არალეგარული ქმედებები მოგვიანებით ცნობილი გახდა ირან-კონტრას სახელით).

საინტერესოა იასირ არაფატის თანაშემწის, აბუ შარიფის მიერ გადმოცემული ამბები, რომელიც ამბობს, თუ როგორ ცდილობდა რეიგანის უახლოესი მეგობარი, მისივე კომპანიის წევრი დახმარებოდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, რის სანაცვლოდაც მათ უნდა დაებრკოლებინათ მძევალთა განთავისუფლების საკითხის მოგვარება საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ამის შემდეგ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია იქნებოდა პალესტინელი ხალხის ლეგიტიმური წარმომადგენელი და თეთრი სახლის კარი ღია იქნებოდა მათთვის. რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციის შუამავლობა პოლიტიკურად სარისკო იყო რეიგანისათვის მძევალთა საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ უფრო მეტად საყურადღებოა ის შეხვედრები, რომელსაც აწარმოებდა უილიამ ქეისი - რესპუბლიკელთა პარტიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ირანთან ურთიერთობის საკითხეებში. მისი შეხვედრები ევროპაში (მადრიდში, პარიზში) ირანის წარმომადგენლებთან საკმაოდ შედეგიანი იყო. იგი აცხადებდა, რომ კარტერი მანიპულირებას ახდენდა მძევალთა საკითხებით თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის, რათა ხელმეორედ ყოფილიყო არჩეული. მაგრამ უფრო მეტი კანონდარღვევით მოქმედებდა რეიგან-ბუშის შტაბი, რომელსაც თავისი აგენტები ჰყავდა ყველგან: თეთრ სახლში, პენტაგონში, უშიშროების საბჭოში. აქედან გამომდინარე, ისინი კარგად ფლობდნენ ინფორმაციას, რომლის ძირითადი წყაროც იყო აგენტების მიერ მოპარული პრეზიდენტ კარტერის ბრიფინგის ოქმის ასლი, რომელიც რეიგანმა კარგად გამოიყენა პრეზიდენტ კარტერთან ოქტომბრის დებატებისთვის. რეიგანი ერთი მხრივ უარყოფდა რაიმე მოლაპარაკებაზე წასვლას ნებისმიერი სახის ტერორიზმთან დაკავშირებით, მაგრამ რეალურად სულ სხვაგვარად მოქმედებდა. ამ განცხადებამდე ერთი კვირით ადრე მისი წარმომადგენელი შეხვდა ირანის მხარეს პარიზში, სადაც უკვე საუბრობდნენ იმაზე, თუ რა პირობებში მოხდებოდა მძევალთა განთავისუფლება, იმ პოლიტიკური და სამხედრო პარტნიორობის სანაცვლოდ, რომელსაც ამერიკული მხარე პირდებოდა. მის განცხადებებშიც გარკვევით არის აღნიშნული რამდენიმე დეტალი მოლაპარაკების თაობაზე, დადებითი პასუხები ოთხ პირობაზე მძევალთა გათავისუფლების სანაცვლოდ. რეიგანმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პრეზიდენტად აერჩიათ და ისიც მოახერხა, რომ მძევლების გათავისუფლება 444-დღიანი პატიმრობიდან ამერიკის მეორმოცე პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს დაამთხვია. რეიგანმა თავისი დიდსულოვნების გამოსახატავად კარტერი გაგზავნა დასავლეთ გერმანიის ქ.ვაისბადენში, როგორც ამერიკის ემისარი, რათა შეხვედროდა მძევლებს მათი თავისუფლების პირველ დღეს. ეს იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც რეიგანი მოხვდა ამერიკის ყველაზე პოპულარულ პრეზიდენტებს შორის.

ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ საბოლოო შედეგების მისაღწევად ირანმა

უნდა შეწყვიტოს ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება და უარი თქვას ბირთვული იარაღის შექმნისა თუ შეძენის სურვილზე. ამისათვის ვაშინგტონს გამიზნული ჰქონდა ირანელების შეშინება და თეირანის იძულება შეეწყვიტა ტერორისტთა დაფინანსება, რის მისაღწევადაც ყველაზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური და ეკონომიკური სანქციები იყო. მაგრამ იგივე სანქციები ლახავდა თვით ამერიკის ინტერესებს და ხელს უშლიდა მის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. ირანი ხომ შეერთებული შტატებისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით მიმზიდველ რეგიონს წარმოადგენს, რომელიც მას ნავთობის არტერიებით მდიდარ სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვასთან აახლოებს.

დღეს ირანის ისლამური რესპუბლიკის რეჟიმი უფრო მეტად პრაგმატული და ნაკლებად რევოლუციური გახდა. მოსახლეობის 50%-ზე მეტს, რომელთა უმრავლესობაც ახალგაზრდები არიან, სურს არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა. მათი ინტერესები ახლა არის საკუთარი საქმის ძიება და არა რევოლუციური ძვრები ქვეყანაში. „XXI ს. პირველ ათწლეულში ირანის მოსახლეობა 200 მილიონ კაცს მიაღწევს, რომელსაც ბირთვული იარაღიც ექნება". ამ ფაქტმა არა ერთი ანალიტიკოსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის პოლიტიკა ამ რეგიონში უფრო მოქნილი უნდა იყოს, ვინაიდან „ირანი, დასუსტებულიც კი, ძალზედ გავლენიან ქვეყანად რჩება".

გამოყენებული ლიტერატურა

1. Iran and Terrorism, "The Transatlantic Responses", The magazine: "Studies in conflict and Terrorism. April–June 1999.

2. Don Lawson, America Held Hostage, The Iran Hostage Crisis and the Iran–Contra Affair. N.Y., 1991.

3. Major problems in America Foreign policy: documents and essays, Lexington, 1989.

4. Public Papers of Jimmy Carter, Nov.9.1979 (www.jimmycarterlibrary.org/document/hostages.phtm).

5. 5. Gary Sick, October Surprise, America' Hostage in Iran and the Electron of R. Reagon, N. Y., 1991.

John Spanier, American Foreign Policy since World War II, Washington, 1992.

7. ამერიკა – ირანის ურთიერთობების გამო. „კომუნისტი", 16 დეკემბერი, 1979.

8. მ.სტურუა. ოპერაცია ჩაიფუშა. „კომუნისტი", 27 აპრილი,1980.

9. С.Агаев. Живые бомбы // Наука и религия, 1987, N 5.

10. А.Усватов. Хватаются за дубинку // Новое время, 1980, N 16.

11. И. Е. Федорова. Отношения США и Исламской Республики Иран в американской историографии // Историография Ирана нового и новейшего времени, М.,1989.

ნინო ბოლქვაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აშშ-ის როლი ირანის ისლამურ რევოლუციაში

თავისი უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ირანი მუდმივად ექცეოდა ზესახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში. "ცივი ომის" დაწყებასთან დაკავშირებით უფრო გაძლიერდა უცხო სახელმწიფოების, პირველ რიგში, აშშ-ის, საბჭოთა კავშირის და ინგლისის ჩარევა ირანის საშინაო საქმეებში. 1947 წლიდან ირანმა გეზი აშშ-თან დაახლოებისკენ აიღო, რის შედეგადაც ირანში ფართოდ შეიჭრა ამერიკული კაპიტალი, გაიზარდა აშშ-სთან ვაჭრობა, გააქტიურდა ამერიკის სამხედრო მისიის მოღვაწეობაც. ამერიკელი მრჩევლები ძლიერ ზემოქმედებას ახდენდნენ ირანის ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებზე.

ბუნებრივია, ზესახელმწიფო განვითარებად ქვეყანას დახმარებას ტყუილად არ აღმოუჩენს, ამგვარი ურთიერთობა მისთვისაც ხელსაყრელი რომ არ იყოს. მესამე სამყაროს ნავთობით მდიდარი ქვეყნებიდან ზესახელმწიფოებს საშუალება ეძლეოდათ იაფი დაუმუშავებელი ნედლეულის შეძენისა. რადგანაც განვითარებადი ქვეყნების შემოსავალი ძირითადად ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან მოდის, ამ მხრივ ისინი დამოკიდებულნი რჩებოდნენ ინდუსტრიულ ქვეყნებზე თავიანთი კაპიტალით, ტექნოლოგიით და ბაზრით. თუკი განვითარებადი ქვეყნებიდან რესურსებზე მოთხოვნა კლებულობდა, ეს მათ ეკონომიკას მნიშვნელოვნად აფერხებდა. ამ ფაქტით გაღიზიანებული განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა ფიქრობდა, რომ დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები მათ ექსპლოატაციას უწევდნენ და შესაბამისად თავიანთ სიღარიბეშიც ამ ქვეყნებს ადანაშაულებდნენ.

1949 წლიდან გაიშალა მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანი ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია იყო. 1951წლის 15 მარტს, მეჯლისმა მიიღო კანონი ირანის ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის ცხოვრებაში გატარება სცადა ეროვნული ფრონტის პარტიის ლიდერის მოჰამად მოსადეყის მთავრობამ. მისი მოთხოვნები დემოკრატიული ფასეულობების დაცვასა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას ითვალისწინებდა. მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარების ეს მცდელობა სასტიკად ჩაახშეს. 1953წ. აგვისტოში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ჩა-

რევით ირანის მონარქიულმა წრეებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს. მოსადეყი და სხვა მინისტრები დაიჭირეს და გაასამართლეს. აშშ-მა შაჰის დაბრუნებით, რომელიც მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო რეგიონში, აქ თავისი პოზიციები განიმტკიცა. სამხრეთ ირანის ნავთობი 25 წლით ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმს გადაეცა. ირანს ჩამოერთვა მოსადეყის მიერ მოპოვებული უფლებები- ნავთობის დამოუკიდებლად მოპოვებისა, გადამუშავებისა და გაყიდვისა.

ამერიკის ინტერესი ირანისადმი ბევრი რამით იყო განპირობებული. ვიეტნამის მარცხის შემდეგ, შეერთებული შტატები სამხრეთ აზიაში გავლენას კარგავდა. კომუნიზმმა გაიმარჯვა ლაოსში, ჩინეთში. სამხრეთ აზიაში მღელვარება ძლიერდებოდა. დაიშალა სეატოსა და სენტოს კავშირები. აშშ-ს სამხრეთ დასავლეთ აზიაში საყრდენად მხოლოდ ირანილა რჩებოდა, რომელიც ამერიკას პირველ რიგში თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აინტერესებდა: იგი საბჭოთა კავშირს ესაზღვრებოდა. იმ პერიოდში კი იდგა საფრთხე საბჭოთა კავშირის მიერ მესამე სამყაროს ქვეყნების გადაბირებისა. შესაძლო იყო კომუნიზმი მოდერნიზაციის წარმატებული მოდელი გამხდარიყო განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგანაც ერთი შეხედვით, მისი პროგრამა მიმზიდველი ჩანდა – იგი ჰპირდებოდა სწრაფი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების მოხდენას ერთ თაობაში. ირანში პოზიციების გამაგრებით აშშ შეძლებდა ნავთობით უმდიდრესი რეგიონის – სპარსეთის ყურის გაკონტროლებას.

შაჰი და ამერიკა კარგად თანამშრომლობდნენ. ირანის ნავთობის აშშ-ში ექსპორტირებით შაჰმა უდიდესი ქონება დააგროვა, რის გამოც ირანი აშშ-ს ნავთობის შეუფერხებელ მიწოდებას ჰპირდებოდა. სანაცვლოდ ნიქსონ-ფორდის ადმინისტრაციებიც ყოველგვარ იარაღს აწვდიდნენ რასაც კი მოითხოვდა შაჰი თანამედროვე საომარი ძალების შესაქმნელად. თუმცა ამ დახმარებებით შაჰი პოლიციასა და ჟანდარმერიას აძლიერებდა; შექმნა საიდუმლო სადაზვერვო სამსახური "სავაკი", რომლის აგენტებიც წვრთნას აშშ-ში გადიოდნენ. ეს ორგანო პირადად შაჰის ინტერესებს ემსახურებოდა. ირანი კი საბრძოლო პოლიტიკის მხრივაც სულ უფრო ექვემდებარებოდა ამერიკას.

გარეგნულად, შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის ვითომცდა პროდასავლური განვითარების კურსი ჰქონდა აღებული; იგი ირანელებს "დიდი ცივილიზაციის" შექმნას ჰპირდებოდა, რაც საბოლოოდ შემოტრიალდა ქვეყნისათვის დასავლური ტექნიკის იმპორტის, ქვეყნის მილიტარიზაციის და ეროვნული ტრადიციებისთვის უცხო ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

შაჰის მიერ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები და მისი მცდელობები სპარსეთის ყურეში ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბე-

ბისა, წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა კი ამ სოციალურმა ღონისძიებებმა შაჰს აშშ-ში კარგი რეპუტაცია მოუპოვა, სადაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ შაჰი ფლობდა "ირანის სტაბილურობის გასაღებს". 1973წელს, როცა ოპეკის ქვეყნებმა ნავთობზე ფასი ასწიეს, შესაბამისად ირანის გაზრდილი შემოსავლებით შაჰი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის და საბრძოლო ძალების აღორძინებას ცდილობდა. მაგრამ მისმა რეფორმებმა ვერ გადაწყვიტა ქვეყნის ძირითადი სასურსათო პრობლემა. შაჰმა ნავთობიდან აღებული შემოსავალი თავისი ამბიციებისთვის გაანიავა და ფაქტიურად მთელი ირანი გაძარცვა. შაჰის პოლიტიკა, რომელიც ნავთობის ხარჯზე შემოსავლების გაზრდისკენ იყო მიმართული, სარგებლიანი მხოლოდ მისთვის და მის კართან დაახლოებული უმსხვილესი კაპიტალისტებისთვის აღმოჩნდა. ირანელი ხალხისათვის კი შაჰი ტიპური აღმოსავლელი ტირანი იყო, რომელიც აღმოსავლური მეთოდებით, სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც მის პროამერიკულ კურსს აკრიტიკებდა. შაჰის მიერ გატარებული მასობრივი რეპრესიები ათასობით ადამიანს შეეხო.

ირანში რევოლუციური სიტუაცია შაჰის მიერ განხორციელებულმა ქვეყნის ნაჩქარევმა და არაბალანსირებულმა მოდერნიზაციამ შექმნა. ნავთობდოლარებმა ირანის ქალაქებში დასავლური კულტურა მოაზღვავა, რომელიც უცხო იყო ტრადიციული ირანული კულტურული და სოციალური ჩვევებისათვის. წარუმატებელი აგრარული პოლიტიკის შედეგად ქალაქებში სოფლებიდან მასობრივმა მიგრაციამ გაართულა საცხოვრებლების, ჯანდაცვისა და განათლების პრობლემები. უცხოური პროდუქტების იმპორტმა საშინელი ინფლაცია გამოიწვია.

მიუხედავად მწვავე ეკონომიკური კრიზისისა, შაჰი კვლავ აქტიურად განაგრძობდა საზოგადოების ოპოზიციური ნაწილის რეპრესირებას, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს აერთიანებდა. ოპოზიციური მოძრაობის სათავეში კი შიიტური სამღვდელოება იდგა, რომლის უპირობო ლიდერიც აიათოლა რუჰოლა ჰომეინი იყო.

ირანში შექმნილი კრიზისის უმთავრეს მახასიათებლად რელიგიური რევაივალიზმი იქცა. რევოლუციამ ქარიზმატული ლიდერის (ჰომეინის) სახით, აღიდგინა რელიგიური ავტორიტეტის ტრადიცია. ისლამური სამყარო, საერთოდ, მიდრეკილია ქარიზმატული მოძრაობებისადმი, რადგანაც მასში რელიგიასა და პოლიტიკას შორის დაპირისპირება არ არსებობს და ისლამის უმთავრესი კანონები პოლიტიკური ხასიათისაა.

სამღვდელოება ერთადერთ არასახელმწიფოებრივ სტრუქტურას წარმოადგენდა, რომელსაც სოლიდური ბაზა და მხარდაჭერა გააჩნდა და ყველასათვის გასაგებ ენაზე საუბრობდა. ამასთანავე, საჭირო გახდა ისეთი ქარიზმა-

ტული ლიდერის გამოჩენა როგორიც აიათოლა ჰომეინი იყო, რათა სამღვდელოებას პოლიტიკური ხელისუფლების ხელში აღების კონცეფცია ჩამოჰყალიბებოდა.

შაჰს ულემების (შიიტური სამღვდელოების ზედა ფენა) გარდა დაუპირისპირდა აგრარული რეფორმის გატარებით უკმაყოფილო არისტოკრატია, პოლიტიკურ ძალაუფლებას მოკლებული ბურჟუაზია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც შიიტური სამღვდელოების დიდ გავლენას განიცდიდა. მკაცრი პოლიციური ზომების მიუხედავად გაზრდილმა ირანელების წინააღმდეგობამ, შაჰის რეჟიმი ავტორიტარულ, დიქტატორულ რეჟიმად აქცია. ის ეყრდნობოდა მხოლოდ თავის პოლიტიკურ პოლიციას "სავაკს" და არმიას, რომელთა მხარდაჭერის დაკარგვას მონარქიის დამხობა მოჰყვებოდა.

წინააღმდეგობა ქვეყნის მოდერნიზაციის მიმართ იზრდებოდა. რაც უფრო მეტად აკრიტიკებდნენ უცხოელებს, მით უფრო იკვეთებოდა ისლამის მნიშვნელობა ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში. ამ პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა სასულიერო პირების გავლენა, რომლებიც დასავლური ცივილიზაციის გავლენას, კერძოდ, ქალთა ემანსიპაციას, თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობას, რელიგიური განათლების გაუფასურებას – დამღუპველად, შეურაცხმყოფელად თვლიდნენ.

შაჰისა და მისი გარემოცვის ფუფუნება, მათ მიერ ოპოზიციის ძალისმიერი მეთოდებით ჩახშობა, კორუფცია, სახელმწიფო სამსახურების თვითნებობა, კიდევ უფრო ამწვავებდა მდგომარეობას. ამის მიუხედავად 1977 წლამდე ირანში არსებული რეჟიმი სტაბილურად ითვლებოდა. სპარსეთის ყურეში შაჰი დასავლეთის ყველაზე სანდო მოკავშირედ ჩანდა.

პარიზში ემიგრაციაში მყოფი ჰომეინის მოწოდებები ჩანაწერების სახით ვრცელდებოდა ბაზრებსა და მეჩეთებში. 1978 წლიდან ქვეყანას მასობრივი დემონსტრაციები მოედო, რომელთა მოსაგერიებლადაც შაჰი არ ერიდებოდა ძალის გამოყენებას. ამის მიუხედავად მაინც გრძელდებოდა ძლიერი საპროტესტო გამოსვლები. ყოველგვარი სამსახური გაფიცული იყო, ქვეყნის მთავარი მასაზრდოებელი წყაროც – სანავთობო პორტი. ყველაზე სასტიკად შაჰმა 8 სექტემბრის დემონსტრაცია დაარბია("შავი პარასკევი"), რომლის დროსაც ათასობით ადამიანი დაიღუპა. ამან ხალხის აღშფოთება გააორკეცა და წლის ბოლოსათვის შაჰმა ქვეყანაში კონტროლი დაკარგა.

აშშ შეცდა, როდესაც შაჰი ირანის სტაბილურობის გარანტად დაიგულა. მოჰამედ რეზა ფეჰლევის პოლიტიკამ და მეთოდებმა ქვეყნის დესტაბილიზაცია გამოიწვია.

შაჰის მთავრობის კოლაპსი უდიდესი სტრატეგიული დანაკარგი იყო აშშისთვის; მაგრამ იყო თუ არა რაიმე გზა შაჰის დამხობის შეჩერებისათვის,

კვლავ სადაო საკითხად რჩება. შაჰის მიერ მთელი პოლიტიკური ძალაუფლების ხელთ პყრობა, მის წინააღმდეგ ამხედრებდა პროდასავლური ორიენტაციის მქონე საშუალო ფენებსაც, რომლებსაც უფრო დემოკრატიული ირანის ჩამოყალიბება სურდათ, სადაც დიდ პოლიტიკურ როლს თავად შეასრულებდნენ. მათ კი უერთდებოდა უფრო ტრადიციული ოპოზიცია სამღვდელოების წინამძღოლობით.

1978 წელს შეერთებული შტატების ელჩმა ირანში – უ. სალივანმა ვაშინგტონს ამცნო ირანში არსებული დაძაბული მდგომარეობის შესახებ. თუმცა იგი ოპტიმისტურად იყო განწყობილი და სჯერიდა, რომ შაჰი შეძლებდა სიტუაციის დაშოშმინებას. სალივანი მაინც მოუწოდებდა ვაშინგტონს ზომიერებისთვის მიემართა და ეწარმოებინა მოლაპარაკებები ოპოზიციასთან იგი თვლიდა, რომ თუ შაჰი სამღვდელოების ზოგ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, ამით მოიმადლიერებდა მათ და დაარღვევდა ოპოზიციის მთლიანობას.

ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა მოახდინა იმან, რომ კარტერის ადმინისტრაცია შიდა უთანხმოებებით იყო პარალიზებული. საქმე ის იყო, რომ პრეზიდენტის თანაშემწემ ზბიგნევ ბჟეზინსკიმ მონოპოლიურ წრეთა დახმარებით, წამოიწყო "ვენდეტა" სახელმწიფო დეპარტამენტის წინააღმდეგ; იგი ცდილობდა თავისი ძალაუფლების მოპოვებას ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმულირებაში. ირანთან დაკავშირებით, ბჟეზინსკი მხოლოდ შაჰში ხედავდა დასაყრდენს და თვლიდა, რომ შაჰს უფრო მკაცრად უნდა გაეტარებინა რეპრესიები და არ წასულიყო კომპრომისებზე. იგი მოითხოვდა, რომ ამერიკას შაჰისთვის სრული მხარდაჭერა აღეთქვა, მაშინაც კი თუ იგი საბრძოლო ძალას გამოიყენებდა ქუჩის აქციების ჩასახშობად. მეორე მხრივ, სახელმწიფო დეპარტამენტი მტრულად იყო განწყობილი შაჰის მიმართ, ამ უკანასკნელის მიერ ადამიანთა უფლებების სასტიკი დარღვევის გამო. სახელმწიფო დეპარტამენტს მიაჩნდა, რომ ახალი რეჟიმი დაკომპლექტებული იქნებოდა ირანელი დემოკრატიის მაძიებლებით და თუკი ჰომეინი ხელისუფლებაში მოვიდოდა, ის უბრალოდ ნომინალური მმართველი იქნებოდა. ჰომეინი, რომელიც უკვე მოხუცებული რელიგიური პირი და სახელმწიფო მმართველობაში სრულიად გამოუცდელი იყო, შეერთებულ შტატებში ზედაპირულად აღიქვეს; არავის წარმოედგინა, რომ იგი შეასრულებდა აქტიურ, რომ აღარაფერი ვთქვათ, დომინანტურ როლს ახალ მთავრობაში.

სახელმწიფო დეპარტამენტი კარტერს მოუწოდებდა უარი ეთქვა შაჰის მხარდაჭერაზე; ხოლო მისი ჩამოგდების შემდეგ მოსულ დემოკრატიულ ძალებთან კვლავ შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა.

სამწუხაროდ ჯიმი კარტერი ბჟეზინსკის რჩევებს უფრო ითვალისწინე-

ბდა. აჯანყების ჩასახშობად აშშ-ი შაჰს დახმარების აღმოჩენას შეჰპირდა. ამისათვის ამერიკული ავიამზიდები ინდოეთის ოკეანეში განლაგდნენ. შაჰმა ქვეყანაში სიტუაციის განსამუხტავად დროებით ირანიდან წასვლა გადაწყვიტა, იმედი ჰქონდა რომ პრემიერი ბახტიარი საერთო ენას გამონახავდა ოპოზიციასთან, მაგრამ ამ უკანასკნელს კომპრომისზე წასვლის გაგონებაც არ სურდა. ბახტიარის დასამხობად უფრო მასშტაბური დემონსტრაციები იმართებოდა. გენერლები ამბოხებათა ჩახშობას საბრძოლო გზით ცდილობდნენ; მაგრამ აქ მოხდა ის, რაზეც სალივანი ადრევე აფრთხილებდა ვაშინგტონს: არმიის უმეტესი ნაწილი ჰომეინს მიემხრო. ამით შაჰის მთავრობის ნაშთებიც მოისპო. 1 თებერვალს კი პარიზიდან ტრიუმფალურად დაბრუნებული ჰომეინი ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი _ რაჰბარი გახდა, რომელსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება ენიჭებოდა. იგი, ფაქტობრივად, თავისი შეხედულებებისამებრ ნიშნავდა და ათავისუფლებდა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს. ქვეყანა დაუბრუნდა შარიათის ნორმებს, ჩადრებს და "ურწმუნოებისადმი" შეუწყნარებლობას.

ამერიკის მიერ ჰომეინის ძალის ჯეროვნად არშეფასება შესაძლოა გასაგებიც იყოს. ამ მატერიალისტური მოდერნიზაციის საუკუნეში რელიგიური მოძრაობის ამგვარი სიძლიერე დასავლეთში ვერ დაუშვეს. (ის ფაქტი, რომ ირანი შიიტური სამღვდელოების მმართველობის ქვეშ იქნებოდა, იმდენად უცხო იყო დასავლური აზროვნებისთვის, რომ სერიოზულად არც აღიქვეს.) აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში დაშვებული ამ შეცდომის შედეგად დაინგრა ათწლეულობით მხარდაჭერილი ირან-ამერიკის ურთიერთთანამშრომლობა, რაზეც დაფუძნებული იყო ამერიკული პოლიტიკის მთელი სისტემა შუა აღმოსავლეთში. გარდა ამისა, აშშ-ის პრესტიჟს დიდი ზიანი მიადგა; (გამარჯვებული ფუნდამენტალისტური ისლამი მებრძოლ ანტიამერიკულ რეჟიმს წარმოადგენდა, რომელმაც ისრაელთან კავშირი გაწყვიტა და პალესტინას დაუჭირა მხარი; ამავე პერიოდში ხდება საბჭოთა კავშირის შესვლა ავღანეთში – ყოველივე ეს იმ პერიოდში აშშ-ის პოზიციების კოლაპსზე მიუთითებდა რეგიონში.)

ყველაზე მტკივნეული კი ამერიკისათვის ის იყო, რომ მისი პოზიციები შეირყა სასიცოცხლო მნიშვნელობის მხარეში. რევოლუციის შემდეგ ნავთობის წარმოება ირანში მკვეთრად შემცირდა, რის გამოც მსოფლიო ნავთობის მარაგი საგრძნობლად შემცირდა და შესაბამისად ნავთობის ფასმაც აიწია. ამან ამერიკელი მოსახელობის უკმაყოფილება გამოიწვია კარტერის ადმინისტრაციის მიმართ.

აიათოლა ჰომეინი 1979 წლის რევოლუციას არა დემოკრატიისათვის, არამედ "ისლამური აღორძინებისათვის" ბრძოლას უწოდებდა. მაგრამ ირანის

რევოლუციას არა მხოლოდ ისლამური, არამედ ეროვნული ხასიათიც აქვს. რევოლუცია სწორედ შაჰის კორუმპირებულობით და დიქტატორობით აღშფოთებულმა საერო ძალებმა წამოიწყეს, შემდგომ კი მათ ზემოდან მოექცნენ შიიტური სამღვდელო პირები. ირანელები გამოდიოდნენ ისლამის პრინციპების დასაცავად და იმავდროულად ელტვოდნენ დემოკრატიასა და საზოგადოების კარდინალურად გადაწყობას. ეს პროტესტი, უბრალოდ მათთვის ერთადერთ ხელმისაწვდომ რელიგიურ ფორმებში იყო გამოხატული. თუკი ანტიშაჰური ბრძოლის დროს ეს ორი პოლიტიკური მიმართულება _ რადიკალურ-ფუნდამენტალისტური და ლიბერალური, გაერთიანდა საერთო მტრის (შაჰის) წინააღმდეგ, შემდგომში მათ შორის შეუსაბამობა წარმოიშვა.

ჰომეინმა 1 აპრილს (1979) ქვეყნის ოფიციალურ სახელწოდებად "ირანის ისლამური რესპუბლიკა" გამოაცხადა. რაც შეეხება ეკონომიკას, ჰომეინის თქმით "მისი მიზანი იყო არა აყვავება და განვითარება, არამედ ადამიანის ღმერთთან დაახლოება", რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ნათლად აისახა: ინფლაციამ 40%-ს მიაღწია, უმუშევრობამ მოსახლეობის 1/3 მოიცვა.

ლიბერალური მოძრაობა რევოლუციას იმ იმედით ემხრობოდა, რომ იგი გახდებოდა კაპიტალისტური განვითარებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი. ლიბერალურ ძალებს მნიშვნელოვანი პოზიციები ეკავათ ირანში, განსაკუთრებით პრემიერ ბაზარგანის დროს. მათ მიზნებს წარმოადგენდა ძალაუფლების ნაციონალური ბურჟუაზიის ხელში გადასვლა და უცხოურ კაპიტალთან ურთიერთობის შენარჩუნება. ამიტომაც, ვაშინგტონსა და ირანის დროებით მთავრობას შორის კონტაქტები არ შეწყვეტილა. 1979 წლის თებერვლიდან – 1979 წლის ნოემბრამდე (ანუ, რევოლუციის შემდეგ თითქმის ერთი წელი) აშშ-ის საელჩოს შეკვეცილი პერსონალი მაინც ცდილობდა ახალ მთავრობასთან მოლაპარაკებების წარმოებას. (რადიკალ-რეფორმისტების მიერ ესეც აშშ-ის მიერ ირანის შიდა საქმეებში ჩარევად იყო მონათლული და დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მათში).

მალე ცხადი გახდა, რომ შაჰი სიმსივნით იყო ავად და სათანადო მკურნალობა მხოლოდ ამერიკაში იყო შესაძლებელი. ირანის პრემიერი ბაზარგანი აშშ-ის საელჩოზე უსაფრთხოების მიზნით დაცვის გაძლიერებას შეჰპირდა, რამაც საბოლოოდ ვაშინგტონს რეზა ფეჰლევის შტატებში დაშვება გადააწყვეტინა. მაგრამ პრემიერმა დიპლომატების უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო (რადგან შიიტმა ლიდერებმა დროებით მთავრობაზე შეტევები გააძლიერეს.)

1979 წ. 4 ნოემბერს თეირანში აშშ-ის საელჩოს წინ სტუდენტთა 3000-იანი აქცია დასრულდა საელჩოს 61 თანამშრომლის მძევლად აყვანით. ტყვეთა გათავისუფლების სანაცვლოდ ირანი მოითხოვდა შაჰის ირანის სასა-

მართლოსთვის გადაცემას და მის მიერ მიტაცებული ქონების ქვეყანაში დაბრუნებას. ასე დაიწყო ე.წ. "მძევალთა კრიზისი", რომელმაც 15 თვეს გასტანა.

რევოლუციის მოთავეებმა უპრეცედენტო საქციელი ჩაიდინეს _ თვით ჰიტლერსაც და სტალინსაც არ უცდიათ თავიანთი მტრების დიპლომატების დაკავება. ადამიანის უსაფრთხოებისა და თავშესაფრის უფლებებით ვაჭრობა ირანის მხრივ მსოფლიო ნორმებისა და ყოველგვარი რელიგიური კანონების დარღვევა იყო; ამ უფლებებს ურთიერთმეომარი სახელმწიფოებიც იცავენ.

ამერიკისათვის ცხადი ხდებოდა, რომ მუსლიმანი ლიდერები არ აპირებდნენ ტყვეთა გათავისუფლებას, პირიქით, ჰომეინმა დადებითად შეაფასა სტუდენტთა ქმედება.

ტყვედ აყვანიდან 444 დღის განმავლობაში მსოფლიო უმზერდა კარტერის ადმინისტრაციის უშედეგო მცდელობებს მძევალთა გასათავისუფლებლად: გაეროსადმი მიმართვები, დიპლომატიური მოლაპარაკების მცდელობები, ეკონომიკურ სანქციათა მთელი სერია – ყოველივე ამაო იყო. ამერიკა ცდილობდა სპეციალური ზომების მიღებით და საერთაშორისო კონსენსუსით მოეხდინა ირანის იზოლაცია, რის გამოც ირანელებს ძვირად დაუჯდებოდა ამერიკელი დიპლომატების დატყვევება. აშშ-ის პირველი ოფიციალური სანქციის ბრძანება, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შესახებ, 1980 წლის აპრილში კარტერმა გასცა, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ირანში ყველა სახის ექსპორტი – ამაში ვაშინგტონმა თავის მოკავშირეთა მხარდაჭერის მოპოვებაც შეძლო. აშშ-ის ბანკებში გაიყინა ირანის ფინანსური ანგარიშები; გაძლიერდა ამერიკის სამხედრო ძალები ინდოეთის ოკეანეში.

15 დეკემბერს შაჰი აშშ-დან პანამაში გადავიდა, მაგრამ ამას ტყვეთა გათავისუფლების საკითხი წინ არ დაუძრავს. როდესაც კარტერის ადმინისტრაციას მოთმინება ამოეწურა, პრეზიდენტმა ბჟეზინსკის რჩევის გათვალისწინებით თეირანში გადამრჩენი მისიის გაგზავნა გადაწყვიტა. ოპერაციაში 8 ვერტმფრენს უნდა მიეღო მონაწილეობა, რომელთაგანაც სამი, საშინელი ქვიშიანი ქარიშხლის გამო მწყობრიდან გამოვიდა, ერთს საწვავის მიმწოდებელ თვითმფრინავთან ავარია მოუხდა, რის შედეგადაც რვა სამხედრო დაიღუპა. კარტერის ადმინისტრაციის ეს მცდელობაც სავალალოდ დასრულდა.

ტყვეთა გათავისუფლების საწინდარი ორი მოვლენა გახდა: პირველი იყო 1980წლის შემოდგომაზე ერაყის მიერ მიტანილი იერიში ირანზე. ამ ომმა აშშ-ის სანქციები, განსაკუთრებით კი ის, რომელიც აშშ-ის ბანკებში ირანული ფინანსების გაყინვას ეხებოდა – მტკივნეული გახადა ირანისთვის. მეორე მოვლენა ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში რეიგანის გამარჯვება

იყო, რომელიც ირანელებს ყოველთვის გამტაცებლობასა და ბარბაროსობაში სდებდა ბრალს. ირანელები რეიგანის გაპრეზიდენტების შემდეგ, მისგან უფრო რადიკალური ზომების მიღებას მოელოდნენ (საომარი აქციის ჩათვლით). 27 ივლისს კაიროში შაჰის სიკვდილმაც მძევლების საკითხი სხვაგვარად დააყენა; ამ გარემოებებში დიპლომატიური მოლაპარაკება როგორც იქნა წარმატებით დასრულდა და 1981 წლის 20 იანვარს დიპლომატები სამშობლოში დაბრუნდნენ.

1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე ირანი სპარსეთის ყურეში აშშ-ის უახლოეს მოკავშირედ იყო მიჩნეული, რევოლუციის შემდეგ თეირანი რეგიონში ვაშინგტონის ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ მოწინააღმდეგედ იქცა. ხალხში დაწყებული რეალურ საფუძველზე აღმოცენებული გულისწყრომა აშშ-ის მიმართ, თანდათან გლობალურ, განუსჯელ სიძულვილში გადაიზარდა ყოველივე დასავლურის მიმართ. თუმცა დღესდღეობით ირანში ამერიკისადმი დამოკიდებულება ამბივალენტურია და მის მიმართ ზიზღი შესაძლოა უფრო თავს მოხვეული იყოს.

ამერიკელი დიპლომატების დატყვევებამ ისლამურ რესპუბლიკას "განდეგილისა" და "მეამბოხის" სახელი დაუმკვიდრა. აიათოლა ჰომეინი არაბულ სამყაროში ისლამური რევოლუციის "ექსპორტს" გეგმავდა და ყველა მუსულმანს გაერთიანებისკენ მოუწოდებდა ზესახელმწიფოთა წინააღმდეგ გასაბრძოლებლად. (ამის ფონზე დაიწყო ანტიამერიკული გამოსვლები საუდის არაბეთში, პაკისტანში, კუვეიტში, ლიბიაში, დამასკოში; ხორციელდებოდა თავდასხმები ამერიკის საელჩოებზე.) აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოებს ირანის ახალი რეჟიმის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერა, ისრაელს კი, ამასთან ერთად, მისი მკვეთრი ანტიებრაული განწყობაც აშინებდა. ირანი ხშირად ხვდებოდა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მრავალ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტერორისტულ აქტებში დადანაშაულებისა და ექსტრემისტული ისლამური დაჯგუფებების მხარდაჭერის გამო. დასავლეთში მიღებული თვალსაზრისით, ირანი ითვლებოდა საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთ უპირველეს ხელშემწყობ ქვეყანად.

რეისლამიზაცია საკმარისი არ აღმოჩნდა ირანის ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევისთვის. ირანელი პოლიტოლოგების აზრით, "ახალგაზრდობა არ არის ბედნიერი იმ მონაპოვრებით, რასაც მათმა მშობლებმა რევოლუციის გზით მიაღწიეს. სტუდენტებს არა აქვთ არც სამსახური, არც ფული და არც მომავალი."

საბოლოოდ, ირანელ ხალხში თავი იჩინა სწრაფვამ უფრო მეტი თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისათვის. ირანელ მემარჯვენე ლიბერალთა იმედი, რომ შაჰის ჩამოგდების შემდეგ ქვეყანა დემოკრატიულად განვითა-

რდებოდა, არ გამართლდა. შიიტ მორწმუნეებში თავისი დიდი პოპულარობის წყალობით, ჰომეინი რევოლუციას სათავეში მოექცა. ფაქტიურად, ერთი ტირანია – მეორეთი შეიცვალა.

თავისთავად, რევოლუციის მოხდენაში ამერიკის ფაქტორმა დიდი წვლილი შეიტანა. კარტერის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულმა საგარეო პოლიტიკამ, რაც გამოიხატა კორუმპირებული შაჰის მხარდაჭერასა და მფარველობაში, აქედან გამომდინარე კი ირანის შიდა საქმეებში ჩარევაში _ ირანული საზოგადოების ყველა ფენის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია და ირანში ჰომეინის ანტიამერიკული რეჟიმის ფეხის მოკიდებისთვის სასურველი ნიადაგი შექმნა.

რევოლუციის შედეგად ამერიკამ უდიდესი სტრატეგიული თუ სასიცოცხლო მნიშვნელობის მხარე დაკარგა და სპარსეთის ყურეში საიმედო საყრდენი გამოეცალა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. John Spanier – American Foreign Policy since World War II, University of Florida, 1992

2. Charles W. Kegley, Eugine R. Wittkopf – American Foreign Policy, St. Martin's Press, New York, 1991

3. М.С. Иванов – Иран в 60-70-х годах XX века, Москва, 1977.

4. С.П.Агаев – Иран: Рождение республики, Москва, 1979.

5. В.А.Кременюк – Борьба Вашингтона против революции в Иране, Москва. 1988

6. Internet - www. Menas.co.uk\ iranfocus.htm

7. www.echoiran.com

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრი – ბიულეტენი №9, №6, №12

9. ბაყერ ბოინი – ხომეინი: ცხოვრება აიათოლასი, 2000

ლელა ჩახაია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

მარშალის გეგმის როლი დასავლეთ ევროპის ინტეგრაციაში

მარშალის გეგმას ბევრი განიხილავს, როგორც აშშ-ის ყველაზე ცნობილ და ეფექტურ საერთაშორისო ინიციატივას და ეს შეესაბამება კიდეც სიმართლეს, რადგანაც მეორე მსოფლიო ომამდე აშშ-ი გარკვეულწილად იცავდა არჩეულ იზოლაციონისტურ კურსს საერთაშორისო პოლიტიკაში. ომის პერიოდში კი ნათელი გახდა, რომ ეს უდიდესი მსოფლიო ძალაუფლება ვერ ჩაიკეტებოდა თავის საზღვრებში და მას გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა მსოფლიო ძალთა ახალ დაბალანსებაში. ეს როლი განსაკუთრებით გამოიკვეთა ომის დამთავრების შემდეგ, როცა ევროპა უდიდეს ეკონომიკურ და მორალურ კრიზისს განიცდიდა, ხოლო საბჭოთა კავშირი სტრატეგიულად და პოლიტიკურად ძლიერდებოდა და დასუსტებულ ევროპას კომუნისტური გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხეს უქადდა. აქედან გამომდინარე, ევროპის აღდგენით აშშ-ი დაინტერესებული იყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ევროპის სახით ეკონომიკურად ძლიერი პარტნიორის არარსებობა აშშ-ის პროდუქციას საექსპორტო ბაზარს უკარგავდა, მაგრამ 1940-იან წლებში აშშ-ის ეკონომიკა ბევრად უფრო ნაკლებად იყო დამოკიდებული ევროპაში ექსპორტზე, ვიდრე შემდგომ წლებში. ამრიგად, მხოლოდ ეკონომიკური არგუმენტებით, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა კონგრესის დაყოლიება მარშალის ევროპის აღდგენის მარშალის პროგრამის დამტკიცებაზე. უფრო მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენდა აშშ-ის პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ევროპაში. მხოლოდ ეკონომიკურად ძლიერ ევროპას შეეძლო საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ბლოკის ქვეყნების მზარდი ძალაუფლების შეკავება.

1947 წლის აშშ-ის ინიციატივა კონკრეტულად წარმოადგენდა რეაქციას იმ სამ კრიზისზე, რომელსაც ევროპა იმხანად განიცდიდა: ბრიტანეთის იმპერიის როლის კრიზისი მსოფლიო ძალთა ბალანსში; საფრანგეთის და იტალიის საშინაო პოლიტიკის კრიზისი და დასავლეთ გერმანიის მორალური და ეკონომიკური კრიზისი. (იხ. 5)

უშუალოდ მარშალის გეგმის შემოთავაზებამდე რამდენიმე სამთავრობო სააგენტო მუშაობდა ევროპის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლაზე და ყველაზე მთავარი მათ შორის იყო პოლიტიკის დაგეგმვის კოლეგია, რომელიც მარშალმა სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ჩამო-

აყალიბა ჯორჯ ქენანის ხელმძღვანელობით. ამ ორგანომ 1947 წლის 23 მაისს გააკეთა მოხსენება, რომელიც გარკვეულწილად ასახავდა ევროპაში არსებულ მდგომარეობას, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 27 მაისს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, უილიამ კლეიტონის მიერ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ გაკეთებულ მოხსენებას, რომელიც დეტალურად განიხილავდა ევროპის ეკონომიკურ კრიზისს და ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ ეს კრიზისი აუცილებლად გამოიწვევდა ევროპის დისინტეგრაციას და კომუნისტური ძალების გაძლიერებას.

ევროპის ეკონომიკის შესწავლაზე მუშაობდა აგრეთვე სახელმწიფო ომისა და საზღვაო ფლოტის ად ჰოკ კომიტეტი.

ერთი მხრივ ამ კომიტეტების კვლევის შედეგებმა, მეორე მხრივ კი მოსკოვის კონფერენციაზე იმედგაცრუებამ გადაადგმევინა ჯორჯ მარშალს 1947 წლის 5 ივნისს ის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი აშშ-ის ისტორიაში, რასაც ჰარვარდის უნივერსიტეტში მის მიერ წარმოთქმული სიტყვა წარმოადგენდა. მარშალის გეგმა არსებითად განსხვავდებოდა აშშ-ის სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინიციატივებისაგან ძირითადი პრინციპებით, უპირველეს ყოვლისა კი მკვეთრი აქცენტით ევროპის ინტეგრაციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1947 წლამდეც აშშ-ის ხელისუფლება, კერძოდ კი სახელმწიფო დეპარტამენტი, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა ევროპის და დასავლეთ გერმანიის ეკონომიკების აღსადგენად: 1946 წელს შემუშავებულ იქნა გერმანიის მრეწველობის დონის აღდგენის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გათავისუფლებული ქვეყნების უზრუნველყოფას რეპარაციებით და მათ უსაფრთხოებას, მეორე მხრივ კი გერმანიისათვის ცხოვრების საკმარისად მაღალი დონის შესანარჩუნებელი კაპიტალის და მექანიკური აღჭურვილობის დატოვებას. ეს გეგმა წარმოადგენდა დახმარების იმ დიდი პაკეტის ნაწილს, რომელიც ასევე შეიცავდა 3.75 მილიარდ აშშ-ის დოლარის ოდენობის სესხს დიდი ბრიტანეთისათვის და მთელ რიგ გრანტებსა და სესხებს ევროპის სხვა ქვეყნებისათვის, რომლების გაცემას ახორციელებდა ისეთი ორგანოები, როგორიც იყო ექსპორტ-იმპორტ ბანკი და გაეროს რეაბილიტაციის ადმინისტრაცია. სახელმწიფო დეპარტამენტი იმედოვნებდა, რომ ამ ღონისძიებათა შედეგად შესაძლებელი გახდებოდა გერმანიის თვითმყოფადობის აღდგენა, მისი მეზობლების ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ევროპის სტაბილიზაცია და მსოფლიო ვაჭრობის მრავალმხრივი სისტემის შექმნა. თუმცა 1947 წლის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ აშშ-ის გეგმები და სტრატეგია წარმატებული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა 9 მილიარდზე მეტი დახარჯა სხადასხვა ტიპის ცალკეულ დახმარებებზე, ევროპის ქვეყნებში კაპიტალური აღჭურვილობა და ფაბრიკა-ქარხნები საფუძვლიან შეკეთებასა და განახლებას საჭიროებდა. მუშახელის და ძირითადი

რესურსების, კერძოდ კი ნახშირისა და ფოლადის ნაკლებობა წარმოებას ზღუდავდა; 200-ზე მეტი ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულების არსებობა ხელს უშლიდა ადგილობრივი რესურსების გამოყენებას, კვეცავდა იმპორტს, 1946-47 წლის მძიმე ზამთარმა კი ნათლად გამოავლინა ის რეალური ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც ევროპა განიცდიდა. 1947 წლის დასაწყისისათვის დასავლეთ ევროპის სასოფლო-სამეურნეო წარმოება 1938 წლის მოცულობის 83%-ს უდრიდა, მრეწველობა 88 %-ს, ხოლო ექსპორტი მხოლოდ 59 %-ს შეადგენდა. (იხ.1).

ამრიგად, მიუხედავად აშშ-ის მრავალგზის მცდელობისა და გაღებული თანხების სოლიდურობისა, მდგომარეობა არა თუ უმჯობესდებოდა, არამედ უარესობისკენ მიდიოდა. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს გაწეული დახმარებების ხასიათი: ყველა გრანტი თუ სესხი გაიცემოდა ცალკეული სახელმწიფოს მიმართ და მათი გამოყენების გეგმა ადგილობრივ დონეზე წყდებოდა. ახალი სტრატეგია წარმოიქმნა ამერიკელთა მზარდი რწმენისაგან, რომ დახმარების პროგრამები მომავალშიც ჩავარდებოდა, თუ მათ გამოიყენებდნენ ეროვნულ ეკონომიკათა ასაღორძინებლად, ასეთი პროგრამები ხელს უწყობდა ეროვნული ავტარქიების ხელახლა წარმოქმნას. ამ პროგრამების სანაცვლოდ უნდა წარმოქმნილიყო მრავალმხრივი პროგრამა, რომელიც შიდა ევროპულ ვაჭრობას შეუწყობდა ხელს და დასავლეთ ევროპულ ეკონომიკებს ერთ მთლიან ინტეგრაციონისტულ ერთეულად ჩამოაყალიბებდა. რადგან ამერიკაში ფედერაციულმა პრინციპმა გაამართლა და შტატებს შორის აქტიურმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი შექმნა, ევროპაშიც მსგავსი პრინციპი უნდა ამოქმედებულიყო, რომელიც ევროპის შეერთებული შტატების მსგავს ორგანოს ჩამოაყალიბებდა.

სწორედ ეს პრინციპი აირჩია ჯორჯ მარშალმა. როდესაც ევროპის აღდგენის თავისეული წინადადება წარმოადგინა. სინამდვილეში მაშინ, როდესაც მარშალმა თავისი ცნობილი სიტყვა წარმოთქვა, არანაირი კონკრეტული გეგმა არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა ამ გეგმის განხორციელების პრინციპი: ამერიკა გასცემდა ფინანსურ დახმარებას, ევროპის ქვეყნებს ერთად უნდა გადაეწყვიტათ ამ დახმარების რაოდენობა, ერთად და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით უნდა გადაენაწილებინათ. ამისთვის აუცილებელი იყო ისეთი სუპრანაციონალური ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ცალკეულ სახელმწიფოთა სუვერენულ ინტერესებს მთლიანად ევროპის ინტერესებს დაუქვემდებარებდა.

სწორედ ერთიანი ევროპული ინტერესების უზენაესობაზე აქცენტირებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის უარყოფითი დამოკიდებულება გეგმის მიმართ. ძნელია იმის თქმა, რეალურად ითვალისწინებდნენ თუ არა აშშ-ის ხელისუფალნი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ბლოკის ქვეყნების მონა-

ნილეობას ევროპის აღდგენის პროგრამაში, ფაქტი კი ის არის, რომ ეს ქვეყნები თავიდანვე აგრესიულად განეწყვნენ გეგმის მიმართ. 27 ივნისს, როცა პარიზში ერთმანეთს შეხვდა სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი (ბიდო, ბევინი და მოლოტოვი) გეგმის შემუშავების პერსპექტივების განსახილველად, მოლოტოვმა უარი განაცხადა პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე იმ არგუმენტით, რომ ეროვნული ინტერესების მეორე პლანზე გადაწევა და მათი საერთო ინტერესებისთვის დაქვემდებარება სახელმწიფოთა თვითმყოფადობას დააკნინებდა და აშშ-ის მზარდი პოლიტიკური გავლენისათვის ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა. 2 ივლისს მოლოტოვმა დატოვა პარიზი. ორი დღის შემდეგ კი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა ევროპის ქვეყნების შეხვედრაზე 22 სახელმწიფოს დაუგზავნეს მოწვევა: ალბანეთს, ავსტრიას, ბელგიას, ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, დანიას, ფინეთს, საბერძნეთს, უნგრეთს, ისლანდიას, ირლანდიას, იტალიას, ლუქსემბურგს, ნიდერლანდებს, ნორვეგიას, პოლონეთს, პორტუგალიას, რუმინეთს, შვედეთს, შვეიცარიას, თურქეთს და იუგოსლავიას.

9-10 ივლისს მოწვევაზე უარი განაცხადეს ბულგარეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, ალბანეთმა, ფინეთმა, უნგრეთმა და ჩეხოსლოვაკიამ, რომლებმაც თავდაპირველად თანხმობა განაცხადეს. უკვე ნათელი გახდა, რომ პროგრამის განხორციელება დასავლეთ ევროპის ფარგლებში მოხდებოდა და ამდენად, თუკი მარშალის გეგმამ დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ ევროპის ინტეგრაციას, მან უდაოდ დიდი წვილი შეიტანა მთლიანად ევროპის დისინტეგრაციის საქმეში.

მაგრამ საბჭოთა წინააღმდეგობა არ იყო ერთადერთი, რომლის გადალახვაც მარშალის გეგმასა და მის ინტეგრაციონისტულ პოლიტიკას მოუხდა. ამერიკელთა გეგმებს თავიდანვე კრიტიკულად მოეკიდნენ ისეთი ქვეყნები, როგორიც იყო ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც დასავლეთ ევროპაში სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირათ.

თუ აშშ-ისა და ინგლისის ინტერსები ემთხვეოდა ერთმანეთს გერმანიაში ინდუსტრიის დონის ამაღლების, გერმანული ეკონომიკის აღორძინებისა და გერმანიის რეინტეგრაციის საკითხში, ინგლისი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ზოგი ამერიკული პრინციპის მიმართ, კერძოდ ინგლისის სრულ ინტეგრაციაზე დასავლეთ ევროპაში. მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისა, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთმა დაკარგა მმართველი როლი მსოფლიო პოლიტიკაში (მან თავისი ჯარები გაიყვანა საბერძნეთიდან და დახმარება შეუწყვიტა ქვეყანას), ამ ქვეყნის ხელისუფალნი მიიჩნევდნენ, რომ ბრიტანეთს სხვებისგან გამორჩეული, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ევროპის რუკაზე, იგი არ იყო „მორიგი ევროპული ქვეყანა", როგორც ბე-

ვინმა განაცხადა კლეიტონთან შეხვედრისას. მას უფრო მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკური კავშირი ჰქონდა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ამიტომაც ინტეგრაციონისტული პოლიტიკის გატარებით ბრიტანეთი ძალიან იზარალებდა, თანაც ბრიტანეთს, როგორც ხელისუფალნი ამტკიცებდნენ, აშშ-ის შემდეგ სწორედ გაერთიანებული სამეფო იყო ის ქვეყანა, რომელსაც ევროპის აღდგენის საქმეში განსაკუთრებული წვილის შეტანა შეეძლო. თუმცა ჩანდა, რომ ამერიკა არ აპირებდა რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიები მიენიჭებინა ბრიტანეთისათვის და ბევრი ბრიტანელი პოლიტიკოსიც ეთანხმებოდა ამ კურსს. ასეთი იყო, მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრი ერნსტ ბევინი, რომლის ინიციატივითაც ჯერ კიდევ, 1947 წლის იანვარში კაბინეტმა დაიწყო ანგლო-დასავლეთ ევროპული საბაჟო კავშირის შექმნის პერსპექტივების შესწავლა. ამ ინიციატივას წინ აღუდგნენ ეკონომიკური სამინისტროების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ვაჭრობისა და ხაზინის საბჭოს წევრები, რომელთაც ეს პროცესი ორი წლით დაბლოკეს, რადგანაც მათი აზრით ეს კურსი, რომელიც მონაწილე ქვეყნებს შორის ტარიფების მოხსნას გულისხმობდა, ქვეყნის საშინაო ეკონომიკას ძირს გამოუთხრიდა და ხაზინას უცხოური ვალუტის რეგულაციას გაურთულებდა.

პარიზში 16 ივლისს პირველად შედგა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის შეხვედრა, რომელსაც ევროპის აღდგენის გეგმა უნდა შეედგინა. სწორედ აქ თავიდანვე იჩინა თავი მსგავსი სახის უთანხმოებებმა.. ეკონომიკური სამინისტროების მხრივ ასეთი წინააღმდეგობებით ბრიტანეთისათვის ძნელი იყო ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის პარტნიორების ინტეგრაციონისტული სქემების მხარდაჭერა. ერთ-ერთ ასეთ ინიციატივას წარმოადგენდა ბენელუქსის ქვეყნების წინადადება შიდა ევროპული ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ, რაც გულისხმობდა საიმპორტო შეზღუდვების შემსუბუქებას, მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებას და ევროპულ სახელმწიფოებში წარმოებისუნარიანობის აღდგენას, ყველა ამ პროცესში ჩართული უნდა ყოფილიყო დასავლეთ გერმანიაც, რადგან ბენელუქსის ქვეყნები აქ ომამდელი ბაზრის აღდგენას იმედოვნებდნენ. იქ უკვე მეორე წინააღმდეგობამ იჩინა თავი: საფრანგეთი წინ აღუდგა გერმანიის ეკონომიკის აღდგენისა და რეინტეგრაციის გეგმებს, ფრანგები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი გერმანული მრეწველობის აღდგენის მიმართ, მაგალითად იმ ახალი გეგმის მიმართ, რომელიც მიზნად ისახავდა 1951 წლისათვის გერმანიაში ფოლადის წარმოების გაზრდას 11 მილიონ დოლარამდე, ასევე ლითონის, მძიმე აღჭურვილობისა და ქიმიური მრეწველობის მკვეთრ ზრდას. საფრანგეთი წინააღმდეგი იყო გერმანიის თვითმყოფადობის და დამოუკიდებელი მმართველობის აღდგენისა.

უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სკანდინავიის ქვეყნებიც, რადგანაც მათ არ სურდათ ისეთი გეგმის მიღება, რომელიც რაიმე ფორმით შეზღუდავდა გაეროს უფლებებს.

ამრიგად, აგვისტოს შუა რიცხვებში ნათელი გახდა, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის საქმიანობა არ ეთანხმებოდა აშშ-ის ინტერესებს, ამერიკის მოწოდებები ერთობლივი პროგრამირებისაკენ, ურთიერთდახმარებისა და ევროპული ინტეგრაციისაკენ არ ხორციელდებოდა. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი კრიტიკულად არ უდგებოდა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს.

ჯეფერსონ ქეფერი, აშშ-ის ელჩი საფრანგეთში 1947 წლის 26 აგვისტოს მარშალის მიმართ მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ ასეთი მუშაობით კომისია მიაღწევდა მხოლოდ ომის წინა პერიოდის ეკონომიკის აღდგენას თავისი შრომის დაბალი პროდუქტულობით და ძალისხმევის არათანაბარი გადანაწილებით, რაც საბოლოოდ გულისხმობდა 200 000 000 ადამიანის 17 არაეკონომიურ ერთეულად დაყოფას. უფრო მეტიც, ამ პერიოდისთვის კონფერენციის მონაწილეები 29-მილიარდიანი პროგრამის წარდგენას გეგმავდნენ და ფიქრობდნენ, რომ ეს თანხაც არ იქნებოდა საკმარისი.

რადგანაც ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი ვერ აღმოჩნდა ის ორგანო, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებდა ახალი ევროპისთვის წარმატებული დიზაინის შექმნას, აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა, კომიტეტის საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩართულიყო და კონგრესის მიერ მხარდაჭერის უარყოფის მუქარით იძულებული გაეხადა ევროპელები, საერთო საქმისათვის დაეთმოთ ევროპული ინტერესები. მიზნით „მეგობრული დახმარების“ ჯგუფი ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელობასთან ერთად შეიმუშავებდა პროგრამას; მათ მიაღწიეს იმას, რომ პროგრამის საბოლოო ვარიანტში შეტანილ იქნა ეკონომიკური ინტეგრაციის და ერთობლივი მმართველობის პრინციპები, მაგრამ ისინი ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ფინანსური სტაბილიზაციის მიზნებთან ერთად მხოლოდ ცარიელ ფრაზებს წარმოადგენდნენ და მათ ზურგს არ უმაგრებდა კონკრეტული გეგმები, როგორიც იყო კონკრეტული სუპრანაციონალური სტრუქტურის შექმნა, არც გერმანიის საკითხის მიმართ არსებული უთანხმოება იყო მოგვარებული და მაინც, ეს ცვლილებები და რაც მთავარია, პირველად წარმოდგენილი თანხის 19.3 მილიარდამდე დაყვანა ძალზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა, რადგან სწორედ ევროპის ინტეგრაციონისტულმა მისწრაფებებმა ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი კომუნისტური ექსპანსიის შიშმა გამოიწვია 1948 წლის გაზაფხულზე ევროპის აღდგენის პროგრამის დამტკიცება.

16 აპრილს შექმნილი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია უშუალოდ განაგებდა ევროპის აღდგენის ღონისძიებებს.

სულ მარშალის გეგმის განსახორციელებლად გამოიყო და დაიხარჯა 13 325 800 000 აშშ დოლარი, აქედან 11 820 700 000 იყო გრანტი, 1 505 100 000 კი სესხი. ყველაზე დიდი თანხები გამოუყვეს საფრანგეთს, დასავლეთ გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, იტალიასა და ნიდერლანდებს.

1951 წლისათვის უკვე დახარჯული იყო 12 მილიარდი დოლარი საწვავის, საკვების, მანქანების, აღჭურვილობის სახით და ამ პერიოდისათვის ევროპის ქვეყნების ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მათმა შიდა და საგარეო ვაჭრობამ პროგრამის განხორციელების საწყის სტადიაში მოსალოდნელ შედეგებს დიდად გადააჭარბა, ევროპული ვალუტა კონვერტირებადი გახდა, შეიქმნა მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა; მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობა: ევროპის ერთიანი ეროვნული პროდუქტი 32 %-ით გაიზარდა, 120 000 მილიონიდან 159 000 მილიონამდე; სოფლის მეურნეობის წარმოება ომამდელ პერიოდთან შედარებით 11 %-ით, ხოლო მძიმე მრეწველობა 40 %-ით გაიზარდა. ევროპული ქვეყნების ეკონომიკის 80, 90 %-ს ადგილობრივი რესურსები შეადგენდა, მაგრამ აშშ-ის დახმარების როლი ფინანსურ დახმარებასთან ერთად იმაშიც მდგომარობდა, რომ მან გააადვილა ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, აქცენტირება მოახდინა ერთობლივ პროგრამირებაზე, ურთიერთდახმარებაზე და საერთო ევროპული ინტერესების გათვალისწინებაზე.

მარშალის გეგმის როლი უდაოდ დიდია ევროპის ისეთი სახით ჩამოყალიბებაზე, როგორი სახითაც იგი დღეს არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Michael J. Hogan, The Marshall Plan, America, Britain and the reconstruction of Western Europe. 1947-1952, Cambridge University Press, 1989.

2. John Gimbel, The Origins of Marshall Plan, Stanford University Press, 1976.

3.Ed Gray, General of the Army, George C. Marshall (soldier and statesman) Touchstoen Book, 1990.

4. Desmond Dinan, An Ever Closer Union (introduction to the European Community), Lynne Riener Publishers, 1994.

5. Charles Maier and Gunter Bischof, The Marshall Plan and Germany, Berg Publishers Limited, 1991.

6. George Brown Tindall, David E.Shi, America - a Narrative History. W.W. Norton &Company; NY, London, 1992.

7. The Annals of America, Vol. 18 (1961-1968). Encyclopedia Britannica, Inc.; USA, 1967.

ლევან ბატიაშვილი
თსუ, ისტორიის ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის განყოფილების სტუდენტი

შეერთებული შტატების პოლიტიკა კოსოვოში

ყველასათვის ცნობილი კოსოვოს პრობლემის აქტუალობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც შეერთებულმა შტატებმა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აქტიური ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს მთელს მსოფლიოში.

იუგოსლავია ისტორიულად წარმოადგენს იმ ტერიტორიას, საიდანაც ინყება ყველაზე სერიოზული და მასშტაბური კონფლიქტები, ბალკანეთი ის კვანძია, სადაც თავს იყრის უმსხვილეს სახელმწიფოთა ინტერესები.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, ფაქტობრივად, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მოხდა. იუგოსლავია სოციალისტური რეჟიმის ერთგული დარჩა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია მის ზოგიერთ პროვინციასა და მთლიანად მოსახლეობაში. სწორედ ასეთი ერთ-ერთი პროვინცია – კოსოვო გახდა მიზეზი ომისა და მსოფლიოს დიდი ქვეყნების აგრესიისა იუგოსლავიაში.

კოსოვოს ალბანელი მოსახლეობა დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბების და ალბანელებით დასახლებული ტერიტორიის ალბანეთთან შეერთების მოთხოვნით გამოდიოდა, რამაც, შესაბამისად, ურთიერთობის გამწვავება და იუგოსლავიის მთავრობის აგრესია გამოიწვია. კოსოვოში უამრავი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. გამწვავებულმა სიტუაციამ აიძულა მთლიანად დასავლეთი და, კონკრეტულად, ნატო გადამჭრელი ზომებისათვის მიემართათ. მოხდა კოსოვოს პრობლემის ინტერნაციონალიზაცია, რადგან ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე ბალკანეთის სივრცეში სტაბილურობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ამ პრობლემამ ფართო გამოხმაურება პოვა უცხოეთის და, მათ შორის, საქართველოს პრესაში. კოსოვოს ამბებს ანალიზს უკეთებს უამრავი პოლიტიკოსი, რომელმაც ჩვენამდე სწორედ პრესისა და მასმედიის საშუალებით მოაღწია.

სამწუხაროდ, კოსოვოს პრობლემაზე ქართულ პრესასა და პერიოდიკაში დიდი ანალიტიკური სტატიები არ გამოქვეყნებულა. თუმცა, ცალკეული პოლიტიკოსებისა და საზოგადოების წარმომადგენლების საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ სატელევიზიო ინტერვიუებში გამოჩნდა ქართული საზოგადოების

დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი და მასში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შეფასება.

ქართულ მასმედიაში ხაზგასმულია კოსოვოსა და საერთოდ, ბალკანეთის პრობლემის გადაწყვეტის თავისებური „კავკასიური ინტერპრეტაცია", რაზეც თავისი საინტერესო მოსაზრება აქვს შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველს სახელმწიფო უსაფრთხოების დარგში ზბიგნევ ბუეზინსკის. Mმან თავის გახმაურებულ მონოგრაფიაში 'დიდი საჭადრაკო დაფა~, მეტად ღრმა პოლიტიკური ანალიზით ცხადჰყო რუსეთის რეგრესული როლი, როგორც ბალკანეთსა და კვკასიაში, ისე მთელ ევრაზიულ სივრცეში. მან სქემატურადაც კი გამოხატა რუსეთის მისწრაფება, მოაწყოს ახალი „ევრაზიული ბალკანეთი" კავკასიასა და კასპიისპირა ქვეყნებში (2, გვ.150)

1999 წლის 23 აპრილს ნატოს 50 წლისთავისათვის კოსოვოს ომს ანალიზი გაუკეთა ზბიგნევ ბუეზინსკიმ. მან განაცხადა, რომ ნატოს დამარცხება კოსოვოში გამოიწვევს სახელმწიფოების თვალში მისდამი ნდობის ფაქტორის დაცემას და დიდ ზიანს მიაყენებს შეერთებული შტატების პოზიციას მთელს მსოფლიოში, აგრეთვე დიდ გავლენას იქონიებს მთლიანად ევროპის მომავალზე. ამერიკისადმი მტრულად განწყობილ ძალებს კარგად ესმოდათ, რომ კოსოვოს კრიზისი შეიძლებოდა ყოფილიყო "ამერიკის დამხობისა და ევროპის მზის ჩასვენების ეპოქის დასაწყისი", – ასე წერდა მოსკოვის ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთი. ბუეზინსკი მილოშევიჩს და რუსეთს ერთმანეთთან აიგივებს და გვთავაზობს კოსოვოს პრობლემის გადაჭრის თავისეულ პოლიტიკას:

1. უნდა გაძლიერდეს საჰაერო თავდასხმები, რათა განადგურდეს მილოშევიჩის სამხედრო ძლიერება; უნდა გაიზარდოს ნატოს კონტინგენტი;

2. ამ ომის მსხვერპლს – მშვიდობიან მოსახლეობას უფლება აქვს იბრძოლოს თავისი ინტერესების დასაცავად, ამიტომ ისინი იარაღით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი;

3. უნდა გაიყინოს იუგოსლავიის კაპიტალი ნატოს ქვეყნებში;

4. უნდა შემუშავდეს კოსოვოს აღდგენისა და ლტოლვილების დაბრუნების პროექტი;

5. კოსოვოს ფორმალური სტატუსი დროებით გაურკვეველი უნდა დარჩეს და ნატოს უშუალო დაცვის ქვეშ უნდა იყოს.

მას მიაჩნია ზედმეტად მოლაპარაკება მილოშევიჩთან და მით უმეტეს მოლაპარაკებაში რუსეთის შუამავლობა. ბუეზინსკის პროგრამა გულისხმობს მილოშევიჩის შემდეგ დემოკრატიული სერბეთისათვის და ბალკანეთის დანარჩენი სახელმწიფოებისათვის სერიოზული დახმარების გაწევას. ამერიკამ და ნატომ უნდა იზრუნონ ბალკანეთში ხანგრძლივი რეგიონალური სტაბილურო-

ბის დამყარებაზე. იგი არ გამორიცხავს ამ პროგრამაში რუსეთის მონაწილეობას.

იგი თვლის, რომ ამერიკის კონგრესმა ერთობლივი განცხადებით მხარი უნდა დაუჭიროს ნატოს პოლიტიკურ მიზნებს და გამოხატოს შეერთებული შტატების მტკიცე გადაწყვეტილება მიაღწიოს აღნიშნული მიზნების განხორციელებას ყველა საჭირო საშუალებით. ბუეზინსკის მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ შეერთებული შტატების მონაწილეობა გადამწყვეტი უნდა იყოს (იხ. 4).

შეერთებული შტატების ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს მიაჩნია, რომ ამერიკის პოზიცია კოსოვოს საკითხში ნათლად გამოკვეთილი არ არის. მაგალითად 1999 წლის გაზეთ "ფაინენშიალ თაიმს"-ში. გაზაფხულს გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის ბ. დოულის სტატია, რომელიც კოსოვოში განვითარებული მოვლენების ანალიზს ეხება. ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს სწორედ იმის გამო, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მკაფიოდ არა აქვს განსაზღვრული საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო მიზნები სერბიასა და კოსოვოში.

ბ. დოულს მიაჩნია, რომ აუცილებელია მილოშევიჩის ჰაგის ტრიბუნალისადმი გადაცემა, ასევე საჭიროა მილოშევიჩის დემოკრატიული, პოლიტიკური და სამხედრო ოპოზიციის გამყარება; უნდა გაძლიერდეს მოკავშირეთა ძიება სერბიის პატარა, სუსტ და დაქუცმაცებულ პოლიტიკურ ძალებში (იხ. 5). დოული თვლის, რომ სწორი სტრატეგიული გააზრებითა და შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით შესაძლებელია ასობით ათასი ლტოლვილის უსაფრთხო დაბრუნება კოსოვოში. "იმ შემთხვევაში თუ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები მხოლოდ მუშტებით ბრახუნს ამჯობინებენ, ან ეცდებიან მილოშევიჩთან რაიმე კომპრომისული გარიგების დადებას, მაშინ ჩვენ საბოლოოდ გავწირავთ კოსოვოელ ალბანელებს და დავტოვებთ მათ ტირანიის უღელ ქვეშ. ეს შეერთებული შტატების ნდობისა და ავტორიტეტის კატასტროფულ დაცემას გამოიწვევს, ხოლო ნატო მომავალ საუკუნეში, უსარგებლო და უფუნქციო ორგანიზაციად გადაიქცევა"— წერს იგი (იქვე). თვალს თუ გადავავლებთ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას, რომელმაც მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში უდიდესი ცვლილებები განიცადა საბჭოთა კავშირისა და ე. წ. „სოციალისტური სისტემის" დაშლის შედეგად, ვნახავთ, რომ ბალკანეთსა და კავკასიას თითქმის ერთნაირი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვთ — ორივე ზღვისპირა რეგიონებია, ორივე მათგანი წარმოადგენს ევროპიდან აზიისკენ და, პირიქით, აზიიდან ევროპისკენ დამაკავშირებელ თავისებურ „ხიდს" და, რაც მთავარია, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, კერძოდ კი,

რუსეთსა და ევროპა-ამერიკა „ნატოს“ შორის ინტერესთა შეჯახების არენას. მომავალში მსოფლიოს ჰეგემონია იმას ეკუთვნის, ვინც ევრაზიის კონტინენტის ამ უზარმაზარ სივრცეზე თავის გავლენას დაამყარებს. ეს მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ კასპიისპირეთსა და შუა აზიაში ნავთობისა და გაზის უზარმაზარი საბადოები აღმოჩნდა, რომელიც 21-ე საუკუნის შუა წლებისათვის მსოფლიოს ენერგეტიკის უმთავრესი წყარო გახდება.

საინტერესოა „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული ნ. რიზოპოლუსის სტატია სახელწოდებით „ხალხი, რომელიც იმსახურებს დამოუკიდებლობას“. სტატიაში ნათქვამია, რომ აშშ-მა ხელი არ უნდა მოაწეროს არანაირ შეთანხმებას მილოშევიჩის მთავრობასთან, არამედ მოითხოვოს ომის დამნაშავეთა გასამართლება. ლტოლვილების დაბრუნებისა და საერთაშორისო სამხედრო ძალებით კოსოვოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგ აუცილებელია გაეროს სარეაბილიტაციო პროგრამებისათვის სახსრების მობილიზება, ამ ყველაფერმა კი, მომავალში კოსოვოს სრული დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს (იხ. 5).

ძნელია დაეთანხმო ამ სტატიის იმ ნაწილს, სადაც ავტორი კოსოვოს დამოუკიდებლობაზე საუბრობს. შეერთებული შტატების მთავარ მისიას იუგოსლავიაში წარმოადგენდა არა კოსოვოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, არამედ მილოშევიჩის ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. მართებული და სწორიც არ იქნებოდა იუგოსლავიისათვის მისი ძირძველი ტერიტორიის ჩამოშორება, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნები სტატუს-კვოს მომხრენი არიან.

მადლენ ოლბრაიტმა შეერთებული შტატების მიზანს კოსოვოში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის სტატიაში „უოლ სტრიტ ჯორნელში“. იგი ასეთ კომენტარს უკეთებს კოსოვოში მიმდინარე მოვლენებს: „იმისათვის, რომ წინ აღვუდგეთ ბოროტებას და დავიცვათ ჩვენი ინტერესები, ხანდახან საჭიროა ძალის გამოყენება. ამერიკის შეერთებული შტატების მისია მდგომარეობს არა იმაში, რომ მოაგვაროს ძველი დაპირისპირებები, არამედ დაამარცხოს მილოშევიჩის ტირანია, დაამყაროს მშვიდობა ბალკანეთში და ააშენოს ერთიანი, მშვიდობიანი და თავისუფალი ევროპა“ – წერს იგი (იხ. 7).

მადლენ ოლბრაიტის სიტყვები სრულად გადმოგვცემს შეერთებული შტატების მიერ კოსოვოში გატარებულ პოლიტიკას და დასტურია იმისა, რომ ამერიკა იბრძვის ევროპაში და მთლიანად მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად და არა ერთი რომელიმე ქვეყნის ინტერესებისათვის. შეერთებული შტატების ამ პოლიტიკას, მისი ყოფილი თავდაცვის მინისტრის კ. უაინბერგე-

რის აზრით, ხელს უშლის რუსეთი. იგი ყველანაირად ცდილობს შეასუსტოს შეერთებული შტატების გავლენა ბალკანეთში და, პირიქით, გააძლიეროს თავისი ზეწოლა მთელს ევროპაში, რასაც კ. უაინბერგერის აზრით, აუცილებლად უნდა მოჰყვეს შეერთებული შტატების კონტრზომები (იხ. 6).

კოსოვოსა და ბალკანეთის კრიზისმა დასავლეთის უპირატესობასთან ერთად აჩვენა, რომ მარტო იარაღის ძალით თანამედროვე პირობებში წარმატებას ვერ მიაღწევ, ამისათვის, პირველ რიგში, ეკონომიკური სიძლიერეა საჭირო.ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ფრთხილი და მოზომილი პოლიტიკა გვჭირდება ჩვენც და კავკასიის სხვა ქვეყნებსაც, რათა თავიდან ავიცილოთ კოსოვოს მსგავსი დიდი ტრაგედია.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ასე ჩამოაყალიბა საქართველოს პოზიცია იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით: კოსოვოში ცეცხლის შეწყვეტა; ყველა შეიარაღებული ძალების გაყვანა; საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება; ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება; მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყება, იმ მიზნით, რათა განისაზღვროს კოსოვოს პოლიტიკური სტატუსი იუგოსლავიის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

როგორც აქედან ჩანს, საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია კოსოვოს პრობლემის მიმართ ემყარება იმ პრინციპებს, რომელიც საქართველოს აფხაზეთის მიმართ აქვს ჩამოყალიბებული. ამგვარად კოსოვოსა და აფხაზეთის გაიგივება სწორი არ იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Генри Кисинджер. Дипломатия. М.,1997.
2. Збигнев Бжезинский. Великая Щахматная Доска. М., 1998.
3. ოსვალდ შპენგლერი. ევროპის დაისი. თბილისი, 1999.
4. Frankfurter algemeine zeitung, 14. 04. 1999.
5. Washington post, 13. 04. 1999.
6. Indepedendent, 16. 04. 1999.
7. "რეზონანსი", 05. 03. 1999.
8. Wall Street Journal, 13. 04. 1999.
9. www.tass.ru/template3.

ანი მორგოშია
საქართველოს საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო
მმართველობის სკოლის მაგისტრანტი

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციული სამართალი წარმოადგენს სამართლის დარგს, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების შექმნის, საქმიანობისა და უფლებამოსილების საკითხებს, ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებას, ადმინისტრაციულ კვაზისასამართლო საქმიანობასა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ სასამართლო კონტროლის განხორციელებას. ე.ფროინდი ამერიკული ადმინისტრაციული სამართლის ძირითად დანიშნულებად თვლის ადმინისტრაციული ორგანოების კონტროლირებას და არა მათი ინტერესების დაცვის მექანიზმად სამსახურს. ამერიკულ იურისპრუდენციას ადმინისტრაციული პროცესის მთავარ ღერძად კერძო პირი, ინდივიდი მიაჩნია თავისი უფლებებითა და ამ პროცესში მონაწილეობის ხარისხით. ადმინისტრაციული რეგულირების ძირითადი დანიშნულებაა კერძო უფლებების დაცვა და განხორციელება. ადმინისტრაციული სამართალი სწავლობს ადმინისტრაციული ხელისუფლების ბუნებასა და წყაროებს, ამ ხელისუფლების განსახორციელებლად დამკვიდრებულ მეთოდებს, იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ადმინისტრაციული საქმიანობის წარმატებულად წარმართვასა და ადმინისტრაციული ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან მოქალაქეთა დაცვას. თუმცა მეცნიერთა გარკვეული წრე ადმინისტრაციული სამართლის ძირითად იდეად საჯარო ინტერესების დაცვას მიიჩნევს, ხოლო მოქალაქეთა ინტერესების დაცვას სასამართლოს ძირითად მოვალეობად თვლის. ადმინისტრაციული სამართალი არ არის ერთ-ერთი ტრადიციული დარგი ამერიკული სამართლისა, როგორებიცაა სისხლის სამართალი, საერთო სამართალი და სხვა. იგი დასაბამს უშუალოდ კანონმდებლობიდან იღებს, რაც დასტურდება მზარდი ოდენობის სტატუტების დადგენით, საკანონმდებლო ორგანოების (ლეგისლატურების) მიერ, რომელთა განმარტებასაც მათი გამოცემის შემდეგ ახდენენ სასამართლოები. ადმინისტრაციული ორგანოების სწრაფი ზრდა განპირობებულია საინფორმაციო მმართველობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტირებისა და

ინდუსტრიის წარმოუდგენელი განვითარებით, რისთვისაც აუცილებელი ხდება სახელმწიფო ზედამხედველობისა და ზემოქმედების გაძლიერება.

ადმინისტრაციული სამართლი სუბსტანციურიცაა და პროცესუალურიც და შედგება ოთხი სახისაგან: ადმინისტრაციული ხელისუფლების დამდგენი სტატუტებისა და დადგენილებებისაგან; სასამართლო გადაწყვეტილებებისაგან, რომლებიც განმარტავენ ადმინისტრაციული ხელისუფლების დაკანონებულ უფლებამოსილებას, ისევე როგორც მათი საქმიანობის კანონიერებას; ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ დადგენილი წესებისა და მარეგულირებელი ნორმებისაგან და მათ განსახორციელებლად გამოცემული ბრძანებებისა და დადგენილებებისაგან.

ტრადიციული თვალსაზრისით შეერთებული შტატების „სამართლებრივი სისტემა" მოიცავდა საკანონმდებლო და სასამართლო პროცესებს. კონსტიტუციის ფარგლებში საკანონმდებლო ორგანო ადგენს უფლებებს, აკისრებს მოვალეობებს და ადგენს ქცევის წესებს. სასამართლოები წყვეტენ დავებს, მხარეებს ანიჭებენ სათანადო უფლებებსა და მოვალეობებს კონსტიტუციით დადგენილი საკანონმდებლო სფეროს ხელყოფის გარეშე. ძირეული სხვაობა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სისიტემებს შორის მდგომარეობს იმ ზომაში, რომლის მიხედვითაც მმართველობითი მოქმედებებით შეიძლება შეიზღუდონ პიროვნებები სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე. სასამართლოს იურისდიქციას მიკუთვნებული საკითხები კანონმდებლობის მეშვეობით გადაეცათ ადმინისტრაციულ ტრიბუნალებს. ე.ი. ადმინისტრაციულმა სისტემამ შეცვალა სასამართლო საქმიანობა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობით და ამასთანავე განსაზღვრა მხარეთა უფლებები. თუმცა სასამართლოები გარკვეულწილად თავად ადგენენ ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს, რომელთა შემუშავებისას სასამართლოები ითვალისწინებენ ორგანოთა მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფლობის დონეს სპეციფიური საკანონმდებლო სტატუტების არარსებობისას. ასევე დონეს, რომლითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებებისაგან მოქალაქეთა დაცვის შესაძლებლობა სასამართლოში.

ტერმინი ადმინისტრაციული ორგანო, ჩვეულებრივ, გულისხმობს სახელმწიფო ორგანოს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების კომბინაციას. როგორც წესი, ისინი იქმნებიან საკანონმდებლო საფუძვლებით (ლეგისლატურებში). ზოგიერთი მათგანის უფლებამოსილება უშუალოდ კონსტიტუციითაა გათვალისწინებული. როდესაც ორგანო შექმნილია საკანონმდებლო წესით, შესაბამისი სტატუტი ან ორდონანსი უნდა იყოს კონსტიტუციური თავისი შინა-

არსით. ასევე მეთოდებიც, რომლებიც უზრუნველყოფენ მმართველობისა და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ სასამართლო ფუნქციებს, ისინი მაინც არ განიხილებიან სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში. თუმცა ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც ტრიბუნალი, საქმის განმხილველი პირი კი ატარებს "მოსამართლის" ტიტულს. ამგვარ კვაზისასამართლოებს არ გააჩნიათ სასამართლოსათვის მახასიათებელი სპეციფიური უფლებამოსილებანი და მათი პროცესი სასამართლო პროცესის ყველა წესების დაცვით არ წარიმართება. (მაგალითისათვის: სასამართლოს მიერ გამოყენებული ჩვენების მიცემის წესები). ადმინისტრციული ორგანოები უმეტესად მოქმედებენ როგორც სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულები. თუმცა დელეგირების საფუძველზე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებანი მათ გადასცემენ ზოგიერთ თავიანთ უფლებამოსილებებს.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოების მოსამსახრეებს ისინი უფრო დანიშნულნი არიან ვიდრე არჩეულნი. ორგანოს უფლებამოსილებით შეიძლება აღიჭურვოს ერთი ინდივიდი, კოლეგია ან კომისია და შესაძლოა კერძო პირიც კი. მოსამსახურენი ძირითადად აღმასრულებელნი არიან ან კვაზიმოსამართლეები. როდესაც ადმინისტრაციული მოსამსახურე ახორციელებს კვაზიმოსამართლის ფუნქციას, გამოიყენება საერთო სამართლის ნორმა მოსამართლეთა დისკვალიფიკაციის შესახებ. ე.ი. თუ პირი, რომელიც ვალდებულია განიხილოს ცალკეული საქმე, შეიძლება დისკვალიფიცირებულ იქნეს არაობიექტურობისა და ზიანის მიყენების გამო თუ იგი პერსონალურად ან მატერიალურადაა დაინტერესებული შედეგით, ან თუ ის ნათესაურ კავშირშია ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარესთან. საერთოდ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები მოქმედებენ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ჩათვლით, სასამართლოები არ ჩაერევიან მათ საქმიანობაში თუ არ აშკარავდება კორუფციისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები. პასუხისმგებლობა მატერიალური ზიანისათვის ცვალებადია იურისდიქციის შესაბამისად. მოსამსახურეთა პერსონალური პასუხისმგებლობის ინსტიტუტზე ვრცელდება გასაჩივრების სასამართლო იმუნიტეტის დოქტრინა. იმუნიტეტის წესი უნდა განვიხილოთ როგორც საჯარო პოლიტიკის ნაწილი, რომლის დანიშნულებაა მმართველობის ეფექტურობისათვის ხელშეწყობა და წონასწორობის დაცვა გარდაუვალ ზიანსა და სხვაგვარ ალტერნატივას შორის, რომელიც ამასთანავე უნდა განვიხილოთ, როგორც კანონიერი ადმინისტრაციის წახალისების ზომა.

ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ კანონშემოქმედების უფლებამოსილება, რომელიც თავისი არსით საკანონმდებლო ხასიათის მატარებელია. თუმცა სასამართლოთა მიერ კოსტიტუციების განმარტებისას ეს ძირითადი საკანონმდებლო ფუნქციების აკრძალული დელეგირებაა. ამ ძირითადი ფუნქციების მაგალითებია: უფლებამოსილება გარკვეული მოქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება და მუნიციპალური კორპორაციების შექმნა. ტერმინები "წესები" და "მარეგულირებელი ნორმები" ემსახურებიან ადმინისტრაციული ორგანოს კანონშემოქმედებითი პროდუქტის აღწერას. კანონშემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს აღსასრულებელი სტატუტის ინტერეპრეტირების მიზნით. ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ სათანადო მარეგულირებელი ნორმები და წესები იმ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, რომლებიც სპეციალური დადგენილების საგანს წარმოადგენენ. ამასთანავე, საკანონმდებლო ხელისუფლებამ თავის სტატუტშივე უნდა გამოაცხადოს მოქმედების შემდგომი კურსი და კანონის მიზანი. სტატუტი არ უნდა იქნეს აღქმული ისე, როგორც ადმინისტრაციული ორგანოსათვის უკონტროლო უფლებამოსილებების მინიჭება. რისთვისაც აუცილებელია განისაზღვროს დელეგირებულ უფლებებსა და თანამდევ პასუხისმგებლობას შორის პროპორციული ურთიერთდამოკიდებულება. როგორც აღვნიშნეთ, მრავალი ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს უფლებამოსილებას, რომელიც ბუნებით სამართალშეფარდებითია. ეს სამართალშეფარდებითი, სასამართლო თუ კვაზისასამართლო უფლებამოსილება შეეხება ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ქმედითად განსაზღვრავს რეგულირების სუბიექტი მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს. ხსენებული უფლებამოსილებანი არ შეიძლება იყოს წმინდად სასამართლო, რამდენადაც მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა, რითაც მსგავსი საქმიანობა სახელმწიფოს სასამართლო სისიტემაშია მოქცეული. სამართლაშეფარდებითი უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ე.წ. "შესაბამისი პროცესის" (Due process) მოთხოვნათა გათვალისწინებით. ეს გახლავთ მინიმალური აუცილებელი პროცედურული პირობები, რაც ვლინდება თუნდაც საქმის ობიექტურად მოსმენაში. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც მისთვის დადგენილია სათანადო აქტით. გადაწყვეტილების გამოტანას საფუძველი უნდა გააჩნდეს შესაბამის სტატუტში და უნდა წარმოადგენდეს დასაბუთებულ დასკვნას განსაზღვრულ სპეციფიკურ და/ან სადავო საკითხზე. ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა გამოტანა უმეტესად ხდება დადგენილი ფორმალობების წესების დაცვის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ საქმიანობას სხვა სამართლებრივი პროცესე-

ბისაგან. როგორც ვთქვით, სასამართლოები ჩვეულებრივ, არ ერევიან ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაში მათი მოქმედების დასრულებამდე. მოქმედების შედგომა და დასრულება, როგორც პირობა იურიდიული ფაქტის არსებობისა წარმოადგენს სასამართლო განხილვის მონიფულობის ფაქტისა და სასამართლო ჩარევის იურისდიქციულ წინაპირობას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია „ადმინისტრაციულ საშუალებათა ამოწურვის" დოქტრინა, რომელიც გულისხმობს კონკრეტული საქმის სასამართლოში წარდგენას მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი განხილვის შესაძლებლობა ამოწურულ იქნება ადმინისტრაციულ ორგანოთა შესაბამის ქვემდგომ და ზემდგომ ინსტანციებში.

ადმინისტრაციული სამართალი მთელი თავის ინსტიტუტებით შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც საუკეთესო მომწესრიგებელი და მარეგულირებელი საშუალება სახელმწიფო მმართველობის ეფექტურად წარმართვის თვალსაზრისით, რასაც მოწმობს თანამედროვე ამერიკელ მეცნიერთა ფართომასშტაბური კვლევების წარმართვა ადმინისტრციული სამართლის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის მიზნით. "ადმინისტრაციული სამართალი გადაიქცა სამართლებრივ სისტემად, რომელიც გამომუშავდა და გამოიყენება პრაქტიკაში, კონტროლირდება იურისტების მიერ, რომელთაც ყურადღება გაამახვილეს სასამართლო პროცედურებზე როგორც ნაყოფიერად მართვის საუკეთესო საშუალებაზე" (ბ. შვარცი, ჰ. უეიდი). ადმინისტრაციული სამართალი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი მუდმივ ზრდისა და სრულყოფისაკენ სწრაფვით განირჩევა სამართლის შედარებით მყარი დარგებისაგან, რაც განსაკუთრებულ და თვალსაჩინო ადგილს უმკვიდრებს მას მთლიან სამართლებრივ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arthur Earl Bonfield, Michael Asimov, State and Federal Administrative Law. American Casebook Series, West Publishing Co., St. Paul, Minn, 1989.

2. Ernest Gellhorn, Ronald M. Lewin, Administrative Law and Process in a Nutshel, 4th ed., West Publishing Co., St.Paul, Minn, 1997.

3. Florence Heffron, Neil McFeeley, The Administrative Regulatory Process, Longman, New York&London, 1983.

4. Eldon H. Crowell, Glenn D. Grant, Marc R.Salans, Making American democracy. Work Through the Administrative Process, Crowell&Mornin,; Washington D.C, 1998.

რუსუდან დაუშვილი
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტის დოცენტი

ქართველი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველები პირველად XIX ს. 60-იან წლებში ჩადიან სამუშაოს საძებნელად (ძირითადად რაჭველები და გურულები), იშვიათად – პოლიტიკური მოსაზრებებით მაგალითად, ქართველი ოფიცრები პეტრე ერისთავი და გრუზინოვი 1861 წ. სამოქალაქო ომში ლინკოლნის არმიაში იბრძოდნენ (1), ციმბირის კატორღიდან 80-იან წლებში გაიქცა და ჩინეთ-იაპონიის გავლით ამერიკაში ჩავიდა სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი (2) და სხვა. 1880 წელს ამერიკაში მოხვდა ბახველი 14 წლის ბიჭი ივანე მახარაძე, რომელიც ნიუ-იორკში ჯერ რაჭველმა მეპურეებმა შეიფარეს, მერე ცირკში გადავიდა სამუშაოდ და ცხენოსნობით მალე გამდიდრდა. 1987-96 წლებში იგი არაერთხელ ჩასულა „ბაფალო ბილის" მიწვევით ცირკში გამოსასვლელად საქართველოში შედგენილი მოჯირითეთა გუნდით. 90-იან წლებში სან-ფრანცისკოს ცირკში წარმატებით გამოდიოდა მახარაძის ჯგუფის წევრი მოჯირითე კოტკოშვილი, რომლის ფოტო ჩოხაში გადაღებული, გამოუქვეყნებია ადგილობრივ გაზეთს (3).

XX ს. იწყება უფრო მასიური მიგრაცია. საუკუნის დამდეგს „ბაფალო ბილმა" გურულების ახალი ჯგუფი მიიწვია – სამი ძმა კვიტაიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე იმნაძე და მისი 15 წლის ქალიშვილი ბარბალე, რომლის ნატურალური ზომის გამოსახულება ამშვენებდა კოლორადოს შტატის ქ. დენვერის „ბაფალო ბილის" მუზეუმს. დაქორწინების შემდეგ კ. ცინცაძე და ბ. იმნაძე ჩიკაგოში დასახლდნენ. მათ მრავალრიცხოვანი გაამერიკელებული შთამომავლობა დარჩათ. 1905 წელს გურულ ცხენოსანთა 50-კაციანი ჯგუფი ნოე ინნკირველის ხელმძღვანელობით კონტრაქტით ჩავიდა ამერიკაში ცირკის არენაზე გამოსასვლელად, რომელთაგან ნაწილი, მათ შორის ნ. ინნკირველი, ამერიკაში დარჩა, ძირითადად კოლორადოს შტატში, რომლის ბუნება და თოვლით დაფარული მწვერვალები საქართველოს აგონებდათ (4). იმავე პერიოდში ჩადიან ამერიკაში რაჭველი მიწის მუშები. 1910-13 წლებში ამერიკელ მრეწველებს რკინიგზის მშენებლობაზე 50, 80 და 100-კაციანი ჯგუფებად ჩაჰყავთ მუშები მთის რაჭიდან (5) და ალაგირიდან (6). მათგან ბევრი ველარ დაბრუნდა სამშობლოში. ისინი ძირითადად ქ. სიეტლსა და

მის მიდამოებში დასახლდნენ. მათი შთამომავლები „რეხონ“ – რეხვიაშვილები დღემდე არ წყვეტენ ურთიერთობას სამშობლოსთან, თუმცა ქართული აღარ იციან. ერთ-ერთი მათგანის, ვოლტერ რეხვიაშვილის მოგონებათა წიგნის თარგმანი სულ ახლახანს გამოაქვეყნა გაზეთ „რაეოს“ რედაქციამ (7). მათ მომდევნო წლებშიც ემატებოდნენ მცირე ჯგუფებად ახლობლები რაჭიდან და დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან – ლეჩხუმიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, აგრეთვე მანჯურიიდან (ჩინეთი).

მალე ქართველთა განსახლების არეალი გაიზარდა, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისე დასავლეთში – ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში, ლოს-ანჯელესში, დენვერში და სხვა, აგრეთვე კანადის მოსაზღვრე ქალაქებში: ტორონტოში, ოტავაში, ვანკუვერში, ედმონტონში და ა.შ. სიეტლსა და ვანკუვერში ძირითადად რაჭველები დასახლდნენ, საიდანაც ვიქტორიაში, საკრამენტოში, ტაკომსა და სან-ფრანცისკოში გაემგზავრნენ, თუმცა ცდილობდნენ სიეტლში მოეყარათ თავი. ჩიკაგოში გურულები დაჯგუფდნენ და იქიდან კანადაშიც გადადიოდნენ, ნიუ-იორკში კი მრავალი ქართველი იყო თავმოყრილი სხვადასხვა კუთხიდან. ბევრი ქართველი სეზონური სამუშაოსათვის ჩადიოდა, ნაწილი კი სამუდამოდ დასახლდა კანადასა და ამერიკაში.

1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრანტთა რიცხვი გაიზარდა. ისინი ახლა ძირითადად პოლიტიკური დევნილები იყვნენ. 30-იანი წლების კრიზისმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ბევრი ქართველი ემიგრანტი აიძულა გადასახლებულიყო ევროპიდან ამერიკაში. 1932 წელს იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, აქ მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა მიაშურა ამერიკას. დიდ ტალღებად მიაწყდნენ ამერიკას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართველები, რომელთა შორისაც ემიგრანტებთან ერთად იყვნენ ტყვედჩავარდნილი ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“.

30-იანი წლების დასაწყისისათვის ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ გაჩნდა სათვისტომოს დაარსების იდეა. 1931 წლის 1 დეკემბერს პავლე და თამარ კვარაცხელიების, ვანო კობახიძის, ვასო დუმბაძისა და გიორგი მაჩაბლის ინიციატივით დაარსდა ქართული სათვისტომო ამერიკაში. სამი თვის შემდეგ, 1932 წლის 31 იანვარს ნიუ-იორკის მახლობლად იანკერსში, კვარაცხელიების სახლში მოხდა სათვისტომოს საზეიმო კურთხევა. მიწვეული იყო 54 სტუმარი. არა მარტო კვარაცხელიების ქუჩა, არამედ მთელი გზა ნიუ-იორკიდან იანკერსამდე ქართული დროშებით იყო მორთული. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ვასო დუმბაძე – საქართველოს ელჩი ამერიკაში 1926 წლიდან, აკაკი შანიძის უფროსი ძმა მოსე შანიძე, რომლის ლოტბარობით შემდეგ გუნდმა შეასრულა „დიდება“

და რამდენიმე ქართული სიმღერა, პიანისტ ირაკლი ორბელიანის აკომპანიმენტით დავით ალავიძემ შეასრულა სოლო... ბევრს ადგა თვალზე ბედნიერების ცრემლი, განსაკუთრებით ბედნიერი იყო ზეიმის მონაწილე 6 ბავშვი. ნადიმი 12 საათი გაგრძელდა – დღის 3 საათიდან მეორე დღის 3 საათამდე. თამადა იყო უჩა დადიანი, თანაშემწეები – პავლე ჭავჭავაძე და გიორგი მაჩაბელი. როგორც პავლე კვარაცხელია შენიშნავდა, მისი მეზობელი ამერიკელები მოიხიბლნენ ქართული ლხინით, ბევრმა ამერიკელმა კი სწორედ დროშების წყალობით გაიგო საქართველოს არსებობა. მეორე დღეს დაინტერესებულ პირთათვის იანკერსის გაზეთში გამოქვეყნდა ცნობა სათვის-ტომოს დაარსების ზეიმთან დაკავშირებით და ინფორმაცია საქართველოს შესახებ (8).

სათვისტომომ 1938 წელს ნიუ-იორკიდან 60 კილომეტრის დაშორებით, აილსლიპში შეიძინა სახლი. საკუთარი ძალებით გაარემონტა, გააწყო ავეჯით, გააშენა ბალ-ბოსტანი. იგი მოხუცთა თავშესაფარიც გახდა. მას უვლიდნენ კოსტა ხუნწარია ცოლ-შვილით და ვასო დუმბაძე. 1951 წელს სახლი გაყიდეს სიშორის გამო (2), მის ნაცვლად კი ნიუ-იორკში, ჯეკსონ ჰეიტში 91-ე ქუჩაზე შეიძინეს მიწა და ააშენეს 10-ოთახიანი ორსართულიანი სახლი სარდაფითა და გარაჟით, სადაც იმართებოდა სხდომები, შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები. ზეიმებისათვის კი დიდ დარბაზებს ქირაობდნენ (10). სათვისტომო ეხმარებოდა ახალჩასულებს და ხელს უმართავდა გაჭირვებულებს არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპაშიც. სხვადასხვა დროს სათვისტომოს თავმჯდომარეები იყვნენ: პავლე კვარაცხელია, ირაკლი ორბელიანი, ვასო დუმბაძე, ვანო კობახიძე, გივი ზალდასტანიშვილი და სხვები. ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, ზემოთ ჩამოთვლილ წევრთა გარდა, დიდი როლი შეასრულეს კირილე გურგენიძემ, ასლან ყრუაშვილმა, ნიკოლოზ ამილახვარმა, ლევან (ჯონჯი) და მიხეილ დადიანებმა, ნესტორ ალავიძემ, სვიმონ სიდამონერისთავმა, ლადო არველაძემ, ალექსანდრე სულხანიშვილმა, გრიგოლ დიასამიძემ, გიორგი გამყრელიძემ, ალექსანდრე ჯაყელმა, ლეო დუმბაძემ, ალექსანდრე ცომაიამ, დიმიტრი სინჯიკაშვილმა, ვანო ნანუაშვილმა, ძმებმა გალაშვილებმა და სხვებმა.

ქართული დიასპორა, მართალია, სხვებივით მრავალრიცხოვანი არ იყო და მისი რიცხვი 1955 წელს 300 არ აღემატებოდა (2), მაგრამ ქართველებმა გარკვეული წვლილი მაინც შეიტანეს ახალი სამშობლოს აყვავებაში. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი და საქართველოს ელჩი იტალიაში გიორგი მაჩაბელი. 1922 წელს იგი გადასახლდა ამერიკაში და შექმნა ნელსაცხებლების ფირმა „პრინცი მაჩაბელი“, რომელმაც წარმატებით გადალახა 30-იანი წლების კრიზისი და დღე-

საც ამერიკის საპარფუმერიო წარმოების ლიდერთა შორისაა. ამ დარგში წარმატებას მიაღწია არჩილ გურიელმაც (10).

მრეწველთა შორის ყურადღებას იქცევს ჯორჯ (გიორგი) კობი – კობახიძე, რომელმაც, მართალია, 1929-33 წლების კრიზისის დროს თავისი მილიონები დაკარგა, მაგრამ მაინც რჩებოდა უმდიდრეს ქართველად. ომის წინ მან აღადგინა მინის წარმოება და 70-იანი წლებში კიდევ ჰქონდა ორი დიდი მინის საწარმო მასაჩუსეტსა და როდ-აილენდში. 40-იან წლებში ჯ. კობიმ თავისი ხარჯით მასაჩუსეტსის შტატის ქ. ეტლებორგში ლაბორატორია მოუწყო 1939 წელს მანჯურიიდან ჩასულ ექიმს ნიკოლოზ ჯიშკარიანს, რომელიც ჩინეთში იყო საქართველოს კონსული და საექიმო პრაქტიკასთან ერთად სამეცნიერო კვლევას ეწეოდა. ამერიკაში მან დაასრულა კვლევა და 1941 წელს სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა ახალი პრეპარატი „ჰემოდინი“ – ნერვული და ანემიური დაავადებების სამკურნალოდ. პრეპარატმა პოპულარობა მოიპოვა და ბევრს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. დეკემბერში ამერიკა მეორე მსოფლიო ომში ჩაება. ამ დროს, გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა ნ. ჯიშკარიანი. მის საქმეს გამგრძელებელი არ დარჩა. ამერიკელებმა პრეპარატი შეიძინეს, სახელი შეუცვალეს და წარმოებაში გაუშვეს (9).

მეორე მსოფლიო ომში ამერიკის ახალ გამანადგურებელს „მეხდამცემს“ (ტანდერბოლტს), რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ნაკლი აღმოაჩნდა, რომლის დადგენასა და გამოსწორებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა უმსხვილესი ამერიკული საავიაციო კომპანია „რიპაბლიკის“ ვიცე-პრეზიდენტმა, აეროდინამიკის ცნობილმა სპეციალისტმა ალექსანდრე ქართველიშვილმა, რის გამოც პრეზიდენტ რუზველტის მადლობა და მედალი „სახელმწიფო თავდაცვისათვის“ დაიმსახურა. 40-იან წლებში ამერიკაში ბესტსელერად იქცა წიგნი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, რომლის ავტორი იყო ქართველი ემიგრანტი, მწერალი და სკულპტორი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი, რომლის მიხედვითაც 1951 წელს ჰოლივუდში რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა ცნობილი კინოვარსკვლავის ხოზე ფარერის მონაწილეობით გადაიღო ფილმი. ქართული სიმღერებისა და ცეკვების მოტივებზე მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვიქტორ იუნგმა. ტექნიკური დირექტორი იყო დიზაინერი ლადო ბაბიშვილი. მონაწილეობდა ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ფუტკარაძე, რომლის ოჯახშიც დიდხანს ინახებოდა ფილმში გამოყენებული ისტორიული ფანდური. სამწუხაროდ, ფილმის გამოსვლას ისეთი წარმატება არ მოჰყოლია, როგორიც წიგნს ჰქონდა (10).

სხვადასხვა დროს სახელი გაითქვეს ქორეოგრაფმა ჯორჯ ბალანჩინმა, ბალერინა თამარ თუმანიშვილმა, პიანისტმა ერეკლე ორბელიანმა, მოქანდაკე

ლადო გუჯაბიძემ, მწერალმა სანდრო ნებლომ (პაპუაშვილი), ისტორიკოსმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ინჟინრებმა ალექსანდრე გრიგოლაშვილმა და თეოდორე ლობჯანიძემ, მეღვინემ კალიფორნიაში ვანო კობახიძემ, ოქროს მრეწველმა ალიასკაზე დიმიტრი მეტრეველმა (მაიკ მიტო), ექიმებმა შოთა დვალმა, გივი გაბლიანმა და გივი კობახიძემ, მოჭიდავე კოლა ქვარიანმა, დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრის აკაკი ჩხენკელის შვილებმა — რადიო „თავისუფლების" ამერიკელმა კორესპოდენტმა ალექსი ჩხენკელმა და თარჯიმანმა გაეროს შტაბბინაში თამარ ჩხენკელმა, მისმა კოლეგამ გაეროში, მთავარმა მრჩეველმა და თარჯიმანმა მოსე შანიძემ, ნიუ-იორკის ვიცე-მერმა კონსტანტინე სიდამონ-ერისთავმა, გენერალმა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილმა და სხვებმა.

ამერიკულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროფესორებმა: ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ბიზანტინოლოგმა კირილე თუმანიშვილმა, ითაკის კორნელის უნივერსიტეტში აგრიკულტურისა და მცენარეთა დაცვის დარგში პავლე კვარაცხელიამ, იუტას შტატის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის გამგემ ვახტანგ ჯობაძემ, პენსილვანიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგმა ალექსანდრე გრიგოლიამ, პრინსტონის უნივერსიტეტში დავით ჯაფარიძემ, კოლუმბიის უნივერსიტეტში გიორგი ნაკაშიძემ, პრინსტონის უნივერსიტეტის ჰარვარდის უნივერსიტეტში აეროდინამიკოსმა და მშენებელმა ოთარ ზალდასტანიშვილმა, რომლის დაპროექტებულია რამდენიმე უმსხვილესი აეროპორტი, მათ შორის ბოსტონის აეროპორტი, მაღლივი შენობები არა მარტო ამერიკაში, არამედ ევროპასა და აზიაში, ასევე მთელი ქალაქი საუდის არაბეთში, მისმა ძმამ ბიზნესმენმა გივი ზალდასტანიშვილმა, რომელიც მშობლიური ჰარვარდის უნივერსიტეტის საქმიანობაში დღემდე იღებს მონაწილეობას, კლივლენდის ქირურგიის ცენტრში გედევან ასათიანმა და სხვებმა.

ამ არასრულ სიაში შეტანილი სახელებიდან გურამ შარაძის წიგნების წყალობით ბევრი ახლა უბრუნდება საქართველოს და იმედია, კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებენ ჩვენთანაც (14).

ქართველთა მოღვაწეობამ არაერთხელ მიიპყრო ამერიკელთა ყურადღება. კონგრესმა ორი წიგნიც კი მიუძღვნა საქართველოს წარსულს, ბუნებას და კულტურას (13). ამერიკელებმა არა ერთი თბილი სიტყვა უძღვნეს ქართველთა საქმიანობას ახალ სამშობლოში, მათ შორის აღსანიშნავია ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის, ცნობილი ნელსონ როკფელერის სიტყვები, რომლითაც მან მიულოცა ქართულ სათვისტომოს დღესასწაული: „ჩვენ, ამერიკელები ვამაყობთ, რომ მრავალმა ქართველმა ლტოლვილმა მიიღო აქ თავშესაფარი. ჩვენ ვისარგებლეთ მათი მოსვლით. ისინი გახდნენ ჩვენი ღირსეული

მეზობლები, ლოიალურნი, ერთგულნი და ნაყოფიერი მონაწილენი ჩვენი შტატის და ჩვენი ერის ეკონომიური აღორძინების" (11). „ქართველები ამერიკის ეკონომიკისა და კულტურის ზრდის მნიშვნელოვანი მონაწილენი გახდნენ" (12).

ბოლო წლებში მიგრაციული პროცესების გააქტიურების გამო, შეიცვალა ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა რიცხვი და შემადგენლობა. ძველი ემიგრაციის რაოდენობა შემცირდა, მაგრამ ქართულ სათვისტომოს დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამერიკელ ქართველთა ცხოვრებაში. დღეს მისი პრეზიდენტია ოთარ ზალდასტანიშვილის ქალიშვილი ლიზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. დავიდოვი ერისთავები ლინკოლნის არმიაში – „ახალი საქართველო", 1990, 30 XI, გვ.3.

2. გ. კობახიძე. ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ქართველი ერი",ნიუ-იორკი, 1955-56, №1, გვ.12.

3. ვ. მახარაძე ივანე მახარაძე და მისი დასი. „ლელო, 1975, №251, გვ.3.

4. ბაბიშვილი ლ. ვინ არის დამნაშავე? – „გუშაგი", პარიზი, 1987, X, №14, გვ.111-116.

5. რეხვიაშვილი ს. ქართველები ამერიკაში. „რაეო", 1996, III, №3, გვ.11.

6. ლ. ცინცაძე. ქართველები ამერიკაში (ალაგირელი ქართველები რკინიგზის მშენებლობაზე). „ახალგაზრდა კომუნისტი", 1958, 13 III, გვ.4.

7. ვ. რეხვიაშვილი. მოგონებათა შესახებ, თბილისი, 1999.

8. პ. კვარაცხელია. როგორ დაარსდა ქართული სათვისტომო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდა, 1956, გ. კობახიძის პირადი არქივი, ემიგრაციის მუზეუმის ფონდი, გვ.9-11.

9. გ. კობახიძე. ქართველი მკურნალი ამერიკაში. ვაშინგტონი, 1990, პირადი არქივი, ემიგრაციის მუზეუმის ფონდი, გვ.1-11.

10. კ. ინასარიძე. ქართველები ამერიკის შეერთებულ შტატებში. რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქცია, მიუნხენი, 1970, გვ.155.

11. ნ. როკფელერი. წერილი ბატონ ვ. დუმბაძეს. „ქართული აზრი", ნიუ-იორკი, 1961, №42, გვ.1.

12. ნ. როკფელერი. წერილი ბატონ ვ. დუმბაძეს. „ქართული აზრი", ნიუ-იორკი, 1965, №69-70, გვ.1.

13. ვ. სანგულია. ქართველები შეერთებულ შტატებში. „ქართული აზრი", ნიუ-იორკი, 1965, №69-70, გვ.1.

14. გ. შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. I,II,III ტ. თბილისი, 1991-93 წწ. აგრეთვე, ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით, თბილისი, 1992.

ნიკა ხიდარელი
თსუ, ეკონომიკის ფაკულტეტის და
კავკასიის ბიზნესის სკოლის სტუდენტი

რონალდ რეიგანის ფისკალური პოლიტიკა
(საგადასახადო სისტემა)

საგადასახადო სისტემა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სახელმწიფოები აღნიშნული სისტემის სრულყოფის გზების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან. ჩვენ შეგვიძლია ამ ძიების შედეგები თითოეული ქვეყნის თანამედროვე რეალობაში დავინახოთ. როგორც ყველასათვის კარგად ცნობილია, დღეს ამერიკის შეერთებული შტატები არის ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკა აქვს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა ყველაზე სრულყოფილ სისტემათა ჯგუფს მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყანაში კვლავაც ეძებენ საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზებს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ის, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატის საარჩევნო პროგრამის ძირითად ნაწილს მათი საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს.

რონალდ რეიგანის საარჩევნო კამპანიის ძირითადი პუნქტიც იყო ე.წ. "მიწოდების ეკონომიკა" ("supply-side economics"), რომელიც გულისხმობს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას მიწოდების სტიმულირების გზით, რაც, თავის მხრივ, გადასახადების შემცირებას გულისხმობს.

რეიგანის პროგრამის ძირითადი ელემენტები იყო:

* გადასახადების საგრძნობი შემცირება – 10%-ით ყოველ წელს სამი წლის განმავლობაში; ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის შემცირება და აგრეთვე ბიზნეს ინვესტიციებიდან მიღებულ თანხებზე საშემოსავლო გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირება;

* დაგეგმილი არათავდაცვითი ხარჯების შემცირება;

* ფულადი მასის უფრო ნელი და სტაბილური ზრდა ინფლაციის დონის შემცირების მიზნით;

* სახელმწიფო კონტროლის საგრძნობი შესუსტება;

* თავდაცვაზე გაწეული ხარჯების ზრდა;

* რამდენიმე წლის განმავლობაში ფედერალური ბიუჯეტის დაბალანსება (იხ.6).

რეიგანმა არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ მისი პრეზიდენტობის პირველი ექვსი თვე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისათვის ნამდვილ კოშმარად იქცა. აი ასე აღწერს რეიგანი ამ პერიოდს თავის სიტყვაში "ეკონომიკის აღორძინების პროგრამა", რომელიც 1981 წლის 28 აპრილს წარმოთქვა: "გავიდა ექვსი თვე იმ არჩევნებიდან, რომელმაც ყოველი ჩვენთაგანი ხელისუფლების სათავეში მოგვიყვანა ეროვნული ეკონომიკის აღორძინების მოვალეობით. მაგრამ რას მივაღწიეთ ამ ექვს თვეში? ინფლაცია კვლავ იზრდება... დაგირავების საპროცენტო განაკვეთმა 15%-მდე აიწია, რის გამოც ოჯახები მთელს ამერიკაში ვეღარ ახერხებენ სახლების შეძენას; 8 მილიონამდე ადამიანი უმუშევარია; ინფლაციის დონის გათვალისწინებით საშუალო მომუშავე ამჟამად საათში იღებს ნაკლებს, ვიდრე ექვსი თვის წინ; 6000-ზე მეტი საქმიანი წამოწყება წარუმატებლად დამთავრდა" (იხ.7).

ამ კრიზისიდან გამოსასვლელად მან გადასახადების შემცირების კიდევ ერთი კანონი მიაღებინა კონგრესს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეეწინააღმდეგა აღნიშნული კანონის გარკვეულ ნაწილს, თავად გადასახადების შემცირების იდეა მან უპრობლემოდ მიიღო. პირველ წელს გადასახადების 5%-ით შემცირებას მომდევნო წელს უნდა მოჰყოლოდა გადასახადების 10%-ით შემცირება. როგორც რესპუბლიკელთა პრაქტიკულად ნებისმიერი ინიციატივა, გადასახადების შემცირება, დემოკრატებმა მკაცრად გააკრიტიკეს. მათი აღშფოთების მიზეზი იყო გადასახადების შემცირების უსამართლო პრინციპი. უდიდესი საგადასახადო განაკვეთი 70%-დან 50%-მდე იქნა შემცირებული, რაც, მართლაც, სერიოზული შეღავათი იყო, ხოლო უმცირესი განაკვეთი 14%-დან მხოლოდ 10%-მდე შემცირდა, რაც ნამდვილად უმნიშვნელო ცვლილებას წარმოადგენდა. ეს კი ნიშნავდა, რომ მცირე შემოსავლიან ამერიკელებთან შედარებით მდიდრებისათვის გადასახადები ხუთჯერ მცირდებოდა.

რეიგანის ფისკალური პოლიტიკა ეყრდნობოდა არტურ ლაფერის თეორიას, რომლის მიხედვითაც მონოპოლიებისათვის გადასახადების შემცირება ზრდის დამატებით მოგებას, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის თავისუფალ ფულად სახსრებს ეკონომიკაში ინვესტირებისათვის. აგრეთვე გადასახადების შემცირება შესაძლებლობას მისცემს ბიზნესს იმუშაოს ლეგალურად და შემოსავლები არ დამალოს. რეიგანის პრეზიდენტობის პირველ წლებში რეიგანომიკამ (რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკა) ვერ გაამართლა, მან ფედერალური ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი გამოიწვია. დეფიციტმა 200 მილიარდ დოლარს მიაღწია, სამაგიეროდ გაორმაგდა პენტაგონის ბიუჯეტი. ასე რომ, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აქტს გადასახადების შემცირების შესახებ, მწვავედ დაისვა კითხვა: სად უნდა ეშოვა მთავრობას ფული? რეიგა-

ნმა გადაწყვიტა ხარჯების შემცირება და ამგვარად, მისი დაპირებების მიუხედავად, რეფორმები საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონდებს შეეხო.

სწორედ იმ დროს, როდესაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამერიკის ეკონომიკა ინგრეოდა, უეცრად დაიწყო ნელი პროგრესი. შემდგომი ექვსი წლის განმავლობაში შეიქმნა 17 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი და იმისდა მიუხედავად, რომ ამერიკელთა 20% სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა, რეიგანი მაინც აირჩიეს მეორე საპრეზიდენტო ვადით. პროგრესი გაგრძელდა რეიგანის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის შემდეგაც და 1980-იან წლებში ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდა. მიუხედავად უზარმაზარი საბიუჯეტო დეფიციტისა, ეკონომიკური ზრდა საგრძნობი იყო. მომავალი საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისათვის საინტერესოა რეიგანისა და კლინტონის ფისკალური პოლიტიკის შედეგების შედარება. რეიგანმა გადასახადები შეამცირა, კლინტონმა კი გაზარდა. სტატისტიკა კი ასეთია:

* 1983-1989 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდებოდა საშუალო წლიური განაკვეთით 3,9%, ხოლო 1993-1995 წლებში – 2,3%;

* იმავე წლებში დასაქმების დონე ყოველწლიურად იზრდებოდა 2,4%-ით რეიგანის დროს და 2%-ით კლინტონის დროს;

* რეიგანის დროს შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა 1,5%-ით, კლინტონის პრეზიდენტობისას კი – 0,6%-ით;

* რეიგანის დროს შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაიზარდა 2,7%-ით, ხოლო კლინტონის დროს კი – 1,3%-ით;

* ამავე დროს, 1983-1989 წლებში სამუშაო ძალა იზრდებოდა 1,8%-ით, ხოლო 1993-1995 წწ – 1,3%-ით (იხ.5).

საფუძვლიანია ეკონომისტების აზრი, რომლებიც თვლიან, რომ კლინტონის მიერ გაზრდილი გადასახადები ხელს უშლიდა ინვესტირებისა და დაზოგვის პროცესს. თავის მხრივ, ამან გამოიწვია ის, რომ ამერიკელთა ცხოვრების დონე უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. ყველასათვის კარგად ცნობილია, თუ რა მძიმე ეკონომიკური ვითარება არის საქართველოში. ჩვენი ეკონომისტები მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ პოულობენ. ვფიქრობ, ჩვენ არ შეგვიძლია რეიგანომიკის გამოყენება, რადგან ნებისმიერი საბიუჯეტო დეფიციტი, რაც მას მოჰყვება, კატასტროფის ტოლფასია ქვეყნისათვის, რომელშიც მოსახლეობის 25%-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციებში არის დასაქმებული. მაგრამ ჩვენ არც უმოქმედოდ გაჩერების უფლება გვაქვს.

ვეთანხმები იმ ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც თვლიან,

რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიმართოს პროტექციონისტურ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს მაღალი საბაჟო და დაბალი საგადასახადო განაკვეთების შემოღებას. ალბათ, ამგვარი პოლიტიკის გატარების გარეშე საქართველოს ეკონომიკას გადარჩენის შანსი არა აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ამერიკის ეკონომიკა. ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა". USIA Regional Program Office, Viena.

2. Дж.Гренвиль. Соединенные Штаты: от Рейгана к Бушу. В кн.: «История XX века. Люди, события, факты». М.,1999.

3. Robert L.Bartley, The Seven Fat Years and how to do it again, NY, 1995.

4. Lou Cannon, Reagan, NY, 1982.

5. Alan Reynolds, Clintonomics Doesn't Measure up, *Wall Street Journal*, June 12, 1996.

6. Herbert Stein, Presidential Economics. The making of economic policy from Roosevelt to Reagan and beyond, Washington, 1988.

7. William Wishoven and Steden, Supply-Side Tax Cuts and the Truth about the Reagan Economic Rouard.

თამაზ სალუქვაძე, ალექსანდრე ბალავაძე, ეთერი ხელაია
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის მ. ნოდიას სახელობის
გეოფიზიკის ინსტიტუტი.

მავნე ატმოსფერულ მოვლენებზე ხელოვნური ზემოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ისეთი მავნე ატმოსფერული მოვლენები, როგორიცაა გვალვა და სეტყვა საგრძნობ ზარალს აყენებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანას. მარტო კანადაში 1985 წელს მარცვლეულ კულტურებს გვალვამ 650 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა, ხოლო სეტყვისაგან გამოწვეული ზარალი 1980-1995 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 150 მილიონ დოლარს შეადგენდა.

მცდელობა, ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების გზით თავიდან იქნეს აცილებული ამ მავნე მოვლენებით გამოწვეული ზარალი ან შემცირებულ იქნეს მისი მნიშვნელობა, დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს. კონვექციურ ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედება დიდი ხანია საცდელ-ექსპერიმენტული სტადიიდან პრაქტიკული გამოყენების სტადიაში გადავიდა. ამჟამად მსოფლიოში ნახევარ მილიონ კმ^2-ზე მეტ ფართობზე მიმდინარეობს პრაქტიკული სამუშაოები გვალვითა და სეტყვით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად.

ანალოგიური სამუშაოები ფართოდ იყო დანერგილი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც. დღეისათვის ეს სამუშაოები ყველგან შეწყვეტილია, მიუხედავად იმისა, რომ გვალვისა და სეტყვის პრობლემა ისევ მწვავედ დგას ჩვენთან. ამ პრობლემის სიმწვავე უფრო გაიზრდება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის და მოსავლიანობის ზრდასთან ერთად.

წარმოდგენილ სამუშაოში შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ რა მდგომარეობაა დღეს მსოფლიოში ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების გამოყენებით ნალექთა რეგულირების საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა ინტერნეტით გავრცელებული მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) და აშშ-ის ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების გაერთიანების (WMI) ექსპერტთა და სხვადასხვა პროექტების განხორციელების შემდეგ გამოქვეყნებული ანგარიშების მონაცემებს. აგრეთვე იმავე ქსელში გავრცელებულ სხვადასხვა მეცნიერთა მიერ შედგენილ მიმოხილვებს.

ცხრილი №1
მავნე ატმოსფერულ მოვლენებზე ხელოვნური ზემოქმედების ეფექტურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

№№	შტატები	წლები	მიზანი	ზემოქმედება ტარდებოდა:	გამოყენებული რეაგენტი	ე ფ ე ქ ტ ი %%	
						ნალექების გადიდება	სეტყვის შეცირება
	1	2	3	4	5	6	7
1	კანზასი	1979-2001	სეტყვა	თვითმფრინავით	gI	უნიშენელო	35 -48
2	სამხრეთი დაკოტა	1989-1999	სეტყვა	თვითმფრინავით და მინისპირა გენერატ.-ით	gI პიგროსკოპ. ნივთიერება	12 - 15	35
3			ნალექი			11	-
4	ჩრდილოეთი დაკოტა	1976-2001	სეტყვა	თვითმფრინავით	gI და მშრალი ყინული	უმნიშვნელო	43,5
5			ნალექი			15	-
6	ტეხასი	1874-1999	ნალექი	თვითმფრინავით	gI	25 -42	-
7	ილინოისი	1986-1989	ნალექი	თვითმფრინავით	gI პიგროსკოპ. ნივთიერება	უმნიშვნელო	-
8	არიზონა	1990-1993	ნალექი	თვითმფრინავით	gI პიგროსკოპ. ნივთიერება	17	-
9	კოლორადო	1960-1970	ნალექი	თვითმფრინავით	gI	14	-
10	იუტა	1989-2001	ნალექი	თვითმფრინავით და მინისპირა გენერატ.-ით	gI და თხევადი პროპანი	12 - 20	-
11	ნევადა	1973-1999	ნალექი	თვითმფრინავით	gI პიგროსკოპ. ნივთიერება	34	-
12	ოკლაპომა	1986-1999	სეტყვა	თვითმფრინავით	gI პიგროსკოპ. ნივთიერება	-	შემცირება
13			ნალექი			11	-
14	კალიფორნია	1973-1999	ნალექი	თვითმფრინავით	gI პიგროსკოპ. ნივთიერება	30	-

ჩვენს მიერ გაანალიზებული 14 მსხვილი პროექტიდან 7 ეძღვნებოდა მხოლოდ ნალექის გადიდებას, 1 - მხოლოდ სეტყვით გამოწვეული ზარალის შემცირებას, ხოლო 3 - ნალექის გადიდებას და სეტყვით გამოწვეული ზარალის შემცირებას ერთდროულად. ამ 14 პროექტიდან 11-ის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნალექის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას. ნალექის რაოდენობის გაზრდისათვის წარმოებული 10 პროექტიდან ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა მნიშვნელობის დადებით ეფექტს. აქედან მხოლოდ 3 შემთხვევაში აღინიშნა ნალექის რაოდენობის სუსტი გაზრდა. ამ 3-დან 2 შემთხვევაში ნალექის გაზრდა იყო როგორც თანმდევი მოვლენა სეტყვის წინააღმდეგ ჩატარებული სამუშაოებისა.

სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების მიზნით განხორციელებული 4 პროექტიდან 3 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სეტყვით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის შემცირებას არა ნაკლებ 35%-ით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ზემოქმედების ეფექტურობა დადებითია, მაგრამ ზარალის შემცირების პრო-

ცენტი ნაკლებია 35%-ზე.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც ამინდის მავნე მოვლენებზე ჩატარებული ხელოვნური ზემოქმედების სამუშაოების ანალიზმა აჩვენა, რომ ეს ღონისძიება ხასიათდება მაღალი რენტაბელობით. განსაკუთრებით გამოირჩევა ისეთი სამუშაოები, რომლის დროსაც ღრუბლებში აქტიური რეაგენტის შესატანად თვითმფრინავები გამოიყენება. ე.წ. "მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტების გამოყენებით ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების მეთოდები, რომლებიც დამუშავებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში (მათ შორის ორი მეთოდი შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტებში) დღეს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში აღარ გამოიყენება სიძვირის გამო.

ქვემოთ მოგვყავს ამ სამუშაოების რენტაბელობის შესახებ მონაცემები აშშ-ში განხორციელებული სამუშაოების მაგალითზე სადაც, ზემოქმედება ძირითადად თვითმფრინავით სწარმოებდა.

აშშ-ში თეორიულად აჩვენეს, რომ 1 ჰა-ზე 1 მმ-ით ნალექის ჯამური რაოდენობის გაზრდა მარცვლეული კულტურებიდან მიღებული სუფთა მოგების 3,5 - 6 დოლარით გაზრდას იწვევს. იუტას შტატში 2001 წელს ერთ ჰექტარზე ჯამური ნალექების 1 მმ-ით გაზრდა დაახლოებით ერთი ცენტი დაჯდა, ხოლო იმავე წელს ნევადის შტატში 1 მმ-ით 1ჰა-ზე ნალექის ჯამური რაოდენობის გაზრდა მაქსიმუმ 11 ცენტი დაჯდა.

შტატ სამხრეთ დაკოტაში 1986-1988 წლებში მარტო ხორბლის მოსავლიანობის გაზრდით მიღებულმა მოგებამ ერთი პატარა პროექტის შემთხვევაში შეადგინა 3,75 მილიონი დოლარი. შტატში ასეთი 25 პროექტი მუშავდებოდა და მთლიანი პროექტისათვის მოგებამ 97 მილიონი დოლარი შეადგინა ერთ სეზონში. დაახლოვებით ასეთივე მოგება დაფიქსირდა კანზასის შტატშიც.

არიზონას შტატში ელექტროსადგურის წყალსაცავში წყლის მარაგის გაზრდით გამომუშავებულ იქნა დამატებით 137 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგია.

კანზასის შტატში 1999 წელს ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების საქმეში ჩადებულმა 1 დოლარმა 37 დოლარი მოგება მისცა.

ტეხასის შტატში 1998-2000 წლებში ნალექის რაოდენობის გადიდებისა და სეტყვით გამოწვეული ზარალის შემცირების მიზნით ხორციელდებოდა 9 პროექტი 178 ათას კმ^2 ფართზე. სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 2 მილიონი დოლარი, ანუ 11 ცენტი 1 ჰა-ზე. საშუალოდ ერთი პროექტის ღირებულება 2 მილიონ ჰა ფართზე წელიწადში შეადგენს 220-300 ათას დოლარს.

აშშ-ში ასეთი სამუშაოების ფინანსირება სწარმოებს კოოპერირებულად - ბიუჯეტის ნახევარს იხდის სახელმწიფო, ხოლო მეორე ნახევარს კერძო სტრუქტურები (სადაზღვევო, წყლის რესურსების, ელექტროსადგურების და სხვა კომპანიები). სახელმწიფო მის მიერ დახარჯულ თანხას იბრუნებს პროდუქტის მწარმოებელი ფირმების დამატებითი შემოსავლიდან აღებული გადასახადების სახით.

ამ სამუშაოების მაღალი რენტაბელობა აშშ-ში განპირობებულია ზემოქმედების ოპერაციების სიიაფით და სოფლის მეურნეობის მაღალი ინტენსივობითა და რენტაბელობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.wmi.cban.com
2. www.weathermod.com
3. www.cloudseeding.com
4. www.andromeda.hail.ersa.fvg.it/~morgan/med
5. www.agu.org/revgeophys/czys
6. www.users.pld.com/hailman/master
7. www.oklaosf.state.ok.us/~owrb/features/wx_mod
8. www.ams.confex.com/ams/Krauss

განათლება, რელიგია, ქალთა და სოციალური საკითხები

ვახტანგ სართანია
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, რექტორი.

საქართველოში განათლების სფეროს განვითარებაში ამერიკის შეერთებული შტატების როლი

პოსტკომუნისტურ სივრცეში საქართველოს განათლების სისტემის შემდგომი წარმართვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე და მათ ნებაზე დაეხმარონ და საბაზრო ეკონომიკის არეალში განათავსონ საქართველოს საგანმანათლებლო პოტენციალი. ასეთი პოტენციალი კი ჩვენ საკმაოდ დიდი გვაქვს და იგი საბჭოთა პერიოდიდან მოდის, რომელიც სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში მცირდება და შესაბამისი ინფრასტრუქტურებისა და ფინანსების არარსებობის გამო საზოგადოებისათვის გამოუყენებელი ხდება. დღევანდელ ვითარებაში ქართველი მეცნიერები და პედაგოგ-მასწავლებლები დროთა ცვლილებების გამო სრულიად ადეკვატურ გარემოში აღმოჩნდნენ. ახალმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სისტემამ მოითხოვა განათლების რადიკალური ცვლილება, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, ახალი პროგრამების შექმნა, ახალი სამეცნიერო დისციპლინების დანერგვა, სწავლის ახალი მეთოდების შემუშავება და საბიბლიოთეკო ფონდების განახლება. გარდაქმნის პერიოდი საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა განათლების სისტემაში კრიზისული მდგომარეობის გადასალახავად აუცილებელი გახდა რეფორმების გატარება დაწყებითი განათლებიდან უმაღლესი განათლების ჩათვლით. ახალმა ეკონომიკურმა სისტემამ დააყენა ახალი ამოცანები, რომლის გადაჭრისათვის ქვეყანაში არსებული რესურსები ძალიან მწირია. სწავლება ყველა დონეზე წარიმართა ინერციით, ზოგიერთი სწავლების საფეხური კი (მაგალითად, პროფესიული განათლება) საერთოდ ამოვარდა საასწავლო სისტემიდან. ამ მდგომარეობაში თავის სანუგეშებლად ჩვენ მხოლოდ ჩვენი ადამიანისეული რესურსების ხარისხობრივი მაჩვენებლები, განათლების, კულტურის ისტორიული მემკვიდრეობა, ცოდნის მაღალი დონე, ახალგაზრდობის ნიჭიერება დაგვრჩა. ამ პოტენციალს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონე როგორც მაღალი კვალიფიკაციის, ასევე

პროფესიული სფეროს მუშაკებში და დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება გვაფიქრებინებს, რომ სხვა გამოსავალი არ არის, თუ არა სწავლების მიმართულების ორიენტაცია იმ სპეციალობებზე, რომელზედაც არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნა როგორც ადგილობრივ შრომის ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ამიტომ ცხადი გახდა თანამშრომლობა დასავლეთის ცივილიზაციასთან, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა უნივერსიტეტები კვლავ პასუხისმგებელნი დარჩენილიყვნენ ადამიანისეული რესურსების მომზადებაზე, ეროვნულ კულტურაზე, რადგან საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ მათზე უკეთესად ვერავინ შეძლებდა კულტურის დაცვა-განვითარებას. უნივერსიტეტები პასუხს აგებენ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე, მისი დემოკრატიული პრინციპების განვითარებაზე.

იმაზე დიდ ბოროტება და საშინელება არაფერია, თუ ერი გაუნათლებელია. როგორც სასიქადულო ქართველი მწერალი, ილია ჭავჭავაძე ამბობდა „ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება გახსნილი კაცები არ ჰყავს; ღონე ქვეყნის და მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია~. იმაზე დიდი საფრთხე არ არსებობს მსოფლიოსთვის, თუ რომელიმე ქვეყანაში ტერორიზმის, ეროვნული შუღლისა და რასიზმის იდეოლოგია იმკვიდრებს ადგილს. ამიტომ უნივერსიტეტების საქმიანობა სწორედ საერთაშორისო ინტეგრაციის გზით წარიმართება. საქართველოსთვის ასეთი ინტეგრაცია უკვე განათლების სფეროში რეფორმების დაწყების აუცილებელი პირობა გახდა. როდესაც საერთაშორისო სწავლებისას უცხოელი ან ქართველი სტუდენტები და მასწავლებლები ადგილობრივ კულტურასაც ეზიარებიან, ეს ხდება მათი, არა მარტო, ინტეგრაციის აუცილებელი პირობა, არამედ ხალხთა დაახლოების, კორუფციის დაძლევის და ეთნოკონფლიქტების პროფილაქტიკის საშუალებაც, საერთაშორისო სწავლებას საერთაშორისო ღირებულებასთან ერთად ეროვნული კულტურისა და დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრების მნიშვნელობაც აქვს. იგი ცხოვრების სტილის შეცვლისა და მოხმარების კულტურის ამაღლების პირობაა, იგი ზრდის საგანმანათლებლო პოტენციალს, უფრო ნათელს ხდის რეფორმების მიზანს და თვითოეულ კურსდამთავრებულსა და სპეციალისტს გზას უკვლევს გლობალური შრომის ბაზრებისაკენ.

ყოველივე ამ ურთიერთობებში კი ძლიერი ქვეყნების როლი და მაგალითი მიმბაძველია. ასეთად საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას მოევლინა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, რომლებმაც თავისი მისიის ძირითად მიზნად დაისახეს მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ადამიანისეული რესურსების ჩართვა და მათთვის მსოფლიოს ბაზრებისაკენ გზის გაკვალვა. ქართველ მეცნიერებსა და სტუდენტ ახალგაზრდობას გზა გაეხსნა დასავლეთის ცივილიზაციისაკენ, რო-

მელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში გადაკეტილი იყო და საბჭოთა პერიოდში სრულიად განსხვავებულად წარმოგვედგინა. ამერიკის სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო ფონდების აქტიური მოქმედებით მრავალმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა ამერიკული უნივერსიტეტებისაკენ, რომლებიც გამორჩეულნი არიან თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გავრცელებით, დემოკრატიული აზროვნების დანერგვითა და ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების აღიარებით. სწორედ ამიტომ ამერიკის ხელისუფლებისათვის უნივერსიტეტებისა და სკოლების საქმიანობა პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული ამ უნივერსიტეტებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებთან ერთად სწავლობენ ქართველი სტუდენტები და მოსწავლე-ახალგაზრდობა, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევევიან ქართველი მეცნიერები. ამით ამერიკული უნივერსიტეტები ხელს უწყობენ მსოფლიოს ახალგაზრდობის ერთ ოჯახად გაერთიანებას, ცივილიზაციის მიღწევების გადადენას ამ თანამშრომლობაში მონაწილე ქვეყნებში, ამ ქვეყნების ადამიანისეული რესურსების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებისა და დემოკრატიის დამკვიდრებას მთელ მსოფლიოში. საგანმანათლებლო პოლიტიკისადმი განსაკუთრებულმა ყურადღებამ უზრუნველყო თვით ამერიკის ეკონომიკის სიძლიერე და ცოდნის, ტექნოლოგიებისა და ადამიანისეული რესურსების გადადენით სხვა ქვეყნებში ამერიკის ხელისუფლება ასტიმულირებს დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკურ გამოცოცხლებას.

საქართველოში არსებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ამერიკის შეერთებული შტატებიდან არის წარმოდგენილი. ყველა სტუდენტისათვის და პროფესორ-მასწავლებლისათვის არის ცნობილი საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები, ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", რომელსაც მისი დამაარსებლის სოროსის ფონდის სახელითაც მოიხსენიებენ, მასკისა და ფულბრაიტის პროგრამები და სხვა. ამერიკა სახელმწიფო დეპარტამენტისა და განვითარების საერთაშორისო სააგენტოს მეშვეობით ქმნის მთელ რიგ პროექტებსა და პროგრამებს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უსაფრთხო განვითარებისათვის და მათი დაფინანსებით ტარდება მრავალი ღონისძიება, რომელთაგან უპირველესია სპეციალისტების მომზადება და გადამზადება.

ამ ასპექტით საქართველოსა და ამერიკის უნივერსიტეტების თანამშრომლობას ხელეწიფება, უზრუნველყოს განათლების ახალი ფორმები თანამედროვე დონეზე. ამ მიზნით ისინი უნდა იქცნენ სპეციალისტთა მომზადების უმთავრეს კერებად, სადაც ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცემა, თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიის დონეზე დაეუფლოს პროფესიულ ცოდნას, განივითაროს ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები, რაც მას მისცემს ადაპტაციის

შესაძლებლობებს სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ და სოციალურ რეალობათა შესაბამისად. უნივერსიტეტებმა უნდა შეასრულონ ძირითადი პარტნიორების როლი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში, რაც გამოიხატება სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლით და საერთაშორისო კვლევებზე ორიენტირებული ინსტიტუტებისა და კათედრების დაფუძნებით.

საქართველოს უნივერსიტეტებში, მათ შორის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში არის ინტელექტუალური პოტენციალის ახალგაზრდობა, რომელიც სწავლობს ან კიდევ ღებულობს გრანტებს ამერიკული ფონდებიდან, მაგრამ აქვე დავძენდი, რომ ამ ურთიერთობებს სჭირდება გაფრთხილება, გაფართოება და კოორდინაციის გაღრმავება, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლის მასშტაბების ზრდა, ერთობლივი სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ჩატარება, ახალი თემატიკების განსაზღვრა და თანამშრომლობის სფეროს გაფართოება.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში იუნესკოს ეგიდით შეიქმნა ამიერკავკასიის პედაგოგიური უნივერსიტეტების ქსელი-"პრომეთე", სადაც გაერთიანდა ბაქოს, ერევნისა და თბილისის შესაბამისი უნივერსიტეტები 2001 წლამდე თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის კოორდინატორის ფუნქციით. საქართველოს და ამიერკავკასიის უნივერსიტეტების ანალოგიური კოორდინაცია ამერიკულ უნივერსიტეტებთან ფრიად სასარგებლო იქნებოდა ორივე მხარისათვის. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კოორდინაცია მხოლოდ ცალკეულ უნივერსიტეტებთან დადებული ხელშეკრულებით თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ხორციელდება კორექციული ფსიქოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიის მოწყობა, ამერიკის სპეციალისტებთან თანამშრომლობის გზით დაინერგა რამდენიმე პროექტი აქტიურ სწავლებასა და კომუნიკაციის სფეროში. ამერიკის სტრატეგიული კვლევების ცენტრი როინ გოტსონის თაოსნობით გვეხმარება ჩვენს უნივერსიტეტში ტრეინინგ ცენტრების ჩამოყალიბებაში, მასწავლებელთა მომზადებაში სამოქალაქო საზოგადოების, კონფლიქტოლოგიისა და სხვა ურთიერთობების სპეციალისტების მომზადებაში პედაგოგიური უნივერსიტეტის ხშირი სტუმრები არიან საქართველოში ამერიკის საელჩოს პასუხისმგებელი პირები, ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან იწყება სოციალური მუშაკის მომზადებაზე სპეციალური პროგრამების შექმნა და სხვა. ყოველივე ეს არ არის ცალმხრივად სასარგებლო მხოლოდ პედაგოგიური უნივერსიტეტისათვის, არამედ იგი არის საქართველო-ამერიკის ურთიერთობების განმტკიცების გზა, რომელიც სარგებლობას მოუტანს გლობალური მასშტაბით დემოკრატიის განვითარებას და ინტეგრაციას მშვიდობისა და აღორძინების მიზნით.

ვახტანგ ამაღლობელი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

აშშ-ის განათლების სისტემა და საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის ზოგიერთი საკითხი

ნებისმიერი სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა ადამიანს ზნეობრივი თავისუფლების ფარგლებში შეუქმნას ყოველგვარი პირობა, რათა მან თავისი განათლებულობის ხარისხის შესაბამისად მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, რაც თავისთავად ბედნიერების ტოლფასია.

განათლების სისტემა თავისი ყოვლისმომცველობით დიდი და მცირე არტერიებით სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ყველა სტრუქტურასთან და სფეროსთან. დემოკრატიის და თავისუფლების გზაზე დამდგარი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია ჩამოაყალიბოს ისეთი განათლების სისტემა, რომელიც ქვეყნისათვის აუცილებელ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნილებებს უპასუხებს და იმავდროულად ყველა პირობას შექმნის ცოდნის შემდგომი გაღრმავებისათვის, უწყვეტი განათლების ფორმების დანერგვისათვის.

თავისუფლება ნების გამომჟღავნების შესაძლებლობაა, ნება კი მჟღავნდება ცოდნაში, ცოდნა განათლებაა, განათლება კი თავისუფლება. თავისუფლება თავისთავად ზნეობრივი კატეგორიაა, თავისუფალია ადამიანი ზნეობის ჩარჩოებში, აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ავაშენოთ ზნეობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, რომლის საყრდენი ზნეობრივი, განათლებული საზოგადოება იქნება.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში განათლების სფეროში დაწყებულ რეფორმებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რეფორმების გატარება თვით განვითარებულ, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებშიც კი საკმაოდ დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და ბუნებრივია ის სირთულეებიც, რაც ჩვენთან რეფორმების გატარებას ახლავს თან. განუზომელია ის დახმარება, რასაც ჩვენი ქვეყნის მეგობარი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები უწევენ საქართველოს დემოკრატიულ, საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ ცივილურ სახელმწიფოდ გარდაქმნის რთულ გზაზე.

იმ დახმარებებს შორის, რომელსაც საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობიდან იღებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის მიერ კვალი-

ფიციური კადრების მომზადებისა და საგანმანათლებლო რეფორმის წარმატებით გატარებისათვის გაწეული დახმარება.

მინდა შევეხო ამერიკული განათლების სისტემის კონცეპტუალურ საკითხებს, რადგან ეს სისტემა, როგორც სხვა ქვეყნების სისტემები, ეყრდნობა ეროვნული განვითარების იდეოლოგიას, ხოლო ჩვენთან, საქართველოში, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დაიწყო კამათი იმის თაობაზე, გვჭირდება თუ არა იდეოლოგია და საერთოდ ქართულ ნაციონალიზმს აქვს თუ არა არსებობის უფლება?

მე არა მაქვს პრეტენზია ამ ურთულეს კითხვებს ამომწურავი პასუხი გავცე, რადგან ეს სცილდება ჩემი კომპეტენციის ფარგლებს და არც ჩვენი დღევანდელი კონფერენციის ფორმატი მოითხოვს ამის გაკეთებას, მაგრამ ამ საკითხებთან დაკავშირებით, ამერიკის განათლების სისტემაში არსებული გამოცდილების გაზიარებით, შეევცდები, ჩემი ზოგიერთი მოკრძალებული მოსაზრება გაგიზიაროთ.

კონკრეტულად მხოლოდ ორ ფაქტზე შევჩერდები: პირველი, აშშ-ის განათლების სისტემის შექმნის პირველ წლებზე, როდესაც საფუძველი ჩაეყარა ამ სისტემას და მეორე, 2001 წელს კონგრესის მიერ მიღებულ კანონზე „აშშ-ის საერთაშორისო განათლების პოლიტიკა", რომლის მიზანია, შეუნარჩუნოს და განუმტკიცოს აშშ-ის ლიდერის პოზიციები თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

„ამერიკაში ჩასული პირველი კოლონისტებისათვის უპირველესი საზრუნავი ყოფილა იმაზე ფიქრი, თუ რა და როგორ შეენარჩუნებინათ ძველი ევროპული კულტურული მემკვიდრეობიდან. მათაც დიდხანს არ უყოყმანიათ და მიუღიათ გადაწყვეტილება, რომ ამ პრობლემას ევროპული ტიპის ქალაქის სკოლა გადაჭრიდა. მართლაც, მასაჩუსეტში პირველი დასახლების შექმნიდან (1620 წ.) 30 წლის შემდეგ ყველა პატარა ქალაქი ვალდებული იყო თავის კმაყოფაზე აეყვანა სკოლის მასწავლებელი, რომელიც წერა-კითხვას, არითმეტიკასა და რელიგიას ასწავლიდა, ხოლო შედარებით უფრო დიდ ქალაქებში ვალდებულები იყვნენ, შეექმნათ გრამატიკის სკოლები, სადაც ბავშვებს უნივერსიტეტებისათვის მოამზადებდნენ.

1787 წელს, კონგრესის მოთხოვნით, ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიის ყველა დაბა-დასახლებას დაევალა სკოლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

1862 წელს კონგრესმა გამოსცა მორელის კანონი, რომელმაც ამერიკის უმაღლესი განათლების სისტემაში რევოლუცია მოახდინა. ამ კანონით ყველა შტატს ინსტიტუტების ასაშენებლად საჩუქრად გადაეცა სახელმწიფო მიწები,

აქ უნდა მოემზადებინათ „სოფლის მეურნეობისა და მექანიზაციის“ სპეციალისტები. ფაქტობრივად, ამ ტიპის ინსტიტუტებზე აღმოცენდა დღევანდელი ამერიკის საქვეყნოდ ცნობილი საუნივერსიტეტო განათლება. ამერიკელები, ჩვენგან განსხვავებით, პრაგმატიკოსები არიან, მათ თავიდანვე ჰუმანიტარულ-იურიდიულ-ეკონომიკური ე.წ. „პრესტიჟული“ სპეციალობები კი არ შემოიღეს საზოგადოდ, არამედ ის სპეციალობები, რაც მაშინდელ ამერიკას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ყამირი მიწების ასათვისებლად და დოვლათის დასაგროვებლად.

დღეს ეს უმდიდრესი ქვეყანა თავისი უამრავი საოცრებებით, რომელთა შორის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საოცრება ისიც არის, რომ სულ რაღაც 200 წლის განმავლობაში ამერიკულ ერად ჩამოყალიბდა სხვადასხვა რასის, ფერის, რჯულის, მსოფლმხედველობის, დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან ჩასული ადამიანთა მასები. თვითონ ამერიკელები აღიარებენ, რომ მე-20 საუკუნის ამერიკა ნაციონალიზმის პროდუქტია, რომელიც თავისთავად, ამერიკული სკოლის დამსახურებაა. არადა, თითქოს რა უბრალო ჭეშმარიტებაა, ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობა და განვითარება ხომ ნაციონალიზმის ფაქტორითაა განპირობებული! მაგრამ ასევე თავისთავად იბადება კითხვა: ჩვენ, ქართველებს, რაღა გვემართება? გასაგებია, რომ უცხო ჯიშისთვის მიუღებელი უნდა იყოს ქართული ნაციონალიზმი, მაგრამ ქართველების გარკვეული ნაწილიც რომ არ წყალობს თითქოსდა ამ უბრალო ჭეშმარიტებას?

ამერიკულმა სკოლამ ამერიკანიზაციის როლი შეასრულა, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში უამრავი ემიგრანტი გაამერიკელდა და ეს პროცესი იქ დღესაც მიმდინარეობს. შეძლებს კი ქართული სკოლა აწი მაინც (მხედველობაში არა მყავს ემიგრანტები და არც საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოსახლეობა) რამდენიმე ათასი წლის ისტორიის მქონე საქართველოს მკვიდრი ქართველი მოსახლეობის გაქართველებას? შეიძლება ასეთი კითხვა ბევრს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ, როცა ამერიკული სკოლის პროდუქტი – ამერიკული ნაციონალიზმი – ამერიკელებს ერად აყალიბებდა და საბოლოო სახეს აძლევდა, იმ დროს ჩვენი ზოგიერთი წინაპარი (სამწუხაროდ, ძალიან მრავლად და სახელოვნად) სოციალ-დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ქართული, ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ იბრძოდა და საკმაოდ „წარმატებითაც“.

ეს ალბათ, იმის შედეგია, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ქართველებს ეროვნული განათლების სისტემა არ გვქონდა. ჩვენ ხომ იმპერიის შემადგენელი ნაწილი ვიყავით, ჯერ ცარიზმისა და შემდეგ საბჭოთა. საბჭოთა განათლების სისტემა იგივე ფუნქციას ასრულებდა, რასაც ამერიკული. მხო-

ლოდ იმ განსხვავებით, რომ ამერიკული სკოლა თავისი ნებითა და სურვილით ამერიკაში ჩასულ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს აამერიკელებდა, ხოლო საბჭოთა სკოლა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ხალხებს სურვილის საწინააღმდეგოდ, ასაბჭოებდა, ანუ არუსებდა" (1).

დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს პროცესები წარსულს ჩაბარდა, გასაბჭოების საშიშროება აღარ არსებობს, მაგრამ თუ ეროვნული განვითარების კონცეფცია არ შემუშავდა, საშიშროება ელის ქართულ სახელმწიფოებრიობას. მე მინდა შეგახსენოთ, 2000 წლის ივლისში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ჩატარებულ კონფერენცია - „საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა საქართველოს განვითარებაზე" - რომლის ინიციატორიც „საქართველოში აშშ-ის სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მონაწილეთა ასოციაცია" გახლდათ, კონფერენციაზე საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ თავშეკავებით იქნა გამოთქმული მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები არასაკმარის ნებას ავლენენ საჭირო რეფორმების სრულად გატარებისათვის, რაც ყველაზე უფრო აფერხებს რეფორმების წარმატებას.

ეს აზრი გაიზიარეს ქართველმა მომხსენებლებმაც, რომლებიც აღნიშნავდნენ უცხოური ორგანიზაციების უდიდეს როლს რეფორმებში და კრიტიკულნი იყვნენ ქართული მხარის მიმართ. ამასთან დასძენდნენ, რომ სახელმწიფოს განვითარების ზოგადი კონცეფციის არარსებობა, კორუფცია, არაკომპეტენტურობა, დანაშაულებრივი ქმედებები სახსრების მითვისებაში, ჩაშლას უქადის რეფორმებს და აზრს უკარგავს უცხოეთის დახმარებას. მაგ. საქართველოს პარლამენტის წევრმა, დეპუტატმა ქუთაისიდან ბატონმა დემურ გიორხელიძემ აღნიშნა: „ცხადია საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებას საქართველოს განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ეს დახმარება უფრო ქმედითი და ეფექტური რომ იყოს ჩვენ თვითონ სწორად უნდა გვესმოდეს თუ რას ვგულისხმობთ განვითარებაში, რა არის განვითარება, როგორ უნდა მივაღწიოთ მას. ამ უმთავრესის გაუაზრებლობის შედეგია, რომ საერთაშორისო დახმარება (საკმაოდ დიდი დახმარება!) ეფექტური შედეგის მომტანი ვერ აღმოჩნდება. თუმცა, ეს ჩვენი უცხოელი პარტნიორების ბრალი სულაც არ არის" (2).

„საქართველოსთან კარგადაა ამერიკა!

საქართველოსთან კარგად არიან მეგობარი და მეზობელი ქვეყნები!

რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საქართველოსთან ყველაზე ცუდად არიან ... ქართველები! – ისინი ვერ ახერხებენ გაერთიანდნენ საქართველოს ინტერესებისათვის", – ამბობს ცნობილი ქართველი პოეტი თა-

ვის, მართლაცდა წინასწარმეტყველურ წერილში, რომელიც პირველად გაზეთში „დრონი“ გამოქვეყნდა 1999 წლის 21 აგვისტოს ნომერში და რომელიც სრულიად გასაგები მიზეზების გამო გაზეთმა „ახალი ეპოქა“ გადმობეჭდა ა/წლის 12-14 მარტის ნომერში.

2000 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი „აშშ-ის საერთაშორისო განათლების შესახებ“, რომლის ძირითადი მიზანია გაზარდოს მეტი უცხო ენებისა და სხვადასხვა ქვეყნების კულტურების მცოდნე მომავალი თაობა და რაც შეიძლება მეტ ამერიკელ ახალგაზრდას შეუწყოს ხელი განათლება მიიღოს უცხოეთში.

ამ ახალი კანონის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მარლენ ჯონსონი ჟურნალ "International Educator"-ს გამომცემელი და აღმასრულებელი დირექტორი: "NAFSA"-ს სჯერა რომ სხვა ქვეყნის კულტურის გარემოცვაში უცხო ენის შესწავლა, ცხოვრება და საერთოდ ამ ხალხის გამოცდილების გაზიარება საზოგადოების უკეთ შემეცნების გასაღებია. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული და ვაღიარებთ, რომ გლობალიზაციამ ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებითად დააყენა მისი კომპეტენტურობის აუცილებლობა მსოფლიო მასშტაბით. თუ გვინდა შევინარჩუნოთ აშშ-ის უსაფრთხო კეთილდღეობა და გლობალური ლიდერობა, უფრო ღრმა და მრავალფეროვანი უნდა გავხადოთ ამერიკის საერთაშორისო გამოცდილება ბიზნესის, სახელმწიფო მმართველობის, განათლების, საინფორმაციო საშუალებათა და სხვა სფეროებში.

... მივედით იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკის გარეშე – იმ ეროვნული დიალოგის გარეშე, თუ რატომ არის საერთაშორისო განათლება მნიშვნელოვანი – უბრალოდ იმედიც არ შეიძლება ვიქონიოთ დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოთხოვნები, აღვზარდოთ გლობალურად განათლებული მოქალაქეები.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანი რომელიც ჩვენს პოლიტიკურ განცხადებაში გაჟღერდა არის ის, რომ 2010 წელს ამერიკელი სტუდენტების 20%-მა, ხოლო 2040 წელს კი – 50%-მა საზღვარგარეთ უნდა მიიღოს განათლება.

აშშ-ის საერთაშორისო განათლების პროგრამა ამერიკის დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი ხდება. ამ საკითხებს მიეძღვნა გასულ წელს ჩატარებული NAFSA-ს 53-ე კონფერენცია. მისი დევიზი იყო: „გლობალური დიპლომატიის განვითარება საერთაშორისო განათლების საშუალებით“. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ის განათლების ყოფილი მინისტრის რიჩარდ რილის მოსაზრება:

"... მე მწამს, რომ საერთაშორისო განათლება ჩვენი დიპლომატიის გადამწყვეტი ფაქტორია. მე ამაში ისე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ აშშ-ის

ყოფილ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს ვთხოვე, უფრო მეტი სიცხადისთვის, სხვა ქვეყნებთან განათლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის აღსანიშნავად ეხმარა ტერმინი საგანმანათლებლო დიპლომატია. როდესაც ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ვფიქრობთ, საერთაშორისო განათლება წინა პლანზე დგას".

ზემოთ მოხმობილი მოსაზრებებიდან ნათლად ჩანს, რომ აშშ-ის განათლების სისტემას არათუ ეროვნული განვითარების იდეოლოგია, არამედ პოლიტიკაც და დიპლომატიაც უდევს საფუძვლად. სწორედ განათლების ასეთმა სისტემამ შეძლო შეექმნა მე-20 საუკუნის უძლიერესი ლიდერი სახელმწიფო და ამავე სისტემამ, ამჯერად უკვე აშშ-ის საერთაშორისო განათლების პროგრამის საშუალებით უნდა განიმტკიცოს და შეინარჩუნოს მიღწეული ლიდერობა და წარმატებები.

ისე, როგორც 2010 წლისათვის საქართველო მომზადებული უნდა შეხვდეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის შექმნას, ასევე უნდა მოემზადოს აშშ საერთაშორისო განათლების პროგრამაში თავისი კუთვნილი ადგილის დასაკავებლად. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ამ პროგრამაში შეუძლია თავისი კუთვნილი ნიშა დაიკავოს.

ბატონი ტარიელ ჭანტურია ზემოთ აღნიშნულ სტატიაში ბრძანებს: „გვიფიქრია თუ არა, რა საგზლით გამოიარა საქართველომ ეს სუპერმარათონული დისტანცია – ეს სამიათასწლიანი გზა? უდიდესი კულტურა, უდიდესი სულიერება იყო მისი საგზალი! და თუ დღეს ეს კულტურა, ეს სულიერება არ გვინდა, მაშინ ან განვლილი გზის გამო რას ვზეიმობთ, ან მარადისობაში რით ვაპირებთ გამგზავრებას – საგზლის გარეშე?"

ეს საგზალი, რომელზედაც ბატონი ტარიელი საუბრობს, ჩემის აზრით, სწორედ ეროვნულმა განათლების სისტემამ და მის შიგნით არსებულმა სპეციალურმა პროგრამებმა უნდა შეინარჩუნოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უნდა გაიტანოს მის ფარგლებს გარეთაც, გახადოს იგი ტრანსნაციონალური და ინტერნაციონალური საგანმანათლებლო ბაზრის პროდუქტი, რათა თავისი ღირსება შეინარჩუნოს და არ გაუფასურდეს გლობალიზაციის პროცესებში.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ საქართველოს განათლების მინისტრს, ალექსანდრე კარტოზიას, რომლის მოსაზრებას იმოწმებს ბატონი ენგურ ქურციკიძე თავის სტატიაში: „... ყველა სახელმწიფო უნდა ესწრაფვოდეს მაღალი კვალიფიკაციის რაც შეიძლება სწრაფად დაფუძნებას თავისი საკუთარი ჰუმანური რესურსებით, რაც უფრო მომზადებული შეხვდება ესა თუ ის სახელმწიფო გლობალიზაციის მოთხოვნას მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებზე, რაც უფრო ნაკლებად დასჭირდება მას კვალიფიკაციის იმპორტი, მით

უფრო მეტად შეინარჩუნებს საკუთარ ინდივიდუალურ და კულტურულ თვისებებს ...

გლობალიზაცია ჩვენი დროის სულია და მას ვერ ასცდება ვერცერთი ქვეყანა. ამიტომ იქ, სადაც გლობალიზაციას არ ხვდება საერთაშორისო დონის კვალიფიკაცია, ის თვითონ მოახდენს ტრანსფერს – მაღალი კვალიფიკაციის არმქონე ქვეყნებში სპეციალისტების ადგილებს უცხოელები დაიჭერენ. ეროვნულ იდენტობას კი საფრთხე მხოლოდ მოვლენების სწორედ ასეთმა განვითარებამ შეიძლება შეუქმნას" (4).

აღნიშნულიდან ვფიქრობთ ნათელია, რომ თუ არ შევქმენით თანამედროვე განათლების სისტემა, რომელიც დაეყრდნობა ეროვნული განვითარების იდეოლოგიას, ძალიან გაგვიჭირდება გადავურჩეთ გლობალიზაციას. მე სავსებით ვიზიარებ პროფესორ გივი მარუაშვილის მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ: „ამ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფცია, თუ გნებავთ დოქტრინა, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ ეტატიზმი – ეროვნული სახელმწიფოს მაქსიმალური განვითარებისა და გაძლიერებისათვის".

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვახტანგ მაღლობელი, ამერიკული განათლება და ფიქრები საგადასახადო სისტემაზე, „იმერეთის მოამბე", ქუთაისი, 15. 10. 1996.

2. დემურ გიორხელიძე, განვითარება– რეალობა, პრობლემები, „ხიდი", №3, 2000.

3. გივი მარუაშვილი, როცა ტაძარს აშენებ– გვჭირდება თუ არა იდეოლოგია?, „საქართველოს რესპუბლიკა", №67, 19 მარტი, 1998.

4. ენგურ ქურციკიძე, მომავალზე ფიქრით, „ახალი განათლება", 21-27 დეკემბერი, 2000.

5. Johnson Marlene, U.S. International Education Week, "International Educator", Vol. IX, No. 4, Fall 2000.

6. Riley Richard, Educational Diplomacy, "International Educator", Vol. X, No. 3, Summer 2001.

თამარ ჭიოშვილი
შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის დოცენტი

ამერიკის შესწავლის პერსპექტივები საქართველოში

დღეს ძალიან ხშირად სვამენ კითხვას: „რა არის ამერიკის შესწავლის პროგრამის მიზანი?" და ეს ბუნებრივია მიუხედავად ამერიკული ცხოვრების მიმზიდველობისა, მცადრი იქნებოდა იმის აღიარება, რომ ამერიკის შესწავლა შეერთებულ შტატებში, ევროპასა და განსაკუთრებით ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ერთგვაროვან მიმდინარეობას წარმოადგენს და რომ არსებობს ერთიანი, ზოგადი პროგრამა, რომლითაც იხელმძღვანელებდა ნებისმიერი სასწავლებელი.

2001 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურისა და განათლების დეპარტამენტმა სამი კვირით გააგზავნა ექვსი ლექტორი საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტიდან ამერიკის შეერეთებული შტატების ექვს შტატში, რათა სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაცნობოდნენ ამერიკის შესწავლის დაპროგრამების მეთოდიკას როგორც ტრადიციული დისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული პერსპექტივის თვალსაზრისით. მეც მხვდა ბედნიერება ვყოფილოყავი ამ ჯგუფის წევრი და მსურს გავუზიარო შთაბეჭდილებები ჩემს კოლეგებს, მით უფრო, რომ ამერიკის შესწავლა დღეს ბევრ ჩვენთაგანს იზიდავს და ვაპირებთ ახალი პროგრამების შემუშავებას ამ ახალი დისციპლინის დასამკვიდრებლად საქართველოში.

1940 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტმა, ერთ-ერთმა პირველმა, ჩაუყარა საფუძველი „ამერიკის შესწავლის" კურსს. 50-იან წლებში მსგავსი კურსები სხვადასხვა უნივერსიტეტებში გადაიზარდა განყოფილებებში და პროგრამებში.

ამერიკის შესწავლამ, როგორც დისციპლინამ, უდიდესი ტრანსფორმაცია განიცადა. 60-იან წლებში სამოქალაქო უფლებების მოძრაობამ, ვიეტნამის ომმა და ქალთა მოძრაობამ გამოიწვია კულტურული დაძაბულობა, რის შედეგადაც ნათლად გამოიკვეთა კულტურული მრავალფეროვნების სპექტრი. ეს კი შეერთებული შტატების სიძლიერეს წარმოადგენს. ამ მოვლენების საპასუხოდ ამერიკის შესწავლამ თავისი საზღვრები გააფართოვა და შესწავლის სფეროში მოაქცია შავკანიანების, ქალთა საკითხების შესწავლა, პოპულარული კულტურა, ფოლკლორი, კინემატოგრაფია და ა.შ. ამერიკის შესწავლამ დაარღვია დისციპლინარული საზღვარი და გზა გაუხსნა ფართო სპექტრის პლურალისტურ პროგრამას. თავისი არსებობის 60 წლის მანძილზე, ამერიკის შესწავლამ

დაიმკვიდრა თავი, როგორც ინტერდისციპლინარულმა სფერომ, რომელიც ხელს უწყობს ამერიკის კულტურის ფართო გაგებას, სხვადასხვა დისციპლინის მეცნიერებს აძლევს სტიმულს გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები ამერიკის შესახებ და შეისწავლონ ამერიკული ცხოვრების კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებასთან. ამერიკის შესწავლა, როგორც დისციპლინა, თავისი ხასიათით არის ერთდროულად მრავალდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული. ურთიერთდისციპლინარული მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა სფეროების უახლესი კვლევების ინტეგრირებას და დიცსციპლინებს შორის კავშირების დამყარებას.

ამერიკის შესწავლის პროგრამების გაცნობამ ექვსი შტატის სხვადასხვა უნივერსიტეტში გვიჩვენა, რომ ამერიკის შესწავლის ყველაზე შემოქმედებით მომენტს ქმნის სხვადასხვა შტატის სხვადასხვა უნივერსიტეტის შესაბამისი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ინტერესები, როგორიცაა: იმიგრაცია, კულტურული, ეთნიკური და რასობრივი მრავალფეროვნება, კლასობრივი და სქესთა შორის კონფლიქტები, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები; ამის შესაბამისად სხვადასვა შტატის უნივერსიტეტები მაპროფილებელ საგნებს ირჩევენ თავიანთი კულტურული თავისებურებების შესაბამისად. მაგალითად: ვაშინგტონის უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის განყოფილების სამივე ხარისხის (B.A.,M.A.,PH.D.) პროგრამები და ფაკულტეტების მაპროფილებელი საგნების კურსები ეყრდნობა შემდეგ მიმართულებებს:

1. მულტიკულტურალიზმი, რომელიც სწავლობს რასის, სქესის და ეთნიკურობის გავლენას საერთოდ ამერიკის კულტურის განვითარების პროცესზე და აგრეთვე მნიშვნელოვანი ქვეკულტურების ჩამოყალიბებაზე.

2. ხელოვნურად შექმნილი გარემო და ქალაქის რეგიონალური სივრცეები, რაც ძირითადად სწავლობს ამერიკელების დამოკიდებულებას გარემოსთან.

3. ამერიკის კულტურის წარმოდგენა საშუალებებით, რაზეც დიდ გავლენას ახდენს სიმბოლიკა.

რაც შეეხება მიჩიგანის უნივერსიტეტს, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელს, აქ ამერიკის შესწავლის ყველაზე დინამიური პროგრამა – ამერიკის კულტურა – დრამატული ტრანსფორმაციის სტადიაშია. ყალიბდება სხვაგვარი ხედვა: ამერიკის კულტურა – საზღვრების გარეშე! ვითარდება ინტერდისციპლინარული მეთოდიკა აზიელი, მკვიდრი და აფრიკელი ამერიკელების კულტურის შესწავლისა, ე.ი. ჰუმანიტარულ საგნებს ემატება სხვა სფეროების დისციპლინებიც: მუსიკათმცოდნეობა, კინემატოგრაფია, მედია, ანთროპოლოგია და სხვა.

ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტში ინოვაციად ითვლება ამერიკის კულტურის

ინტერდისციპლინარული მეთოდით სწავლება, რაც გულისხმობს სამხრეთ-აღმოსავლეთის გარემოს, მეცნიერების და ტექნოლოგიის, პოპულარული კულტურის, ფოლკლორის, სქესის, რასის, კლასისა და ეთნიკურობის შესწავლას.

ხოლო მემფისის უნივერსიტეტი ცნობილია თავისი მუსიკალური სკოლით, ხელოვნების მუზეუმით. აქედან გამომდინარე ამერიკის შესწავლის გეგმა ძირითადად ემყარება ხელოვნებას და ისტორიას.

პენ სტეიტ ჰარისბურგის უნივერსიტეტში ამერიკის შესწავლის ინტერდისციპლინარული პროგრამა მოიცავს: ლიტერატურის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, მუსიკის, ხელოვნების, სოციოლოგიის, მედიის, სქესის, ეთნიკურობის შესწავლას, აერთიანებს მათ ადგილიბრივი ისტორიის განხილვის თვალსაზრისით, ვინაიდან პენსილვანიის შტატს მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა აქვს.

მისისიპის უნივერსიტეტში ამერიკის შესწავლა წარმოდგენილია ძირითადად სამხრეთის კულტურის სწავლების პროგრამით, რაც აკავშირებს ლიტერატურას სოციალურ ისტორიასთან და აქცენტს აკეთებს უ. ფოლკნერის შემოქმედებასთან, მით უფრო, რომ ფოლკნერის შესანიშნავი მუზეუმი მდებარეობს უნივერსიტეტის შენობის გვერდით.

თუ ამერიკის შესწავლას შტატებში 60 წლის ისტორია აქვს და ევროპაში – 40, საქართველოში პირველი ნაბიჯები ამ მხრივ გადაიდგა 1990 წლის შემდეგ. 1997 წელს თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შეიქმნა ამერიკის ისტორიის ცენტრი, რომელიც 2002 წლის მარტში გადაიქცა საქართველოში ამერიკის შესწავლის ცენტრად. სწორედ ამ ცენტრის ინიციატივით ყოველ წელს ტარდება ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 2002 წლის აპრილის კონფერენციამ წინა წლებთან შედარებით უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო, ვინაიდან გაიზარდა მონაწილეთა რიცხვი და გაფართოვდა თემატიკის სპექტრი, ამერიკის საელჩოს დახმარებით მოწვეულ იქნა დორის ფრიდენსენი, ნიუ-იორკის ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის პროფესორი, რომელიც გავიცანით ვოშინგტონში ამერიკის შესწავლის საერთაშორისო კონფერენციაზე და გადავწყვიტეთ მოგვეწვია საქართველოში, რათა კონსულტაციები გაეწია იმ ექვსი უნივერსიტეტისთვის, რომლებიც თავიანთი საჭიროების მიხედვით აპირებენ ამერიკის შესწავლის, როგორც დისციპლინის შეტანას ან უფრო ფართოდ, განყოფილების სახით წარმოდგენას. დორის ფრიდენსონმა წაიკითხა ლექციები ამერიკის შესწავლის პროგრამის თავისებურებების შესახებ ყველა ამ ექვს უნივერსიტეტში.

ამერიკის შესწავლის რა პერსპექტივებია საქართველოში? საქართველო ამ მხრივ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს და იღებს რა ამერიკულ მოდელს, სხვადასხვა უნივერსიტეტში სახავს სხვადასხვა პერსპექტივას, უნივერსიტეტის

მოთხოვნებისა და სპეციფიკურობის შესაბამისად, ასე მაგალითად, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2001 წლის ზაფხულში დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაეყარა საფუძველი მაგისტრატურის პროგრამას, სადაც გაერთიანდა ლიტერატურა და კულტურის თეორია. დღეისთვის ამ პროგრამაში შვიდი სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი მუშაობს.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე უკვე ათი წელია რაც იკითხება ამერიკის ლიტერატურის კურსი. 2001 წელს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებაზე, ამერიკის ისტორია იქნა შეტანილი. 2002 წლის სექტემბრიდან ამერიკის ისტორიის კურსი გაფართოვდება, მას დაემატება კულტურა. სტუდენტთა 2002 წლის აპრილის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის მასშტაბები გაიზარდა, ვინაიდან მას დაემატა ამერიკის შესწავლის სექცია.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2002 წლის სექტემბერში (27-29) პირველად აწყობს სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ კონფერენციას ამერიკის შესწავლის თემაზე „XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და ანგლო-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობანი". 2002 წლიდან უნივერსიტეტში იგეგმება ამერიკის შესწავლის პროგრამის სასწავლო პროცესში ჩართვა.

თბილისის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებაზე მუშავდება ამერიკის შესწავლის პროგრამა, რაც ძირითადად დაეყრდნობა პოლიტიკისა და სამართლის თემატიკას.

თბილისის სულხან საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე იგეგმება ამერიკის შესწავლის ერთი ჯგუფის გახსნა, რომელთაც წაეკითხებათ შემდეგი კურსები: ისტორია, პედაგოგიური მეცნიერებანი, კულტურა, ფილოლოგია და ინტენსიური კურსი ინგლისურ ენაში, ვინაიდან ეს არ არის სპეციალიზებულ ინგლისურზე დაყრდნობილი ფაკულტეტი.

ახლა მინდა მოგახსენოთ ჩემს პირად პატარა გამოცდილებაზე ამ სფეროში და ამერიკის შესწავლის პერსპექტივებზე ორ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ვმუშაობ. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში თარჯიმნის განყოფილებაზე ათი წელია ვასწავლი საგანს „ამერიკის კულტურა და საზოგადოება" ამერიკელი პროფესორის ჩარლზ ვეტერის - „როგორ გავცეთ პასუხი ამერიკაზე დასმულ კითხვებზე" – წიგნზე დაყრდნობთ. სტუდენტები დიდი ენთუზიაზმით ებმებიან დისკუსიაში ამერიკაზე დასმული კითხვების განხილვისას და ადარებენ მათ იმავე პრობლემებს საქართველოში. მაგალითად:

1. რატომ არიან ამერიკელები ნაკლებად ინფორმირებული სხვა ქვეყნების,

ქალაქების და მთავრობების შესახებ?

2. დაგვიხასიათეთ ამერიკული ოჯახი. მართალია, რომ ცოლი მართავს ქმარს და ბავშვი – მშობლებს?

3. გამოწვეულია თუ არა განქორწინება, მცირეწლოვანთა დანაშაული და უმუშევრობა ამერიკაში იმით, რომ ქალების უმრავლესობა მუშაობს?

4. რატომ ათავსებთ მოხუცებს მოხუცებულთა სახლში? არის თუ არა ეს თქვენი ოჯახური ურთიერთობის დანგრევის მაგალითი? და ა.შ.

ამგვარი ანალიზი სტუდენტებს აძლევს საშუალებას ჩამოაყალიბონ ორი კულტურისთვის დამახასიათებელ და განმასხვავებელ ნიშანთა სისტემა, ახდენენ რა ორი ქვეყნის კულტურისა და სოციალური ისტორიის საკითხების შეპირისპირებას. ეს კი დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ ქართველ სტუდენტებს დიდი ლტოლვა აქვთ, და არა მარტო ქართველებს. ასევე დიდი ენთუზიაზმით არიან ამ კულტურისადმი განმსჭვალული ბევრი სხვა ეროვნების სტუდენტებიც. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში წარმოვადგინოთ ამერიკის შესწავლა არა მხოლოდ როგორც ერთი დისციპლინარული საგანი, არამედ გავხსნათ დიდი განყოფილება ბაკალავრიატის და მაგისტრის ხარისხების პროგრამით (Department of American Studies). შედგენილ იქნა დეტალური პროგრამა ბაკალავრიატის ხარისხისთვის, რომლის მიხედვითაც I და II კურსს წაეკითხებათ საერთო საგნები, მაგალითად:

I კურსზე: ინგლისური ენის სპეცკურსი, საქართველოს ცივილიზაციის ისტორია, ქართული ენა, უცხო ენა, ამერიკის ისტორია, ამერიკის ლიტერატურა, თანამედროვე ამერიკული საზოგადოების საკითხები, ფსიქოლოგია, მსოფლიო ლიტერატურის მიმოხილვა, ინტერნეტის შესწავლა და ა.შ.

II კურზსე: ენათმეცნიერება, ენის ისტორია, პედაგოგოკა, კვლევის მეთოდები, კულტურა და საზოგადოება, თარგმანი და ა.შ.

III კურსიდან კი პროგრამა დაიყოფა ორ სპეციალობად: 1) ამერიკის შესწავლის მაპროფილებელი საგნები და 2) ინგლისური ენის სწავლების მაპროფილებელი საგნები. შესაბამისად იქნება ორი დიპლომი: 1) ამერიკის შესწავლის ექსპერტის (Bachelor Degree for American Studies Expert) და 2) ინგლისური ენის პედაგოგის(Bachelor Degree for Language Teaching). ამერიკის შესწავლის ექსპერტის პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად საგნებს: ამერიკის კულტურა და საზოგადოება, პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოგრაფია, სამართალი, თანამედროვე ლიტერატურა, ბიზნესი, საბუღალტრო საქმე და ა.შ.

პროგრამა დამყარებული იქნება, როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის პრინციპებზე. შევეცადეთ

პროგრამა ყოფილიყო მრავალფეროვანი, რათა განახორციელოს სტუდენტთა ინტელექტუალური მიზნები და დააკმაყოფილოს მათი ცნობისმოყვარეობა მსოფლიოს უნიკალური ზესახელმწიფოს მიმართ.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ: ამერიკის შესწავლის პროგრამების გაცნობამ ამერიკის შეერთებული შტატების ექვსი შტატის სხვადასხვა უნივერსიტეტში გვიჩვენა, რომ ამერიკის შესწავლის პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტებში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ამ უნივერსიტეტების შესაბამისი კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ინტერესების - როგორიცაა იმიგრაცია, კულტურული, ეთნიკური და რასობრივი მრავალფეროვნება, კლასობრივი და სქესობრივი კონფლიქტები, ეკონომიური და ტექნოლოგიური ცვლილებები – გათვალისწინებით და ემყარება როგორც მრავალდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის პრინციპებს. ამ მრავალფეროვანი მოდელის შესაბამისად შევეცადეთ დაგვესახა ამერიკის შესწავლის პერსპექტივები საქართველოს ექვს უნივერსიტეტში, თითოეული უნივერსიტეტის დარგობრივი სპეციფიკურობის, სტუდენტთა ინტერესების და დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელ საქართველოში. ჯერჯერობით მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება ადრეა, ვინაიდან ამერიკის შესწავლა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Tony Janner, The City of Words, London, Jonathan, Cape, 1971.

2. Amy Kaplan, The Social Construction of American Realism, Chicago, The University of Chicago Press,1988.

3. Michael North, The Dialect of Modernism, New York, Oxford University Press, 1994

ირინე ჟანტურიშვილი
აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო,
საინფორმაციო წყაროების სპეციალისტი

საქართველოსა და აშშ-ის საბიბლიოთეკო ასოციაციების თანამშრომლობა

საქართველოს და ამერიკის ბიბლიოთეკები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ბიბლიოთეკების ტექნიკური აღჭურვილობა, არამედ კონცეპტუალურიც. ის, რასაც ჩვენი ბიბლიოთეკარები მისტირიან დღესაც – და რაც გათავდა და ვეღარ დაბრუნდება – იყო ორგანიზაციები, რომლებიც ისევე იდგა ხალხის მასების მართვის სამსახურში, როგორც ბევრი სხვა საბჭოთა (ან საბჭოური) ორგანიზაცია. ყველას ახსოვს ბიბლიოთეკებში არსებული სპეცფონდები და ის სიძნელეები, რომელიც ფონდში დაშვებისათვის უნდა გადაელახა მკითხველს. სხვათა შორის, ამ სპეცფონდებში ხშირად ისეთი მასალაც ინახებოდა, რომელშიც სრულებით არაფერი იყო აუგი პოლიტიკური თვალსაზრისით – ის ფაქტიც კი, რომ რაღაც გამოქვეყნდა ჩვენს (ან რომელიმე სხვა საბჭოთა რესპუბლიკის) შესახებ საზღვარგარეთ საკმარისი იყო ხოლმე ცენზორისათვის, რომ წიგნი "დაეპატიმრებინა". ავად თუ კარგად, ეს სისტემა არსებობდა და გარკვეულწილად ხალხსაც ემსახურებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც კი ბიბლიოთეკარების სტატუსი საკმაოდ დაბალი იყო, ხელფასებზე რომ აღარაფერი ვთქვათ – ბიბლიოთეკარი სადღაც დამლაგებელსა და ტექნიკურ პერსონალს შორის იდგა. კარგად მახსოვს, როგორ შეგვყრიდნენ ხოლმე სააქტო დარბაზში რაიმე პარტიულ ან პროფკავშირულ კრებაზე ადგილების შესავსებად, "მასოვკის" როლში და რაოდენ ტრავმირებულები რჩებოდნენ ხოლმე ჩემი კოლეგები, როდესაც მათთვის მოსაწვევი არ მოიძებნებოდა ხოლმე რაიმე მართლაც საინტერესო იუბილეზე. უნივერსიტეტი ისე დავამთავრე, ბიბლიოთეკაში არ შევსულვარ – წიგნებს ნაცნობებისა და ნათესავების პირად კოლექციებში ვსესხულობდი. ერთი-ორჯერ კი ვცადე ბედი, მაგრამ "შტაბელებშიაო", ნაწყენი სახით რომ მითხრა მკაცრმა ბიბლიოთეკარმა, თავი გავანებე.

მერე მოხდა ისე, რომ მე თვითონ ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშობა და უკვე შიგნიდან დავინახე ის არასრულყოფილება, რაც (და რატომაც) თან ახლდა ამ პროფესიას. აქვე უნდა აღვნიშნო და სიყვარულით მოვიხსენიო ის ნამდვილად თავდადებული და მცოდნე ბიბლიოთეკარები, რომლებიც ჩემი კა-

რიერის მანძილზე შემხვედრია.

გავიდა დრო და ამერიკის ბიბლიოთეკაში აღმოვჩნდი ჩვენს ქვეყნებს შორის გაცვლითი პროგრამით. მათთვისაც ჩემი იქ ყოფნა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა – ჯერ ჩემი სსრკ-ს პასპორტი გახდა განხილვისა და ქსეროქსზე გადაღების საგანი, მერე მე მევლებოდნენ თავს, ყველაფერი დამათვალიერებინეს, ჩემზე სტატიაც გამოაქვეყნეს თავის საუნივერსიტეტო გაზეთში. 4 თვე ვიმუშავე მათთან გვერდიგვერდ და მაშინ მივხვდი, თუ რა დიდი განსხვავებაა ჩვენი და მათი საბიბლიოთეკო სისტემებს შორის. იქ ბიბლიოთეკარი არის ბედნიერი მასპინძელი და არა წიგნების მკაცრი დარაჯი. ღიმილი აქვთ სახეზე უნიფორმასავით. ბიბლიოთეკა მთლიანად აწყობილია მკითხველის მომსახურებაზე, იმაზე, რომ მან კარგად იგძნოს თავი ბიბლიოთეკაში. ვინ ალოდინებს სტუდენტს საათობით ან ვინ ეტყვის ხვალ მოდიო! ენციკლოპედიები, ლექსიკონები, სხვა საცნობარო ლიტერატურა თავისუფლად დევს თაროზე და არავინ არ კარგავს დროს მათ გამოწერაზე ან მოთხოვნაზე – მიდიან თვითონ თაროსთან და არჩევენ, რაც სჭირდებათ. ბიბლიოთეკარები მხოლოდ ეხმარებიან: მიუთითებენ, რომელ სართულზე ან რომელ საცავში არის ესა თუ ის მათთვის საინტერესო მასალა. მძინარე სტუდენტებიც ბევრი მინახავს ბიბლიოთეკაში და წარმომედგინა, რა რისხვას დაატეხავდნენ დაძინებულ სტუდენტს ჩემი ქართველი კოლეგები.

როცა ჩამოვედი და დროთა განმავლობაში აშშ-ის საელჩოში დავიწყე მუშაობა, დავინახე, თუ რა დიდ დახმარებას უწევს ამერიკა ჩვენს ქვეყანას ამ სფეროშიც. დაწყებული 1995 წლიდან ყოველ წელიწადს გარკვეული რაოდენობის ახლაგაზრდა მონაწილეობს მასკის პროგრამაში საბიბლიოთეკო-საინფორმაციო განხრით; გამარჯვებულებს ეძლევათ საშუალება ისწავლონ მაგისტრატურაში აშშ-ის საუკეთესო საბიბლიოთეკო სკოლებში; სოროსის ფონდმა დააფინანსა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ბიბლიოთეკართათვის, რომლებსაც წარმართავენ აშშ-ის კურსდამთავრებულები; IREX და Project Harmony –ს აქვთ პროგრამები პროფესიონალი ბიბლიოთეკარებისათვის. IREX - ი მთელს საქართველოში ხსნის ინტერნეტის დაშვებისა და ტრეინინგის ცენტრებს. ეს ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ქვეყანაში შეიქმნას თავისუფლად მოაზროვნე, დემოკრატიული საზოგადოება, რომელსაც ექნება თავისუფალი და უსასყიდლო დაშვება ინტერნეტთან. ინტერნეტმა საოცრად დაეპატარავა ჩვენი სამყარო, ხელმისაწვდომი გახადა უშორესი ქვეყნები და იქ დაცული საგანძურები, გახსნა საზღვრები და დააკავშირა ხალხები ერთმანეთს. ყველაფერი ეს მიმართულია ცოდნისაკენ, იმ უკიდეგანო შესაძლებლობების ცოდნისაკენ, რასაც ინტერნეტის გამოყენება ჰქვია. მაგრამ აუცი-

ლებელია, რომ ეს საოცარი შესაძლებლობა ხალხის, ახალგაზრდობის სამსახურში იდგას. ქვეყანას მატერიალურად უჭირს, ხალხს არა აქვს შესაძლებლობა შეიძინოს კომპიუტერები და ჩაერთოს ინტერნეტში, ამიტომ სწორედ ბიბლიოთეკებში უნდა არსებობდეს უფასო ინტერნეტ-ცენტრები.

გრანტით მოპოვებული კომპიუტერები, რომლებიც ყოველთვის უფასოდ სარგებლობის საწინდარია, უნდა იყოს განლაგებული მხოლოდ და მხოლოდ ბიბლიოთეკებში, რათა ხალხისათვის, სტუდენტობისათვის ხელმისაწვდომი იყოს. ეს უნდა გაიგონ, პირველ რიგში, ბიბლიოთეკებმა და, მეორე რიგში კი, კონკრეტული ბიბლიოთეკების ზემდგომმა ორგანოებმა: რექტორატებმა, კულტურის სამინისტრომ, მერიამ. "რა დროს" ბიბლიოთეკაა ოიტყვის მავანი და მავანი, ქვეყანა თავზე გვენგრევაო. ბიბლიოთეკების დრო და უდროობა აღარ გამიგია, მთავარია იყოს სწორი და ნათელი ხედვა იმისა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ბიბლიოთეკების საკეთილდღეოდ, მთავარია იყოს თუნდაც ერთი მუჭა ხალხი, ერთი იდეით ანთებული და შეპყრობილი, რომლებმაც იციან საიდან დაიწყონ და როგორ გაართვან თავი ამ პრობლემებს. მასკის პროგრამა მე არ დამიმთავრებია, ასაკი აღარ მიწყობს ამისათვის ხელს, მაგრამ სწორედ ამ პროგრამადამთავრებულმა ახალგაზრდების ჯგუფმა წამოიწყო რევოლუციური ცვლილებები საბიბლიოთეკო სფეროში. მათი საქმიანობა დაიწყო 1997 წელს და დეტალებით თავს არ შეგაწყენთ, დაინტერესებულებს შეუძლიათ ნახონ მათი ვებ გვერდი www.ais.org.ge მათი გამოჩენა გახდა კატალიზატორი იმ პროცესებისა, რომლებიც უკვე დაწყებულია საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროში და დიდი იმედი მაქვს, მის შედეგებსაც მალე დაინახავს ქართული საზოგადოება. ასოციაციაში გაერთიანებული ეს ჯგუფი აღმოჩნდა საყრდენი ძალა მთელი რიგი პროექტებისა, რომლის მეშვეობითაც საქართველოში შექმნილია ახალი საბიბლიოთეკო სისტემის მომავალი. ცხადია, ამაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ სტარტი აღებულია. შეიქმნა თუ არა ეს ჯგუფი, მაშინვე გააქტიურდა მეორე ასოციაცია, საქართველოს ბიბლიოთეკართა ასოციაცია, რომელიც მანამდე მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ეს შეჯიბრი კი მხოლოდ საერთო საქმის გამარჯვების საწინდარია.

მასკის პროგრამის კურსდამთავრებულთა ასოციაციამ კავშირი დაამყარა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციასთან. ეს ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი ასოციაციაა ამერიკაში, რომელსაც ძალიან დიდი გამოცდილება აქვს იმაში, თუ როგორ არ უნდა მოასვენოს თავისი მთავრობა და რა გზებით უნდა მოიზიდოს მეტი და მეტი თანხები ბიბლიოთეკებისათვის. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ ჩაატარა თბილისში რეგიონალური კონფერენცია

და გვასწავლა ლობირება ბიბლიოთეკებისათვის. ლობირება ჩვენს სინამდვილეში სრულიად ახალი ცნებაა და იგი მიმართულია ამა თუ იმ საკითხის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაღვიძება-გაღვივებისაკენ. ამ ურთიერთობის საფუძველზე გამოიკვეთა ის ღონისძიებები, რომელთა ჩატარებაც უდაოდ „გამოაღვიძებს" თვით ბიბლიოთეკარებს და მიაპყრობს საზოგადოების ყურადღებას ბიბლიოთეკებისადმი. ასე მაგალითად, საქართველოსა და აშშ-ში ჩატარდა საბიბლიოთეკო ეროვნული კვირეული და ამ ღონისძიებების თანხვედრა გადაწყდა ერთი წლის წინ თბილისში ჩატარებულ საბიბლიოთეკო კონფერენციაზე. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე კვირეულს და აღნიშნა კიდევაც, რომ ამდენ ღონისძიებებს არც კი მოელოდნენ ჩვენგან. ყველა ამ ღონისძიებაში აქტიურად ჩართულია ამერიკის საელჩო და, კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოადგილე ბატონი ბერკ ო'კონორი. 25 აპრილს საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოში პირველი ელექტრონული ბიბლიოთეკის პრეზენტაციისადმი, საელჩოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული ბიბლიოთეკების რიცხვი მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მწიგნობრობა საქართველოში.

მაინც, რა დახმარებაც უნდა აღმოგვიჩინონ, მთავარი ისაა, თუ როგორ ვუშველით თავს ჩვენ თვითონ. პირველ რიგში, განახლება უნდა იგრძნობოდეს ჩვენს, ბიბლიოთეკარების, რიგებში. უნდა შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულება საკუთარი პროფესიისადმი, უნდა გამოიხშიროს ჩვენი რიგები ბევრი შემთხვევით მოსული ადამიანისაგან. რაც შესამცირებელია, უნდა შემცირდეს. უნდა ყოველ ბიბლიოთეკაში არსებობდეს ადამიანი ან თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც განუწყვეტლივ იმუშავებს თანხების მოძიება-მოზიდვაზე და ეს, პირველ რიგში, უნდა ესმოდეთ ბიბლიოთეკების დირექტორებს.

ძალიან მიკვირს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებისა და საგანმანათლებლო რეფორმების ჩამტარებლების დამოკიდებულება, უფრო სწორად კი, გარკვეული პოზიციის უქონლობა ბიბლიოთეკებისადმი. ყველა ნამყოფია საზვარგარეთის უნივერსიტეტებში და უნახავთ, რომ ერთ-ერთი პირველი, რასაც მათ საზღვარგარეთ აჩვენებენ, არის ამა თუ იმ საგანმანათლებლო დანესებულების ბიბლიოთეკები, თუ რა საშუალებებითაა ისინი აღჭურვილი და, გამომდინარე აქედან, რამდენად უზრუნველყოფილი არიან იქ მოსწავლე სტუდენტები წიგნებითა და სწავლისათვის სხვა აუცილებელი მასალებით. სხვათა შორის, საზღვარგარეთ უმაღლესის არჩევისას, აბიტური-

ენტები და მათი მშობლები ყოველთვის ამოწმებენ, თუ რამდენად კარგი ბიბლიოთეკა აქვს ამა თუ იმ სასწავლებელს. არჩევანში კარგი ბიბლიოთეკა გადამწყვეტ როლს თამაშობს ხოლმე. ჩვენთან კი არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს, სადაც არ არსებობს რაიმე კომპიუტერული ცენტრი, მაგრამ როგორც წესი ის ბიბლიოთეკის სამსახურში არ დგას. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ალბათ თსუ, რომლის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშიც გადავიდა ზემოთ ხსენებული ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია თავისი 18 კომპიუტერით და გაუხსნა კარი სტუდენტობას. მაგრამ ისიც ქალაქის დასალიერშია და ნახევარჯერ უშუქოდ დარჩენილი. ამ ბიბლიოთეკის საკალალო მდგომარეობა ხომ კარგად არის ცნობილი ყველასათვის.

მიუხედავად ყველა კრიტიკული შენიშვნისა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი საქართველოს ბიბლიოთეკების მომავლისადმი: განახლების საფუძველი ჩაყრილია, არსებობს ორი ასოციაცია, დაკავშირებული თავის ამერიკულ პარტნიორთან, და ისინი არ მოისვენებენ მანამ, სანამ საქართველოში ბიბლიოთეკები არ აღორძინდება.

ოთარ ნიკოლეიშვილი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

მისურის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან

მისურის უნივერსიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების მისურის შტატში მდებარე უძველესი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც განთავსებულია ოთხ ქალაქში: კოლუმბიაში, როლაში, სენტ-ლუისსა და კანზას-სიტიში. მისურის უნივერსიტეტში დღეისათვის 50 000-მდე სტუდენტი სწავლობს. მათგან ყველაზე დიდი და უძველესი მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტია, რომელშიც 27 000-ზე მეტი სტუდენტი ირიცხება.

მისურის უნივერსიტეტისადმი ჩემი დაინტერესების საფუძველი ამ უმაღლეს სასწავლებელთან ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების მეგობრული ურთიერთობა გახდა. 1997 წელს ACTS Georgia-ს პრეზიდენტის, საქართველოს დიდი მეგობრის, ქალბატონ ტრიშ ბლეერის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით, მისურისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა მეგობრობისა და პარტნიორული თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლას.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ქართული და ამერიკული უნივერსიტეტების ერთმანეთთან დასაახლოებლად და საქმიანი კავშირ-ურთიერთობების დასამყარებლად. ამ თვალსაზრისით მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო მისურის უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი ბ-ნი მელვინ ჯორჯი, მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის პრორექტორი ბ-ნი ბრედი დეიტონი და სხვები. ამ ურთიერთობის შედეგად ჩვენს უნივერსიტეტში სისტემატურად ჩამოდიან მისურის უნივერსიტეტის პროფესორები. ხშირად გვიგზავნიან უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, გვეხმარებიან სასწავლო პროცესის სრულყოფაში და ა. შ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ამერიკული მხარის დაფინანსებით ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ წარგზავნილი სტუდენტები წარმატებით სწავლობენ მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრატურასა და დოქტურანტურაში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი საგარეო ურთიერთობათა დარგში ვახტანგ ამაღლობელი 2000 წელს ოთხი თვით იმყოფებოდა მისურის

უნივერსიტეტში გამოცდილების გასაზიარებლად და ურთიერთთანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ბედმა გამიღიმა და 2000 წლის გაზაფხულზე ოთხი თვით მეც მომეცა შესაძლებლობა მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტში ყოფნისა და თავისუფალ მსმენელად ლექციებზე დასწრებისა. კოლუმბიაში ყოფნის დროს დავინტერესდი ამ უნივერსიტეტის ისტორიითა და დღევანდელობით და შეძლებისდაგვარად გავეცანი ამასთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურას. ქვემოთ შევეცდები მოკლედ გიამბოთ ამ დიდი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

უნივერსიტეტის დაარსების იდეა მისურის შტატში მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უნივერსიტეტის დაფუძნების ინიციატორთა წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა თავიდანვე, იმის გარკვევა იყო, რა მოდელის უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტი. არსებობდა რამდენიმე ვარიანტი: პირველი, ე. წ. „კლასიკური" მოდელი, რომელიც აღმოსავლეთ შტატებში იყო გავრცელებული და ოქსფორდისა და კემბრიჯის ანალოგს წარმოადგენდა და მეორე, ე. წ. „საჯარო" მოდელი, რომლის საფუძველზეც იყო 1819 წელს დაარსებული ვირჯინიის უნივერსიტეტი.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა უნივერსიტეტისათვის მოქნილი და ეფექტური სასწავლო სისტემის ჩამოყალიბება. ნაწილი მიიჩნევდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებამდე ჯერ ეს პრობლემა უნდა გადაწყვეტილიყო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტის გახსნა. ზოგი კი ორივე საკითხის ერთდროულად გადაწყვეტის მომხრე იყო.

უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის დროს განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა იმ საკითხის გადაწყვეტა, სად უნდა მომხდარიყო სასწავლებლის ტერიტორიული განთავსება და რა გზით მოხდებოდა მისი დაფინანსება. უნივერსიტეტის გახსნის ინიციატორთა გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტს ნაწილობრივ შტატის მთავრობა დააფინანსებდა საგანგებოდ ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებით, ნაწილობრივ კი იგი სხვადასხვა სახის საგადასახადო შემოსავლებით იქნებოდა უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება უნივერსიტეტისათვის ადგილის გამოყოფას, ეს პრობლემა შემდეგნაირად გადაწყდა: 1839 წლის 10 იანვარს შტატის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა კონკურსის შედეგად გამოევლინა ის საგრაფო, სადაც განთავსდებოდა მისუ-

რის უნივერსიტეტი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ცენტრალური მისურის ექვსმა საგრაფომ. ესენი იყო: კოული, კუპერი, სალინა, ბუნი, ჰოვარდი და კალავეი. კონკურსის პირობის თანახმად, გამარჯვებულად ჩაითვლებოდა ის საგრაფო, რომელიც უფრო მეტ ტერიტორიასა და თანხას წარუდგენდა კომისიას.

ზემოთ ჩამოთვლილ ექვსი საგრაფოდან პირველმა სამმა ნაკლები დაინტერესება გამოიჩინა უნივერსიტეტის მათ ტერიტორიაზე განსათავსებლად, რის გამოც გადამწყვეტი პაექრობა ბუნის, ჰოვარდისა და კალავეის საგრაფოებს შორის გაიმართა.

კონკურსის შედეგად, რომლის შედეგებიც 1839 წლის ზაფხულში გამოცხადდა ჯეფერსონ-სიტიში, გამარჯვებულად ბუნის საგრაფო ცნეს, რომელმაც უნივერსიტეტს 220 აკრი მიწა შეუძინა, მეორე-მესამე ადგილებზე კი შესაბამისად კალავეისა და ჰოვარდის საგრაფოები გავიდნენ.

ერთ-ერთი პიროვნება, რომელმაც ყველაზე მეტი ფული გაიღო უნივერსიტეტისთვის ადგილის შესაძენად, ედუარდ კემპლინი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მან წერა-კითხვაც კი არ იცოდა, იგი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენად და ცნობილ მეცენატად ითვლებოდა მთელს შტატში და მისი დახმარებით მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება.

1839 წელს ჰენრი გეიერმა საზოგადოებას გააცნო ის კანონ-პროექტი, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მომავალი უნივერსიტეტის ფუნქციონირებას. ამ პროექტის თანახმად უნივერსიტეტს არ შეეძლო დაექირავებინა მასწავლებლები, ან გამოეშვა კურსდამთავრებულები. უნივერსიტეტს ფაქტობრივად მხოლოდ მეთვალყურის ფუნქცია ენიჭებოდა მის დაქვემდებარებაში შემავალ აკადემიებსა და კოლეჯებზე.

1839 წლის 13 თებერვალს არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პირველი გამგეობა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი შენობის აგების შესახებ, სადაც განთავსდებოდა ადმინისტრაცია და დეპარტამენტები. არქიტექტორად მოიწვიეს სტივენ ჰილსი, რომელიც პენსილვანიის შტატში არსებული კაპიტოლიუმის ავტორიც გახლდათ.

1841 წელს უნივერსიტეტის პირველ პრეზიდენტად გამგეობამ ჯონ ჰირამ ლატროფი აირჩია, რომელსაც უმაღლესი განათლება (ბაკალავრი, მაგისტრი) იელის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. იელის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ უნივერსიტეტში, შემდეგ კი ნიუ-იორკის შტატში არსებულ ჰამილტონის კოლეჯში განაგრძო პროფესორად მოღვაწეობა.

მისურის უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1843 წელს მოეწყო. ამ წელს მხოლოდ ორ სტუდენტს გადაეცა უნივერსიტე-

ტის დამთავრების სერთიფიკატი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კურსდამთავრებულთა დაჯილდოვების პირველმა ცერემონიალმა ძალზე პომპეზურად ჩაიარა და სამ საათს გასტანა.

სასწავლო პროცესის დახვეწისა და სრულყოფის საქმეში პირველი მნიშვნელოვანი წარმატებები მისურის უნივერსიტეტმა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა, რასაც თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1853 წელს სტუდენტთა რაოდენობამ იქ 180 კაცს მიაღწია, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი მიღწევა იყო. სტუდენტთა ძირითად ნაწილს არისტოკრატული წრის წარმომადგენლები შეადგენდნენ, უმეტესად ბუნის საგრაფოს მცხოვრებლებს.

1855 წელს უნივერსიტეტის გენერალურმა ასამბლეამ თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის გამგეობას პროფესორ-მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ, რაც მართლაც განხორციელდა კიდეც. მაგრამ ამ საქმეს იმხანად წარმატება არ მოჰყოლია და ერთი წლის შემდეგ კურსებმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან უნივერსიტეტის ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქ უკვე სასწავლებლად მოდიოდნენ არა მარტო მახლობელი საგრაფოების მცხოვრებლები, არამედ ახალგაზრდები მთელი მისურის შტატიდან. მათ შორის საკმაოდ იყვნენ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ დემოკრატიზაციის ამ პროცესს, რაც მიზნად ისახავდა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა-გაფართოებას, მომხრეებთან ერთად ბევრი მონინააღმდეგეც ჰყავდა. მათი აზრით, ამ გზით მცირდებოდა უნივერსიტეტის ელიტარულობა და საგრძნობლად ეცემოდა მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, პრესტიჟი.

თავდაპირველად უნივერსიტეტში მხოლოდ მამაკაცები სწავლობდნენ, 1870 წლიდან კი ქალებსაც მიეცათ სწავლის უფლება. 1950 წლიდან ასეთი უფლებამოსილება ფერადკანიან სტუდენტებზეც გავრცელდა.

სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა უნივერსიტეტზე დაქვემდებარებულ კოლეჯთა რაოდენობაც. კერძოდ: 1870 წელს გაიხსნა აგრალური კოლეჯი, 1872 წელს – მედიცინისა და სამართლისა, 1877 წელს – საინჟინრო. 1908 წელს მისურის უნივერსიტეტში დაარსდა მსოფლიოში პირველი ჟურნალისტიკის კოლეჯი. 1914 წელს უნივერსიტეტში დაფუძნდა ელისეს ბიბლიოთეკა, რომელშიც დღესდღეობით მილიონობით წიგნია დაცული.

1892 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობა ხანძარმა გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე სვეტი, რომელიც განსაკუთრებულად

ფასეულ რელიქვიას წარმოადგენს ამ სასწავლებლისათვის. რაც შეეხება ახლანდელ შენობას, რომელიც ჟესსე ჰალლ-ის სახელითაა ცნობილი, 1895 წელს აიგო.

1862 წელს ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის გამო უნივერსიტეტს ერთნლიანი იძულებითი ჩავარდნა ჰქონდა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ომის შემდგომი პერიოდი მაინც თამამად შეიძლება იქნას მიჩნეული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურად უნივერსიტეტის ისტორიაში, რაც შემდეგი ფაქტებითაც ნათლად დასტურდება: 1863 წელს ქალაქებში: კანზასსიტსა და სენტ-ლუისში, 1870 წელს კი როლაში გაიხსნა მისურის საუნივერსიტეტო კომპლექსში შემავალი ახალი უნივერსიტეტები იმ სახით, რა სახითაც ისინი დღესდღეობით არსებობენ.

ამჟამად მისურის საუნივერსიტეტო კომპლექსს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, ხოლო ცალკეულ უნივერსიტეტებს მართვა-გამგებლობის თავიანთი ორგანოები გააჩნიათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Perry McCandless, A history of Missouri, 1820 to 1860, Volume II.
2. John C. Crighton, A history of Columbia and Boone County.
3. Paul C. Nagel, Missouri. A history.
4. www.missouri.edu – მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი

თეო ნეფარიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

კომპიუტერიზაცია განვითარებად ქვეყნებში როგორც ამერიკანიზაციის ერთ-ერთი ასპექტი

ტელესკოპის გამოგონებამ დაგვანახა ახალი სამყარო და მიკროსკოპმა გამოამჟღავნა მიკროკოსმის საიდუმლოებანი, ასევე კომპიუტერის გამოგონებამ განაპირობა ახალი რეალობის წარმოქმნა. კომპიუტერული ტექნოლოგია გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე. ის საზოგადოება, რომელიც კარგად ფლობს მას ბუნებრივად ხდება ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური დომინანტი მომავალ საინფორმაციო ერაში. კომპიუტერული ტექნოლოგია და ახალი მეცნიერებების სინთეზი წარმოადგენს ცივილიზაციის განსაკუთრებულ მიღწევას და იგი წმინდა ამერიკულ ფენომენადაა მიჩნეული.

ტექნოლოგიური წინსვლა გახდა სიმდიდრისა და კეთილდღეობის ახალი ტალღების წარმოქმნის განმსაზღვრელი ფაქტორი დღევანდელ მსოფლიოში. ელექტრონული კომერცია და საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) ეკონომიკის წინსვლის გარანტი გახდა. თუმცა ამ უპირატესობით მსოფლიოს მხოლოდ განვითარებული ქვეყნები სარგებლობენ. ამან განაპირობა დიდი ზღვარის გაჩენა მდიდარსა და ღარიბ ქვეყნებს შორის. საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი შეთვისება და სწორი გამოყენება სარგებელს მოუტანს განვითარებადი სამყაროს 80%-ის ცხოვრების დონეს მკვეთრად აამაღლებს (განვითარებადი ქვეყნების ცნებაში მრავალი ქვეყანა მოიაზრება, რომლებიც თავისთავად განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. შეიძლებოდა საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნის სახელითაც მოგვეხსენებინა, მაგრამ ამით იგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთიანდება, რომლებიც განვითარების მაღალ დონეზე დგანან). საინფორმაციო ქსელურ სამყაროში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს ეხსნებათ ახალი შესაძლებლობები. პრაქტიკულად იშლება ტრადიციული ბარიერი, რომელიც კრძალავდა ინფორმაციისა და პროდუქციის თავისუფალ ბრუნვას საბჭოთა სივრცეში.

კომპიუტერიზაციის მოვლენა შეიძლება რამდენიმე ასპექტად დავყოთ (ელექტრონული კავშირის გამოყენება, კომპიუტერული სწავლება, კომპიუტერიზებული საზოგადოება, ელექტრონული ეკონომიკა, კომპიუტერიზებული მმა-

რთველობა), რომელთა შორის კავშირები იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ეს ასპექტები საერთო პროცესში ურთიერთმართვადია. კატეგორიების სინთეზურად ან ინდივიდუალურად განვითარება ადგილობრივ გარემოზეა დამოკიდებული. თითოეულ ასპექტზე მუშაობისას აუცილებელია განისაზღვროს პროცესის თუ რომელ ფაზაში იმყოფება ქვეყანა. ისიც უნდა აღინიშნოს რომ თითოეულ ასპექტში საწყისი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე გადასვლა არ საჭიროებს საშუალო საფეხურის გავლას. ეს მოსაზრება ეფუძნება იმ თეორიას რომ ინდუსტრიული საზოგადოებრივი წყობის გავლის გარეშე შესაძლებელია პოსტინდუსტრიულ ანუ საინფორმაციო ერაში შესვლა.

ელექტრონული კავშირის გამოყენება

ამ ასპექტის ძირითადი ელემენტებია კომპიუტერული მომსახურების ფიზიკური არსებობა, აპარატურითა და პროგრამებით უზრუნველყოფა, ქსელში მუშაობის ხარისხი და სიჩქარე. ყოველივე ეს კი განაპირობებს კიდევ ერთ ელემენტს _ მატერიალური ხელმისაწვდომობა. ქსელური კავშირის გამოყენება იზრდება ადგილობრივი ინტერნეტ სერვის პროვაიდერების (LSP or ISP) კონკურენციის შედეგად. მომსახურების ტიპები, საკავშირო ხაზების რიცხვი, კავშირის სისწრაფე მიუთითებს სერვის პროვაიდერების ხარისხზე. ხარვეზები აფერხებს არა მარტო პროცესს არამედ ტექნოლოგიების სფეროში ეროვნული თუ უცხოური ინვესტიციების განთავსებასაც. სასურველია სამომხმარებლო ფასების შერჩევა საშუალო მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის მიხედვით.

იმისათვის რომ დავაფიქსიროთ საქართველოს პოზიცია ამ ეტაპზე განვითარებულ ქვეყნებთან შეფარდებით, აუცილებელია მოვიშველიოთ სტატისტიკური მონაცემები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ტერიტორია 69,000 კმ^2, ხოლო აშშ-ის 10მლნ კმ^2 ანუ იგი საქართველოზე 150-ჯერ დიდია. საქართველოს მოსახლეობა 4მლნ-მდეა, ხოლო აშშ-ში 280მლნ-მდეა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო 2-ჯერ უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე აშშ-ი. ამგვარად, აშშ-ში 500 000 მოსახლეზე გათვალისწინებულია 4 ლოკალური სერვის პროვაიდერი, საქართველოში კი ერთი. საქართველოში 100 მოსახლეზე მოდის 20 სატელეფონო ხაზი, აშშ-ში კი – 40. რაც შეეხება ინტერნეტის მოხმარებას და მის ხელმისაწვდომობას, აშშ-ში გარანტირებულია სიჩქარის, სერვისის, უსაფრთხოების მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომი ღირებულება. სერვის პროვაიდერებს აქვთ ჰოსთინგი აბონენტთათვის, სანდოა კავშირი. საქართველოს მაგალითზე განვიხილე ლოკალური სერვის პროვაიდერი georgia-online.ge, რომელიც 4-ეტაპოვანი ევოლუციური სქემის (რომელიც შედგენილია ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარების ცენტრის

მიერ) მეოთხე ეტაპს განეკუთვნება: მაღალხარისხოვანი სატელეფონო კავშირებით, გამოყოფილი ხაზებით, ორმხრივი და ცალმხრივი პორტით, ინტერნეტ გვერდების და ელ. ფოსტის უზრუნველყოფით, ჰოსთინგით.

ინტერნეტის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით აშშ-ში ზრდასრულ მოქალაქეთა 24% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს სხვადასხვა მიზნებისთვის. დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით კოლეჯის ასაკის – 32%, საშუალო სკოლის ასაკის – 38%, ქალთა – 52%, კაცთა – 48%, კავკასიური რასის წარმომადგენელთა – 85%, ლათინოსების – 6%. (შავკანიანთა მონაცემები არაა დაფიქსირებული) საქართველოში კი ინტერნეტის მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი 1.1% შეადგენს. ინტერნეტ-კაფეები საუკეთესო მომსახურებით აღჭურვილია 20 A ტიპის კომპიუტერით და 10 B ტიპის კომპიუტერით,[1] როცა განვითარებულ ქვეყნებში მათი რიცხვი 400-500 მდე აღწევს.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გადანაწილება სხვადასხვა რეგიონში ხდება გეოგრაფიული და საშემოსავლო ფაქტორების გათვალისწინებით. ინტერნეტის გამოყენების მასშტაბების გასაზრდელად საჭიროა ტრადიციული სატელეკომუნიკაციო ქსელების არსებობა, თუმცა მომავალში მობილურ აპარატებზე უფრო დიდ იმედს ამყარებენ.

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ აშშ-ში ბუნებრივად განაპირობა ტრადიციული საფოსტო მომსახურებაზე მოთხოვნილებების დაცემა. ასე რომ, ტრანსფორმაციები ხდება ამ დარგშიც. ცდილობენ განახლებული სერვისის ჩამოყალიბებას. ასევე ნიშანდობლივია, რომ ტრადიციული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა გზები, რკინიგზები, პორტები, აეროპორტები) არსებობა და ხარისხიანობა აუცილებელი პირობაა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და ელექტრონულ ბაზარზე ნავაჭრი საქონლის სამოძრაოდ. ასევე აუცილებელი პირობაა ადეკვატური საბაჟო მომსახურება. დიდ სირთულეს წარმოადგენს ელ.ენერგიის კრიზისი და ღირებულება. მსოფლიოში 1 მილიარდი ადამიანი ვერ იღებს ელ.ენერგიას მუდმივად, რაც კომპიუტერიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი გარემო პირობები: ტემპერატურა ან ტენიანობა. ყველა ეს ელემენტი განსაზღვრავს ინვესტიციების განთავსებას ამა თუ იმ რეგიონში. საერთო მონაცემებით საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში ჩადებული ინვესტიციები აშშ-ში ყოველწლიურად შეადგენს 200 მლნ დოლარს. ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და მხოლოდ ენერგეტიკისა და მშენებლობის დარგებს ჩამორჩება. საქართველოში კი ამ სექტორში განთავსებული ინვესტიციების რაოდენობა შეადგენს 50000 დოლარს.

კომპიუტერული სწავლება

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო რესურსების გამყარება სპეციალიტების სფეროში ინტეგრირებული უნდა იქნეს სასწავლო სისტემებთან. კომპიუტერიზაცია უმჯობესია დაიწყოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებიდან და შემდგომში გატარდეს საშუალო და დაწყებითი სკოლების დონეზე. სწავლება სასურველია მიმდინარეობდეს ადრეული ასაკიდან. მცოდნე ინსტრუქტორების ბაზის შესაქმნელად სასწავლებლებმა უნდა ჩამოაყალიბონ სპეციალური ტრეინინგი ყველა საგნის მასწავლებელთათვის. თბილისის ფარგლებში დაფიქსირდა ერთი ასეთი სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობარი"(2).

აშშ-ში კომპიუტერული სწავლება აღიქმება უწყვეტ პროცესად. ჯერ მარტო 2000 წელს ამ სფერომ 125 მლნ დოლარი შემოსავალი მიიღო. კომპანიები დაქირავებულ სპეციალისტებს მუდმივად წვრთნიან და აწოდებენ დამატებით განათლებას. დღესდღეობით არსებობს 75 ბიზნეს სკოლა. ამერიკული მენეჯმენტის ასოციაცია გვთავაზობს 200 კომპიუტერულ კურსს. სწავლება მიმდინარეობს როგორც უნივერსიტეტებში, ასევე საკუთარ ბინებში ქსელური კავშირის გამოყენებით. კადრების შერჩევისას კომპანიები ითვალისწინებენ კომუნიკაციურ უნარჩვევებს, კვლევისა და ანალიზის, პარტნიორობის უნარს. აღსანიშნავია რომ, 11 სექტემბრის პოლიტიკური მოვლენების მიუხედავად, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი დაინტერესდა კომპიუტერული განათლების საკითხით.

ბუნებრივია მუდმივი ცვლილებები ამ სფეროშიც. აშშ-ში შეიქმნა პროგრამები MYCIN, DENDRAL, XCON, ეს პროგრამები ელემენტარული ოპერაციების ცოდნით ნებისმიერი სამენეჯერო საქმის შესრულების საშუალებას იძლევა. ამდენად კომპანიები ამ პროგრამების კურსდამთავრებულების სახით იძენენ იაფ მუშახელს, რომლებიც თავის მხრივ დიდ კონკურენციას უწევენ უმაღლესდამთავრებულთ.

კომპიუტერული სწავლების სფეროში საქართველო 4 ეტაპოვან სკალაზე მეორე საფეხურს უახლოვდება. (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ინტელ-ის(3) და სხვა კომპიუტერული კურსების მაგალითზე) სადაც კომპიუტერული ინფრასტრუქტურა უნივერსტეტებში და სკოლებში მცირე რაოდენობითაა განთავსებული, უმეტესად არაა ჩართული ქსელში, ტრეინინგის კურსები კი შეზღუდული რაოდენობითაა.

კომპიუტერიზებული საზოგადოება

საინფორმაციო ერაში საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები ძირეულ გავლენას ახდენს ადამიანის პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე. იცვლება სოციალური ურთიერთობები. სამუშაო არის ადამიანის ცხო-

ვრების მთავარი კომპონენტი; აშშ-ში კვირაში მუშაობენ 30-60 სთ და აქედან გამომდინარე სამუშაოს გამოცდილება ცხოვრების სხვა ასპექტზეც გავლენას ახდენს (მეგობრების წრე). კომპიუტერიზაცია ყველაზე აშკარად შეეხო სამსახურეობრივ სფეროს, ორგანიზაციების კომპიუტერიზაციამ გამოიწვია „ვირტუალური ოფისის" შექმნა. სოციალურმა კვლევამ აშშ-ში აჩვენა, რომ ელ. ფოსტის გამოყენება მნიშვნელოვანი უპირატესობაა. (იგნორირებულია ჩაცმულობა, თვალის კონტაქტი, ჟესტიკულაცია, სუნი, ხმა, სიცილი, ინტონაცია). საინფორმაციო ერაში შესაძლოა შეიცვალოს ქალსა და მამაკაცს შორის ინტერაქტივის ტიპი. იერარქიული საფეხურები ახლოვდება და ელ. ფოსტის გამოყენება საუკეთესო საშუალებაა ბიუროკრატიული ეტაპების გადასალახად. სამუშაოს კომპიუტერიზაციას მოჰყვება საზოგადოებრივი წინააღმდეგობრიობა. ჩნდება კითხვები:

1. აუმჯობესებს თუ არა კომპიუტერიზებული ორგანიზაცია პროდუქტიულობას.

2. ზღუდავს თუ არა პიროვნულ თავისუფლებას.

3. ელ. ფოსტის ფართო გამოყენება წარმოქმნის თუ არა ცალკეულ საზოგადოებრივ ჯგუფებს და აქვეითებს თუ არა ინტიმურ ურთიერთობას.

4. გარდაქმნის თუ არა სამუშაო ჩვევებს.

5. რა ხარისხისაა რისკ ფაქტორი ჯანმრთელობისათვის კომპიუტერული სისტემების გამოყენებისას.

საზოგადოების წევრები მით უფრო ფართოდ იყენებენ ინტერნეტს, რაც უფრო მეტად შეეფერება იგი მათ ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ამ მხრივ აშშ-ს საქართველოც არ ჩამოუვარდება. აქ 1475 დომეინი (ინტერნეტ გვერდია) დარეგისტრირებულია სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით. (სამართალი –amnesty.ge, advocates.ge, დაზღვევა aldagi.ge, წიგნები amazon.com.ge, სამთავრობო კამპანია anticoruption.ge, ეროვნული საკითხები abkhazia.ge, ფინანსები absolutebank.ge, ტელევიზია rustavi2.ge, aieti.ge, მედიცინა aversi.com.ge, ტურიზმი argotour.com.ge, bakuriani.ge, რელიგია bible.ge, კულტურა culturalheritage.ge, ელექტრონული მარკეტი geobusiness.ge, geomarket.ge, გართობა casino777.ge, ეროტიკა aphrodite.ge;) რაც შეეხება Chat-room-ებს მათი დანიშნულება რადიკალურად განსხვავდება ამ ორ ქვეყანას შორის. აშშ-ში ძირითადად იყენებენ მას კომუნიკაციის დასამყარებლად, საქართველოში კი გასართობად. რუსეთში აღინიშნება დაავადებები კომპიუტერული თამაშებით გატაცებულ პირებში. მათ გაუჩნდათ ილუზია, რომ კომპიუტერული რობოტების მსგავსად აქვთ აღდგენითი უნარი. ეს კი უამრავი უბედური შემთხვევის, ავტო კატასტროფის მიზეზი გახდა.

კომპიუტერული მომსახურება მით უფრო ეფექტურია, როცა ის მშობლიურ ენაზეა ინგლისური ენის დომინირება ინტერნეტში სერიოზულ დაბრკოლებად იქცა სხვა ენებისთვის. სიტყვა ინტერნეტი პირველად გამოყენებული იქნა 1994 წელს და 1998 წელს შევიდა ლექსიკონებში. რუსეთში ვებსტერის ლექსიკონის გამომცემელმა ჯონ აირსმა ამ სიტყვას უწოდა XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა. „ინტერნეტმა ყველაზე მოკლე დროში ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარებაზე"-ამბობს იგი. შეიქმნა ენა weblish რომელიც დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთებში, წიგნებში და რეკლამებში გვხვდება.

<u>ელექტრონული ეკონომიკა და კომპიუტერიზებული მთავრობა</u>

დღესდღეობით აშშ-ში ბიზნესების უმრავლესობა იყენებს ინტერნეტ გვერდებს ინფორმაციის განსათავსებლად. ამ გზით ყიდვა-გაყიდვის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება. ორივე ტიპის ბიზნესმენთათვის (დელეგატორს- რომლებიც თავის ბიზნესს პროფესიონალებს აბარებს საწარმოებლად და ვალიდატორს- რომლებიც თავისით მართავენ ბიზნესს) ქსელში განთავსებულია ბიზნეს კონსულტანტთა რჩევა-დარიგებები. (Napta.org; InvestorTree.com; fpanet.org) დღესდღეობით მულტი-ეროვნული კორპორაციების 35% ბიზნესს აწარმოებს ელ.კავშირით.

ორი ტიპის ელექტრონულ ბიზნესს შორის, B2C ბიზნესი მომხმარებლისათვის და B2B ბიზნესი მწარმოებლისათვის, პირველი ბიზნესს აწარმოებს საცალო ვაჭრობით. მომხმარებელს ინტერნეტით უზრუნველყოფს პროდუქციის დიდი არჩევნით, ზრდის გასაღების ბაზარს, რაც იწვევს ფასების შემცირებას ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, მეორე კი ინტერნეტის საშუალებით აწარმოებს ბიზნესგარიგებებს დაბალ ფასებში, ანგარიშებს და საგადასახადო პროცესებს აწარმოებს სწრაფად და ხარისხიანად. ეს პრაქტიკა კი იწვევს ბიზნესის ახალი მოდელების შექმნას, გასაღების ბაზრის რადიკალური რესტრუქტურიზაციით.

ადგილობრივმა პოლიტიკამ შეიძლება დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს ელექტრონულ ეკონომიკაზე. დადებითი გავლენა გულისხმობს ინდივიდების ან ორგანოების ინვესტიციების მოზიდვას, ოპტიმალური საბაჟო და საგადასახადო ტარიფების დაწესებას კომპიუტერულ ტექნოლოგიაზე და ელექტრონულ ბაზარზე შეძენილ საქონელზე. გასათვალისწინებელია აგრეთვე უამრავი ფაქტორი და მთლიანად ბიზნეს-ეკონომიკური გარემო (შექმნილი პოლიტიკური რისკი, უცხოური ინვესტიციები, ადგილობრივი ვალუტის სტატუსი, კრედიტ ბარათების გამოყენება, მეწარმული კულტურა).

მთავრობას ეძლევა საშუალება ინტერნეტში განათავსოს ინფორმაცია და ამით სამთავრობო პროცესები შეძლებისდაგვარად გამჭირვალე გახადოს საზოგადოებისათვის. ასევე სასურველია მთავრობის ინიციატივა საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში ინვესტიციების განთავსებაში და მისი ნოვატორული როლი კომპიუტერიზაციის პროცესში.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. A ტიპის კომპიუტერი გათვალისწინებულია ადმინისტრატორთათვის, ხოლო B ტიპისა მომხამრებლისთვის.

2. Intel – თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული კომპიუტერული კურსები.

3. სკოლა-ლიცეუმი „მნიგნობარი" მდებარეობს თბილისში, აღმაშენებლის გამზ №138.

4. Readiness for the Networked World. Information Technologies Group, Center for International Development at Harvard University, 1998.

5. Computerization and Controversy, Edited by Charles Dunlop and Rob Kling, Boston Academic Press, 1991.

6. Internet (Computer Network), Fidelman Miles, Chicago, Ill, American Library Association, 1997.

7. Information Technologies and Conduct of Research.National Academy of Sciences,1989.

8. Computers – Social Aspects, by George Gerbner, New York, Oxford University Press, 1989.

9. 21-st Century management, New York, Atlantic Monthly Press, 1992.

10. Computer Industry Law and Legislation, by Fisher Franklin, Cambridge, MITPress, 1983.

11. Computer and Civilization, National Academy Press, 1991.

12. Silicon Valley Executive Publishing. Fall, 2001.

ნანა ციხისთავი
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური
უნივერსიტეტის დოცენტი

პროტესტანტიზმი და პროტესტანტული სექტები ამერიკის შეერთებულ შტატებში XIXს-ში

უშუალოდ საკითხის ჩამოყალიბებამდე ხაზგასმულია ის გარემოებები, რაც დაკავშირებული იყო აშშ-ის ისტორიული განვითარების გეზის ფორმირებასთან XIX საუკუნეში.

აშშ, როგორც ვიცით, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა 1776 წელს ინგლისისაგან დამოუკიდებლობის მიღწევის შედეგად ყოფილი კოლონიიდან, რომელიც ჩრდ. ამერიკაში მდებარეობდა. შინაარსის მიხედვით ეს ომი კოლონისტების მხრიდან მეტროპოლიის წინააღმდეგ იყო - დემოკრატიული რევოლუცია, რადგან მისი მოთავე იყო ჩრდ. შტატების ბურჟუაზია და კოლონისტები, რომლებიც თავისუფალ მეწარმეობას, ვაჭრობასა და აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობის განვითარებას მოითხოვდნენ. ეს რევოლუცია კოლონისტების გამარჯვებით დასრულდა. დამყარდა დემოკრატიული წყობა, რომელმაც ქვეყანას საშუალება მისცა სწრაფად განვითარებულიყო კაპიტალისტური გზით, რამაც ყველა ეროვნებისა და რჯულის ადამიანს გაუღო კარი, რათა დაფუძნებულიყვნენ ახალ სოციუმში და ჩამოეყალიბებინათ ყველა ქვეყნებისაგან განსხვავებული საზოგადოება. ეს იყო პრეცედენტი, რომლის ანალოგი არ არსებობდა მთელს პლანეტაზე. ჯეფერსონის მიერ დაწერილი და 1776 წლის 4 ივლისს მიღებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" იუწყებოდა ახალი ერის დაბადების შესახებ, მაგრამ ამავე დროს, აყალიბებდა ადამიანთა თავისუფლების ფილოსოფიას, რომელიც მამოძრავებელ ძალად იქცა მთელი მსოფლიოსათვის. „ყველა ადამიანი თავისუფალი და ღირსებით და უფლებებით თანასწორი იბადება. ისინი გონებითა და სინდისით არიან დაჯილდოვებულნი და ერთმანეთს ძმურად უნდა მოექცნენ" (1).

ადამიანებმა დაიწყეს პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლებების, სამოქალაქო და კანონით გარანტირებული, ყოველდღიურ რეალობად გადაქცევის ეტაპობრივი ხანგრძლივი პროცესი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამავე დროს აშშ-ში შენარჩუნდა მონობა, რომელიც პლანტატორების მიერ იყო გამოყენებული სამხრეთის პლანტატორულ მეურნეობაში იმისათვის, რათა დაეჩქარებინათ ზანგი მოსახლეობის იძულებითი შრომის შედეგად პირველდაწყებითი კაპიტალის დაგროვება (ზანგი მოსახლეობა შემოჰყავდათ

მონათვაჭრობის შედეგად აფრიკის კონტინენტიდან). აი, ის წინააღმდეგობრივი ორი ტენდენცია - კაპიტალისტური განვითარების თავისუფლება და ზანგი მოსახლეობის იძულებითი შრომით ექსპლოატაცია - შეადგენენ არსს აშშ-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისა 1800-1865 წლებში, რაც გადაიზარდა სამოქალაქო ომში 1861-1865 წლებში.

რაც შეეხება ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას აშშ-ისა, XIX ს-ში მისი ისტორია იყო პერიოდი სახელმწიფოებრივი ძლიერების ზრდისა და XIXს-ის ბოლოსათვის სწორედ ეკონომიკური ცენტრის გადანაცვლება ევროპიდან სწორედ ჩრდ. ამერიკაში განხორციელდა.

ახალი ამერიკული რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამახასიათებელი ნიშანი იყო პიროვნულ თავისუფლებაზე განსაკუთრებული ზრუნვა. ამერიკელებმა, რომელთა უმრავლესობა წარსულში პოლიტიკურად და რელიგიურად შევიწროებულნი იყვნენ, გადაწყვიტეს ახალ სამყაროში თავისუფლების მოპოვება. კონსტიტუციის შემდგენლები, როდესაც ძალაუფლებას ანიჭებდნენ ფედერალურ მთავრობას, დიდი ტაქტით ეკიდებოდნენ პიროვნების უფლების დაცვას, ეროვნული და შტატების მთავრობების უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. ამის შედეგია ის, რომ ამერიკელებს აქვთ თავისუფლად გადანაცვლების, სამუშაოს, რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებების არჩევის უფლება და უფლება, მიმართონ სასამართლოებს სამართლიანობისა და დაცვისათვის, როდესაც, მათი აზრით, ეს უფლებები ილახება.

აშშ-ის 1791 წლის კონსტიტუციის დამატებაში (შესწორებაში) ვკითხულობთ „კონგრესმა არ უნდა მიიღოს არც ერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას, ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას, რომელიც აღკვეთს სიტყვისა ან პრესის თავისუფლებას; ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას პეტიციით მიმართონ მთავრობას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები". (რატიფიცირებულია 1791წ. დეკემბერში).

აქვე გვინდა მოვიტანოთ საერთაშორისო სამართლით გარანტირებული სინდისის თავისუფლების დეფინიცია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი №18), საერთაშორისო პაქტი მოქალაქეობისა და პოლიტიკურ უფლებებზე (მუხლი №18), სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები აცხადებენ ყოველი ადამიანის უფლებას აზრის, სინდისის, რელიგიის და მრწამსის თავისუფლების შესახებ. რელიგიის თავისუფლება მათ შორის განისაზღვრება, როგორც თავისუფლება, აირჩიო ნებისმიერი ტიპის რელიგია და იყო მისი მიმდევარი ერთპიროვნულად ან სხვა ადამიანებთან ერთად, საზოგადოებრივი ან კერძო წესით, ემსახურო კულტს, შეასრულო რელიგიური წესები. მრწამსის თავისუფლება - ეს არის ყოველი ადამიანის კერძო არჩევანი ჰქო-

ნდეს ნებისმიერი ტიპის მრწამსი, ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე მისდიოს მას და თავისუფლად გამოხატოს იგი. სინდისის თავისუფლება - ეს გახლავთ რელიგიის თავისუფლება. გაეროს წესდება ავალდებულებს გაეროს წევრებს, რათა ხელი შეუწყონ საყოველთაო პატივისცემას და ადამიანის უფლებათა დაცვას და ძირითად თავისუფლებებს ყველასათვის თანაბრად განურჩევლად რელიგიისა (მუხლი 55, 56). თანახმად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა, ყველა ადამიანი თანაბარია კანონის წინაშე და აქვს უფლება განსხვავების გარეშე კანონის მიერ თანაბარი დაცვისა ნებისმიერი დისკრიმინაციისაგან (მუხლი №7). ყოველი მონაწილე სახელმწიფო პაქტში მოქალაქეობის და პოლიტიკური უფლებების შესახებ საკუთარ თავზე იღებს, დაიცვას მის ტერიტორიულ საზღვრებში და მის იურისდიქციაში მოქცეული ადამიანების უფლებები რელიგიასთან დაკავშირებით, მათი პოლიტიკური ან სხვა მრწამსი (მუხლი №2), ე.ი. მიუხედავად მათი რელიგიური რწმენისა თუ ურწმუნოებისა, მიუხედავად იმისა, რომელ რელიგიას მისდევენ და აღიარებენ.

დისკრიმინაცია დაუშვებელია ყველა სახელმწიფოს, დაწესებულების, ჯგუფის, ან ცალკეული პირების მხრიდან (მუხლი №2). ყველა სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ეფექტური ზომები დისკრიმინაციის თავიდან აცილების ან ლიკვიდაციის შესახებ რელიგიის, მრწამსის, ადამიანის უფლებათა განხორციელებისა და რეალიზაციის (ყველა სფეროში სამოქალაქო, სოციალური და კულტურული ცხოვრებისა) საფუძველზე (მუხლი №4). ადამიანთა დისკრიმინაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განიხილება, როგორც ადამიანის ღირსების, პიროვნების შელახვა, გაეროს წესდების პრინციპების უარყოფა და განიხილება, როგორც წინააღმდეგობა მეგობრული და მშვიდობიან ურთიერთობათა დამყარებისათვის სახელმწიფოთა შორის (მუხლი №3).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ იყო აშშ-ში ამგვარი რელიგიური სიჭრელე და საზოგადოების საოცარი რელიგიურობა. ამ პროცესის უფრო სრული წარმოდგენისა და აღქმისათვის გავიცნოთ, ზოგადად, ადამიანისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხი.

XIX ს-ის დასაწყისში ქრისტიანობის პროტესტანტული მიმართულება წარმოადგენდა ჭრელ და მრავალმხრივ სურათს. შემდგომ პერიოდში ეს სიჭრელე დიდი დოზით გადაიზარდა ძირეულ განაყოფებად წარმოდგენილი სარწმუნოებისა (ლუთერანობა, კალვინიზმი და ანგლიკანობა); ახალი დენომინაციების გაჩენის პროცესში, რომელიც შემდეგნაირად სახელდება - ადვენტისტების, „ხსნის არმიის", „ქრისტიანთა მეცნიერების", „იეღოვას მოწმეების" - სექტად.

შენარჩუნდა და შემდგომ განვითარდა ძველი პროტესტანტული სექტე-

ბის: ბაპტიზმი, მენონიტობა, მეთოდიზმი, კვაკერობა და სხვა. რამდენიმე მათგანი, განსაკუთრებით კი ბაპტიზმი XIX-XX ს-თა მიჯნაზე განიცდიდა დაშლასა და დაქუცმაცებას. ამ შემთხვევაში არ არსებობს საფუძველი, რომ ყველა ეს შვილეული რელიგიური ორგანიზაციები განიხილებოდეს როგორც „სექტანტური" „საეკლესიოსაგან" განსხვავებით, რადგანაც არ არსებობს პრინციპულად განსხვავებული ნიშნები ამ ორი ჯგუფის განსასხვავებლად, რაც სამართლიანად ჩათვლიდა ასეთ დაყოფას.

ამ პერიოდის პროტესტანტიზმში გრძელდება პროცესი განსხვავებისა და დაყოფისა. გაჩნდა გაერთიანებები, რომლებიც ებრძოდნენ ერთმანეთს, ამასთან დაპირისპირების მიზეზი ყველაზე ხშირად იყო საკითხი „ლიბერალიზმის" ხარისხის თაობაზე, რომელიც შეიძლება დავუშვათ ძირითადი ქრისტიანული დოგმების განხილვისას. 1891 წელს დაარსდა „საერთაშორისო კონგრეგაციონალისტთა კავშირი", რომელსაც ჰქონდა მხოლოდ საკონსულტაციო ორგანოს მნიშვნელობა. რეფორმატორულმა და პრესვიტერიანულმა ეკლესიებმა 1875 წელს შექმნეს „რეფორმატორული ეკლესიების კავშირი მსოფლიოში", რომლებიც ემხრობოდნენ „პრესვიტერიანულ სტრუქტურას", რომელშიც შევიდა ბევრი ქვეყნის ეკლესია.

ბაპტიზმმა XIXს-ში მიიღო ისეთი ფართო გავრცელება და გახდა ისეთი ძლიერი რელიგიური ორგანიზაცია, რომ ტერმინი „სექტა" მასთან მიმართებაში საერთოდ არ უნდა გამოვიყენოთ. განსაკუთრებით იგი გავრცელდა აშშ-ში, რასაც ადასტურებს ბაპტისტური ორგანიზაციების მომრავლება ამ პერიოდში. XIX ს-ის დასაწყისიდან 1890 წლამდე ბაპტისტების რაოდენობა აშშ-ში გაიზარდა 56345-დან 3717969-მდე, ე.ი. თითქმის 65-ჯერ; ამ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობა გაიზარდა დაახლოებით 16-ჯერ. ბაპტიზმის წარმატება დაკავშირებული იყო, ყველაზე მეტად, დიდ დაფინანსებასთან ამერიკელი ბურჟუაზიის მხრიდან, ხსენებული პერიოდის კაპიტალისტები დიდ თანხებს დებდნენ მისიონერული ორგანიზაციების განკარგულებაში, რომლებიც ბაპტიზმის გავრცელებით იყვნენ დაკავებული, ძალიან დიდად სწყალობდა ბაპტისტებს ჯონ როკფელერი. XXს-ის დასაწყისში აშშ-ში არსებობდა 17 მთავარი ბაპტისტური დენომინაცია. შემდგომში ეს რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ბაპტიზმიც, ისევე როგორც პროტესტანტული ეკლესიები, იყო დაყოფილი მრავალრიცხოვან დენომინაციად.

საყურადღებო ფაქტია, რომ XIXს-ის განმავლობაში ბაპტიზმი ისე გავრცელდა და დამკვიდრდა მთელს მსოფლიოში, რომლის მომხრეებიც იყვნენ გამოჩენილი მოღვაწეები და ფინანსისტები, რომ 1905 წელს, ლონდონში ჩატარდა ბაპტისტების პირველი მსოფლიო კონგრესი, რომელმაც სათავე დაუდო ბაპტისტების მსოფლიო კავშირს. ასევე საინტერესო უნდა იყოს ის ფა-

ქტი, რომ მთავარი როლი კონგრესის ხელმძღვანელობაში ითამაშა ინგლისელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ლოიდ-ჯორჯმა.

ძველი პროტესტანტული დენომინაციების ბაპტიზმთან ერთად თავისი მნიშვნელობა აღნიშნულ პერიოდში შეინარჩუნა, ასევე, მეთოდიზმმაც. იგი გავრცელებულია უმთავრესად აშშ-ში და ანგლო-საქსონურ ქვეყნებში. 1881 წელს მეთოდიზმმა შექმნა თავისი საერთაშორისო ორგანიზაცია - მსოფლიო მეთოდისტური საბჭო. აღნიშნულ პერიოდში ასევე განაგრძობდნენ არსებობას ძველი დენომინაციები, როგორიცაა - მენონიტობა, კვაკერობა, უნიატობა. მათთან ერთად XIXს-ში გაჩნდა ახალი რელიგიური დენომინაციები, რაც პროტესტანტიზმთან იყო დაკავშირებული.

ადვენტისტური სარწმუნოება გაცხადდა 1833 წელს, ამერიკელი ბაპტისტის - მილერის მიერ. მისი შინაარსი განისაზღვრებოდა იმავე წელს გამოსული წიგნით „დამოწმება წერილიდან და ისტორია ქრისტეს მეორე მოსვლაზე 1843 წლისთავის და მისი პირადი მმართველობა 1000 წლის მანძილზე". მეორე მოსვლა ქრისტესი უნდა შემდგარიყო, როგორც მილერმა გამოიანგარიშა, დანიელის ბიბლიური წიგნის მიხედვით, 1843 წლის 21 მარტიდან 1844 წლის 21 მარტამდე. ათი ათასობით ამერიკელი ფერმერი და ქალაქის ბურჟუაზია მილერთან ერთად ელოდებოდნენ მისი წინასწარმეტყველების ახდენას. როდესაც აღნიშნული ვადა გავიდა, მილერმა და მისმა გარემოცვამ დაიწყეს დაზუსტება, რომლის მიხედვითაც დრომ გადაიწია 22 ოქტომბრამდე. შემდგომში კი მოძრაობის ხელმძღვანელობამ უარი თქვა კონკრეტული თარიღის დაზუსტებაზე „მოსვლის დღესთან" დაკავშირებით, მხოლოდ იფარგლებოდნენ მტკიცებულებებით, რომ ყველაფერი მოხდებოდა ჩვენს უახლოეს დროში.

იდეურ-შინაარსობრივად ბაპტიზმი ძალიან ჰგავს ადვენტიზმს. გასაკვირი არცაა, რომ ადვენტიზმი არ გამოეყო ბაპტიზმს და თვით მილერი საკუთარ თავს თვლიდა ბაპტისტ პრესვიტერად და მქადაგებლად, ხოლო მისი მრევლი კი ინათლებოდა ბაპტისტური თემების შემადგენლობაში. ადვენტისტების წინასწარმეტყველების თვითდისკრედიტაციამ აიძულა ბაპტისტები გარიყულიყვნენ მათგან და გაერიცხათ ადვენისტები მათი გარემოცვიდან. 1845 წელს ადვენტისტური თემები ცალკე განაგრძნობენ არსებობას, ამასთან იგრძნობა უკვე დიდი განსხვავება რწმენის საკითხებში, რამაც განაპირობა სწრაფი რღვევა ახალი რელიგიური დენომინაციისა სხვადასხვა მიმართულებად. ძირითადად მრწამსი და კულტი ადვენტიზმისა მცირე დოზით განსხვავდება ბაპტისტურისაგან. ერთადერთი განსხვავება მათ შორის, არის შაბათის მიჩნევა წმინდა დღედ ნაცვლად კვირა დღისა. ეს ეკუთვნის ერთს, მაგრამ მთავარ განშტოებას ადვენტიზმისა - „მეშვიდე დღის ადვენტისტებს". დანარჩენი მრწამსი აღნიშნული პროტესტანტული მიმართულებისა მოიცავს პირველი

დღის ადვენტიზმს და ამ ნიშნით არ გამოყოფენ საკუთარ თავს სხვა ქრისტიანული დენომინაციებისაგან. თანდათანობით შეიქმნა ადვენტისტური თემების გაერთიანება კონტინენტების მასშტაბით, შემდეგ კი - გლობალური მასშტაბით, „მეშვიდე დღის ადვენტისტები" ქმნიან მსოფლიო მასშტაბის გენერალურ კონგრეგაციას.

1872 წელს აშშ-ში ადვენტიზმს გამოეყო ჯგუფი მორწმუნეებისა და ხელმძღვანელებისა, რომლებიც თავის თავს უწოდებდნენ „ბიბლიის მკვლევრებს". მისი მეთაური ჩ. რუსელი იწყებს აქტიური ქადაგებით მოღვაწეობას პრესაში და 1879 წელს გამოსცემს ჟურნალს „კოშკის საგუშაგო", რომლის შემდეგაც ახალი დენომინაციის დასახელება დაუკავშირდა აღნიშნული ჟურნალის დასახელებას და მიიღო შემდეგი სახელი: „ბიბლიური და ტრაქტატული საზოგადოება კოშკის საგუშაგოსი". მხოლოდ 1931 წლიდან უკვე XX საუკუნეში იგი იღებს დასახელებას, რომელიც ცნობილია უკვე დღევანდელ დღესაც - იეღოვას მოწმეები.

კათოლიციზმისაგან განსხვავებით პროტესტანტიზმი გაჩნდა, როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოების რელიგია. ამიტომ მას არ მოუწია პროცესმა ფეოდალური ურთიერთობიდან ბურჟუაზიულზე გადასვლის პროცესმა. XIX ს-ის II ნახევრამდე მისი სოციალური პოზიციები პრაქტიკულად რჩებოდა „მშვიდი". ის, რომ კაპიტალიზმი ვითარდებოდა და დაიმკვიდრა „ადგილი მზის ქვეშ", პროტესტანტული რელიგია ამას განიხილავდა, როგორც პროცესს, რომელიც თანხვედრილია ღვთის ნებასთან.

XIX ს-ის შუა ხანებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის პირობებში პროტესტანტული ეკლესიები აღმოჩნდნენ რიგი პრობლემების წინაშე. ანათემით აქ არაფერი არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მეტადრე, რომ ეს წესი საერთოდ ვერ თავსდებოდა პროტესტანტიზმის წესებში. საჭირო იყო, რომ ისინი შესულიყვნენ მუშათა მოძრაობის შუაგულში, რათა გადაეტანათ მათი მოძრაობა რევოლუციურიდან სხვა გზაზე, რაც არ იქნებოდა საშიში კაპიტალიზმისათვის. აქ უკვე საჭირო გახდა ახალი ფრაზეოლოგია სოციალური ქრისტიანობისა და მისი პრაქტიკული გადაბმა (მიბმა) სპეციალურად ჩამოყალიბებულ კავშირთან, პარტიებთან, საზოგადოებებთან.

აშშ-ში ეს მოძრაობა XIX ს-ში სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში ჩნდება. აღნიშნულ ხანაში კაპიტალიზმის განვითარებამ მიიღო მკვეთრი ხასიათი. ამასთან ამ მოვლენასთან ემატებოდა უდიდესი მასშტაბით კლასობრივი დაპირისპირებები და სოციალური ქრისტიანობაც მიიღო ბურჟუაზიამ, როგორც ამერიკული საზოგადოების სულიერი მოთხოვნა. მთავარი როლი აშშ-ში საეკლესიო ცხოვრებაში ეკუთვნოდა პროტესტანტულ ეკლესიებს, ამი-

ტომ სოციალურმა ქრისტიანობამ მიიღო კარგი ნიადაგი უპირველესად პროტესტანტებში.

უნიტარებმა, კონგრენაციონალისტებმა, ბაპტისტებმა და სხვებმა აშშ-ში დაიწყეს ქადაგება ქრისტიანული ეთიკისა, როგორც პანაცეისა ყველა სოციალური უბედობისაგან. ეკლესიებში იკითხებოდა საკვირაო ციკლები ლექციებისა თემაზე „მუშები და სამუშაოს მიმცემები", აქედან გამომდინარე ისინი არწმუნებდნენ ორივე მხარეს იმაში, რომ ევანგელისტური მცნებებისა და ძმობისა და სიყვარულის დაცვა არის ჭეშმარიტი საშუალება, რათა დავძლიოთ უმუშევრობა და კლასობრივი ბრძოლა. 1872 წელს ბოსტონში მკვიდრდება ქრისტიანული მუშათა კავშირი, რომელთაც პროტესტანტული ხელმძღვანელობის გარდა შეუერთდნენ ცალკეული კათოლოკური მოღვაწეები, „ძმობის ეთიკის" პროპაგანდის გარდა კავშირი მოღვაწეობდა პრაქტიკული სახითაც - ორგანიზება გაუკეთა ეკლესიებში ურთიერთდახმარების საზოგადოებას და ურთიერთდაზღვევისას.

აშშ-ში მარქსის მოძღვრების შეღწევასთან დაკავშირებით სოციალური ქრისტიანების იდეოლოგების წინაშე დადგა ამოცანა - დაპირისპირებოდნენ მეცნიერულ სოციალიზმს თავისი რეფორმატორული იდეებით, რომლებიც დაფუძნებული იყო ქრისტიანობაზე. ამ პირობებში დაიბადა და ჩამოყალიბდა სწავლება ე.წ. სოციალური ევანგელიზმისა, რომლის მკაფიო წარმომადგენელი იყო ბაპტისტი უ. რაუშენბუში. მისი ხელმძღვანელობით 1892 წელს შეიქმნა „ძმობა ღვთის მეფობისა", რომელმაც მიზნად დაისახა, რომ ხელი შეეწყო ღვთის სუფევისათვის დედამიწაზე. XXს-ის დასაწყისში სოციალური ევანგელიზმის იდეოლოგია, ჩამოყალიბებული „ძმობის" დოკუმენტებში და რაუშენბუშის ნაშრომებში, ოფიციალურად აღიარეს აშშ-ის პროტესტანტულმა დენომინაციებმა, უპირველესად - ბაპტისტებმა.

დემოკრატიული ფრაზეოლოგია, რომელსაც იყენებდნენ სოციალური ქრისტიანობის მქადაგებლები აშშ-ში, არ უშლიდა ხელს პროტესტანტულ, განსაკუთრებით კი ბაპტისტურ ეკლესიებს დაეწყოთ ე.წ. შტრაიკბრეხერული საქმიანობა მუშათა მოძრაობაში. გაფიცვების დროს ბაპტისტი მქადაგებლები, რომელთა შორისაც ძალიან გამოირჩეოდა თავისი მოღვაწეობით ვინმე ბ.სიდნეი, მოემართებოდნენ მთელი ქვეყნიდან ე.წ. „დაზიანებულ მონაკვეთში" და ფართო აგიტაციას ატარებდნენ, რომელიც უკავშირდებოდა მოძრაობის ლიდერების სახელის გატეხვას.

აშშ-ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთელ აღნიშნულ პერიოდში ერთ-ერთი მწვავე საკითხი იყო რასებს შორის ურთიერთობა, რომელიც უკავშირდებოდა მონობის პრობლემას, ხოლო მისი შეცვლის შემდეგ - რასობრივ სეგრეგაციას.

ბაპტისტური ეკლესიები იყოფოდნენ ამ საკითხში ორ ბანაკად: ერთნი გამოდიოდნენ და მხარს უჭერდნენ მონობის შენარჩუნებას ზანგებზე - მეორენი კი გამოდიოდნენ წინააღმდეგნი. ეს გაყოფა მიდიოდა იმავე გეოგრაფიული დაყოფით, როგორც ადრე - ჩრდილოეთი და სამხრეთი, რაც ხდებოდა სამოქალაქო ომის პირობებში საერთო პოლიტიკური გაყოფით. რელიგიური წარმოდგენები და დასკვნები გამოყენებული იყო, როგორც პოლიტიკური კონცეფციების გასამყარებელი საშუალება. ბიბლიის მეშვეობით ერთნაირი წარმატებით დგინდებოდა ღმერთის მიერ დაწესებული მონობის სამართლიანობა და მისი საწინააღმდეგო აზრიც.

ამერიკული პროტესტანტიზმი მთელი თავისი განშტოებებითურთ XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში იდგა კაპიტალისტური საზოგადოების ინტერესების დასაცავად, რომელსაც არანაირად არ უშლიდა ხელს სოციალურ-ქრისტიანული ფრაზეოლოგიის გამოყენება. პროტესტანტიზმი აშშ-ში გვესახება აღნიშნულ პერიოდში, როგორც ოფიციალური იდეოლოგია.

ამრიგად, პროტესტანტიზმის ჩასახვა და განვითარება საბოლოოდ უკავშირდება რეფორმაციას ინგლისში, რომელმაც თავისებური ხასიათი მიიღო. იგი დაიწყო მეფისა და პარლამენტის ინიციატივით 1530 წელს და თავდაპირველ მიზნად ჰქონდა დასახული ინგლისის ეკლესიის გამოსვლა რომის იურისდიქციიდან. მოვლენები, რომლებიც უკავშირდება ინგლისის რევოლუციას, კალვინისა და სექტანტური იდეების გავრცელებას, საბოლოოდ ძალზედ ნაკლებად ახდენდა გავლენას ანგლიკანურ ეკლესიაზე, რომელიც ასევე ეწინაღმდეგებოდა სხვა მიმართულების პროტესტანტებს, როგორც კათოლიციზმს. მართალია, XVII ს-ში ანგლიკანური ეკლესიის შემადგენლობაში გამოიყო 3 ძირითადი მიმართულება – მაღალი, დაბალი და განიერი, ფართო ეკლესიები. მაღალი არსით უფრო ორთოდოქსული მიმართულებაა, რომელიც ხაზს უსვამდა კავშირს სახელმწიფოსა და კათოლიკურ ტრადიციებთან. დაბალი, რომელიც ცნობდა ანგლიკანიზმს, როგორც არსებულს, არ გამოხატავდა მაინცა და მაინც გამოკვეთილ პოზიციას სხვა პროტესტანტული მიმართულებების მიმართ. ფართო ანუ განიერი ეკლესია გამოდიოდა შემრიგებლური როლით ანგლიკანიზმის ზემოთ აღნიშნულ ორ სახესხვაობას შორის.

ლუთერანობა, ცვინგლიანობა, კალვინიზმი და ანგლიკანობა არ არის მთელი სპექტრი პროტესტანტული სახესხვაობისა. მათ მიეკუთვნებათ დიდი რაოდენობით უფრო წვრილი და პატარა მიმდინარეობები, რომლებიც ატარებენ ორიგინალურ ხასიათს და ეფუძნებოდნენ ხსენებული მიმართულების დანამატის იდეებს.

როგორც წესი, სექტანტური მიმდინარეობანი ატარებენ უფრო რადიკალურ ხასიათს, ვიდრე პროტესტანტიზმის ორგანიზებული ფორმები. ეს დაკა-

ვშირებულია, ნაწილობრივ, მათი მომხრეების სოციალური შემადგენლობით, ნაწილობრივ კი დიდი თანმიმდევრულობით ეკლესიურობის (როგორც ასეთი) უარყოფისა, მოწოდებით, რათა გაატარონ რელიგიური მრწამსის (მთელი სისავსით) თავისუფლების პრინციპი. ამიტომ რეფორმატორებისათვის დამახასიათებელია წმინდა წერილისადმი აპელირება, რომელიც ხშირად ივსება მტკიცებულებით იმ შესაძლებლობის თაობაზე, რომ ყოველმა მორწმუნემ მიიღოს პიროვნული, შინაგანი თავისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი №1,თბ., 2000.
2. ამერიკის ისტორიის ესკიზები. თბ., 1999.
3. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. თბ., 1993.
4. ვ. თვალავაძე. ახალი ისტორია. ნაკვ. II, თბ., 1999.
5. გ. კილურაძე. ახალი ისტორია. I, თსუ, 1970.
6. ნარკვევები ამერიკის ხელისუფლების შესახებ. თბ., 1999.
7. Вейс Г.История цивилизации. М., 1999.
8. Всемирная история. Под ред. Г.Б. Поляка и проф. А.Н. Марковой, М., 2000.
9. Зарубежные страны. М., 1957.
10. История религии. СП, 1998.
11. Ковальский Ян. Папы и папство. М.,1991.
12. Крысько В.Г. Социальная психология. Схемы, М., 2001.
13. Крывелёв И.А, История религии. Т. II, М., 1976.
14. Новая история, 1640-1870. Под ред. А.Л. Нарочницкого, М., 1968.
15. Протестантизм. М., 1990 г.
16. Соединённые Штаты Америки. М., 1946.
17. Хачатурян В. История мировых цивилизаций. М., 1997.
18. Яковец Ю. В, История цивилизации. М., 1997.
19. The American People, N.Y., 1986.
20. James E. Reed, Ronnie Prevost, A History of Christian Education, 1993.
21. W. Wallbank, A.M. Taylor, N.M. Bailkey, Civilization, 1975.

ლალი ჯოხაძე
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

სამოქალაქო რელიგია რელიგიის ამერიკული ინტერპრეტაცია

თავისუფალი რელიგიის პრობლემას ამერიკაში არა ერთი მეცნიერული კვლევა მიეძღვნა. ზოგნი ვარაუდობენ რომ ამერიკელებისათვის ქრისტიანული რელიგია ითვლება მთავარ რწმენათ, ზოგისთვისაც სინაგოგა და ეკლესია ერთად ასახავს ამერიკული ცხოვრების სტილს. სულ ეხლახანს გახდა ნათელი, რომ ამერიკაში სხვა მრავალ რწმენასთან ერთად ჩამოყალიბდა კარგად ორგანიზებული რელიგიის ახალი განზომილება – სამოქალაქო რელიგია.

ჯერ კიდევ 1787 წლის დეკლარაციამ მოითხოვა რელიგიის თავისუფლების აუცილებლობა ახალი ამერიკული ნაციისათვის. ტომას ჯეფერსონმა ამ პერიოდში შეადგინა დანართი-დამატება რელიგიის თავისუფლებისათვის. ამ პერიოდისათვის ბევრმა ემიგრანტმა შეაფარა თავი ამერიკას, რომლებიც რელიგიურ დევნას გამოქცეოდნენ თავიანთი ქვეყნიდან. ბუნებრივია, ახალი ერის ფუძემდებლებს უნდა ექადაგად რელიგიის თავისუფლება სამართლებრივი გარანტიით. ახალი ეკლესია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს რელიგიის თავისუფლებას იწოდება სამოქალაქო რელიგიად.[1] აღნიშნული ტერმინი ეკუთვნის ჟან ჟაკ რუსოს, რომელიც "სოციალურ ტრაქტატებში" აღიარებს ცნობილ დოგმებს: ღმერთის არსებობას, ცოდვილთა დასჯას, იმქვეყნიურ ცხოვრებას, რელიგიის მიმართ მოთმინებას და კეთილმოქმედთა დაჯილდოვებას. ყველა დანარჩენი დოგმა და რელიგიის სხვა ფორმები მთავრობის კომპეტენციის მიღმა და შეიძლება გადაწყდეს პირადად მოქალაქეების მიერ. ასეთივე მსგავსი აზრები შეიძლება ამერიკელებთანაც მოინახოს. რელიგიის ახალი ფორმა ყველა რელიგიურ ფორმისაგან განსხვავდება, ის მოიცავს და აერთიანებს როგორც ქრისტიანულ ისევე ებრაულ ტრადიციებს და აგრეთვე იმ ახალს, რომელიც კონკრეტული სინამდვილით იბადება. ამერიკის რევოლუციის გარიჟრაჟზე წარმოშობილი სამოქალაქო რელიგია არის ახალი რელიგიური განზომილება ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მან შეისისხლხორცა მთელი რიგი პატარ-პატარა დადგენილი დოგმები და სიმბოლოები, რომელიც გამოხატავდა ამერიკელი ხალხის ვალდებულებას "შეასრულოს ღვთის ნება დედამიწაზე". აღნიშნული რელიგიის ძირითადი მიზანია მუდმივად ახსენებდეს ამერილელებს ერთხელ მიღებულ და შემუშავე-

ბულ მორალურ და ეთიკურ სტანდარტებს და მიუთითებდეს ამერიკის როლზე დღევანდელ გლობალურ სამყაროში.

სამოქალაქო რელიგიის ყოველი პუნქტის მიღმა დგას ბიბლიური პროტოტიპები: რჩეული ხალხი, აღთქმული მიწა, ახალი იერუსალიმი, მძიმე აღდგომა, გვემითი სიკვდილი. ამგვარად, სამოქალაქო რელიგია, რომელსაც ამერიკელები სრულიად ახალ და განსხვავებულ რელიგიად სახავენ, არც თუ ისე ახალია და მხოლოდ ამერიკული. თუმცა მას გააჩნია თავისი წმინდა საქმენი, წმინდა ადგილები და წმინდანები. მისი ძირითადი საზრუნავია, რომ ამერიკელები მუდმივ თანხმობაში იყვნენ უზენაეს ღვთაებასთან და ყველა ხალხისათვის გზის მაჩვენებლად გვევლინებოდნენ კეთილ საქმეებში. ასეთ წმინდანებად მიჩნეულია: ვაშინგტონი, ლინკოლნი, ჯეფერსონი, კენედი, რომელთა წმინდანობა მათ პოლიტიკურ საქმიანობას ემყარება. წარმოიშვა წმინდანობის ახალი ფენომენი, რომელიც განსაზღვრულია საზოგადო-პოლიტიკურ მსოფლმხედველობით.

რელიგიურმა თავისუფლებამ გააქრო კონფლიქტები მორწმუნეებსა და ურწმუნოებს შორის, არამედ შეამცირა სხვადასხვა რელიგიებს შორის შუღლი და უთანხმოება. მაშინ, როდესაც ევროპაში XVII საუკუნეში გამუდმებული გამანადგურებელი ბრძოლები მიმდინარეობდა პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის ამერიკაში შეინიშნებოდა ტოლერანტული დამოკიდებულება ყველა რელიგიისადმი.

წმინდანობის ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაგება ახალი არ არის ჩვენთვის, ქართველებისთვის. ჯერ კიდევ XI საუკუნეში დავით აღმაშენებლის ყველა რელიგიური რეფორმა ეხებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. თუმცა ქართული ტოლერანტიზმი კარდინალურად განსხვავდება სამოქალაქო რელიგიისაგან. დავითის მიმართვა თავისი ხალხისადმი: "მე ვუანდერძებ ჩემს ტახტს და ჩემს ხალხს ჯვარს პატიოსანს და დაე ფარავდეს ის ჩემს ხალხს ამ მიწაზე, გამოხატავს მის ერთგულებას ქრისტიანული რწმენის მიმართ და დაფუძვნებულია წმინდა ჰუმანურ ეთიკურ პრინციპებზე.

სამოქალაქო რელიგიის მქადაგებლებს თავიანთ წმინდანებთან ერთად გააჩნდათ თავიანთი საკრალური სიმბოლიკა-სახელმწოფო დროშა და ნაციონალური ძეგლები.ამგვარად საზოგადოებას,რომელსაც აქვს ასეთი დიდი არჩევანი რელიგიური კულტებისა და ასეთი მობილურია,მოკლებულია სოციალურ დაწოლას არარელიგიურად განწყობილ მოსახლეობაზე.ამერიკის სოციალური ცხოვრება ეკლესიის გარეშეც და კულტების გარეშეც ვითარდებოდა.ცნობილი ფილოსოფოსი ალფრედ უაითგჰედი მიიჩნევს რელიგიას რო-

გორც ადამიანის სიმარტივისგან წარმოქმნილ ფორმას. ამერიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ფილოსოფოსი ტომას პეინი ასე განმარტავს:"ჩემი ეკლესია ჩემი საკუთარი გონებაა."ასევე ევროპის განმანათლებელთა გავლენით ამერიკის შეერთებული შტატების ფეძემდებელნი ტომას ჯეფერსონი,ბენიამინ ფრენკლინი და ჯორჯ ვაშინგტონი ქადაგებენ გონების რელიგიას, რომელსაც ტრადიციულ ქრისტიანულ რელიგიურ რწმენასთან ცოტა რამ ჰქონდა საერთო. ასე მაგალითად, 19-ე საუკუნის ლიტერატურული აყვავების ხანაში" „ახალი ინგლისის" დიდი ტრადიციონალისტები რალფ უოლდო ემერსონი, ჰენრი დევიდ თორო და თეოდორ პარკერი მოითხოვდნენ,რომ ხალხს მიეტოვებინათ „ისტორიული ქრისტიანობა" და გაეაზრებინათ სიცოცხლის არსი სხვა პოზიციიდან,არა ორგანიზებული ჩარჩოების პოზიციიდან..

რელიგიურ ერად ამერიკელთა ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო იმ რელიგიურად კეთილგანწყობილმა კლიმატმა,რომელიც სუფევდა იმ დროს ქვეყანაში.მთავრობისა და ეკლესიის განცალკევება ხაზს უსვამდა ორ სფეროს განსხვავებას:საეროს და სასულიერო სფეროებს.ეს განსხვავება კი წმინდა პრაქტიკული მიზნებით იყო ნაკარნახევი.ახალი ინგლისი 13 კოლონიდან ცხრაში კანონით დაფუძნებული ის რელიგია ბატონობდა, რომელიც მოცემული კოლონიისთვის იყო ძირითადი და ოფიციალური რწმენა. ეს გაბატონებული ეკლესიები იძულებული იყვნენ რაღაც დათმობებზე წასულიყვნენ ერთმანეთის მიმართ. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო რომ პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები განიცდიდნენ განმანათლებელთა დიდ გავლენას და სინდისის თავისუფლების მომხრენი იყვნენ.

ამგვარად, სამოქალაქო რელიგია არ არის ქრისტიანობის სუროგატი — შემცვლელი. რელიგიური თავისუფლების დოქტრინა უფრო ფართოა და სცილდება პირადი ღვთაების კულტს. ყოველი ადამიანი, მისდევს რა თავის რელიგიურ ტრადიციებს, იგი გარკვეულ ხარისხში სამოქალაქო რელიგიაზეა დამოკიდებული. თუმცა რელიგია ვერ აკონტროლებს სახელმწიფოს, მაგრამ არც კონტროლს იღებს მისგან. ეროვნული გმირი იქნება ეს უმაღლესი მსაჯული თუ პრეზიდენტი, მიუხედავათ თავისი პირადი რელიგიური რწმენისა, მოქმედებს სამოქალაქო რელიგიის რუბრიკით, სანამ ის ამ პოსტზეა.

ზაზა აბაშიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

მართლმადიდებელი ეკლესია ამერიკაში და მისი ავტოკეფალია

დღევანდელი შეერთებული შტატები წარმოდგენილია მსოფლიოში არსებული პრაქტიკულად ყველა რელიგიით და რელიგიური მიმდინარეობით. მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც აღიარებენ ქრისტიანობას. ქრისტიანობაც ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი – ყველა 17 ქრისტიანული დენომინაციით – მართლმადიდებლობით, რომაული კათოლიციზმით და 15 ძირითადი პროტესტანტული მიმდინარეობით – ლუთერანიზმით, ანგლიკანიზმით, კალვინიზმით, ანაბაპტიზმით, ბაპტიზმით, ადვენტიზმით, ორმოცდაათინელობით, მეთოდიზმით, კონგრეგაციონალიზმით და აქედან წამოსული უამრავი სექტით თუ ე.წ. ახალი რელიგიური მიმდინარეობით.

მართმადიდებლობის გავრცელება ჩრდილოეთ ამერიკაში დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოს და დაკავშირებულია რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიის მისიონერების მოღვაწეობასთან. 1793 წელს რუსეთის ეკლესიის სინოდმა გაგზავნა ალიასკაზე პირველი მისია 8 ვალაამელი ბერის შემადგენლობით. სწორედ მათ დაარსეს პირველი მართლმადიდებელი ეკლესია ამერიკის კონტინენტზე. მათი ქადაგების შედეგად უკვე პირველი 2 წლის განმავლობაში ქრისტიანობაზე მოიქცა და მოინათლა 12 ათასი ადგილობრივი წარმართი – ძირითადად ალთუთები. მართლმადიდებელთა ცენტრად იქცა დაბა კადიაკი. მალე რუსეთის ეკლესიის სინოდმა დანიშნა იქ კადიაკის სავიკარიო ეპისკოპოსი, რომელიც ექვემდებარებოდა ირკუტსკის ეპარქიის მმართველს. 1811 წელს საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა და ყველა საეკლესიო საქმე 1840 წლამდე წყდებოდა ირკუტცკის ეპარქიაში. 1840 წელს კათედრა აღდგა სახელწოდებით კამჩატკის, კურილიის და ალეუთიის საეპისკოპოსო(1). 1870 წელს, მას შემდეგ, რაც ალიასკა 1867 წელს რუსეთმა მიჰყიდა ამერიკას, შეიქმნა ალეუთისა და ალასკის ეპარქია, რომლის კათედრა იმყოფებოდა კ. სითხაზე(2) შემდეგ სანფრანცისკოში. 1900 წელს ეპარქიას ეწოდა ალეუთისა და ჩრდილოამერიკის ეპარქია და საეპარქიო ცენტრი გადატანილ იქნა ნიუ-იორკში. 1907 წელს მთავარ ეპისკოპოს ტიხონის თავჯდომარეობით გაიმართა პირველი საეპარქიო კრება, რომელმაც დაადგინა „ეწოდოს არსებულ საეკლესიო ორგანიზაციას რუსული მართლმადიდებელი ბერძნულ-კათოლიკე ეკლესია ჩრდილოეთ ამერიკაში“(3).

1794 წლიდან 1921 წლამდე ამერიკაში მცხოვრები ყველა მართლმადიდებელი შედიოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში. ესენი იყვნენ ძირითადად: უკრაინელები, ბერძნები, ბულგარელები, ალბანელები, რუმინელები, სერბები. სერბების, ბერძნების, ანტიოქიის ბერძნული საპატრიარქოს ეპისკოპოსები აქ ინიშნებოდნენ რუსეთის ეკლესიის სინოდის თანხმობითა და ნებართვით.

მდგომარეობა შეიცვალა რუსეთში 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი ბოლშევიკური რევოლუციის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ფაქტიურად გაწყდა ურთიერთობა რუსეთის ცენტრალურ საეკლესიო ხელისუფლებასა და ამერიკაში რუსული ეკლესიის ეპარქიას შორის. ამერიკაში მცხოვრებ მართლმადიდებელ რუს მორწმუნეთა ნაწილი ე.წ. „ობნოვლენცებთან" გადავიდა, ნაწილი შევიდა ე.წ. „საზღვარგარეთული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის" იურისდიქციაში, ნაწილი დარჩა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, მაგრამ ფაქტიურად აღარავითარი კონტაქტი აღარ ჰქონდა მოსკოვის ცენტრალურ საეკლესიო ხელისუფლებასთან, რომელიც ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში იდევნებოდა.

1921 წელს ამერიკაში შეიქმნა მსოფლიო საპატრიარქოს ბერძნული სამთავარეპისკოპოსო, რომელმაც გააერთიანა თითქმის მთელი ბერძნული მრევლი. კონსტანტინეპოლის ამ ნაბიჯს მოსკოვის საპატრიარქო არაკანონიერად თვლიდა და თვლის(4). მოგვიანებით ჩრდილოეთ ამერიკაში შეიქმნა რამდენიმე ეროვნული დიოცეზი და ეპარქია – ანტიოქიის სამთავარეპისკოპოსო, ბულგარეთის, ალბანეთის, რუმინეთის, სერბეთის ეკლესიების საეპისკოპოსოები, რომლებიც, ცხადია, აღარ შედიოდნენ რუსეთის ეკლესიის ჩრდილოამერიკული ეპარქიის იურისდიქციაში.

1933 წელს რუსეთის ეკლესიის სინოდმა შექმნა მოსკოვის საპატრიარქოს საეგზარქოსო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში. ეგზარქოსი ატარებდა ალეუთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მთავარეპისკოპოსის ტიტულს. სწორედ ამ საეგზარქოსომ მიიღო თვითმმართველობითი ე.ი. ავტოკეფალური უფლებები მოსკოვის საპატრიარქოსაგან 1970 წელს.

XX საუკუნის 60–იან წლებამდე მოსკოვის საპატრიარქოს ურთიერთობა ამერიკის რუსულ სამიტროპოლიტოსთან საკმაოდ რთული იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1933 წელს მოსკოვის საპატრიარქომ შექმნა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის საეგზარქოსო, ამერიკაში მყოფი რუსი მღვდელთმთავრები და სხვა სასულიერო პირები ფაქტიურ „რასკოლში" იმყოფებოდნენ მოსკოვის საპატრიარქოსთან. მხოლოდ 1969 წელს დაიწყო ამერიკის რუსული სამიტროპოლიტოს ოფიციალური კონტაქტები დედა–ეკლესიასთან. პირველი ოფიცი-

ალური შეხვედრა მოსკოვის საპატრიარქოს და ამერიკის სამიტროპოლიტოს წარმომადგენლებს შორის შედგა ჟენევაში 1969 წლის 24 და 25 აგვისტოს. მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ნიკოდიმი. მეორე ოფიციალური შეხვედრა გაიმართა ტოკიოში იმავე წლის 28 ნოემბერს. რუსეთის ეკლესიის სინოდმა განიხილა ამ შეხვედრების შედეგები და კანონიკური ურთიერთობის სრული აღდგენის მიზნით მიზანშეწონილად ჩათვალა მოლაპარაკებების გაგრძელება. 1970 წლის მარტში მიტროპოლიტი ნიკოდიმი ეწვია ამერიკის შეერთებულ შტატებს და 31 მარტს ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოს ირინეოსთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას კანონიერი ურთიერთობის სრული აღდგენის თაობაზე(5). მაშინვე მთავარეპისკოპოსმა ირინეოსმა გადასცა მიტროპოლიტ ნიკოდიმს ამერიკული სამიტროპოლიტოს დიდი კრებისა და ეპისკოპოსების თხოვნა მოსკოვის პატრიარქ ალექსის სახელზე, რათა დედა–ეკლესიას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს მიენიჭებინა ავტოკეფალია ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის(6).

1970 წლის 9 აპრილს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მოხსნა 1947 წლის აკრძალვა ჩრდილოამერიკული სამიტროპოლიტოს იერარქიაზე, ხოლო მერე დღეს 10 აპრილს ეპისკოპოსთა გამოკითხვის და მათი წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ გამოიტანა დადგენილება ამერიკაში რუსული მართლმადიდებელი ბერძნულ-კათოლიკე ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე. ამავე დღეს ხელმოწერილი იქნა საპატრიარქო და სინოდალური თომოსი ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ. რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი, რის გამოც თომოსის ოფიციალური გადაცემა შედგა მხოლოდ 18 მაისს. თომოსის გადაცემის ოფიციალური აქტი შეასრულა პატრიარქის მოსაყდრემ კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტმა პიმენმა. თომოსში აღნიშნული იყო, რომ ამერიკაში რუსული მართმადიდებლური ბერძნულ – კათოლიკე ეკლესია ამიერიდან იწოდება ამერიკაში ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიად და სარგებლობს ავტოკეფალური ეკლესიისათვის დამახასიათებელი ყველა უფლებით და პრივილეგიით(7).

თომოსის მიხედვით ახალი ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა კონტინენტური ჩრდ. ამერიკის აღმოსავლურ-მართმადიდებლური აღმსარებლობის ყველა ეპისკოპოსზე, სამღვდელოებაზე და მრევლზე ჰავაის შტატის ჩათვლით და მექსიკის გამოკლებით, რომლებიც აღნიშნული დროისათვის ეკუთვნიან სამიტროპოლიტოს ან მომავალში შევლენ მასში.

1970 წლის 10 აპრილის სხდომაზევე სინოდმა გააუქმა ჩრდილოეთ და სა-

მხრეთ ამერიკის საეგზარქოსო და ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე შექმნა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის საეგზარქოსო, რომელმაც 1990 წლამდე იარსება.

ახლადაარსებული ავტოკეფალური ეკლესიის პირველი ადგილობრივი კრება გაიმართა 1970წ. ოქტომბერში წმ. ტიხონის მონასტერში. ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოსმა სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა უნეტარესმა ირინეოსმა ამბიონიდან წაიკითხა პატრიარქ ალექსის თომოსი და გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი. 1971 წლის ოქტომბერში გაიმართა მეორე საეკლესიო კრება, რომელმაც მიიღო ეკლესიის მართვა – გამგეობის დებულება და მისი ახალი სახელწოდება – მართმადიდებელი ეკლესია ამერიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილმა რუსულმა საეკლესიო ორგანიზაციამ მიიღო ავტოკეფალია და დღემდე სრულიად დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას, მისი უფლებები არ სცნო ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ და, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) საპატრიარქომ ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ სხვადასხვა ეკლესიებს აქვთ განსხვავებული მიდგომა ავტოკეფალიის მინიჭებისა და მართლმადიდებლური დიასპორის საკითხისადმი.

მსოფლიო საპატრიარქოს აზრით, ამა თუ იმ ეკლესიის ნაწილისათვის ან ახლად წარმოქმნილი საეკლესიო ორგანიზაციისათვის ავტოკეფალური უფლებების მინიჭების პროცედურა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მასში მსოფლიო საპატრიარქოს მონაწილეობას. მისი და აგრეთვე სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების თანხმობის გარეშე დედა–ეკლესიას არა აქვს უფლება მიანიჭოს სრული დამოუკიდებლობა თავის ყოფილ ნაწილს, მით უმეტეს თუ იმ ტერიტორიაზე, სადაც არსდება ახალი ეკლესია კიდევ არსებობს სხვა მართლმადიდებელი მრევლი, რომელიც სხვა ეკლესიის იურისდიქციას ექვემდებარება.

ავტოკეფალური უფლებების მინიჭების საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული მართლმადიდებლური მრევლის ანუ დიასპორის პრობლემა. კონსტანტინოპოლის საყდარი თვლის, რომ ეროვნული ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მცხოვრები დიასპორა უნდა ექვემდებარებოდეს მსოფლიო საპატრიარქოს და შესაბამისად მისი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებსაც ეს უკანასკნელი უნდა წყვეტდეს(8).

სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით მოსკოვის საპატრიარქოს. რუსეთის ეკლესია აცხადებს, რომ არც ერთ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას და მათ შორის კონსტანტინოპოლისას, არა აქვს რაიმე განსაკუთრებული უფლება ან პრივილეგია გაავრცელოს თა-

ვისი იურისდიქცია მთელ მართლმადიდებელ დიასპორაზე ან ჩაერიოს სხვა საეკლესიო დიასპორის ცხოვრებაში(9). ამავე დროს, რუსეთის ეკლესია თვლის, რომ მხოლოდ დედა–ეკლესიას აქვს უფლება მიანიჭოს მის იურისდიქციაში მყოფ ნაწილს, როგორც ავტონომიური, ასევე ავტოკეფალური უფლებები და აცნობოს ამის შესახებ სხვა ეკლესიებს, რათა მათ მიიღონ ახალი ეკლესია ევქარისტულ კავშირში. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა მოსკოვის საპატრიარქო როდესაც ანიჭებდა ამერიკის სამიტროპოლიტოს ავტოკეფალიას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას აშშ-ში ცნობს მხოლოდ რამდენიმე ეკლესია (რუსეთის, საქართველოს, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიწების და ბულგარეთის), ბერძნული საპატრიარქოები კი ამერიკაში მცხოვრები მართლმადიდებლების მხოლოდ ნაწილისათვის თვითმართველობის მინიჭებას არაკანონიკურად თვლიან და არ ცნობენ მის ასეთ უფლებებს. რასაკვირველია ასეთმა მდგომარეობამ ამერიკელ მართლმადიდებელთა შორის ბევრი გაუგებრობა გამოიწვია და დღეს, როგორც კონსტანტინოპოლის, ასევე მოსკოვის საპატრიარქოები ცდილობენ გადაჭრან ეს პრობლემა მოლაპარაკებისა და კონსულტაციების გზით. რუსეთის ეკლესიას პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია კონსტანტინოპოლის მხრიდან ამერიკაში თავისი სამთავარეპისკოპოსოსათვის ავტოკეფალიის მინიჭება და შემდეგ ორი ამერიკული (ბერძნული და ყოფილი რუსული) ეკლესიის გაერთიანება ერთ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიად.

ბოლო წლებში ამ მიმართულებით კონტაქტები მსოფლიო საპატრიარქოსა და ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გააქტიურდა 1990 წლის თებერვალში შედგა ამერიკაში მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის, მიტროპოლიტ თეოდოსის პირველი ოფიციალური ვიზიტი კონსტანტინეპოლში. იმავე წლის ივლისში ამერიკაში მყოფი მსოფლიო პატრიარქი დიმიტრი შეხვდა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს. 1998 და 2001 წლებში ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას ოფიციალურ ვიზიტად ეწვია მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმიდესი ბართლომე. ორივე ეკლესიის წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ ამერიკაში მცხოვრებ მართლმადიდებელთა პრობლემები ახლო მომავალში მოგვარდება და საკითხი კანონიკურად გადაწყდება.

დღევანდელ დღეს მართლმადიდებელი ეკლესია ამერიკაში აერთიანებს 16 ეპარქიას (დაახლოებით 520 სამრევლო). მრევლის რაოდენობამ 1 მლნ. გადააჭარბა. მოქმედებს 4 მამათა და 2 დედათა მონასტერი. სასულიერო განათლების ძირითადი ცენტრებია: წმიდა ვლადიმირის თეოლოგიური აკადემია

ქრესთვუდში, წმიდა გერმანეს სემინარია ალასკაში და წმიდა ტიხონის სემინარია საუთ-ქანაანში.

უმაღლეს კანონიკურ ხელისუფლებას ეკლესიაში წარმოადგენს წმიდა სინოდი, რომელშიც შედის ყველა მმართველი მღვდელმთავარი. წმიდა სინოდის სესიებს შორის მოქმედებს ე.წ. მუდმივი მცირე სინოდი. უმაღლესი ადმინისტრაციულ – საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის სრულიად ამერიკის საეკლესიო კრებას.

ეკლესიის მეთაურია მიტროპოლიტი სრულიად ამერიკისა და კანადისა, მთავარეპისკოპოსი ვაშინგტონისა (ამჟამად უნეტარესი თეოდოსი).

გამოყენებული ლიტერატურა

1.История Православной церкви в 19 в. Книга 2, М., 1998, с. 595.

2. Handbook of Denominations in the U. S., Abingdon Press, 1995, p.233.

3.Скурат К. История Поместных Провославных Церквей. Т. 2, М., 1994, с.270.

4. Скурат К., указ. соч., с.271.

5. Скурат К.,указ. соч., с.280-281.

6. M.Stokoe, L.Kishkovsky, Orthodox Christians in North Amerika 1794-1994, New York, 1995, p.99-100.

7. Скурат К., указ. соч., с.281.

8. Доклад митрополита Аксумского Мефодия на тему: "Способ провозглашения Автокефальной и Автономной церкви", в сборнике: Доклад о совпадениях и расхождениях по четырём темам повестки дня IY Всепровославного Предсоборного Совещания. Женева, 1987, с. 2.

9. Доклад митрополита Аксумского Мефодия на тему: "Способ провозглашения Автокефальной и Автономной церкви", в сборнике: Доклад о совпадениях и расхождениях по четырём темам повестки дня IY Всепровославного Предсоборного Совещания. Женева, 1987, с.34-35.

10. Скурат К., указ. соч., с.284.

ქრისტინ მარი სელი
კლივლენდის სახელმწიფო
უნივერსიტეტი (აშშ)

ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები და ქალების მოძრაობა თავისუფლებისათვის: მათი წინაპირობები, განვითარება და ქალების მნიშვნელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

სწავლების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი სფერო შეერთებულ შტატებში არის ქალთა საკითხები, ანუ გენდერული დისციპლინა (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი თავს იკავებს მისი ამგვარი სახელწოდებისაგან). თუკი 30 წლის წინ მეცნიერების ამ სფეროთი დაინტერესებული იყო მხოლოდ ენთუზიასტებით დაკომპლექტებული სპეციალური კომიტეტი, რომელიც სახელმწიფო კოლეჯში ფუნქციონირებდა, დღეისათვის ის იქცა სწავლების ძირითად პროგრამად ასამდე სასწავლო დაწესებულებაში. ქალთა საკითხები სულაც არ წარმოადგენს პედანტურ დისციპლინას, რომელიც ცდილობს წარსულში ქალთა გავლენის კვალის მოძიებას. პირიქით, ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და განვითარებადი დისციპლინაა, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს კავშირი ქალთა მოძრაობასთან შეერთებულ შტატებში და დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები ახლად წარმოქმნილ, გენდერული საკითხებით დაინტერესებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მსოფლიო მასშტაბით. ეს სტატია გაძლევთ ერთგვარი მცდელობა იმისა, რომ ნათელი მოვფინოთ შეერთებულ შტატებში ქალთა საკითხების სწავლების დამკვიდრებას და წარმატებას.

შეერთებული შტატების ისტორიისათვის დამახასიათებელია გარდაქმნისაკენ სწრაფვა. ბრწყინვალე ისტორიის მანძილზე ამერიკელი ხალხი მუდმივად ცდილობდა გადაეფასებინა და გადაეხალისებინა ეროვნული გამოცდილება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. მაშინ როცა რეფორმატორები ცდილობენ ბრძოლას გაუძღვებას, „ერთი ადამიანი, ერთი ხმა" პრინციპისათვის ლეგალური საფუძვლის, სამოქალაქო უფლებების გარანტიების ფორმულირება, პროფკავშირების დაარსებას ყველა მოქალაქისათვის, საბაზრო და ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას ან თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების გარანტირებას, შეერთებული შტატების მოქალაქეები ყოველთვის ამერიკული გამოცდილების არსის გააზრებისთვის. რეფორმატორული ფორიაობის შედეგებმა განაპირობა კონსტიტუციური გარანტიები (შეგვიძლია კონსტიტუციის ნუ-13,14 შეიწორებები), მნიშვნელოვანი შემდგომი დასვენა ისე-

თუბისა როგორიცაა, ბავშვთა ლეგალური შრომის აკრძალვა, სამხრეთ შტატების ინდუსტრიალიზაცია, განათლებასა და დასაქმებაში რასობრივი, ასაკობრივი და სქესობრივი დისკრიმინაციის მოსპობა.

ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა ეხება რეფორმებისათვის ქალთა მოძრაობას, რომელმაც დღესაც ვერ მიაღწია სრულ გამარჯვებას. ეს მოძრაობა მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს. ის ცდილობს გარდაქმნას შეერთებილი შტატების საზოგადოება ისე, რომ ყველა მოქალაქე ითვლებოდეს სრულყოფილ და ღირსეულ წევრად, რომელიც უფლებამოსილია განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების წესი ანუ, დაოჯახდეს თუ არა, იყოლიოს შვილი სრულყოფილ ოჯახში ან იყოს მარტოხელა მშობელი და ა.შ.

სოციალური რეფორმის გარდა ქალთა მოძრაობა ცდილობს უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ ყველა ქალმა შეძლოს არჩეული ნებისმიერი კარიერის გაკეთება, შესაბამისი ეკონომიკური სტატუსის მოპოვება. ამ მოძრაობის მიზანია ქალთა ჩაბმა განათლების სფეროში, ისევე, როგორც მამაკაცის საქმიანობის სფეროებში; სამეცნიერო მოღვაწეობა, საინჟინრო, სამხედრო საქმიანობა, ვაჭრობა, მათემატიკა. მოძრაობის პოლიტიკურ მიზნებში შედის ხმის მიცემის, პოლიტიკური თანამდებობების დაკავებისა და კანონმდებლობის უფლება.

ქალთა თანაბარი სტატუსის დამკვიდრება არ არის ახალი ცნება ამერიკულ კულტურაში. XIXს-ის განმავლობაში ისეთი რეფორმატორები, როგორებიც იყვნენ: ელიზაბეტ ქეიდი სტეტონი და სიუზან ბ. ენტონი (მხოლოდ ამ ორი პიროვნების დასახელებაც კმარა) მოითხოვდნენ და პროპაგანდას უწევდნენ ქალთა თავისუფლების იდეას.

თუმცა, ქალთა მოძრაობა, როგორც გავლენიანი ძალა 1960-იანი წლების სოციალური ძვრების ნაყოფია. ამერიკელი ერის არსებობის ისტორიაში, ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დეკადა — 1960-იანი წლები, სხვადასხვა სახის რეფორმატორული მოძრაობის, ბრძოლისა და წარმატებების მოწმე გახდა. მოძრაობა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, სამოქალაქო უფლებებისათვის, ქალთა თავისუფლებებისათვის. როგორც ამ პერიოდის წამყვანი ძალა ქალთა მოძრაობა ცდილობდა მოეპოვებინა ქალთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, წამოეჭრა უთანასწორობის საკითხები, დაეგმო არსებული სოციალური სტრუქტურების ტირანია და გამოემეღავნებინა ქალთა „მოდის“ უსარგებლობა. ამ მოძრაობის მხარდასაჭერად იმართებოდა ლექციები, დემონსტრაციები, მარშები და ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებიც ემსა-

ხურებოდა შეერთებულ შტატებში ქალთა სტატუსის ამაღლებას.

1963 წელს ბეტი ფრიდანის მიერ გამოქვეყნებულმა წიგნმა „ქალის საიდუმლო" გამოაფხიზლა ერი. ფრიდანმა ქალებისათვის ნათელი გახადა ამ მოძრაობის პრინციპები.

მიუხედავად წიგნის სენსაციურობისა, მას რეალური შედეგი მაშინვე არ გამოუღია. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ქალებმა ჩამოაყალიბეს ისეთი ჯგუფები, როგორებიცაა ქალთა მოქმედების ჯგუფი და ქალთა ეროვნული ორგანიზაცია. ამდენად, მოძრაობის წევრებმა დაიწყეს სამოქმედო ნებასა და ერთიანობაზე ზრუნვა. ჩამოყალიბების პირველივე დღიდან ქალთა თავისუფლებისათვის ბრძოლამ დღის წესრიგში დააყენა სექსიზმის (სქესობრივი დისკრიმინაციის) აღმოფხვრის საკითხი ოჯახში, სამუშაო ადგილას და ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალთა თავისუფლებისათვის მოძრაობასთან არის დაკავშირებული ქალთა საკითხების სწავლების პროგრამის შექმნა. მსგავსად კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისა, რომელთაც მხარი დაუჭირეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამოქალაქო უფლებებისათვის და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩაბმულმა ამერიკელმა ქალებმა, როგორც პროფესორ-მასწავლებლებმა, ისე სტუდენტებმა, ერის ყურადღება მიმართეს ისეთ შემთხვევებზე, სადაც ქალების როლი ამერიკელთა ყოფაში შეზღუდული იყო. აღსანიშნავია, რომ ქალებმა შეძლეს იმ რეალობის წარმოჩენა, რომ სინამდვილეში მათ ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, თუმცა ამგვარ ფაქტებს მნიშვნელოვანი ყურადღება არ ეთმობოდა სტანდარტული კოლეჯის სასწავლო კურსებში. ქალებმა აიძულეს როგორც სასწავლო დაწესებულებები, ასევე მამაკაცი კოლეგები გაეცნობიერებინათ, როგორ უგულვებელყოფდნენ ქალებსა და მათ მიღწევებს სასწავლო გეგმის შედგენისას.

ქალთა მოძრაობამ გააკრიტიკა მამაკაცების მიერ დამკვიდრებული კანონები და გამოკვეთა ქალ-ავტორთა იგნორირების საკითხი. სოციალური მეცნიერებების მიერ წარმოებულმა კვლევებმა (მაგ., სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში) გამოააშკარავა არსებითად მამაკაცური მიდგომა, როგორც მეთოდოლოგიის, ასევე შემოთავაზებულ საგანთა არჩევითობის საკითხებში. საბოლოოდ ქალებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ, რადგან მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებები არ ისწავლება ქალთა კოლეჯებში, რომლებსაც სათავეში უდგანან მამაკაცი რექტორები და საბჭოს წევრები, ქალები განწირულნი არიან არასრულფასოვანი განათლების მიღებისათვის. ასეთი განათლება არ

აძლევდა მათ საშუალებას გამხდარიყვნენ ამერიკული საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და მათი სამსახური იზღუდებოდა უკეთ განათლებული მამაკაცების ქვეშევრდომობით. სულ მოკლე ხანში, აკადემიებში დაიწყო კვლევითი მუშაობა პროფესიული ორგანიზაციებისა და ქსელების დაარსებაგაფართოებისათვის, რამაც ქალებს მოქმედების არეალის გაფართოებისა და ვითარების შეცვლის საშუალება მისცა.

ამერიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიარებდნენ არგუმენტის არსებით ჭეშმარიტებას, ისევე როგორც მოძრაობის ძალას და საპასუხოდ კანონიერ საფუძველზე ქმნიდნენ ქალთა საკითხების სწავლების პროგრამებს. ასეთი დისციპლინათაშორისი პროგრამები მიზნად ისახავდა ფემინისტური ხედვის დამკვიდრებას, საგანმანათლებლო სფეროში ფემინისტური გამოცდილების გამოყენებას, კაცობრიობის ცოდნის გაფართოებას ქალთა ცხოვრების, მიღწევების, ცნობიერების კვლევის საშუალებით.

ქალთა საკითხების სწავლების პროგრამები შექმნისთანავე სწრაფად ვითარდებოდა. 1969 წელს სანდიეგოს შტატის კოლეჯის (ამჟამად სან-დიეგოს შტატის უნივერსიტეტის) სტუდენტებმა შექმნეს „Ad Hoc Committee for Women's Studies". 600-ზე მეტმა სტუდენტმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომლითაც მოითხოვა სან-დიეგოს შტატის კოლეჯში ქალთა საკითხების სწავლების პროგრამის შემოტანა. ამდენად, 1970 წელს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოიწონა ქალთა საკითხების სწავლების პროგრამის შექმნის იდეა და სან-დიეგოს შტატის კოლეჯი გახდა აშშ-ში პირველი უმაღლესი განათლების დაწესებულება, რომელშიც ეს დისციპლინა ისწავლებოდა. კორნელის უნივერსიტეტმა დანერგა მეორე პროგრამა 1972 წელს.

ჩამოყალიბებისთანავე, გენდერული სწავლებანი იმდენად დაიხვეწა, რომ ჟურნალი „ქალთა სწავლებანი II" (Female Studies II) 1970-იან წლებში იუწყებოდა, რომ ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში უკვე არსებობდა 20-ზე მეტი პროგრამა და 600-ამდე კურსი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამების უმრავლესობას არ ჰქონდა ოფიციალურად ქალთა საკითხების შესწავლის ფაკულტეტის სტატუსი, მათი არსებობა მიუთითებს სურვილზე დაკმაყოფილდეს მზარდი მოთხოვნა ასეთი ტიპის საგნების შესწავლაზე სასწავლო აუდიტორიებში მაინც. რამდენიმე წლის შემდეგ „ქალთა სწავლებანი IV" იუწყებოდა, რომ ქალთა პრობლემების შემსწავლელი პროგრამების რაოდენობამ 80-ს მიაღწია და არსებობდა 200-ზე მეტი კურსი, რომელიც ქალთა საკითხებს ეხებოდა.

2000 წლისათვის აშშ-ის კემპუსებში დაარსდა 100-ზე მეტი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაკავებული იყო ქალთა საკითხების სწავლებითა და

კვლევით. დღესდღეობით შეერთებულ შტატებში არსებობს 700-ზე მეტი ქალთა საკითხების სწავლების პროგრამა და 20-ზე მეტი პროგრამა, რომლებსაც სამეცნიერო წოდებების მინიჭების უფლება აქვს (იგულისხმება M.A. და Ph.D.)

ეს საგანმანათლებლო უპირატესობა დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ქალთა საკითხების სწავლების მოძრაობას, როგორც თვით ქალთა მოძრაობას, სჭირდებოდა პოლიტიკური გამარჯვება ამ ახალი დისციპლინების მუდმივობის გარანტად და თავისუფლებისათვის მოძრაობის მიერ მოპოვებული ძალის შესანარჩუნებლად. ეს გამარჯვებაც შორს არ იყო, რადგან 1974 წელს, შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი – ქალთა განათლების თანასწორობის აქტი (IX მუხლის ნაწილი), რომელიც ამერიკელ ქალებს აძლევდა განათლების მიღების თანაბარ გარანტიებს. 1990-იანი წლების ბოლოს შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ IX მუხლი არა მხოლოდ თანაბარი განათლების მიღების გარანტიას აძლევს ქალებს, არამედ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ქალი და მამაკაცი სპორტსმენებისათვის (რაოდენობა თანაბარი უნდა ყოფილიყო) იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ღებულობენ ფედერალურ სუფსიდიებს. ამ აქტის მიღების შედეგად, მამაკაც სპორტსმენთა დომინირება საგრძნობლად შეიზღუდა, ქალთა სპორტმა კი ამ გადაწყვეტილებით დიდად მოიგო.

1970 წელს, როცა ქალთა საკითხების სწავლების პირველი პროგრამა შეიქმნა, ქალები კაცებთან შედარებით, ყოველ ერთ დოლარზე იღებდნენ 41 ცენტით ნაკლებს (59 ცენტს). 12 წლის შემდეგ შეფარდება შეიცვალა და განსხვავება 28 ცენტამდე შემცირდა. (ქალები იღებდნენ 72 ცენტს). ლეგალურმა თანასწორობამ განაპირობა შემდგომი წინსვლა: სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურებისაგან დაცვა (როგორც მეუღლის, ისე უცხო პირის მიერ). განქორწინებისას თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფა (მატერიალური თუ სხვა). ეს არის ის მიღწევა, რომელიც ქალთა უფლებების დაცვის მომხრეებმა მოიპოვეს. ასეთი გამარჯვებები ნათლად აჩვენებს ქალთა თავისუფლებისათვის მოძრაობისა და სასწავლო პროგრამების კავშირის შედეგს. პარალელურად ამ მოძრაობის ორი გზა გამოიკვეთა.

ქალთა სწავლების პროგრამების მიზანი იყო როგორც ქალთა მდგომარეობაში ცვლილებების შეტანა, ასევე ქალთა გამოცდილების შემდგომი შესწავლა და აკადემიურ წრეებში ქალთა საკითხების საფუძვლიანი შესწავლის დამკვიდრება. დოქტორი ბარი უიტკინსი თავის ნაშრომში „ქალთა სწავლების თეორიები" იხსენებს, რომ ქალთა სწავლების ადრეული პროგრამების მიზანი იყო შემდეგი: ქალთა ჩაბმა იმ აკადემიურ პროგრამებში, სადაც ისინი იგნო-

რირებულნი იყვნენ. ქალთა მცდარად და მიკერძოებულად წარმოჩინების ალაგმვა. ამგვარად, ამ დისციპლინამ დასახა გარკვეული მიზნები:

1. ქალთა მისწრაფებების, შესაძლებლობების და წვლილის აღიარება საზოგადოების მიერ;

2. იმ სოციალური პროცესების გაგება, რომლებმაც ხელი შეუწყო ქალთა პიროვნულ რეალიზაციას (ანდა მის შეზღუდვას);

3. სამეცნიერო კვლევების ფართო მასებისათვის გაცნობა, რათა გამოვლინდეს იურიდიული, პროფესიული და ისტორიული საკითხები, რომლებიც თან ახლდა და განაპირობებდა ფემინისტურ გამოცდილებას;

4. საგანმანათლებლო პრაქტიკის კვლევა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია, ქალთა სამართლიანი და მართებული წარმოჩინებისათვის.

ამ პრინციპებმა განაპირობა შეერთებულ შტატებში ქალთა საკითხების სწავლების პროგრამების განვითარება. დღეს ეს დისციპლინა განივრცო და მოიცავს გენდერულ და ეთნიკურ სწავლებას. მიმდინარე სწავლება ეხება ქალთა საკითხებს და მათთან დაკავშირებულ ყოველ ახლად აღმოჩენილ მოვლენას. თუმცა თავისი არსით ეს დისციპლინა მრავლისმომცველია. ამგვარად, მეცნიერები ასევე იკვლევენ ჰომოსექსუალებთან, ბისექსუალებთან და ტრანსექსუალებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ქალთა საკითხების სწავლების ბევრი პროგრამა ყურადღებას უთმობს გლობალურ გენდერულ ცვლილებებს და სექსუალურ სწავლებას, ქალთა და უმცირესობათა ჯანმრთელობის საკითხებს. ზოგიერთმა პროგრამამ, როგორიცაა კორნელის უნივერსიტეტის ქალთა საკითხების სწავლების პროგრამა, შეცვალა ფაკულტეტის სახელი, რათა ასახოს ეს ცვლილებები. „ქალთა საკითხების სწავლების" პროგრამას ახლა ეწოდება „ფემინისტური გენდერის და სექსუალური სწავლების" პროგრამა.

კოლეჯის გარდა, ქალთა საკითხების სწავლებას იყენებენ ბავშვთა განათლებაში. ამ საგნის სწავლებისათვის არსებობს არაერთი სასწავლო გეგმა, კვლევითი პროგრამა და კურიკულუმი დაწყებული საბავშვო ბაღით და დამთავრებული მე-11 კლასით. აღნიშნული საქმიანობის ძირითადი მიზანია ამერიკელ სტუდენტთა (ორივე სქესის) მიერ ადრეული ასაკიდანვე იმის გათავისება, რომ ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებების მოპოვება შეუძლიათ.

ეილინ აბრამსის აზრით, დისკუსიის შესაძლო თემები მოიცავს სოციალიზაციას და სქესობრივი როლის განსაზღვრას, რომელიც ქალებისათვის არის განსაზღვრული.

სქესობრივი, რასობრივი, ეთნიკური, ასაკობრივი, კლასობრივი, ფიზიკური სტერეოტიპების მსხვრევა; ლიტერატურაში, ისტორიასა და კულტურაში ქა-

ლთა წვლილის აღიარება.

XXI საუკუნის დასაწყისში, ქალთა საკითხების სწავლების პროგრამებმა ქვეყნის ფარგლებში განავრცეს ინტერესის და სწავლების სფეროები და იმავდროულად იღვწიან, რომ ეს დისციპლინა დარჩეს საუნივერსიტეტო და ინტელექტუალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. ქალთა ჯანმრთელობის, გენდერული და ეთნიკური სწავლების, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში ქალთა როლის განსაზღვრა არის ის საკითხები, რომლებიც მუდმივად ვითარდება და კვლევის საგნად რჩება. ამ დისციპლინების ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ მათ შეუძლიათ შეცვალონ არა მხოლოდ სწავლების ცალკეული სფეროები, არამედ მთლიანად არსებული სისტემაც. „ქალთა სწავლებას დაეკისრა განსაკუთრებული მისია გარდაქმნას სამყარო" – ამბობს სუზან ლენსერი, ბრენდის უნივერსიტეტის ქალთა სწავლების პროგრამის ხელმძღვანელი". ქალთა სწავლება ფუნქციონირებს, რადგან ის განაპირობებს გარდაქმნებს, არა მხოლოდ ქალთათვის, არამედ მთელი ხალხისათვის. ჩვენ გვჭირდება ახალი თეორიები, ახალი სამოქმედო პროგრამები, რადგან სამყარო იცვლება. ცნობილია, რომ ძალიან ადვილია მონაპოვრის დაკარგვა".

ჟანან შერმანი
მემფისის უნივერსიტეტი (აშშ)

სენატორი მარგარეტ ჩეიზ სმიტი

სმიტი, მარგარეტ ჩეიზი – 14 დეკემბერი, 1897 29 მაისი, 1995 წ. - კონგრესმენი, სენატორი, რესპუბლიკელი პოლიტიკოსი.

მარგარეტ ჩეიზი იყო პირველი ქალი, რომელმაც კონგრესის ორივე პალატაში იმსახურა და რომელმაც ყველაფერი გააკეთა თავისი პარტიისათვის მთავარი საპრეზიდენტო ნომინაციის მოსაპოვებლად. იგი დაიბადა სკოუჰეგანში, მეინის შტატში, იყო პირველი კაროლინ და ჯორჯ ემერი ჩეიზის ექვს შვილს შორის. მამამისი დალაქი იყო, რომელიც საშინელი შაკიკის გამო არარეგულარულად მუშაობდა. დედამისი ოჯახს არჩენდა მიმტანობით და ფეხსაცმლის ქარხანაში მუშაობით. ოჯახი ცხოვრობდა მარგარეტის დედის ბაბუის სახლში. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მარგარეტს ოჯახის რჩენაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა მაღაზიის კლერკად და ღამის სატელეფონო ოპერატორად მუშაობით. სკოლის დამთავრების შემდეგ მან ცოტა ხნით იმუშავა სოფლის ერთოთახიან სკოლაში მასწავლებლად და შემდეგ კი მშობლიურ ქალაქში სხვადასხვა ტიპის კლერკად მუშაობდა.

ამავე დროს იგი ქალთა კლუბების აქტიური წევრი გახდა. მათ შორის აღსანიშნავია საქმოსან და პროფესიონალ ქალთა ფედერაციის კლუბი, სადაც მან დააარსა თავის მსგავსად მიზანდასახულ ახალგაზრდა ქალთა საზოგადოება.

1922 წელს მან საფუძველი ჩაუყარა ამავე კლუბის ადგილობრივ ფილიალს, 1925 წლისათვის კი იგი უკვე მეინის შტატის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. ყოველივე ამან მარგარეტს შესძინა საზოგადოებაში თავდაჭერის, ორგანიზებულობის, დაფინანსების მოზიდვის, საჯარო გამოსვლებისა და პოლიტიკის წარმართვის გამოცდილება.

1926 წელს იგი შეუერთდა სკოჰეგანის რესპუბლიკურ კომიტეტს, რომლის მდივანიც გახდა 1928 წელს. მარგარეტის დახმარებით აღნიშნულმა კომიტეტმა1930 წლის არჩევნებში გაიმარჯვა.

კოლეჯიდან მოყოლებული მარგარეტს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ადგილობრივ ბიზნესმენთან და პოლიტიკოსთან კლაიდ ჰაროლდ სმიტთან, რომელიც 1915-დან 1932 წამდე იყო სკოჰაგენის პირველი წარმომადგენელი (მერის თანამდებობის ანალოგი). მისტერ სმიტი ერთდროულად უძღვე-

ბოდა ადგილობრივ მმართველობას და ბიზნესს. სმიტის ოცნება იყო თავისი გრძელი და ღირშესანიშნავი კარიერა მეინის გუბერნატორობით დაესრულებინა.

1930 წლის 14 მაისს მარგარეტ ჩეიზი ცოლად გაჰყვა განქორწინებულ, მასზე 22 წლით უფროს კლაიდ ჰ. სმიტს. ამ დროისათვის მარგარეტ ჩეიზს შტატის მასშტაბით უკვე მოპოვებული ჰქონდა ჭკვიანი და კომპეტენტური ახალგაზრდა ქალის რეპუტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კლაიდ სმიტი არასდროს გამხდარა გუბერნატორი, ცოლი მას დაეხმარა 1936 წელს მეინის მეორე უბნიდან კონგრესის არჩევნებში გამარჯვების მოპოვებაში. მარგარეტ ჩეიზ სმიტმა (მან ქალიშვილობის გვარი შეინარჩუნა პოლიტიკაში მისი ადგილის გამო) მუშაობა დაიწყო თავისი ქმრის საარჩევნო კომპანიის მენეჯერად და მდივნად. ვაშინგტონში ჩამოსვლის შემდეგ კლაიდის მდგომარეობა გაუარესდა. ცოლი გახდა მისი დამაკავშირებელი მეინელ ამომრჩევლებთან. კლაიდმა მეორე ვადის ბოლოს გულის რამდენიმე შეტევა გადაიტანა. 1940 წლის აპრილში, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მის მიერ გამოშვებულ პრეს-რელიზში ის მოუწოდებდა თავის ამომრჩევლებს მხარი დაეჭირათ მისი არჩევანისთვის – მეუღლის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარტნიორის – მარგარტ ჩეიზისათვის. მიუხედავად პარტიის მნიშვნელოვანი ოპოზიციისა, ქალბატონმა სმიტმა საკმაოდ მძლავრი მხარდამჭერების მეშვეობით, რომელთა შორის იყო ასობით ქალი (სწორედ მათ შეასრულეს მოხალისეთა როლი სმიტის საარჩევნო კამპანიაში) გამარჯვება მოიპოვა და ქმრის საქმიანობის შესრულებას შეუდგა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი მან კიდევ ერთხელ გაიმარჯვა არჩევნებში.

წარმომადგენელმა სმიტმა საკმაოდ სწრაფად მოიპოვა დამოუკიდებლობა საკუთარი პარტიის ორთოდოქსალურობისგან იმით, რომ მხარი დაუჭირა პრეზიდენტ რუზველტის თავდაცვის პოლიტიკას, უპირატესობა მიანიჭა სოციალურ დაცვასა და შრომით ღონისძიებებს. ამგვარმა პოზიციამ მას მშობლიურ მხარეში მხარდაჭერა და 1942 წელს კი მორიგი გამარჯვება მოაპოვებინა. მარგარეტ სმიტის კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული სვლა იყო მის მიერ ქალებისათვის შესაფერისი კომიტეტების წევრობაზე უარის თქმა და წარმომადგენელთა პალატის ფლოტის საქმეთა კომიტეტის წევრად გახდომა. ეს კომიტეტი, რომელსაც ომის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხელს უწყობდა მისი, როგორც სამხედრო ექსპერტის ჩამოყალიბებას. ამ თანამდებობაზე მას საშუალება ეძლეოდა, უკუეგდო სქესობრივი ცრურწმენები და ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ მას შეეძლო სერი-

ოზულ საკითხებზე მუშაობა და მათი გადაჭრა. სმიტი მუდამ შორს იდგა იმ აზრისგან, რომ იგი ფემინისტი იყო და მაინც, მისმა განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ სქესობრივი დისკრიმინაციის მიმართ, რაც კონგრესში ყოფნის წლებში კიდევ უფრო გამძაფრდა, მისცა მას სტიმული, გაეტარებინა მნიშვნელოვანი ლონისძიებები ომის და ომისშემდგომ პერიოდში ქალებისათვის თანასწორი უფლებების მოსაპოვებლად. მისი ბრძოლის მიზანს წარმოადგენდა თანაბარი ხელფასები ქალებისა და მამაკაცებისათვის, სამუშაო ადგილებზე თანასწორობა, ბავშვებზე ზრუნვა. 1945 წელს სმიტი იყო თანაავტორი შესწორებისა თანასწორ უფლებათა შესახებ. ფლოტის კომიტეტში მისი თანამდებობის გათვალისწინებით ომის პერიოდში მის მიერ გატარებული ბევრი ლონისძიება სამხედრო სფეროში მომსახურე ქალთა სახელით ხორციელდებოდა. სმიტი იბრძოდა სამხედრო სამსახურში დაკავებული ყველა ქალისათვის წოდებებისა და სამხედრო სტატუსის მოსაპოვებლად, რასაც მიაღწია კიდეც 1948 წელს, როდესაც მიღებულ იქნა აქტი ქალების შეიარაღებულ ძალებში ინტეგრაციის შესახებ.

1948 წელს სმიტმა გაბედული ნაბიჯი გადადგა: იგი გახდა პირველი ქალი, ვინც გადაწყვიტა, მხარის მეორე წარმომადგენლის უსაფრთხო ადგილის დათმობის ფასად აშშ-ის სენატში მოხვედრისათვის კამპანია წამოეწყო. ამაში მას ეხმარებოდა უილიამ ს. ლუის უმცროსი, ფლოტის საქმეთა კომიტეტის სამართლებრივი მრჩეველი. ლიუისი სმიტზე 15 წლით უმცროსი იყო და მისგან განსხვავებით უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდა. ლიუისმა წარმატებით წარმართა სმიტის კამპანია და შემდგომში მისი ადმინისტრაციული თანაშემწეც გახდა. ამ თანამდებობაზე იგი 1973 წლამდე მუშაობდა, როდესაც სმიტმა დატოვა თანამდებობა. იგი ხელახლა აღარასოდეს გათხოვილა, ლიუისიც დაუოჯახებელი იყო. ერთმანეთის მიმართ თავდადებული ერთგულების მიუხედავად, არც ერთს არ სურდა სმიტის წარმატებული პოლიტიკური კარიერა რომანტიკული გატაცებისთვის შეეწირა. ისინი ვნებას პოლიტიკისთვის ინახავდნენ. ლიუისი სმიტის ერთგულ კომპანიონად და თანაშემწედ დარჩა 1982 წლამდე, როდესაც იგი გულის შეტევით გარდაიცვალა.

სენატში სმიტის არჩევის შემდეგ ბევრი იმედოვნებდა, რომ ეს მოვლენა ქალთა და მამაკაცთა შორის პოლიტიკური თანასწორობის გარანტი იქნებოდა. თუმცა სენატში 24 წლის განმავლობაში იგი ერთადერთი ქალი იყო. სმიტმა სახელი დაიმკვიდრა თავდაუზოგავი შრომით და ამის შედეგად მიღწეული წარმატებებით, ზომიერებით; იგი ყოველგვარი ექსტრემიზმის წინააღმდეგ გაბოდიოდა. ამის ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი იყო სმიტის სი-

ტყვა თავისი კოლეგის, სენატორ ჯოზეფ მაკარტის მძარცველური პოლიტიკისა და მისი პარტიის ლიდერების მიერ ამ ფაქტთან შეგუების რჩევის წინააღმდეგ. ეს სიტყვა მან წარმოთქვა 1950 წლის ივნისს, აშშ-ის სენატში. თუმცა ამ გამოსვლამ მედიის ყურადღება მიიპყრო, მან მაინც ვერ შეძლო მაკარტის ძალაუფლების შეზღუდვა, რომლის საქმიანობა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ აღიკვეთა.

სამაგიეროდ, სმიტმა ამ გამოსვლით რესპუბლიკური პარტიის მმართველობის გაღიზიანება გამოიწვია, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა იმ დაწესებულებაში, სადაც ძალზე ბევრია დამოკიდებული პირად ურთიერთობებზე.

სმიტი აგრძელებდა სენატის თავდაცვის კომიტეტებში მუშაობას. ძირითადად მისი საქმიანობა უკავშირდებოდა რიგითთა რეზერვებსა და ოფიცერთა დაწინაურებას. სმიტმა ასევე დაიმკვიდრა რადიკალი ანტიკომუნისტის რეპუტაცია და ხშირად აკრიტიკებდა ჯერ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის, შემდგომ კი ჯონ ფ. კენედის ცივი ომისადმი შემრიგებლურ პოლიტიკას. საბჭოთა პრემიერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა მას „ომის ამორძალი" უწოდა და მანაც სიამაყით გამოიყენა ეს ეპითეტი საარჩევნო კამპანიისთვის, როდესაც 1964 წელს რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად დასახელდა. მისი საარჩევნო კამპანია ცოტა არ იყოს უცნაური იყო: მას არ ჰქონდა არც ფული, არც შტაბი და არ ჰყავდა პერსონალი. მან რამდენიმე შეხვედრა მოაწყო ნიუჰემპშირსა და ილინოისში, მაგრამ სინამდვილეში იგი სერიოზულ კონკურენტს არასოდეს წარმოადგენდა. იგი იყო პირველი ქალი, რომელიც მსხვილი პოლიტიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა, და რომელმაც 27 ხმა მოიპოვა.

სმიტი ამის შემდეგ სენატში დაბრუნდა, სადაც ხელმძღვანელობამ იგი დააწინაურა და ორი ძირითადი კომიტეტის – შეიარაღებული ძალების და საფინანსო კომიტეტის წევრად დაინიშნა.

ვიეტნამში საომარი მოქმედების ესკალაციის პირობებში მას არასოდეს გადაუხვევია არჩეული პოზიციიდან თავისი ამომრჩევლების მზარდი მოთხოვნების მიუხედავად. 1970 წელს წარმოთქმულ სიტყვაში მან გააკრიტიკა როგორც შეიარაღებულ სტუდენტთა ექსტრემისტული ქმედებები, ასევე ნიქსონის ადმინისტრაციის მიერ განსხვავებული აზრის ჩახშობის მცდელობა.

ომის წინააღმდეგ დემონსტრანტ სტუდენტებთან და აქტივისტ ქალებთან ხმაურიანი დისპუტების ფონზე ჩატარებული საარჩევნო კამპანიის შედეგად სმიტმა 1972 წელს წააგო ბრძოლა მეხუთე ვადით სენატორად არჩევისათვის. იგი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქ სკოჰეგანში, სადაც მან და ლუისმა სამე-

ცნიერო ბიბლიოთეკა დააარსეს. სიცოცხლის ბოლო წლები მან მარგარეტ ჩეიზ სმიტის ბიბლიოთეკას მიუძღვნა, მედიამ კი იგი აქცია იმ ყოველივე კარგის სიმბოლოდ, რაც მეინს ჯერ კიდევ შემორჩენოდა და რაც ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა. სმიტი გარდაიცვალა 97 წლის ასაკში თავის სახლში ძლიერი ინსულტის შედეგად.

(მარგარეტ ჩეიზ სმიტის ბიბილიოთეკა მეინში შეიცავს 300 000-ზე მეტ დოკუმენტს, 3000 ფოტოს, უამრავ ვიდეო და აუდიო კასეტას, სიტყვებისა და გამოსვლების ორმოცდასამ ტომეულს და დაახლოებით 500 უბის წიგნაკსა და პირად ნივთს. აქ ასევე დაცულია სმიტის დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობები. სმიტის შესახებ ნეკროლოგი დაბეჭდილია „ნიუ-იორკ ტაიმსში" (1995, 30 მაისი).

ეს სტატია ეფუძნება სმიტის ბიოგრაფიას: ჟანან შარმანი. აქ ქალისთვის ადგილი არ არის: სენატორ მარგარეტ ჩეიზ სმიტის ბიოგრაფია. 2000.

ტატიანა დენისოვა
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
კლივლენდი (აშშ)

ელენე მეძმარიაშვილი
თსუ, ამერიკის შესწავლის ცენტრი, დოცენტი

ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში

მართალია, დღეს საქართველოში საუბარი ქალის როლზე პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინცდამაინც პოპულარული არ არის, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ეს კონკრეტული თემა (და საერთოდ გენდერული თემატიკა) არააქტუალური და უსაფუძვლოა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბოლო ხანებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალთა საკითხების კვლევისადმი ინტერესი აშკარად გაიზარდა.

ყველასათვის კარგად ცნობილია, თუ რა ძლიერია საქართველოში ქალის სტერეოტიპი. კერძოდ, ქალი ჩვენთან არის "სადღეგრძელოსა თუ პოეტური მეტაფორის ადრესატი, თაყვანისცემისა და განდიდების ობიექტი, მაგრამ არამც და არამც დამოუკიდებელი სუბიექტი" (3,გვ.18), რომელსაც არათუ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების, არამედ მასში მონაწილეობის მიღების უფლება არ გააჩნია. მაგრამ საბედნიეროდ, ასეთი სტერეოტიპი დღეს უკვე ნელ-ნელა იმსხვრევა, თუმცა ამას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება შეერთებული შტატებისა და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის შესწავლა და შესაბამისი პარალელების გავლება საქართველოსთან. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ ქალების პოლიტიკური აქტიურობის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია საყოველთაო დემოკრატიზაციის პროცესთან, რაზეც ჩვენს ქვეყანას დიდი პრეტენზია აქვს.

ამგვარად, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მეორე ათასწლეულის მიჯნაზე აშკარად მომწიფდა ქალების ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის აზრი (ეს მარტო ჩვენი მოსაზრება არ არის). მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა საკვირველი იყოს, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც კი, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატები, ჯერ კიდევ დარწმუნებულები არიან, რომ ყოველი ქალის ადგილი ოჯახშია, ბავშვებთან და სამზარეულოში. სამწუხაროდ, ამ აზრს არა მარტო ამერიკელი კაცების უმრავლესობა, არამედ ბევრი ქალიც იზიარებს (თუ შეერთებულ შტატებში ასეა, მაშინ წარმოიდგინეთ რა ხდება ამ თვალსაზრისით საქართველოში!). ასეთი შეხედულება კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებშიც

კარგად ჩანს. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა უმნიშვნელოა ამერიკელი ქალების წარმომადგენლობა ხელისუფლების ყველა დონეზე, ანუ როგორც შეერთებულ შტატებში ამბობენ პარტიულ და სამთავრობო ოფისებში.

2001 წელს აშშ-ის კონგრესში იყო 73 ქალი (535 ადგილის 13,6%), აქედან სენატში – 13 (100-დან 13%) და წარმომადგენელთა პალატაში – 60 (435-დან 13,8%). მართალია ეს ციფრები ერთი შეხედვით შთამბეჭდავია, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო 10 წელიწადში ისინი ორჯერ და მეტად გაიზარდა (1989 წ. შესაბამისად იყო 27 (5%), 2 (2%) და 25 (5,8%) (7,გვ.114), მაგრამ ამავე დროს, თუ დღევანდელ მონაცემებს არ შევადარებთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის დონეს, სადაც ეს ციფრი 40%-ს აღწევს (მაგალითად, შვეციაში 43%-ია).

საინტერესოა, რომ თვით ე.წ. "ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც" კი, მათ შორის, რუსეთში ეს ციფრი 12%-ს უდრის, საქართველოში კი – 6,8%-ს (ქართულ წყაროებში 7%-ია მითითებული). ასე რომ, ამერიკელი ქალები ჩვენგან არც თუ ისე შორს არიან. ამასთან აღსანიშნავია, რომ არა მარტო ისეთი ცნობილი პოლიტიკოსი ქალები, როგორებიცაა: ჰილარი კლინტონი, მედელინ ოლბრაიტი, კონდოლიზა რაისი, ჯინ კირპატრიკი მოხვდნენ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში, არამედ ამერიკელი ქალების ბევრმა წარმომადგენელმა პოლიტიკური ცხოვრების პერიფერიიდან ცენტრისაკენ გადმოინაცვლა. ყოველ შემთხვევაში, ისინი ისევე აქტიურად იყენებენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, როგორც მამაკაცები, მოსახლეობის ზოგიერთ ფენაში კი (მაგალითად, ახალგაზრდობა, ინტელიგენციის ყველაზე განათლებული ნაწილი, აფრო-ამერიკელები) არჩევნებში მონაწილე ქალების რაოდენობა კაცებისას სჭარბობს. ალბათ ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ოფისისათვის მებრძოლი კანდიდატების ყურადღების ცენტრში უფრო მეტად ექცევა საშინაო სოციალური პრობლემები, რომლებიც ქალებს უფრო აღელვებთ, ვიდრე, მაგალითად, გლობალური პოლიტიკის, განიარაღებისა და სხვა მსგავსი საკითხები, რომლებიც ბოლო ხანებამდე კაც ამომრჩევლებზე იყო გათვლილი. უფრო მეტიც, პოლიტიკაში მონაწილეობის ყველაზე დაბალ, მასობრივ დონეზე, ანუ წინასაარჩევნო კამპანიების ნებაყოფლობითი მომსახურების ე.წ. რუტინულ დონეზე (სატელეფონო ზარები, ფოსტის გაგზავნა, მასალების გავრცელება, შეხვედრების, კრებებისა და მიღებების ორგანიზება და სხვ.) ქალები უფრო აქტიურად არიან ჩაბმულები, ვიდრე კაცები (მოკლედ, იქაც ზუსტად ისეა, როგორც საქართველოში). მაგრამ უკვე გადაწყვეტილებების მიღების დონეზე განსხვავება მკვეთრად იცვლება კაცების სასარგებლოდ (ამ შემთხვევაშიც საქართველოში არსებული მდგომარეობა იგივეა). ჩვეულებრივ მსგავსი მდგომარეობის მთავარ მიზეზებად ასახელებელ შემდეგს:

1. ქალი პოლიტიკურად სუსტად არის მოტივირებული, ანუ მას უმნი-

შვნელო პოლიტიკური ამბიციები აქვს;

2. არჩევნების დროს სქესის პრინციპით დისკრიმინაციას განიცდის;

3. პროფესიულად უარესად არის მომზადებული.

ცხადია, რომ ქალს მეტი მოვალეობები აქვს ოჯახში და ამიტომ, როდესაც იქმნება კოლიზია "ოჯახი-პოლიტიკა" ის, როგორც წესი, ოჯახს ირჩევს, მაშინ როდესაც კაცი, რომელიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგას, პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ კაცები ხშირად სენატორები და კონგრესმენები ხდებიან 30 წლის ასაკში, ქალები, მაგალითად, ჰილარი კლინტონი, ახერხებენ სენატში მოხვედრას 50 წელს გადაცილებულები, ანუ მაშინ, როდესაც მათი შვილები უკვე დიდები არიან (როგორც ვთქვათ, ჩელსი). თუმცა, ჰილარი მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა. მაგრამ სხვა პოლიტიკოსი ქალებიც ასევე ასაკოვანნი არიან, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენელი ქალი-კონგრესმენები 2000 წელს იყვნენ ლუიზა სლოტერი, არჩეული კონგრესში 47 წლის ასაკში, მას შემდეგ, რაც მისი შვილები გაიზარდნენ, ნიტა ლოუი – 51 წლის ასაკში, სიუ ქელლი – 58 წლისა და ქეროლინ მაკკარტი – 52 წლის ასაკში (12,გვ.258). შედარებისათვის შეიძლება გავიხსენოთ ბარბარა მიკულსკი, რომელმაც მთელი ცხოვრება პოლიტიკას მიუძღვნა და 1986 წელს 26 წლის ასაკში მიიღო სენატორის ადგილი მერილენდის შტატიდან, მაგრამ ეს გამონაკლისი იყო და არა წესი.

ასე რომ, მართალია ქალი უფრო ოჯახზეა ორიენტირებული, ვიდრე ოფისზე, მაგრამ "მშვენიერი სქესის" წარმომადგენელთა აქტიურობა მასობრივ თუ პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მოძრაობების დონეზე არ ჩანს მის წარმომადგენლობაში ძალაუფლების ყველა დონეზე, განსაკუთრებით ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში, სადაც კაცებისა და ქალების წარმომადგენლობაში დიდი დისბალანსია. თანამდებობისათვის ბრძოლაზე უარის თქმის შესაძლებელ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ არა ქალის საზოგადოებრივი ტემპერამენტის არარსებობა, არამედ უფრო ის, რომ მას წარმატებისა არ სჯერა. ალბათ, ეს ბოლო მიზეზი უკეთ ასახავს საქმის ვითარებას.

მართლაც, ქალი გარკვეულ დისკრიმინაციას განიცდის არჩევნების დროს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამომრჩევლები მას არ ენდობიან, მათ შორის, ქალი ამომრჩევლებიც. აგრეთვე ქალებს უფრო უჭირთ ფინანსური მხარდაჭერის მიღება. მათ თავს ესხმიან პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და პრესა, რასაც სუსტი სქესის წარმომადგენლები უფრო მტკივნეულად აღიქვამენ, ვიდრე კაცები. თუმცა ისევ ჰილარი კლინტონის მაგალითი უნდა მოვიყვანოთ. ალბათ საჭირო იყო მისეული საოცარი თავდაჭერილობა, რომ ღიმილით ეპასუხა საზოგადოებისა და ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს "მსოფლიოში ყველაზე შეურაცხყოფილი" ქალის მდგომარეობაში, მონიკა ლევინსკის ისტორიის შემდეგ და ამავე დროს მას უნდა ჰქონოდა უდიდესი პრო-

ფესიონალიზმი, რომ ეს "არასასიამოვნო" ისტორია თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, როცა ზოგიერთში თანაგრძნობა გამოიწვია, ზოგიერთი კი აღაფრთოვანა იმით, თუ როგორ ეჭირა თავი.

1990-იან წლებში ქალებმა იპოვეს გამოსავალი არჩევნების დროს ფინანსური დისკრიმინაციისას: შეიქმნა რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთა მიზანი იყო სახსრების მოძიება ქალი-კანდიდატებისათვის. მათ შორის ყველაზე მსხვილი იყო 1985 წ. შექმნილი ემილი-ს (Early Money is Like Yeast) სახელწოდებით ცნობილი ორგანიზაცია. სხვა მსგავსი ორგანიზაციები იყო – National Women's Political Caucus, Women's Compaign Fund, Republican Wish List. უკვე ამ ორგანიზაციების შექმნა მეტყველებდა ამერიკელი ქალების პოლიტიკური მიზნების სერიოზულობაზე. 1992 წელი ამერიკის ისტორიაში შევიდა როგორც "ქალის წელი". ემილი-მ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ ქალ-კანდიდატებზე დაახლოებით 6 მლნ დოლარი დახარჯა. ამის შედეგად 150-მა ქალმა შესაძლებლობა მიიღო ებრძოლა ადგილისათვის წარმომადგენელთა პალატაში, 20-მა კი – სენატში მოხვედრისათვის ბრძოლა შეძლო (16,გვ.310).

ამგვარად, პირველ ადგილზე წამოიწია ქალების პროფესიონალიზმის პრობლემამ. ისე აეწყო საქმე, რომ უმრავლესობა პოლიტიკაში მოდის იურისპრუდენციიდან – ტრადიციულად კაცების სფეროდან. რასაკვირველია, იურიდიული განათლება, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეიძლება განვიხილოთ როგორც პოზიტიური ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო, მაგალითად, ჰილარის გამარჯვებას. მაგრამ, ამასთან ერთად, როდესაც ფიქრობ პროფესიონალიზმზე, რასაც ამერიკელ პოლიტიკოსებს სთხოვენ, მათ შორის ქალებსაც, განათლება ყოველთვის არ გვახსენდება. რაც შეეხება ჰილარის, მას ნამდვილად კარგი საფუძველი აქვს: უელსლის პრესტიჟული კოლეჯის დამთავრების შემდეგ ის აღმოჩნდა იმ მცირერიცხოვან ქალ-სტუდენტებს შორის, ვინც მსოფლიოში ცნობილი იელის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლა გამოიარა. უნივერსიტეტის შემდეგ ჰილარი მუშაობდა ვოშინგტონში სპეციალურ კომიტეტში, რომელიც იკვლევდა ნიქსონის ადმინისტრაციის საქმიანობას უოტერგეიტის საქმეში. როგორც მაშინ და შემდეგაც ჰილარი ჟურნალისტებს ეუბნებოდა, რომ კომიტეტში მუშაობისას მან დიდი პროფესიული გამოცდილება მიიღო. 1974 წელს ნიქსონის "გადადგომის" შემდეგ საქმე თავისთავად დაიხურა და ჰილარიც გაჰყვა ბილს მშობლიურ არკანზასში, სადაც 1975 წელს ისინი დაქორწინდნენ. თვითონ ჰილარი მერე აღიარებდა, რომ ერთი მომენტი ყოყმანობდა: ვინაიდან მას პოლიტიკა იზიდავდა, ის ფიქრობდა, დარჩენილიყო დედაქალაქში, რაც მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, თუ დაბრუნებულიყო მშობლიურ ილინოისში. მაგრამ მალე ის მიხვდა, რომ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის აუცილებელი არ იყო საკუთარი ოფისი, რომ ეს შეიძლებოდა ქმრის ოფისიც ყოფილიყო. თუმცა საკუთარი კარიერა მისთვის ბოლო ადგილზე არ იდგა. როდესაც ბილმა შტატის

გენერალური პროკურორის თანამდებობა მიიღო და ისინი ლითლ-როქში გადავიდნენ, ჰილარი აღმოჩნდა პირველი ქალი, რომელმაც მუშაობა დაიწყო პრესტიჟულ იურიდიულ კომპანიაში Rose Law Firm. ჰილარი ორჯერ აღმოჩნდა "ამერიკის 100 ყველაზე გავლენიანი იურისტის სიაში.

ბილ კლინტონის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის დროს ჰილარი ქმრის სრულუფლებიან პარტნიორად მოგვევლინა (კამპანიის ლოზუნგი ხომ იყო "ორი ერთის ფასად", ანუ გადასახადების გადამხდელი არჩევნებზე დახარჯული ფულით ორ კვალიფიცირებულ პოლიტიკოსს იღებდა ერთის ნაცვლად). სოციალური პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში კი ჰილარი ქმარზე უკეთ იყო მომზადებული. გასაკვირი არ არის, რომ გამარჯვების შემდეგ ბილმა ის დანიშნა იმ ჯგუფის "მოხალისე" (ანაზღაურების გარეშე) ხელმძღვანელად, რომელიც ჯანდაცვის რეფორმებით იყო დაკავებული და უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებობდა. ჰილარიმ თავისი ოფისი მოაწყო თეთრი სახლის დასავლეთ, ანუ სამუშაო ნაწილში (მაშინ, როდესაც მისი წინამორბედი პირველი ქალბატონები, ისეთი გავლენიანებიც კი, როგორებიც იყვნენ როზალინ კარტერი და ნენსი რეიგანი, "საცხოვრებელ ნაწილში" მოღვაწეობდნენ და მნახველებსაც იქ იღებდნენ). ამით ჰილარიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ის არა უბრალოდ ცოლია, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკოსი.

ჰილარისათვის ნიმუშად რჩებოდა ელეონორ რუზველტი. მან აღიარა კიდეც, რომ, სადაც არ უნდა წასულიყო, "მის წინ ყოველთვის იყო" ფრანკლინ რუზველტის გავლენიანი ცოლი (12,გვ.99). არ შევჩერდებით XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკურ რუქაზე ამ ერთ-ერთი ბრწყინვალე ფიგურის – ელეონორის პოლიტიკურ ბიოგრაფიაზე – ეს ცალკე კვლევის საგანია, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თეთრ სახლში მისი 12-წლიანი ყოფნის დროს მან, როგორც ამერიკელთა ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი პრეზიდენტის ცოლმა, მონაწილეობა მიიღო ათეულობით სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამისა და პროექტის შემუშავებაში; იყო ბრწყინვალე ჟურნალისტი, ლექტორი-პროპაგანდისტი, თუ შეიძლება ასე ითქვას. როგორც თავისი ავადმყოფი ქმრის "თვალებმა და ყურებმა", მან სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით (თვითონაც კი მართავდა თვითმფრინავს) მოიარა მთელი ქვეყანა და ნახევარი მსოფლიო; იყო იმდროინდელ ყველა ცხელ წერტილში. გასაკვირი არა არის, რომ ერთხელ ჰიტლერმაც კი განაცხადა, რომ "სწორედ ელეონორ რუზველტი არის ამერიკის ჭეშმარიტი ლიდერი" (7,გვ.99). შესაძლებელია, მონიკასთან დაკავშირებული ისტორიის დროს ჰილარი ელეონორის მაგალითით იმშვიდებდა თავს, ელეონორისა, რომელსაც მოუხდა მსგავსი "პრობლემის" მონელება, როცა მან პოლიტიკური ინტერესები პირადულ განცდებზე მაღლა დააყენა. მაგრამ რუზველტების დროიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, ქალისათვის შესაძლებელი გახდა ოფისი-

სათვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და მასში გამარჯვებაც კი. თუ 2000 წელს ჰილარიმ შედარებით ადვილად მოახერხა სენატში მოხვედრა, 1940-იან წლებში ელეონორისათვის, ფაქტობრივად, ეს შეუძლებელი იყო, თუმცა ის ალბათ არა თუ გამოჩენილი სენატორი, არამედ სახელმწიფოს მეთაურიც გახდებოდა. ვფიქრობთ, ჰილარის აქვს შანსი და შესაძლებლობა გაიმარჯვოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა ეს შანსი არც ისე მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ის ქალია. მაგრამ შეიცვალა საქმის არა მარტო ფორმალური მხარე, არამედ ქალის პოლიტიკაში "ჩართვის" მორალურ-ფსიქოლოგიური პირობებიც. გულახდილობამ, გახსნილობამ, ონავრობამაც კი, რაც ელეონორის მიმართ კეთილგანწყობის მიზეზი იყო, ადგილი დაუთმო ყოველი ნაბიჯის, ყოველი სიტყვისა და ჟესტის მკაცრ გააზრებულობას, შენიღბულობას, რაც ჰილარისათვის არის დამახასიათებელი. როდესაც 1939 წ. სოციალური უზრუნველყოფის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც შეერთებული შტატების ყველაზე რასისტულ შტატში – ალაბამაში ტარდებოდა, ელეონორმა სეგრეგირებული აუდიტორიის "აფრიკულ", "შავ" მხარეს დაიკავა ადგილი, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მისი შეხედულებები პროგრესული, კოსმოპოლიტური იყო და რომ ეს ქალი ფაქტობრივად სამხრეთის თეთრ მაგნატებს დაუპირისპირდა. მაგრამ, აი როცა ჰილარი სენატში ადგილისათვის ბრძოლის დროს ყოველ კვირა ნიუ-იორკის სხვადასხვა რაიონის აფრო-ამერიკულ ეკლესიაში გრძელი ქვედაკაბით დადიოდა (რაც სულ არ იყო აუცილებელი, მითუმეტეს, რომ მისთვის ეს ჩვეული არ იყო – მას შარვლის კოსტიუმების ტარება უყვარს), შეიძლებოდა მიმხვდარიყავი, რომ ამას ის აკეთებდა არა ზანგი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო, არამედ ეს იყო ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილის მიზიდვის კარგად გააზრებული ტაქტიკა. როდესაც ელეონორმა მოახმარა უზარმაზარი ძალა, დრო და საკუთარი სახსრები ფაშისტური გერმანიიდან ებრაელების გამოყვანას, რისთვისაც კონგრესის ანტისემიტურად განწყობილი ნაწილის დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, გჯერა ამ, მართლაც, არაჩვეულებრივი ქალის აზროვნების უნივერსალობის. ამასთან ერთად, ჰილარის მიერ სინაგოგებში, ებრაულ სასწავლო დაწესებულებებში სიარული, მრავალი საუბარი სამღვდელოებასა და მორწმუნეებთან აღიქმება როგორც მისი სურვილი, მოიპოვოს ამერიკული საზოგადოების ამ პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჯგუფის მხარდაჭერა. ქალბატონმა კლინტონმა ყურადღება არც მუსლიმებს მოაკლო. როგორც ცნობილია, მათი რაოდენობაც მნიშვნელოვანია ამერიკაში. ერთ-ერთი მუსლიმური ორგანიზაციიდან მან საკმაოდ დიდი თანხაც კი მიიღო წინასაარჩევნო კამპანიისათვის, რაც, სხვათაშორის, მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა გამოიყენეს და კინაღამ ტერორისტების მხარდაჭერა დასწამეს. თავიდან ჰილარი "ვაჟკაცურად" თავს იცავდა:

ისლამის ყველა მიმდევარი ხომ ტერორისტი არ არისო, მაგრამ მერე ფული მაინც დააბრუნა. ასე რომ, შეიძლება დავსვათ კითხვა: რა, ყველა მუსლიმი ტერორისტია? მაგრამ მისი პროგრამის ყველაზე მომგებიანი ნაწილი მაინც სოციალური ნაწილი იყო. თუმცა ბავშვობა, დედობა, დასაქმებულობა, განათლება, ჯანდაცვა – ყოველთვის მომგებიანი თემები იყო. რაც შეეხება ციფრებს, ფაქტებს, სინანულს, დაპირებებს – ამით სარგებლობა ჰილარისნაირი ინტელექტუალური ადამიანისათვის დიდად დამახასიათებელი არ არის.

ასე რომ, მაინც რა სჭირდება ამერიკელ ქალს ოფისის ხელში ჩაგდებისათვის განათლების, გამოცდილების, ორატორული მონაცემების და საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი სახსრების გარდა? მიზანდასახულობა, აგრესიულობა, იმის უნარი, რომ მიაწოდოს საზოგადოებას თავისი თავი მომგებიანად, გამოიყენოს თავის სასარგებლოდ საკუთარი ბიოგრაფიის ყველაზე პირადული, ინტიმური ფაქტიც კი, ლამაზად ფართოდ გაღიმების უნარი ჰქონდეს, როდესაც თვალებზე ცრემლები ჩნდება თავისთავად, როცა ქალს შეუძლია პასუხი გასცეს კითხვებს, ისაუბროს იმ პრობლემებზე, რომლებზეც არავითარი წარმოდგენა არა აქვს და კიდევ, მას უნდა ახსოვდეს, რომ ამერიკის საზოგადოება საკმაოდ მკაცრია, ის არ პატიობს შეცდომებს, სისუსტეს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს და პირველ რიგში ქალებისას. სწორედ შეიძლება ამიტომაც სუსტი, მაგრამ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა ამერიკის ოფისებში ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს განვითარების პროგრამა. "გენდერული განვითარება". საინფორმაციო ბიულეტენი. №1, 1999. გენდერული განვითარების ასოციაცია, თბილისი, 1999.

2. "გენდერული პრობლემები საქართველოში". სემინარის მასალები. 24-25 ივნისი, 1998. თბილისი, 1999.

3. მაისურაძე გ. საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობის პრობლემა წინასაარჩევნო რაკურსით. "გენდერული განვითარება". საინფორმაციო ბიულეტენი/ №3,1999, გვ.18-28.

4. „საქართველოში ქალი დისკრიმინირებული არ არის გადაწყვეტილების მიღებაში?!... ანუ ქალთა რაოდენობა გადაწყვეტილების მიღებაში და კორუფციის ხარისხი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან". „გენდერული განვითარება". საინფორმაციო ბიულეტენი, №3, 1999, გვ.29-49.

5. საპირო ვირჯინია. ქალი და პოლიტიკა. სტატიების კრებულში: "ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში". ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ.40-74.

6. Anderson Alice E., Hadley V. Baxendale, Behind Every Successful President.

The Hidden Power and Influence of America's First Ladies, NY, 1992.

7. Anthony Carl Sferrazza, First Ladies: the saga of the presidents' wives and their power. 1789-1961, New York, 1990.

8. Caroli Betty Boyd, First Ladies, New York, 1987.

9. Evans Mary, In prise of Theory: The Case for Women's Studies. In: Feminisms, Ed. by Sandra Kemp and Judith Squires, Oxford, New York, Oxford University Press, 1997, p.17-25.

10. Feinberg Barbara Silberdick, America's first ladies: changing expectation, Danbury, 1998.

11. Gender politics in global governance, ed. by Mary K.Meyer and Elisabeth Prugl, Lanham,1999.

12. Harpaz Beth J., The Girls in the Van: Covering Hillary, New York, 2001.

13. Hooks, Bell. Feminism: A Movement to end Sexist Oppression. In: Feminisms, ed. by Sandra Kemp and Judith Squires, Oxford, NY, Oxford Univ. Press, 1997, p.22-26.

14. Lee,Richard S. and Mary Price, Careers for Women in Politics, New York, 1898.

15. Sapiro Virginia, Women and Politics from "The Political Integration of Women" by the Board of Trusties of the University of Illinois, University of Illinois Press, 1983.

16. Sapiro, Virginia, Women in American society: an introduction to women's studies, Mountain View, 1999.

17.Status of Women in Georgia, Gender Development, Association Nekeri, Tbilisi,1999, p.13-17.

თეა გერგედავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ცვლილებები ამერიკელთა ყოფაში 1920-იან წლებში

1920-იანი წლები ამერიკულ ფსიქოლოგიაში სამუდამოდაა ჩაბეჭდილი როგორც ათწლეული აყვავებისა და აჯანყებისა, ბუტლეგერებისა და განგსტერებისა, ემანსიპირებული ქალებისა და გიჟური ცეკვებისა. მას მრავალი სხვადასხვა იარლიყით მოიხსენიებენ, ზოგი თავგასულობის ეპოქას უწოდებს, ზოგი – ბრწყინვალე სისულელის ხანას, ჯაზის საუკუნეს, მყვირალა ოციანებს, აურზაურის წლებს, ასპირინის საუკუნეს, ახალ თავისუფლებას (ვ. ვილსონი) ... ეს იყო დეკადა ღრმა კულტურული კონფლიქტისა; აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, კოსმოპოლიტური თანამედროვე ურბანული კულტურა, მეორე მხრივ, პროვინციული იზოლირებული ტრადიციული კულტურა. 20-იანი წლები მოწმე გახდა ძველ და ახალ ამერიკას შორის ბრძოლისა; იმავდროულად ამერიკელთა პოლიტიზირების ხარისხი მაქსიმალურად დაბლა დაეცა; სკოტ ფიცჯერალდი თავის ესეში „ჯაზის საუკუნის გამოძახილი" წერს:"ჯაზის საუკუნისთვის დამახასიათებელი იყო სრული აპოლიტიკურობა", რასაც სერიოზული მიზეზები გააჩნდა: პირველმა მსოფლიო ომმა ამერიკელებს იმედი გაუცრუვა, რადგან აშკარა გახდა, რომ ომი მაღალი იდეალებისათვის ბრძოლის ასპარეზი სულაც არაა და რომ იგი მსოფლიოს უსაფრთხოს და დემოკრატიულს ვერ ხდის.

1918 წლის ზავიდან მოყოლებული ამერიკელთა მსოფლმხედველობა საგრძნობლად შეიცვალა: მათ მთავარ საზრუნავად დროის მაქსიმალურად სახალისოდ, საინტერესოდ გატარება გაიხადეს, შეწყვიტეს ფიქრი მსოფლიოს ხალხთა ბედზე; „მშრალი კანონის" რატიფიცირების დღიდანვე კანონის დარღვევა წესად იქცა (რაც იშვიათია ამერიკელებისთვის), ხალხი კონტრაბანდისტებს უფრო თანაუგრძნობდა, ვიდრე „კეთილშობილი ექსპერიმენტის" დამცველებს.

სწორედ ასეთ შეცვლილ ემოციურ ამინდში 1920 წელს ამერიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა სიმპათიური ვორენ ჰარდინგი, რომელსაც გარეგნულ მომხიბვლელობასთან ერთად სიკეთე, უბრალოება და თავმდაბლობაც ახასიათებდა. მის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ამერიკელ ქალებს, რომელსაც 1920 წელს პირველად მიეცათ ხმის მიცემის უფლება. ჰა-

რდინგი ცდილობდა ნორმალური ცხოვრების წესი აღედგინა ქვეყანაში, 1933 წელს იგი ფრთხილმა, ჩუმმა ქალვინ ქულიჯმა შეცვალა. სწორედ ქულიჯმა განაცხადა, რომ „ამერიკის მთავარი საქმიანობა ბიზნესის კეთებაა", ამერიკელებმა კი პრეზიდენტის ეს განცხადება რეალობაში წარმატებით დანერგეს; 20-იანი წლების ამერიკული საზოგადოება სამომხმარებლო საზოგადოებად იქცა, თანამედროვე ამერიკული კულტურის განმსაზღვრელ ბევრ თავისებურებას სწორედ 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი: ჰოლივუდის ფილმები, მასობრივი სპორტული წარმოდგენები, საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავები მსახიობების და სპორტსმენების სახით, წიგნის მოყვარულთა კლუბები ... ამ დეკადაში მოუსმინეს ამერიკელებმა პირველად კომერციულ რადიოსადგურებს, დალიეს დაკონსერვებული ნატურალური ხილის წვენები შეუზღუდავად წელიწადის ოთხივე დროს, გამოიყენეს ელექტროუთო, მტვერსასრუტი, სარეცხი მანქანა, ტოსტერი, მიირთვეს ნახევარფაბრიკატები, ჩაიცვეს მზა ტანსაცმელი ... სიგარეტი, კოსმეტიკა, სინთეტიკური ნაწარმი ამერიკული კომერციული ცხოვრების ქვაკუთხედად იქცა, გაჩნდა გაზეთების საჭორაო სვეტები, განათებული სარეკლამო აბრები, კომერციული ავიარეისები...

20-იანი წლების ამერიკული ყოფის მოდიფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სამანქანო ინდუსტრიის განვითარებასთან. სულ რაღაც 20-25 წლის განმავლობაში სამანქანო წარმოება რევოლუციურად შეიცვალა, შემოღებულ იქნა ავტომატიზებული საამწყობრო კონვეიერები, რამაც საამწყობრო დრო 1 1/2 საათამდე შეამცირა (12 1/2 საათიდან); დაიწყო მანქანების დიფერენციაცია წლიური მოდელის, ფასის, ფუფუნების ხარისხის და სოციალური სტატუსის მიხედვით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეამცირა მანქანის ფასი: ფორდის T მოდელი 290 $ ღირდა, რაც საშუალო ფენის ამერიკელის 3 თვის ხელფასზე ნაკლები იყო; თუმცა ამერიკელებს საოცნებო მანქანების შეძენის ახალი შესაძლებლობაც გაუჩნდა - ეროვნული სამომხმარებლო საკრედიტო სააგენტოები, რომლებიც კრედიტს არ იშურებდნენ ამერიკელების ოცნების ასახდენად. ასე რომ, თუ 1920 წელს ქვეყანაში 9 მლნ მანქანა იყო მხოლოდ, 1929 წლისთვის მათმა რიცხვმა 17 მლნ-ს გადააჭარბა, ანუ ყოველ მე-5 ამერიკელს საკუთარი მანქანა ჰქონდა, რომელთა 60% კრედიტზე იყო ნაყიდი, ხშირად საპროცენტო განაკვეთი 300%-ს აღწევდა(შედარებისთვის: იმავე პერიოდში ინგლისში მხოლოდ ყოველ 37-ე ადამიანს, ხოლო საფრანგეთში ყოველ მე-40-ს ჰქონდა მანქანა).

ავტომობილმა რევოლუციურად შეცვალა ამერიკული ცხოვრების წესი, საგრძნობლად გაიზარდა ყოველდღიური ცხოვრების ტემპები და დააკნინა სიკვდილის შიში. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ მანქანამ ოჯახური ერთიანობა განამტკიცა საღამოს სეირნობების, პიკნიკების, შაბათ-კვირის

ექსკურსიების გზით. კრიტიკოსები კი აცხადებენ, რომ მანქანამ გაამწვავა დაპირისპირება მშობელსა და შვილებს შორის: გაჩნდა დავის ახალი საგანი – მანქანის გამოყენების გრაფიკი; შემცირდა ეკლესიებში საკვირაო ლოცვებზე დამსწრეთა რიცხვი, 20-იანი წლების ახალგაზრდა ამერიკელებმა დაკარგეს ჯოჯოხეთის შიში, არც სამოთხისადმი ძველებური ლტოლვა შერჩათ, რელიგიურ რიტუალებზე დასწრებას მათ ქალაქგარეთ გართობა ერჩივნათ; ყველაზე უარესი კი, კრიტიკოსთა აზრით ის იყო, რომ მანქანამ უსაზღვრო თავისუფლება მიანიჭა შეყვარებულ წყვილებს, ის მათ მობილურ საწოლად ემსახურებოდა.

ავტომობილთან ერთად, სამომხმარებლო ეკონომიკის ემბლემები იყო ტელეფონი და ელექტროგანათება. 20-იანი წლების ბოლოსთვის ამერიკული ოჯახების 2/3-ს ელექტროგანათება ჰქონდა და ნახევარს – ტელეფონი. დენიფიცირებამ და სიახლისადმი უსაზღვრო ლტოლვამ ამერიკელებს ახალი მოწყობილობების გამოყენების შესაძლებლობა მისცა: მათ წარმატებით აითვისეს მაცივარი, სარეცხი მანქანა, ტოსტერი, ამ პერიოდში გაიყიდა 8 მლნ მტვერსასრუტი. მაცდური რეკლამები აცხადებდნენ, რომ „შრომის დამზოგი" მოწყობილობები შეამცირებდნენ ოჯახურ მძიმე ერთფეროვან სამუშაოს, მთავარი იყო სიახლის სურვილი, შესაძენად საჭირო თანხას კი საკრედიტო საგენტო გაიღებდა. როგორც ცნობილია, სიახლისკენ ლტოლვა ამერიკელების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, ასე რომ, 1924 წელს ოჯახების 90% უკვე აქტიურად იყენებდა ელექტროუთოს. ახალი მოწყობილობების დანერგვამ არა თუ შეამცირა დიასახლისის ყოველდღიური დატვირთვა, პირიქით - ფრიად გაზარდა იგი, რადგანაც დაიხვეწა სისუფთავის სტანდარტები: სოციალური შეგნება ფეხდაფეხ მისდევდა ტექნოლოგიურ განვითარებას.

ცნობილია, რომ ახალი საგნის გამოგონებაზე არანაკლები ნიჭი სჭირდება მის ცხოვრებაში დანერგვას, 20-იანი წლების ამერიკაში ამ პრობლემის თანამედროვე გადაწყვეტას მიაგნეს რთული სარეკლამო კამპანიების სახით; ბიზნესმენები ცნობილ ფსიქოლოგებს ქირაობდნენ მომგებიანი სარეკლამო ფრაზების შესაქმნელად, ასე რომ, 1929 წლისთვის ამერიკაში წლიურად რეკლამაზე 29 მლნ $ იხარჯებოდა. ფაქტიურად, 20-იანი წლების ამერიკელებს ფულისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეაცვლევინეს: თუ ვიქტორიანულ ეპოქაში ფულს შესანახად შოულობდნენ, 20-იან წლებში მომავალ შემოსავალსაც წინასწარ ხარჯავდნენ, ამის მიზეზი ცდუნებათა ახალ-ახალი ტალღები იყო, მათ შორის ფირმების საცალო მაღაზიები, რომლებმაც მთელი ქვეყანა მოიცვა.

ტექნოლოგიურმა განვითარებამ სოციალურ, პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად უდიდესი ცვლილებები გამოიწვია ამერიკელთა წეს-ჩვეულებებში, ყო-

ფაში.20-იან წლებში ძველი დოგმების წინააღმდეგ ბრძოლამ ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო: ამას დიდად შეუწყო ხელი ქალის როლის გააქტიურებამ, ფაქტიურად, ამ დეკადაში დაიწყო ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ახალი, თანამედროვე სტანდარტის ჩამოყალიბება (რამაც 60-იან წლებამდე გასტანა). პირველ მსოფლიო ომში ამერიკელი მამაკაცების გაწვევამ ბევრი ვაკანსია გააჩინა, რაც ლოგიკურად ქალებმა შეავსეს; მოსამსახურე ქალი კი საკუთარ თავში გაცილებით უფრო დარწმუნებული და თამამი იყო: სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ის ამაყად შედიოდა სალონში და კაცების გვერდზე 1 ჭიქა არალეგალურ სასმელს მიირთმევდა, სახალხოდ აბოლებდა სიგარეტს, ქანცის გაწყვეტამდე ცეკვავდა ბარებსა და რესტორნებში. ვიქტორიანული შეზღუდვებისაგან გათავისუფლებულ ქალებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ტრადიციული, ძირითადად ვალსის ტიპის ცეკვები, საჭირო იყო იმ დროს უსაზღვროდ პოპულარული ჯაზის რიტმებისთვის ფეხის აწყობა და ასე გაჩნდა ბლექ ბოთომი, ფოქსტროტი, ჩარლზსტონი...

ახალმა საზოგადოებრივმა ნორმებმა საგრძნობი კვალი დატოვა ამერიკელი ქალის ტანისამოსზე და ზოგადად, მის გარეგნობაზე: თუ ჯერ კიდევ 1919 წელს რიგით ამერიკელ ქალს კოჭებამდე ქვედაბოლო, შიგნით კი კორსეტი ეცვა, 20-იანი წლების ბოლოსკენ კაბის სიგრძე მუხლს მიუახლოვდა (1920 წლამდე კაბის სიგრძე ქალის სიმაღლის 10% იყო, 1927წელს – 25%), კორსეტი კი თითქმის საერთოდ გამოვიდა ხმარებიდან, მუქი ბამბის გრძელი წინდები თხელმა ნეილონის გამჭვირვალე ან ფერადმა კოლგოტკებმა შეცვალა, გრძელ სადად უკან გადაწეულ ბუნებრივი ფერის თმას მოკლე ბიჭურად შეჭრილი (ხშირად გამომწვევ ფერად შეღებილი) ვარცხნილობა ჩაენაცვლა, ერთი სიტყვით, 20-იანი წლების ამერიკელი ქალი მაქსიმალურად ცდილობდა გათანაბრებოდა და დამსგავსებოდა მამაკაცს. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ რაც უფრო დიდი იყო მიმსგავსების ხარისხი, მით უფრო მეტ კოსმეტიკურ საშუალებას იყენებდა ქალი; სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა „კოცნაგამძლე“ პომადები, ტონალური კრემები და სხვა თანამედროვე კოსმეტიკური საშუალებები. სტატისტიკური კვლევის მიხედვით, დეკადის ბოლოსთვის ამერიკელი ქალები წელიწადში 750.000$-ზე მეტს ხარჯავდნენ კოსმეტიკაზე, ყოველ მოზრდილ ქალზე წელიწადში 450 გრამი სახის პუდრი და 8 ცალი რუმიანის კომპლექტი იყიდებოდა; ბაზარზე გამოტანილი იყო 2500 დასახელების სუნამო და 1500 დასახელების სახის კრემი.

ცვლილებები შეეხო საზოგადოებაში სასაუბრო თემებს, წამყვან თემად იქცა ბიზნესი (დეკადის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი „The Man Nobody Knows“ /კაცი, რომელსაც არავინ იცნობს/ იესო ქრისტეს ნომერ პირველ ბიზმესმენად განიხილავდა) და სექსი. 20-იანი წლების ქალები დაუფა-

რავად უზიარებდნენ ნაცნობ მამაკაცებს თავიანთ პირად სექსუალურ გამოცდილებას.

დეკადის სულისკვეთება აიტაცა და წარმატებით გამოიყენა კინოინდუსტრიამ და პრესამ. პირველი ამერიკული ტაბლოიდი 1919 წელს გაჩნდა „Daily News"-ის სახით, 5 წელიწადში მისმა ტირაჟმა ყველა სხვა გაზეთისას გადააჭარბა ნიუ იორკში, გაჩნდა ჟურნალის ახალი ტიპი, ე.წ. "გამხელები" , სადაც მოთხრობილი იყო რომანტიკული ისტორიები, სასიყვარულო წარმატებებითა და წარუმატებლობით, გაყრით, ღალატით... ქვეყანაში ამ ჟურნალების ბუმი იყო კროსვორდებთან ერთად. იგივე წარმატებით გამოიყენა სექსის პოპულარული თემა კინოინდუსტრიამ, გაჩნდა ფილმები "Up in Marbel's Room" /მარბელის ოთახში/, "Her Purchase Price" /მისი ფასი/, "A Shocking Night" /შოკის მომგვრელი ღამე/ და სხვა მსგავსი. საერთოდ, პოპულარულმა თემებმა, კინოვარსკვლავთა სისტემის შემოღებამ (იდუმალი დედოფალი გრეტა გარბოს სახით, ვნებიანი საყვარელი რუდოლფო ვალენტინოს სახით), ახალი ჟანრების შექმნამ (სათავგადასავლო, სექს-კომედიები, ახალგაზრდობის თანამედროვე ცხოვრების და სექსუალური თავგადასავლების ამსახველი), სპეცეფექტების უხვად გამოყენებამ კინო მასობრივი გართობის კერად აქცია. თუ 1920 წელს კვირაში 50 მლნ ამერიკელი მიდიოდა კინოში, 1929 წელს მათმა რიცხვმა 90 მლნ-ს გადააჭარბა; ერთი გამოკვლევის მიხედვით, 20-იან წლებში დახარჯული თითოეული დოლარიდან 83 ცენტი კინოზე იხარჯებოდა, მოსახლეობის 3/4 რეგულარულად ყოველ კვირა დადიოდა კინოში. სწორედ 20-იან წლებში მიიღო ამერიკულმა კინოინდუსტრიამ თანამედროვე სახე: მისი ცენტრი ნიუ იორკიდან ჰოლივუდში გადავიდა, გაჩნდა კერძო სტუდიები (Paramount, 20th Century Fox, MGM და სხვ.) თავიანთი სადისტრიბუციო ქსელებით მთელს მსოფლიოში, დაინერგა კონტრაქტის სისტემა.

კინოს მსაგავსად, ამერიკული მასობრივი კულტურის განვითარებაზე სპეციფიკური გავლენა იქონია 20-იანი წლების რადიომ; მან ერთგვარად გააერთიანა ერი შერწყა რა ინფორმაცია, გართობა და რეკლამა. ფსიქოლოგიის გათვალისწინებით შერჩეული პროგრამები დღითიდღე ზრდიდა რადიოს მიზიდულობის ძალას, თუ 1921 წელს მხოლოდ 26 კერძო რადიოსადგური იყო, 1929 წელს მათი რიცხვი 700-ს აჭარბებდა, ამ დროს მას 10 მლნ ოჯახი უსმენდა მთელს ქვეყანაში. რადიომ შეარყია რეგიონალური განსხვავებები და შემოიღო ყველასათვის ერთიანი გემოვნება და ცხოვრების სტილი; მედიის არც ერთ სხვა ფორმას არ შეეძლო ისე სწრაფად შეექმნა გმირი თუ ანტიგმირი, როგორც რადიოს. როცა ჩარლზ ლინდბერგმა 1928 წელს ატლანტიკის ოკეანეს გადაუფრინა და ნიუ-იორკიდან პარიზში ჩაფრინდა, ეს ფაქტი რადიომ მთელს ქვეყანას ამცნო და ლინდბერგი ფაქტიურად ერთ ღამეში ერო-

ვნულ გმირად იქცა.

რადიო პროგრამებშიც კინოინდუსტრიის მსგავსად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სექსის თემას 20-იან წლებში მოდური სიმღერების სახით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სექსის თემის (და არა მარტო მისი) უსაზღვრო პოპულარიზაციის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ზიგმუნდ ფროიდის შრომებს, რომლებიც 20-იანი წლების ამერიკელების საყვარელ სალაპარაკო და საკითხავ თემას წარმოადგენდა; ყველა ოჯახს განურჩევლად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა აუცილებლად გააჩნდა ფროიდის შრომების ინგლისური თარგმანი. საერთოდ, ფსიქოლოგია 20-იანი წლების ამერიკაში მანიად იქცა. ყოველი ამერიკელი ცდილობდა ყველა სიტუაციისათვის ფსიქოლოგიური ახსნა მოეძებნა, გაჩნდა ბესტსელერები "Psychology of Golf" /გოლფის ფსიქოლოგია/, "Psychology of the Poet Shelley" /პოეტ შელის ფსიქილოგია/, "Psychology of Selling Life Insurance" /სიცოცხლის დაზღვევის გაყიდვის ფსიქოლოგია/ და სხვ. ამერიკელმა ახალგაზრდებმა ფროიდი მოიშველიეს თავისუფალი სექსუალური ცხოვრების აუცილებლობის დასამტკიცებლად; გავრცელდა აზრი, რომ ფროიდის მიხედვით უმჯობესია თავისუფლად გამოხატო შენი სექსუალური ენერგია, რადგან მისი შეზრუდვა უბრალოდ საზიანოა ჯანმრთელობისათვის. სწორედ ეს გაიხადეს მაშინდელმა ახალგაზრდებმა ცხოვრების კრედოდ; სპეციალური გამოკვლევის მიხედვით, 20-იანი წლების ბოლოსკენ ქალთა 47%-ს ქორწინებამდელი სექსუალური კავშირი ჰქონდა, თუმცა ძირითადად მხოლოდ მომავალ მეუღლეებთან.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შედეგად დაიწყო ზოგადად ქორწინებაზე ამერიკელთა შეხედულების მნიშვნელოვანი შეცვლა 20-იან წლებში: თუ ადრე ოჯახის მეთაურად მამაკაცი ითვლებოდა და მას ევალებოდა ცოლ-შვილის რჩენა, გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ქალს შვილების აღზრდა, შინაური ცხოველების მოვლა და საოჯახო საქმეების კეთება, 20-იანი წლებიდან დაიწყო ფუნქციების თანაბარი გადანაწილება. ასეთ ახლებურ პრინციპზე აგებული ოჯახები უფრო მეტად იყვნენ ბედნიერნი, ვიდრე ძველი ტრადიციების მიმდევარი წყვილები. ერთ-ერთი სოციოლოგის თქმით, „სექსზე არსებული ტაბუების დამსხვრევამ ახალგაზრდებს საშუალება მისცა ქორწინებისადმი უფრო ჯანსაღი დამოკიდებულება ჩამოეყალიბებინათ". ერთ დროს მყარი სოციალური წარმონაქმნი – ოჯახი - თანდათან კარგავდა თავის ფუნქციებს, მისი დანგრევა-შენარჩუნება უშუალოდ წყვილის ინდივიდუალურ ნებაზე გახდა დამოკიდებული და არა სოციალურ გარემოზე, რამაც დანგრეული ოჯახების რაოდენობა გაზარდა.

ამრიგად, 1920-იან წლებში ამერიკაში დაიწყო საზოგადოების ახალი მო-

დელის ჩამოყალიბება, იმ მოდელისა, რომელსაც დღემდე მიყვება მსოფლიოს დიდი, ცივილიზებული ნაწილი; თუმცა იმდროინდელი ამერიკული სულისკვეთება დღევანდელისაგან საგრძნობლად განხვავდებოდა: იყო სიახლის და ნებაყოფლობითი ექსპერიმენტის შეგრძნება, რაც ერთობ მიმზიდველი იყო ექსპერიმენტში მონაწილეთათვის, თუმცა იმავე მოვლენებს ეჭვის თვალით უყურებდნენ გარეშე დამკვირვებლები, ისინი, ვინც ამ ცვლილებებს არ იზიარებდნენ და არც ამართლებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვასო კაჭარავა. მშრალი კანონი ამერიკაში. "განათლება", თბილისი, 1991.
2. George Brown Tindall, David E. Shi. America - A Narrative History, W.W.Norton & Company, New York, 1992.
3. F. Scott Fitzgerald, Echoes of Jazz Age.
4. Frederick Lewis Allen, Only Yesterday - An Informal History of the 1920's, Harper Perennial Press, 1992.
5. Frederick Lewis Allen, The Big Change-America Transforms Itself 1900-1950, Perennial Library, 1969.
6. Ellis W. Hawley, The Great war and the Search for Modern Order, St. Martin's Press, New York, 1979.
7. S.E. Morison, H.S. Commager, W.E. Leuchtenburg, The Growth of the American Republic, Volume 2, Oxford University Press, 7th edition, 1980.
8. W.E. Leuchtenburg, The Perils of Prosperity 1914-1932, The University of Chicago Press, 1958.
9. The Twenties: Fords, Flappers and Fanatics, Edited by George E.Mowry, Prentice-Hall Inc., 1963.

ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა

რეზო თაგუკაშვილი
მწერალი

ჩვენი ამერიკა

ჩვენ ამერიკას ბავშვობიდან ვიცნობთ. ყველა თავისი ბავშვობიდან. მდინარე მისისიპის ტივით ვართ ჩამოყოლილი თავქარიან ჰეკლბერი ფინთან ერთად და განძის საძებნელად დავყვებოდით ტომ სოიერს. საომარ ბილიკზე გასული უნკასები და სიმენოლების ბელადი ოცეოლები ვიყავით. ორმოცდათხუთმეტ გრადუსიან ყინვაში ტერფებმოყინულები თოვლით ვიზელდით სხეულს, ჩრდილოეთის ნათების სამთავიან მზეებს ვუსწორებდით მზერას და ცეცხლამდე მიღწეულები, გაუფილტრავი ვისკით შემთბარები მელმუტ კიდის საქმის გარჩევებს ვესწრებოდით მეორმოცე მილზე. ეს ჩვენი ამერიკა იყო. ჩვენს ლოგინებში, შეყვითლებულ-დასურათებულ ფურცლებზე აღმოჩენილი ქვეყანა, რომელიც გვიყვარდა და რომელსაც ვუყვარდით. ჩვენთვის ახლო იყო პოკერ-ფლეტელი განდევნილების გასაჭირი და ბრონქსის ერთ-ერთი სხვენიდან დანახული ვარსკვლავი სახელად უილი ჯექსონი. მაგრამ ეს ქვეყანა დამთავრდა წარსულში. (მართალია იგი თავიდან და თავიდან აღმოსაჩენია ყველა ბავშვისათვის).

ადრე, ვგულისხმობ საბჭოთა პერიოდს, ჩვენამდე ამერიკული ლიტერატურის, კინოს, საერთოდ ხელოვნების, გაცრილი პროდუქცია აღწევდა, ანუ საუკეთესო ნაშრომები, იშვიათობის გამოკლებით. ამ მიზეზის გამო ძნელი იყო ამ ქვეყნის სრულყოფილი სახის წარმოდგენა. თან ერთვოდა საბჭოთა აგიტაციის გაკაპასებული გინება აშშ-ის მიმართ, რაც უკურეაქციას იწვევდა ჩვენში და ერთგვარი გაიდეალიზება მოახდინა „ამერიკული ოცნების“ და „ამერიკული ცხოვრების წესის“. ყველაფერ ამას ძალიან შეუწყო ხელი ლიტერატურამ. ლიტერატურის მაგიურმა ძალამ. მან იმ ჭრილში დაგვანახა იქაური სამყარო, რომ ჩვენ სულიერი ნათესაობის აღმოჩენა შევძელით. მე ის დროც მახსოვს როდესაც თითქმის ყველა ბინაში ჰემინგუეის ფოტო ეკიდა და გა-

გონილი მაქვს, რომ ცოტათი ადრე ერისის მიბაძვით დადიოდა ნახევარი თბილისი.

გაიხსნა გზები, ცები და ზღვები და გამოჩნდა რომანტიულ საბურველმოშორებული ამერიკა. დიდი, ძლიერი, ხანდახან საშიში და უცხო. განსხვავებული ჩვენგან და ჩვენი ამერიკისგან, მაგრამ შემქმნელი და გამჩენი იმ ავტორების და მათი გმირების, რომლებმაც ნანატრი სამყარო გვაჩუქეს.

ცოტა ხნის წინ ამერიკაში მოვხვდი. მე მას უკვე სხვადასხვა სახით, პროფილით, გამოხშირვებით ვიცნობდი. ვიცოდი (და ახლაც ვიცი), რომ ეს არ არის ნანატრი, ნაოცნებარი ქვეყანა, მაგრამ იქ კვლავ შეიძლება მიგნება და პოვნა გარემოსი, რომელიც ჩვენთვის ასე ძვირფასია. მრავალფეროვანი და მრავალსახიანია ამერიკა და დღეს ჩვენ თვითონვე გვიხდება „საცერის" მოშველიება, რომ ზუსტად დავლექოთ ის საჭირო მხარეები, რომლებიც საქართველოსთვის აუცილებელი და მისაღები იქნება. ასეთი კი ბევრი რამ არის ამერიკაში, რისი ათვისებაც ჩვენს ქვეყანას წაადგება.

მარტის თვეში G.I.OC. მიერ დაფინანსებული ქართველების რვაკაციანი ჯგუფი ამერიკას ვეწვიეთ. ჯგუფში სხვადასხვა პროფესიის ხალხი იყო თავმოყრილი: მწერლები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, მასმედიის წარმომადგენლები. ამერიკის სამ უნივერსიტეტში, -სენტ-ლუისი, ვირჯინია, ვაშინგტონი, - დისკუსიები გვქონდა დანიშნული, საქართველო-ამერიკის შესახებ.

მე წარვადგენდი ალმანახს „New Century", სადაც ქართველ ავტორთა ინგლისურად ნათარგმნი ტექსტები არის გამოქვეყნებული. ეს ალმანახი შეიქმნა ჟურნალ „XX საუკუნის" ბაზაზე და მის პირველ ნომერში კლუბ „XX საუკუნის" 13 ავტორი დაიბეჭდა. ასეთი რაოდენობით თანამედროვე ქართული ლიტერატურა ამერიკაში პირველად მოხვდა. ბატონი გია ჭანტურიას ფინანსური დახმარებით და ძალისხმევით იქნა ეს შესაძლებელი. მოგეხსენებათ რამხელა ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული მხოლოდ თარგმანი, იშვიათ მწერალს შესწევს ძალა დამოუკიდებლად, საკუთარი ხარჯებით მცირე ზომის მოთხრობის თარგმნაც კი.

ალმანახში წარმოდგენილია განსხვავებული ასაკის თანამედროვე მწერლები. მათი ნაშრომები სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო „XX საუკუნეში". ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალი „XX საუკუნე" 1994 წელს დაარსდა ზაალ სამადაშვილის რედაქტორობით. მოგეხსენებათ რა ვითარება იყო მაშინ, როდესაც კულტურისთვის, ლიტერატურისთვის არავის ეცალა და „რა დროს ამაღლებულზე ფიქრია, როდესაც ფიზიკურ გადარჩენაზეა ლაპარაკიო", ამგვარი განწყობილებები სუფევდა. სწორედ მაშინ და სწორედ გადასარჩენად

გაჩნდა „XX საუკუნე“. იქიდან მოყოლებული დღემდე თერთმეტი ნომერი გამოვიდა, რომელშიც სამოცდაათამდე ქართველი და უცხოელი ავტორი დაიბეჭდა. მისი დახმარებით ბევრ მწერალს წერის სტიმული მიეცა და სწორედ მის ერთგულ მკითხველს, გია ჭანტურიას გაუჩნდა სურვილი, რომ ქართული ლიტერატურის გეოგრაფიული საზღვრები გაფართოებულიყო.

ამერიკის უნივერსიტეტებში შეხვედრები გვქონდა ლიტერატურული წრის წარმომადგენლებთან, (და არა მარტო). მათ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ალმანახის და საერთოდ მათთვის უცნობი ქართული ლიტერატურის მიმართ. როგორც მოგახსენეთ ეს პირველი გაჭრილი ფანჯარა იყო ქართული მწერლობისთვის და იმედია არა უკანასკნელი. მოგზაურობის დაგვირგვინება, კონგრესის ბიბლიოთეკაში გამართული ალმანახის წარდგინება გახლდათ. მწირი ინფორმაციის გამო, ქართულ ლიტერატურას მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა მათ კატალოგში. მანდვე დაგვპირდნენ მომავალ დახმარებებს თარგმანთან დაკავშირებით. ჩვენი ალმანახი კონგრესის ბიბლიოთეკის კატალოგებში და კომპიუტერულ საიტებში შეიყვანეს.

ამ საქმის პლიუსებს რომ გადავხედოთ, უნდა აღინიშნოს მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარების პერსპექტივა. ხშირი დასაქმებით ჩვენი მთარგმნელების ნაშრომების ხარისხიც პრაქტიკასთან ერთად კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ბევრი რამ არის ქართულ ლიტერატურაში, რისი წარდგენაც საჭიროა და აუცილებელი მკითხველისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლიტერატურის მაგიური ძალა ამერიკელებსაც დაეხმარებათ ქართველების და საქართველოს ზუსტ ჭრილში აღსაქმელად.

ქეთევან დგებუაძე
ახალგაზრდა ლიტერატორთა
რესპუბლიკური ცენტრი

თანამედროვე ლიტერატურული პროცესები ამერიკაში და ახალგაზრდა „ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის“ მიერ მათი პოპულარიზაცია საქართველოში

ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი, როგორც თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა და იურიდიულად გაფორმდა 1989 წელს. ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი სამართლიანად ატარებს პირველი ალტერნატიული ლიტერატურული გაერთიანების სახელს. მისთვის იმთავითვე პრიორიტეტული გახდა საუკეთესო ლიტერატურული მემკვიდრეობის შემოქმედებითად გააზრება და ახალი ლიტერატურული მიმდინარეობების წარმოჩენა.

ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის პერიოდულ სალიტერატურო გამოცემებში ორასზე მეტი ახალგაზრდა ქართველი შემოქმედის ნაწარმოებები პირველად დაიბეჭდა, ასზე მეტი უცხოელი ავტორი გაიცნო მკითხველმა, რომელთა უმრავლესობის შესახებ საქართველოში თითქმის არაფერი იცოდნენ.

ახალგაზრდა ლიტერატორთა რესპუბლიკურმა ცენტრმა სცადა აგრეთვე დამოუკიდებელ კავშირებზე გასვლა უცხოეთის ანალოგიურ ორგანიზაციებთან. ამ მცდელობის მიზანი იყო ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთულ გამომცემლობებთან, ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებთან და ცალკეულ პიროვნებებთან, ვინც კი საკუთარი შემოქმედებით ქმნის უახლოეს ლიტერატურულ მიმდინარეობებს, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის აქტიურ გაცვლას, მთარგმნელობითი საქმიანობის გაფართოებას, ახალგაზრდა ხელოვანთა მხატვრული სიტყვის გატანას საზღვარგარეთ, ჩვენში ამჟამად მიმდინარე ლიტერატურული პროცესებით ფართო აუდიტორიის დაინტერესებას და ა.შ. შევეცდები უფრო დაწვრილებით გაგაცნოთ ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის საქმიანობა 1990-1998 წლებში.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნე ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრისათვის თავიდანვე პრიორიტეტული გახდა საუკეთესო ლიტერატურული მემკვიდრეობის შემოქმედებითად გააზრება და ახალი ლიტერატურული მიმდინარეობების წარმოჩენა, რაც საკმაოდ ფართო სპექტრით და ენთუზიაზმით კეთდებოდა ცენტრის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე: “რუბიკონის“, “მესამე გზის“, “სერაფიმის თეატრის“, ალმანახ “გრაალის“ და სხვა

საგანმანათლებლო–ინფორმაციული პუბლიკაციების სახით ავანგარდზე, აბსტრაქციონიზმზე, დადაიზმზე, ვიზუალურ პოეზიაზე და საერთოდ დასავლეთის ხელოვნებასა და კულტურაზე, რაც, ვიმედოვნებ დღესაც არაა მნიშვნელობას მოკლებული გარკვეული კატეგორიის ქართველი მკითხველისათვის. გამოვყოფ პოეტისა და კრიტიკოსის დავით ჩიხლაძის პუბლიკაციებს და თარგმანებს, მათ შორის – სიუზან სონტაგის წერილებს: "ტრაგედიის სიკვდილი", დიკ ჰიგინსის – XX საუკუნის ამერიკული ავანგარდის თვალსაჩინო ფიგურის, კომპოზიტორის, პოეტის, "ფლაქსუსის" მიმდინარეობის ერთ–ერთი პიონერის და სულისჩამდგმელის წერილი – "მოწყენილობა და ხიფათი" და სხვ. აგრეთვე სტატიები: "რას კითხულობს ამერიკა" , ინტერვიუ ალენ გინზბერგთან; შოთა იათაშვილის და თამუნა ნოსელიძის სტატიებს და თარგმანებს გაზეთ "სერაფიმის თეატრში" — დადაიზმზე, სიურეალიზმზე, ფუტურიზმზე, ბალიურ თეატრზე და სხვ; დარეჯან კაპანაძის თარგმნილი წერილები: ჰარი პოლკინჰორნის და ჯოფრე კუკის საუბრები ვიზუალურ პოეზიაზე, სტატიები: "იდეებიის ხელოვნება და მედია თაობა 1968-დან 1986-წლამდე", და "ლივინგ-არტი 1939 წლიდან 1970-იან წლებამდე", სადაც აღწერილია პერფორმანსის ხელოვნების ჩასახვა და განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნიუ-იორკში 1962-63 წლებში ჩატარებული ერთწლიანი "იემ" ფესტივალი.

აგრეთვე სიუზან სონტაგის წერილი – "ჰეპენინგები: რადიკალური დაპირისპირების ხელოვნება", სადაც ავტორი გვაცნობს 60-იან წლებში ნიუ-იორკში სპექტაკლის ახალი, ეზოთერული, ჟანრის წარმოშობის შესახებ, რომელიც ერთი შეხედვით გამოფენისა და თეატრალური სანახაობის ნაჯვარს წარმოადგენს და მას ეწოდა მოკრძალებული, მაგრამ გარკვეულწილად გამაღიზიანებელი სახელი-ჰეპენინგი.

ჰეპენინგებს აწყობდნენ ძირითადად ახალგაზრდა მხატვრები: ალან კეპროუ, რედ გრუმსი, რობერტ უიტმენი, იოკო ონო და რამდენიმე მუსიკოსიც. მათგან ჰეპენინგის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის ფორმირებასა და განვითარებაში ყველაზე მეტი წვლილი მიუძღვის ალან კეპროუს, რომელიც ამ საქმის პროფესიონალად იქცა.

"რუბიკონის" 1993 წლის 36-ე ნომერი მთლიანად დაეთმო ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვას, რაშიც ძალიან დაგვეხმარა ამერიკელი პოეტი და კრიტიკოსი, ჟურნალ "ატიკუს რევიუს" რედაქტორი ბ-ნი ჰარი პოლკინჰორნი, რომელმაც გამოგვიგზავნა ჟურნალი–"ამერიკული წიგნის მიმოხილვა". ეს ერთადერთი გამოცემაა, რომელსაც ორ თვეში ერთხელ უშვებს კოლორადოს უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი და რომელიც აშუქებს როგორც

მცირეტირაჟიან ავანგარდულ, რეგიონალურ და საუნივერსიტეტო პრესასა, ისე მსხვილ, კომერციულ გამომცემლობათა საქმიანობას. ამით იქმნება მეტ-ნაკლებად სრული სურათი იმისა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს თანამედროვე ამერიკულ მწერლობაში.

ამავე ნომერშია დ. ჩიხლაძის და კარლო კაჭარავას სტატიები: "რას გვაძლევს ამერიკული ლიტერატურა". მოვახდენ ციტირებას: "ამერიკული ლიტერატურა ჩემთვის იგივეა, რაც ცხოვრება. ეს არის სივრცე, რომელიც არც იწყება, არც მთავრდება მაგიდასთან"-წერს თავის პუბლიკაციაში დ. ჩიხლაძე.

დამეთანხმებით, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია უცხოური ლიტერატურის თარგმნა ქართულად. მითუმეტეს, რომ თანამედროვე ავტორთა თარგმნა უფრო საპასუხისმგებლო პროცესია. ამდენად, მეტად სასიხარულოა, რომ ჩვენში არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ ქართულ კულტურას. ახალგაზრდა ლიტერატორთა რესპუბლიკურ ცენტრში 1991-98 წლებში ითარგმნა და გამოქვეყნდა ორმოცზე მეტ ამერიკელ ავტორთა ნაწარმოებები.

მათგან განსაკუთრებით გამოვყოფ მოდერნიზმის პერიოდის პოეტებს:

ეზრა პაუნდი - იგი ავანგარდის ყველაზე ავტორიტეტულ ფიგურას წარმოადგენდა. ის იყო ამერიკულ ლიტერატურაში უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობის "იმაჯიზმის" ლიდერი. 1915 წელს მან შეადგინა ანთოლოგია სახელწოდებით – " იმაჯისტები", სადაც აღნიშნავდა, რომ "იმაჯიზმის" ამოცანას შეადგენდა თემატიკის თავისუფლება, თანამედროვე რიტმიკის ძიება, სწორი ლექსის უარყოფა და სასაუბრო ენის ფართო გამოყენება.

თ. ს. ელიოტი – გაზეთ "რუბიკონის" ფურცლებზე წარმოდგენილი იყო მისი პოემის – "ფუტურო ხალხი", სამი სხვადასხვა ავტორის(შ. იათაშვილის, ზვიად გამსახურდიას, ზ. რატიანის) თარგმანები.

ითარგმნა აგრეთვე რობინსონ ჯეფერსის, ედვარდ ქამინგსის, ლენგსტონ ჰიუზის ლექსები. ეს უკანასკნელი ამერიკელი ზანგი პოეტია, რომელმაც ამერიკის ყველაზე ნიჭიერ ზანგ პოეტად დაიმკვიდრა თავი, ამასთან ახალი პოეტური ენისა და ფორმების შემომტანადაც იქცა. ჰიუზის ბლუზები, სპირიჩუალსები, ბალადები სწორედ ამ ზანგური სასიმღერო ტრადიციიდან მომდინარეობს. დღეს იგი უკვე კლასიკად იქცა და დიდი ამერიკელი პოეტების რიგში თავისი მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა.

რაც შეეხება ამერიკულ პოეზიას 1945 წლის შემდეგ, გამოვყოფ ე. წ. "ბიტნიკებს" – "ბიტ გენერაციის" პოეტებს: ალენ გინზბერგს, ჯეკ კერუაკს, უილიამ ბაროუზს, რომელთა შემოქმედება ფართოდ იყო წარმოდგენილი ჩვენი გაზეთების ფურცლებზე. მათი პოეზია არის ტკივილის და მრისხანების

შეძახილი, რადგან ისინი ხედავენ თუ როგორ კარგავს ამერიკა თავის უბინოებას, ადამიანებს თუ მატერიალურ რესურსებს. ითარგმნა ალენ გინზბერგის პოემა – "ღმუილი" და ლექსები.

ჯეკ კერუაკმა – ამერიკულ ლიტერატურაში სპონტანური პროზის სტილი შემოიტანა. ამ თვალსაზრისით იგი უდიდესი ნოვატორია. არანაკლებ საყურადღებოა მისი პოეტური ნამუშევრები. კერძოდ ლექსები, რომლებიც შესულია ქორალების ცნობილ კრებულში – "მექსიკო სიტი ბლუზი". სწორედ ეს ქორალები თარგმნეს ახალგაზრდა ლიტერატორებმა. აღნიშნული წიგნი სრულად გადმოგვცემს ე. წ. "ბიტ გენერაციის" მსოფლმხედველობას და ესთეტიკას – იგი ხასიათდება წმინდა ამერიკული სამეტყველო ენის კოლორიტით, რიტმით, მუსიკალობით, ამერიკული საზოგადოების ფსევდოფასეულობების უარყოფით და აღმოსავლური ფილოსოფიურ–რელიგიური მოტივებით.

აგრეთვე ითარგმნა ნიუ-იორკის სკოლის წარმომადგენელი, პოსტ – მოდერნისტული ლირიკის ლიდერის ჯონ ეშბერის ლექსები. რაც შეეხება 1945 წლის შემდგომი პერიოდის ამერიკული პოეზიის და პროზის წარმომადგენლებს ითარგმნა: ჯეიმს რაიფი, მაიკლ პალმერი, ელიოტ უაინბერგერი, ლორენს ფერლინგეტი – იგი 50-იანი წლების ამერიკული ნონკონფორმიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მის მიერ 70-იან წლებში დაწერილი "პოპულისტური მანიფესტის" თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთ "რუბიკონის" ფურცლებზე.

50-იანი წლების პროზაიკოს ავტორთაგან, რომელთა ნაწარმოებებიც თარგმნეს ცენტრის ახალგაზრდა ლიტერატორებმა, გამოვყოფ შემდეგ ავტორებს:

ტენესი უილიამსი – "გოგონას სახე შარავანდედში";
ფლენერი ო 'კონორი – "უპირველესად კოჭლები შევლენ";
ჯონ ჩივერი – "მარტოობის სიამენი" ;
სელინჯერი – ნოველები;
ჯეიმს ფერბერი – "დოკ მარლოუ";
გერთრუდ ოთერთონი – "საყვირი იძახის ნისლში".

და მრავალ სხვა ავტორთა ნაწარმოებები (თარგმანთა სია თან ერთვის ტექსტს). რაც შეეხება ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის მიერ იმავე წლებში ჩატარებულ ღონისძებებს, აღვნიშნავ:

1992 წელს საქართველოში პირველად განხორციელდა დ. ჩიხლაძის პროექტი – ჩატარდა "ვიზუალური პოეზიის და მეილ არტის" გამოფენა, რომელმაც 35 ხელოვანის ნამუშევრებს მოუყარა თავი 15 ქვეყნიდან, სადაც თვითონ დ. ჩიხლაძის ორსიტყვიანი კომპოზიციები იყო წარმოდგენილი.

დღეს ვიზუალური პოეზიის მრავალი ჟურნალი გამოიცემა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: ეწყობა ინტერნაციონალური გამოფენები, გამოიცემა კვლევითი მასალები და ანთოლოგიები. რაც შეეხება საქართველოს, ვიზუალური პოეზიის შორეული სათავეების მოძიების თვალსაზრისით საინტერესოა ჯგუფის "41 გრადუსი" მოღვაწეობა თბილისში, 10-იანი წლების ბოლოს, რომლის ორგანიზატორიც იყო ილია ზდანევიჩი (ილიაზდი). ამ ჯგუფმა და პირადად ილია ზდანევიჩმა დაგვიტოვა ერთ-ერთი ადრეული ნიმუშები ვიზუალური წერისა, რაც მართალია, მკრთალი, მაგრამ მაინც დამახასიათებელი სათავეებია ვიზუალური პოეზიისა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პერიოდული გაზეთის **"მესამე გზის"** 1994 წლის 21-ე ნომერი მთლიანად მიეძღვნა ილია ზდანევიჩის შემოქმედებას და ვიზუალურ პოეზიას. ამავე ნომერშია წარმოდგენილი ჰარი პოლკინჰორნისა და ამერიკული ელიტარული ხელოვნების წარმომადგენლის ჯოფრე კუკის საუბრები ვიზუალურ პოეზიაზე. ფაქტიურად ამ ნომერში მკითხველს შეუძლია გაეცნოს ვიზუალური პოეზიის განვითარებას საქართველოში, ამერიკაში, რუსეთში.

თბილისში განხორციელებულ ვიზუალური პოეზიის ამ პროექტს სხვა ასპექტიც გააჩნდა, კერძოდ წარმოდგენილი იყო "მეილ არტის" გამოფენაც. "მეილ არტი" 4 ათეული წლის წინათ წარმოიშვა და დღეს იგი გაცილებით მომცველი მოძრაობაა, ვიდრე 20-იან წლებში "დადა" და სამოციან წლებში – "ფლაქსუსი". 40-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა მხატვარმა რეი ჯონსონმა ჩამოაყალიბა "ნიუ-იორკის კორესპონდენციის ხელოვნების სკოლა".

ამგვარად, "მეილ-არტი", როგორც ხელოვანთა ქმედება, თანამედროვე დროში საუკეთესო პასუხია ადამიანთა ურთიერთგაუცხოებაზე. ეს არის შემოქმედებითი რგოლი, რომელიც აერთებს ერთი განმარტოებულის სამყაროს მეორე განმარტოებულის სამყაროსთან, განმარტოებულთა ერთი ათასეულის სამყაროებს-განმარტოებულთა მეორე ათასეულის სამყაროებთან და შეაგრძნობინებს მათ, თუ როგორ ქმედითად არიან გარშემორტყმულნი მეგობარი ხელოვანებით, მათი სიყვარულით და ყურადღებით, რის შედეგადაც იქმნება ჯანმრთელი და კეთილი სულის ხელოვნება.

1993 წლის გაზაფხულზე ქარვასლამ უმასპინძლა დ. ჩიხლაძის პერფორმანსთა ციკლს. პერფორმანსის არსის განსაზღვრას აქ არ შევუდგები, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ თეატრალური წარმოდგენისაგან განსხვავებით, იგი ხასიათდება მოქმედების წყვეტილი და ალოგიკური, შინაარსობრივ ქარგას მოკლებული განვითარებით, წინასწარ დაწერილი სცენარის უქონლობით, ხოლო ტექსტობრივი მხარე აქ მაინც მეორადი მნიშვნელობის მქონეა. დ. ჩიხლაძის პერფორმანსში ჩამოყალიბდა ისეთი ფორმა, როგორიცაა პოეტური

პერფორმანსი, ანუ წარმოდგენა, რომელშიც პერფორმანსის ტრადიციულ ელემენტებთან ერთად, პოეტური სიტყვა სრულფასოვან ელემენტად აღიქმება. სწორედ ამგვარი ხასიათისა იყო პერფორმანსი **"შაშვის ჭახჭახი და ბალანსი"**, რომელსაც საფუძვლად დაედო ლექსის **"მეტრო"** სინქრონული ერთობლივი კითხვა დარბაზში მოძრავ ადამიანთა ჯგუფის მიერ, რაც გარკვეულ აკუსტიკურ ეფექტს ქმნის და ჩვენ თვალწინ გაიელვებს მეტროს ქაოსი მთელი თავისი სინამდვილით და დრამატიზმით. პერფორმანსისთვის დამახასიათებელი თვისება ხომ სწორედ ეს არის – არ ქმნის რაიმე მატერიალურ პროექტს ნაწარმოების სახით, რადგან ამგვარი შემოქმედების შედეგი თავად ქმნადობის პროცესშია ჩადებული.

1993 წელსვე შეიქმნა **"ადიტი თეატრად"** წოდებული **"მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის"** თეატრი, სადაც აქტიურად მოღვაწეობდა დ. ჩიხლაძე, თუმცა სამწუხაროდ ისიც დაიხურა. სწორედ დ. ჩიხლაძეს ეკუთვნის დიკ ჰიგინსის, XX საუკუნის ამერიკული ავანგარდის თვალსაჩინო ფიგურის, კომპოზიტორის, პოეტის, სტატიის თარგმანი: : "მოწყენილობა და ხიფათი", რომელიც სპეციალურად "ადიტი" თეატრისთვის იქნა გამოგზავნილი მის მიერ 1991 წელს შესრულებული საკუთარი პერფორმანსის სქემასთან ერთად, განმეორებითი შესრულებისათვის ("სერაფიმის თეატრი" №3, 1997.).

ამგვარად, როგორც ლიტერატორთა რეცპუბლიკური ცენტრის მოღვაწეობის მცირე ექსკურსიდან ჩანს შესაძლებლობათა მაქსიმუმამდე თვისობრივი ნახტომისათვის, ნიადაგი შევამზადეთ და პროცესი შეწყდა... უნიჭიერესი ახალგაზრდობა ბედის ანაბარად დაგვრჩა. იძულებით შევაჩერეთ გაზეთი "მესამე გზა", "სერაფიმის თეატრი", ალმანახი "გრაალი" და ბოლოს გაზეთი "რუბიკონი".

საზოგადოების არცერთ ფენას არ გამოუჩენია თანადგომის გულისხმიერება. უფრო მეტიც, იდეის გამზიარებელიც არავინ აღმოჩნდა. დავიწყეთ კომერციული გამოცემების რეალიზება, რამაც შეინირა ძვირფასი დრო, შემოქმედებითი ენერგია და ნიჭის რესურსები.

ეს მწარე გამოცდილებაა. მან მიგვიყვანა პროგრესული ძალების გაერთიანების იდეამდე. თუ ამჯერად მაინც, რეალობად იქცევა საქმიანი მხარდაჭერის იმედი, ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი შეძლებს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას და თავისი გამოცდილებით მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ახალი ლიტერატურული პროცესების აღმავლობას.

ამასთან, არ გვინდა ჩვენი მოღვაწეობა ცალმხრივად წარმოჩინდეს, ჩვენ მხარს ვუჭერთ კულტურათა დიალოგს, ამერიკის კულტურის მიღწევები ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ ამავე დროს საქართველოსაც გააჩნია პოტენციალი,

პოზიტიური მიღწევები ცივილიზებული სამყაროსათვის ხელმისაწვდომი გახადოს. ამდენად, კულტურათა დიალოგი და არა რომელიმე ქვეყნის იდეოლოგიური "მონოლოგი" გვესახება ურთიერთობის ყველაზე საუკეთესო და გამართლებულ ფორმად. თუნდაც ის ფაქტი, რომ დღევანდელი მსოფლიო, ცივილიზაციათა შეჯახებებს არა კულტურათა დიალოგით, არამედ ტერორიზმის სასტიკი გამოვლინებით პასუხობს, კიდევ ერთხელ განგვიმტკიცებს იმ აზრს, რომ კაცობრიობა ერთიანია, ყველამ ყველას სატკივარი უნდა გაიზიაროს.

ახალგაზრდა ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი საკუთარი ძალებით ცდილობდა და ცდილობს ამერიკის კულტურის გაცნობას და პოპულარიზაციას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ სამწუხაროდ ფინანსური სირთულეების გამო საპირისპირო პროცესი ჩვენი ძალებით არ ხელგვეწიფება. თუ იქნება სათანადო ნება და დაინტერესება, რომ ქართული რეალობიდან გამომდინარე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ითარგმნოს და გამოიცეს ამერიკელი მკითხველისათვის, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კულტურათა დიალოგს ჩვენს ქვეყნებს შორის, ვინაიდან, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, კულტურათა დიალოგი უნდა იყოს ორმხრივი.

ამერიკელ მწერალთა ნანარმოებების თარგმანთა სია

1. **ლენგსტონ ჰიუზი** – "მწუხარე ბლუზი", "შავი მარიამი". მთარგმნელი – დარეჯან კაპანაძე.
2. **ლენგსტონ ჰიუზი** – "ჯიბეგაბხეკილი ბიჭის ბლუზი", "ყმაწვილი ქალის ბლუზი", "ჰაეროვანი ბლუზი საღამოთი", "ოხვრა სიყვარულზე", "ოცნებების შემნახველი", "აპრილის წვიმის სიმღერა", "ბილეთი ცალ მხარეს", "დედა და ქალიშვილი". მთარგმნელი – შოთა იათაშვილი.
3. **კარლ სენდბერგი** – "ბავშვური სიმღერა", "ვარსკვლავები, სიმღერები, სახეები","ღამის ნიუ - იორკი", "მკვლელები", "ქალი - კოლიბრი", "ბალახი", "ლუქსი", "სამი სიტყვა". მთარგმნელი – შოთა იათაშვილი;
4. **ედგარ ალან პო** – "დუმილი" (იგავი), "ლეგენდა". მთარგმნელი – დარეჯან კაპანაძე;
5. **ედგარ ალან პო** – "ელდორადო". მთარგმნელი – ვასილ გულეური;
6. **ჰენრი ლონგფელო** – "წვიმიანი დღე", "XXX". მთარგმნელი – ვასილ გულეური;
7. **ალენ გინზბერგი** – "ღმუილი"(პოემა), "მზესუმზირის სუტრა"(ლექსი). მთარგმნელი – შოთა იათაშვილი;
8. **ალენ გინზბერგი** – "სუპერმარკეტი კალიფორნიაში". მთარგმნელი – დარეჯან კაპანაძე;
9. **ალენ გინზბერგი** – "შუადღის სიეტლი". მთარგმნელი – დათო ჩიხლაძე;

10. ჯეკ კერუაკი – "47-ე ქორალი", "132-ე ქორალი", "146-ე გუნდი" (ციკლიდან "მექსიკო სიტი ბლუზი"). მთარგმნელი – დარეჯან კაპანაძე.

11. ლორენს ფერლინგეტი – "პოპულისტური მანიფესტი". მთარგმნელი – ბექა ბარქაია;

12. ანა კრისტი – "იელისის მთვარე", "დაკარგული უიკენდი", "მე რომ ვიყო". მთარგმნელი – დარეჯან კაპანაძე;

13. სილვია პლატი – "მიუნხენური მანეკენები". მთარგმნელი – დარეჯან კაპანაძე;

14. ტ. ს. ელიოტი – "ფუტურო ხალხი". მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

15. ტ.ს. ელიოტი – "ფუტურო ხალხი". მთარგმნელი – ზვიად გამსახურდია;

16. ტ.ს. ელიოტი – "ფუტურო ხალხი". მთარგმნელი – ზვიად რატიანი;

17. ეზრა პაუნდი - "ბოშა", "დამატებითი მითითებანი", "ხელშეკრულება", "დაშთენილთადმი", "წარგზავნა". მთარგმნელი – დათო ბარბაქაძე

18. ე. კამინგზი – ლექსები. მთარგმნელი – დ. ჩიხლაძე;

19. ადრიან მიტჩელი – "წინაპრები". მთარგმნელი – ზვიად რატიანი;

20. ჯერომ სელინჯერი – " ნაეში"(ნოველა). მთარგმნელი – დ. კაპანაძე;

21. კარლ სენდბერგი – "სამ – სამი". მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

22. ვეჩელ ლინძი – "ჯაზი სასტუმროში". მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

23. გარი კროუკერი – "სავსე მთვარე", "ტაქსონომია", "ამბიცია", "ზეცნობიერი". მთარგმნელი – დ. კაპანაძე;

24. რობინზონ ჯეფერსი – ლექსები. მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

25. ლორენს ფერლინგეტი – "სამყარო საუკეთესო ადგილია", "პოეტის თვალი უტიფრად ხედავს", "ჩვეულებრივ მე ვამბობ", "ტყეები სადაც მიედინება მდინარეები", "ზღვის პეიზაჟი მზით და არნივით", "პოპულისტური მანიფესტი", "ადამიანთა ბაზარზე", "რვა ადამიანი გოლფის სათამაშო მოედანზე". მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

26. ჯეიმს რაითი – "გამომშვიდობება კალიფორნიის პოეზიასთან", "ზამთრის მინურულს ღობეს როცა გადავაბიჯე", "ლოცვა", "გვიანი ნოემბერი ველად", "იმ ჭორის პასუხად", "თვალი პატიოსანი", "შიში აღმაგზნებს", "მორალისტური ლექსი, თავისუფლად გადმოღებული საფოდან", "ლექსი საყრდენზე", "მშვენიერი ოჰაიო", "დიახ, მაგრამ". მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

27. ჯონ ეშბერი – "სიყვარულის პოემა", "ჩემი ეროტიკული ასლი", "ცისფრის განსაზღვრება", "ატოშას სადგურის მიტოვება", პოემიდან "ლიტანია". მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

28. მაიკლ პალმერი – "შრეებად", "განსჯის სოფელი", "როგორც ნამდვილი სახლი", "ღამის ცა", "ფრაქტალური სიმღერა". მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

29. ელიოტ უაინბერგერი – "ოცნება ინდოეთზე"(ფრაგმენტები). მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

30. სიუზან სონტაგი – წერილები: "ინტერპრეტაციის წინააღმდეგ", " ჰეპენინგები: რადიკალური დაპირისპირების ხელოვნება". მთარგმნელი – დ. კაპანაძე.

31. სიუზან სონტაგი – წერილები: "ტრაგედიის სიკვდილი". მთარგმნელი –

დათო ჩიხლაძე;

32. რ. შეკლი – "დიპლომატიური ხელშეკრულება". (ფანტასტიკური მოთხრობა). მთარგმნელი – ნოდარ გაფრინდაშვილი;

33. დინო დოლორეს – "ბალადა № 7262". მთარგმნელი – ზვიად რატიანი;

34. ედგარ ლი მასტერსი – "გორაკი" (ლექსი). მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

35. რ. უორენი – "გამრავლების ტაბულა" (ლექსი). მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

36. გვენდოლინ ბრუქსი – "ცერცვისმჭამელნი"(ლექსი). მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

37. რ. დანქენი – "პერსეფონე" (ლექსი). მთარგმნელი – დათო ბარბაქაძე;

38. ჯენის იანგი – "წიწილის წვნიანი" (ლექსი). მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

39. რ. პედი – "ოთხი ლექსი" (ლექსი). მთარგმნელი – შ. იათაშვილი;

40. სტივ ლატრელი – "ძნელი გაკვეთილები" (ლექსი). მთარგმნელი – დ. ჩიხლაძე;

41. რ. ჯეფერსი – " კონტინენტის კიდე","ღრმა ჭრილობა", "კასანდრა", "ჩემი სამარე", "ქვეყნიერების საოცრებანი". მთარგმნელი – დ. ბარბაქაძე;

42. დილან ტომასი – "ესმის ციხე-კოშკის ყურებს", "ძალა რომელიც მწვანე პატრუქით ანთებს ყვავილებს". (ლექსები). მთარგმნელი – თამარ ერისთავი;

43. ტენესი ვილიამსი – „გოგონას სახე შარავანდედში" (მოთხრობა). მთარგმნელი – ელენე დოლაქიძე;

44. გერთრუდ ოთერთონი – "საყვირი იძახის ნისლში" (მოთხრობა). მთარგმნელი – ელენე დოლაქიძე

45. ჯონ ჩივერი – "მარტოობის სიამენი" (მოთხრობა). მთარგმნელი – ელენე დოლაქიძე

46. ფლენერი ო' კონორი – "უპირველესად კოჭლები შევლენ"(მოთხრობა). მთარგმნელი – ელენე დოლაქიძე;

47. ჯეიმს ფერბერი – "დოკ მარლოუ". მთარგმნელი – ელენე დოლაქიძე.

REPUBLICAN LITERATURE CENTRE

(The list of translating materials)

1. Langhston Hughes – Poems Translator – D. Kapanadze;
2. Langhston Hughes – Poems Translator – Shota Latashvili;
3. Carl Sandburg – Poems Translator – Shota Latashvili;
4. Edgar Alan Poe – "Silence"(sable), "Legend". Translator – D. Kapanadze
5. Edgar Alan Poe – "Eldorado"(poem). Translator – Vasil Guleuri;
6. Henry Longfellow – Poems Translator – V. Guleuri;
7. Alan Ginsberg – "Howl" (poem), "Sunflowers Sutra" (poem). Translator – S. latashvili;
8. Alan Ginsberg – "Supermarket in California"(poem). Translator – D.

Kapanadze;

9. Jack Kerouac – Poems. Translator – D.Kapanadze;

10. Lawrence Ferlinghetti – Poem. Translator – Beqa Barqaia;

11. Ana Christy – Poems. Translator – D. Kapanadze;

12. Silvia Plath– Poems. Translator – D.Kapanadze;

13. Thomas Stearns Eliot – "The Hollow Men"(poem). Translator – S. Latashvili;

14. Thomas Stearns Eliot = "The Hollow Men". Translator – Zviad Gamsakhurdia;

15. Thomas Stearns Eliot – "The Hollow Men". Translator – Zviad Ratiani;

16. Ezra Pound – Poems. Translator – Dato Barbaqadze;

17. E. Kumings – Poems. Translator – David Chikhladze;

18. Adrian Mitchell – Poem. Translator – Zviad Ratiani;

19. Jerome Selinjer – "In the Boat"(novel). Translator – D.Kapanadze;

20. K. Sandburg – "Threes"(poem). Translator – S. latashvili;

21. Harry Croaker – Poems. Translator – D. Kapanadze;

22. James Right – Poems. Translator – D. Barbaqadze;

23. John Eshber – Poems. Translator – D. Barbaqadze;

24. Maicl Palmer – Poems. Translator – D. Barbaqadze;

25. Susan Sontag – Letters:"The Death of Tragedy". Translator – D. Chikhladze;

26. Robert Shakly – Fiction. Translator – Nodar Gaprindashvili;

27. Dino Dolores – Poem. Translator – Zviad Ratiani;

28. Dylan Tomas – Poems. Translator – Tamar Eristavi;

29. E. Masters – Poem. Translator – S. Latashvili;

30. Tennessee Williams – "Portrait of a Girl in Glass"(Fiction). Translator – Elen Dolaqidze;

31. Gertrude Atherton – "Foghorn"(Fiction). Translator – Elen Dolaqidze;

32. John Cheever – "Joys of Solitudes"(Fiction). Translator – E. Dolaqidze;

33. James Thurber – "Doc, Marlow"(Fiction). Translator – E. Dolaqidze.

34. Flannery O' Conner – "The Lame Shall Enter First". (Fiction).

35. Translatore – E. Dolaqidze. Dick Higgins – Letter: "Sadness and Dangerous". translator – D. Chikhladze.

მაია ჩარქსელიანი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

„ლოლიტა“ – ნაბოკოვის პრობლემატური რომანი

1946 წელს ვლადიმერ ნაბოკოვი ედმუნდ უილსონს წერდა: "რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ჭეშმარიტი მწერალი მხოლოდ ისაა, ვისაც მკითხველის მოჯადოება შეუძლია..." ხელოვნება ხომ მისთვის, უპირველეს ყოვლისა, მშვენიერებასთან ასოცირდებოდა, ესთეტურ სიამოვნებასთან, მდგომარეობასთან, როცა ყოფიერების სხვა ფორმებთან გრძნობ კავშირს, ფორმებთან, სადაც სიკეთე და სილამაზეა ყველაფრის საწყისი და ცენტრი. სამაგიეროდ, მწერალი გულგრილი იყო მორალიზმისა და დიდაქტიკისადმი და ხშირად ცდილობდა, დაეკონკრეტებინა, რომ გლობალური პრობლემებითა თუ სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით არასოდეს დაინტერესებულა. "ლოლიტას" შესახებ კი აი, რას წერდა: „დიდი ინტერესითა და გატაცებით ვმუშაობდი ამ რომანზე, ნაწარმოებზე, რომელიც არც სოციალურ-მორალურ დატვირთვას ატარებს და არც დიადი იდეების აღმოჩენას ემსახურება. მე ხომ მხოლოდ თავსატეხების შეთხზვა მიყვარს“.

ეს რომანი არაჩვეულებრივი სიცხადით წარმოაჩენს იმას, რომ ხელოვნება სარკე კი არ არის, სადაც არსებული რეალობა აისახება, არამედ პრიზმა, რომ ლიტერატურა თავად ქმნის სინამდვილეს. იქიდან გამომდინარე, რომ სამყაროში არ არსებობს ისეთი ხედვა, პერსპექტივა, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, სრულ რეალობას წარმოადგენს, ნაბოკოვი "რეალობის" კომპლექსურ სურათს გვიხატავს, რათა წარმოაჩინოს, რომ "რეალობა" შეუცნობელია, მის ილუზიას გვიქმნის.

მთხრობელი და პროტაგონისტი ჰუმბერტი იმ ილუზორული სამყაროს მონაა, რომელსაც სიტყვები ქმნიან. ჩვენთვის კი ამ სამყაროს კარები მხოლოდ მას შემდეგ გაიღება, როცა გადავლახავთ მისტიკურ ზღვარს და სიტყვებია მიღმა არსებულ სივრცეში შევაღწევთ (თუმცა, როგორც ერთი თანამედროვე ქართველი კალმოსანი იტყოდა: "ნაწერი სიტყვა თუ არ წაიშალა, მაშინ ვერ დაინახავ იმას, რასაც ეს სიტყვა მიანიშნებს–აღნიშნავს, ხოლო თუ ნაიშალა, მაშინაც ხომ მითუმეტეს ვერაფერს დაინახავ"). ჰუმბერტი აჩრდილების, ილუზიის სამყაროს მკვიდრია და მისი მასაზრდოებელი ილუზიაც ისაა, რომ რივიერაზე გატარებული დრო დაიბრუნოს. თუმცა ეს ილუზია მას

ანადგურებს. თავადვე აცხადებს, რომ რეალობასა და ილუზიას შორის საერთო მათ გამანადგურებელ ძალაშია. რომანში ეს საკითხი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ბოლოს თავად ჩრდილი, ჰუმბერტი, ანადგურებს საკუთარ აჩრდილს, ქილთის.

ჰუმბერტი უდიდესი ესთეტია. მისი პედოფილია კი სწორედ უკიდურესი ესთეტიზმის სიმბოლური გამოხატულებაა. ნაბოკოვი კლინიკურ, ტიპურ პედოფილს კი არ გვიხატავს, რომელიც ძალადობას ყოველთვის მსხვერპლის მკვლელობით ასრულებს, არამედ მანიაკ ესთეტს, რომლის სიყვარულიც მხატვრული ფორმის შექმნის ანალოგიად ქცეულა. დამკვიდრებული მორალური და ზნეობრივი ნორმები ჰუმბერტისათვის აბსოლუტურად უცხოა. რომანის დასაწყისშივე ცდილობს რა, აზიაროს მკითხველი იმ სილამაზესთან, რასაც ნიმფეტების ტრფიალი შეიძლება ვუწოდოთ, დებულების სახით აყალიბებს ნიმფეტის შეცნობისათვის აუცილებელ პირობებს. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია სუბიექტური მომენტი, "უნდა იყო სიგიჟის ზღვართან მისული ხელოვანი", რომ ამოიცნო ნიმფეტი, ცხრა-თოთხმეტი წლის გოგონა, რომელიც აუცილებელი არ არის, განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდეს.

ჰუმბერტისათვის დრო შეჩერებულია, ის ესთეტურად აღქმულ დროში ცხოვრობს, რომლის სიმბოლოც რეალური დოლორეს კი არ არის, არამედ ლოლიტას ხატია. აქვე უნდა დავაზუსტოთ ისიც, რომ გოგონასთვის, სახელად დოლორეს ჰეიზ, დრო შეუქცევადია, მისთვის ის მართლაც მიედინება, რადგან იგი ობიექტურ დროში არსებული რეალური გოგონაა. აქედან გამომდინარე, იცვლება დროის სვლასთან ერთად, ანუ ბერდება. სულ სხვაა ჰუმბერტის ცნობიერებაში არსებული ლოლიტას მხატვრული სახე, ხატი, რომელიც შემდეგი კომპონენტების შერწყმას წარმოადგენს: დოლორეს ჰეიზ, სხვადასხვა პატარა ნიმფეტები, ჰუმბერტის ანაბელ ლი, პოს ანაბელ ლი.

ჰუმბერტისათვის ლოლიტას სიყვარული წარმოადგენს უმწვავეს განცდას იმისა, თუ როგორია ჩაკეტილ დროში ცხოვრება, ხოლო „დროის საპყრობილე სფეროსებრი ფორმის ჩაკეტილი სივრცეა". ნაბოკოვი, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ აგნებს იმ საშუალებას, რომლითაც ადამიანს შეუძლია თავი დააღწიოს დროის ტყვეობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს ერთადერთი საშუალება არის ხელოვნება, მხატვრული შემოქმედება. მაგრამ ეს ნაბოკოვია და არა ჰუმბერტი, რომელიც გაყინული დროის მკვიდრად რჩება. „სამეფო ზღვის სანაპიროზე" რომანში მარადისობის სიმბოლოა. თომას მანის სიტყვები მისივე რომან "ჯადოსნური მთის" შესახებ ზუსტად მიესადაგება განსახილველ საკითხს. ის წერს, რომ "ჯადოსნური მთა" დროის პრობლემაზე

დაწერილი ნაწარმოებია, სადაც ეს თემა მთელი რომანის მხატვრულ ქსოვილშია რეალიზებული. მთავარი პერსონაჟი კი, მოქცეულია რა უდროო სამყაროში, ცდილობს უარყოს დრო და მაგიურ უძრაობას ეზიაროს". ჰუმბერტიც თითქოს ანალოგიურ უდროო სამყაროშია მომწყვდეული, სადაც ყველაფერი ერთ მარადიულ მომენტშია გაყინული. მიუხედავად იმისა, რომ რომანში აშკარად ლინეარულ თხრობასთან გვაქვს საქმე, ხშირად გვეუფლება განცდა, რომ მოქმედება კი არ პროგრესირებს, არამედ ტრიალებს. სიუჟეტური თანამიმდევრობა არეულია და აიძულებს რა მკითხველს მუდმივად უკან დაბრუნდეს(არა მხოლოდ აზრობრივად გაიხსენოს უკვე წაკითხული, არამედ ხელახლა წაიკითხოს), ქმნის მკითხველის ცნობიერებაში ზედროულობის ეფექტს. უმბერტის ცნობიერება კი მუდმივად უბრუნდება გაყინულ მომენტს („სამეფოს ზღვის სანაპიროზე"), წრებრუნვის მარადიულ ცენტრს.

ჰუმბერტი თორმეტი წლის ნიმფეტას ესთეტურ მირაჟად აქცევს. იგი იგონებს, საკუთარი ფანტაზიით ქმნის ლოლიტას, რომელსაც საკუთარი აღარაფერი დარჩენია – „არც ნება–სურვილი, არც ცნობიერება და არც სიცოცხლე". ასეთ მენტალურ უზურპაციას ჰუმბერტის მხრიდან გამანადგურებელი შედეგი მოყვება, რასაც ის იმით ამართლებს, რომ პოეტია, ხოლო "პოეტები არასოდეს კლავენ", და აჰყავს რა საკუთარი პიროვნება ნამდვილი პოეტის რანგში, ყველაფერს უკვე ისე განიხილავს, როგორც ხელოვნებას. თუმცა ვერანაირი ხელოვნებით შეინიღბება ის ფაქტი, რომ "ვიღაც მანიაკმა დოლორეს ჰეიზის ბავშვური უმანკოება შეიწირა."ასე რომ, ჰუმბერტი აბსოლუტური, სოლიფსისტური ესთეტიზმის კრახს გამოხატავს.

ეს რომანი თითქმის მთლიანად სხვადასხვა ლიტერატურულ თუ მითოლოგიურ სიუჟეტთა პაროდირებას წარმოადგენს. უნდა დავაზუსტოთ, რომ ნაბოკოვისეული პაროდია ვინმეს "დაცინვას" ან "გამასხარავებას" კი არ გულისხმობს, არამედ ლიტერატურული განზოგადების შემცველია და წარმოადგენს წარსულის მხატვრულ ნააზრევთან ირონიულ არდათანხმებას.

„ლოლიტა" ტრადიციული სასიყვარულო სიუჟეტის და სასიყვარულო რომანის, ხოლო თავად ჰუმბერტი, სხვა სირთულეებთან ერთად, გამიჯნურებული რაინდის პაროდიაა. მაგალითად, მაშინ, როცა ანაბელთან პოს მხოლოდ პლატონური გრძნობები აკავშირებს, ჰუმბერტის დამოკიდებულება ნიმფეტისადმი გაცილებით უფრო ხორციელი, მიწიერია. თითქოს სურს ნაბოკოვს, დაგვანახოს დაკნინება, დამდაბლება ყველაფრისა, რომ თანამედროვე სამყაროში რომანტიკული სწრაფვა იდეალისადმი უსაფუძვლო და ამაოა.

ჯონ რეის წინასიტყვაობა გავრცელებული რეცენზიული სტილის პაროდიაა, რომანის პირველი მოკლე თავი კი – პაროდია იმ გრძელი და მოსა-

წყენი შესავლებისა, რომლებიც ტრადიციულ რომანებში გვხვდება და რომლებიც აუცილებელია მკითხველის ფსიქოლოგიურად თუ სოციალურ-მორალურად შემზადებისათვის.

ნაბოკოვი მაქსიმალურად ცდილობს , მთელი სიტუაციის პაროდიულობა დაგვიხატოს ("სასტუმროს დერეფნის პაროდია. პაროდია მდუმარებისა და სიკვდილისა"). ჰუმბერტისათვის ეს ყველაფერი პაროდიაა, რადგან "რეალობა" მისთვის აღარ არსებობს. პაროდიაა ნაბოკოვისთვისაც, რადგან სამყარო ხელოვნების ნიმუშში არარეალურია. თუმცა როგორც მარიან მორი აცხადებდა, პოეზია არის "ბაღნარი ცოცხალი გომბეშოებით."

ეს რომანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი პაროდია დეტექტურ ჟანრზე. "ლოლიტას" მკითხველს ხომ არაერთი თავსატეხის ამოხსნა უწევს, რათა ქილთისთან დაკავშირებულ უამრავ საიდუმლოებას მოუძებნოს გასაღები. ამ თვალსაზრისით დეტექტიური ჟანრის "მამად" წოდებული მწერლის, პოს, ფრაზას თუ გამოვიყენებთ, რომანს შეიძლება ვუწოდოთ „თხზულება, რომელიც მეთოდოლოგიურ-ლოგიკურ აზროვნებას მოითხოვს მკითხველისაგან"("a tale of ratiocination"). საერთოდ, ნაბოკოვი ედგარ პოს ძალიან ხშირად მიმართავს, დაკვირვებული მკითხველი უამრავ მსგავსებას აღმოაჩენს ჰუმბერტსა და პოს შორის, მაგალითად ის, რომ ოცდაშვიდი წლის პომ ცამეტი წლის საკუთარი ბიძაშვილი, ვირჯინია ქლემი, მოიყვანა ცოლად, რომელიც ცხრა წელიწადში გარდაიცვალა და მისი მრავალი ლექსის შთაგონებად იქცა. ის ფაქტიც უთუოდ მნიშვნელოვანია, რომ ჰუმბერტი სასტუმროში ედგარის სახელით რეგისტრირდება და რამდენიმეჯერ იყენებს ამ სახელს სხვა სიტუაციაშიც.

ნაწარმოებში შემოაქვს ნაბოკოვს დოპელგანგერის (doppelganger) თემაც. ქლეა ქილთი ჰუმბერტის ორეულია თავისი ყველა სახესხვაობით—გუსტავ თრეფი, ვიღაც დანტისტი, გასტონ გოდინი. იგი ჰუმბერტისა და ლოლიტას ჩრდილადაა ქცეული მთელი ნაწარმოების მანძილზე. ქილთი მთხრობელს თავისი ბიძა, თრეფი (Trapp), ჭგონია, რაც ინგლისურში "მახეს", "ხაფანგს" ნიშნავს. ასე რომ, ქილთი ჰუმბერტის დანაშაულისა და ფსიქოლოგიური ორეულის პაროდიაა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქილთი ჰუმბერტის ვულგარული აჩრდილია (ანუ ჰუმბერტი ესთეტიზმის გარეშე). მაშინ როცა მთხრობელი არის სწავლული, ჰუმანიტარი, ავტორი ფრანგული ლიტერატურის შედარებითი ისტორიისა, გამომსახველობის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ქილთი მხოლოდ კალამბურებისა და რამდენიმე უნიჭო პიესის შექმნას თუ ახერხებს.

საერთოდ, "ლოლიტაში" ძალიან ძნელი გასარკვევია, მართლა არსებობს

ეს ორეული პროტაგონისტისა, თუ ის მხოლოდ რეალურად არსებული პერსონაჟის ფანტაზიის ნაყოფია. ეს საკითხი არის მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის გადასაწყვეტი და გახლავთ ნაწარმოების ექსტრატექსტუალური მახასიათებელი, როცა შენ არა მხოლოდ კითხულობ, არამედ თავად მონაწილეობ ნაწარმოების შექმნაში, რადგან შენი გადასაწყვეტია, რას ჩათვლი "რეალობად" და რას არა. ნაბოკოვი ხომ ყოველთვის გვახსენებს, რომ მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ ილუზიას გვიქმნის, რაც "რეალობად" არ უნდა მივიჩნიოთ.

საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ქილთის მკვლელობა და შემდგომ ამისა ლოლიტასთან ვიზიტიც მხოლოდ ჰუმბერტის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს და "რეალობასთან" არაფერი აკავშირებს. ამ მოსაზრებას შემდეგნაირად ვხსნით: ნაწარმოების ბოლოს საპყრობილეში მყოფი ჰუმბერტი წერს, რომ ამ რომანზე მუშაობა 56 დღის წინ დაიწყო. ჯონ რეი კი წინასიტყვაობაში ჰუმბერტის გარდაცვალების ზუსტ თარიღს ასახელებს–1952 წლის 16 ნოემბერი. აქედან გამომდინარე, რომანის წერა მას 22 სექტემბერს დაუწყია. ეს კი ის თარიღია, როცა ჰუმბერტი იღებს წერილს ლოლიტასგან. მაგრამ თუ ნაწარმოების მიხედვით ვიმსჯელებთ, წარმოუდგენელია მივიჩნიოთ, რომ იგი ამ დროს ციხეშია, რადგან ამ თარიღის შემდეგ ესტუმრება ლოლიტას და მანმადე მოკლავს ქილთის. ასე რომ, ამ დროს თხზულების წერას ვერ დაიწყებდა. ეს არის ნაბოკოვის მინიშნება იმ ფაქტზე, რომ ჩვიდმეტი წლის ლოლიტასთან ვიზიტი და ქილთის მკვლელობა მხოლოდ ჰუმბერტის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ეს თეორია უფრო სარწმუნოდ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსულ ვარიანტში ავტორი ამ თარიღებზე უფრო დიდ კონცენტრაციას ახდენს.

ჰუმბერტის მსგავსება ქილთისთან სინამდვილეში მისი თვითსიძულვილის გამოხატულებაა („მე ვარ მე და ჩემი შემაძრწუნებელი სხვა" – თომას მანი). ქილთის ამორალიზმი წარმოადგენს სარკეს, რომელშიც აირეკლება ჰუმბერტის ტანჯული ცნობიერება. ქილთის მკვლელობით ჰუმბერტს სურს, საკუთარ თავში ჩაკლას თავისი პიროვნების ის მხარეები, რომლებიც სძულს. ეს მკვლელობა თითქოს ჰუმბერტის სიმბოლურ გათავისუფლებას უნდა წარმოადგენდეს ბოროტებისაგან, მაგრამ ხდება სრულიად საპირისპირო რამ – ჰუმბერტი ამ ტვირთისაგან კი არ თავისუფლდება, არამედ უფრო დიდ სიმძიმეს გრძნობს, ქილთი ახლა არისო "ჩემთან, ჩემზე, ჩემში"–მისი ფიზიკური სიმძიმე კი არ აწუხებს ჰუმბერტს, არამედ იმ დანაშაულის უფრო მძიმე ფიზიკური ტვირთი, რომელიც მან ჩაიდინა. ეს არის მიზეზი იმ უცნაური გრძნობისა, რომელიც ჰუმბერტს მთელი რომანის მანძილზე ტანჯავს – ეს არის ქი-

ლთის ჩრდილის თანდევნის გრძნობა.

რომანში გვხვდება არა მხოლოდ პერსონაჟის პაროდია ორეულის სახით, არამედ ორმაგი პაროდიის შემთხვევებიც, მაგალითად, გასტონ გოდინ, პატარა ბიჭუნების მოტრფიალე. ჰუმბერტი ფსიქიატრის დასკვნაში მოიხსენიება, როგორც "პოტენციური ჰომოსექსუალისტი". ფროიდის ზოგიერთი მიმდევარი კი თვლის, რომ ნიმფეტები ხშირად პატარა ბიჭების შემცვლელებად მოიაზრებიან.

ორმაგი პაროდიის გარკვეულ სახედ შეიძლება ჩაითვალოს ანაბელ-ლოლიტა-ლოლიტას თანაკლასელების საკითხიც, ანუ თუ ვულგარული ლო არის ღვთაებრივი ანაბელის თანამედროვე ვარიანტი, ლოლიტას თანაკლასელები, თავის მხრივ, ნიმფეტის პაროდიულ ორეულებად გვევლინებიან.

ორეულების თემას უკავშირდება უამრავი სარკე და ანარეკლი რომანში, შემთხვევითი მსგავსებები თუ ტყუპები. რადგან "შემთხვევითობის გრძელ, თმიან მკლავს ყოველთვის გამოუჩნდება ხოლმე მოულოდნელი ტყუპი-სცალი". მაგალითად, სარკეები სასტუმროს ნომერში არის სოლიფსიზმის, ყოველისმომცველი ვნების გამომხატველი. როგორც ნობოკოვი რომანში "ჯილდო" წერს: "ჩვენს ამქვეყნიურ სახლში ფანჯრები სარკეებითაა შეცვლილი". ქილთი სარკეების სახლში ცხოვრობს, ჰუმბერტი კი ერთ-ერთის ტყვეობაშია მოქცეული. ყველგან, სადაც მათ ფანჯრები ჰგონიათ, სარკეები ხვდებათ, ანუ ყველა მცდელობა სოლიფსიზმისაგან თავის დაღწევისა წარუმატებლად მთავრდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ რომანის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა. ნაბოკოვი თვლიდა, რომ მისი პირველი შთაგონება საგაზეთო სტატია იყო პარიზის ზოოპარკში ბინადარი მაიმუნის შესახებ, რომელმაც ქაღალდზე რაღაცის გამოხატვა შეძლო და პირველი, რაც მოხაზა, მისივე გალია, მისივე საპყრობილე აღმოჩნდა. აქვე უნდა მოვიყვანოთ ჰუმბერტის ლექსში მოყვანილი ალუზია სტერნიდან: "გალიას თავს ვერ ვაღწევ". ყოველივე ზემოთქმული გამოხატავს ჰუმბერტის უკიდურეს სოლიფსიზმს, რაც მისი ტრაგედიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მთხრობელი თავად აცხადებს: "ის, ვინც მე მეკუთვნოდა, სულ სხვა ლოლიტა იყო, ჩემი საკუთარი ქმნილება, უფრო რეალური ვიდრე ნამდვილი ლოლიტა". ანუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰუმბერტის ვნება ლოლიტასადმი გამოხატულებაა აბსოლუტური სოლიფსისტური ესთეტიზმის კრახისა.

რომანში გვხვდებიან ორეულები და ვითომ–ორეულები, პაროდიები და ორმაგი პაროდიები და რაც კიდევ უფრო საინტერესოა, აქ გვაქვს თხზულება თხზულებაში – ქილთის პიესა „მოჯადოებული მონადირენი". ეს პიესა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ელიზაბეტის დროინდელი ტრადიციის, ხოლო, მეორე

მხრივ, მითოლოგიური სიუჟეტის პაროდიას. ეს გახლავთ მითი ნადირობის ქალღმერთ დიანას (ბერძნულ ვარიანტში—არტემიდეს) შესახებ, რომლის თანახმადაც, მონადირემ, სახელად აქტეონმა, ტყეში ხეტიალის დროს მობანავე შიშველ დიანას მოჰკრა თვალი და მზერა დაუწყო მას. თავხედი მონადირის მოურიდებლობით განრისხებულმა ქალღმერთმა აქტეონი შვლად აქცია და მისსავე ძაღლებს დააგლეჯინა.

ქილთის პიესაში კი, სადაც მთავარი როლი ლოლიტას ერგო, ეს სიუჟეტი შემდეგ სახეს იღებს: დიანა, რომლის როლსაც დოლორეს ჰეიზი ასრულებს, არის ფერმერის ქალიშვილი. ის აჯადოებს მონადირეებს, ბოლოს კი თავად ექცევა ერთ-ერთის ზეგავლენის ქვეშ (მონა დალი)., რომელიც პოეტია და ამტკიცებს, რომ დიანაც და მთელი ეს ამბავიც (მოცეკვავე ნიმფები,ელფები, მონსტრები) მისი გამონაგონია. ბოლოს კუბოკრულ შარვალში გამოწყობილი მონა დიანას მამამისის ფერმის უკან, ტყეში, მიჰყავს, რათა დაუმტკიცოს, რომ ის მისი ფანტაზიის ნაყოფი კი არა, რეალური გოგონაა. უკანასკნელი კოცნა კი აძლიერებს პიესის ძირითად იდეას, რომ რეალობა და ილუზია ერთმანეთს სიყვარულში ერწყმიან.

ეს პიესა მთელი რომანის მინიატურულ მოდელს წარმოადგენს, სადაც განსაკუთრებით საინტერესოა ახალგაზრდა პოეტის (მეშვიდე მონადირის) სახე, რომელიც სულელი და შეშლილია (მის მწვანე ქუდსა და კუბოკრულ შარვალს თუ გავითვალისწინებთ) ჰუმბერტის მსგავსად. მონა დალი, როგორც აღვნიშნეთ, აცხადებს, ყველაფერი, რაც აქ ხდება, ჩემი ფანტაზიის ნაყოფიაო, ანუ ამ ყველაფრის ავტორი მე ვარო. ეს კი ალბათ იმას ნიშნავს, რომ ქილთი მონაში საკუთარ თავს გულისხმობს. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქილთი ჰუმბერტის ორეულია, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონა დალი არის ქილთის, ჰუმბერტის, მათი ყველა სახესხვაობის და, რა თქმა უნდა, ამ პერსონაჟების შემქმნელის, ვლადიმერ ნაბოკოვის, გამაერთიანებელი მხატვრული სახე.

ახლა კი რაც შეეხება იმ უკანასკნელ კოცნას, რომელიც პიესის იდეას გამოხატავს—როცა ჰუმბერტი ორსულ ლოლიტას სთხოვს, გაჰყვეს მას, ერთმანეთს ერწყმის წარსულის მირაჟი (ლოლიტა, როგორც მისი ანაბელ) და აწმყოს სინამდვილე (შარლოტას მსგავს ქალად ქცეული დოლორეს ჰეიზ) სიყვარულში, ანუ ლიტერატურაში, რადგან "ლიტერატურა სიყვარულია".

ნაბოკოვი ერთგან აკონკრეტებს, რომ "სატირა გაკვეთილია, პაროდია კი—თამაში". ნაბოკოვისათვის ხელოვნება, ისევე როგორც ცხოვრება მხოლოდ თამაშია, თეატრალური წარმოდგენა, სადაც მონაწილენი საკუთარ როლებს ასრულებენ და ქრებიან. მათი არსებობა მხოლოდ ამ როლებით შემოიფა-

რგლება. ისინი მხატვრული სამყაროს ჩარჩოებში არიან მოქცეულნი, ჩვენ კი თითქმის არასოდეს განვიცდით მათ ბედს. მაგალითად, როცა შარლოტა ჰუმბერტი ავარიაში მოყვება, გვეუფლება არა სიბრალულის განცდა, რაც სიკვდილთან არის ხოლმე ასოცირებული, არამედ ვინარჩუნებთ აბსოლუტურ ინდიფერენტულობას, რადგან ეს მხოლოდ "მოშორებაა", მოცილება გმირისა— ის თითქოს ამოშალა ავტორმა ნაწარმოებიდან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი არსებობა საჭირო აღარ იყო. ასე რომ, ნაბოკოვს თავისი ქმნილებები მხოლოდ ვერბალური თამაშისათვის სჭირდება.

უფრო მეტიც, მწერალი თამაშობს თავად შემოქმედებითი პროცესით. მთელი რომანი ერთ დიდ თამაშს წარმოადგენს. აქ ხომ არაერთხელაა ნახსენები თავად სიტყვა „თამაში" – ჰუმბერტი თამაშობს ფსიქიატრებთან, თამაშობს ჭადრაკს გასტონ გოდინთან, თამაშობს დაჭერობანას ქილთისთან. თუმცა ყველაზე საინტერესო მისივე აღიარებაა: "მე მხოლოდ სიტყვებით თუ შემიძლია თამაში".

საერთოდ, „ლოლიტა" შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი დიდი ზღაპარი, რადგან როგორც ნაბოკოვი იტყოდა, „დიდი რომანი, უპირველეს ყოვლისა, დიდი ზღაპარია". აქ ზღაპრისათვის დამახასიათებელ სიმეტრიულობას ქმნის სამი პირობითად ძირითადი პერსონაჟი და უამრავი მინიშნება. თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ბედი ზღაპრული პრინცესისა არც თუ ისე ზღაპრულია. მიუხედავად იმისა, რომ ჰუმბერტი მას ბედნიერ დასასრულს სთავაზობს, ლოლიტასგან ის უარს იღებს. რატომ? ეს კითხვა არაერთხელ იბადება რომანის კითხვისას. ნაბოკოვი კი პასუხებს არ იძლევა. მისი პერსონაჟები ხომ „რეალობას" მოწყვეტილნი, ილუზორულნი არიან და მხოლოდ მათი შემქმნელის ნება-სურვილს ემორჩილებიან. ხელოვნება ნაბოკოვთან ღმერთია. ყველა პერსონაჟი ღმერთის მონა და მსახურია. მწერალი ისევე მანიპულირებს მათი ბედით, როგორც ჰუმბერტი ჭადრაკის ფიგურებით. ანუ ეს მანიპულირების პროცესი თავისი არსით ინტელექტუალურია.

ვლადიმერ ნაბოკოვი ქმნის უნიკალურ მხატვრულ სამყაროს, მხოლოდ მისთვის რეალურს, სინამდვილეში მირაჟს, რომელსაც თავად „ახალ სამყაროს" („new mir") უწოდებს და ზემოდან გადმოჰყურებს რა დროის ტყვეობაში მოქცეულ ბრმა და შეზღუდულ ადამიანებს, განასახიერებს „ანთროპომორფულ ღმერთს". საინტერესო და ორიგინალურია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე დაკვირვება, განსაკუთრებით, როცა ღმერთის სიმაღლიდან გადმოჰყურებ გროტესკულთ და ტანჯულთ. ღმერთისა, რომელიც მეორე ფსალმუნში ასეა მოხსენიებული: „მკვიდრი ზეცისა გაიცინებს, უფალი აბუჩად აიგდებს მათ".

ელენე გაგუნია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოცენტი

ჰენრი ჯეიმზის „ექსპერიმენტული პერიოდის" ფილოსოფიური და ესთეტიკური თავისებურებები

ჰენრი ჯეიმზი XIX ს. ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა არა მარტო ამერიკულ, არამედ დასავლურ მწერლობაშიც. მან რომანისა და მოთხრობის ახალი შემეცნებითი და გამომსახველობითი შესაძლებლობები აღმოაჩინა. ჯეიმზისეული თხრობისათვის დამახასიათებელი ბევრი თვისება - "მრავალი თვალსაზრისი", "პროზის დრამატიზაცია", ანალიტიკურობა - აიტაცა და განავითარა XX ს. მწერლობამ. ჯეიმზის ბოლო პერიოდის, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ, "ექსპერიმენტული პერიოდის" ნაწარმოებები ხელოვნების მწვერვალადაა მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა მის პროზაში ის არსებითი ცვლილებები, რომლებიც საერთოდ XX საუკუნისათვის არის ნიშანდობლივი.

ამერიკულ თანამედროვეთაგან ჰენრი ჯეიმზს განასხვავებდა განსაკუთრებული ყურადღება სტილისადმი. ეს განაპირობა მისმა ღრმა რწმენამ შემოქმედებითი უნივერსალიზმისადმი, მხატვრული ფორმის ვეებერთელა გავლენის ძალისადმი. იგი წყვეტდა იმ გნოსეოლოგიურ და ეთიკურ ამოცანებს, რომელსაც მისი თანამედროეობა უსახავდა. XIX ს. და XX ს. მიჯნაზე მზადდებოდა ლიტერატურულ ეპოქათა ცვლა, ძველი ლიტერატურული კონცეფციების გადაფასება, ახალი გამომსახველობითი საშუალებების ძიება; თხრობითი ტექნიკის გართულება თავად სამყაროს გართულებითაც იყო გამოწვეული, რაც თავის მხრივ შედეგი იყო სინამდვილის უსწრაფესი ცვლილებებისა. ლიტერატურას უნდა გამოეხატა სამყაროს აღქმის ყველა საფეხური. შეცვლილი სინამდვილე სულ უფრო და უფრო მეტ რეფლექსიას მოითხოვდა.

ჰენრი ჯეიმზი ინგლისელ მწერლადაცაა მიჩნეული, რადგან მან ადრე დატოვა ამერიკა, ინგლისში გაატარა ცხოვრების მეტი ნილი და ინგლისური ლიტერატურის თანამონაწილე გახდა. თუმცა მისი ასეთი "ტრანსატლანტური" მდგომარეობის მიუხედავად იგი ბოლომდე დარჩა ამერიკელ მწერლად, რადგან მისი შემოქმედების მაცოცხლებელი ნიადაგი ამერიკული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ლიტერატურული კონცეფციები იყო.

რთულია გასაცნობიერებლად ჯეიმზის მხატვრული სამყარო, განსაკუთრე-

ბით "ექსპერიმენტული პერიოდი". მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მოთხრობა "ხრახნის მობრუნება" ისეთ შიფრად რჩება, რომელსაც დღემდე ვერ მოუნახეს გასაღები. ჯეიმზის მხატვრული კვლევის ობიექტია გმირის მიერ სინამდვილის აღქმის რთული პროცესი, გმირის შინაგანი ცხოვრების მოვლენები. მისი პროზის ყველაზე ძლიერი მხარე სწორედ პერსონაჟის ინტელექტუალური, სულიერი ცხოვრების ასახვაშია. მწერლის თანამედროვეებს აღიზიანებდათ მისი ნაწარმოებების ხაზგასმული "ანალიტიკურობა", ადამიანის სულიერი ცხოვრების "დამქანცველი, სკრუპულოზური ანალიზი" და აღსაქმელად ბევრად უფრო მარტივ ნაწარმოებებს ამჯობინებდნენ.

უილიამ ჰოუელსმა, ჯეიმზის თანამედროვე ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა, უკვე მაშინვე გააცნობიერა ჯეიმზისეული ხელოვნების არატრადიციულობა და სირთულე და წერდა: "მოეწონება კი მკითხველს მოთხრობა, რომელიც უფრო სერიოზულ გამოკვლევას გვაგონებსო". თომას ელიოტის აზრით კი "ჰენრი ჯეიმზი რთულია ინგლისელი მკითხველისათვის, რადგან იგი ამერიკელია. იგი თავად ამერიკელებისთვისაც რთულია, რადგან ევროპელია; ხოლო რაც შეეხება სხვა ქვეყნის მკითხველებს, მე არ ვიცი იგი მათთვის საერთოდ თუა გასაგებიო"-ო. მიუხედავად მისი ნაწარმოებების გულგრილი მიღებისა თანამედროვეთა მიერ, ჯეიმზმა შეძლო გადაელახა მკითხველთა ინერცია და გააგრძელა ახალი რომანის თეორიის დამუშავება. ჯეიმზის მიერ შექმნილი რომანის თეორიისადმი, მისი მხატვრული აღმოჩენებისადმი ინტერესი მწერლის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა, 30-40-იან წლებში კი პიკს მიაღწია. იგი წინასწარმეტყველად, მოდერნიზმის წინამორბედად გამოაცხადეს. ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ვ. რამრახ-რაუხი ჯეიმზის "ხრახნის მობრუნებას" კაფკას "მეტამორფოზას" ადარებს და ამტკიცებს, რომ აქ სინამდვილემ მთლიანად დაკარგა ობიექტური ხასიათი, გმირები მოწყვეტილნი არიან გარე სამყაროს და მათი ქცევა დეტერმინირებულია მათი შინაგანი მდგომარეობითა და სუბიექტური აღქმით. იგი თვლის, რომ ჯეიმზის მიმართება ასასახავი მასალისადმი "ხრახნის მობრუნებაში" პრინციპულად ენათესავება "ახალ რომანისტებს". 70-80-იანი წლების ჯეიმზიანა მეტწილად წარმოდგენილია ნეოკრიტიკოსების, სტრუქტურალისტების და პოსტსტრუქტურალისტების ნაშრომებით. ისინი იკვლევენ შიდატექსტურ კავშირებს და მის ნაწარმოებს განიხილავენ, როგორც შემეცნების "ჩაკეტილ ფაქტს".

ჯეიმზს ხიბლავდა გნოსეოლოგიური პრობლემატიკა - მის ნაწარმოებებში, როგორც აღვნიშნეთ, დამოუკიდებელი ანალიზის ობიექტი ხდება ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობა, მისი ორიენტაცია სინამდვილეში. სწორედ ამას უკავშირდება მწერლის ნაწარმოებების ფორმისა და შინაარსის ბევრი დამახასიათებელი თვისება. სიუჟეტიკა, სახეობრივი სისტემა, საგნობრივი სამყაროს

ორგანიზაცია - ყოველივე ეს მას ემსახურება ცხოვრების დინამიური პროცესის შემეცნებაში.

ჰ. ჯეიმზის მსოფლხედვისა და შემოქმედებითი მეთოდის პრობლემა დღემდე არ არის გადაწყვეტილი ბოლომდე ლიტერატურული მეცნიერების მიერ. ჩვეულებრივ, მწერლის მსოფლხედვის განსაზღვრისას მის სახელს ერთმნიშვნელოვნად უკავშირებენ მის მამას - ფილოსოფოსს, სვედენბორგის მიმდევარს და ძმას უილიამს - ცნობილ ფსიქოლოგსა და პრაგმატისტული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს. თუმცა ჰენრი ჯეიმზის ფილოსოფიურ მორალს აშკარად ეროვნული ძირებიც აქვს. იგი ეთაყვანებოდა და იზიარებდა მათი ოჯახის მეგობრის, ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსის რალფ უოლდო ემერსონის კონცეფციებს საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების შესახებ. ჯეიმზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ემერსონის ეთიკურ სისტემას და აღნიშნავდა, რომ მასში ორგანულად იყო შერწყმული წინაპრებისაგან ნამემკვიდრეები პურიტანული სულისკვეთება მაღალ მორალურ ტონთან. ჯეიმზი ემერსონის მისიას ხედავდა ადამიანის სულიერ აღორძინებაში. მისი აზრით, მრავალ ხმათა შორის, რომელნიც სულიერ პრიორიტეტს ამტკიცებენ. არცერთს არ ჰქონდა ისეთი სუფთა და წმინდა ხმოვანება, როგორც ემერსონს - "ახალი ინგლისის" ხმას.

ჯეიმზის მკვლევრები ერთხმად მიუთითებენ "ექსპერიმენტული პერიოდის" კავშირზე შემეცნებით თეორიასთან - ეს არის "პლასტიკური", "პლურალისტული" სამყაროს დოქტრინა. სწორედ ეს გახდა წყარო მწერლის მხატვრული თეორიის ცენტრალური კონცეფციის - "თვალსაზრისისა". ამ თეორიამ განსაზღვრა ჯეიმზის შემოქმედებითი ხელწერის უნიკალურობა, ის კანონები, რომლებითაც იგი აგებდა თავის ნაწარმოებებს. ჯეიმზის ესთეტიკის ცენტრალური პრინციპი - "თვალსაზრისი" - სათავეს იღებს პრაგმატისტული გნოსეოლოგიიდან. მწერლის შემოქმედებითი ძიებანი ემთხვეოდა პრაგმატისტების ფილოსოფიურ სისტემას. ამიტომაც აითვისა მან პლურალიზმი - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრაგმატისტული დოქტრინა. მასზე დიდი გავლენა იქონია მისი ძმის - უილიამ ჯეიმზის არა მარტო ფილოსოფიურმა, არამედ ფსიქოლოგიურმა დებულებებმაც. უილიამ ჯეიმზი გარდა იმისა, რომ იყო პრაგმატისტული ფილოსოფიის მიმდევარი, ცნობილი ფსიქოლოგიც გახლდათ. მან ახალი ორიენტაცია მისცა ცნობიერების გაშუქებას, გააკრიტიკა ვუნდტის ფსიქიური ელემენტების დისკრედიტული თეორია და დაამტკიცა, რომ ცნობიერება წარმოადგენს ნაკადს. ეს დებულება ორიგინალური იყო. ამას, ცხადია, არ შეიძლებოდა არ მოეხიბლა ჰენრი ჯეიმზი, რადგან ცნობიერებას იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა – „ვაღიარებ, რომ ვერასოდეს ვხედავდი არსებით

ინტერესს ადამიანის ქცევაში – მისი ცნობიერება – აი რა მაინტერესებდა“-ო.

ასევე დიდი გავლენა იქონია მწერალზე მისი ძმის, უილიამის ფილოსოფიურმა შეხედულებებმაც. 90-იან წლებში მან გამოსცა ნაშრომები "ნება რწმენისა" (1897) და "საუბრები მასწავლებელთან ფსიქოლოგიაზე" (1899). ამ ნაშრომებში ნათლად გამოიკვეთა პრაგმატისტული ფილოსოფიის დებულებები. უილიამ ჯეიმზის აზრით არ არსებობს ისეთი თვალსაზრისი, რომლითაც აღიქმება სამყარო როგორც ერთიანი მთელი. იგი ვერ ხედავს აზრს სამყაროს ერთიანი ჭეშმარიტი სურათის ძიებაში და აღიარებს მხოლოდ მრავლობით პერსპექტივას. "რატომ უნდა მიგვაჩნდეს, რომ მხოლოდ შეხედულებათა მოცემული სისტემაა ჭეშმარიტი? შესაძლებელია სამყაროსადმი სხვადასხვა დამოკიდებულება". ჰენრი ჯეიმზი თავიდანვე გულდასმით ადევნებდა თვალს მისი ძმის თეორიების ჩამოყალიბებას და განვითარებას და კითხულობდა მის ყოველ ნაშრომს, პრაგმატიზმის იდეებს ბევრად უფრო ადრე ეცნობოდა, სანამ პრაგმატისტული თხზულებები გამოვიდოდა. ამ თეზისის სასარგებლოდ მეტყველებს ჰენრის ახლო ნაცნობობის ფაქტი პრაგმატისტული ფილოსოფიის მამამთავართან - ჩარლზ პირსთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ, ძმის ფილოსოფიური ზეგავლენა არ ყოფილა პასიურ-მიმბაძველობითი. პრაგმატიზმთან პოლემიკაში - უილიამ ჯეიმზის გნოსეოლოგიური თეორიის ტრანსფორმაციის ურთულეს პროცესში - ფილოსოფიის ენიდან ესთეტიკის ენაზე გადასვლაში ხდებოდა ჰენრი ჯეიმზის მეთოდის ევოლუცია.

როგორც აღვნიშნეთ, პრაგმატისტების პლურალისტური თეორია აისახა ჯეიმზის შემოქმედების ცენტრალურ პრინციპში - "თვალსაზრისი". "თვალსაზრისი" ანუ ლამპარი, ცენტრი, როგორც ჯეიმზი ხშირად უწოდებს (არსებითად "თვალსაზრისი") შეიცავს ცნებას თვალსაზრისისა, რომლითაც აღიქმება და აისახება მოვლენები. მხატვრულ ლიტერატურაში "თვალსაზრისი" ასახვის მეთოდია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მწერალი უარს ამბობს გამოიყენოს "ყოვლისმცოდნე ავტორის" პრინციპი. ამდენად, ასახული სამყარო მოცემულია "აღმქმელი ცნობიერების" ხედვისა და აღქმის საშუალებით. თავად ჯეიმზი საინტერესოდ გაგვიმარტავს ამგვარი ტიპის თხრობის შექმნის პროცესს: "თვითოეულმა ლამპარმა უნდა გააშუქოს ცენტრალური იდეის, კონფლიქტის, მთავარი გმირის ერთ-ერთი ასპექტი. ეს ლამპარები ანუ ცენტრები ისეთ პოზიციებზე უნდა დავამაგროთ, რომ საგნის ყოველი მხარე ისევე მკაფიოდ გამოჩნდეს, როგორც ეს ჩანს კარგად შერჩეული დაკვირვების პუნქტებიდან. მათ უნდა შეადგინონ დასამუშავებელი მასალის მთლიანი და გამოჩარხული ნაჭრები, რომელთაც აქვთ მასა, წონა და დამუხტულნი არიან ენერგიით. ასეთი კონსტრუქციის შექმნა ნიშნავს მიაღწიო სრულყოფილებას".

"ექსპერიმენტულ პერიოდში" მწერალს გაუძლიერდა ინტერესი იმ პროცესების მიმართ, რომელიც აღმქმელ ცნობიერებაში ხდებოდა. იგი ისეთ სიტუაციებს აგებდა, რომელიც ხელსაყრელ ექსპერიმენტულ პირობებს ქმნიდა ერთდროულად რამდენიმე თვალსაზრისის ურთიერთმოქმედებისათვის. ყოველივე ეს აიძულებდა მას გადაეწყვიტა ის პრობლემები, რომლებსაც პრაგმატისტული ფილოსოფიის მიმდევრები ამუშავებდნენ. ლაპარაკია ცნობიერების გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთმოქმედების როლისა და ფუნქციის კვლევაზე, აღმქმელი სუბიექტის ადექვატური გაშუქების დამუშავებაზე. "ექსპერიმენტული პერიოდის" ნაწარმოებების გმირები ("ხრახნის მობრუნება", "წმინდა წყარო", "მოუხელთებელი ასაკი") ისეთ პრობლემურ და საიდუმლო ვითარებაში იმყოფებიან, რომ იძულებულნი არიან თავად გაერკვნენ სირთულეებში. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ პერსონაჟების მხატვრული ყოფის ძირითადი მიზანია გაიგონ სიმართლე გარემომცველ სამყაროზე, ადამიანებსა და საკუთარ თავზეც. ჯეიმზი თავისებურად აშუქებს პრაგმატისტული გნოსეოლოგიის სხვადასხვა ასპექტებს, საკუთრივ ვერიფიკაციის თეორიას, რომელიც მოითხოვს თვალსაზრისების, ჯვარედინი მოწმობების უსასრულო რაოდენობას, ამასთან თითოეული მათგანის სიმართლე ეჭვქვეშაა დაყენებული. პროცესი "ნამდვილი" სიმართლის ძიებისა არ სრულდება. თუმცა სიმართლის ძიება, მცდარობა ჯეიმზთან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წარმოგვიდგება როგორც თვითრეგულირებადი, თვითგანვითარებადი სისტემა, რომელიც სინამდვილესთან დაკავშირებულია საერთო პრობლემებისა და ამოცანების განუმეორებელი ვარიაციებით.

ჯეიმზის ნაწარმოებებში ვლინდება საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება პრაგმატიზმის ძირითადი გნოსეოლოგიური იდეის მიმართ. პირდაპირ არსად არ არის გამოთქმული ეჭვი პლურალისტული თეზისის სისწორეში, მაგრამ იგი ექსპერიმენტს ატარებს ამ თეზისზე და მკითხველს სთავაზობს "ცდის ნიმუშებს", "პლურალისტული სამყაროს" მოდელებს. ექსპერიმენტი ტარდება ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებების გმირებზე. მოქმედების მსვლელობის მანძილზე ვლინდება არა მარტო ინდივიდუალური ზნეობრივი პრინციპების საფუძვლიანობა თუ არასაფუძვლიანობა, არამედ პლურალისტული კონცეფციის სიმყარე. ჯეიმზი ატარებდა თავის ექსპერიმენტს და იმავდროულად წყვეტდა ფილოსოფიურ და მხატვრულ ამოცანებს. ერთი მხრივ მას უნდოდა გარკვეული დასკვნა გაეკეთებინა მის მიერ საკვლევი თეორიის პრაქტიკულ გამოყენებასა და ღირებულებაზე; მეორე მხრივ კი აინტერესებდა კვლევის "ტექნიკური" შედეგები. მწერლის შემოქმედებითი მიზნების ეს ამოსავალი ამბივალენტურობა, რომელიც მიმართული იყო კონკრეტულ ცხოვრებისეულ მასალაზე - ის თვისება აღმოჩნდა, რომელმაც სხვა თვისებებთან ერთად განსა-

ზღვრა მისი ექსპერიმენტული ნაწარმოებების უნიკალურობა.

ჯეიმზის აზრით მხოლოდ აუცილებელი თანამდგომარეობა რამდენიმე "თვალსაზრისისა" ყოველგვარი ავტორისეული მსჯელობისა და კომენტარების გარეშე, ქმნიდა აუცილებელ პერსპექტივას. მან ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო აშკარა პირობითობა მთელი რიგი ტრადიციული თხრობითი ხერხებისა, იმ ფორმებისა, რომელთაც ბუნებრივად და ხშირად გაუცნობიერებლად იყენებდნენ მისი წინამორბედნი. მან, ვფიქრობთ შეგნებულად დაარღვია იმ ნდობის საზღვრები, რომელიც ყოველთვის იგულისხმებოდა მთხრობელსა და მკითხველს შორის. მის შემოქმედებაში მოხდა "თავისებური თვითმხილება" ლიტერატურული პირობითობისა. ექსპერიმენტს მკითხველისათვის უნდა ეჩვენებინა, რომ იგი არ უნდა დაყრდნობოდა პერსონაჟთა თვალსაზრისს, თავად უნდა ჩაეტარებინა მნიშვნელოვანი სამუშაო - ღრმად გაეცნობიერებინა ტექსტი, რადგან ჭეშმარიტების ძიების გზაზე მზა წესებს ვერ იპოვნიდა.

"პლურალისტული სამყაროს" კონცეფცია სხვადასხვაგვარად გარდატყდა "ექსპერიმენტული პერიოდის" ნაწარმოებებში. მწერალი პარალელურად ატარებდა ექსპერიმენტს ორი ტიპის თხრობაზე. პირველი ტიპის თხრობის ნაწარმოებებში ("სხვა სახლი", "მოუხელთებელი ასაკი") მოვლენები გაშუქებულია რამდენიმე პოზიციიდან და "მრავალი თვალსაზრისი" თავისი მკაფიო ფორმით არის წარმოდგენილი მეორე ტიპის თხრობის ნაწარმოებებში ("ხრახნის მობრუნება", "წმინდა წყარო") მოვლენები გაშუქებულია ერთდაერთი თხრობითი ცენტრით - ერთი გმირის ცნობიერებით. ამ ნაწარმოებებში იოლი არ არის განსაზღვრო მეორეხარისხოვანი "თვალსაზრისები", რადგან "დომინირებული ცნობიერება" ჩრდილავს მათ. მოვლენების შეფასება დომინირებული ცნობიერების საშუალებით მტკიცე საფუძველს წარმოადგენს ერთი მთლიანი თხრობისათვის, დასაყრდენი ხდება მთელი კონსტრუქციისა. თუმცა ჰენრი ჯეიმზი პრაგმატისტების მსგავსად ვერ ხედავს აბსოლუტურ სიმართლეს ერთიან "თვალსაზრისში". ამიტომ მან დომინირებული თვალსაზრისის ცოდნის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდა. ამის შედეგად მკითხველი ხედავს "ეკრანს", რომელზედაც პროეცირებულია სხვადასხვა თვალსაზრისი. შემეცნების პრაგმატისტულმა გაშუქებამ წინასწარგანსაზღვრა "ექსპერიმენტული პერიოდის" ნაწარმოებებში დომინირებული თვალსაზრისის წინააღმდეგობა. თითქოს ყველაზე სრული და სუმარული შეფასება ნაწარმოებში წარმოდგენილი ყველა სუბიექტური ჭეშმარიტებისა, დომინირებულმა თვალსაზრისმა უნდა მოგვცეს, სწორედ მან უნდა განსაზღვროს სხვა თვალსაზრისები ურთიერთგამომრიცხავია თუ ურთიერთშემავსებელი. თუმცა პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ დომინირებული აღმქმელი სუბიექტი მთავარი დაბრკოლებაა ჭეშმარიტების გზაზე, რადგან იგი

თავად სუბიექტურია.

"ცენტრალური აღმქმელი ცნობიერება" როგორც კერძო შემთხვევა "თვალსაზრისის" ხერხისა ერთი მხრივ მეტყველებს ჰენრი ჯეიმზის ეთიკური თეორიის ანტიდოგმატურ მიმართულებაზე, მეორე მხრივ ავლენს თავად მწერლის ეჭვებს ცალკეული პიროვნების შესაძლებლობაში მთელი სისრულით ჩასწვდეს ჭეშმარიტებას. ეს ხერხი აშკარად წინააღმდეგობაშია ობიექტივიზაციის პრინციპთან, რომლისკენაც ყოველთვის ისწრაფვოდა მწერალი. ამ ტიპის ნაწარმოებებში ესთეტიკური ობიექტურობა არ უტოლდება ეთიკურ ობიექტურობას. ამან წარმოქმნა ნაწარმოებთა ბუნდოვანება, განუსაზღვრელობა (ambiguity) მოთხრობებისა "ხრახნის მობრუნება" და "წმინდა წყარო". 70-80-იანი წლების ნაწარმოებებში ჯეიმზი კარნახობდა მკითხველს მრავალრიცხოვანი სირთულეების ლაბირინთიდან გამოსვლას ან ავტორისეული მსჯელობით, ან სხვა თვალსაზრისების საშუალებით. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებში კი მოვლენის ცენტრში - დომინირებული თვალსაზრისია, მას არ შეუძლია შეაფასოს საკუთარი პოზიციის ადეკვატურობა და სხვა მოქმედ პირთა პოზიციები. აქ ჯეიმზი პირველად მიმართავს სრულ გაურკვევლობას, რაც მისი "ექსპერიმენტული პერიოდის" ნაწარმოებთა პოეტიკის ცენტრალური პრინციპი ხდება.

ჯეიმზის აზრით ნებისმიერი სურათის მიღმა უნდა ვეძიოთ სიღრმე. "ცხოვრება გვაგონებს გრძელ-გრძელ დერეფანს მრავალი დახურული კარით" - ამბობს მისი ერთ-ერთი გმირი. მწერალი იოლად იღებს ორიენტაციას პირობითობების სამყაროში, ოდნავ გვიღებს კარს, რომლიდანაც უსასრულო ჰორიზონტის მხოლოდ ნაწილი ჩანს. მას შეგნებულად მიჰყავს აბსურდამდე ვერიფიკაციის პრაგმატისტული პრინციპი და თვალნათლივ გვიჩვენებს ჭეშმარიტების შესაძლებელი ვარიანტების უსასრულობას. მასთან ეჭვქვეშაა დაყენებული და გადახლართული ისეთი ძირითადი კატეგორიები როგორიცაა ჭეშმარიტება, მცდარობა და მკითხველს მის მიერ წინასარ დაგებულ ხაფანგში იტყუებს. მკითხველმა უნდა იკვლიოს საიდუმლოებათა საიდუმლო, გაარკვიოს მრავალ თვალსაზრისთა შორის რომელია მცდარი და მართალი. მკითხველის ასეთი აქტივიზაცია, მისი უეჭველი მონაწილეობა მხატვრული ტექსტის ცხოვრებაში XX ს. ფსიქოლოგიური პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი გახდა.

ჰენრი ჯეიმზის მსოფლხედვისა და პრაგმატისტული ფილოსოფიის კავშირის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ სპეციფიურად ამერიკული იდეოლოგია აღმოჩნდა ყველაზე უფრო ახლო მწერლის შემოქმედებით ცნობიერებასთან.

ალექსანდრე ჯავახიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

რომელია პირველადი: ემოცია თუ კოგნიცია? ამერიკელი ფსიქოლოგების ლაზარუსისა და ზეიონცის დისკუსია

მეცნიერული ინტერესი ემოციის ცნებაში ნაგულისხმევი ფენომენების მიმართ ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და უკვე გასული საუკუნის ბოლოს, ე.ი. ფსიქოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბების პირველი წლებიდანვე ჩნდება. აფექტური ფენომენების პრობლემაზე ჯერ კიდევ ჯემსი, შტუმფი და ვუნდტი მუშაობდნენ. მათ მიერ დაწყებულ დისკუსიაში გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება. ეს კამათი დღესაც ისეთი მწვავე და აქტუალურია როგორც ასი წლის წინ. სწორედ ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ემოციების კვლევის კოგნიტურ და არაკოგნიტურ მიდგომებს, რამაც დასაბამი მისცა თანამედროვე ემოციის თეორიებს.

1960-იანი წლებიდან, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, კვლავ იწყება ემოციის კოგნიტურ და არაკოგნიტურ თეორიებს შორის დისკუსია, რომელიც დღემდე გრძელდება. მთავარ თემას კოგნიციასა და ემოციას შორის მიმართება წარმოადგენს. რაც უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე საკამათო საკითხია ემოციების კვლევის სფეროში. მით უმეტეს, რომ ამ პრობლემებს უკავშირდება თითქმის ყველა საკითხი, რომელიც ემოციის თეორიისთვის მნიშვნელოვანია, ცნების დეფინიციით დაწყებული მისი ფუნქციისა და როლის განსაზღვრით დასრულებული. კოგნიციური მიდგომის დამცველები - არნოლდი, ლაზარუსი, შახტერი - იზიარებენ არისტოტელეს დებულებას ემოციის შესახებ და თვლიან, რომ შეფასება ანუ კოგნიცია წინ უსწრებს ემოციას და განაპირობებს მას.

არაკოგნიტივისტები: ვუნდტი, იზარდი, ზეიონცი, ტომკინსი ეწინააღმდეგებიან ამ თვალსაზრისს და აღნიშნავენ, რომ ემოცია კოგნიციის შედეგს კი არა, გარე გამღიზიანებელზე უშუალო რეაქციას წარმოადგენს, რაც ყოველგვარი კოგნიტური ანალიზისგან თავისუფალია. ეს „სპონტანური რეაქციები", უშუალო განცდებია, რომლებიც არსებობენ ცნობიერებისგან დამოუკიდებლად.

ლაზარუსსა და ზეიონცს შორის წლების მანძილზე მიმდინარე დისკუსიას ვერ მივყავართ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამ სფეროში დაგროვილი ემპირიული მასალაც არაა ამისათვის საკმარისი.

თანამედროვე კოგნიტივისტები იზიარებენ დარვინის თეზას ემოციების ადაპტური მნიშვნელობის შესახებ და თვლიან, რომ რეფლექსებთან და ფიზიოლოგიურ დრაივებთან ერთად, ემოცია ადაპტაციურ პროცესს წარმოადგენს. ისინი მიუთითებენ, რომ იგი მათგან საკმაოდ განსხვავებული შეგუებითი საშუალებაცაა. კერძოდ, ემოციები ბევრად მეტი ვარიაბილურობისა და ფლექსიბილურობის საშუალებას იძლევიან, რადგან უფრო რთული ფსიქიკური ფუნქციების განვითარებასთან არიან დაკავშირებულნი.

კოგნიტური აქტივობის გარეშე შეუძლებელია იმის გაგება-შეფასება, თუ რა ხდება გარემოში. ემოცია უამისოდ იქნებოდა გაურკვეველი და უმიზნო აქტივობა.

არაკოგნიტივისტების აზრით აფექტური მოვლენები უშუალო რეაქციებია გარე გამღიზიანებელზე, მათი აღმოცენებისთვის სრულიად საკმარისია **შეგრძნება**. როგორც ზეიონცი აღნიშნავს სენსორულ ინფორმაციას შეუძლია გამოიწვიოს ემოციური რეაქცია. აფექტი კოგნიტური კონტროლისგან დამოუკიდებელი პირველადი პროცესია, რომელსაც ადაპტაციური ფუნქცია აქვს. ეს იმის საშუალებას გვაძლევს, რომ გარემო დავაჯგუფოთ ობიექტებისა და მოვლენების ჩვენთვის სახიფათო ან სასიკეთო კლასებად.

ლაზარუსი კოგნიციის ორ სახეს ასხვავებს ერთმანეთისაგან:

1) ცოდნა, რომელიც ცივია და არაემოციური;

2) შეფასება –თბილი და ემოციური.

ცოდნაში იგულისხმება წარმოდგენები, აზრები სამყაროს ფუნქციონირების შესახებ, კერძოდ და ზოგადად. თუ პიროვნება-გარემოს შორის ტრანსაქციას პიროვნული მნიშვნელობა არ ენიჭება სუბიექტისაგან - ცოდნა ცივი და არაემოციურია. ცოდნის მნიშვნელობის შეფასება არის ემოციური და თბილი. ეს უკანასკნელი საკმარისი პირობაა ემოციის გაჩენისთვის მაშინ, როცა ცოდნა მხოლოდ აუცილებელია ე.ი. ემოციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **შეფასებას**. შტუმფს გაიგივებული ჰქონდა ემოცია შეფასებასთან და გამიჯნული ინტელექტუალური პროცესებისგან, შეფასებითი აზრებისაგან, ე.ი. ცოდნისაგან, რომელიც გულისხმობს ინფორმირებულობას.

საინტერესო იქნება იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართება არსებობს კოგნიციასა და ემოციას შორის. როგორც ლაზარუსი აღნიშნავს, მათი განცალკევება ბიოლოგიურ დონეზე არ არის მართებული. ისინი ერთად მოქმედებენ, თუმცა ფუნქციონალურად განსხვავებულ სისტემებს წარმოადგენენ.

ზეიონცი კი თვლის, რომ ემოცია და კოგნიცია დამოუკიდებელი სისტემებია, ურთიერთის მოქმედებაში არ ერევიან, ხოლო ერთმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენენ.

ემოციას, როგორც ზეიონცი აღნიშნავს, ყოველთვის იწვევს კოგნიტური მიზეზი, მაგრამ არა პირიქით. ყველა კოგნიცია ემოციური არაა. როცა ვამბობთ, ემოცია გავლენას ახდენს კოგნიციაზე იგულისხმება, რომ აზრები იმ ემოციების ნაწილსაც წარმოადგენენ რომლის მიზეზის როლსაც ასრულებდნენ თავიდან. ლაზარუსის მიხედვით იმოქმედებს თუ არა კოგნიტური მიზეზი და გააჩენს ემოციას, ის მისი ნაწილი ხდება და საკუთარ მიზეზზე, როგორც მთელი თავის ნაწილზე, იწყებს ზემოქმედებას. ერთი აღმოცენებული ემოცია საკმარისია, რომ თანმდევ განცდებზე განაგრძოს მოქმედება. ამ მსჯელობით ლაზარუსი წინააღმდეგობაში მოდის არისტოტელეს ლოგიკასთან, რომ "ა" ერთდროულად არ შეიძლება იყოს "ბ"-ც. ლაზარუსთან კი კოგნიცია ემოციასთან დაკავშირებულია, როგორც მიზეზი შედეგთან და ამავე დროს როგორც ნაწილი მთელთან.

შტუმფის თქმით, აზრი ემოციის მიზეზია და შეუძლებელია მისი ნაწილიც იყოს, რადგან მოვლენა გამორიცხულია, რომ ერთდროულად მიზეზიცა და შედეგიც გახდეს.

ნამდვილი ემოციის გაჩენა კოგნიტური განვითარების გარკვეული დონის არსებობას მოითხოვს. საჭიროა წინასწარ ვიცნოთ, გავნსაზღვროთ და გავაანალიზოთ, თუ რას წარმოადგენს გარე გამღიზიანებელი. მხოლოდ შემდეგაა შესაძლებელი გაგვიჩნდეს რაიმე გრძნობა, ემოცია მის მიმართ. კოგნიტივისტებს სწორედ იმას საყვედურობდნენ, რომ მათ ემოციები და ყოველგვარი აფექტური რეაქციები მსჯელობებსა და ინტელექტუალურ პროცესებზე დაიყვანეს. ხდება ისეც რომ ბიჰევიორალურ ჯაჭვში ხშირად ემოცია წინ უსწრებს კოგნიციას და პირველად ფუნქციად გვევლინება. ამგვარი მოვლენის ასახსნელად, როდესაც კოგნიტური პროცესი არადაკვირვებადია ემოციაში და აფექტური რეაქცია თითქოს უშუალო, სპონტანურია. კოგნიტური პოზიციის დამცველებმა ეს ცნება გააფართოვეს და ცნობიერი პროცესის გვერდით არაცნობიერი პროცესის არსებობა აღიარეს. არ არის აუცილებელი, რომ ემოციის შესაბამისი აზრები მაინცდამაინც ცნობიერ შეფასებით მტკიცებებს ან ლოგიკურ კატეგორიებს წარმოადგენდნენ.

თანამედროვე მკვლევრები უფრო დეტალურად ჩერდებიან არაცნობიერი კოგნიციის მოვლენაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მას. ლაზარუსიც ცნობიერი კოგნიციის გვერდით არაცნობიერი პროცესის არსებობას უშვებს. ემოციური რეაქციის გაჩენის უმეტეს შემთხვევებში სწორედ არაცნობიერ კოგნიციასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ცნობიერთან.

ფროიდი ერთმანეთისგან განასხვავებს პირველად და მეორად პროცესებს. პირველადი - **იდის** პროცესებია, რომლებიც ირაციონალურად მოქმედებენ. პირველად პროცესებს ქმნიან პირველადი აზრები და წარმოდგენები,

რომლებიც ინტელექტუალური ძალებისთვისაა დამახასიათებელი. მეორადი - **ეგოს** პროცესებია, ისინი რაციონალურად მოქმედებენ, რეალობისკენ არიან ორიენტირებულნი, გარემოსთან ურთიერთობის შედეგად ყალიბდებიან.

ვერნერი განასხვავებს მნიშვნელობის აღქმის, ცნობის და წვდომის ეტაპებს. პირველ ეტაპზე სუბიექტს აქვს უნარი დაიმახსოვროს და იცნოს ობიექტი, თუმცა მის არსს ვერ წვდება. მნიშვნელობის წვდომის ეტაპზე სუბიექტს შეუძლია იცნოს მოვლენა და ჩასწვდეს კიდევაც მის არსს.

ლაზარუსი განასხვავებს ავტომატურ და ნებისმიერ კოგნიტურ პროცესებს. პირველი არაცნობიერ დონეზე მიმდინარეობს, უფრო უხეში, ბუნდოვანი და კატეგორიულია. მეორე კი, ცნობიერი პროცესია – უფრო დეტალური და გრადუალური.

არაცნობიერ დონეზე მიმდინარე პროცესის პირდაპირი, უშუალო დაკვირვება, შეუძლებელია. შესაბამისად არაცნობიერი კოგნიციაც არადაკვირვებადი მოვლენაა, ჩვენ მხოლოდ მისი არსებობის დაშვება, ვარაუდი შეგვიძლია.

კამათი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, მაგრამ ზეიონცი და ლაზარუსი თითქოს ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ ცნობიერი კოგნიტური პროცესი არ არის ყოველთვის აუცილებელი ემოციის გაჩენისთვის. თუმცა კი ლაზარუსი მაინც გულისხმობს კოგნიტური პროცესის არსებობას არაცნობიერ დონეზე ან პრიმიტიული სენსორული რეგისტრაციის ფორმით.

საკუთარ აზრზე მყარად მდგარი ზეიონცი მაინც თვლის, რომ წმინდა სენსორულ ინფორმაციას, კოგნიტური გადამუშავების გარეშე აქვს უნარი წარმოქმნას ემოციური რეაქცია. ხდება თუ არა მისი გადამუშავება არაცნობიერ დონეზე, ამის დამტკიცება შეუძლებელია.

თუ ჩავთვლით, რომ კოგნიცია უფრო მეტია ვიდრე წმინდა სენსორული ინფორმაცია, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ემოციას შეუძლია გაჩნდეს კოგნიტური პროცესის გარეშე და მისგან დამოუკიდებლადაც იარსებოს. კოგნიცია კი ზეიონცის მიხედვით განისაზღვრება, როგორც სენსორული ინფორმაციის ტრანსფორმაცია. კოგნიცია ყოველთვის გულისხმობს სენსორულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გარკვეულ „სულიერ მუშაობას“, გადამუშავებას. რაც ამ ინფორმაციას გარდაქმნის სუბიექტისთვის გასაგებ მისაწვდომ ფორმად ან მეხსიერების, ხატების აქტივაციას გამოიწვევს. ეს პროცესი შეიძლება ცნობიერიც იყოს და არაცნობიერიც, მაგრამ „სულიერი მუშაობა“, გარკვეული ენერგიის დახარჯვა აუცილებელია იმისთვის, რომ წმინდა სენსორული ინფორმაცია კოგნიციად გადაიქცეს.

თუ გვეძლევა ემოციური პასუხი, მაგრამ წინმსწრები კოგნიტური პროცესი მოცემული არაა, უნდა ჩაითვალოს თუ არა, რომ კოგნიტურ პროცესს მაინც ჰქონდა ადგილი, ოღონდ არაცნობიერ დონეზე? ლაზარუსი თვლის,

რომ – "კი". ზეიონცის აზრით – "არა"; სენსორულ სტიმულს უშუალოდ მოსდევს აფექტური რეაქცია. ლაზარუსი არ უარყოფს სპონტანური აფექტური რეაქციების არსებობას, მაგრამ მათ ნამდვილ ემოციებად არ მიიჩნევს. სენსორულ სტიმულს მხოლოდ მზა რეფლექტორული აფექტური პასუხის გამოწვევა შეუძლია, რომელიც ემოცია არ არის, თუმცა კვლავ ლაზარუსის მიხედვით, ეს პროცესი ემოციის საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე ტერმინოლოგიით ემოციები ისეთი შეფასებებია, რომლებიც განისაზღვრება თავისი გამომწვევი მიზეზით. მაგ: „მზით დამწვრობა" ნიშნავს„- კანის დამწვრობას გამოწვეულს მზეზე დიდხანს ყოფნით.

არისტოტელე განსაზღვრავს <u>შიშს</u>, რომელიც უბედურების დატყდომის <u>აზრისგან</u> ჩნდება.

არნოლდი ემოციას განსაზღვრავს ზოგადად, როგორც რაიმესკენ „მიზიდვის ტენდენციას", რაც შეფასებულია, ცნებით „კარგი" და „არიდების, გაქცევის ტენდენციას", რაც შეფასებულია როგორც „ცუდი".

საბოლოოდ ვნახეთ, რომ ემოციისა და კოგნიციის პირველადობის საკითხი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება მეცნიერთათვის, რომელნიც ემპირიული მასალის ნაკლებობისა და თავიანთივე პრინციპულობის გამო ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე.

მაინც არ იქნებოდა მართებული იმის თქმა, რომ ემოცია მხოლოდ სენსორული გაღიზიანების ან თუნდაც კოგნიტური პროცესების ჩარევის შედეგად მიიღება. ამიტომ ყოველივე ეს ერთგვარ კარებს წააგავს, რომელიც ხან ერთი, ხანაც მეორე მხრიდან იღება, ანუ ლაზარუსისა და ზეიონცის თეორიები გამართლებას იმაში პოულობენ, რომ ინდივიდი ხან კოგნიტივისტების შეხედულებებს, ხანაც არაკოგნიტივისტებისას ამართლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Zajonc R.B, Feeling and Thinking, Preferences Need No Inferences // American Psychologist, №35, 1980, p.151-175.
2. Lazarus R.S., Cognition and Motivation in Emotion, American Psychologist, April, 1991.
3. Lazarus R.S., On the Primacy of Cognition in American Psychology, №39 (2), 1984, p.124-129.
4. Zajonc R.B., On the Primacy of Affect in American Psychology, №39, 1984, p. 117-123.

ჯოის ბარეტი
ჟურნალისტიკისა და მედიის
მართვის კავკასიის სკოლა

ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი შეერთებულ შტატებში

ჟურნალისტები თავს ხშირად გმირებად, მთავრობის მეთვალყურეებად, საზოგადოების თვალად და ყურად მოიაზრებენ, თუმცა თავად საზოგადოებას არასოდეს მოუხსენებია ამ პროფესიის წარმომადგენლები მსგავსი ამაღლებული ტერმინებით.

თუმცა, პიუს კვლევათა ცენტრის მიერ ნოემბერში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი აზრი ამერიკული პრესის შესახებ შეიცვალა 11 სექტემბერს აშშ-ზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ. მიმოხილვამ აჩვენა, რომ:

•სექტემბრის შუა რიცხვებში 35%-მდე იმატა იმ ზრდასრული ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც თვლიდნენ, რომ მედია შეულამაზებლად გადმოგვცემს ფაქტებს, 2001 წლის ნოემბრისათვის კი მათმა პროცენტულმა მაჩვენებელმა 46%-ს მიაღწია. 1992 წლიდან დღემდე პიუს ცენტრის მიერ მოწოდებული მიმოხილვა განსაკუთრებული სიზუსტით გამოირჩევა.

•საინფორმაციო სააგენტოები ინარჩუნებენ მაღალ შეფასებებს რეპორტაჟებისათვის, ტერორისტული თავდასხმებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებული ომის შესახებ, თუმცა შეფასებების მაჩვენებელი არც ისე მაღალია, როგორც ეს შეტევის შემდგომი მთელი კვირის განმავლობაში იყო. მედიის მუშაობის შესაფასებელი პროცენტული მაჩვენებელი 89%-დან (სექტემბერი) ნოემბერში 77%-მდე შემცირდა.

•ამჟამად საზოგადოებას უკეთესი წარმოდგენა აქვს პრესის წარმომადგენელთა პროფესიონალიზმზე, მორალზე, პატრიოტიზმსა და თანაგრძნობაზე. პროცენტულმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვითაც საინფორმაციო ორგანიზაციები ამერიკას იცავენ, 43%-დან (სექტემბერი) 69%-მდე აიწია ნოემბრის თვეში. აქამდე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 53% 1987 წელს.

•პროცენტულმა მაჩვენებელმა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებას პრესა ესახება დემოკრატიის დამცველად, 46%-დან (სექტემბერი) 60%-მდე აიწია ნოემბრის თვეში. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აქამდე დაფიქსირებულ მაჩვენებელთა შორის.

პრესის დადებითად შეფასებასთან ერთად, საზოგადოება ამართლებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მკაცრ კონტროლს და ცენზურას ერო-

ვნულ უშიშროებასა და სამხედრო ინფორმაციაზე.

•გამოკითხულთა 53% თვლის, რომ მთავრობისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ინფორმაციის ფლობა, რაც შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს ეროვნული უშიშროებისათვის.

•73% მხარს უჭერს ისეთ რეპორტაჟებს, რომლებიც აშუქებენ ყველანაირ აზრს, მათ შორის გამოკვეთილად ანტი ან/და პროამერიკულს.

•რესპოდენტთა 40-52% თვლის, რომ საინფორმაციო ორგანიზაციებმა თავად უნდა მოიპოვონ მთავრობისა და სამხედრო ოფიციოზის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე მეტი, რადგანაც ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, უარს ამბობენ ინფორმაციის ოფიციალურად გაშვებაზე.

•გამოკითხულთა 32-54% თვლის, რომ პრესის მიერ პოლიტიკური ლიდერების კრიტიკა უფრო ხელს უშლის ცუდის კეთებას, ვიდრე აკავებს მათ თავიანთი საქმის კეთებისაგან.

იმ დროს, როცა საზოგადოებრივი აზრი მედიის შესახებ აქტიურდება, ეთიკის პროფესიონალები ურჩევენ მედიას რეპორტაჟების ჩატევას ეთიკის ნორმებში. პოინტერის ინსტიტუტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პროფესიონალი ჟურნალისტების საზოგადოების ეთიკის კომიტეტის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ, ფრედ ბრაუნმა, განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა გამბედაობამ უნდა ეძიოს სიმართლე, სიფრთხილემ –სწორად მოიპოვოს იგი, ხოლო თანაგრძნობამ – შეამციროს ზიანი.

ეთიკის კომიტეტის სხვა წევრმა პიტერ სუსმანმა კი პრესის საშუალებით გააფრთხილა თავისი კოლეგები, რომ ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთი ინფორმაციის უტყუარობაში, რადგანაც ხშირია ყალბი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები. მოგვიანებით, როგორც წესი, ასეთი ინფორმაციის უარყოფა ხდება, მაგრამ გახმაურებას მაინც დიდი ზიანი მოაქვს... ჩვენ სკურპულოზური სიზუსტით უნდა მოვიპოვოთ ნებისმიერი პოტენციურად გამაღიზიანებელი რეპორტაჟის კონტექსტი და მისი ობიექტურობა საჯაროდ გამოტანამდე შევამოწმოთ, რადგან სწორედ ეს ინფორმაცია იქნება „უფრო სიცოცხლისუნარიანი"- განუცხადა მან პოინტერის ინსტიტუტს.

პროფესიონალ ჟურნალისტთა ასოციაციის სხვა წევრებმა მედიის წარმომადგენლებს მოუწოდეს ტერაქტის მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობა გამოეჩინათ და ტრაგედიის შედეგების აღწერისას მაქსიმალურად შეეკავებინათ თავი გაზვიადებისაგან.

პროფესიონალ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ 6 ოქტომბერს ეროვნულ კონვენციაზე დამტკიცებული რეზოლუცია წევრებს და სხვა ჟურნალისტებს მოუწოდებდა ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ რეპორტაჟებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ და განუხრელად დაეცვათ შემდეგი პრინციპები:

•ინფორმატიული და არა სუბიექტური ენის გამოყენება;

•მუსლიმი, არაბი, ახლო აღმოსავლელი და სამხრეთ აზიელი ამერიკელები აღეწერათ მთელი თავიანთი კულტურული მრავალფეროვნებით;

•პენსილვანიაში, ნიუ-იორკში და ვაშინგტონში მომხდარი ფაქტების ასახვის დროს გაეთვალისწინებინათ შეხედულებათა, თვალსაზრისთა და პერსპექტივების მრავალფეროვნება, რათა აუდიტორიას მისცემოდა ამ რთულ მოვლენებში გარკვევის საშუალება;

11 სექტემბრის მოვლენებმა აიძულა ამერიკული მედია, თავისი ეთიკური პრინციპები გადაეფასებინა. ფოტოები, სათაურები, სტატიები, ინფორმაცია – ყველაფერი გაანალიზებულ იქნა ეთიკის ჭრილში.

ექიმებისა და იურისტებისაგან განსხვავებით, ჟურნალისტების ეთიკური კოდექსი ცვალებადია. ის ხშირად ცალკეული ორგანიზაციის მიერ არის შექმნილი და გარდამავალი წარმატებით ხორციელდება. ჟურნალისტმა თავისი როლი საზოგადოებაში უნდა განსაზღვროს ამ საზოგადოების მოთხოვნილებებისა და ეთიკური პრინციპების მიხედვით. ეთიკური კოდექსი განუწყვეტლივ იცვლება ტექნოლოგიის განახლებასა და ახალი ეთიკური დილემების წარმოქმნასთან ერთად.

მართალია, ყველა ორგანიზაციას ჟურნალისტთა საკუთარი ეთიკის კოდექსი აქვს, მაგრამ არსებობს ისეთი უნივერსალური ფასეულობები, რომლებიც თითქმის არ იცვლება და საერთოა ყველა ერისა და კულტურისათვის. ეს ფასეულობებია:

•სიყვარული

•სიმართლე

•თავისუფლება

•სოლიდარობა

•შემწყნარებლობა

•პასუხისმგებლობა

•სიცოცხლე.

ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება არ გულისხმობს მხოლოდ ამ პრინციპების განხორციელებას, რადგანაც ისინი ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან. ჩვეულებრივ, შემდეგი სახის დაპირისპირებებს ვხვდებით:

•სიმართლე ლოიალურობის წინააღმდეგ;

•ინდივიდი საზოგადოების წინააღმდეგ;

•მოკლევადიანობა გრძელვადიანობის წინააღმდეგ;

•სამართალი შენყალების წინააღმდეგ.

ამ პრობლემის იოლად გადაწყვეტა წარმოუდგენელია. ამერიკელ ჟურნალისტებს იცავს კონსტიტუციის "უფლებათა ბილის" პირველი შესწორება. მის მიხედვით "კონგრესმა არ უნდა მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს რელიგიურ შეუწყნარებლობას, აკრძალავს აზრის თავისუფალ გამოხატვას, შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას, შეკრებებისა და მთავრობისადმი პეტიციით მიმართვის უფლებას". ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეთიკის კოდექსი დაწერილია პროფესიონალ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ. მის ზოგად პრინციპებს წარმოადგენს: ჟურნალისტი უნდა ეძიებდეს სიმართლეს და აშუქებდეს მას; ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს, მინიმუმამდე დაიყვანოს ზიანი; ჟურნალისტმა უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლად და უნდა იყოს კომპეტენტური.

სიმართლის თქმის დროს, ჟურნალისტებმა უნდა შეამოწმონ ინფორმაციის სიზუსტე, ახალ ამბებში ნახსენებ ნებისმიერ პირს მისცენ საპასუხო განცხადების გაკეთების ნება, შეძლებისდაგვარად დააზუსტონ წყაროები და ახსნან მათი შერჩევის პრინციპები. ჟურნალისტებმა არ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია უკანონო ან არასტანდარტული საშუალებებით, არ მიმართონ პლაგიატს, გადაამოწმონ საკუთარი კულტურული ფასეულობები და თავს არ მოახვიონ ისინი სხვებს, თავი აარიდონ სტერეოტიპების ჩამოყალიბებას რასის, სქესის, ასაკის, რელიგიის, ეთნიკური ნარმომავლობის, გეოგრაფიული გარემოს, სექსუალური ორიენტაციის, ნებისმიერი სახის უუნარობის, გარეგნობის ან სოციალური სტატუსის მიხედვით. ისინი უნდა განასხვავებდნენ ინფორმაციული და ანალიტიკური სახის მასალებს.

ზიანის შემცირების მიზნით ჟურნალისტებმა უნდა გამოხატონ თანაგრძნობა სტატიებში ნახსენები პირების მიმართ, გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე ბავშვებთან და შეუმოწმებელი წყაროებთან დაკავშირებით. ყურადღებით უნდა მოეკიდონ ინტერვიუებს და ფოტოგრაფებს, აღიარონ რომ კერძო პირებს აქვთ უფლებები აკონტროლონ ინფორმაცია საკუთრი თავის შესახებ, აჩვენონ გამოავლინონ კარგი გემოვნება და იყვნენ სამართლიანი დანაშაულში ეჭვმიტანილთა დასახელებაში.

დამოუკიდებლად მოქმედების დროს ჟურნალისტები თავისუფალი უნდა იყვნენ ყველა ვალდებულებისაგან გარდა საზოგადოებრივი უფლებების ცოდნისა. ეს გულისხმობს საჩუქრებზე, განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატვაზე უარის თქმას, გარდაუვალი კონფლიქტების გამოაშკარავებას და ძალოსანთა ანგარიშვალდებულების მოთხოვნას.

სასურველია ჟურნალისტებმა მოაწყონ საზოგადოებრივი დისკუსიები, აღიარონ და დაუყოვნებლივ გაასწორონ შეცდომები, ამხილონ ჟურნალისტებისა და მასმედიის წარმომადგენელთა არაეთიკური საქციელი. ეთიკის კოდექსი იგივეა, რაც პროფესიონალის, ორგანიზაციის ან წარმოების პატიოსნება.

ჟურნალისტები არ უნდა იყვნენ სუბიექტურნი პირადი რწმენის საფუძველზე და არც ისე თანმიმდევრულნი როგორც მოქმედი კანონები. ჟურნალისტები ემორჩილებიან ეთიკურ სტანდარტებს საკუთარი რწმენის მიუხედავად. ეთიკის კოდექსი ამხილებს ცოდვებს და ხაზს უსვამს კეთილსინდისიერ საქციელს. ეს სასარგებლოა დამწყებთათვის, რადგან მათ ეთიკური გარემოს შესახებ მიმართულების მიცემა სჭირდებათ. მათ აქვთ საზოგადოებრივი ღირებულებანი ინდუსტრიის მიმართ, რომელიც ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს მის ეთიკურობაში.

ეთიკურ კოდექსს ნაკლიც აქვს. ის ძირითადად ეხება უკვე განსაზღვრულ საკითხებს, რაც არ ეხმარება ჟურნალისტებს გაუმკლავდნენ ყოველდღიურ ყოფით რეალობას. სხვანი ფიქრობენ, რომ იგი ეხმარება ჟურნალისტებს, მაგრამ არა მედიის წარმომადგენლებს. ეს უკანასკნელნი კი ხშირად აყალბებენ ახალ ამბებს. სხვანი კი თვლიან რომ ეთიკური ნორმები ყველას უნდა ეხებოდეს ახალი ამებების შექმნის პროცესში, მენეჯერებისა და მესაკუთრეების ჩათვლით. შესაძლებელია ეთიკაში შეიჭრას კონკურენცია. სენსაციური ახალი ამბების მფლობელი ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობს სწრაფად დაბეჭდოს ინფორმაცია და დაამარცხოს კონკურენტი. რთულია იმის გადაწყვეტა, თუ როდის მომზადდეს სტატია და როდის დაიბეჭდოს. ზოგჯერ ეთიკური კომპრომისები კეთდება სტატიის დაბეჭვდის მიზნით.

ამერიკული მედიის მეთოდებმა 11 სექტემბრის მოვლენების გაშუქებით მედიისთვის ყველაზე ცუდი და ყველაზე კარგი დრო მოიტანა. მისმა იმიჯმა, აშშ-სა და საზღვარგარეთ ბუნდოვანება დაკარგა. ხალხმა მხარი დაუჭირა მთავრობის სურვილს გაეკონტროლებინა ახალი ამბები, რათა დაეცვა ეროვნული უსაფრთხოება. ამერიკელები ამბობენ, რომ სამხედროებმა მეტი კონტროლი უნდა დააწესონ ომის შესახებ არსებულ ახალ ამბებზე და არ უნდა დატოვონ ეს ფუნქცია მხოლოდ მედიის პრეროგატივად. მიუხედავად მათ მიერ სამხედრო ცენზურის მხარდაჭერისა, ხალხს არ სურს, რომ მედიამ ახალი ამბები შეცვალოს პროპაგანდით. მას ურჩევნია, რომ პრესა გამოვიდეს მეთვალყურე ძაღლის და არა გოშიას როლში. ფიუს კვლევის ცენტრის ნოემბრის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ხალხი, ეროვნული კრიზისის პერიოდშიც კი, კვლავ პატივს სცემს "მეთვალყურე ძაღლის" ფუნქციით მოქმედ საინფორმაციო ორგანიზაციებს. მედია მიესალმება ფიუს გამოკითხვის შედეგს, რომლის მიხედვითაც, რესპონდენტთა 66%-მა აღიარა რომ, ამჟამად უფრო დაინტერესებული არიან ახალი ამბებით, ვიდრე 11 სექტემბრამდე.

ამგვარი ყურადღების ქვეშ ამერიკული მასმედია ცდილობს თავისი ეთიკური ქმედებების გადამოწმებას.

გიორგი კუპრავა
საქართველოს განათლების
სისტემის გაძლიერებისა და
გარდაქმნის პროექტის კონსულტანტი

კონტრკულტურა და მასმედია

საგულისხმოა ისალენის ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის, ნევილ დრურის მიერ კონტრკულტურის, როგორც სოციალური მოძრაობის პირველი ნაბიჯების აღწერა, რადგან ინსტიტუტის მიმართულება და სოციალური მოძრაობა ერთ გეოგრაფიულ სივრცეში, კალიფორნიაში, ერთდროულად, გასული საუკუნის სამოციან წლებში ყალიბდებიან ტრანსცენდენტური - ეგოს მიღმა გამოცდილების მოპოვების სურვილით.

1966-67 წლებში, როდესაც პრესამ კონტრკულტურას პირველად მიაქცია ყურადღება, სანფრანცისკოს რაიონ ხაშბერიში უკვე გამეფებული იყო ნარკოტიკების გავლენით შეცვლილი ცნობიერებით გამოწვეული სიხარულის განცდა, ხოლო „ამერიკული ოცნების" მატერიალური ხასიათის მიმართ პროტესტით გამოსული ახალგაზრდობის პლაკატებზე ფრიც პერლზის ისალენში გამოთქმული მოწოდება იყო აღნიშნული: „ახლა თავისუფლებისთვის საუკეთესო დროა. იყავ თავისუფალი. გააკეთე რაც გსურს. გააკეთე ახლავე".

ახალგაზრდების გამოსვლებს განსაკუთრებულ ელფერს, მშვიდობისაკენ მოწოდებით თმებში ყვავილებჩაწნული, ჰიპები ანიჭებდნენ. ისინი ცხოვრების საერთო ნაკადიდან გარიყულებად მიიჩნევდნენ თავს, შორს იყვნენ „ამერიკული ოცნების" ფასეულობებიდან და მისი კულტურის ნორმების დამსხვრევას უჩვეულო საქციელით ცდილობდნენ: „უნდა მოვიცილოთ ფარისევლობა, სიცრუე და დავუბრუნდეთ ბავშვურ ფასეულობებს". ჰიპები იზიარებდნენ ხაშბერის სუბკულტურის ჰედონისტურ დამოკიდებულებას ნარკოტიკებისადმი, „ყველაფერი, რაც ჩვენ გვაღელვებს იდუმალებაა: ელ-ეს-დე, სექსი, ჩვენი ფერები. ეს წმიდა ზიარებაა, ყველაზე მოკლე გზა რეალობისკენ".

ეს იყო შეშლილი, ბედნიერი, მუხრუჭებისგან თავისუფალი დრო. იქმნებოდა მისი უსასრულოდ გაგრძელების შთაბეჭდილება. მაგრამ 1966 წლის 6 ოქტომბერს კალიფორნიაში ელ-ეს-დე-ს მოხმარება აიკრძალა. ზოგიერთმა ეს თარიღი ეშმაკისეულ ნიშანს , - 666-ს - დაუკავშირა, ადამიანები იდუმალებას დააცილეს.

აკრძალვის წინააღმდეგ გამართულ 'სიყვარულის მანიფესტაციაში' ათი ათასმა კაცმა, მათ შორის ჰარე კრიშნას მიმდევრებმაც მიიღეს მონაწილე-

ობა. მათი აზრით ეს ახალი ერას დაბადება იყო. 'სამოთხე აღდგენილია, ხოლო უმანკოება დაბრუნებული. შეძლებს კი ფსიქოდელიკური საშუალება კაცობრიობის შეცვლას?' ხაშბერის ფენომენი ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ჰიპები მალე ამერიკის ყველა მსხვილ ქალაქში გამოჩნდნენ.

ფსიქოდელიკური პრეპარატები მაინც აიკრძალა, მაგრამ გულუბრყვილო მოწოდებებმა, რომლებიც თავდაპირველად ამერიკული ფუნდამენტური ფასეულობების , - თავისუფლების, თანასწორობის და წესრიგის ფარგლებში თავსდებოდნენ, დროთა განმავლობაში რადიკალური სოციალური კრიტიკის სახე მიიღეს და საშინაო ანტიამერიკანიზმის შინაარსი განაპირობეს.

კონტრკულტურის კრიტიკული შეფასება აშშ-ში 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ალტერნატიულმა კულტურამ მკაფიო სახე მიიღო, როდესაც აშკარა გახდა გადახრების სოციო-კულტურულ ნორმებად დამკვიდრების, ხოლო არსებული ნორმების გადახვევად გამოცხადების პროცესი.

60-იან წლებში ჩასახულმა ზნეობრივი საფუძვლების მორყევის ტალღამ ახალი შეხედულებები წარმოქმნა ოჯახის, სიტყვის თავისუფლების და ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების მიმართ. თუ ოჯახი სოციალური და ფსიქიკური მდგრადობის საფუძვლად განიხილებოდა, ის ახლა დეპრესიების წყაროდ, პათოლოგიების და გაუცხოების სათავსოდ გამოცხადდა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებისადმი ულმობელი მოპყრობის თაობაზე აღძრულ საქმეთა ორი მესამედის განხილვაზე სასამართლო უარს აცხადებს არასაკმარის მტკიცებულებათა გამო, „მოზარდების მიმართ სასტიკი დამოკიდებულების იდეოლოგიამ" ვიქტიმიზაციის ახალი ფორმის სწრაფი გავრცელება განაპირობა.

კიდევ ერთი სფერო, სადაც რადიკალური სოციალური კრიტიკა მსხვერპლს ეძებს, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობებია. ადრე ძალადობაში ფიზიკური ძალის გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა იგულისხმებოდა. სიტუაციის დრამატიზების მიზნით ეს განმარტება დღეს გაფართოვდა ოჯახში სექსუალური ძალადობის ახალი ინტერპრეტაციის ხარჯზე და იმასაც მოიცავს, რაც ადრე ნორმალურად ან უხეშობად მიიჩნეოდა. მართლაც, რა წარმოდგენა უნდა იქონიო საზოგადოებაზე, თუ ქალების 47% გაუპატიურებულია ან ასეთი მცდელობის მსხვერპლია? ეს ციფრი გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებს რა თქმა უნდა არ ემთხვევა, ხოლო გამოკვლევამ ცხადყო, რომ მსხვერპლად შერაცხულთა 73% თავს ასეთად არ მიიჩნევს.

ვინაიდან სიტყვის თავისუფლების ან პოლიტიკურად არაკორექტული განცხადებების დათრგუნვა ავტორიტარული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი წესით მიუღებელია, იმ მოსაზრებათა აკრძალვას, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებდნენ 60-იანი წლების პოსტულატებს, ალტერნატიული კუ-

ლტურის დამცველები სხვა გზით - გრძნობიერებაზე აქცენტირებით ანუ შეურაცხყოფის მიყენებისაგან თავშეკავების მოწოდებით აღწევენ. ეს კი შემდგომში შაურაცხყოფის განსაზღვრის ლეგიტიმაციას და მის დამრღვევთა მიმართ სანქციების გამოყენების ფორმებს განაპირობებს. როდესაც მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტმა განაცხადა, რომ ჰომოსექსუალიზმი დაავადებაა, საუნივერსიტეტო კრებაზე ის სხვა სტუდენტების სექსუალური ორიენტაციის მიმართ წინასწარფიქსირებულ პოზიციაში დაადანაშაულეს. ცოტა ხნის წინ ჰომოსექსუალიზმი პათოლოგიად განიხილებოდა, ამჟამად კი ცხოვრების სტილის არჩევანს წარმოადგენს, ხოლო ისინი ვინც ახალ შეხედულებებს არ იზიარებენ და ამის საჯაროდ გამოთქმის სითამამეც ყოფნით, ამით საკუთარ თავს არანორმალურობაში ეჭვმიტანილთა კატეგორიაში მოხვედრის პერსპექტივას უქმნიან.

აზრთა „მრავალფეროვნებაში" კორექტულობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი ხერხი უმაღლესი სასწავლებლებისათვის ლიცენზიის ჩამორთმევის მუქარაა, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა კონტინგენტში დაცული არ იქნება თანაფარდობა - ქვოტა სხვადასხვა ფორმით შევიწროვებულთა და გარიყულთათვის.

80-იანი წლების დასაწყისში ალტერნატიული კრიტიკა ძველი დებულების - ამერიკულ საზოგადოებაში ფესვგადგმული რასიზმის მიმართულებით კონცენტრირდება, კამათის გარეშე, მით უმეტეს, თუ მას ამერიკელი შავკანიანები უჭერენ მხარს. ამით მულტიკულტურალიზმის ჩამოყალიბების საფუძველი მზადდება. კულტურული პლურალიზმი თავდაპირველად მოკრძალებულ მიზნებს ისახავს: რასობრივი ნიშნით დისკრიმინირებულთა თვითშეფასების ამაღლებას ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიუკულუმებში მათი ხალხების კულტურული მიღწევების ასახვის გზით. შედეგად წარმომადგენლობითობის პრინციპი პოლიტიკური სფეროდან განათლების სისტემაში ინაცვლებს მისი არააკადემიური და არაინტელექტუალური ხასიათის მიუხედავად.

მულტიკულტურალიზმი უარყოფს არა მხოლოდ ამერიკის საზოგადოების იდეებს და ფასეულობებს, არამედ მთლიანად დასავლურ კულტურას. საგანმანათლებლო პროგრამები ავრცელებენ რადიკალურ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით დასავლურმა კულტურამ წარმოშვა რასიზმი, სექსიზმი, ელიტიზმი, ჰომოფობია... ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ალტერნატიულ კრიტიკას ასაზრდოებს. მემარცხენეები აკადემიური წრეებიდან ღიად აცხადებენ, რომ მულტიკულტურალიზმი მარქსიზმის მეორე სიცოცხლეა, რომ ევროპული აზროვნების წესი და მორალი ალტერნატივის დათრგუნვისკენაა მიმართული.

კონტრკულტურა კიდევ რამდენიმე ალტერნატიულ პოზიციას აერთი-

ანებს: შავკანიან ნაციონალისტებს, რადიკალური ფემინიზმის წარმომადგენლებს, მარქსისტებს და მაოისტებს, აგრეთვე დასავლური რაციონალიზმით და ხაზობრივი აზროვნებით გაღიზიანებულ პოსტმოდერნისტებს.

რადიკალური კრიტიკა 30 წელი ვერ იარსებებდა, რომ არა რწმენა, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა „ჩაგრული" სოციალური ჯგუფების ბედზე კონტროლს მიღმა მდგომ სოციალურ ძალებს ეკისრებათ. სოციალური დეტერმინიზმის ამგვარი ფორმა ალტერნატიული მსოფლმხედველობის ძირითადი შემადგენელია. ადრე (და სხვა კულტურებშიც) მაღალი თვითშეფასება პიროვნული ძალისხმევის და მიღწევების ბუნებრივ შედეგად განიხილებოდა, ამჟამად კი პირად პასუხისმგებლობაზე მითითების ნაცვლად, დეტერმინიზმით ხსნიან წარუმატებლობას და არასწორი, სამარცხვინო, უღირსი საქციელით გამოწვეულ მარცხს. მისივე სოციალური ჯგუფის დაბალი სტატუსით განაწყენებული ამერიკელისათვის იოლი და ხელსაყრელია წარუმატებლობის სოციალური დეტერმინიზმის სქემით ახსნა, მით უმეტეს, როდესაც 60-იანი წლების გულშემატკივარი მასმედია, აკადემიური წრეები და პოლიტიკოსებიც ეთანხმებიან ამგვარ ინტერპრეტაციას.

- ეს არეულობა ეთნიკურ ჯგუფში დაგროვილი ფრუსტრაციის და სასოწარკვეთის მკაფიო გამოხატულებაა, ისინი ჩვენი მეომრები არიან;

- ეს ადამიანები შეურაცხყოფილი მოქალაქეები არიან და არა დამნაშავეები.

ლოს-ანჯელესის არეულობების და ლონგ-აილენდის რკინიგზაზე მომხდარი მკვლელობების თაობაზე გამოთქმული ეს შეფასებები მასაჩუსეტსის იუნივერსიტეტის პროფესორს და აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრს ეკუთვნით. არავის გახსენებია, რომ წესრიგის დამრღვევთ, ყაჩაღებს და მკვლელებს მორალური და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

სი-ბი-ეს-ის პროგრამა „60 წუთში" დამნაშავეების ადვოკატი ამტკიცებდა, რომ დასაცავი პირები „ამბოხებულები" არიან. პრეზიდენტმა კლინტონმა გულისტკივილი გამოხატა მომხდარის გამო და აღნიშნა, რომ ისინი იმ ქვეყანაში ცხოვრობენ, რომელშიც სიმდიდრე უსამართლოდაა განაწილებული.

„უმისამართო და განურჩეველ შემწყნარებლობად" შეფასდა ძალადობაში მხილებული პატიმრის მსხვერპლის რანგში მონახულება კარდინალ ო' კონარის მიერ. აღიარება იმისა, რომ ადამიანი მხოლოდ სოციალური გარემოებების პროდუქტია საფრთხეს შეიცავს. 60-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ში იმ ჯგუფების რაოდენობრივი ზრდა შეიმჩნევა, რომლებიც თავს მსხვერპლად განიხილავენ. ტენდენციამ თავდაპირველად შავკანიან მოსახლეობაში იჩინა თავი. ისინი მოსახლეობის 12%-ს შეადგენენ. მალე მათ ქალები შეემატნენ,

ისინი კი მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ. ლათინოამერიკელები დამატებით 10%-ს შეადგენენ. რაღაც ნაწილს აზიური წარმოშობის ამერიკელები და ინდიელები იკავებენ. ინვალიდთა რაოდენობა 10%-ის ფარგლებშია. არსებობს კიდევ ერთი, ოფიციალურად არარეგისტრირებული - ლესბოსელების და ჰომოსექსუალების ჯგუფი, რომელთა რაოდენობა სხვადასხვა მონაცემების მიხედვით 3-დან 10%-მდე მერყეობს. გასათვალისწინებელი არიან უსახლკაროები, იმუნოდეფიციტით დაავადებულები და ჭარბი წონის მქონენი. ერთადერთი ჯგუფი, რომელიც ამჟამად მსხვერპლის კატეგორიას არ განეკუთვნება თეთრი, ჯანმრთელი, მამაკაცი - ჰეტეროსექსუალები არიან (მოსახლეობის 15 %).

რა განაპირობებს მსხვერპლად წარმოჩენის სურვილს?

ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება წარმატებული სარჩელია ჩაგვრის თაობაზე, რომელსაც საგრძნობი ანაზღაურება მოყვება კომპენსაციების და დახმარებების სახით. შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი მორალური კმაყოფილება აღმოჩნდეს. მსხვერპლად შერაცხული პატივისცემით და მაღალი მორალური სტატუსით სარგებლობს.

კლინტონის ადმინისტრაციის მმართველობის პირველსავე წელს ქვოტირების პრინციპმა სხვადასხვა სფეროებში იჩინა თავი. იუსტიციის სამინისტროში სამსახურებრივ დაწინაურებებს,სასწავლო პროგრამებში მონაწილეობას და დისციპლინარული ზომების გატარებას, ისევე, როგორც პრემიების გაცემას, რასობრივი კრიტერიუმების გათვალისწინება უძღოდა წინ. რასობრივი ბალანსის მიღწევის მიზნით, კლინტონის ჩანაფიქრი სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილებას რასობრივი ნიშნის მიხედვით ითხოვდა.

რადიკალური ეგალიტარიზმის ერთ-ერთი ფორმა - სიძულვილი „ელიტიზმისადმი", რომლის მიზანი თანაბარი შედეგების მიღწევა უფროა,ვიდრე თანაბარი შესაძლებლობებისა, რაც სამართლიანი იქნებოდა, უარყოფითად აისახება განათლების სისტემაზე. ცოდნის შეფასებაში წარმოქმნილი ინფლაცია აღმზრდელის წუხილს უკავშირდება. მას არ სურს მაღალი მოთხოვნების წაყენება და სტუდენტთა ცოდნის შეფასება კრიტერიუმების მკაფიო სისტემის ფარგლებში,რადგან ასეთმა მოთხოვნებმა შესაძლოა უმცირესობების „ჩაგვრა" - არათანაბარ პირობებში ჩაყენება გამოიწვიოს, ეს კი რასიზმად აღიქმება. შეიძლება ითქვას, რომ მაღალნიჭიერთა განათლება ფუფუნებად იქცა.

ეგალიტარისტული ტრადიციების ფარგლებში თანასწორობის პრინციპების დაცვის მოთხოვნა ხშირად აბსურდულ ფორმას იძენს: შავკანიანი ელექტორატის წარმომადგენლებმა კონგრესს კანონპროექტი წარუდგინეს, რომელიც სასამართლოების მიერ უმცირესობათა შორის უმაღლეს ზომამისჯილთა

რაოდენობის მიმართ პროპორციის დაცვას ითხოვდა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

როდესაც მაბვერპლის სტატუსის უმტკივნეულოდ და ხელგაშლილი მინიჭების ტენდენციის ინსტიტუციონალიზაცია საკანონმდებლო გზით მიიღწევა,მას საგრძნობი ეკონომიკური შედეგები სდევს თან.

1960 წლიდან მოყოლებული, 30 წლის განმავლობაში, სოციალურ მოთხოვნათა ასიგნებებმა მთავრობის ყველა დონეზე 143-დან 787 მილიარდ დოლარს მიაღწია. სოციალური შემწეობის მოცულობა 630%-ით, ხოლო განათლებაზე გამოყოფილი თანხები 250%-ით გაიზარდა.

მაგრამ იმავე პერიოდში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რაოდენობამ 560%-ით, მოზარდთა შორის თვითმკვლელობის შემთხვევებმა 200%-ით, განცრრნინებათა რაოდენობამ კი 400%-ით იმატა. ერთ მშობელთან მცხოვრებ ბავშვთა წილი გასაოცარად. ჩანს, თანამედროვე საზოგადოების სოციალური პათოლოგიები ფინანსურ მკურნალობას ჯიუტად არ ექვემდებარებიან.

მასალედია ერთ-ერთია იმ ამერიკულ ინსტიტუტებს შორის, რომელმაც კონტრკულტურის იდეალების სისტემის პოპულარიზაცია იტვირთა. თავდაპირველად მეგარეტენე პოლიტიკური იდეები უცხო იყო საზოგადოებისათვის, მაგრამ 80-იანი წლების მიწურულში მათი ტრიუმფალური სვლა ეჭვს აღარ იწვევს. ასეთი ვარაუდი ამერიკაში ბევრს წარმოუდგენლად მიაჩნია, რადგან მედიას, როგორც წესი, მომაბეზრებელი გასართობი პროგრამების, მნიშვნელოვანი მოვლენების პროფანაციის, სენსაციებისადმი მიდრეკილების, მომხმარებლური მსოფლმხედველობის მხარდაჭერის, „ტვინების გამორეცხვის" და „ცდარი ცნობიერების" იმპლანტაციის გამო აკრიტიკებდნენ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დრეიფი რადიკალიზმის მიმართულებით 60-იან წლებში იღებს სათავეს. შესაძლოა ეს მედიით გაშუქებულმა თემებმა - ომმა ვიეტნამში, საფოლადო უფლებების დარღვევამ, ომის საწინააღმდეგო საპროტესტო მოძრაობამ და ოთოერგეტმა გამოიწვიეს.

ამერიკული ჟურნალისტიკის ტრადიციასთან - „ნაგვის ძეებასთან" ერთად, რომელშიც ოფიციალური პირების პოლიტიკური მაქინაციების გამოშიშვლება იგულისხმება, მასალედიის რადიკალიზებას „პაბლისიტის" - საბელის მოხვეჭის წყურვილმაც შეუწყო ხელი. მედიას რეიტინგების კონკურენციაში გაბარჯვების სურვილით ჩამოყალიბებული მიდრეკილებაც აბაალიებს ცუდი ამბების დაუკოვნებელი შეტყობინებისადმი ნებისმიერ შეშბარად დანაშულს, შეგაშფოთებელ ამალ ამბავს მედია გაშუქების ღირსად და საზოგადოების ყურადღების მიპყრობის საკად ხერხად მიიჩნევა.

კონტრკულტურის მიერ წამოყენებულმა რადიკალურმა კრიტიკამ და მასალედიის ინტერვენციამ ერთმანეთი გაალიერეს, ხოლო მედიამ დამატებითი -

ზნეობრივი მსაჯულის სტატუსიც მიითვალა.

ალტერნატიული კულტურის იდეების და ფასეულობების პოპულარიზაციაში მასმედიის როლის უკეთ გამოკვეთა 'საზოგადოებრივი აზრის კლიმატის კონცეფციის' ფარგლებშია მიზანშეწონილი. მასში არამკაფიოდ ფორმულირებული აქსიომატური ხასიათის თვალსაზრისთა ერთობლიობა იგულისხმება, რომელიც მოცემულობის სახით აღიქმება და შემდგომ მტკიცებულებებს ან რაციონალურ დასაბუთებას არ საჭიროებს.

„კლიმატი" ცალკეულ თვალსაზრისთა მრავალგზისი საჯარო გამეორების შედეგად ყალიბდება. როგორც წესი, გამონათქვამებს თან სდევს ემოციური მუხტი. შემდგომ შეხედულებები კამათს აღარ იწვევენ, რადგან უმრავლესობის მიერ პასიურად იქნენ შეთვისებულნი, ხოლო უმცირესობამ, ვინც ეს თვალსაზრისები საკამათოდ მიიჩნია, ამჯობინა საჯაროდ არ გამოეთქვა უთანხმოება.

საზოგადოებრივი აზრი, როგორც ფიქსირებული კლიმატი, იმგვარ შეხედულებებს და ქცევის მოდელებს მოიცავს, რომელთაც ნიმუშის ძალა გააჩნიათ და გარანტია, რომ მათი მიმდევარი სოციალურ იზოლაციაში არ მოექცევა.

საზოგადოებრივი აზრის კლიმატის შექმნაში პირველობას მედიას ვერავინ შეეცილება. ადამიანების უმრავლესობისათვის მათი პირადი გამოცდილების ვიწრო საზღვრებს მიღმა არსებული სამყაროს შესახებ ინფორმაციის წყაროს მედია წარმოადგენს. ის, რის შესახებაც მედია არ იუწყება, უბრალოდ არ არსებობს, ან მისი გაცნობიერებულ რეალობად გადაქცევის შანსი უმნიშვნელოა. მედია სარგებლობს ამ მდგომარეობით და საზოგადოებას კარნახობს, - განუსაზღვრავს ინფორმაციის მოცულობას და შინაარსს.

მოვლენების და ტენდენციების ამსახველი უსიამოვნო, უიმედო, გამაწბილებელი ინფორმაციის ნაკადი, რომელიც აუდიტორიას 30 წელია თავს ატყდება, რა თქმა უნდა ხელს არ უწყობს გარე სამყაროს ოპტიმისტურ შეფასებას და კეთილი საწყისისადმი რწმენის განმტკიცებას, როდესაც საუბარი ამერიკის საზოგადოების განვითარებას ეხება. განსაკუთრებით ტელევიზიამ გააუფასურა ამერიკელების ისედაც არც თუ მაღალი წარმოდგენა პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე და საკუთარი ინსტიტუტების და მთავრობის მიმართ ეჭვი გააძლიერა.

ყოველდღიურ ახალ ამბებში პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ სამი თვის განმავლობაში ეთერში 17 პოზიტიური, 14 ნეიტრალური და 126 უარყოფითი ხასიათის შეტყობინება გავიდა, რაც სიუჟეტების და კომენტარების ცალმხრივ შერჩევაზე მიუთითებს. სატელევიზიო საიუჟეტების შერჩევა არ არის შემთხვევითი და რადგან ამის ახსნა

ტელეკომპანიებს შორის ფარული შეთანხმებით შეუძლებელია, რჩება ერთი ვერსია: ჟურნალისტების მიერ ფაქტების სელექცია და ინტერპრეტაცია მათი განწყობის გამოძახილია, კაპიტალიზმის მიმართ სიძულვილის ანარეკლია, ხოლო რადიკალური კრიტიკა იმ ადამიანებისადმი არის მიმართული, ვინც სისტემას განასახიერებენ. სინამდვილეში არ მოიძებნება ფაქტები, რომლებიც ამერიკელი ბიზნესმენების მიერ ჩადენილ სასტიკ და არადამიანურ დანაშაულებს დაადასტურებდა, მაგრამ, მოულოდნელად, სატელევიზიო ბოროტმოქმედის ყველაზე გავრცელებული პერსონაჟის ადგილი მათ ერგოთ, ნაცვლად განათლების და პროფესიის არმქონე აფრო-ამერიკელი და ლათინო-ამერიკელი ახალგაზრდებისა, რომელთა წილად სტატისტიკის მიხედვით დანაშაულობათა ლომის ხვედრი მოდის. კიდევ ერთი გამოკვლევის თანახმად, ჩადენილი დანაშაულებების სიმძიმის და სიხშირის თვალსაზრისით, პროპორცია რეალობის და ტელესინამდვილის შორის სრულიად დარღვეულია კიდევ ორი ჯგუფის - მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების და ასე წარმოიდგინეთ, პოლიციელების მიმართაც.

არც თუ უმნიშვნელო როლი ტენდენციის გაძლიერებაში მულტიკულტურალისტური იდეების მხარდამჭერების ზეწოლამ ითამაშა. ტელეკომპანიები „ცუდი ბიჭის" როლში შავკანიანის, მექსიკელის, ჰომოსექსუალისტის ან ქალის წარმოსახვას ერიდებიან. მაშ ვილა რჩება? ტელეკომპანიებს არ აღელვებთ საშუალო ფენიდან გამოსული 30 წელს გადაცილებული თეთრი მამაკაცების დისკრიმინაცია, ისინი ხომ პროტესტს არ გამოთქვამენ.

... თქვენ თუ ისეთი რამ შეგემთხვათ, რაც საერთო ფონისგან გამოგყოფთ, ეს მკვეთრად გაზრდის მოთხოვნას თქვენი პერსონის მიმართ. გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩემით დაინტერესებამ და ადმინისტრაციის მიმართ დაპირისპირებულთა ოფიციალურ სიაში ჩემი გვარის მოხსენიებამ 100 ათასი დოლარი მაშოვნინა სალექციო ჰონორარის სახით. ადამიანები მეუბნებოდნენ: "თქვენი მამაცი ბრძანდებით". მე წარმოდგენა არ მაქვს, რას გულისხმობდნენ ისინი. მე მშვენივრად ვიცოდი, რომ საფრთხე არ მემუქრებოდა, ჩემ ზურგს უკან ძლიერი კორპორაცია იდგა.

ეს სიტყვები სი ბი ეს-ის კორესპონდენტს ეკუთვნის. არავითარი საფრთხე არ ემუქრება არც ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელმაც რეიგანს ხუთი პარალელი აღმოუჩინა ჰიტლერთან და ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა.....არც კოლეჯის მასწავლებელს, რომელსაც მიაჩნია, რომ ორველის „1984"-ში თანამედროვე ამერიკის სინამდვილეა ასახული..... და არც „ნიუ-იორკ თაიმსის" და „ვაშინგტონ პოსტის" რედაქტორებს: ორივე გაზეთმა, საზიაროდ, 1976 წელს, პოლ პოტას რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევა 13-ჯერ მოიხსენია, ხოლო იმავე ხასიათის დარღვევებს სამხრეთ კო-

რეაში 124 პუბლიკაცია მიუძღვნა, რითაც სიუჟეტების შერჩევის გზით თავდაყირა დააყენა სინამდვილე.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, პირველ რიგში, ელიტის ამგვარი განწყობა, ლეგიტიმურობის კრიზისს უწყობს ხელს. კრიზისი საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგად მოპოვებულ წარმოდგენებში მყღავნდება ხელისუფლების მიმართ და ხელისუფლების მოქმედებაში, უფრო ზუსტად უმოქმედობაში, რადგან მიზანმიმართული გადაწყვეტილებების განხორციელება ელექტორატის აქტიური ნაწილის ან რამდენიმე სოციალური ჯგუფის ერთდროული გაღიზიანების რისკთან არის დაკავშირებული. ასეთ ვითარებას „ძალაუფლებიდან გაქცევას" უწოდებენ – ეჭვის გაჩენას საკუთარი პოზიციების მართლზომიერებაში.

"მასმედიის ელიტის" ყველაზე სრული გამოკითხვის მიხედვით მათი უმრავლესობა საშუალო კლასის შეძლებული წარმომადგენლების ოჯახებშია აღზრდილი, განათლება ელიტარულ კოლეჯებში აქვთ მიღებული, ხოლო ხელფასი საშუალო კლასის მაღალი ფენის წლიურ შემოსავალთანაა გათანაბრებული. ბიზნეს-ელიტისგან მათ ურბანიზებულობა, ურწმუნოება და მემარცხენე პოლიტიკური ორიენტაცია განასხვავებს. ასევე გაირკვა, რომ მასმედიის ელიტის არჩევანი დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში 80%-ის ქვემოთ არ ჩამოსულა 1972 წელსაც კი, როდესაც მთელი ელექტორატის 60%-ზე მეტმა რესპუბლიკელ ნიქსონს მისცა ხმა, 68%-მა ხელისუფლებას მოქალაქეთა შემოსავლებში განსხვავების შემცირებისაკენ მოუწოდა. 50%-ს მიაჩნია, რომ მოქალაქეთა გაუცხოებას საზოგადოება უწყობს ხელს, ხოლო 56% დარწმუნებულია, რომ მესამე სამყაროს სიღატაკეში შეერთებული შტატებია დამნაშავე.

პოლიტიკური მოღვაწეების რეიტინგის გამოკვლევის თანახმად ჟურნალისტურ წრეებში ფიდელ კასტრო უფრო პოპულარული აღმოჩნდა ვიდრე რეიგანი, ჯინ კირკპატრიკი და მარგარეთ თეთჩერი.

უკანსკნელ ათწლეულში მასმედიის მიმართ სკეფსისის და უნდობლობის ზრდის მიუხედავად, საინფორმაციო საშუალებების გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე კვლავ მნიშვნელოვანია.

უცილობელი ჭეშმარიტების რანგში აყვანილი მოვლენების თავისუფალი ინტერპრეტაცია, ძირითადად იმ მოვლენებისა, რომლებთანაც ამერიკელებს უშუალო შეხება არ გააჩნიათ, საზოგადოებისათვის ხშირად საზიანოა.

მნიშვნელოვანია მედიის გავლენა აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლების და ინტელექტუალური ელიტის შეხედულებებზე და აზროვნების წესსზე.

სოციალური და პოლიტიკური პრობლემებისკენ ამერიკელების ყურადღე-

ბის შერჩევითი მიპყრობის გზით, მედია კვლავაც ქმნის საზოგადოებრივი აზრის სუროგატს.

სად უნდა ვეძიოთ ამერიკელთა უბედურობები?

განა მართლაც იტანჯებიან ისინი?

სამყარომ ჩაიხედა მათ თვალებში და თქვა: "სიხარულით აღსავსე ეს წარმატებული ადამიანები არ გვანან ტანჯულებს".

მაგრამ დემოკრატიული სიუხვის პირობებიც წარმოქმნიან სიძნელეებს.

ამერიკა _ ღვთის ექსპერიმენტია. უხსოვარი დროიდან კაცობრიობის თანმდევი ფათერაკები დაძლეულია, ახალი განსაცდელი კი მით უცნაურად და საიდუმლოდ წარმოგვიდგება.

სოლ ბელოუ. "ჰუმბოლტის ძღვენი".

სტატია მომზადებულია ამერიკელი სოციალური მკვლევარის პოლ ჰოლანდერის „ანტიამერიკანიზმის" და ნეილ დრურის „ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიის" მიხედვით.

ნინო ვარდოსანიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

თოქ-შოუს სპეციფიკა და მისი მოდიფიკაციები (აშშ-ის, რუსეთის, საქართველოს მაგალითზე)

ინფორმაციულ-სანახაობით გადაცემებს შორის ამერიკის შეერთებული შტატების ადგილობრივ მაუწყებლობაში პირველობა უდავოდ ეკუთვნის დისკუსიას იმ მონაწილეებითურთ, რომელნიც სტუდიაში არიან მოწვეულნი. თოქ-შოუ, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სასაუბრო წარმოდგენას, სანახაობას, ყოველდღიურად გადაიცემა მსოფლიოს სხვადასხვა ტელეარხის საშუალებით, რაც მის პოპულარობაზე მეტყველებს. სატელევიზიო თოქ-შოუ არის ერთადერთი წმინდა სატელევიზიო ფორმა, რომელსაც არაფერი აქვს ნასესხები მომიჯნავე სფეროებიდან. საქმე, რა თქმა უნდა, არ ეხება მხოლოდ ასეთი გადაცემების უნიკალურ შესაბამისობას ტელევიზიის ბუნებასთან. შეიძლება ითქვას, რომ კომერციული მაუწყებლობა ულმობლად უწევს ექსპლუატაციას თოქ-შოუს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე რენტაბელურს სხვა გადაცემათა შორის.

თოქ-შოუ არის ტელეგადაცემის სახე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ტელევიზიამ შექმნა და მეტ-ნაკლებად ანალოგიური გადაცემები თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა. ტიპური ტელე-შოუსაგან განსხვავებით თოქ-შოუ მეტ დატვირთვას აძლევს სიტყვას, ინფორმაციას, თუმცა, სანახაობრიობა აქაც იმავე დოზით არის წარმოდგენილი. თოქ-შოუ არ არის პუბლიცისტური ჟანრი. ეს არის სატელევიზიო ფორმა, რომელსაც ჰყავს წამყვანი და შეიცავს სხვადასხვა ჟანრისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. თოქ-შოუმ დროთა განმავლობაში საკმაო სახეცვლილება განიცადა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახით ჩამოყალიბდა. თითოეული თოქ-შოუ იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მისთვის დამახასიათებელი თვისებები არ უნდა მივიჩნიოთ დოგმად ნებისმიერი თოქ-შოუსთვის. სწორედ მისი ელასტიურობა განსაზღვრავს იმ მრავალფეროვნებას და კომპლექსურობას, რაც თოქ-შოუს ახასიათებს. თუმცა, ერთადერთი გამაერთიანებელი რგოლი ამ ტიპის გადაცემებისთვის არის წამყვანი და სტუდიაში მოწვეული სტუმრები, რომელნიც თოქ-შოუს აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენენ. წამყვანის როლი ნებისმიერ თოქ-შოუში მაინც ყველაზე მნი-

შვნელოვანია და ამის საილუსტრაციოდ ამერიკელი შოუმენების მაგალითიც კმარა. ფილ დონაჰიუ, ლეი ჯენო, დევიდ ლიტმანი, ოპრა უინფრი და სხვანი არიან ის ადამიანები, რომელთაც შეძლეს, თოქ-შოუ საკუთარ სახელთან გაეიგივებინათ. ოპრა უინფრი, ე. წ. "შავი ვარსკვლავი", ნამდვილად არ იყო ცუდი წამყვანი პროგრამისა "დილის ჩიკაგო", მაგრამ პოპულარობა მოვიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც "ოპრა უინფრის შოუ" თანამგზავრზე გავიდა და გადასცემდა აშშ-ს ათეულობით ადგილობრივი სადგური. ხშირად მაყურებელი ტელეგადაცემას ირჩევს არა თემატიკური მიმართულების მიხედვით, არამედ უპირატესად წამყვანების სტილის მიხედვით. მაყურებელი ქვეცნობიერად ისეთ წამყვანზე აკეთებს არჩევანს, რომელიც მის მოწონებას იმსახურებს, ანდა, რომელთანაც საკუთარი თავის გაიგივებას შეძლებდა. ამ მხრივ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, შოუმენის საეთერო იმიჯი რამდენად შეესაბამება მის რეალურ სახეს. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ იმიჯის უცვლელობა აუდიტორიის სტაბილურობის გარანტიას იძლევა.

უკვე ნათელი ხდება, რომ "თოქ-შოუს" ცნება სრულიად განსხვავებულ კონცეფციებსა და ტელეგადაცემათა ფორმებს მოიცავს, რომელთა შორის განსხვავების კრიტერიუმად შეიძლება თემა და პიროვნებები მივიჩნიოთ. თემების თოქ-შოუ ცენტრში აყენებს რომელიმე თემას, რომლის შესახებ მსჯელობენ სტუდიაში მოწვეული სტუმრები. ამგვარი თოქ-შოუს მსვლელობის პროცესში თემა შეიძლება გაიშალოს და დისკუსიაში გადაიზარდოს. შესაძლებელია, იგი გაშორდეს კიდეც მოცემული თემის საზღვრებს, თუმცა, მოდერატორის ფუნქცია სწორედ ის არის, რომ გასაუბრების ცენტრში კვლავ მოცემული თემა დააყენოს და ამით საუბარს განსაზღვრული დრამატურგიული მთლიანობა მიანიჭოს. პიროვნებათა თოქ-შოუ კი კმაყოფილდება მხოლოდ საინტერესო სტუმრებით, რომლებიც მზად არიან, თავიანთი პიროვნული ყოფა-ცხოვრება გადაუშალონ მაყურებლებს. მაგრამ თოქ-შოუს პრაქტიკამ ნათელი გახადა, რომ თემისა და პიროვნების შერეული ფორმა უფრო ეფექტური გამოდგა და ინფორმაციაც უფრო სხარტად და მარტივად მივიდა მაყურებლამდე. დღესდღეობით გავრცელებულია თემატური და მრავალთემიანი თოქ-შოუები, რომელთა სტუმრებიც შეიძლება იყვნენ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები, ასევე საზოგადოებისათვის საკმაოდ კარგად ნაცნობი პიროვნებები. თოქ-შოუში კითხვებს, როგორც წესი, სვამს წამყვანი, მაგრამ ხშირად შეკითხვები მოდის სტუდიაში მყოფი აუდიტორიის მხრიდან, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ამ ტიპის გადაცემებში. ალბათ, აუდიტორიის გარეშე თოქ-შოუს დაეკარგებოდა სანახაობრივი ფუნქცია, რადგან იგი ქმნის საერთო ატმოსფეროს სტუდიაში და ემოციურ მუხტს აძლიერებს. აუდიტორია

ერთვება საუბარში, გამოხატავს ემოციებს, ყვირის, ტაშს უკრავს, იცინის და ამით გადაცემას აცოცხლებს. ასეთი აუდიტორია ამა თუ იმ თოქ-შოუში განსხვავებული ადამიანებისგან შედგება. ეს ნიშნავს იმას, რომ აუდიტორიაში შეიძლება იგულისხმებოდეს რიგითი მოქალაქეები, ან სპეციალურად მოწვეული ექსპერტები, იურისტები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ამ შემადგენლობას განსაზღვრავს გადაცემის თემა, რომლის მიხედვითაც კომპლექტდება როგორც მთავარი სტუმრების, ასევე, აუდიტორიის შემადგენლობა. მაყურებლის უშუალო მონაწილეობა გადაცემაში საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, თავიანთი აზრი აუწყონ ფართო საზოგადოებას და ჟურნალისტ-რეპორტიორთა გვერდით მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი აზრის შექმნაში. მაყურებლებს, ასევე, შეუძლიათ მოსაუბრეებთან კავშირის დამყარება და შეკითხვის დასმა ტელეფონის საშუალებით. თოქ-შოუში ხშირად ერთვება ინტერაქტიული გამოკითხვები და გამზადებული სიუჟეტები, რაც განსახილველ საკითხზე დამატებით ინფორმაციას იძლევა. სტუდიაში არსებული დიდი ეკრანის საშუალებით ხდება პირდაპირი ჩართვები ქუჩიდან, პარლამენტის შენობიდან, საფეხბურთო მოედნიდან, რაც მეტ სიცოცხლეს და დინამიკურობას ანიჭებს გადაცემას. კადრების ხშირი ცვლა, სტუდიაში მოძრავი ელემენტების გამოჩენა და მკვეთრი გადასვლები განაპირობებს თოქ-შოუს ხასიათს და შესაბამისად მისი სანახაობრიობის დონეს. ესა თუ ის თოქ-შოუ შეიძლება იყოს ინფორმაციული მეტად ვიდრე სანახაობრივი, ან პირიქით. აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა თემაზეა საუბარი, რამდენად არის გადაცემაში ჩართული მუსიკა, ცეკვა და სხვა გასართობი ელემენტები. საქართველოს ტელევიზიაში სწორედ რომ ინფორმაციული ხასიათის თოქ-შოუებს ვხვდებით, მაშინ, როცა რუსეთი და, მით უმეტეს, ამერიკის შეერთებული შტატები დიდი დოზით წარმოადგენენ სანახაობრივ მხარეს. ამერიკელები აფასებენ უფრო გასართობ პროგრამებს და, უპირველეს ყოვლისა, ეძებენ რაღაცას, მათთვის სასარგებლოს, უტილიტარულს. ამერიკული თოქ-შოუებიც სწორედ ისეთ ინფორმაციას იძლევიან, ანუ მარტივ-გასართობს, რომლის აღქმასაც დიდი ძალისხმევა არ სჭირდება.

ამელი ფრიდის აზრით, თოქ-შოუ ყოველთვის არის "... მოგზაურობა უცნობ სამყაროში", რაც ასე აღაფრთოვანებს მაყურებელს და პრინციპში ეს არის მისი პოპულარობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშან-თვისება. ტელემაყურებელს ყოველთვის იზიდავს მოულოდნელობები და არა ყოველმხრივ განსაზღვრული ქმედებები. აქედან გამომდინარე, თოქ-შოუს შექმნა-გადაცემისა და მიღების ერთდროულობა განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს. მისგან განსხვავებით, ჩაწერილი და დამონტაჟებული გადაცემა ყოველგვარი

მოულოდნელობისაგან გაწმენდილია, თუმცა, დასწრების ეფექტი ფაქტობრივად არ იცვლება.

ტელევიზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თოქ-შოუ ფლობს ყველა იმ საშუალებას, რითაც მაყურებელი მიყავს ეკრანთან. მათ შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიმულიანტობა და რეალური დრო, რაც იოლად რომ ვთქვათ, დროში თანხვედრას ნიშნავს. ამ დროს მოქმედებს უწყვეტი მოძრაობის პრინციპი, რაც დამაჯერებლობას მატებს გადაცემას. თუმცა, სატელევიზიო მონტაჟი არ ნიშნავს იმას, რომ დაირღვეს ეს უწყვეტობა, რადგან აქაც არ ხდება დროში ცვლილება. ჩაწერილ, დამონტაჟებულ გადაცემას მაყურებელი ისევე აღიქვამს, როგორც პირდაპირი ეთერის დროს. უბრალოდ ეს აღარ არის ინტერაქტიული ტელევიზია.

მსოფლიოს სხვადასხვა ტელეარხის ეთერით მრავლად გადაიცემა ისეთი თოქ-შოუები, სადაც არ არის წარმოდგენილი აუდიტორია. ასეთი ტიპის გადაცემები ძირითადად სერიოზულ თემებს ეხება და შეიძლება ჩაითვალოს თოქ-შოუს ერთ-ერთ სახესხვაობად, მაგ: ჩარლი როუზის ან თუნდაც ნინო ჯაფიაშვილის გადაცემა (ჟურნალისტური გამოძიება), რომელიც უახლოვდება საუბარს მრგვალ მაგიდასთან. ხშირად ასეთი საუბარი დისკუსიაში გადაიზრდება ხოლმე, რაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრია. ტელედისკუსიის დამახასიათებელი თვისებაა სიტყვიერი კომუნიკაციის ზევით სურათოვანი გამოსახვა, არავერბალური კომუნიკაცია, რასაც გადაცემაში გარკვეულწილად სანახაობრივი ელემენტები შემოაქვს: საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თოქ-შოუ შორდება მხოლოდ ინფორმაციის საზღვრებს და მხატვრული გამოსახვის სფეროში იჭრება, რისი მამოძრავებელი ღერძიც არის წამყვანი.

წამყვანი ირჩევს თემას და სტუმრებს გადაცემისათვის და განსაზღვრავს მის მიმართულებას. თემა შესაძლებელია ეხებოდეს ნებისმიერ სფეროს – დაწყებული პოლიტიკით და ყველაზე ყოფითი პრობლემით დამთავრებული. საქართველოს ტელევიზია ამერიკასთან და რუსეთთან შედარებით ნამდვილად არ არის განებივრებული თოქ-შოუების სიმრავლით, მაგრამ ისინი აქაც საკმაო პოპულარობით სარგებლობენ, მაგალითად: "რას ფიქრობს ხალხი", "ჩვენი ფეხბურთი", "ეკო-დაიჯესტი", იყო გადაცემა "მე ქალი ვარ", "100% ცელსიუსით", რომლებიც ძირითადად გლობალურ თემებს ეხებოდა. ამისგან განსხვავებით რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს თოქ-შოუები, რომელნიც პიროვნებების პირად ცხოვრებაზე მოგვითხრობენ, უფრო სწორად, ეს პიროვნებები თავად საუბრობენ თავიანთ გრძნობებზე და ოჯახურ პრობლემებზე, მაგალითად: "Моя Семья", "Что Хочет Женщина", "Вольшая

Стирка", "Принцип Домино", "Жди Меня" და მრავალი სხვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი თემატური შეზღუდვა ხშირ შემთხვევაში არ არსებობს. ოპრა უინფრი ხშირად მასპინძლობს როგორც მოტყუებულ ცოლებს, მსახიობებს, მომღერლებს, ასევე, ჯორჯ ბუშსაც და, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ გადაცემას ჰყავს თავისი კონკრეტული ადრესატი.

როდესაც თოქ-შოუ ეხება რაიმე პრობლემას და ხდება მისი განხილვა, ამ შემთხვევაში მიზანი გადაცემისა არის პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, ან მისი მოგვარებაც კი. თუ დავაკვირდებით რუსულ თოქ-შოუებს, ეს საკითხი ხშირად დადებითად წყდება, ჩვენს შემთხვევაში კი, სამწუხაროდ – არა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ თოქ-შოუ არის სახე იმ ქვეყნისა, სადაც იგი მზადდება და გადაიცემა. იგი არის თვით ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მასში გამოიხატება ერის დამოკიდებულება ამა თუ იმ პრობლემისადმი, თემისადმი, ჩანს ხალხის მენტალიტეტი, ინტერესები და, შეიძლება ითქვას, ცხოვრების წესიც. სწორედ ამიტომ თოქ-შოუ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი ზემოთ ხსენებულ ქვეყნებში და შესაბამისად ის სახეცვლილებები, რაც განიცადა თოქ-შოუმ წლების განმავლობაში, მკვეთრად გამოიხატება ამ გადაცემების სახით.

კონსტანტინე ამირეჯიბი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დიზაინის კათედრის გამგე, არქიტექტურის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ურბანული პროცესები აშშ-ი და საქართველოს ქალაქების განვითარების პრობლემები (შედარებითი ანალიზი)

საქართველოს ქალაქების განვითარებაში უკანასკნელ წლებში ხდება ძირეული ცვლილებები: მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, იქმნება საკუთრების ახალი ფორმები, იცვლება ქალაქმშენებლობის პრაქტიკა. ყოველივე ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გამოცდილებას, რომელიც დაუგროვდათ ურბანული პროცესების მართვაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს. წინამდებარე ნაშრომი ისახავს მიზნად წარმოადგინოს შედარებითი ანალიზი ურბანული პროცესების განვითარებისა აშშ-ი და საქართველოში.

საქალაქო მოსახლეობა აშშ-ი თანმიმდევრულად იზრდება მეოცე საუკუნის 70-ან წლებამდე: 1910 წ. იგი შეადგენდა 28.3%, 1930 წ. – 44%, 1950 წ. – 56%, 1970 წ. – 78.6%. 80-ან წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 72.0%-მდე, ხოლო 1985 წ. შეადგენდა ისევ 76%, რაც შეადგენდა მთლიანად 180 მილ. ადამიანს. უკანასკნელ პერიადში მოსახლეობა იზრდება მცირე ტემპებით და ძირითადად საგარეუბნო ზონებში.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა იზრდებოდა დაახლოვებით ანალოგიური ტემპებით – კერძოდ, თბილისის მოსახლეობა 1919 წ. შეადგენდა 300 ათ. ადამიანს, 1939 წ. – 500 ათ., 1970 წ. – 900 ათ., 1985 წ. – 1200 ათ.ადამიანს. ყველაზე მაღალ მაჩვენებელს თბილისი აღწევს 80-იანი წლების ბოლოს და შეადგენს 1500ათ. ადამიანს, რაც, სხვა ქალაქების მოსახლეობასთან ერთად აღემატებოდა მთელი მოსახლეობის 50%.

აშშ-ი და საქართველოში საქალაქო მოსახლეობა არათანაბრად ნაწილდება ქვეყნის ტერიტორიაზე. აშშ-ი მოსახლეობის 70% ცხოვრობს ტერიტორიის 15%-ზე. თანდათანობით იზრდება იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს სანაპირო ზოლიდან 50-მილიან ზონაში. ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1940 წ. – 30%, 1984 – 40%, 1990 წ. – 75%. ამ ზონაში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 5-ჯერ აღემატება საშუალო სიმჭიდროვეს დანარჩენ ტერიტორიაზე.

საქართველოში XX საუკუნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მოსახლე-

ობის კონცენტრაციას ბარის ზონაში მთიანი რეგიონებიდან გადმოსახლების ხარჯზე. დღეისათვის საქართველოს ბარში და ზეგანების ზონაში მოქცეულია მოსახლეობის 92%, თბილისში – მოსახლეობის 25%, განსახლების ძირითად ზოლში – მოსახლეობის – 81%. ეს მდგომარეობა განაპირობებს მთიანი და მაღალმთიანი რაიონების დაცარიელებას, აქ გარდა მოსახლეობის მექანიკური გადინებისა, აღინიშნება დემოგრაფიული კრიზისის ნიშნები მოსახლეობის დეპოპულაციის სახით. განსხვავებით აშშ-საგან, საქართველოში ზღვისპირა ზონა არ წარმოადგენს მოსახლეობის მიზიდვის ძლიერ არეალს, გარდა საკურორტო დასვენების პერიოდისა.

გარკვეული პარალელები შეიძლება გატარდეს საქართველოს და აშშ-ს შორის მიწის გამოყენების თვალსაზრისით. აშშ-ის ტერიტორიის მხოლოდ 2% დაკავებულია ქალაქებით. აქ ქვეყნის ერთ მოქალაქეზე მოდის 4.5 ჰა, საქართველოში – 1.4 ჰა. აშშ-ი არსებობს მიწის ფლობის ოთხი ფორმა: ფედერალური მიწები, შტატების მიწები, ადგილობრივი ხელისუფლების და კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები. აქედან ფედერალური მიწები შეადგენენ 30%, შტატების და მუნიციპალიტეტის მიწები – 6.8%, კერძო ფლობაში მყოფი მიწებიდან ძირითადი ნაწილი ფერმერების ხელშია – 58.7%. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მხოლოდ 3% ფლობს ნაციონალური მიწების 55%. ამერიკის ქალაქებში საერთო-საქალაქო მიწების 60% კერძოა, ხოლო 40% – საზოგადოებრივი. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აღინიშნება საქალაქო მიწების თანმიმდევრული ზრდა, მაგალითად 1978-დან 1982 წლამდე მიწების ფართი გაიზარდა 47.8%, 1970-80 წლამდე ქალაქების მიწები გაიზარდა 28 ათ.კმ2-ით.

საქართველოში ქალაქებს უკავია მიწების 9.2%. აქედან დიდი წილი ეკუთვნის მცირე ქალაქებს – 80-მდე დასახლებული პუნქტის მოსახლეობა არ აღემატება 5-7 ათას მოსახლეს, არსებითად შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო დიდი სოფლებია, ვიდრე ნამდვილი ქალაქები. საქართველოს მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირებულია 1988 წლისთვის 5266 ათ. ადამიანის ოდენობით, რომელიც განთავსებულია 69.7 კმ2-ზე. იგი განაწილებულია შემდეგნაირად: ქალაქებში – 2873 ათ. (54%) და დანარჩენი 46% – სოფლებში.

საქართველოში, აშშ-საგან განსხვავებით არ არსებობს მუნიციპალური, ან საქალაქო მიწების კატეგორია. შემუშავებულია სრულიად არაეფექტური დაყოფა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და ამგვარად, ყველა საქალაქო მიწა აღმოჩნდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიაში. ამასთან ერთად დღეისათვის

ჯერ კიდევ არ არის შედგენილი საქალაქო ტერიტორიების მიწის კადასტრი, გაურკვეველია მიწების რა რაოდენობა გადავიდა კერძო ფლობაში და რა დარჩა სახელმწიფოს ფლობაში. თბილისის მიწები ადმინისტრაციულ საზღვრებში იზრდება მაღალი ტემპებით, დღეისათვის თბილისის ტერიტორია შეადგენს 34 ათ. ჰა-ს, აქედან განაშენიანებით დაკავებულია მხოლოდ — 14 ათ. ჰა — 41%.

გარკვეული ტენდენციები შეიმჩნევა მოსახლეობის დინამიკაში. აშშ-ის ცენტრალურმა ქალაქებმა დაკარგა მოსახლეობის 3.7% 1970-80 წლებში. მოსახლეობის ზრდის ტემპები შეადგენდა აქ 14.3% და, ამავე დროს, საგარეუბნო ზონებში მოსახლეობის ზრდა 2-ჯერ აღემატებოდა ცენტრალურ რაიონებს. აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთის და საშუალო დასავლეთის ქალაქები კარგავდენ მოსახლეობას, უმნიშვნელოდ იზრდებოოდა სამხრეთის და დასავლეთის ქალაქების მოსახლეობა, სულ 1-2%-ით (ნიუ-იორკი, ბოსტონი, ხიუსტონი, დალასი, ახალი ორლეანი, ლოს-ანჟელესი, სან-დიეგო, სან-ფრანცისკო).

საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მოსახლეობა, რომელიც 1989 წელს 1,5 მილიონს აღწევდა, ათი წლის განმავლობაში, 1990-2000 წლამდე, შემცირდა 1.350 ათასამდე. უკანასკნელი აღწერის შედეგად თბილისის მოსახლეობა შეადგენს 1.1 მილიონს. თბილისის დანაკარგი, 400 ათ. ადამიანი, მოიცავს ძირითადათ მუდმივ და დროებით მიგრანტებს უპირატესად შრომისუნარიანი ფენებიდან.

ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებებს შრომითი რესურსების სტრუქტურაში. აშშ-ის საწარმოო დაწესებულებები სტოვებენ ქალაქებს. ეს მოვლენა გამოწვეულია იმით, რომ გარეუბნებში მიწის ღირებულება ნაკლებია, იქმნება საშუალება საწარმოო ფართების საშუალოდ გაორმაგების, იხსნება ეკოლოგიური ხასიათის და შემდგომი განვითარების პრობლემები, რაც საბოლოო ჯამში, ზრდის სამრეწველო წარმადობას და წარმოების მომგებიანობას. ამავე დროს მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა წარმოებაში. 1950-დან 1990 წლამდე იგი შემცირდა: ნიუ-იორკი — 600 ათ. ადგილით, ფილადელფიაში — 250 ათ. ადგილით, ბოსტონში — 80 ათ. ადგილით. ამავე დროს იზრდება მოსამსახურეობათა რაოდენობა მომსახურეობის და ფინანსების სფეროში. კერძოდ ეს რაოდენობა გაიზარდა ამავე პერიოდში ფილადელფიაში — 180 ათ. ადგილით, ბოსტონში — 100 ათ. ადგილით, ნიუ-იორკში — 300 ათ. ადგილით. 80% ადგილებისა მოდის ოფისის კლერკებზე და შესაბამისად ცენტრალურ ქალაქებში ოფისების საერთო ფართი გაიზარდა 50%-ით. 2000 წლისათვის აშშ-ის მრეწველობაში დაკავებულია მხოლოდ 11% შრომისუნარიანი მოსახლეობისა.

საქართველოში, და კერძოდ, თბილისში, დასაქმების დარგში ბოლო წლებში შეიქმნა უკიდურესად მძიმე ვითარება. იგი გამოწვეულია მთელი სამრეწველო კომპლექსის დეგრადაციით, ყოფილი საბჭოთა მრეწველობის ერთიანი სისტემის მოშლით და არაოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის გატარებით.

საინტერესოა, თუ რა განწყობილება არსებობს დღეს აშშ-ი საცხოვრებელი ადგილის არჩევის თვალსაზრისით. ამერიკელთა 13%-ს სურთ იცხოვრონ დიდ ქალაქებში, 31% – გარეუბნებში, 32% მცირე ქალაქებში, ხოლო 23% – სოფლის ტიპის დასახლებაში. ესეთი დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ ამერიკელთა შორის პრიორიტეტს წარმოადგენს ცხოვრება საკუთარ სახლში, რომელსაც გააჩნია მიწის ნაკვეთი. ამასთან ერთად მიწის ნაკვეთი გარეუბნებში და მცირე ქალაქებში ღირს გაცილებით ნაკლები, ვიდრე ქალაქის ცენტრში. ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

უნდა ითქვას, რომ აშშ-ი მიწის ღირებულება ქალაქებში მუდმივად იზრდება. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მიწის ღირებულება გაიზარდა 10-ჯერ და იზრდება 6-8%-ით ყოველწლიურად, რაც, ამავე დროს 2.5-3.5%-ით აღემატება ინფლაციის დონეს. ყოველივე ეს უზრუნველჰყოფს მიწის და უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების მუდმივ ზრდას და არა შემცირებას თბილისში და სხვა ქალაქებში უძრავი ქონების ფასი უაღრესად დაბალია, რადგანაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში მოსახლეობის შესყიდვისუნარიანია უკიდურესად დაბალია და მოთხოვნილება ბევრად ჩამორჩება წინადადებას, ხოლო ინფლაციის ტემპები საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარეობს კიდევ ის, რომ ბინის მ^2 ღირებულება პრესტიჟულ რაიონში 10-ჯერ უფრო მეტია ვიდრე არაპრესტიჟულ რაიონში. ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა აშშ-ის ქალაქებშიც: მიწის ღირებულება მცირდება ქალაქის ცენტრიდან პერიფერიისაკენ. თუ გარეუბანში მივიღებთ 1 ჰა-ს ღირებულების 100 ერთეულად, იგი ეღირება ნიუ-იორკის ცენტრში – 1773 ერთეული, სან-ფრანციასკოში – 1333, ფილადელფიაში – 583, ლოს-ანჟელესში – 1165, ბალტიმორში – 375.

გარკვეული სხვაობა არსებობს საცხოვრებელ სტანდარტებში აშშ-ი და საქართველოში. აშშ-ის 1000 მოსახლეზე 1960 წელს მოდიოდა 325 ბინა, 1980 – 390 ბინა და ეს მაჩვენებელი სტაბილურად იზრდებოდა. საქართველოში 100 მოსახლეზე მოდიოდა 1960 წ. – 209 ბინა, 1970 – 272 ბინა და ამ მაჩვენებლის ზრდა შეწყდა 80-იანი წლების კრიზისული მოვლენების შედეგად. ჩვენთანაც და შტატებშიც მცირდება ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა: აშშ-ი – 1960

წ. – 3.3; 1980 წ. – 2.5; 1995 წ. – 2.3; საქართველოში – 2.7. ეს იწვევს აშშ-ში საკუთარი სახლების რაოდენობის გარკვეულ ზრდას და მათი ფართობების შემცირებას. კერძო სახლების რაოდენობა იზრდება არათანაბრად. ცენტრებში – 49%, გარეუბნებში – 71% წარმოადგენს კერძო სახლების ფონდს აშშ-ი. ამავდროულად აშშ-ი იზრდება ე.წ. "მეორე სახლის" რაოდენობა. 80-იანი წლებისათვის ამ ტიპის სახლების რაოდენობა შეადგენდა მთელი ფონდის 3% და იქ ცხოვრობს მოსახლეობის 4%. საგულისხმოა ავტომანქანების რაოდენობის დინამიკა: აშშ-ი 1000 სულზე მოდიოდა 1955 წ – 315 მანქანა, 1975 წ.– 460, 1985 წ.– 490. საქართველოში 1960 წ.– 49, ხოლო 1988 წ.– 78 მანქანა 1000 სულზე.

აშშ-ში მკვეთრად გამოიკვეთა სუბურბანიზაციის პროცესი. ეცემა მოსახლეობის სიმჭიდროვე ცენტრალურ ქალაქებში, თუ 1950 წ. ერთ სულზე მოდიოდა 0.08 ჰა, 1970 წ. უკვე – 0.16 ჰა. საშუალო სიმჭიდროვე შტატებში უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში დაეცა 40%. ქალაქების ცენტრალურ რაონებში ამ პერიოდში მოსახლეობის სიმჭიდროვე შემცირდა 2-ჯერ (ნიუ-იორკში 30 ათ.ად./კმ2-ზე დავიდა 15 ათ.ად/კმ2-ზე). აშშ-ის ქალაქებში ეს მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 17 ათ.ად. /კმ2-ზე, ხოლო მაქსიმალური – 80 ათ.ად./კმ2-ზე. უნდა აღინიშნოს აშშ-ის მოსახლეობის მაღალი მობილურობა, საშუალოდ ცხოვრების განმავლობაში ამერიკელი იცვლის 14 საცხოვრებელს. შიდა საქალაქო მიგრაციები აგრეთვე მაღალია: ადგილმდებარეობას მუდმივად იცვლის მოსახლეობის 20%. ეს მაჩვენებლები საქართველოში გაცილებით დაბალია: 3-4 ბინა და 7-8% (საბჭოთა პერიოდში – 45-50%). მიწების ათვისების თვალსაზრისით ჩვენ თითქმის თანაბარი მაჩვენებლები გაგვაჩნია: მეტროპილიტენურ არეალში აშშ-ში ათვისებულია მიწების 10%. 100 ათასიან და მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქებში არ არის ათვისებული მიწების 25%, მათგან 75%-ზე შესაძლებელია მშენებლობა. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ არის ათვისებული მიწების 60%.

აშშ-ი ქალაქების განვითარება ფინანსირდება სპეციალური სისტემით. იქ მიღებულია გადასახადების აკრეფის სამი არხი: გადასახადები მოსახლეობის პირადი შემოსავლებიდან მიდის ფედერალურ ბიუჯეტში, გადასახადები ფირმა-წარმოებიდან და მათი კაპიტალების ბრუნვიდან – შტატების ბიუჯეტში, ხოლო მიწების და უძრავი ქონების დაბეგვრიდან შემოსული გადასახადები – ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტში. ეს სისტემა იძლევა საშუალებას ტერიტორიების განვითარებისათვის და უძრავი ქონების მოვლა-პატრონობისათვის. ამასთან ერთად იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა. 1983 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტებმა მიიღეს 82 მლრდ. დოლარი.

აქედან 72.8 მლრდ. დოლარი წავიდა ქალაქების განვითარებაზე. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში შენატანები ადგილობრივ ბიუჯეტში გაიზარდა 3-ჯერ. მარტო ნიუ-იორკმა შეაგროვა 1983 წ. 3.6 მლრდ. დოლარი. საშუალო გადასახადი უძრავ ქონებაზე შეადგენს მისი ღირებულების 1.5%, ამ ქონების გაყიდვის, ჩუქნის ან მემკვიდრეობის სახით მიღებისას გადასახადი შეიძლება გაიზარდოს 60%-მდე. დაბეგვრის მუდმივი შემცირება ხელს უწყობს საგარეუბნო ზონების ზრდას და სუბურბანიზაციის პროცესების გაღრმავებას. საქართველოში ყველა შენატანი მიემართება ცენტრალურ ბიუჯეტში და იქიდან ადგილებზე პრაქტიკულად აღარ ბრუნდება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ქალაქების და თბილისის განაშენიანების განვითარება შეზღუდულია პირველ რიგში ადგილობრივი თვითმართველობის დაბალი დონით და მათი ფინანსური სიღარიბით.

ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოსათვის აშშ-ის გამოცდილება ფრიად\ სასარგებელოა. ჩვენი ქვეყნის ურბანული პროცესების რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი თვითმართველობის დამკიდრებას, მის ფინანსურ დამოუკიდებლობას, მოსახლეობის სიმჭიდროვის შემცირებას, გარეუბნების განვითარებას, მცირესართულიანი მაღალკომფორტული განაშენიანების განვითარებას, უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებას, საგადასახადო პოლიტიკის რეფორმას, მოსახლეობისათვის გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტების სისტემის შემოღებას მშენებლობისათვის და ქალაქების მართვის ხარისხობრივად ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანას. ყოველივე ზემოთქმული უაღრესად დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციაზე და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1989.
2. ვ.ჯაოშვილი. საქართველოს ურბანიზაცია. "მეცნიერება", თბილისი, 1985.
3. Использование городских территорий. Зарубежная и отечественная практика. Обзорная информация ВНИИТАГ, М.,1990.
4. Dear M., Scott A.J. ed., Urbanization and urban planning in capitalist society, N.Y., 1998.
5. Leyd, A Social Geography of the City, N.Y., 1993.

ელენე კილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
არქიტექტურის ინსტიტუტი.
არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი

უტოპია ამერიკულ და საბჭოთა არქიტექტურაში

„"—დაკარგული ედემის ძიების სურვილი..."
(მ.ლასკი)

„უტოპია ხშირად სხვა არაფერია, თუ არა ნაადრევი ჭეშმარიტება და კონკრეტული განსაზღვრება უტოპიისა კი დაკავშირებულია ყოფიერების განვითარების დონესთან."

(კ.მანჰეიმი)

არქიტექტურის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია უტოპიურ ძიებებს, როგორც ფიქრს არქიტექტურულ პრობლემებზე და ოცნებას მომავალზე. არქიტექტურის განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყოველი მიმდინარეობა, ყოველი ეპოქა, ყოველი დიდი ხუროთმოძღვარი თავის მითებს, კონცეფციებსა და უტოპიებს ქმნიდა. არქიტექტურის განვითარების მთელი გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სხვადასხვა კონცეფციების და მითების მონაცვლეობა.

უტოპიის ფენომენის, ტერმინის ეტიმოლოგიის, მისი ისტორიის და ფსიქოსოციალური პირველსაწყისების ძიება დღევანდელი თემის საგანს არ წარმოადგენს. ყურადღებას შევაჩერებთ ამერიკულ და საბჭოთა არქიტექტურულ უტოპიებზე.

XX საუკუნის ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა პერიოდის ძიებებს. 20-იანი წლები ეს იყო ხანა ახალი სამეტყველო ენის ძიებისა. რუსეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ პროცესში და გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ევროპისა და მსოფლიო ხელოვნებისა და არქიტექტურის განვითარებაზე. ავანგარდული ხელოვნების კერამ XX ს-ის 30-იან წლებში ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა. ომის დროს აქ ჩამოვიდა ბევრი შემოქმედი ევროპიდან. ამ კუთხით საკმაოდ საინტერესოა საბჭოთა ეპოქის და ამერიკული არქიტექტურის უტოპიების თვალყურის გადევნება, როგორც ორი ქვეყნის, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბებაში.

ამერიკული ხელოვნება და არქიტექტურა ზოგადად უტოპიის, როგორც

მომავლის იდეალის ძიების ფენომენიდან აღმოცენდა. მ.ლასკი, უტოპიის ფენომენის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი, აღნიშნავდა, რომ უტოპია ყოველთვის იყო სხვა, ახალი სამყარო, შორეული, მაგრამ აღმოჩენილი რეალობის, რომელიც სინამდვილეში იქ, ზღვების მიღმა მდებარეობდა. უტოპია იყო „ამერიკა, რომელიც შესაძლოა იყო სწორედ ის დაკარგული „ედემი"- და ასეთად მას ერგო დარჩენილიყო თუნდაც სკოტ ფიცჯერალდამდე – „ხელუხლებელ მწვანე წიაღად ახალი სამყაროსი, რომელიც გაჟღენთილი იყო უკანასკნელი და უდიდესი ადამიანური ოცნების მელოდიით, უსაზღვრო, სამომავლო ბედნიერებაზე"(1).

სწორედ ასეთად წარმოუდგებოდათ ამერიკა პირველ ემიგრანტებს, რომლებიც ამ უცნობი მიწისკენ მიიწევდნენ ევროპის სხვადასხვა კუთხიდან და ქმნიდნენ თავის დასახლებებს (ძირითადად ევროპის სოციალ-უტოპისტების იდეებზე დაყრდნობით). ამის საუკეთესო მაგალითია რობერტ ოუენის „ახალი ჰარმონიის" მშენებლობა (1841 წ.), რომელსაც საფუძვლად უდევს ფიქრი ჰარმონიზებულ და მორალიზებულ ქალაქსა და საცხოვრებელზე. ჰარმონიასა და წესრიგს აქ არქიტექტურა განაპირობებს. დასახლება გათვალისწინებული იყო მცირე კომლებზე (300-2000 კაცი) და იყო გაერთიანებული ერთიანი სამრეწველო და სამიწათმოქმედო საქმიანობით.

ახალი, ძლიერი ქვეყნის ასაშენებლად ახალი არქიტექტურა იყო საჭირო. არქიტექტურა, რომელიც მომავლის იდეების მატარებელი იქნებოდა. მისი განვითარება კი ამერიკული კულტურის ძირეულ პრინციპს უნდა დაქვემდებარებოდა, რომელიც რ.ჰიუს თეორიაზე დაყრდნობით ნოსტალგიისა და მომავლისკენ დაუოკებელი სწრაფვის დუალიზმში გამოიხატებოდა (2). ამერიკული უტოპიებიც ამ დუალიზმს დაექვემდებარა. უფრო რომ დავაკონკრეტოთ: ამერიკული უტოპია ტექნოკრატიული მითის და ზღაპრის საზღვრებში განვითარდა. მისი ფილოსოფია ცდილობდა ეპოვნა შუალედური ხაზი ინჟინერიასა და მისტიკას შორის (ლ. მარავალი).

ადამიანის არსებობის რაციონალიზაცია სამეცნიერო-ინჟინრული პროექტირების გზით, მართვა და კონტროლი, ეს ის ტექნოკრატიული უტოპიაა, რომელიც XX ს-ის მეორე მესამედის ამერიკაში, მის იდეოლოგიასა და კულტურაში მკვიდრდება. მაგრამ, ამერიკული უტოპიის ცნობილი მკვლევარის, გ.მორსონის აზრით, „ეანრის საზღვრებში მასთან პოლემიკა ანტიუტოპიაა." (3).

ამერიკის ტექნოკრატიული უტოპია განხორციელებას პირველ ამერიკულ ცათამბჯენებში პოვებს. პირველი „ცათამბჯენი" ჩიკაგოში 1884-85 წწ. ააგო ლე ბარონ ჯენიმ. ესაა 18-სართულიანი ნაგებობა. შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1929-31 წწ. ნიუ-იორკში 102-სართულიანი ემპაირ-სტეიტ ბილდინგის მშენებლობაა. კაცობრიობის „ზესწრაფვის" იდეა, ერთ დროს უტოპიური, კულმი-

ნაციას ნიუ-იორკის სახის ჩამოყალიბებაში აღწევს.

ამერიკული არქიტექტურული უტოპიები ძირითადად ორ თემას – ქალაქსა და საცხოვრებელს უკავშირდება. ამერიკული ქალაქის (და საზოგადოების) იდეას ხატავს ედუარდ ბელამი თავის ცნობილ რომანში „გახედვა უკან" (1888 წ.). ეს არის მომავლის ბოსტონი- უშველებელი ქალაქი ფართო ქუჩებით, პარკებით, ხეივნებით, ქანდაკებებით და შადრევნებით. სახლები თბება ელექტრონით. ქალაქში არის რადიო, ტელევიზია, საზოგადოებრივი სამრეცხაოები და სასადილოები. თავის მომდევნო წიგნში ბელამი აღწერს ნიუ-იორკს, მის საჰაერო-სატრანსპორტო საშუალებებს და სხვადასხვა სიახლეებს. ბელამის ნაშრომში 2001 წლის ფილოსოფიაა გადმოცემული ქადაგების სახით, რომლის მოსმენაც შესაძლებელია ეკლესიაში, რადიოთი ან ტელეფონით – დეტალი, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს ამერიკის დღევანდელ რეალობას.

ამერიკელი ინჟინერი ბილ არჩერი (1901ნ) მომავლის ქალაქის ახალ გეგმას ქმნის. მისი პროგნოზით 100 წლის მერე ქალაქებში 20, 30,50 მილიონი მაცხოვრებელი იქნება და ახალ ქალაქს ახალი გეგმა სჭირდება-ეს ექვსკუთხა ერთეულების სისტემა უნდა იყოს. 1928 წ. დანიელ ბერნხემი აპროექტებს ჩიკაგოსათვის ცათამბჯენების სისტემას, რომელიც ერთმანეთს უკავშირდება მინისქვეშა ჩქაროსნული ტრანსპორტით, სახურავების დონეზე კი – ავტომობილური ტერასები. მეტად საინტერესოა ლუდვიგ გილბერსმეიერი – ქალაქის დეცენტრალიზაციის კონცეფციით (1938 წ.).. ქალაქი-თანამგზავრების იდეას ქმნის ამერიკელი არქიტექტორი რობერტ უიტენი (1923 წ.).

ქალაქი-გიგანტების პარალელურად საკმაოდ აქტუალურია მცირე ქალაქების იდეები. ერთ-ერთი ასეთი „ქალაქი-ბაღების" თეორიაა, რომელიც ებინეზერ ჰოუარდის იდეის გამოძახილია. ამერიკაში ეს იდეა ხორციელდება ქალაქებში „მწვანე ზონაში" („რეენბელტ თონნს"). იგება რამდენიმე ქალაქი: გრინბელტი, გრინდეილი, გრინხილზი.

მცირე ქალაქების თეორიებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვალტერ გროპიუსი და ფ.ლ.რაიტი. გროპიუსისათვის იდეალური დასახლება 5-6 ათასზეა. მცირე ქალაქების გარშემო იგი პატარა დასახლებას სთავაზობს მიწათმოქმედების მეურნეობით,.

ფ. ლ. რაიტი ყველაზე მკაცრად უპირისპირდება ახალი ქალაქის ურბანისტულ ტენდენციებს. ორგანული არქიტექტურის კონცეფცია მისთვის საზოგადოების გარდაქმნის კონცეფციას უკავშირდება – „ჩვენ არ შეიძლება გვქონდეს ორგანული არქიტექტურა, სანამ არ გვექნება ორგანული საზოგადოება" (4). რაიტის აზრით, ის ცივილიზაციები, რომლებიც ყველაზე დიდ ქალაქებს აგებდნენ, მათთან ერთად ქრებოდნენ. იგი აქცენტს საავტომობილო გზების და მათ გარშემო განაშენიანების მშენებლობაზე აკეთებს. „როდაცრე ციტყ-ში" სა-

ხლები დგას დიდ ნაკვეთებზე. ყველას ჰყავს ავტომობილი. ტელევიზია ცვლის თეატრსა და კინოს, რადიო-კონცერტებს, საზოგადოებრივ ცხოვრებას-ექსკურსია ავტომობილით. მომავლის არქიტექტურას რაიტი ხატავს იდეალური „უსონიის“ სახით – ეს არის ანტიქალაქები, განვითარებული გზების გარშემო. რაიტის ეს უტოპიური იდეა გარკვეული წინასწარგანჭვრეტა გამოდგა. შემდგომ პერიოდში ამერიკაში გზების გარშემო განვითარდა დასახლებები (სტიქიური ხაზოვანი ქალაქები) „რივე-ინ“ კომპლექსებით, სადაც ხდებოდა ფილმების ნახვა, მოლაპარაკებათა წარმოება, თუ ფინანსური გარიგება მანქანიდან გამოუსვლელად.

ქალაქის იდეები განვითარებას პოვებს ამერიკული რეგიონალური ქალაქის კონცეფციაში, რომელიც თავისი ფიქრით ქალაქის პრობლემებს სცილდება და იაზრებს მის მიმდებარე აგლომერაციებსაც. ეს არის განსახლების სისტემების თეორია. პატრიკ გედესი ფიქრობს, თუ რა დაარქვას ამ დასახლებას: კონსტელაცია, კონგლომერაცია თუ კონურბაცია? რეგიონალური ქალაქის თეორია საუკეთესო განვითარებას პოულობს ქალაქის ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსის, სოციოლოგის, ლ.მამფორდის ნაშრომებში და არქიტექტორ კლარენს შტეინის სქემებში (1930 წ.). ლუის მამფორდის „მანქანის მითი“-მანქანური მომავლის სურათი, ერთგვარი წინასწარგანჭვრეტაა ტექნიკის სწრაფი განვითარებისა.

ამერიკული ქალაქის უტოპიურ მოდელებზე საუბრისას, შეუძლებელია გვერდი აუარო ლიტერატურული ფანტასტიკის ჟანრს. რეი ბრედბერი, შეკლი, საიმაკი, აიზეკ აზიმოვი, გარი გარისონი თუ სტივენ კინგი თავის ნაშრომებში მომავლის ქალაქების უტოპიურ სურათებს ხატავენ.

რ. ბრედბერის მიერ „451 გრადუს ფარენგეიტში“ დახატული პესიმისტური სურათი მექანიზებული ქალაქი რაკეტული ავტომობილებით და მექანიზებული საცხოვრებლით, სადაც უშველებელი ეკრანებია კედლების მაგივრად და სადაც ადამიანურ ურთიერთობებს ეკრანზე ვიზუალურ სახეთა მონაცვლეობა ცვლის, სულ მალე შეიძლება რეალური გახდეს.

შეკლის მოთხრობაში „ოცნებების ქუჩა, თიხის ფეხები“ წარმოგვიდგება ექსპერიმენტული ქალაქი ბელვედერი, „გასულიერებული“ ხელოვნური გონით, რაც აძლევს საშუალებას ქალაქს იყოს გულისხმიერი და „შემოქმედებითად უპასუხოს“ მაცხოვრებელთა მოთხოვნებს. მაცხოვრებელთ და ქალაქს შეუძლიათ დიალოგის მეშვეობით გამოიმუშაონ დინამიური, მოქნილი ქალაქური გარემო (5). საინტერესოა, რომ მოთხრობის ბოლოს ქალაქის მზრუნველობისაგან დაღლილი გმირი გარბის და ქალაქი მარტო რჩება- ეს ერთგვარი წინასწარგანჭვრეტაა, რადგანაც სწორედ ამერიკაში აგლომერაციის სწრაფი ზრდის ფონზე სულ უფრო მეტად იკვეთება მოძრაობა ბუნებრივ გარემოსთან დასა-

ბრუნებლად.

ტექნოკრატიული პესიმიზმისაგან გადარჩენა კი მითოეთიკის ფუძემდებლის და მკვლევრის, დ.ტოლკიენის აზრით, მხოლოდ ზღაპარს შეუძლია. რადგანაც სწორედ მითი და ზღაპარი უკავშირდება ადამიანური ყოფის სიღრმისეული ერთიანობის პრობლემას.

სწორედ ამ ორი ტენდენციის ერთიანობის მშვენიერი მაგალითია ამერიკულ არქიტექტურაში ნიუ-იორკი- ქალაქი საოცრად ტექნოკრატიული და უჩვეულოდ რომანტიკული ერთდროულად და ცნობილი ამერიკელი არქიტექტორის ფგერის შემოქმედება – უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების ორგანული შერწყმა იდეალისტურ პრინციპებთან. მაღალი ტექნოლოგია და მისი დეკონსტრუირების მცდელობა ერთდროულად.

თუ ვისაუბრებთ საბჭოთა უტოპიებზე, დავინახავთ, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც თავის არსებობას XX ს-ის 20-იან წლებში იწყებს, აგრეთვე გრანდიოზული ამოცანების წინაშე დგება. გრანდიოზულია ახალი გეგმები და უკიდეგანოა .ახლის შექმნის შესაძლებლობანი. ახალ ქვეყანას აქაც ახალი გამომსახველობითი საშუალებები ესაჭიროება. ახლის ძიება კი ყოველთვის უტოპიის, თამამი ოცნებების და იდეალების პლასტს უკავშირდება, ამიტომ სწორედ 20-იან წლებში რუსეთში იქმნება ყველაზე თამამი კონცეფციები მხატვრობაში, არქიტექტურაში...

ახალი არქიტექტურულ-მხატვრული სახეების ძიება მიმდინარეობს ქვეყანაში სოციალისტური გარდაქმნების ფონზე (იცვლება არქიტექტურის იდეურ-მხატვრული შინაარსი). ეს იყო რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო ძიებების ხანა, როდესაც მოღვაწეობდნენ: ა.ვ. და ი. ვესნინები, მ.გინზბურგი, კ.მელნიკოვი, ნ.ლადოვსკი, ი.ლეონიდოვი, ი.დალ.გოლოსოვები, ვ.ტატლინი, ლ.ლისიცკი, ნ.მილიუტინი, ა.ბუროვი, კ.მალევიჩი და სხვა მრავალი ნიჭიერი შემოქმედი. მთავარი, რაც განასხვავებდა 20-იანი წლების საბჭოთა არქიტექტურას, როგორც წარსულის, ისე მისი თანამედროვე პერიოდის ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების არქიტექტურისაგან და აახლოებდა მას ამერიკულ არქიტექტურასთან, ეს იყო მომავლისაკენ სწრაფვა, განპირობებული ქვეყანაში მიმდინარე ძირეული სოციალისტური გარდაქმნებით. დღეს წარსულის მოვლენების გადაფასების ფონზე, უდაო რჩება ის ფაქტი, რომ სწორედ 20-30-იანი წლების საბჭოთა არქიტექტურა იყო მსოფლიო ახალი მხატვრულ-ესთეტიკური ძიებების ერთ-ერთი მძლავრი ცენტრი.

მკვლევართა უმეტესობა ეთანხმება ერთმანეთს იმაში, რომ 20-30 –იანი წლების საბჭოთა არქიტექტურის აყვავება განაპირობა: ქვეყანაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, არქიტექტურის კომპლექსურობამ (იგი აერთიანებდა არქიტექტორების შემოქმედებითი ინტერესების ფართო დი-

აპაზონს), დიდი რაოდენობით ღია კონკურსების ჩატარებამ და ექსპერიმენტული პროექტირების ფართოდ დანერგვამ. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული, „ძიებითი პროექტირებით", საბჭოთა არქიტექტურა წინ უსწრებდა ყველა სხვა ქვეყანას (6). „ძიებითი პროექტირება" ეს არის შემოქმედების ისეთი ეტაპი, სადაც კამათსა და ეჭვებში მიმდინარეობს ახალი იდეების გამოვლენის უწყვეტი პროცესი, მათი შემდგომი შემოწმებისათვის ექსპერიმენტული პროექტირების დროს. სწორედ 20-იან წლებში შეიქმნა დიდი რაოდენობით „ძიებითი პროექტები"' რომლებიც თუმცა კი არ იყო გათვალისწინებული განხორციელებისათვის, მაგრამ დიდი გავლენა იქონია არქიტექტურის განვითარებაზე. 20-იანი წლების ექსპერიმენტული პროექტირება აერთიანებდა ტექნიკურ, სამეცნიერო, სოციალურ პროგნოზებს. ეს იყო პროექტი იდეები, საავტორო განცხადებები, რომლებიც შემდგომში კონკრეტულ ობიექტებში პოულობდა განვითარებას.

სწორედ ამ დროს საბჭოთა არქიტექტურაში შეიქმნა მთელი ტალღა პროექტებისა, რომელთაც ჩვენ დღეს უტოპიებს მივაკუთვნებთ. თუმცა ჩაფიქრებული იყვნენ ისინი, არა როგორც უტოპიები, არამედ როგორც წინადადებები, რომლებიც ავტორებს რეალურად ეჩვენებოდათ არა ასი წლის შემდეგ, არამედ დღეს. მაგალითად, ა.ლავინსკიმ დააპროექტა მთელი ქალაქი (1921 წ.)-შექმნა მეორე იარუსი ქალაქის განაშენიანებისა, სადაც შემოთავაზებული იყო ყველა ნაგებობა აგვენია „რესორებზე". ლ.ლისიცკიმ (1923-25 წწ) შექმნა პროექტი ჰორიზონტალური ცათამბჯენის ჰორიზონტალურად განვითარებადი 2-3 სართულიანი ნაგებობები აწეული სამ მაღალ საბჯენზე, რომელშიაც მოთავსებულია ლიფტები და კიბის უჯრედები. კ.მელნიკოვმა დააპროექტა პარიზისათვის მრავალსართულიანი გარაჟი-ავტოსადგომი (1925 წ.)-ერთგვარი წინასწარგანჭვრეტა ვერტიკალური ზონირების. ნ.მილიუტინი (1930 წ.) ქმნის ქალაქის განვითარების „ნაკადურ-ფუნქციურ სქემას", სადაც ქალაქს აძლევს განვითარების საშუალებას ორი მიმართულებით, ზონირებას ახდენს პარალელურ ხაზებად. ამ გეგმამ დიდი გავლენა იქონია როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის ქალაქგეგმარებაზე. ურბანისტების იდეოლოგი ლ.საბსოვიჩი მოუწოდებდა გაენადგურებინათ ყველა არსებული ქალაქი და დასახლება და მათ ადგილას შეექმნათ „იდეალური დასახლებების" ქსელი- თითოში 50 ათასი მაცხოვრებლით (15 წლის განმავლობაში). მ.გინზბურგი (კონსტრუქტივისტების ლიდერი) სთავაზობდა ქალაქს „ყველგან და არსად"- ავტომობილური ჩქაროსნული გზების ქსელს, რომელთა გასწვრივ თანაბრადაა გაბნეული ინდივიდუალური საცხოვრებელი, შრომის ადგილები, საზოგადოებრივი კომპლექსები. ი.ლეონიდოვი დაკავებული იყო ადამიანის მთელი გარემოს გარდაქმნით, „აბსოლუტური", „სუფთა ფორმის" ძიებით. რეალიზაცია აუცილებლად დაანგრევდა ამ მთავარ თვისებას და

არა მარტო იმ დანაკარგების გამო, რომელიც ფორმის კონსტრუქციაში მატერიალიზაციას მოყვებოდა, შეუძლებელი იყო თვითონ „ელემენტარული მოხაზულობის აბსოლუტურობის" შენარჩუნება. მაგალითად, როგორ შეიძლება შევინარჩუნოთ ფორმის სისუფთავე სფეროსი, რომელიც მიწას ერთ წერტილში ეხება მხოლოდ და ჩაფიქრებულია, როგორც აუდიტორია 6000 ადგილზე. ამ პრობლემას ლეონიდოვის იდეით გატაცებული წყვეტდნენ შემდგომ წლებში ვილიო რეველი და ოსკარ ნიმეიერი (ბრაზილიის მშენებლობისას). ორივე იძულებული გახდა სფეროდან ნახევარსფეროზე გადასულიყო. თვითონ ლეონიდოვი თავისი პროექტების ფორმის ფასეულობას არ გრძნობდა, იგი მიისწრაფოდა რეალიზაციისაკენ. სწორედ ამაში იყო შინაგანი კონფლიქტი 20-იანი წლების უტოპიების, რადგანაც უტოპია არასოდეს არ არის ჩაფიქრებული, როგორც უტოპია, მისი მიზანი რეალიზაციაა.

ეს მხოლოდ ერთეულებია იმ მრავალრიცხოვანი ძიებებიდან, რომელიც იმ პერიოდში იქმნებოდა. პერსპექტიული პროექტირებისადმი დიდი ყურადღების მიქცევამ განაპირობა ახალი იდეები, პროექტები, წინასწარგანჭვრეტები. 20-იანი წლების უტოპიური ძიებები ხშირად შემდგომ წლებში პოულობდნენ რეალიზაციას, ან ხელახალი გადასინჯვის საგნად იქცეოდნენ, ბიძგს აძლევდნენ ახალ ძიებებს. სოციალისტური წყობა უდიდესი უტოპია და ფანტაზია იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი არქიტექტურაც იყო არქიტექტურა უტოპიისა და რეალობის, ან „უტოპიური რეალობის", რაც ყველაზე კარგად სწორედ სხვადასხვა კონცეფტუალურ ძიებებში და ფანტაზიებში გამოვლინდა. სწორედ 20-იანი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ თანამედროვე არქიტექტურის განვითარება წარმოუდგენელია ძიებების, პროგნოზების, პროექტი-იდეების გარეშე. საქართველოში ამ მხრივ უნიკალურია ხუროთმოძღვარ გიორგი ლეუავას შემოქმედება – მთელი სერიალები ნახატი არქიტექტურის. ფიქრები ქართული არქიტექტურის სახეზე და ოცნებები მის მომავალზე.

შემდგომ 30-50-იან წლებში ძიებებს რეალური მშენებლობა დაუპირისპირდა. სტალინის ეპოქამ ორიენტაცია პომპეზურობაზე, მასიურობაზე, ქვეყნის სიძლიერის ხაზგასმაზე, ფსევდონაციონალურზე აიღო. ამ პერიოდში აიგო მოსკოვის ცნობილი ცათამბჯენები. ტექნიკური პროგრესი აქაც, ამერიკის ანალოგიურად, განვითარების საწინდარად მიიჩნეოდა. ომის შემდგომ პერიოდში ძირითადად აღდგენითი სამუშაოები ხორციელდებოდა. ახალი ეტაპი საბჭოთა უტოპიებში მხოლოდ 60-იან წლებში აღინიშნა, როდესაც ქვეყნის წინაშე ახალი ქალაქების, ახალი დასახლებების განვითარების პრობლემატიკა დადგა. ამას დაემთხვა ტექნიკური რევოლუცია, კოსმოსში ადამიანის გაჭრა და სხვა ტექნიკური მიღწევები. შეიქმნა მთელი წყება „მომავლის ქალაქის" კონცეფციებისა და უტოპიებისა, ახალი განსახლების მოდელები („ნერ-1", „ნერ-2" და სხვა) –

ტექნოკრატიული უტოპიების მთელი სერია.

მესამე მნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა უტოპიებში 80-იან წლებში ვლინდება. ესაა „ქაღალდის არქირექტურა“, რომელმაც უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მთელს მსოფლიოში. ეს იყო ახალგაზრდა არქიტექტორთა პროტესტი ინერტული სამშენებლო პროცესის, პრაგმატული ნორმატივებისა და მოთხოვნების მიმართ. გაჩნდა პროექტები თავისთავადი ფასეულობით, გამსჭვალული კულტურული ფასეულობების, კულტურული მემკვიდრეობის ნოსტალგიით, მრავალშრიანი მეტაფორებით, შესრულებული უმაღლეს გრაფიკულ დონეზე (ოფორტი, კოლაჟი, აკვარელი) – ჟურნალ „იაპონური არქიტექტურის“ საკონკურსო პროექტები (ა.ბროდსკის, ა.უტკინის, მ. ბელოვის, ა.გალიმოვის და სხვათა ნამუშევრები). ნოსტალგია, მირაჟი, სევდა, სურვილი დაბრუნებისა სამშობლოში.... არქიტექტურაში.

საბჭოთა და ამერიკული ხელოვნების, არქიტექტურის,უტოპიური ძიებების უფრო ღრმა შესწავლა, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს უკეთ გავიაზროთ თამამი ძიებების მნიშვნელობა მსოფლიო ხელოვნების გსნვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Lasky Melvin J. Utopia and revolution. The Univercity of Chicago Press. Ltd. London 1976.

2. Robert Hughes. American Vision/ The Epic history of Art in America., Alfred Knopf, New York. 1997.

3. Morson Gary Saul. The Boundaries of Genre. Dostoevsky's Diary of writer and the traditions of Literary Utopia. Univercity of Texas Press. Austin, 1981.,p.115-142.

4. F. L. Wright. An American Architecture, New York,1955.p.251.

5. Shekly Robert. Street of Dreams, Feet of Clay. 1967.-in: The City 2000 A.D. Urban life through science fiction. A Fawcett Crest Book,1976. p.63-78.

მარინა მაისურაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ურთიერთმოქმედების ჰარმონია (არქიტექტურა მონუმენტური ხელოვნება ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს მაგალითზე)

ხელოვნების ისტორიაში ჩამოყალიბდა ორი ფენომენი – არქიტექტურა და ქანდაკება. ეს ორი ბუმბერაზი ხელოვნება სამყაროში განყენებულად არსებობს, მაგრამ სივრცეში გამთლიანებულია როგორც საწყისი ფორმით, ასევე საბოლოო შედეგით. არქიტექტურაში ფორმათა წარმოქმნა სილამაზის კანონებით სივრცის ორგანიზების უმთავრესი კანონია. ის ადამიანზე უნდა ახდენდეს ემოციურ ზეგავლენას, რაც ხასიათდება შემდეგი ესთეტური თვისებებით – ჰარმონიულობით და სილამაზით, რომელიც აბსოლუტურად იდენტურია ქანდაკების განხილვის შემთხვევაშიც.

XX ს-ის თანამედროვე ამერიკული არქიტექტურის სუპერვარსკვლავს ფრანკ გერს აქვს ასეთი გამონათქვამი: - „მე ვერ ვიტან სიტყვას – ქანდაკება, მაგრამ მე მინდა, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, არ ჰგავდეს შენობას, მას კი სკულპტურას ეძახიან“.

ნაგებობისა და ქანდაკების გარეგნული ფორმის – მხატვრული სტილების ცვლილებები მკვეთრად ცვლიან ადამიანის მსოფლშეგრძნებას, მის ესთეტურ გრძნობას, განსაზღვრავენ ხელოვნების სახეების ცალკეულ ბედსაც კი. ამ ღრმა პროცესმა დიდი გავლენა მოახდინა მონუმენტურ სახეცვლილებებზე და ბედზე. XVIII-XIX ს-ის ნიუ-იორკში და ჩიკაგოში აგებულ ნაგებობებში სივრცითი თანაფარდობები იზრდება არქიტექტურული მასების შესაბამისად, ხოლო ქანდაკებები ქედმაღლურად გადმოსცქერიან მაღალი კვარცხლბეკებიდან ადამიანს. სივრცითი მოდული შენარჩუნებულია ადამიანის სახით – ამიტომ ამ პერიოდის არქიტექტურა და ქანდაკება არ თრგუნავს პიროვნებას. მათი მოცულობები შერწყმულია სივრცესთან ორგანული სხეულის კანონის შესაბამისად ე.ი. არქიტექტურული მოცულობები სივრცეში იქცევა ცოცხალ ორგანიზმად, როგორც ყვავილი, ხე, შეუზღუდავად გაშლილა გარემოში. ამ მოცულობების ენერგია შეუზღუდავად გამოიყოფა და მოიცავს ისეთი სიდიდის სივრცეს, რომელშიც იგი განსაკუთრებულად აქტიურად ჟღერს. ადამიანი, იმისთვის რათა შეიგრძნოს მასების ენერგია, ამგვარ სივრცეში პოულობს თავისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილს – აქ იგი გრძნობს ანსამბლის, საცხოვრებელი გარემოს ჰარმონიის ერთიანობას.

არქიტექტურული სივრცის ევოლუციის შემდეგი ფაზა ეს არის XX ს-ის I ნახევარი. ამ პერიოდის ქალაქი წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტების მექა-

ნიკურ შერწყმას, რომელნიც სრულიად დამოუკიდებლად არსებობენ როგორადაც გვევლინებიან: ბუნება, არქიტექტურა, ქანდაკება, სივრცე, ადამიანი. ეს არის ქვით მოპირკეთებული ცათამბრჯენების სამყარო. როგორია მათი დამოკიდებულება ბუნებასთან? ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ქუჩებსა და კვარტალებს მართკუთხა დაგეგმარება აქვთ. კერძოდ ჩიკაგო განლაგებულია იქ სადაც მდინარე ჩაედინება მიჩიგანის ტბაში. იმის მაგივრად, რომ დაგეგმარებითი სტრუქტურა უფრო მოქნილი, პლასტიური და ორგანული ყოფილიყო ლანდშაფტთან, ჰარმონიულად შერწყმოდა ბუნებას, იგი დაგეგმარებულია მათემატიკური პრინციპით, რის გამოც მდინარე, რომელსაც ყველა პარამეტრებით შეეძლო მთავარ ცოცხალ ძარღვად მოვლინებოდა ქალაქს და სრულფასოვანი ორგანული ნაწილი ყოფილიყო ანუ არქიტექტურულ დომინანტად ქცეულიყო – ის გამოიყურება როგორც ხელოვნური არხი. ქალაქი მთლიანად ბატონობს ბუნებაზე. მიჩიგანის ნაპირზე განლაგებულია უზარმაზარი პარკი ლინკოლნის სახელობისა და გრანდ პარკი. კონტრასტი ქალაქის შენობებს, კოშკებსა და ბუნებას შორის მკვეთრად იგრძნობა. მაგალითად: უოლ-სტრიტი ნიუ-იორკში – თუმცა ქუჩა განიერია უზარმაზარ არქიტექტურასთან შედარებით აღიქმება როგორც ვიწრო ხვრელი. – ასეთ ქალაქში ადამიანი თავს გრძნობს როგორც ჭიანჭველა გულივერის ჯიბეში. ასეთ გარემოში არც ტრადიციული ქანდაკებები გრძნობენ თავს უკეთესად – ჩიკაგოში ეკლესიის ერთ-ერთი პორტალი გადის კლარტის ქუჩაზე. მასზე არის განლაგებული თეთრი მარმარილოს ჯვარცმა. მიუხედავად თავისი შთამბეჭდავი ზომისა, იგი არ ჟღერს. მას სჭირდება დიდი სივრცე და რეზონანსი. ხუან მიროს ქანდაკების აბსტრაქტული ფორმაც კი არ შველის – ეს არის ძეგლისათვის ნორმალური ზომის ფიგურა გამოკვეთილი ქვისაგან, რომელიც შორიდან გვაგონებს ფეხზე მდგომ ქალს. ქანდაკება დგას ჩიკაგოს ერთ-ერთ მოედანზე სახლებს შორის მდებარე კუთხეში – ის მოჩანს როგორც უსუსური, პატარა, შეუმჩნეველი შემთხვევითი ფიგურა.

XX ს-ის ე.წ. „მაშინიზაციამ" გადაადგილების საშუალების მკვეთრმა ცვლილებამ და ცხოვრების გაშმაგებულმა რიტმმა მოიტანა სხვა დამოკიდებულების არქ. სივრცესთან და მასთან მიმართებაში ქანდაკებასთან. თუ აქამდე ყველაფერი კლასიკურ სტილს, ჰარმონიულობას ემორჩილება და გარემო მშვიდი ადამიანური ნაბიჯით იზომებოდა, აღიქმებოდა, - ცხოვრების რიტმის შეცვლამ, ადამიანის სხვა ფორმით გადაადგილებამ ე.წ. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სულ სხვა პირობები წაუყენა არქ. სივრცეს, ადამიანისათვის გაიზარდა სივრცის აღქმის არეალი. გაჩნდა ახალი ფორმები. აშკარა ხდება ახალი არქიტექტურული სივრცისა და მასში ქანდაკების როგორც არქიტექტურული სივრცის განუყოფელი ნაწილის ახალი პრინციპებისა და ხედვის აუცილებლობა.

XX ს-ის შუა წლებიდან დგება განვითარების ახალი ფაზა – სწრაფად იცვლის სახეს ახლი ტიპის ცათამბრჯენები, ადრინდელზე უფრო მაღალი მაგრამ მოპირკეთებული ფირფიტებით და სხვადასხვა ფერის მინების გამო თითქოს დაკარგა თავისი მატერიალობა, იდეალურად სწორი კედლები ზუსტად აირეკლავს ღრუბლებს, ადამიანებსა და შენობებს, ქუჩები განათებული სარკე–კედლების ანარეკლით მოსჩანს უფრო ფართო და ნათელი. ცათამბჯენები ფოლადისა და მინისაგან სათანადო განათებით თითქოს დნებიან ჰაერში და უერთდებიან ცას. ადამიანი ასეთ გარემოში თავს გრძნობს თავისუფლად, ცისა და ღრუბლების ანარეკლი ქალაქის ქუჩებს ავსებს ილუზოლური სინათლითა და ჰაერით. ამგვარად მოწოდებულმა ილუზოლურმა მშვენიერებამ ადამიანის შეგრძნებაში შეზღუდა სივრცის აღქმის მკაცრი რეალობა.

თანამედროვე ქალაქის ქუჩებში სივრცის თავისებური ილუზორულობიდან გამომდინარე საჭირო შეიქმნა უფრო ქმედითი ხერხები რათა ქანდაკება არ „ჩაკარგულიყო" ქალაქის სივრცეში, გაჩნდა ახალი მოთხოვნა რაც გამოიხატა შემდეგში – ქანდაკებამ უნდა მიიპყროს ადამიანის ყურადღება – გახდეს ქალაქური სივრცის სრულფასოვანი ელემენტი, ის განიხილებოდეს როგორც არქ. გარემოს ორგანული ნაწილი. – ასეთად მოგვევლინა მაგალითად – ალექსანდრე კოლდერის შემოქმედება ჩიკაგოში „წითელი ფლამინგო"- განლაგებული ვიწრო სივრცეში, იგი იპყრობს ყურადღებას ულერადი ფერით, თაღის კონსტრუქციის მკვიდრი დაძაბულობით, ასპექტების მრავალნაირობით, ჰაერგამტარობით და სიმსუბუქით. ცუდ ამინდშიც კი როდესაც ცათამბჯენები მოღუშულად გამოიყურებიან „წითელ ფლამინგოს" სივრცეში შეაქვს სიხარულის აკორდი. „წითელი ფლამინგო" არა მარტო ამშვენებს, არამედ მას აკისრია ფუნქცია გააერთიანოს სხვადასხვა საგნები. ახალ ქალაქში ადამიანმა მოიგონა ახალი საზომი და ეს არის ახალი ხელოვნება. ეს არის შუამავალი, რომელიც გამოიხატება არა მასშტაბებით და სივრცით, არამედ ზემოქმედების ენერგიით ადამიანის ფსიქიკაზე და მის ესთეტიკურ გრძნობაზე. თანამედროვე ფსევდოსკულპტურაში გამოირჩევა ჰენრი მურის ნამუშევრები ჭეშმარიტი პლასტიკით. იგი ინარჩუნებს სკულპტურულ მასას, მის სიმძლავრეს და მონოლითურობას. როგორც წესი მურის შემოქმედებაში განსახიერებულია გამოსახულება ორგანული სხეულების და მათი ორგანიკა, მიწიერება, მასიურობა დაყვანილია ზეკაცის სიმძლავრემდე. მხოლოდ ასეთ ზემძლავრ მოცულობას, მის უდიდეს ენერგიას შეუძლია მიიპყროს მოქალაქის ყურადღება. უზარმაზარი შენობების გვერდზე მუსის სკულპტურები ეწინააღმდეგებიან მათ არა მეტრაჟული მოცულობით და არა მკაფიო ფერებით, არამედ მძლავრი პლასტიური ენერგიით.

თანამედროვე ცათამბჯენების ილუზორულ ქალაქში არსებობას იმკვიდრებს დეკორაციული სკულპტურა მწვავე გამოხატვის ხერხებით ან გაძლი-

ერებული სივრცის გამოხატვით როგორც გვხვდება მურის შემოქმედებაში. ტრადიციული პლასტიკის ენას ამ სივრცეში თანამედროვე ადამიანი ვერ აღიქვამს. მაგრამ არის გამონაკლისიც – XIX ს-ის კლასიკური ტიპის ძეგლის მსგავსი გენერალ გრანტის მონუმენტის სახით დაიდგა ჩიკაგოში, რომელიც ბრწყინვალედ შეერწყა არქიტექტურულ სივრცეს: ამ შემთხვევაში საკითხი პრინციპული განსხვავებით გადაიჭრა – იმისათვის, რომ სკულპტურა შეახამონ გიგანტურ არქიტექტურასთან აქ გამოიყენეს ახალი მასშტაბი – ეს შესაძლებელი გახდა ლინკოლნ პარკის გაშლილ სივრცეში. ქვის, მინის და ლითონის კოშკები აქ თავისუფლად დგანან მწვანე გაზონებს შორის, შორიდან მათი ლაკონური ფორმები მოჩანს როგორც სივრცეები. ადამიანი ამ სივრცეში დაიკარგებოდა, რომ არა გრანიტის ქანდაკება. იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მიმზიდველობის ცენტრს, დომინანტს და რომ შეინარჩუნოს უზარმაზარი სივრცე სკულპტურამ მიიღო ზემოქმედების დამატებითი ხერხი – მისი განმეორება თანამედროვე ქალაქის სივრცეებში თითქმის შეუძლებელია.

არქიტექტურისა და სკულპტურის ესთეტიური, მხატვრული აღქმა როგორც ხელოვნების ნიმუშებისა, ხდება კომპოზიციის მხატვრული ფორმით და მხატვრული ფორმიდან სახასიათო გამომსახველობით. მხატვრული აღქმა, როგორც ესთეტიური აღქმის უმაღლესი ფორმა, დამოკიდებულია ადამიანის გრძნობების განვითარების განსაზღვრულ დონეზე, მის მომზადებასა და შემეცნებაზე, სოციალურ პრაქტიკაზე. მხატვრული ფორმის სივრცეში აღქმის სრულყოფის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის აზროვნება. ამ მახასიათებლის თანხვედრა მთლიანობაში მოგვცემს არქ. და სკულპტურის შემეცნებასა და აღიარების სასურველ შედეგს. აღქმის სრულყოფილება იმაში მდგომარეობს, რომ ეს მხოლოდ აღქმის აქტი არ არის, არამედ ეს არის წარმოდგენა, ცოდნა აღსაქმელ საგანზე. ასე, რომ ქანდაკების შემეცნება შეიცავს სრულ ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ მომენტებს და მითუმეტეს დღეს XX ს-ის ბოლოს და XXIსწ-ის დასაწყისში, როდესაც ადამიანმა შექმნა ხელოვნური მოდელი რითაც ხდება ადამიანის ილუზორული დაბრუნება დაკარგულ ჰარმონიულობასთან და ნელ-ნელა იშლება გამყოფი ხაზი რეალობასა და ილუზიას შორის, ადამიანსა და დროს წარმოსახვასა და მის რეალობას შორის. ჩვენ უნდა შევეცადოთ არქ. ნაგებობა, კომპლექსი, გარემო და სკულპტურა მომავალში განვიხილოთ, შევადაროთ და შევიმეცნოთ არა მხოლოდ როგორც ხელოვნების ნიმუში, არამედ როგორც ორგანული ნაწილი სივრცის, იმ არქიტექტურული გარემოსი, სადაც ის საკუთარი ფორმით კომპოზიციური პრეტენზიით მოგვევლინება.

ლადო ვარდოსანიძე
სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტი,
საქართველოს ურბანისტთა
ასოციაცია,პროფესორი

კონდომინიუმი – საბინაო ფონდის თანამედროვე ფორმა (ამერიკული მოდელი და საქართველოს რეალიები)

საბჭოური სოციალური სისტემის ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპს საზოგადოებრივი პროცესების მართვისაგან მოსახლეობის ჩამოცილება შეადგენდა. იგულისხმება მართვის ყველა დონე - „საკავშირო" სახელმწიფოთი დაწყებული, ვიდრე საბინაო ფონდამდე. ეს უკანასკნელი (საბინაო ფონდი) თვით სახელმწიფოს მიერ იმართებოდა და ამ მართვასთან დაკავშირებული სიუჟეტები მთელი სისტემის მიმართ ნიშნობრივ (знаковый) დატვირთვას ატარებდა. მაგრამ, ამასთან ერთად, საზოგადოებრივი საბინაო ფონდი საბჭოთა კავშირში ასე თუ ისე იმართებოდა, მოქმედ ნორმებსა და წესებთან მეტ-ნაკლები მიახლოებით.

საბინაო ფონდის საკუთრების თვალსაზრისით დღევანდელ საქართველოში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა – დღეს თბილისში პრივატიზებულია მრავალბინიან (2 და მეტი ბინა) სახლებში ბინების 90%-მდე. ამ პირობებში თუ შესაძლებელია თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ახლებური სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესატყვისი რომელიმე, მართლაც მასობრივი, ფენის გამოყოფა, ეს უთუოდ ბინის მესაკუთრეთა ფენაა.

მოჰყვა თუ არა ამ სოციალურ-ეკონომიკურ მეტამორფოზას შესაბამისი ცვლილებები საბინაო ფონდის მართვაში? ვინ მართავს დღეს მრავალბინიან სახლებს და, საერთოდ, იმართება კი ისინი? რას გვთავაზობს ამ კუთხით მსოფლიო გამოცდილება? რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენ, რომ თავიდან ავიცილოთ მოახლოებული *კომუნალური კატასტროფა*, რომლის კონტურები კიდევ უფრო გაამძაფრა 25 აპრილის თბილისის მიწისძვრამ? სწორედ ეს პრობლემატიკა შეადგენს წინამდებარე სტატიის ლაიტმოტივს.

რეტროსპექტივაში ამოსავალ წერტილად ავირჩიეთ საბჭოეთის ბოლო პერიოდი, რომელიც, ჩვენთვის საინტერესო ჭრილში, ხასიათდებოდა მოსახლეობის მზარდი ცენტრისკენული მიგრაციით, მასობრივი ბინათმშენებლობით, განაშენიანებისათვის ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისებით, საცხოვრებელი ფართის ნორმირებით, ბინების არალეგალური ბაზრის ფუნქციონირებით.

ქალაქად არსებული ბინების დიდი უმრავლესობა (კერძო, კოოპერატიული და ამხანაგობების სექტორის გარდა) *სოციალური საბინაო ფონდის* კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომელსაც მსოფლიოში მუნიციპალურს ან საზოგადოებრივს უწოდებენ. ამ ფონდის ძირითადი ნიშანთვისება ის იყო, რომ ბინების მისაღებად რიგში მდგომი მოსახლეობა ამ ბინებს უბრალოდ „იღებდა" და არაფერი ჰქონდა საერთო მათს დაპროექტებასთან, მშენებლობასთან, შეკეთებასთან, ექსპლუატაციასთან, – თუ არ ჩავთვლით ბინის ქირისა და მოხმარებული რესურსების სიმბოლურ გადასახადს. ბინები *დე ფაქტო* ოჯახის საკუთრებად მოიაზრებოდა; ხერხდებოდა მათი გაქირავება, მემკვიდრეობით გადაცემა, გაყიდვაც კი. საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციაზე, მიმდინარე თუ კაპიტალურ რემონტზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთა ბალანსზე ეს სახლები ირიცხებოდა. არსებითია, რომ ამგვარმა მოდელმა ჩამოაყალიბა მობინადრის *სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი*, რომლისთვისაც დამახასიათებელია სარჩენის მენტალიტეტი, საცხოვრებელი გარემოსადმი სრული ინდიფერენტულობა, რესურსებისადმი მხარჯველური დამოკიდებულება და ა.შ.

თუ ამას დავუმატებთ, რომ საქართველოს ქალაქების, სახელდობრ თბილისის, მოსახლეობის დიდ ნაწილს ქალაქად თანაცხოვრების უნარ-ჩვევებს მოკლებული პირველი თაობის ქალაქელები წარმოადგენდნენ, გასაგები გახდება მოსახლეობის საკუთარი საცხოვრებელი გარემოსაგან გაუცხოების სიღრმე. ამ პირობებში საბინაო ფონდით მანიპულირება ხელისუფლების ერთ-ერთ უტყუარ ბერკეტად რჩებოდა.

ამგვარმა მიდგომამ თავი იჩინა საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, როდესაც აგონიაში მყოფი კომუნისტური ხელისუფლება მიდის უპრეცედენტო ნაბიჯზე – 1989 წლის 18 მაისის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი „სახელმწიფო და კოოპერატიულ საცხოვრებელ სახლებზე მობინადრეთა სახსრებით ლოჯიების, ვერანდების, აივნებისა და სხვა დამხმარე სათავსების მიშენებაზე დებულების დამტკიცების შესახებ" გადაწყვეტილებით უშვებს მრავალსართულიან სახლებზე მინაშენების მიდგმას. ეს იყო საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით არსებული რიგების შეკვეცის აშკარად პოპულისტური მცდელობა, რომელმაც შეუქცევადი ზიანი მიაყენა თბილისს. ამგვარი რამ არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში არ გაკეთებულა.

უკვე 1990 წელს მინისტრთა კაბინეტი განგაშს ტეხს, რომ მინაშენების თვალსაზრისით „ ... ქალაქ თბილისში შექმნილია არანორმალური მდგომარე-

ობა, იგი *სტიქიური* და *უმართავი* ხდება". გამოსავალს ხელისუფლება ხედავს *„მიშენების ამხანაგობების შექმნაში"* (ასეა ტექსტში – ლ.ვ.) და იღებს გადაწყვეტილებას: დაევალოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს: „... საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების გათვალისწინებით საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისათვის შექმნან *სახლის მობინადრეთა ამხანაგობები* (ხაზი ჩემია – ვ.ვ.), რომელთა გამგეობებს დაეკისრებათ დამკვეთის ფუნქციები მიშენების დაპროექტების, პროექტების შეთანხმებისა და მათი რეალიზაციის პროცესში ..."(1)

საქართველოს ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები საბინაო-კომუნალურ სფეროში გვაფიქრებინებს, რომ ბინების პრივატიზება თვითმიზნად იქცა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის №520 დადგენილების საკონსტატაციო ნაწილში გამოთქმულია უკმაყოფილება პრივატიზების ტემპებით და იგი მოითხოვს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან „... მოქალაქეთა საკუთრებაში ბინების (სახლების) უსასყიდლოდ გადაცემა დაამთავრონ 1994 წლის დამლევამდე ..." (მ.1. პ.ა). დადგენილება აგრეთვე მოითხოვს ბინების უსასყიდლოდ გადაცემისას აღინიშნოს „... მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის (სახლის) ზუსტი მისამართი, მისი საერთო და საცხოვრებელი ფართობი; დამხმარე სამეურნეო, ან სხვა დანიშნულებით გამოყენებული სათავსოების დასახელება და მათი ფართობი; ბინის კეთილმოწყობა, იზოლირება და სხვა" (მ.1.პ.ბ). ამავე დროს, არაფერია ნათქვამი ბინისა და სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე, სეისმომედეგობაზე, მეზობელთა საერთო წილად საკუთრებაში კონკრეტული მესაკუთრის წილის განსაზღვრაზე და ა.შ.

გამოირჩევა ამ დადგენილების პრივატიზებული ფონდის მართვასთან დაკავშირებული დებულება: „1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, დაბებისა და სოფლების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს (რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი):

განახორციელონ პრივატიზებული საბინაო ფონდის დაცვა, მოვლა-პატრონობა, ტექნიკური მომსახურება (ექსპლუატაცია) და რემონტი". ხელისუფლება აგრეთვე აჩქარებს არასაცხოვრებელ ფართობებში განთავსებული ობიექტების პრივატიზებას(2).

1997 წელს ქვეყანას ეძლევა საბინაო-კომუნალური მეურნეობის მოწესრიგების იშვიათი შანსი. 7 ივნისს გამოდის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №294 „საქართველოს მუნიციპალური სექტორის განვითარებისათვის

გათვალისწინებული ფინანსური სახსრების მართვის შესახებ". ბრძანებულების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს *საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მუნიციპალური განვითარების და დეცენტრალიზაციის კრედიტი* და შემდგომში მოსალოდნელი „სხვა დონორი სააგენტოების მიერ გამოყოფილი თანხები". ბრძანებულების საფუძველზე იქმნება მენეჯმენტის მრავალსაფეხურიანი, გართულებული სისტემა – საქართველოს მუნიციპალური *განვითარების ფონდი,* ამ ფონდის საქმიანობის *საკოორდინაციო კომისია, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურთან* მოქმედი *მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი.*

არც ზემოხსენებულ *საკოორდინაციო კომისიაში,* არც საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 20 ივნისის №232 განკარგულებით *მსოფლიო ბანკთან* მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის კრედიტის მოლაპარაკების წარმოების მიზნით შექმნილი სამთავრობო კომისიაში არ იქნა შეყვანილი *ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს* წარმომადგენელი. თუ გავიხსენებთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფეროს, რომელიც მოიცავს წყალმომარაგება-კანალიზაციას, დასახლებათა გამწვანებას, კეთილმოწყობას, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვას, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის უზრუნველყოფასა და სხვა ამგვარს, ამ სამინისტროს იგნორირება ელემენტარულად გაუგებარია.

სამინისტროს კომპეტენციის სფერო ნაკლებადაა ასახული საქართველოს პრეზიდენტის იმავე, 1997 წლის 14 ივლისის №362 ბრძანებულებაში *„საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ"*; მასში შესული პუნქტების გარკვეული ნაწილი შეუსრულებელი დარჩა – მაგ., „კონცეფცია საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ" (დანართი 1, პ.8.). ნიშანდობლივია, რომ დანართი 2-ს პ.15. „მიწის გადასახადის შესახებ" კანონპროექტის მომზადება ავალებს *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო* არ ფიგურირებს არც დანართ 4-ით განსაზღვრულ საქართველოს მხარეებისა და მსხვილი ქალაქების მუნიციპალური განვითარების პროგრამების შემმუშავებელ ინსტანციებს შორის, ერთი გამონაკლისით – პ.16. „ქალაქთმშენებლობის რეგიონალური პროგრამები". ეს უკანსკნელი დაფინანსებული არ იქნა. სამინისტრო არც მუნიციპალური განვითარების კადრების მომზადების პროგრამაში იყო ჩართული (დანართი 5).

ამ ფონზე 1997 წელს *მსოფლიო ბანკმა* ჩაატარა საქართველოს საბინაო

ფონდის კვლევა და შეიმუშავა რეკომენდაციები ამ პრიორიტეტული სექტორის რეაბილიტაციის თაობაზე. ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ საჭიროდ არ ჩათვალა საბინაო-კომუნალური მეურნეობის რეფორმაზე პრაქტიკული ზრუნვა; *მსოფლიო ბანკის* შესაძლებლობები არ იქნა გამოყენებული. ქვეყნის საბინაო ფონდი დეგრადაციას განაგრძობდა.

პრივატიზებული საბინაო ფონდის მართვის პრობლემატიკის გადაწყვეტა იკისრა 1997 წლის ივნისში მიღებულმა *საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა*. კოდექსის თავი IV – „ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში" – აფუძნებს *ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ცნებას* (მ. 216) და საერთო წილადი საკუთრების მართვის პრინციპებს. ამავე დროს კოდექსი აუქმებს ადრე მოქმედ *საბინაო კოდექსს*.

სამოქალაქო კოდექსის ეს თავი სრულად ვერ პასუხობს დასმულ ამოცანას. ჯერ კიდევ მის პროექტზე მუშაობის პერიოდში, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სპეციალსტებმა არსებითი შენიშვნები გამოთქვეს; კონსტრუქციული კრიტიკა დარგის სპეციალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შემდგომშიც გაგრძელდა.

კოდექსში მრავალბინიანი სახლების მართვა გააზრებულია ვიწრო სამართლებრივი პოზიციიდან. მართვის *სუბიექტის* გვერდით არ არის დანახული მართვის *ობიექტი*, რომელსაც დასავლეთის, უწინარესად კი ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა *კონდომინიუმს* სამართლებრივი კონსტრუქციით იცნობს(3). კოდექსის თანახმად, *ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა* ხაზგასმულად არ არის იურიდიული პირი – მაგრამ, მეორე მხრივ ცხადია, ის არც ფიზიკური პირია. მრავალბინიან სახლებში განთავსებული *არასაცხოვრებელი ფართის* მესაკუთრეების მოვალეობა მონაწილეობა მიიღონ სახლის მართვაში – ცალსახად და მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. ბოლომდე არ არის მიყვანილი მრავალბინიანი სახლების მიწის ნაკვეთების საკითხებიც. სამართლებრივი ობიექტები ტიპოლოგიურად შეზღუდულია; კოდექსში ბევრია ტექნიკური და ტერმინოლოგიური უზუსტობები.

უნდა ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში (სომხეთი, რუსეთი, ლიტვა, სლოვაკეთი, ყირგიზეთი და სხვა) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ტექნიკური ხელშეწყობით მიღებულია სპეციალური კანონები – სამოქალაქო კოდექსებსა და, ხშირად, კონსტიტუციებშიც კი მათზე მითითებით. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, *საქართველოს ურბანისტთა ასოციაციამ, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან* ერთად, შეიმუშავა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც შეთანხმების სტადიას გადის. აგრეთვე შემუშავებულია „მრავალბინიან სა-

ხლში ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობის ტიპობრივი წესდების პროექტი"(4).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს *სამოქალაქო კოდექსი* არ მოითხოვს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების *რეგისტრაციას*, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის №07.13.114 დადგენილებით, ქ. თბილისის რაიონულ გამგეობებს, სრულიად სამართლიანად, *დაევალათ მათი რეგისტრაციაში გატარება,* რაც საჭიროა თუნდაც სტატისტიკის წარმოებისა და შესაძლო ხელშეწყობის ადრესატების დასადგენად. მაგრამ, ეს დავალება გაუქმდა ქ. თბილისის საკრებულოს 1999 წლის 26 მარტის №11-4 გადაწყვეტილებით.

2000 წლის 13 მარტს გამოდის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №94 „საქართველოს მუნიციპალური განვითარების მეორე ეტაპის სახელმწიფო პროგრამის შესახებ". ამ პროგრამაში გამოყოფილია სახელმწიფო პოლიტიკის მოკლე (2000-2001) და საშუალოვადიანი (2005 წლამდე) პერიოდები. პირველ პროგრამასთან შედარებით, იგი უფრო კონკრეტულია და მიზანდასახული.

რაც მთავარია, დანართი 2, პ.პ.5 და 6 საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას ავალებს ორი, ჩვენი თემის პოზიციებიდან მეტად მნიშვნელოვანი, ნორმატიული აქტის მომზადებას: (1) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ აუცილებელ სოციალურ და კომუნალურ მომსახურებათა ორგანიზების შესახებ" (ვადა – 2001 წლის II კვარტალი) და (2) კანონის პროექტი „საბინაო ამხანაგობების შესახებ" (ვადა – 2000 წლის I კვარტალი). ეს დავალებები ჯერ-ჯერობით შესრულებული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფონზე ამხანაგობების ჩამოყალიბება ჩვენში მასშტაბურად ვერ გაიშალა, გარკვეული საქმიანობა მაინც მიმდინარეობს.

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში, GTZ-ს ტექნიკური დახმარებით, დამუშავდა „მრავალბინიანი სახლებისათვის მიწის ნაკვეთის დადგენის წესის" პროექტი და დაწყებულია პილოტ-პროექტები ქ. თბილისის სამ უბანში – ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ნუცუბიძის პლატოსა და ვარკეთილის ერთ-ერთ მიკრორაიონში. პილოტ-პროექტების შედეგები დააზუსტებს სამართლებრივი ბაზის დებულებებს.

ურბანისტთა ასოციაციამ, საქართველოში მოქმედ ამერიკულ ორგანიზაციასთან – *ურბანულ ინსტიტუტთან* ერთად, დაიწყო კონდომინიუმებისა და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება და ამოქმედება ქ. ზესტაფონში. სადღეისოდ აქ მოქმედებს 7 ამხანაგობა, რომლებიც 2002 წლის

ზაფხულში ჩაატარებს თავისი სახლების შეკეთებას; ამ გამოცდილების საფუძველზე მომზადდება ანალიტიკური მასალა და სახელმძღვანელო. *ურბანულ ინსტიტუტს* გადაწყვეტილი აქვს ზესტაფონის გამოცდილება გაავრცელოს საქართველოს სხვა ქალაქებზეც.

აგრეთვე არსებითია, რომ თბილისის მშენებარე საცხოვრებელ სახლებსა და კომპლექსებში დაიწყო ამხანაგობების ჩამოყალიბება.

ჩვენი წინადადებით, თბილისის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების *აღდგენითი სამუშაოების დამკვეთი უნდა იყოს შესაბამისი ამხანაგობა*, თავისი წილობრივი მონაწილეობით. ეს მოსაზრებები მივაწოდეთ სათანადო ინსტანციებს.

* * *

საქართველოში საბინაო ფონდის მართვა დიდ სიძნელეებს აწყდება. ამ სიძნელეებს განაპირობებს შემდეგი გარემოებები:

- დამოუკიდებლობის წლებში საბინაო-კომუნალურ პოლიტიკას საქართველოში არ მისცემია გააზრებული, მიზანდასახული, სისტემური რეფორმის ხასიათი;

- ბინების უსასყიდლო, დაჩქარებულმა, გაუთვლელმა პრივატიზებამ ისედაც სარჩენთა ფსიქოლოგიის მქონე მოსახლეობას ჩამოართვა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ჩამოყალიბების ბუნებრივი მოტივაცია; დღეს ამ მოტივაციის აღდგენა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული;

- ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები არ სარგებლობს არანაირი ფინანსური დახმარებებით, ხელისშეწყობითა თუ შეღავათებით, რაც მსოფლიო პრაქტიკისათვისაც უჩვეულოა;

- ტოტალური სიღარიბისა და გადახდისუუნარობის ფონზე მოსახლეობის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;

- მრავალბინიან სახლებში საკუთრების შერეული ხასიათი (კერძო და სახელმწიფო/მუნიციპალური ბინები); ამასთან სახელმწიფო/მუნიციპალური ხელისუფლება არ გამოხატავს სურვილს მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობების ჩამოყალიბებასა და მართვაში;

- მოსახლეობის ტექნიკური განათლების დაბალი დონე, რომ არ ვთქვათ, უწიგნურობა; ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით წყლის მიმართ ბარბაროსული დამოკიდებულება;

- სუსტი ადმინისტრაციული კონტროლი და მუნიციპალური მომსახურების ხარვეზები;

- საკანონმდებლო ბაზის ღრეჩოები; დაბალი სამართლებრივი კულტურა; თვითმმართველობის ტრადიციების უქონლობა;

- სახელმწიფო, მუნიციპალური და ამხანაგობის საკუთრების გაუმიჯნაობა ნატურაში;

- ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებზე ორიენტირებული სპეციალური საბანკო პროდუქტების არარსებობა;

- სუსტი საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობა;

- საერთაშორისო დახმარების პროგრამებში საბინაო-კომუნალური პრობლემატიკის იგნორირება.

ამ სიის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ უფრო არსებითია დასკვნის გაკეთება. დასკვნა კი შეიძლება მხოლოდ ასეთი იყოს: ადგილობრივი თვითმმართველობა თუ საქართველოს საკანონდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, საბინაო-კომუნალურ სფეროს არ მიიჩნევს არა დეკლარირებულ, არამედ რეალურ პრიორიტეტად, სულ მალე ჩვენ ყველანი დავდგებით კომუნალური კატასტროფის წინაშე.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 19 დეკემბრის №776 დადგენილება „სახელმწიფო და კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებზე საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების საკითხის მოწესრიგების შესახებ“, პ, აბზაცი 8.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მარტის დადგენილება №128.

3. მოგვყავს კონდომინიუმოსა და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის განმარტება ორიგინალის ენაზე: Condominium: Ownership of a divided interest, i.e., a home ownership arrangement in which the owner has title to a housing unit within a structure, and proportionate interest in the common grounds.

Condominium Owners Association: Association of the owners of all condominiumunits in a building that is concerned with managing day-to-day matters in the building complex, including the surrounding property. These issues include maintenance and repairs as well as developing and enforcing condominium bylaws. Dictionary of Real Estate, Shim, Jae K.; Siegel Joel G.; Hartman Stephen W., Business Dictionary Series, New York.

4. ამ მხრივ გამოირჩევა მ. 208. პ. 4-ს მეორე წინადადება: „მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად“(?!).

ნიკა შავიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის ინსტიტუტი, პროფესორი

თანამედროვე ამერიკული არქიტექტურა დასავლეთის და აღმოსავლეთის სანაპიროების ტენდენციები

თანამედროვე ამერიკული არქიტექტურა, ისევე როგორც მთელი მოდერნისტული კულტურა, ორი მთავარი ეროვნული ცენტრიდან იკვებება: ერთ-ერთი მათგანი აღმოსავლეთი სანაპიროა, სახელდობრ ***New England***-ის შტატები და მათთან ერთად ჩიკაგო, ხოლო მეორე – კალიფორნიის შტატით წარმოდგენილი დასავლეთი სანაპირო. აღმოსავლეთი სანაპიროს კულტურული დედაქალაქი ნიუ-იორკი გახლავთ, ხოლო დასავლეთის – ლოს ანჟელესი. ისტორიულად ჩამოყალიბებულმა განსხვავებებმა განსაზღვრა სანაპიროთა განსხვავებული კულტურული როლი. აღმოსავლეთი "*იანკის*" ბუდეა - ევროპიდან გადმოსახლებული, მეტწილად ინგლისელ და ირლანდიელთა შთამომავლების. მათ მოახდინეს ევროპული კულტურის იმპორტი ჩრდილოეთ ამერიკაში და ჩამოაყალიბეს სამსაუკუნოვანი ისტორიის მქონე დასავლეთ-ევროპული საზოგადოების მოდელი სათანადო ატრიბუტებით, რომელთა შორის ანგლო-საქსონურ ფილოსოფიურ შეხედულებებს, საზოგადოებრივ ცნობიერებას, ლიტერატურას და, ზოგადად, კულტურას მყარი ადგილი უკავია. შესაბამისად, აღმოსავლეთი სანაპიროს არქიტექტურა საზრდოობს დასავლეთ ევროპის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით და თავს ამ განვითარებული სამყაროს ელიტარული, აკადემიური ტრადიციის ნაწილად მიიჩნევს. მოკლედ რომ ვთქვათ, ნიუ-იორკი *ინტელექტუალური* ცენტრია, რომელიც ეყრდნობა აღმოსავლეთის სანაპიროს შტატებში ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობით ბაზას, არქიტექტურული პრაქტიკა კი იყენებს ისეთი საუნივერსიტეტო ცენტრების ნაყოფებს, როგორებიცაა: ჰარვარდის, იელის, პრინსტონის, კორნელის, კოლუმბიის, ჯორჯთაუნის და ემ-აი-ტის (*მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის*) სკოლები.

ამავე კონტექსტში აღნიშვნის ღირსია ჩიკაგო, რომელიც წმინდა ეკონომიკურ-გეოგრაფიული დარაიონების მიხედვით აშშ-ის შუა დასავლეთს ეკუთვნის, მაგრამ ინტელექტუალური დონით და სწორედ რომ განსაკუთრებით არქიტექტურული თვალსაზრისით აღმოსავლეთის სანაპიროს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. სწორედ აქ მდებარეობს აღმოსავლეთი სანაპიროს არქიტექტურული ფენომენის საუკეთესო ნაყოფი ე.წ. "*ჩიკაგოს არქიტექტუ-*

რული სკოლა“, რომელიც ამერიკის ისტორიაში უდიდესი ხუროთმოძღვარის ***ფრენკ ლოიდ რაიტის*** სახელთანაა დაკავშირებული და რომლის იდეების საუკეთესო გამაგრძელებელი აი-ტი-ტი (*ილინოისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი)* გახლავთ.

რაც შეეხება კალიფორნიას, იგი გვიანდელ ეტაპზე შემოერთებული ერთ-ერთი შტატი გახლავთ, მისი ათვისება “*ველური დასავლეთის*“ არც მთლად კანონიერი და ჰუმანური ხერხების გამოყენებით ხდებოდა. შესაბამისად, მისი კულტურაც წმინდათა წმინდა ამერიკული ფენომენია, ანუ მრავალი აბორიგენული (ინდიელთა), სამეზობლო (მექსიკის) თუ დასავლეთევროპული (ანგლო-საქსონური), მათთან ერთად კი უკანასკნელ ათწლეულებში ჩამოყალიბებული ახალი სათვისტომოების – აფროამერიკული, კარიბული, ჩინური, იაპონური და ა.შ. – მოდერნისტულ ლექსიკაში გარდატეხილი, დღევანდელი ტექნოლოგიური ეპოქის შესაბამისი საშუალებებით მოლაპარაკე კულტურების ამალგამაა.

ისე მოხდა, რომ შედარებით ახალგაზრდა, დასავლეთი სანაპიროს მახასიათებელი არქიტექტურაც იმავე ნიშნების მატარებელია, როგორც თავად დასავლეთის სანაპიროს თანამედროვე კულტურა. მისი ნიშნები, მოკლედ რომ დავახასიათოთ, საშუალო ამერიკელ მომხმარებელზე ორიენტაცია და გაბატონებული მასობრივი გემოვნების იდეალიზაცია გახლავთ. თუმცა, 1950-იანების მიწურულს დიდი ბრიტანეთის “გაბრაზებულ ახალგაზრდათა“ (***Angry Young Men***) ლიტერატურული და კინემატოგრაფიული საქმიანობის და მის კვალზე ინგლისური ე.წ. “დამოუკიდებელი ჯგუფის“ (***Independent Group***)-ის მიერ მოწყობილი ***happening***-ების სიგნალები პირველად სწორედ აღმოსავლეთ აშშ-ის კულტურულმა ელიტამ აიტაცა. ნიუ- იორკის *გრინიჩ ვილიჯში* დასახლებული ბოჰემის წრიდან გამოვიდა ***ვილემ დე კუნინგის, რობერტ რაუშენდერგის*** ფერწერული ტილოები, ***ენდი უორხოლის, როი ლიხტენშტაინის*** კოლაჟები, ***ჯო დალესანდროს, დორის უიშმენის*** ფილმები, ***ლეონარდ ბერნსტაინის*** მიუზიკლები და ***ალვინ ეილის*** ქორეოგრაფია. პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების ახალმა ავანგარდულმა რიტორიკამ ერთბაშად იფეთქა ***Upper West Side***-ზე და ტიპიური ნიუ-იორკული დედაქალაქური (ის, რომ ნიუ-იორკი ა.შ.შ.-ს ეკონომიკური და ინტელექტუალური დედაქალაქია, ეჭვს არავისში იწვევს) სნობისტური უყურადღებობით და გულმავიწყობით უბრძოლველად ასპარეზი ეპიგონებს დაუთმო. ***პოპ-კულტურა*** ნიუ-იორკში დაიბადა, შედმგომში – ძალიან მალე – ამ ქალაქში მან ***პოპ-არტის*** დახვეწილი, ელიტარული ფორმა თავისთვის დაიტოვა, ხოლო დანარჩენ ამერიკას კონსუმერიზმით გამოკვებილი ***მას-კულტურა*** გადაულოცა.

მას-კულტურის უპირობო ცენტრი კი ლოს- ანჟელესია, აქ ხომ თვით "*ტინსელთაუნი*" მდებარეობს – ასე დაცინვით უწოდებს *ჰოლივუდს* განათლებული აღმოსავლეთ-ამერიკელი. კალიფორნიის სანაპიროდან სულ სხვაგვარი სიგნალები მოდის, აქ კულტურა წარმოიშვება ერთსართულიანი ამერიკის ცხადად გამოხატული დაკვეთით, რომლის ინგრედიენტები მძიმე სამუშაო დღის ბოლოს გადაღლილი გონების გაზარმაცებულ, გამარტივებულ კატალოგში ცალი ხელის თითზე ჩამოითვლება: სექსი, ნარკოტიკი, ძალადობა და, ა.შ., ან თუ კი მოთხოვნის თამასა აიწევა - არა უფრო მაღლა, ვიდრე იგივე ინგრედიენტები ოდნავ შელამაზებული, ტრანსფორმირებული სახით: ლამაზი ქალი, კარგი სასმელი, კაცური ორთაბრძოლა და, ა.შ. მითი გარემოებათა გამო უსამართლობის წინაშე მარტოდ დარჩენილ ამერიკელ გმირ-მამაკაცზე, რომელიც ფილმის მსვლელობისას ძალებს მოიკრებს და ყველა მტერს გაუმკლავდება, ჰოლივუდის პრაქტიკულად ერთადერთი გონებრივი ნაყოფია, საზოგადოებისათვის შეთავაზებული უნიკალური პროდუქტი და იგი მას განუზომელი ფინანსური წარმატებით ემსახურება კიდეც აგერ უკვე რამდენი ათეული წელია.

აღმოსავლეთი სანაპიროს მოდერნისტული არქიტექტურა ყოველთვის იდგა პროგრესული არქიტექტურული ტენდენციების ავანგარდში და საერთაშორისო მასშტაბითაც კი ხშირად განსაზღვრავდა მისი სამეტყველო ენის ჩამოყალიბების წესებს. თანამედროვე არქიტექტურული სინტაქსის საფუძვლები ჩიკაგოელი *ლუის სალივენის ფუნქციონალიზმის* დოქტრინაში უნდა ვეძიოთ – ჯერ კიდევ 1886-ში იგი წერდა, რომ "*ფორმა წარმოშვა ფუნქციამ*". მისი საუკეთესო მოწაფის – ფ.დ.რაიტის მეცადინეობით ეს დოქტრინა *ორგანული არქიტექტურის* ნაწარმოებებით და მათი ტიპოლოგიური დერივატივით – *პრერიების სახლებით* გამდიდრდა. სიცოცხლის ბოლოს ვისკონსინის ტყეებში გადაკარგული *ტალიზინ უესტის* სკოლის სიშორიდან სწორედ რაიტი გახლდათ ის ფიგურა, ვინც დაინახა და პირველმა თავად გაბედა ფუნქციონალიზმის კრიტიკა.

მანამდე, 1932 წელს ნიუ- იორკის *თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის* (ლეგენდარული *MOMA*-ს) არქიტექტურული სექციის კურატორმა, მაშინ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა *ფილიპ ჯონსონმა* არქიტექტურის კრიტიკოს *ჰენრი რასელ ჰიჩკოკთან* ერთად მოაწყო იმ დროისათვის მოდერნიზმში გამოკვეთილი ერთიანი ფორმალური და სემანტიკური ნიშნებით გაერთიანებული, მსოფლიოს სხვადახვა ქვეყნის 50 არქიტექტორის რეტროსპექტული გამოფენა და მას, შემდგომში კი მის ბაზაზე გამოსულ წიგნს, "*საერთაშორისო სტილი*" უწოდა. ნიუ- იორკში მომხდარმა ამ მოვლენამ არსებითად განსაზღვრა იმ

ლინგვისტური დერეფნის პარამეტრები, რომელშიც მოძრაობით უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში პრაქტიკულად შემოიფარგლებოდა, მცირე გამონაკლისებით (იგივე რაიტი ა.შ.შ.-ში, *აალტო* ფინეთში, და თავადაც სტილის ლიდერი ფრანგი *ლე კორბუზიე* თავის საუკეთესო, მისივე მოგონილი განსაზღვრებებით შეზღუდულ დოგმატიზმზე უფრო მაღლა მდგარ ნამუშევრებში) თანამედროვე არქიტექტურა.

1950-იან წლებში ევროპაში წამოიწყეს საერთაშორისო სტილის კრიტიკა, რაც 1959 წელს დაგვირგვინდა *CIAM*-ის კონგრესის გაუქმებით და მისი თეორიული პოსტულატების კრებულის – "*ათენის ქარტიის*" პრინციპების უარყოფით. იმავე წელს აშშ-ში გარდაიცვალა დიდი რაიტი, ყველა ამ მოვლენამ იგივე ჯონსონს – რომლის ანგარიშზე ამ დროისათვის უკვე იყო ინტერნაციონალური სტილის საკულტო ხატების (მისი საკუთარი "*მინის სახლი" ნიუ-კანაანში (კონექტიკუტის შტატი)*, და მის ვან დერ როესთან ერთად დაპროექტებული ცათამბჯენი "*სიგრემ ბილდინგი", ნიუ- იორკი*) - მისცა საშუალება განეცხადებინა, რომ "*მოდერნისტული არქიტექტურა მკვდარია*" და წამოეწყო ისტორიულ-კულტურული წარსულის გაკვეთილებით ნაკარნახევი არქიტექტურის ფორმალურ-ესთეთიკური საფუძვლების ძიება.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კალიფორნიაში სულ სხვაგვარი არქიტექტურული კლიმატი ყალიბდებოდა. მისი საფუძველი საუკეთესო ბუნებრივი პირობებით, ლანდშაფტით და ოკეანის სიახლოვით გამოწვეული, მოსახლეობის, ინტერესის და სიმდიდრის კონცენტრაცია, მასთან ერთად კი დასავლეთ სანაპიროს სწრაფად მზარდი ნუვორიშების მასის ნაკლებად ნატიფი გემოვნების, აღმოსავლეთ სანაპიროს ელიტისაგან მკვეთრად განსხვავებული ორიენტირების შესაბამისი ახალი კულტურული გარემოს შექმნის აუცილებლობა გახლდათ. 1887 წელს ლოს- ანჟელესი 50 000 მოსახლეს იტევდა, 1900 წელს კი 103 000 მიაღწია, ხოლო 1915-წლისათვის კვლავ გაორმაგდა. საწყის პერიოდში ადგილობრივი თიხით ნაშენები სახლები ტერაკოტის ფერს ნიუ-ინგლენდის კლასიციზმს უხამებდნენ და *მონტერეის სტილის* სახელით გახდნენ ცნობილი. იტალიური სურნელის შემოტანას კალიფორნიულ ქალაქებში ნეო-რომანული იმიტაციები მოჰყვა. სან- ფრანცისკოში, აღმოსავლეთის სანაპიროს მოდელზე განვითარებული სტენფორდის უნივერსიტეტის გამო, შედარებით უფრო დახვეწილი კულტურული ინტონაციები შემოდის, თავად ამ უნივერსიტეტის მშენებლობა 1888 წელს დაიწყო ბოსტონელი არქიტექტორების პროექტით და ამერიკული ლანდშაფტური არქიტექტურის პიონერის *ფრედრიკ ლო ოლმსტედის* მონაწილეობით ხდებოდა. ამან დაუდო საფუძველი ქალაქის არქიტექტურაში აღმოსავლეთ სანაპიროს ევროპული ტენდე-

ნციების ინკორპორირების ცდას.

სტილების შერწყმის და ახალი მანერის გამომუშავების მცდელობები პარიზის *Ecole des Beaux-Arts*-ის კურსდამთავრებულის, არქიტექტორ ***ჯულია მორგანის*** სახელთანაცაა დაკავშირებული, მისი 1915 წლის ***ლოს-ანჟელეს იკზამინერ***-ის შენობა შესრულებულია ე.წ. "*მისიის სტილში*", რომელიც ესპანური კოლონიური არქიტექტურის შემორჩენილი ნიმუშებითაა ინსპირირებული, ხოლო 1919-42 წლების ***უილიამ რენდოლფ ჰერსტის სიმეონის სასახლე*** მისიის სტილის, რომაული თერმების და იტალიური რენესანსის იმგვარი ნაზავია, რომელიც მნახველს ჰოლივუდის ექსტრავაგანტულობას თუ შეასხენებს. შემთხვევითი არაა, რომ გროტესკული სასახლე "***ქსანადუ***" ჰერსტის საგამომცემლო იმპერიის შესახებ ***ორსონ უელსის*** მიერ გადაღებულ სატირიკულ შედევრში "მოქალაქე კეინი" სწორედ "*სიმეონის ციხე-სიმაგრის*" კინომატოგრაფიული ინტერპრეტაციაა.

მიუხედავად ამგვარი მსოფლმხედველობრივი განსხვავებისა და ღრმა კონტრასტისა აღმოსავლეთის ნატიფ გემოვნებასა და დასავლეთის ეკლექტიკურ უგემოვნებობას შორის, არის ერთი საერთო ნიშანი, რომელიც ორთავე სანაპიროს ისტორიულად აერთიანებს და რომელიც განსაკუთრებითი სიცხადით გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის წინანდელ პერიოდში. ის, რომ ევროპული ცივილიზაციის ამ მეტად ხანმოკლე ისტორიის მქონე ქვეყანაში არქიტექტურა მნიშვნელოვანწილად ემიგრანტთა თაობებით კეთდებოდა, ჯერ კიდევ ახალი დედაქალაქის ვაშინგტონის XVIII საუკუნის ბოლოს ***ლანფანის გეგმით*** და მომავალი სან-ფრანცისკოს ტერიტორიაზე ესპანური კოლონიური დასახლების ***იერბა ბუენოს*** 1776 წლის სქემით დასტურდება. ევროპაში გამეფებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმებმა 1920-30-იან წლებში ემიგრანტთა უახლესი ტალღის მასიური ჩამოსახლება გამოიწვია. ისინი მეტწილად მაღალკულტურული ელიტის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ: მეცნიერები ***ალბერტ აინშტაინი*** და ***მაქს პლანკი***, მწერლები: ***თომას მანი*** და ***ვლადიმირ ნაბოკოვი***, მუსიკოსები: ***არნოლდ შონბერგი*** და ***ვლადიმირ ჰოროვიცი***, და თვით ჰოლივუდის ბრწყინვალე შენაძენი - ***ბერტოლდ ბრეხტი, ადოლფ მენჟუ, ერიკ ფონ შტროჰაიმი, მარლენ დიტრიხი*** და ასე უსასრულოდ. მათ არც რჩეული არქიტექტორები ჩამორჩნენ, აღმოსავლეთ სანაპიროს მონაპოვარი გახდნენ ჩიკაგოში დასახლებული აი-ტი-ტი-ს ახალი სულიერი ლიდერი გერმანელი ***ლუდვიგ მის ვან დერ როე***, კრანბრუკის აკადემიის პროფესორი ფინელი ***ეერო საარინენი***, ჰარვარდის დიზაინის ასპირანტურის დირექტორი გერმანელი ***ვალტერ გროპიუსი*** და მისი ***ბაუჰაუზელი*** კოლეგა უნგრული წარმოშობის ***მარსელ ბროიერი***, ესპანელი ***ჰოზე ლუის სერტი***, რომელმაც მო-

გვიანებით ჰარვარდში გროპიუსი შეცვალა, ჰარვარდის და იელის უნივერსიტეტების პროფესორი რუსი *სერუ ჩერმაიევი*, ნიუ-იორკში მცხოვრები ფრანგი *პიერ შარო* და ჰონგ-კონგში დაბადებული *იო მინგ პეი*. ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ემიგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გაგრძელდა. აღმოსავლეთ სანაპიროზე დასახლდა არგენტინელი *სიზერ პელი*, რომელმაც იელის უნივერსიტეტის დეკანთა სახელოვანი ტრადიციები გააგრძელა, მისი თანამემამულეები იყო დუეტი *აგრესტი და კანდელსონასი* ნიუ იორკში მოღვაწეობდნენს, აქვე გერმანელი *საიმონ უნგერსი*, იაპონელი *მინორუ იამასაკი* და პერუელი *რაფაელ ვინიოლი*.

რაც შეეხება კალიფორნიას, ომამდე იქ დასახლდნენ ავსტრიელები *რუდოლფ შინდლერი* და *რიჩარდ ნოიტრა*, პოლონეთში დაბადებული *ერიკ მენდელსონი*, იტალიური წარმოშობის *პიეტრო ბელუში*, ბერძენი *რაფაელ სორიანო* და სხვები. ომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი, რაც კალიფორნიის და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას – მთელი აშშ-ის არქიტექტურას ამშვენებს, კანადაში დაბადებული და 1962 წლიდან ლოს-ანჟელესის გარეუბანში *სანტა-მონიკაში* დასახლებული *ფრენკ ო. გერი* გახლავთ.

ეს შესანიშნავი სახელები, რომლებიც XX საუკუნის არქიტექტურის სახეს წარმოადგენენ (ნაწილი მათგანი კი დღესაც საერთაშორისო მოდერნიზმის ლიდერთა შორისაა), ჩამოდიოდნენ აშშ-ში და ამ დიდი ქვეყნის იმ განაპირა რეგიონებში სახლდებოდნენ, სადაც მათი მხატვრული ნიჭის და გონებრივი პოტენციალის საუკეთესო გამოვლინების საშუალება ეგულებოდათ. მათთვის აღმოსავლეთი სანაპირო საგრძნობლად უფრო მასშტაბური, ავანგარდული და პროგრესული იდეებისა და მათი რეალიზაციის ასპარეზი გამოდგა. მაგალითად, მის ვან დერ როე ჩამოვიდა რაციონალური, ფუნქციონალური დოქტრინით და ამერიკაში ყოფნისას დახვეწა იგი ასკეტური სივრცის პარადიგმის ლეგენდარულ გამოხატულებამდე: ***"Less is more, and I'm almost nothing...*** *- ცოტა არის ბევრი, ჩემგან კი თითქმის აღარაფერი დარჩა"*. იმავე პერიოდში, ვალტერ გროპიუსის პედაგოგიური მოღვაწეობა საბოლოოდ აქცევს ჰარვარდს დასავლეთის სამყაროს მოწინავე არქიტექტურული იდეების კონცენტრაციის ადგილად, და ა.შ.

სულ სხვა გარემოს სთავაზობდა და მოთხოვნებს უყენებდა დასავლეთ სანაპიროზე ჩასულ ევროპელებს კალიფორნია. მდიდარი კლიენტებით გაჯერებული ლოს-ანჯელესის გარეუბნები ბიველრი ჰილს, პასადინა, მალიბუ, სანტა-მონიკა, ჰოლივუდი, პასიფიკ პალისეიდს, ბრენტვუდი და სხვები არქიტექტორებს საკუთარი ცხოვრების წესს ახვედრებდნენ და ტინსელთაუნისათვის

ჩვეულ რითმში ათავსებდნენ. აქაურ სამუშაოთა გამოზომილი მასშტაბებიც და ერთფეროვანი პროგრამაც ძლიერ განსხვავდებოდა ნერვიული, დაძაბული მეგალომანიაკური აღმოსავლეთი სანაპიროსაგან. ნოიტრა და შინდლერი მეტწილად ოკეანისპირა ვილებს აშენებდნენ და რამდენადაც შეეძლოთ, ამ ჩარჩოს შეზღუდულ ფარგლებში ინტერნაციონალური სტილის დანერგვას ცდილობდნენ. ეს მათ ძლიერ უჭირდათ, კალიფორნიაში თითზე ჩამოსთვლელი იყო მდიდარი დამკვეთები, რომლებიც მზად იყვნენ ფსევდოკოლონიური ეკლექტიკა დაეთმოთ სწორუპოვარი მოდერნისტული სისადავის სასარგებლოდ. ასეთ ოჯახთა რიცხვს *ლოველების* წყვილი მიეკუთვნებოდა, სწორედ მათი დაკვეთით შეიქმნა რუდოლფ შინდლერის *ლოველ ბიჩ ჰაუზი ნიუპორტ ბიჩზე*, 1925-1926 წლებში, მაღალ კოლონებზე შემდგარი კალიფორნიული ზღვისპირა ვილების რკინაბეტონის პროტოტიპი და რიჩარდ ნოიტრას *ლოველ ჰით ჰაუზი გრიფინ პარკში*, 1929 წელს, ლითონის კარკასზე აწყობილი პირველი საცხოვრებელი ნაგებობა.

კიდევ ერთი საერთო გარემოება, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთმანეთთან არიგებდა, იყო პოპულარული არქიტექტორების წარმატებითი მუშაობა ორივე გარემოში. ამის პირველი მაგალითი თავად რაიტმა მისცა, როდესაც პრერიების სახლები დასავლეთ სანაპიროზე გადაიტანა და 1917-25 წლებში 40-ზე მეტი საცხოვრებელი ვილა ააგო კალიფორნიაში. მათ შორის ყურადღებას იქცევს 1917-20 წლებში *ჰოლოჰოკ ჰაუსი ლოს-ანჟელესში*, რომელშიც რაიტმა სცდადა მაიას ინდიელთა ტომის ესთეთიკური იდეალების თანამედროვე მასალებში ამეტყველება და 1923 წელს *მილარდ ჰაუსი პასადინაში*, სადაც რაიტმა გამოიყენა პრიმიტიული გეომეტრია და გაამდიდრა ის მაიას ტომის დეკორატიული მოტივებით. აღმოსავლეთ სანაპიროზე რაიტი არავითარ შემთხვევაში არ შეეცდებოდა კლიენტის მოსაწონად ორნამენტალიზმის და ნეო-პრიმიტივიზმის დონემდე დასვლას, დასავლეთში მას სხვა არაფერი დარჩა. ნიშანდობლივია, რომ შინდლერის მოღვაწეობა ამერიკაში რაიტის სამხრეთკალიფორნიული ოფისის ხელმძღვანელად დანიშვნით დაიწყო.

სხვა დიდი არქიტექტორი, რომელიც თვისობრივად აღმოსავლეთ სანაპიროს ეკუთვნის, მაგრამ საკუთარი წარმატება დასავლეთშიც იზეიმა, გახლავთ ესტონეთში დაბადებული *ლუის კანი*. მას შემდეგ, რაც მან 1958 წელს დაასრულა *ფილადელფიაში (პენსილვანია) რიჩარდსის სამედიცინო ლაბორატორიების* მშენებლობა და მასში პირველად შემოგვთავაზა "*გაბატონებულ*" და "*მომსახურე*" ფუნქციათა სივრცითი დიფერენციაცია, იგი 1959-65 წლებში ახორციელებს თავის ყველაზე უფრო გამორჩეულ ნაწარმოებს – *სალკის*

ინსტიტუტის კომპლექსს ლა ჯოლაში (კალიფორნია). ცარიელი (*void*) და დახურული (*solid*) ზედაპირების, შუქ-ჩრდილის კორბუზიანული ესთეთიკის ოკეანის პირას გადატანამ შენობებს სუნთქვის შემკრავი ხედები გაუხსნა და დაბალსართულიან, ლანდშაფტზე გაშლილ კომპლექსს პროპორციული, ჰარმონიული და ამავე დროს მოდერნიზმის სინტაქსისის გამოყენებითაც კი - მონუმენტური მთლიანობის მქონე სახე მისცა.

კანის ამ პროექტს შეეძლო ორი სანაპიროს გამაერთიანებელი, მოდერნიზმის ახალი ეტაპის აღმნიშვნელი როლი შეესრულებინა, მაგრამ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, რომ კალიფორნიული არქიტექტურა აგრძელებს საკუთარი, საზოგადოების მასობრივ გემოვნებაზე ორიენტირებული გზით სვლას, ხოლო აღმოსავლეთი სანაპირო კვლავ არქიტექტურული მოვლენების ავანგარდშია. ამის დასტურია 1972 წელს *ნიუ-იორკის ხუთეულის (New York Five)* გამოფენა და მისი მონაწილეების შემოქმედებითი გზის ანალიზი. *პიტერ ეიზენმანი* დეკონსტრუქციული არქიტექტურის ერთ-ერთი ძირითადი თეორეტიკოსი (ფრანგ *ბერნარ ჩუმისთან* ერთად – ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, ამჟამად ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანია) გახლავთ და სემინალური *ვიზუალური ხელოვნების ვექსნერის ცენტრის (კოლუმბუსი, ოჰაიო,* 1988-1992 წლები), ავტორია. *რიჩარდ მეიერი* დღეს მსოფლიოში აღიარებული, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ამერიკელი არქიტექტორთაგანია, რომლის ერთადერთი მსხვილი კალიფორნიული ნამუშევარი – 1990-1994 წლების *ჯ.პ.გეტის ცენტრი ლოს-ანჟელესში* ბედავს გადასცდეს ავტორის მიერ არჩეულ თეთრი, ქათქათა სისადავის ნეო-კორბუზიანულ პურისტულ მრწამსს. *ჩარლზ გუატმი* ყველაზე ახლოსაა მეიერთან, თუმცა კი ნაკლებად ცნობილია ამერიკის ფარგლებს გარეთ. აწ გარდაცვლილი *ჯონ ჰეჯაკი* ნიუ-იორკის *კუპერ იუნიონის* სტუდენტთა საყვარელი მასწავლებელი გახლდათ და საკუთარი ახალგაზრდული რადიკალიზმი 1984-1987 წლებში *ბერლინში იბა-ს პროგრამით დაპროექტებულ საცხოვრებელ სახლით* დაამტკიცა. ამ ხუთეულში მხოლოდ *მაიკლ გრეივსია*, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ მან უღალატა მოდერნისტულ სინტაქსისს და საკუთარი "ფიგურატიული ელემენტების" თეორიით, უფრო კი ისეთი შენობებით, როგორებიცაა 1979 წელს *პორტლენდის შენობა*, 1982 წელს – *ჰიუმანა ლუისვილში (კენტუკი),* და ბოლოს 1990 წლის *დისნეის სასტუმროებით "დელფინი"და "გედი" ორლანდოში, ფლორიდა,* გამოამზეურა პოსტ-მოდერნისტული არქიტექტურული კულტურის რეაქციული შინაარსი, გამოამჟღავნა მისი რეტროგრადული ბუნება და არსებითად განაპირობა კიდეც მისი დასასრული. ინტელექტუალურად გრეივსი ნიუ-იო-

რკის ელიტის პროდუქტია, მაგრამ 1980-იან წლებში იგი კონსუმერისტულ ლოს-ანჯელესის სცენას უფრო დაამშვენებდა. კიდევ ერთი მაგალითი, რომ რაფინირებული აღმოსავლეთი შეიძლება ხანდახან წარმოშობდეს რენეგატებს, *რობერტ სტერნია* და მისი 1991 წლის *დისნეის კასტინგის ცენტრი ჰოლივუდში* – კონკიას ზღაპრის თანამედროვე პირობებში გადმოტანილი უსირცხვილო შარჟი, ფანტაზიის სიღრმისეულ ბუნებაში ჩახედვის ანალიტიკური, მეცნიერულ დონემდე აყვანილი და ამიტომაც დღევანდელობისათვის პარადოქსულად უადგილო ცდა.

დღესაც, აღმოსავლეთი სანაპირო რჩება მოწინავე არქიტექტურული აზრის სავარჯიშო ექსპერიმენტების არენად, ამაზე მეტყველებს ნიუ-იორკის *MOMA*-ში 1988 წელს ფილიპ ჯონსონის და *მარკ უიგლის* მიერ მოწყობილი გამოფენა "*დეკონსტრუქცია*", სადაც ზემოთ ნახსენები პიტერ ეიზენმანის, ფრენკ გერის და ბერნარ ჩუმის გარდა, ინგლისელი ქალბატონი *ზაჰა ჰადიდი*, ავტსრიელი დუიეტი *კოოპ ჰიმელბლაუ*, გერმანიაში მოღვაწე პოლონელი *დანიელ ლიბესკინდი* და ჰოლანდიელი *რემ კულჰაასი* ჯგუფით *OMA* იყვნენ წარმოდგენილნი. აღმოსავლეთ სანაპირომ გამოავლინა და განაზოგადა ის მოვლენა, რომლის ნიშნითაც უკანასკნელ ათწლეულში ვითარდება საერთაშორისო არქიტექტურა, თეორიული ბაზა მოუნახა მას და ფართო ასპარეზზე გაუშვა. დასავლეთმა აიტაცა იგი და დღეს უმოწყალო ექსპლუატაციას უწევს. თუმცა ამ დებულებაში ერთი შენიშვნაა შესატანი: ყოველგვარი თეორიული ბაზის ჩამოყალიბების და ფილოსოფიური საფუძვლების მომზადების გარეშე ერთი უაღრესად ნიჭიერი კალიფორნიელი მრავალი ათეული წლის მანძილზე აშენებდა იმის პროტოტიპებს, რასაც შემდგომში დეკონსტრუქციული არქიტექტურა დაერქვა. მისი სახელია *ჯონ ლაუტნერი*. ფ.ლ.რაიტის ამ ყოფილი შეგირდის მიერ ჯერ კიდევ 1947 წელს აგებული *კარლინგის სახლი (ლოს-ანჯელესი)*, იმავე წელს *დეზერტ ჰოტ სპრინგს მოტელ (კალიფორნია)*, 1961 წლის *ვოლფის ვილა (ჰოლივუდი)*, 1968 წლის *სტივენსის სახლი (მალიბუ)*, და ბოლოს 1963 წლის *შიტსის სახლი (ლოს-ანჯელესი)* ყოვლად გაუგონარი, თითქოს ქარიშხალის მიერ დეფორმირებული სამყაროს სკულპტურულ მეტაფორებად იქცნენ. მას არასოდეს აინტერესებდა დოქტრინული დებულებები და არ აწუხებდა თეორიული პოსტულატები, იგი კონსტრუქციით, ფორმით და მათი ურთიერთობით დაინტერესებული კაცი იყო. შემთხვევითი არაა, რომ კალიფორნიაში დასახლებული კანადელი – ფრენკ გერი ჩარლზ ლაუტნერის პირდაპირ მემკვიდრედ, მისი იდეების ნიჭიერ გამგრძელებლად, ახალ მასალებსა და ტექნოლოგიაში მათი გახმოვანების და მხატვრული გაღრმავების გაბედულ ოსტატად უფრო გვევლინება, ვიდრე დეკონსტრუქციის

ფილოსოფიის გამზიარებლად. ნიშანდობლივია, რომ ნიუ-იორკის გამოფენაში მონაწილეობის მიუხედავად გერი ყოველთვის უარყოფდა თავისი შემოქმედების დეკონსტრუქციის პრიზმაში განხილვის შესაძლებლობას. მისი ფორმალური ძიებები, რომლებითაც იგი 1970-იან წლებში არქიტექტურულ სცენაზე გამოჩნდა, ატექტონიკური სკულპტურული პლასტიკის მხატვრულ-გეგმარებითი ფორმის ჩამოყალიბებასთან უფროა დაკავშირებული. ამის მაგალითია გერის ადრეული კალიფორნიული ნამუშევრები, კერძოდ 1975-1978 წლების მისი *საკუთარი სახლი სანტა მონიკაში*, 1982 წლის *ნორტონ ჰაუსი, ვენისი*, 1984 წლის *კალიფორნიის ავიაციის მუზეუმი, ლოს-ანჟელესი*, 1975-1991 წლების *ჩაიეტ/დეი მეინ სტრიტ, ვენისი*, და 1986-1989 წლების *შნაბელ ჰაუსი, ბრენტვუდი*.

რაც შეეხება კალიფორნიელ *ეპიგონებს*, შესაძლოა, ოდნავ მკაცრიც მოგეჩვენოთ *მაიკლ როტონდის* შემოქმედების ამგვარი შეფასება – მისი 1992-1995 წლების *კარლსონ-რიჯის რეზიდენცია, ლოს-ანჟელესი*, ხომ თავისუფლად შეერთებული ლითონის სტრუქტურების მეტად მომხიბლავი აგლომერატია. ან როტონდის ყოფილი ჯგუფის *მორფოზისის* 1994-97 წლების *ბლეიდსის ვილა, გოლეტა* – ისიც კონსტრუქციის კომპლექსური, ინტროსპექტული ანალიზის საინტერესო შედეგია. კალიფორნიელთა დღევანდელი ლიდერის – *ერიკ ოუენ მოსის* უჩვეულო მასალებით მოპოვებული მხატვრულად გამოძერწილი ფორმის „აკრძალული თავისუფლება" – ყველა მისი ნამუშევარი შესრულებულია კალვერ სიტიში: *„ყუთი"*, 1990-1994, *აი-არ-ეს*, 1993-1994 *ოფისი*, 1994-98, და ა.შ. მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, ეს ყველაფერი მრავალჯერ გადამუშავებული ფორმალური რეპერტუარის ნიჭით მეტ-ნაკლებად გაზავებული, ზოგ შემთხვევაში გარკვეული გადახრების დოზით გამდიდრებული გამეორებაა. მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე ლაუტნერმა და გერიმ გაიარეს, სხვების ნაბიჯებში ახალი თითქმის არაფერია – გარდა იმისა, რომ კალიფორნიელ საზოგადოებას იმას, რაც ადრე ელიტარული იყო, დღეს როგორც მასობრივ პროდუქტს, ისე სთავაზობენ.

კალიფორნიაში დღეს სხვა არქიტექტორებიც მოღვაწეობენ. არც ისინი მიეკუთვნებიან თანამედროვე ამერიკული არქიტექტურის ლიდერების პირველ რიგებს, მაგრამ რეგიონში საკუთარი სიტყვის თქმა ნამდვილად შეუძლიათ: *სტივენ ერლიჰის* მონუმენტური, სიმეტრიული *ერმან-კომბსის სახლი სანტა-მონიკაში*, 1989-1991 წლები, ჯერ კიდევ ატარებს პოსტ-მოდერნიზმის პერიოდის კვალს, მისივე 1992-1994 წლების *შულმანის რეზიდენცია ბრენტვუდში* კი შედარებით უფრო თავისუფალი მოდერნისტული რიტორიკის მცდელობაა. *ჯოან ჰალბერგის* 1990-1992 წლების ორსართულიანი *სონომას ზღვისპირა*

ვილა, სტიუარტ პოინტი, ხის მზიდი და მოსაპირკეთებელი კონსტრუქციებით და "მფრინავი" სახურავით გამოირჩევა. *ფრენკლინ ისრაელის* 1991 წლის *გოლდბერგ-ბინის რეზიდენცია, ჰოლივუდ ჰილსი* კი განსხვავებული მასალების და თავისუფალი ფორმების ერთმანეთთან სტრუქტურულ-კომპოზიციური ოდნავ გადაჭარბებული ნაერთია.

აღმოსავლეთი დღესაც უკეთესად მოსჩანს საერთაშორისო გადასახედიდან, ახალი თაობიდან წარმატებას აღწევს სტევენ ჰოლი. მისი არქიტექტურა, როგორც თვითონვე აღნიშნავს, „ინდივიდუალური სიტუაციების და სათვისტომოების ტრანსკულტურული გაგრძელებადობის პოეტური ექსპრესია" გახლავთ: ამის ილუსტრაციაა გაბედული დაშენება *დ.ი.შოუს კომპანიისათვის ნიუ-იორკში*, 1991-1992 წლებში, და მისივე ამავე ქალაქში 1994 წელს შესრულებული მაღაზიის ვიტრინა *„ხელოვნება და არქიტექტურა"*, ფიბერგლასის და ხის პანელების ორიგინალური ანაკრეფი. *ჯეიმს უანსი* და მისი ჯგუფი *SITE* 1994 წელს 1995-96 წლების *ბრიტანეთში, უელსში ტრაუსფინიდის ატომური ელექტროსადგურის ტრანსფორმაციის პროექტში* ეკოლოგიური აზროვნების საუკეთესო მაგალითს გვთავაზობს. ხოლო *ტოდ უილიამსის* და *ბილი ცინის* დუეტი თავისი რიგორისტული ესთეთიკური კრედოს საჩვენებლად კალიფორნიის ტერიტორიასაც წარმატებით იყენებს – ლუის კანის სალკის ინსტიტუტის მახლობლად გვთავაზობენ ბუნებაზე არა ნაკლები ძალით გახსნილი, ლანდშაფტთან ინტეგრირებული 1993-1995 წლების *ნერვიული დაავადებების ინსტიტუტის შენობას ლა ჯოლაში, სან დიეგო*.

ორივე სანაპირო ეგუება იმ როლს, რაც ისტორიამ და ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის და, მის კვალზე, კულტურული როლის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ განაწილების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული წესი განაპირობებს. ნიუ-იორკი ამერიკის მოწინავე იდეების კონცენტრაციის და მათი გახმოვანების მთავარი ცენტრია – და არ არის გამორიცხული, რომ თუ კი ადრე ბერლინს, ლონდონს თუ პარიზს ჰქონდათ მსოფლიო კულტურის ცენტრების როლზე პრეტენზია, დღეს ჰადსონის ნაპირებზე გადაშლილ მეგალოპოლისს შეუძლია თამამად განაცხადოს თავისი სალიდერო ამბიციების შესახებ. ლოს-ანჟელესს კი სავსებით ჰყოფნის იმ მასობრივი მომხმარებლის საყოველთაო ინტერესის ფოკალური ცენტრის ხმაურიანი პოზიცია, რომელშიც მას ვერავინ შეედავება ვერც ამერიკაში და ვერც მის ფარგლებს გარეთ.

გიორგი ხოშტარია
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.
გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი;
დოცენტი, თსუ

აშშ-ს კულტურის სიღრმობრივი გააზრების პრობლემა

აღნიშნული, უაღრესად მნიშვნელოვანი, საკითხის დაწყების საფუძველს მაძლევს რამდენიმე ფაქტორი: 1) განათლებით ისტორიკოსს ბოლო ოთხი ათეული წელი მეცნიერული თუ პედაგოგიური მუშაობა მიწევდა ხელოვნების ისტორიაში, ძირითადად თანამედროვე ქართული და დასავლური ხელოვნების და დასავლური ხელოვნების და შესაბამისად კულტურის სფეროშიც. 2) ბოლო 14 წელი საკმაოდ აქტიური მოღვაწეობა მომიწია საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც: ეროვნულ მოძრაობაში, ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურის დონეზე საგარეო ურთიერთობათა სფეროში და აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროშიც. დასავლურ სამყაროს, პირველ რიგში აშშ-ს, წამყვანი ადგილი ეკავა ჩემს აღნიშნულ ურთიერთობებში. არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და არ აღვნიშნო, რომ არც ერთ ქვეყანას, თუნდაც ერთად აღებულს, არ გაუკეთებია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის იმდენი, რამდენიც აშშ-ს. კონკრეტულად, უდიდესი ყურადღება და თავდადება გამოავლინეს აღნიშნულ საქმეში საქართველოში აშშ-ის საელჩოს მეორე მდივანმა ქ-ნმა ქენდი გრინმა და აშშ-ის Human Rights Watch-ის ექსპერტმა ქ-ნმა ერიკა დეილიმ. თუ ამას დავუმატებთ, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ვიყავი ჩამოყალიბებული ანტიკომუნისტი, ჩემი ორიენტირება დასავლურ სამყაროზე, იმ ფასეულობებზე რომლებიც დასავლურად არიან ცნობილი, ეჭვს არ უნდა ბადებდეს. ამასთან გასაგები უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ჩემმა (და ასევე საქართველოს მრავალი მოქალაქის) დამოკიდებულებამ დასავლური სამყაროსადმი, გარკვეული ევოლუცია განიცადა. ლაპარაკი მაქვს არა რაიმე არსობრივ, პრინციპულ შემოტრიალებაზე ამ დამოკიდებულებაში, არამედ იმ მრავალ კითხვაზე, არაერთნიშნა შეფასებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა გაჩენილიყო აშშ-თან, მის კულტურასთან ახლო კონტაქტის, ყოველ შემთხვევაში დაახლოების პროცესში. გარკვეული სქემატიზაციით ამ დამოკიდებულებაში ორი ეტაპი იკვეთება: I – საბჭოთა კავშირის რღვევამდე, 90-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც ხდებოდა ყოველივე და-

სავლურის და, პირველ რიგში, აშშ-დან მომავლის მხოლოდ დადებითად შეფასება, ვინაიდან არ არსებობდა ორი მკაფიოდ დაპირისპირებული სამყარო: თავისუფალი და ტოტალიტარული. შეფასებაც შესაბამისი იყო – თეთრი ან შავი, ყოველგვარი გარდამავალი ტონების გარეშე. იმ პირობებში ეს იყო სავსებით გასაგები პოზიცია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი იყო უკრიტიკო, რომელიც არ ეყრდნობოდა მოვლენათა კონკრეტულ, ობიექტურ ანალიზს. II ეტაპი იწყება 90-იანი წლების დასაწყისიდანვე, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც იწყება პირველი უშუალო კონტაქტები ორ ქვეყანას შორის, რასაც იდეალურ შემთხვევაშიც კი არ შეიძლება არ დაეყენებინა გარკვეული პრობლემები, თუნდაც იმიტომ, რომ ეს კონტაქტები ახალია და შესაბამისად გაუგებრობის ალბათობაც; იმიტომ, რომ შეხებაში ძალზე განსხვავებულ ტრადიციებზე დამყარებული პიროვნებები, სხვადასხვა სტრუქტურები პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. რა თქმა უნდა ამ პრობლემათა წარმოქმნა ოდნავადაც არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ საქართველოს დასავლურ სამყაროზე ორიენტირების სტრატეგიულ, სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხს. მას ალტერნატივა არ გააჩნია. მაგრამ ასევე არასწორი იქნებოდა გარკვეული პრობლემების არსებობაზე თვალის დახუჭვა – პირიქით: აუცილებელია მათი გამომწვევი მიზეზების ნათელი გააზრება – არ არის საიდუმლო, რომ რიგი პოლიტიკური ძალებისა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ საქართველოს ორიენტაციის საკითხს, არის გარკვეული ნეგატიური თუ შემაშფოთებელი დამოკიდებულებაც დასავლეთისადმი მოსახლეობის ერთ ნაწილში. აქ როლს თამაშობს რამდენიმე ფაქტორი – წარსულის ინერცია (ძირითადად ეს მაინც უფროსი თაობის ხალხს ეხება), ხელისუფლების მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, განსაკუთრებით სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, რაც იწვევს სათანადო სამართლებრივ-პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის შემთხვევაში ნიჰილისტურ დამოკიდებულებას დასავლური ფასეულობებისადმი და გარკვეულ ნოსტალგიას საბჭოური წარსულისადმი. არა მგონია, რომ ეს ეხებოდეს მოსახლეობის საგრძნობლად დიდ ნაწილს, მაგრამ მათი რაოდენობა საკმარისია, რომ ამაზე ღირდეს დაფიქრება; უნდა ვივარაუდოთ გარკვეული ძალების შეგნებული მუშაობაც, რათა გაღვივებულ იქნეს დასავლეთის მიმართ შიში და უნდობლობა. ძირითადად გამოიყენება საკმაოდ მარტივი, მაგრამ გარკვეულად ქმედითი ტრაფარეტი: აშშ თავისი ძალითა და განსხვავებული კულტურული ტრადიციებით (რომელთა წარმოჩენაც ხშირად ძალზედ პრიმიტიულად ხდება) წაშლის ქართველი ადამიანის სახეს, მის კულტურას. ეს პრობლემა – ამერიკის და სხვადასხვა ერებისა თუ რეგიონების

კულტურათა შეხების პროცესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები გლობალური ხასიათისაა და ვგონებ დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს მსოფლიოში. ჩემთვის ძნელია თქმა, თუ რამდენად ღრმად და ყოვლისმომცველად ხდება ამ პრობლემის გააზრება გლობალური მასშტაბით – აშშ-ში თუ სხვა ქვეყნებში, მაგრამ ის, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობათა კუთხით ეს ბევრად უფრო ფუნდამენტურ კვლევას მოითხოვს, ჩემში ეჭვს არ იწვევს. ცხადია, ერთი საკონფერენციო მოხსენების ფარგლებში საკითხებით გამორიცხულია არსებული პრობლემების და მათი გენეზისის გამოვლენა, მაგრამ ვგონებ თუნდაც გარკვეული კუთხით საკითხის დასმა, თუ გაშუქება საქმეს წაადგება. პირველ რიგში, მე მინდა აღნიშნულ პრობლემას შევეხო კულტურის კუთხით.

ასაბუთებს რა აშშ-ის საფუძველს იყოს ერთადერთი ზესახლემწიფო და შესაბამისად პირველ რიგში განსაზღვროს მსოფლიო წესრიგი ზბიგნევ ბზეჟინსკი მიუთითებს ოთხ სფეროში აშშ-ის პირველობაზე: ეკონომიკურში, ტექნოლოგიურში, სამხედროსა და კულტურულში, თუმცა კულტურასთან დაკავშირებით იქვე დასძენს: „მიუხედავად ამერიკული კულტურის გარკვეული ზედაპირულობისა". (ზ. ბზეჟინსკი „დიდი საჭადრაკო დაფა" მოსკოვი, 1994), ხოლო შემდგომ კიდევ მიუთითებს, რომ ევროპაში გარკვეულ რეაქციას იწვევს აშშ-ის კულტურის არასიღრმობრიობა, ფუნდამენტური რელიგიური საფუძვლის უქონლობა, ხოლო ბერტრან რასელი თავის ცნობილ ფილოსოფიის ისტორიაში მიუთითებს აშშ-ში არსებული მრავალი რელიგიური მიმართულების გარკვეულ ზედაპირულობაზე.

უკვე აღნიშნული მოსაზრებანი საკმარისია საკმაოდ ფუნდამენტური საკითხების დასმისა და კვლევისათვის. ერთი მხრივ, ძნელია ზედაპირული უწოდო კულტურას, რომელმაც მოგცა თუნდაც: მარკ ტვენი, მელვილი, ფოლკნერი, სალივანი, რაიტი და მრავალი და მრავალი სხვა შემოქმედი, ურომლისოდაც სულიერი ცხოვრება მთელს მსოფლიოში გაღარიბდებოდა. მაგრამ, ბზეჟინსკის შენიშვნა, რომელიც გარკვეულად არსებულ მოსაზრებას ემყარება და რომელიც განმარტების, კონკრეტიზაციის გარეშე არის მოყვანილი მის ნაშრომში, უნდა გულისხმობდეს, პირველ რიგში, მასობრივი კულტურის სფეროს, თუნდაც შოუ ბიზნესს (თავისი ძალზედ მრავალგვარი გამოვლენით), რომლის დომინირებაც მსოფლიოში მართლაც უდაოა (თორემ კულტურის ფუნდამენტურ სფეროებში ალბათ ძნელია ლაპარაკი რომელიმე ცალკეული ქვეყნის კულტურის დომინირებაზე – თითოეული კულტურა ხომ ერთადერთია და განუმეორებელი).

როდესაც ვლაპარაკობთ კულტურაზე, რომელსაც ლამის რამდენიმე ასეული დეფინიცია გააჩნია, ელემენტარული კორექტულობა მოითხოვს გარკვეული დაზუსტებების გაკეთებას. ერთია სულით-გონითი კულტურა (ის, როგორც განიხილავს მას ე. კასირესი), მეორეა, მხოლოდ, ხელოვნების სფეროს განხილვა, მესამეა კულტურა, როგორც ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს შეფასებითი კრიტერიუმი (კულტურა-ანტიკულტურა, სტრუქტურულ-მაორგანიზებელი და დესტრუქციულ-ენტროპიული მოვლენების შემცველი). ცალკე საკითხია კულტურის ცალკეული სფეროს, მაგ. ხელოვნების კულტურის ზოგად ალგორითმთან, (კულტურის ერთიანობის საფუძველი, როგორც პრობლემის გადაწყვეტის ერთიანი მენტალური წესი). სწორედ ამ შემთხვევაში, საინტერესოა ჩემთვის სახვითი ხელოვნება აშშ-ში, როგორც ზოგადკულტურული ტენდენციის გამომხატველი. ტიპურია, რომ განსხვავებით ყველა ევროპული ქვეყნისაგან, რომ არაფერი ვთქვათ ფრანგულ სკოლაზე – აშშ-ს უახლესი დროის ხელოვნების პირველ ეტაპზე – 30-40 წლებამდე, რაიმე სკოლური მოვლენა არ ჰქონია. ასეთად ვერ ჩავთვლით ვერც მერი პასეტსს და ვერც უისტლესს, რომელიც, უფრო ინგლისური და ფრანგული კულტურული ნიადაგით სარგებლობდა, ვიდრე ლაპარაკია, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის მხატვრულ სკოლაზე. ამასთან, არა ნაკლებ სიმპტომატურია, რომ მარსელ დიუშანი, ავანგარდის ერთ-ერთი ღერძული ფიგურა, სწორედ აშშ-ში ატარებს ცხოვრების უდიდეს ნაწილს და, ჯერ კიდევ დადაიზმის ჩამოყალიბებამდე წარმოადგენს თავის ready made-ებს. შემთხვევით არ პოულობენ ნიადაგს აშშ-ში მან რეი, ლასლო მოგოლი ნადი, ელ ლისიცკი; ანუ, მთლიანობაში, აშშ იძლევა იმ კულტურულ ნიადაგს, რომელიც 30-40 წლის შემდგომ, პოსტინდუსტრიულ ხანაში, პოსტმოდერნში მოგვცემს ძალზედ უხვ მოსავალს.

ასევე სიმპტომატურია, რომ აბსტრაქტული ფერწერის მეორე, უფრო ფართო ტალღა, სწორედ აშშ-ში ისახება 30-40-იან წლებში. აბსოლუტურად ლოგიკურია აგრეთვე, რომ ინგლისში ჩასახული პოპი, სწორედ აშშ-ში მიიღებს უფართოეს გავრცელებას – ცხადია, რაუშენბერგს შემთხვევით არ მიანიჭეს მთავარი პრიზი 1964წ. ვენეციის ბიენალეზე. არც ის არის შემთხვევითი, რომ პოსტმოდერნის თუ ტრანსავანგარდის პრაქტიკულად ყველა მიმართულება (აქციები, ობიექტები, ინსტალაციები, მინიმალიზმი თუ კონცეპტუალიზმი, ჰიპერრეალიზმის ყველა გამოვლენანი) აშშ-ში ნოყიერ ნიადაგს პოულობს. ერთი სიტყვით, აშშ-ის ვიზუალურ ხელოვნებაში ვნახავთ ავანგარდის ყოველგვარ გამოვლენას, გარდა მკაფიოდ გამოხატული სახვითი მიდგომისა, ანუ სახვით

საზღვრებში მოცემულ თანამედროვე თუ ავანგარდულ ხელოვნებას, იმ ტიპის, რომელიც XIXს.-ის 60-იანი წლებიდან XXს.-ის 40-იან წლებამდე ასე უხვად არის წარმოდგენილი, არა მარტო ევროპაში, არამედ, თუნდაც, აგრეთვე ამერიკის კონტინენტზე (მექსიკა, ოროსკო, ტამაიო).

აქვე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მე არავითარ შემთხვევაში არ აღვიქვამ, არ მივიჩნევ არც რეადყ მადე-ს, არც პოპის თუ ტრანსავანგარდის სხვადასხვა გამოვლენებს რაიმეთი ნაკლულ ხელოვნებად, ეს ნამდვილად ძალზედ საინტერესო, საკუთარი სახის მქონე, რაც მთავარია, მხატვრული სახის შექმნის უნარის მქონე ხელოვნებაა. მაგრამ, მე სხვა რამ მაინტერესებს, რატომ პოულობენ ასეთ ნოყიერ ნიადაგს სწორედ აშშ-ში ის მიმართულებები, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავენ ათასწლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ენობრივ საფუძველს, რატომ ვერ ხატავენ აშშ-ში ნატიურმორტს (სეზანი, ვან გოგი), პეიზაჟს, ისტორიულ სახეებს (რუო), ქალს, კაცს, ტკივილს, სიყვარულს (პიკასო, შაგალი), ყოფით სცენას (მატისი) და ა.შ და ა. შ. არის კი შემთხვევითი, რომ განსაკუთრებულ გასაქანს აშშ-ში აღნიშნული მიმართულებები იძენენ სწორედ პოსტინდუსტრიულ ხანაში.

ის, რომ საერთოდ დასავლური ტიპის კულტურები ხასიათდებიან ცივილიზაციის სტადიაზე (ანუ, ქალაქური საფუძველის მქონე კულტურაზე) სწრაფი გადასვლით და მზარდი დინამიკით, დავას არ უნდა იწვევდეს. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ შპენგლერის ტიპის დაპირისპირება მოვახდინო კულტურასა და ცივილიზაციას შორის, მაგრამ გამაჩნია გარკვეული შეხედულება ცივილიზაციის სტადიის კულტურაზე. საერთოდ დასავლურ კულტურებს და მით უმეტეს ახალი და უახლესი დროის კულტურებს, ახასიათებს რაციონალიზმის ძალზე მაღალი დონე. თავისთავად რაციონალიზმში არაფერია სახიფათო, თუ იგი არ სწყდება გონის სფეროებს. არა და ზერაციონალიზმის პირობებში, რომლითაც ხასიათდება პოსტინდუსტრიული ხანა, ამ მოწყვეტის საფრთხე დიდია. ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული თანამედროვე ცივილიზაციების კიდევ ერთი თვისება: ცალკეული დარგების მძაფრი განვითარება, მათი ენის გაღრმავება და შესაბამისად, ერთმანეთის მოწყვეტა, კულტურის მთლიანობითი ხასიათის დაკარგვა. სწორედ ამიტომ ხასიათდება პოსტინდუსტრიულ-პოსტმოდერნისტული ეპოქა პოსტსტრუქტურალიზმითაც, მთლიანობის უარყოფითა და ეკლექტიკის, ლამის მაღალ ღირსებაში აყვანით. გასაგებია, რომ ეს ეტაპი გარდაუვალია: სამყარო, ყოველ შემთხვევაში ჩვენი პლანეტა ერთ საერთო საცხოვრებლად იქცა. ადამიანს სახლიდან გამოუსვლელად შეუძლია აღიქვას დიამეტრალურად განსხვავებული კულტურების

თავისებურებანი, ან პირიქით, ერთ დღეში აღმოჩნდნენ სავსებით განსხვავებულ კულტურულ რეგიონებში. ცხადია აგრეთვე, რომ ცალკეული დარგების თითქმის აფეთქებასავით განვითარებასთან, ხოლო კულტურის სხვა სფეროების სტაგნაციამ (ასეთს ვხედავ მე აშკარად რელიგიურ სფეროში და მკაფიო სიმპტომები მოსჩანს ხელოვნებაში) – წარმოიშვა სხვადასხვა ტიპის დისპროპორციები, თავისებური მაკრატელები (თუ რა მოგვიტანა დისპროპორციამ გერმანიასა და რუსეთში, სულიერი კულტურის განვითარებისა და სოციალურ სფეროს შორის, კარგად ვნახეთ – ფაშიზმი და ბოლშევიზმი). ამერიკაში, ვგონებ საპირისპირო სურათია, ვინაიდან ამერიკული სამართლებრივ-სოციალური კულტურა უმაღლეს დონეზეა. მარტო ამერიკის კონსტიტუცია რად ღირს, რომელიც ამდენი ხანია უშეცდომოდ ფუნქციონირებს. ამ თვალსაზრისით და ცხადია, არა მარტო ამ მხრივ, ამერიკა მართლაც სამაგალითოა და სწავლის საგანი უნდა იყოს. მაგრამ არის სფეროები, სადაც ან აშკარა დისტანციას ხედავს საქართველოს მოქალაქე (და არა მარტო საქართველოში), ან საერთოდ მიუღებლად შეიძლება მიიჩნიოს (მაგალითად, თუნდაც, რელიგიის პრაგმატული ინტერპრეტაცია, თუ არ ვცდები ჯეიმსთან, სადაც რელიგია კარგია თუ იგი ამართლებს პრაქტიკაში, ასე ვთქვათ, თუ იგი მუშაობს). გასაგებია, რომ აშშ-ი ყველაზე მძაფრად გამოავლენს ცივილიზაციის როგორც უზარმაზარ მიღწევებს, ისე გარკვეულ დარღვევებს კულტურის ეკოლოგიაში. ეს, ვგონებ, მეტ ყუარდღებას და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, ვიდრე დღემდე და დღეს ხდება.

გია გულაძე
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი

ამერიკული პოპ-არტის რამდენიმე მახასიათებელი ნიშანი და მისი წანამძღვრები

ჩვენში, სამწუხაროდ, გაუნათლებლობის და ინფორმაციის ნაკლებობის გამო, პოპ-არტის ცნებას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ. მოხვდები გამოფენაზე, ან თუნდაც მხატვრის სახელოსნოში და ჩვეულებრივ კოლაჟურ "ნივთს", სადაც რამდენიმე საგანი ან ნივთი წესრიგით თუ უწესრიგოდ არის მიწებებულ-მიკრული რაიმე სიბრტყეზე, მიაჩნიათ, რომ პოპ-არტს ქმნიან, უფრო სწორედ, პოპ-არტი სიბრტყეზე მიწებებულ ძველ გამოუყენებელ საგანთა ნაკრებად მიაჩნიათ.

ეს აზრი, რა თქმა უნდა, არასწორია. საგნების, ფოტოების, გაზეთის ტექსტების, თვით ნივთების ნაწილების მიწებება სასურათე სიბრტყეზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს პოპ-არტად. იგი კოლაჟის რაიმე სახეობა შეიძლება იყოს. თვით კოლაჟურ "სისტემაში" კი შეიძლება საქმე გვქონდეს "საგნობრივი ხელოვნების" სხვადასხვა ფორმებთან, იქნება ეს "დეკოლაჟი", "ბრიკოლაჟი", "ასამბლაჟი", "აკუმულაცია", "ობიექტი" და ა.შ.

ხოლო თვით პოპ-არტი ფორმისმიერი თვალსაზრისით შეიძლება იყოს როგორც კოლაჟი, ასევე ობიექტი. საგნობრივი ობიექტი, და ასევე გამოსახულება, ან გამოსახულებათა რიგი, რომელიც დაიტანება სასურათე თუ საგამოფენო სივრცეში. ასე, რომ პოპ-არტი ნებისმიერი თვალსაზრისით პოლისტილისტურ-პოლიტექნოლოგიური მოვლენაა. ამიტომ გარდა ფორმალური, ტექნიკური, მხოლოდ პროფესიული "კეთების" ინტერესისა, უმნიშვნელოვანესია სწორედ პოპ-არტის კონცეპტუალურ-სოციალური ორიენტირები და წანამძღვრები.

თვითონ "პოპ-არტი", როგორც ფაქტი, არ არის მხოლოდ ამერიკული მოვლენა. მისი პირველი ნიშანი და გაცხადება ბრიტანეთში მოხდა, როდესაც ინგლისელმა მხატვარმა, რ. ჩემბერლენმა თავისი კოლაჟური კომბინაცია "ტკბილი ცხოვრება" წარმოადგინა მე-20-ე საუკუნის 50-იან წლებში.

კოლაჟური კომბინაცია პირდაპირ ასოცირდებოდა დადაისტურ კოლაჟებთან, რომელნიც 10-იან წლებში სინთეტიკურ კუბიზმზე რეაქციით ფრენსის პიკაბიამ და კურტ შვიტერსმა შექმნეს.

ხაზი იმასაც უნდა გაესვას, რომ პიკაბია ამერიკელი გახლდათ, ამავე დროს დადაიზმის უდიდესი მეტრი და პოპ-არტის ლიდერთა მიერ აღიარებული "მოძღვარი" მარსელ დიუშანი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პერიოდს ამერიკაში ატარებდა.

სწორედ ამერიკაში, ნიუ-იორკში მომუშავე დადაისტთა ერთ-ერთ პირველ გამოფენაზე გამოიტანა მარსელ დიუშანმა თავისი პირველი მაშოკირებელი რედი-მეიდი „შადრევანი რიჩარდ მატტ“.

პოპ-არტის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს 10-იანი წლების "რედი-მეიდის" მეთოდი, ხოლო პირველ მინპულსირებულ ნიშნად "რიჩარდ მატტის შადრევანი" მოიაზრება.

პოპ-არტი გარკვეული თავლსაზრისით ეფუძნება და ფორმითაც გავს დადას, ხოლო მეორე მხრივ განსხვავდება დადასგან. საერთოდ, მსგავსებათა აღმოჩენა არსებითი ფაქტორი არ არის ხელოვნების სფეროს შემეცნებისას. სტილის ჩამოყალიბებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას თვით ფორმისმიერი, ან შესრულების იდენტური ხერხი. შეიძლება მეთოდიც კი მსგავსი იყოს და მხოლოდ კონტექსტუალური მატარებელი განასხვავებდეს ფორმალურ მსგავსებას. სწორედ კონტექსტი შეიძლება იყოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ახალი სახელოვნებო ობიექტისა, თუ მოვლენისა.

კონცეფციის არსის გააზრება მე-20-ე საუკუნის 50-იანი წლების ძირითადი მისწრაფების საგანს წარმოდგენდა, რასაც შემდგომ მეტნაკლები წარმატებით ცდილობს, რამდენადმე დაუპირისპირდეს, ან მისგან საერთოდ გათავისუფლდეს ახალი სახელოვნებო ინტენცია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ "კონცეპტუალიზმის" ტერმინით, და რომელიც თავისი ძირითადი ნიშნით ხელოვნებითი ქმედების შესაძლებლობათა კონტექსტუალური და რაიმე თვისობრივ-ფუნქციონალური პრინციპებიდან გამოთავისუფლებად მოიაზრება. ე.ი. იგი აფართოებს ხელოვნებითი აქტის გაგების ფარგლებს, კარგავს რა ყოველგვარ შეხებას რაიმე კონტექსტუალურ რეალიებთან თუ თვისებებთან.

პოპ-არტი სწორედ რომ კონტექსტს გულისხმობს და ერთგვარად უბრუნდება გამოსახულებას, მისი სიბრტყეზე ანაბეჭდის და დეციტირების სახოვან-ხატოვან მეთოდს.

თვით ფორმალური სახით პოპ-არტი, ერთდროულად შეიძლება იყოს ერთგვარი ნაკრები - ექსპრესიული აბსტრაქციონიზმის გამოცდილებითი მეთოდისა, რაც პირველ რიგში „მოქმედების ფერწერს“ – „ჰანდ შრიფტის“ ან „დრიპინგის“ გამოყენებას ნიშნავს, ხოლო მეორე მხრივ იგი შეიძლება იყოს და არის „რედი-მეიდი“ ობიექტი, „ასამბლაჟი“, თვით „აკუმულაცია“ – „სერი-

გრაფიული გამოსახულება", საგნობრივი ხელოვნების, თითქმის აპრობირებული ყველა მეთოდი თუ ხერხი, რომელიც სამრეწველო დიზაინში გამოიყენება. ამავე დროს იგი არის ე.წ. სინესთეზიურ-სინთეზური მეთოდის მომხმარებელი, უფრო მეტიც, ამერიკული პოპ-არტი თავისი ძირითადი კონცეპტით მუსიკის არსის უფრო სწორად ჯონ კეიჯისეული „პრეპარირებული ინსტრუმენტის" და „სიჩუმის ბგერის", ცოცხალი ბგერის სახელოვნებო არეალში ჩართვის ხერხსაც მოიხმობს.

ჯონ კეიჯი – აი, საწყისი ამერიკული პოპ-არტის ქმედითი ძალისა. მისი ბგერა თუ აქცია - ეს არ იყო მუსიკა ან ბგერა, ეს იყო ხელოვნების ზღვრების დარღვევის, ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის არსებული გადაულახავი ბარიერის სფეროში ხელოვნებად ყოფიერების მცდელობა.

ჯონ კეიჯი ერთი მხრივ, მეორე მხრივ მოხუცებული მოჩვენებითი ნიჰილიზმით შეპყრობილი ემიგრანტი – მარსელ დიუშანი თავისი განუყრელი ჭადრაკით – აი ორი პოლუსი, რომელმაც მისცა ძირითადი მუხტი ქმედებებისათვის ჯასპერ ჯონსს და რობერტ რაუშენბერგს, ამერიკული პოპ-არტის ორ დიდ მეტრს. მათ ფორმალურად ახალი მხოლოდ მასშტაბში მოიტანეს. იმიტომ, რომ მანამდე ამ მასშტაბის ასამბლაჟებისა თუ მულტიმედიანტური ობიექტების წარმოდგენა და განხორციელება შეუძლებელი იყო. მათთან სიახლე წმინდა ამერიკული კონტექსტი გახლდათ.

თვალნათლივ წარმოჩნდა, რომ ხელოვნების ამერიკული პოპ-არტისმიერი არსი იქ შეიძლება აღმოცენდეს, სადაც არის კარგად ორგანიზებული, კარგად სტანდარტიზებული წარმოება და ამ სტანდარტიზების შედეგად შექმნილი ცხოვრების საყოფაცხოვრებო სტილი. პოპ-არტი იყო და რჩება ცივილიზაციის პროდუქციის, ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიღწევების უპირველესი, თუნდაც მექანიზებული სტანდარტიზაციის პროდუქტის ხელოვნების სფეროში დაბრუნების, ვალორიზების მცდელობად. თუ არ არის სტანდარტიზებული ცხოვრების ცივილიზებული ტექნოლოგიური პრინციპი ყოველდღიურობაში, არ იქნება მისი ხელოვნებაში მობრუნების მცდელობა, ე.ი. არ იქნება პოპ-არტი. თუ არ არის პოპულარული „სახალხო" ნივთები, თავისი საყოველთაოდ საცნობი ნიშნებით, რომელიც თავისი პროფანულობით ავსებს ჩვენს ყოველდღიურობას, არ იქნება არანაირი პოპ-არტული ობიექტი.

თუ არ იქნება კოკა-კოლას ნიშანი, როგორც სტანდარტი ყველასათვის, არ იქნება ენდი უარჰოლის ობიექტები.

პროფანულ სტანდარტად იქცევა თვით ადამიანის ჰაბიტური, მისი "იმიჯი", ცხოვრების გარკვეული სტანდარტული წესის გამომხატველი ხდება.

იმიჯი – „მერილინ მონრო" – უკვე „ამერიკელი სექსუალური ქალის" სტანდარტია. სწორედ აქედან ბრუნდება მერილინ მონრის სახე ისევ ხელოვნებაში.

ის, რაც მიიღწეოდა საუკუნის დასაწყისში ავანგარდული ფრთის დიდი ძალისხმევის შედეგად, შემდეგ იოლად გადაცოცდა გამოყენებითი სტანდარტიზაციის სიბრტყეზე, დიზაინში, ვიტრინებში, ინტერიერში. პოპ-არტი კი ცდილობს, ის, რაც „უსამართლოდ" წაართვეს ხელოვნებას, ის, რაც უსაშველოდ გააბანალურეს, გააპროფანულეს, გააფილისტერეს, ყოველი ოჯახის მაცივარში შეაწყვეს, ყოველი ქალთა მანიაკის ოთახის კედელზე პლაკატად აქციეს, ყოველი ადამიანის საფულეში ვაშინგტონის გამოსახულებით მწვანე დოლარად ჩადეს, კვლავ ხელოვნებაში მოაბრუნეს. პოპ-არტი არის იქ, სადაც არის წარმოება, სადაც იქმნება სტანდარტული პროდუქცია, პოპ-არტი არის ერთგვარი სახელოვნებო რეაქცია ცივილიზაციის მიერ მოტანილი ინდუსტრიული სტანდარტიზაციის და კიჩის მიმართ. ამიტომ იგი ხშირად და ძალზე წარმატებითაც ეწევა კიჩად ქცეული სახეების კომიქსების, რეკლამების, „კიჩიზაციას", რითაც აბრუნებს გამოსახულებას კონტექსტის ცვლის გზით, ისევ მაღალ ხელოვნებაში.

თვით პოპ-არტში „კიჩიზაციის" მეთოდი მხოლოდ საწყის ეატპზე ავლენს თავს. ეს მეთოდი არნახულ მასშტაბებს აღწევს კონცეპტუალიზმის, ნეოკონცეპტუალიზმისა და სოც-არტის პირობებში.

პოპ-არტი ასრულებს რთულ გზას ხელოვნების მაღალი პროდუქციიდან სუპერმარკეტის „ესთეტიკამდე" და პირუკუ, ისევ ხელოვნებაში – ხელოვნებიდან პროფანულში, ობივატელურიდან საგამოფენო სივრცეში, კომიქსიდან მუზეუმში და ა.შ.

მხოლოდ პოპ-არტს შეუძლია ჩვეულებრივი საგაზეთო კომიქსი, როი დიხტენსტეინის ხელით მაღალ სამუზეუმო პროდუქტად აქციოს. მხოლოდ პოპ-არტს შეუძლია „ფორდის" მოსამართი გასაღები გრანდიოზულ სერიგრაფიულ სამუზეუმო ლანდშაფტად წარმოგვიდგინოს ჯეიმს როზენკვისტის თუ ტონ ვესეკმანის ხელში და ა.შ.

შესაძლებელია თუ არა არსობრივად მსგავსი სახელოვნებო ქმედება ჩვენთანაც აღსრულდეს? შეგვიძლია თუ არა ჩვენც შევქმნათ "ნივთი" ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის.

ამ გზით, როგორც ეს ამერიკულ და ზეინდუსტრიის ქვეყნებს შეუძლია, ნამდვილად არ გამოგვივა, იმდენად, რამდენადაც ამერიკული პოპ-არტი არის ინტერნაციონალური, კულტურული ფრაგმენტებისაგან "შეთხზული" ცივილიზაციის პროდუქტი. თუკი ბიგმაკის მაგალითს მოვიხმობთ, პური თავისი სა-

ფუარით ფრანგული წარმომავლობისაა, კეტჩუპი – იტალიური, მწვანე კიტრი – ესპანური, ყველი – შვეიცარიული და ა.შ. ამ შემთხვევაში აღარავის მოუვა თავში იგი განიხილოს რაიმე ქვეყნის სამზარეულო ტრადიციის და კულტურის პროდუქტად. სწორედ აქ იბადება პოპ-არტული ქმედებისათვის შესაფერისი გარემო. „ბიგმაკი“ – ცივილიზაციაა თავისი გლობალისტური უპიროვნობით, ჩვენი ხაჭაპური კი კულტურაა თვისი ტრადიციითა და ავტოქტონიურობით.

„კოკა-კოლა“ ცივილიზაციაა, იგი უძლებს ტრანსპორტირებას, რყევას და ა.შ. ხოლო „ლაღიძის წყალი“ კულტურაა, იგი მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტს, კლიმატს, ნიადაგს გულისხმობს და გუობს. ალბათ, ერთადერთი რამ, რაც საქართველოს გააჩნია სტანდარტიზაციის დონეზე და საყოველთაო შიგა "პოპულარობით" სარგებლობს, ის რაც არაჩვეულებრივი ძალით ემორჩილება კიჩს და ხდება კიჩი, ეს არის ისტორიულ-რელიგიური ხედვები თუ თემები.

გავიხსენოთ რამდენიმე თვითნაკეთი მეშჩანობის ნიშნით გაპროფანებული ნივთი თუ საგანი იყიდება ქუჩებში თუ ბაზრობებზე, რომელიც სწორედ ამ ნიშნით არის აღბეჭდილი, ე.ი. პოპ-არტის სული ცოცხლობს იქ, სადაც არის საყოველთაო ბანალურობამდე მისული კიჩური პროდუქცია, რომლის "კიჩიზაციით" შესაძლებელი ხდება მისი მობრუნება ხელოვნებაში.

ქეთევან კინწურაშვილი
ქართული ხელოვნების ისტორიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი

ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი და საბჭოთა არა-კონფორმისტული მხატვრობა

1930-იან წლებში, რომლებიც წინ უძღოდა ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის აღმოცენებას, ამერიკული და საბჭოთა ხელოვნება თითქმის არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ორივე ქვეყანაში ფიგურატიული, რეალისტური მხატვრობა იყო განვითარებული. ამერიკაში მას სოციალური რეალიზმი ეწოდებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირში სოციალისტური რეალიზმი. რობერტ ჰიუზის სიტყვებით, ეს იყო „კოლექტიური შრომის, დამუშავებული მინდვრების, ახალი ტრაქტორების, ჯანმრთელი ბავშვების და კუნთებიანი მუშების გამომხატველი ხელოვნება" Oxford Dictionary of 20th Century Art, by I. Chilvers, 1998, p.510). მაგრამ საბჭოთა ქვეყანაში ამ ტიპის ხელოვნების განვითარება ტოტალიტარული რეჟიმის არსებობით იყო განპირობებული, ამერიკაში კი მას შედარებით უფრო ჰუმანური საფუძველი გაჩნდა.

1935-43 წლებში, ეკონომიკური დეპრესიის პერიოდში, ამერიკაში ხელოვნების ფედერალური პროექტი მოქმედებდა. გაჭირვებულ ქვეყანაში მხატვრებს ამ პროექტით სამუშაოს შოვნის საშუალება მიეცათ. სახელმწიფო მათ დაკვეთებს აძლევდა. მსგავსი პროექტები შეიქმნა მწერლებისათვის, თეატრებისათვის, მუსიკოსებისათვის და ა.შ. რუზველტის მიზანი იყო ელემენტარული პირობები მაინც შექმნოდათ მხატვრებს და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებს, რათა იძულებული არ გამხდარიყვნენ დაეტოვებინათ ქვეყანა. სახელმწიფო დაკვეთით შეიქმნა ასობით ათასი კედლის პანო, ტილო, სკულპტურა, გრაფიკული ფურცელი და ღია ბარათი. მათი უმრავლესობა არ შემონახულა. ეს იყო ხელოვნება, რომელსაც მასების მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა და მათთვის სინამდვილე ოპტიმისტურად წარმოეჩინა. მხატვრული თვალსაზრისით ეს ნაწარმოებები უმრავლეს შემთხვევაში არცთუ მაინცდამაინც ღირებული იყო. ამ პროექტში ზოგიერთი ის მხატვარიც მოღვაწეობდა, რომელიც შემდეგ ნიუ-იორკის აბსტრაქციონისტთა სკოლის ლიდერი გახდა. მათ შორის იყო ჯექსონ პოლოკი. ის სოციალური რეალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის - თომას ჰარტ ბენტონის მონაფე იყო. ბენტონი ასევე ცნობილია როგორც რეგიონალისტი (სიტყვიდან

ადგილობრივი). ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები რეალისტურად ასახავდნენ ამერიკის შუა დასავლეთის პატარა ქალაქების ცხოვრებას. ისინი უარყოფდნენ ევროპულ ავანგარდულ სტილებს და მათი პატრიოტული სურვილი იყო შეექმნათ ლოკალური ამერიკული ხელოვნება ადგილობრივი თემებით. ეს დეპრესიის წლები იყო და ისინი მიზნად ისახავდნენ მოსახლეობისათვის მიეცათ იმედი, გამოეხატათ ხალხის სურვილები და იდეალები.

რეგიონალისტთა ჯგუფს ამერიკული დემოკრატიის იდეალების ასახვა სურდა, მაგრამ ირონია იმაში იყო, რომ ამერიკული სოციალური რეალიზმი კომუნისტური რუსეთის ხელოვნებას ჰგავდა. ორივე იდეალიზაციის და პროპაგანდის ხელოვნება იყო. ამერიკაშიც ეს იყო ანტიმოდერნისტული, დანარჩენ მსოფლიოს მოწყვეტილი, რეალისტურ-ნატურალისტური მხატვრობა, თავისი პათოსით პატრიოტული და როგორც ზოგი კრიტიკოსი აღნიშნავს, შოვინისტურიც კი. პოლოკი ბენტონისგან და ასევე, მექსიკური კედლის მხატვრობიდან (კერძოდ, სიკეიროსისაგან) სწავლობდა. მაგრამ როდესაც სიტუაცია შეიცვალა, შეიცვალა მისი მხატვრული მიდრეკილებებიც. როდესაც უკვე სახელგანთქმულ პოლოკს ჰკითხეს, თუ რა მისცა მას ბენტონთან სწავლის პერიოდმა, მან ნახევრად ხუმრობით უპასუხა, რომ ეს იყო საუკეთესო გაკვეთილი, თუ რა არ უნდა ეკეთებინა თავის შემოქმედებაში.

პოლოკის შემოქმედებამ, ისევე, როგორც მარკ როთკოს, ფრანც კლაინის, უილემ დე კუნინგის და სხვების, ვინც 1930-იანი წლების დასაწყისში ფედერალურ პროექტში მონაწილეობდა და სოცრეალიზმის ნიმუშებს ქმნიდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რადიკალურად განსხვავებული ხასიათი შეიძინა. მათ საკუთარ მხატვრობაში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი განავითარეს. სწორედ ამ მხატვრების მოღვაწეობით დაიწყო ამერიკული ხელოვნების ოქროს ხანა.

ფრონტიდან სიშორემ და ამერიკის ეკონომიკურმა მომძლავრებამ, დემოკრატიულმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ომის შემდგომ წლებში ნიუ-იორკში განვითარდა აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი სწორედ პოლოკია. ნიუ-იორკის სკოლის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა იმან, რომ ამერიკაში თავი მოიყარეს ომის და ფაშიზმის გამო ევროპიდან დევნილმა მხატვრებმა, კრიტიკოსებმა, კოლექციონერებმა. ამერიკაში ჩავიდნენ მონდრიანი, მასონი, ლეჟე, შაგალი, ერნსტი. აქ ძლიერი იყო ასევე მატისის და პიკასოს გავლენა. მხატვრებს საშუალება ჰქონდათ აეთვისებინათ კლეეს, მიროს, ადრეული კანდინსკის შემოქმედება ისე, როგორც ამას ევროპაში არ ჰქონია ადგილი. ნიუ-იორკში ფუნქციონირებდა გერმანელი მხატვრის ჰანს ჰოფმანის სკოლა, რამაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ახალი სტილის ჩამოყალიბებას. ქლემენტ გრინბერგი

თავის წერილში „გვიანი 30-იანი წლები ნიუ - იორკში“ იხსენებს, რომ იმ პერიოდში ნიუ-იორკის მე-8 ქუჩაზე, მე-6 და მე-4 ავენიუებს შორის, სადაც ხელოვნების ფედერალური პროექტი მოქმედებდა და ჰანს ჰოფმანის სკოლა ფუნქციონირებდა, ახალგაზრდა მხატვრები „უფრო ღრმად ჩაწვდნენ პარიზს, ვიდრე თავად პარიზი ჩაწვდა საკუთარ თავს“ (Cl.Greenberg. The Late Thirties in New York: p.234). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მონეს გვიანდელი პერიოდის მხატვრობის გაცნობა. მისი უზარმაზარი კომპოზიციები წყლის ლილიების თემაზე, ზომით და ბუნების თითქმის ბოლომდე აბსტრაქტული გარდასახვით, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის აღმოცენების ერთ-ერთ წინაპირობად იქცა (Cl. Greenberg. The Later Monet: p.44). ყოველივე ამან საფუძველი შექმნა, რათა ომის შემდგომ მხატვრები დაპირისპირებოდნენ ფედერალური პროექტის პოპულიზმს. ისინი განთავისუფლდნენ საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემატიკის სიმწვავიდან. მხატვრები ახლა დიდი ზომის ტილოებს ქმნიდნენ, ფორმით და შინაარსით აბსტრაქტულს, მოწყვეტილს ობიექტურ სინამდვილეს. მარკ როთკო, უილემ დე კუნინგი, ჯექსონ პოლოკი, რობერ მაზერველი, ფრანც კლაინი, ადოლფ გოტლიბი, ბარნეტ ნიუმანი, ქლიფორდ სტილი გატაცებული იყვნენ ფორმალისტური ამოცანებით. მათი ნამუშევრები განსხვავდებოდა საუკუნის დასაწყისის აბსტრაქციებიდან, რადგან მათ სიურეალისტური ავტომატიზმის სკოლა გამოიარეს და არაფიგურატიული მხატვრობა ახალი მეთოდებით გაამდიდრეს. შთაგონების პირდაპირი წყარო ევროპელი სიურეალისტები იყვნენ, ვინც თავი შეაფარა ამერიკას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასასმელია მატას მნიშვნელობა. სიურეალისტთა გავლენით ამერიკელ აბსტრაქციონისტებთან მეტი მნიშვნელობა მიენიჭა თავად მუშაობის პროცესს, მხატვრობას როგორც აქტს, ფაქტურის გამოვლენას, შემთხვევითობის მომენტს. აქედან ერთი ნაბიჯი დარჩა პერფორმენსამდე. მათ კონცენტრაცია მოახდინეს ფერის სტრუქტურაზე, რომელიც ფერწერის ავტონომიური კანონებით იმართება.

ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ლიდერები რაიმე მანიფესტით არ ყოფილან შეკავშირებული. ეს იყო მხატვართა ჯგუფი, რომელთა ხელწერა საკმაოდ განსხვავდება, მაგრამ მათ აერთიანებდა ზოგადი დამოკიდებულება მხატვრული პრობლემების მიმართ. მისი წარმომადგენლები ძირითადად ნიუ-იორკში მოღვაწეობდნენ და ამიტომ ამ მიმდინარეობას ხშირად ნიუ-იორკის სკოლასაც უწოდებენ. მხატვრები გამოდიოდნენ ტრადიციის წინააღმდეგ და ახასიათებდათ გამოსახვის სპონტანური თავისუფლება.

ომმა დააბრუნა ამერიკაში პეგი გუგენჰაიმი, რომლის გალერეამ მოკლე ხანს იცოცხლა (1942-47). სწორედ აქ იფინებოდა აბსტრაქტული ექსპრესი-

ონიზმის ნიმუშები. მიმდინარეობის წარმომადგენელთა ნამუშევრები განსხვავდებოდა და ზოჯერ არც აბსტრაქტული იყო (კუნინგი) და არც ექსპრესიონისტული (როთკო). ნამუშევრები ვარირებდა პოლოკის „მოქმედი მხატვრობის" (Action Painting, სადაც მხატვარი საღებავს ენერგიული მოქმედებით ასხურებს ან ასხამს ტილოზე, შედეგის დაუგეგმავად) ფეთქებადი ენერგიიდან როთკოს მშვიდ, გაწონასწორებულ კომპოზიციებამდე (Colored Field - ფერადოვანი ველი). მაგრამ პოლარულ განსხვავებებთან ერთად, მათ შორის არის საფუძვლიანი მსგავსება. დამახასიათებელია დიდი ზომის ტილოების უპირატესობა, სიბრტყის ხაზგასმა, მთელი სასურათე სიბრტყის თანაბარი მნიშვნელოვნება, თვით ხატვის პროცესის, როგორც აქტის მნიშვნელობის აქცენტირება, რწმენა, რომ აბსტრაქტულ მხატვრობას შესწევს უნარი არა მხოლოდ ფორმალისტურ ამოცანებს უპასუხოს, არამედ მნიშვნელოვანი აზრის მატარებელი იყოს და მხატვრის სრული ინდივიდუალიზმის აღიარება.

აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ყველა წარმომადგენელი 1900-1915 წლებს შორის იყო დაბადებული. მაზერველის გარდა, ყველამ დაიწყო ფიგურატიული ფერწერით, მაგრამ თანდათან, 1930-იანი წლების ბოლოს და 40-იანის დასაწყისში გეზი აიღო აბსტრაქციისკენ. იდეა, რომ ისინი ახალ მიმდინარეობას უდებდნენ სათავეს, 1943 წელს გამოიკვეთა. 1945 წელს პეგი გუგენჰაიმმა გამართა ნიუ-იორკელ აბსტრაქციონისტთა ნამუშევრების გამოფენა - „პრობლემა კრიტიკოსებისათვის." 1948 წელს, როდესაც კუნინგმა პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო და პოლოკმა პირველად გამოფინა „შესხურებული ფერწერა" (Drip painting), მიმდინარეობა უკვე მომწიფებული იყო. 1950-იან წლებში ეს მიმდინარეობა გალერეებისთვის და თავად მხატვრებისათვის დიდი ფინანსური წარმატებების წყაროდ იქცა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კრიტიკოსების - ქლემენთ გრინბერგის და ჰაროლდ როზენბერგის მოღვაწეობამ. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის პიკი 1960-იან წლებს არ გადასცდენია. თუმცა, ზოგმა წარმომადგენელმა შემდგომაც განაგრძო მუშაობა და მიმდინარეობას ახალგაზრდა მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. მან სკულპტორებზეც მოახდინა გავლენა. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ეს სტილი საწყისი წერტილი იყო ყველა ამერიკელი მხატვრისათვის ისევე, როგორც 1920-30-იანი წლების ევროპელი მხატვრებისათვის კუბიზმი. მის საფუძველზე ნეო-ექსპრესიონიზმიც განვითარდა.

ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სახით ამერიკამ მოახდინა საკუთარი ხელოვნების პირველი საერთაშორისო მანიფესტაცია, რის შედეგადაც მხატვრობის ცენტრმა პარიზიდან ნიუ-იორკში გადაინაცვლა. ის, რაც სურდათ რეგიონალისტებს - ამერიკული ხელოვნება საყოველთაოდ საინტერესო და ფასეული გაეხადათ, გააკეთეს მხატვრებმა, რომლებიც სრულიად

არ მოუთხრობდნენ მაყურებელს ამერიკულ ცხოვრებაზე რეალისტური სახეებით, არამედ უნივერსალურ ენაზე აზროვნებდნენ.

ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ ახალ თაობას საშუალება მიეცა არ შეზღუდულიყო ადგილობრივი ტრადიციებით. მათი ჰორიზონტი ფართო იყო და ისინი ფლობდნენ ვრცელ ინფორმაციას უახლესი ხელოვნების შესახებ. ამან მათ აზროვნების და შემოქმედებითი თავისუფლება შესძინა, ხოლო დემოკრატიულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო საყოველთაო ფასეულობის ხელოვნება შეექმნათ, რომელიც შემდგომ სხვა ქვეყნების მხატვრებსაც კვებავდა და როგორც ქვემოთ დავინახავთ, დახშულ სიტუაციაშიც კი თავისუფალი აზროვნების წყაროდ იქცა.

***

1950-იან წლებში ევროპაში მოგზაურობდა გამოფენა - „ახალი ამერიკული ხელოვნება," რომელიც ამერიკის მთავრობასთან დაკავშირებულმა ინსტიტუტებმა დააფინანსეს. ეს აქცია ცივი ომის კულტურულ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. გამოფენას უნდა წარმოეჩინა ინდივიდუალიზმი, თავისუფლება და ლიბერალიზმი, როგორც დასავლეთისათვის უნიკალური ღირებულებები, საპირისპირო საბჭოთა რეპრესიების და კარჩაკეტილობისა. ეს გამოფენა ამერიკული ხელოვნების ნამდვილ ტრიუმფად იქცა.

1956 წლის შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვმა, კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე დაგმო სტალინის პოლიტიკა და ნაწილობრივ ასწია „რკინის ფარდა," საბჭოთა ქვეყანაში სიტუაცია შერბილდა. ამას მოჰყვა გამოცოცხლება ხელოვნების სფეროშიც, რაც ასევე პოლიტიკით იყო განსაზღვრული. მართალია, შემდეგ ავანგარდისტი მხატვრების გამოფენას მოსკოვში ბულდოზერით გადაუარეს, „დათბილული" პოლიტიკის წყალობით შესაძლებელი გახდა ქვეყანაში ცოტა რამ უცხოურს შემოეღწია და ცოტა რამეზე თვალი ახელილიყო. თუმცა ეს ზემოდან მართვადი, მხოლოდ ნაწილობრივ მინიჭებული უფლება იყო, იმ დროისათვის გარკვეულ პროგრესს მაინც გულისხმობდა.

1957 წელს მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდობის მე-6 ფესტივალი მოეწყო. ამ ფესტივალმა ბევრი სიახლე მოუტანა საბჭოთა ახალგაზრდებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამერიკული მხატვრობის და სკულპტურის გამოფენა. მასზე საბჭოთა მხატვრებმა პირველად იხილეს ისეთი ამერიკელი მხატვრების ნამუშევრები, როგორებიც იყვნენ: ჯექსონ პოლოკი, უილემ დე კუნინგი, ჯორჯია ო'კიფი და სხვანი.

ისტორიულ ჭრილში კარგად ჩანს, თუ როგორი გავლენა იქონია ამ გამოფენამ საბჭოთა „ანდერგრაუნდის" ხელოვნებაზე. მხატვრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის

აღმოჩენა. გამოფენის გავლენით რუსმა მხატვრებმა - ელ ბელიუტინმა, ვლადიმერ ნემუხინმა, ანატოლი ზვერიოვმა და სხვებმა ძალზე ბევრი შეიძინეს. მათ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სტილში დაიწყეს მუშაობა და მათთვის ეს სტილი განთავისუფლების ისეთივე საშუალებად იქცა, როგორც ჯაზი მუსიკაში. (From Gulag to Glasnost, Nonconformist Art From the Soviet Union. Thames and Hudson, 1995). ჯაზმაც ხომ დაგვიანებით მოაღწია საბჭოთა კავშირში, მაგრამ როგორც კი მოაღწია, თავისუფლებას მოწყურებული, პროტესტის გრძნობით გამსჭვალული ადამიანებისათვის სულიერ თავშესაფარად იქცა.

თუ 1948 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიიდან განდევნეს დავით კაკაბაძე, როგორც პედაგოგი, რომელიც ფორმალისტურ იდეებს ნერგავდა, 1949 წელს იმავე აკადემიიდან გარიცხეს ალექსანდრე ბანძელაძე, როგორც სტუდენტი, რომელიც ფორმალისტური მეთოდებით ხელმძღვანელობდა. არც მან დაიხია უკან, მაგრამ საკუთარი ინტერესების განვითარება ფარულად უხდებოდა. მან დამოუკიდებლად, მალულად დაძლია კუბიზმის ეტაპი და ხელოვნების განვითარების ლოგიკურმა ჯაჭვმა აბსტრაქციონიზმამდე მიიყვანა.

ბანძელაძემ რომელიღაცა ამერიკელი აბსტრაქციონისტის ნამუშევარი რომელიღაც მოსკოვურ გაზეთში იხილა. სტატია ამერიკელ მხატვართა გამოფენას ეხებოდა. რა თქმა უნდა, გამოფენა გაკრიტიკებული იყო. ილუსტრაცია კი წარმოადგენდა „სიცილის ოთახს," სადაც მაყურებლები ამერიკელი მხატვრის ნამუშევარს დასცინოდნენ. როგორც ბანძელაძე იხსენებს ინტერვიუში, ის ნამუშევარი მას „გულზე მოხვდა." მხატვარი შინაგანად მზად იყო აბსტრაქციისათვის და ნანახმა მისცა იმპულსი ძიებები გაეშალა ამ მიმართებით. რასაც ბანძელაძე ამის შემდეგ ქმნიდა, დაფარული იყო საზოგადოებისათვის. ოფიციალურად ის სრულიად განსხვავებულ შემოქმედებას ააშკარავებდა, ფარულად კი იმას აკეთებდა, რაც თავის ძირითად მოწოდებად მიაჩნდა და რაშიც შინაგან თავისუფლებას გრძნობდა. თუმცა, მან მაშინ არც იმ მიმდინარეობის სახელწოდება იცოდა, რომელმაც მასზე გავლენა მოახდინა და არც მის ლიდერებს იცნობდა. მაგრამ ის იმპრესიონიზმს და პუანტალიზმს გასცდა, რომლებიც 1950-იანი წლების მეორე ნახევარში დაშვებული „სიახლე" იყო და ახალგაზრდა მხატვრებისათვის დოგმებიდან განთავისუფლების, ფორმალისტური ამოცანების დასმის საშუალებას წარმოადგენდა. ამაშია ბანძელაძის დამსახურება - ის 80 წლის წინ განვითარებულმა პუანტალიზმმა არ დააკმაყოფილა.

ბანძელაძე აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის დიდოსტატიც გახდა (თუმცა, ამ მიმდინარეობის სახელწოდება და ლიდერები მისთვის დიდხანს უცნობი იყო) და ინდივიდუალურმა ძიებებმა ის მინიმალისტურ აბსტრაქცი-

ამდეც მიიყვანა. მან სრულიად თავისებური, ორიგინალური აბსტრაქტული სამყარო შექმნა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა მინიმალიზმი და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი. (იგულისხმება მისი სეგმენტებად დანაწევრებული სწორკუთხედების ვარიანტები).

ამიტომ იქცა სწორედ ამერკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი იმპულსის მიმცემად საბჭოთა კავშირში მცხოვრები, მაგრამ განსხვავებულად, შედარებით დამოუკიდებლად მოაზროვნე მხატვრებისათვის.

იმ პერიოდის საბჭოთა ახალგაზრდის განწყობას საუკეთესოდ აღწერს პოეტი იოსებ ბროდსკი თავის მოგონებებში. ის იხსენებს, თუ რა როლი ითამაშა მის ცხოვრებაში ფილიპსის ფირმის რადიომიმღებმა, რომლის საშუალებითაც მიიღო პირველი გაკვეთილები ინგლისურ ენაში და ეზიარა ჯაზის პანთეონს. ომის პერიოდიდან შემორჩენილი გერმანული სახელები მათ სასაუბრო ლექსიკონში თანდათანობით შეიცვალა ლუი არმსტრონგის, დიუკ ელინგტონის, ელა ფიცჯერალდის, ჩარლი პარკერის და სხვათა სახელებით. იცვლებოდა ახალგაზრდების სიარულის მანერაც. პოეტის სიტყვებით, მათი შებოჭილი სხეულები თანდათანობით სვინგის მელოდიებზე ამოძრავდა. ხოლო როდესაც იგი მიმღების უკანა საფარიდან, ხვრელებში უჭვრეტდა უამრავ მოციმციმე ნათურას და უსმენდა უცხო ენებს, მას ეჩვენებოდა, რომ რომელიღაც ევროპულ ქალაქში იმყოფებოდა. იგი აღნიშნავს, რომ 50-იან წლებში, კინოფილმ „ტარზანის" ოთხი სერია, რომელთა ჩვენებაც დაუშვეს საბჭოთა კავშირში, უფრო მეტად უწყობდა ხელს დესტალინიზაციის პროცესს, ვიდრე ხრუშჩოვის გამოსვლები მე-20 ყრილობაზე და მას შემდგომ. „შეიძლება გავიხსენოთ სახალხო და კერძო ქცევის შეზღუდულობა იმ დროს, რათა წარმოვიდგინოთ, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა შიშველი გრძელთმიანი მარტოსული, რომელიც ქერათმიან ლამაზმანს მისდევდა ტროპიკულ ჯუნგლებში და ამას დავუმატოთ ნიუ-იორკის ხედი, როცა ტარზანი ბრუკლინის ხიდიდან ხტება, რომ გავიგოთ სოციალურად რატომ გაუცხოვდა მთელი თაობა." – წერს ბროდსკი. პირველ რიგში, უცბად ყველა გრძელთმიანი გახდა. ამასთან, დავიწროვდა შარვლები. და რა ძალისხმევა ესაჭიროებოდა დედებს, ბებიებს, დებს ამ სიტუაციაში, რომ შავი, ფართხუნა ომის შემდგომდროინდელი შარვლები გადაექციათ მაშინ საბჭოთა კავშირში სრულიად უცნობი ჯინსების წინამორბედებად. ახალგაზრდები უკან არ იხევდნენ ისევე, როგორც ისინი, ვინც მათ დევნიდა – მასწავლებლები, მილიცია, მეზობლები. ეს უკანასკნელნი სკოლიდან რიცხავდნენ, იჭერდნენ, დასცინოდნენ...

შემდეგ პოეტი ამბობს, რომ ჭეშმარიტების სასწორზე წარმოსახვის ინტენსივობა აწონასწორებს და ზოგჯერ კიდეც გადასწონის რეალობას და იმ წლებში, მათი ინსტიქტური ინდივიდუალიზმით კოლექტივისტურ საზოგა-

დოებაში, მათი პროტესტით ნებისმიერი დაჯგუფებისადმი - პარტიული იქნებოდა, ადგილობრივი თუ საოჯახოც კი, ისინი იყვნენ უფრო ამერიკელები, ვიდრე თავად ამერიკელები და თუ ამერიკა დასავლეთის უკანასკნელი საზღვარია, ადგილი, სადაც მთავრდება დასავლეთი, მაშინ ისინი იმყოფებოდნენ დაახლოებით ორი ათას მილზე დასავლეთ სანაპიროდან, სადღაც წყნარი ოკეანის შუაში ("Иосиф Бродский," Екатеринбург, 2001, сс.652-659).

ალექსანდრე ბანძელაძემ რომელიღაცა ამერიკელი მხატვრის აბსტრაქტული ნამუშევრის ნახვისას თავისუფლების მუხტი იგრძნო და ნანახმა მასში გააღვივა ის, რასაც მხატვარმა დახშულ სიტუაციაში ინდივიდუალურად მიაგნო. ისიც ლოგიკური იყო, რომ 1980-იან წლებში სწორედ მის სახელოსნოში იყრიდნენ თავს და მისგან სწავლობდნენ ახალგაზრდა მხატვრები, რომლებიც მასში თავისუფლების მოყვარულ, ახალგაზრდულ მაძიებელ სულს აფასებდნენ. როდესაც პერესტროიკა დაიწყო და ყველაფრის გამოფენის საშუალება შეიქნა, მოსკოვში ქართული უსაგნო ხელოვნების გამოფენა მოეწყო, რომელზეც ბანძელაძის და მისი მოწაფეების (გელა და ილია ზაუტაშვილები, გია ეძგვერაძე, გია მგალობლიშვილი, ლუკა ლასარეიშვილი) ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. ეს გამოფენა შემდეგ თბილისში ჩამოვიდა. ბანძელაძის და მის მოწაფეთა აბსტრაქტული მხატვრობა თავად ქართველებისათვის იქცა აღმოჩენად.

შინაგანად თავისუფალი ადამიანი მუდამ ეძებს ინფორმაციას - სიტყვიერს, ვიზუალურს, ბგერითს, რომელიც მას ეხმარება მოიპოვოს გაბედულება და დაიცვას საკუთარი თავისუფლება. ეს მოკლე ისტორია ორი ქვეყნის წარსულიდან, უჩვენებს, თუ რა დიდია ინფორმაციის მნიშვნელობა შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვებისათვის.

ნინო ზაალიშვილი
თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი

ამერიკელი მხატვარი ჯორჯია ო'კიფი ბიოგრაფია და შემოქმედება ფრაგმენტები

ჯორჯია ო'კიფი გამოჩენილი მხატვარია, რომელმაც უდიდესი ადგილი დაიკავა მეოცე საუკუნის ამერიკული ხელოვნების ისტორიაში. მან თითქმის ერთი საუკუნე იცოცხლა და 99 წლისა გარდაიცვალა, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ხელოვანმა მრავალი მნიშვნელოვანი ნამუშევარი შექმნა და სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება, დაიმსახურა პროფესიონალთა, ხელოვნების მოყვარულთა პატივისცემა და სიყვარული. ჯორჯია ო'კიფმა შეძლო მოენახა ინდივიდულური გზა, ხელწერა – შეეხამებინა საუკუნის დასაწყისის ევროპული ავანგარდიდან მიღებული იმპულსები საკუთარ ხედვასთან და გამხდარიყო, როგორც სამართლიანად შენიშნავს მისი შემოქმედების ზოგიერთი მკვლევარი, ჭეშმარიტად ამერიკული სულის მხატვარი.

მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ქალები ძალზე გვიან გამოჩნდნენ ასპარეზზე. მატიანემ შემოგვინახა მხოლოდ რამდენიმე სახელი. მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ოციანი წლების შემდგომ. ამ დროისათვის გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფიგურა. გერმანიაში, რუსეთში, საფრანგეთში გამოჩდნენ ქალბატონები, რომელთა შემოქმედებამ კვალი დაამჩნია როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე მთლიანობაში მსოფლიო ხელოვნების განვითარებას. ოციანი წლების ბოლოს საქართველოშიც გამოჩნდა რამდენიმე მხატვარი ქალი, რომლებმაც შემდგომში დიდი როლი ითამაშეს ქართული ხელოვნების განვითარებაში. ამერიკაში ასეთი პიონერი, გზის გამკვალავის როლს ჯორჯია ო, კიფი თამაშობს

ჯორჯია ო, კიფის ცხოვრებაში აირეკლა ყველა ცვლილება, ყველა ეტაპი, რაც ქალთა შემოქმედებისადმი დამოკიდებულებაში არსებობდა მსოფლიოში და თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში – ჯერ სკეპტიციზმი, შემდეგ დაინტერესება, მოგვიანებით პოზიტიური განწყობა, ისევ და ისევ სკეპტიციზმი... ჯორჯიას შემოქმედების საწყის ეტაპზე, იმ დროს ყველაზე პროგრესული ჯგუფის „291“ წევრებიც საკმაო დაეჭვებით ეპყრობოდნენ ჯორჯიას, საერთოდ ყველა შემოქმედი ქალის თვითდამკვიდრების ცდებს. მერი

კასატის, სხვა მხატვარი ქალების მოღვაწეობა მხოლოდ ცალკეულ, არცთუ მნიშვნელოვან ეპიზოდად აღიქმებოდა.

1886 წელს ამერიკის პროვინციაში დაბადებულ ჯორჯია ო„კიფს სულ მცირე დრო დასჭირდა, რათა დამკვიდრებულიყო ნიუ-იორკში და აქტიურად ჩართულიყო სამხატვრო ცხოვრებაში. მას გაუმართლა, როდესაც სრულიად ახალგაზრდა შეხვდა ნიუ-იორკელ ფოტოგრაფსა და გალერისტს ალფრედ სტიგლიცს და მისი წყალობით ხატვის მასწავლებელი ქალი უცბად მოხვდა ნიუ-იორკის სამხატვრო ცხოვრების ცენტრში – მეხუთე ავენიუზე მდებარე გალერეა „291“ წრის მხატვართა შორის, ანუ იმ ადგილას, რომელსაც მისმა ერთერთმა აქტიურმა მონაწილე მხატვარმა უწოდა „ყველაზე დიდი პატარა ოთახი მთელ მსოფლიოში“. ჯორჯიას მიეცა საშუალება გაცნობოდა კოლეგების ექსპერიმენტებს, აგრეთვე იმ დროს გამართული ევროპელ მხატვართა ყველაზე მნიშვნელოვან გამოფენებს, რომლებზეც წარმოდგენილი იყვნენ გამოჩენილი მხატვრები – როდენი, მატისი, პიკასო, ბრანკუსი და სხვები. სიახლეებს მხატვარი ქალი საკმაოდ მომზადებული შეხვდა. იგი უკვე იცნობდა ვ.კანდინსკის ნაშრომს „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“, თავადაც ჰქონდა შექმნილი რამდენიმე აბსტრაქტული ნამუშევარი, მათ შორის იყო 1915 წელს ნახშირით შესრულებული კომპოზიცია რომლითაც მოიხიბლა სტიგლიცი. მხატვრის შემოქმედებით დაინტერესება გადაიზარდა მისი პიროვნებისადმი ინტერესში და სულ მალე ჯორჯია სტიგლიცის მუდმივი მუზა გახდა – ჯერ როგორც მისი ფოტომოდელი – რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ალფრედმა მისი სამასზე მეტი ფოტო შექმნა, მოგვიანებით როგორც მისი მეუღლე.

ჯორჯია ო'კიფი ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ქალია, რომელმაც მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა და დააინტერესა საზოგადოება საკუთარი პერსონით და შემოქმედებით, მაშინ როდესაც ამერიკელ ქალებს ხმის უფლებაც არ ჰქონდათ მოპოვებული. მისი დამოუკიდებულება გამოიხატა შემოქმედებაშიც და ცხოვრების წესშიც, როდესაც იგი თვეობით ამჯობინებდა განმარტოვებულიყო მისთვის საყვარელ ადგილებში, ნიუ-მექსიკოში, აბიკიუში თუ სხვაგან მდებარე საკუთარ მამულში, იგი არ გაურბოდა ურთიერთობას მეგობრებთან, აწარმოებდა აქტიურ მიმოწერას, მისი განმარტოება ასოციალური მოვლენა კი არ იყო, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი არჩევანი. მისი ორიგინალური ინტონაციის, თავისებური სტილის მქონე, ძალზე ემოციური ეპისტოლარული მემკვიდრეობა უმდიდრესი მასალაა, რომელიც მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის მხატვრის სულიერ სამყაროზე, მისთვის საინტერესო ცხოვრებისეულ მოვლენებზე თუ ყოველდღიურ წვრილმანებზე. ჯორჯიას თავისთავა-

დობა გამოვლინდა მის საცხოვრებელ გარემოში — გასიენდაში რომელიც მან შეიძინა და გარდაქმნა საკუთარი გემოვნების მიხედვით, შემდგომში ეს სახლიც, მის ირგვლივ მდებარე ბუნებაც, მხატვრის შემოქმედებისთვის მნიშვნელოვანი იმპულსი გახდა. განმარტოებისადმი მიდრეკილების მიუხედავად ჯორჯიას არ გაუწყვეტია ურთიერთობა სტიგლიცსთან და ყველაზე კრიტიკულ მომენტებში მასთან იყო. მანვე უპატრონა ქმრის შემოქმედებით მემკვიდრეობასაც.

1916 წლიდან როდესაც ჯორჯია ო, კიფმა პირველად მიიღო მონაწილეობა გალერეა „291"-ში გამართულ ჯგუფურ გამოფენაში იგი სისტემატურად თანამშრომლობდა აგრეთვე სტიგლიცის მიერ დაარსებულ სხვა გალერეებთან — „ინტიმეიტი" და „ამერიკენ ფლეისი". პოლ სტრენდთან, არტურ დოვთან, ჯონ მერინთან, მარსდენ ჰარტლისთან ერთად. იგი მართავს არაერთ პერსონალურ გამოფენას ამ გალერეებში, ხოლო მოგვიანებით ამერიკის სხვა მნიშვნელოვან საგამოფენო დარბაზებსა და მუზეუმებშიც.

1917 წელს იგი პირველად მოგზაურობს ნიუ-მექსიკოში, კოლორადოში, იქაური პეიზაჟებიდან მიღებული იმპულსები მისი შემოქმედების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. მოგზაურობა ამერიკის ცალკეულ რეგიონებში მხატვრის შემოქმედებითი ჩამოყალიბებისა და განვითარების აუცილებელი კომპონენტი გახდა. საბოლოო ჯამში საცხოვრებლად მან აირჩია ნიუ-მექსიკო, სადაც მას რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ბოლოს აბიკიუ გამოარჩია. მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე მხატვრი მოგზაურობისას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებით იფარგლებოდა — ამ დროიდან კი თავის თანამშრომელ ჯონ ჰამილტონთან, ხან სხვა მეგობრებთან ერთად მან ისეთი ინტენსივობით დაიწყო მოგზაურობა, რომ მოკლე ხანში უნახავი არ დარჩა მსოფლიოს თითქმის არცერთი კუთხე — საბერძნეთი, იაპონია, მექსიკა, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა, ინდოეთი, ოკეანიის კუნძულები, ზოგიერთი ქვეყანა მან რამდენიმეჯერ მოინახულა . . .

სიცოცხლის ბოლო წლებში ჯორჯია ოკიფს შეექმნა მნიშვნელოვანი პრობლემები მხედველობასთან დაკავშირებით — იყო პერიოდები როდესაც მას სრულიად აღარ შეეძლო ხატვა, მერე კვლავ აღუდგა მხედველობა და მიეცა კიდევ რამდენიმე წლის მუშაობის საშუალება 1970 წელს შეიქმნა მისი უკანასკნელი ფერწერული ნაწარმოები და შემდგომი ორი ათეული წელი იგი თითქმის ვეღარ მუშაობდა. ეს დიდი ტრაგედია ჯორჯიამ ჩვეული ღირსებით გადაიტანა. სცადა მუშაობა კერამიკაში, დაკავებულიყო სხვადასხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმით.

იგი გარდაიცვალა 1986 წელს 99 წლის ასაკისა. მან მოიპოვა ყველა მნიშვნელოვანი ჯილდო, იყო არჩეული მრავალი სახელგანთქმული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად, მოპოვებული ჰქონდა რამდენიმე საპატიო მედალი ამერიკის პრეზიდენტებისაგან, არჩეული იყო ლიტერატურის და სახვითი ხელოვნების ინსტიტუტების საპატიო წევრად და სხვა.

1987 წლიდან მოეწყო მისი რამდენიმე დიდი რეტროსპექტივა ამერიკის სხვადასხვა მუზეუმში და გაიხსნა მისი მუზეუმიც.

შემოქმედება

იმ პერიოდისათვის როდესაც ჯორჯიამ დაიწყო შემოქმედებითი მუშაობა გარკვეულწილად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი ბუნტისათვის ამერიკული აკადემიური ხელოვნების საწინააღმდეგოდ. ჰენრისა და მის „შავ ბანდას", როგორც მათ უწოდებდნენ ზოგიერთები, უკვე მოწყობილი ჰქონდათ პირველი ჯანყი. ამასვე ლამობდნენ „291" ჯგუფის წევრები. ამ პროცესში აქტიურად ჩაება ჯორჯიაც.

მისი პირველი აბსტრაქციები რომლითაც მან მიიპყრო ყურადღება 1915 წელსაა შექმნილი, შემდგომში მან კვლავ შექმნა რამდენიმე აბსტრაქტული სერია, მათ შორისაა სერია „ცისფერი".

ადრეულ პერიოდში მან შექმნა თავისი ერთადერთი და უკანასკნელი პორტრეტი. ასევე ეპიზოდური იყო მისი მიმართვა ნიუს მოტივებისადმი ეს ნახატები შესაძლებელია შთაგონებული იყო როდენის აისედორა დუნკანისადმი მიძღვნილი სერიით.

რამდენიმე ხნის შემდგომ კოლორადოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები აისახა ჯორჯია ოკიფის რადენიმე მნიშვნელოვან ნაწარმოებში — „ჯორჯის ტბა ყორნით", „წითელი ბორცვები", „მთვარე". რეგიონის თავისებურმა ბუნებამ, კოლორიტმა გააძლიერა მხატვრის ინტერესი რეალური სამყაროსადმი, შთააგონა მას მცენარეული სამყაროთი დაინტერესება, ამ პერიოდში შეიქმნა მისი პირველი კომპოზიციები ხეების და ყვავილების გამოსახულებით. შემდგომში ყვავილების თემამ დიდი ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში.

ოციან წლებში ჯორჯია ქმნის ურბანისტული კომპოზიციების სერიასაც ნიუ-იორკის ხედებით — „ღამის ნიუ-იორკი", ყვავილების თემა მსოფლიო ხელოვნებაში საუკუნეებს მოითვლის, პომპეის გათხრების შედეგად აღმოჩენილ ფრესკებში შემორჩენილი ერთ-ერთი უმშვენიერესი გამოსახულება — მინის ლარნაკში ჩადებული ყვავილი. რენესანსის ოსტატებიც ინტერესდებიან ამ მოტივებით, მეჩვიდმეტე საუკუნეში ყვავილების ხატვით განსაკუთრებით ჰოლანდიელი მხატვრები დაინტერესდნენ. ზოგიერთი მათგანი თაიგულების კო-

მპოზიციის შექმნაზე სპეციალიზირდებოდა, ერთ-ერთი მათგანი — მხატვარი ქალი მარია სიბილა მერიანი კი მათ სამეცნიერო შესწავლაზე მუშაობდა — ხატავდა ყვავილებს, მინერალებს, ნიჟარებს, იმ მოტივებს რაც ასე უცნაურად ემთხვევა მეოცე საუკუნის ამერიკელი მხატვარი ქალის ჯორჯია ო' კიფის შემოქმედების საყვარელ მოტივებს.

მეთვრამეტე საუკუნეში, მოგვიანებით კი იმპრესიონისტების ხანაში ყვავილებს ხშირად ხატავდნენ მანე, ვან გოგი და სხვები. ამერიკულ ხელოვნებაშიც იყო ეს თემა მაგალითად: „დიდი მაგნოლიები", მეოცე საუკუნის დიდი მექსიკელი მხატვრის დიეგო რივერას შემოქმედებაშიც გვხვდება ჯორჯია ოკიფის საყვარელი ყვავილის კალების გამოსახულება.

უდავოა, რომ ჯორჯიას მიერ ამ თემის დამუშავებაში დიდი როლი ითამაშა მისი მასწავლებლის არტურ დოვის დიდმა დაინტერესებამ იაპონური ხელოვნებით, ფილოსოფიით მსოფლმხედველობით რაც შემდგომში საკმაოდ მკაფიოდ აისახა ჯორჯიას ნამუშევრებშიც.

ამ სიახლოვის მიუხედავად ჯორჯიას მიერ ყვავილების თემის გადაწყვეტა სრულიად თავისებურია. იგი თანდათანობით ზრდის მათ ზომას და მალე ტილოზე გადიდებული სახით წარმოგვიდგება. მისი ყვავილები გარდაქმნის სხვადასხვა ეტაპს გადიან და ხშირად საბოლოო ჯამში აბსტრაქციად გადაიქცევიან.

იგივე ტრანსფორმაციას განიცდის მისი დახატული სხვა მცენარეები — მაგალითად, ფიჭვები.

დიდი ადგილი უკავია ოცდაათიანი წლების შემდგომ მის შემოქმედებაში პეიზაჟის ჟანრს. კომპოზიციებს ნიუ-მექსიკოს თავისებური ბუნების გამოსახულებით რომლებზეც ხშირად დახატულია ბორცვები, გადმოცემულია სივრცე, შორეული ხედები. მოტივები რომლებიც შეიძლება იმ მხატვრების შემოქმედებაშიც შევამჩნიოთ რომელთა შესახებ ჯორჯიამ შესაძლებელია არაფერი იცოდა — სომეხი მარტიროს სარიანის, ქართველი ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში.

ოცდაათიან წლებში ჯორჯიას შემოქმედებაში შემოდის კიდევ ახალი თემა — ეს არის თავის ქალების გამოსახულებანი—ცხენის თავის ქალის, მენჯის ძვლის უცნაური სიურეალისტური კომპოზიციები, ძვლების და თეთრი ვარდის უცნაური შერწყმა.

მრავალი წლის განმავლობაში ჯორჯია ოკიფი ქმნიდა ნიჟარების გამოსახულებებს.

მოგზაურობის დაწყების შემდგომ თვითმფრინავიდან დანახული სამყარო

– ღრუბლები გახდა მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი თემა, მას მიეძღვნა მხატვრის რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპოზიცია, მათ შორის ყველაზე მონუმენტური ღრუბლების გამოსახულება.

მხატვრის სამყაროს კარგად გვიჩვენებს მისი სახლისადმი მიძღვნილი კომპოზიციები, რომლებზეც ხშირად ასახულია პატიო, სახლის გარე კედელი.

მისი ნამუშევრების უმრავლესობა მონუმენტურობისაკენ სწრაფვას ამჟღავნებენ, თუმცა საკუთრივ მონუმენტური ნამუშევრები მას არ განუხორციელებია პირველი და ერთადერთი შეკვეთის შესრულება მან ტექნიკური მიზეზების გამო ვერ შეძლო.

ყოფილ საბჭოთა კავშირში და, ბუნებრივია, საქართველოშიც ჯორჯია ოკიფის შემოქმედებით დაინტერესება საკმაოდ მცირე იყო ინფორმაციის ნაკლებობის გამო. ერთადერთი წყარო საიდანაც შეიძლებოდა მეტ-ნაკლები ინფორმაციის მიღება წლების მანძილზე იყო ჟურნალი „ამერიკა", სადაც ქვეყნდებოდა სხვადასხვა ავტორის, მათ შორის ჯორჯიას ნამუშევრების რეპროდუქციები. ეს ინფორმაცია შედარებით ვიწრო წრისთვის იყო ხელმისაწვდომი.

70-იან წლებში უკვე არ არსებობდა იყო ოფიციალური აკრძალვა, თუმცა სასწავლო პროგრამები მაინც შეზღუდული და ამრიკული ხელოვნების შესწავლა იფარგლებოდა იმ მხატვართა შემოქმედებით, რომლებსაც შესაძლებელია მიკუთვნებოდა პროგრესული მხატვრების იარლიყი _ ანტონ რეფრეჟიე, როკუელ კენტი და სხვა. 1976 წელს იმ დროისთვის ყველაზე სრულ, ამერიკის დამოუკიდებლობის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნში ხელოვნებათმცოდნეა. ჩეგოდაევმა ჩართო ჯონ მერიხის, ფრედრეგასტის, ხარტლის და სხვათა ნამუშევრების რამდენიმე რეპროდუქცია, მაგრამ მათ შორის არ არის ჯორჯია ოკიფი, ის არ არის ნახსენები არც ამ გამოცემაში, არც სამხატვრო ენციკლოპედიაში, არც რომელიმე ქართულ ცნობარში.

2002 წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფულბრაიტის პროგრამის სწავლულის ჯოზეფ კეიგლის ინიციატივით გამართულ ამერიკელ მხატვარ ქალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წაკითხული ეს მოხსენება იყო ჯორჯია ოკიფის შემოქმედების ქართული აუდიტორიისთვის წარდგენის პირველი ცდა. მისმა შემოქმედებამ სტუდენტებისა და მხატვრების დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ქეთევან ჯაფარიძე
პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერმუშაკი

რეალობად ქცეული ილუზია

ძველ ჩინეთში ხელოვნებას მაგიის ფორმად მიიჩნევდნენ. ბრძენნი აფრთხილებდნენ მოსახლეობას მხატვრობის არასწორად გამოყენების შესახებ, რასაც ცხოვრებაზე მისი ძლიერი ზეგავლენით ხსნიდნენ. მხატვრებს ეკრძალებოდათ ზამთრის სეზონში ზაფხულის სურათების შექმნა და პირიქით.

ითვლებოდა, რომ ხელოვანის მიერ დაფიქსირებულ ბუნებრივ მოვლენას შეეძლო დაერღვია სეზონური თანამიმდევრობა, რაც გაუთვალისწინებელ კატაკლიზმებს გამოიწვევდა, ანუ აღიარებდნენ ილუზორულის რეალობას და მათ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებას.

ევროპაში ხელოვნება ყოველთვის რეალობის ასლად მიიჩნეოდა. ასლს კი არ შესწევს ძალა იმოქმედოს ორიგინალზე. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეს ფორმულირება ბოლო დროს განვითარებულმა გლობალურმა მოვლენებმა საეჭვო გახადა.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ ვირტუალურ-ესთეტიკურ ფორმაში მოხვედრილი თემა განხორციელებადია და მომენტალურად რეალობად იქცევა. ხელოვნება შეერწყა ტექნოლოგიას, ინდუსტრიად იქცა და ქვეყნიერების გარდამქმნელად, მისი პრობლემების გადამწყვეტად მოგვევლინა. ილუზიური ხელშეხებადი გახდა.

ეს აზრი განსაკუთრებით ეხება კინოხელოვნებას, რომელიც, როგორც აქამდე ითვლებოდა, რეალობის ილუზია კი არ არის, არამედ მისი პირველწყარო და მიზეზი გახლავთ.

1968 წელს ცნობილმა ინგლისელმა რეჟისორმა სტენლი კუბრიკმა გადაიღო ფილმი "2001-კოსმიური ოდისეა". ამ კინოფანტასტიკაში რეჟისორი ეყრდნობოდა ადამიანის გონის შესაძლებლობებს და მას სამყაროს შეუცნობადობას უპირისპირებდა. 1960-იან წლებში XXI საუკუნე ფანტასტიკურ არეალში გახვეულ სასურველ მომავლად აღიქმებოდა. იმ პერიოდში სრულიად წარმოუდგენელი იყო ის ფაქტი, რომ კინოხელოვნება ხელის შემწყობი და საწინდარი გახდებოდა ახალი საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენებისა.

2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა,

რომლის ანალოგიური სიუჟეტი არაერთხელ ყოფილა ნაჩვენები მსოფლიოს კინოეკრანებზე, დაანგრია არა მხოლოდ ტყუპი შენობა და მანჰეტენის ნაწილი, არამედ შეარყია და დაამსხვრია ამერიკის სიძლიერისა და ხელშეუხებადობის მითი. ამ ფაქტმა უშუალო ზემოქმედება პოვა ადამიანების ფსიქიკაზე. მათთვის ეს ტრაგედია ბევრად უფრო ძლიერი და ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე თვით ნგრევის ფაქტი. იგი შეეხო ყოველი ამერიკელის ყოფას, აზროვნებას, ცხოვრების წესს, მათ ფსიქოლოგიას, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა და მყარდებოდა მასმედიის, ტელევიზიისა და განსაკუთრებით კინოს მეშვეობით, საიდანაც მოცემული იყო მზა რეცეპტები ცხოვრებისეული ფორმულების სახით.

კინოს ისტორიაში მრავალი მაგალითია ცხოვრებაზე ილუზიის გავლენისა. ამ ტენდენციამ განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან იწყო აქტიურად განვითარება, როდესაც ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს ფილმი-კატასტროფების გადაღება. ამ ფილმებში ნაჩვენები ავიო და საზღვაო კატასტროფები, გლობალური კატაკლიზმები, სტიქიური თუ ხელოვნურად შექმნილი უბედური შემთხვევები მნახველში პანიკურ შიშს იწვევდა (ფილმები:"აეროპორტი", "ჯოჯოხეთის ცის ქვეშ" და სხვა).

ე. წ. "ცივი ომის" დროს გარდაუვალი დაღუპვის შიში დაკავშირებული იყო შესაძლებელი ბირთვული ომის თემატიკასთან, შემდეგ ის სახეცვლილი მოგვევლინა ტექნიკურ თვითგანადგურებასთან დაკავშირებულ სიუჟეტებში, რაც კიბერპანკურ ანტიუტოპიებში გამოიკვეთა. 2000 წლის დამდეგისათვის კი კაცობრიობა აპოკალიპსის შიშმა მოიცვა. სამყაროს დასასრული ახალ ბლოკბასტერებში ვიზუალირდება, სადაც მიწაზე ცვივიან ასტეროიდები, ისევ და ისევ ინგრევა ნიუ-იორკი და ცამტვერდება მანჰეტენი, სამყაროს სრული განადგურება ემუქრება (ფილმში "არმაგედონი" ნიუ-იორკის გასანადგურებლად ციდან მოისნრაფის კომეტა; ფილმში "სამყაროს დასასრული" შვარცენეგერის გმირი ბიბლიური სახელით იერიჰონი ბნელი ძალებისაგან სამყაროს გადამრჩენად გვევლინება). რეჟისორები ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირებულ ფანტასტიკურ სიუჟეტებში ალტერნატიულ რეალობას ასახავენ. კინო მიმართავს მომავალს, რომელიც კონსტრუირდება და ფაქტობრივად არსებობს დღევანდელობაში (ბლოკბასტერში "მატრიცა" მთავარი გმირი კომპიუტერების მიერ დაპყრობილი ქვეყნის გადამრჩენია).

ტერორიზმის თემაზე შექმნილი ფილმები ამ სფეროს შესასწავლ სახელმძღვანელოებად შეიძლება ჩაითვალოს, რომელთაც აშკარა გავლენა იქონიეს ამერიკაში განვითარებულ მოვლენებზე. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჰოლივუდში შესაშური ენთუზიაზმით იქმნება ამ თემატიკის ფილმები. მათ წარმოებაში გამოიკვეთა ტენდენცია – მაყურებელზე ძლიერი ზემოქმე-

დების მიზნით ტექნიკის უახლესი მიღწევები კინემატოგრაფიის დარგში მაქსიმალურად იქნას გამოყენებული. მაგრამ ასეთი ფილმების შემქმნელები არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ მსოფლიო თანდათან ილუზიის გარემოცვაში ექცევა. რეალური სახეები, ყოფა, სულ უფრო და უფრო ემსგავსება კინოს. ხელოვნების მიერ (ამ შემთხვევაში კინემატოგრაფის) შექმნილი საშიშროება კი იმაში მდგომარეობს, რომ მას თავისი კანონები აქვს და რაც უფრო ეფლობა ადამიანი მის საოცარ სამყაროში, რაც მეტად აზროვნებს მისი სიუჟეტებით, პერსონაჟებით, მით მეტად იჭრება ის ადამიანთა ცხოვრებაში. პიროვნება ხელოვნების მიერ მართვადი ხდება. ამ თვალსაზრისით ამერიკული კინოს პოპულარულმა ჟანრებმა – ბოევიკებისა და ფილმი-კატასტროფების სახით, მათზე დაკისრებული მისია წარმატებით შეასრულეს.

გახმაურებულ ფილმში "ზარალის ანაზღაურება" ნაჩვენები ტერორისტული თავდასხმა თვითმფრინავზე იმდენად იდენტური აღმოჩნდა რეალურად განვითარებულ ფაქტთან, რომ 11 სექტემბრის შემდეგ მისი ჩვენება ამერიკის ეკრანზე აკრძალეს. ფილმში "ხმალთევზა" მსახიობ ტრავოლტას გმირი, რომელიც ტერორისტს ანსახიერებს, ამბობს, რომ ჰოლივუდის არც ერთ სცენარისტს არ ეყოფა ფანტაზია იმის გამოსახატავად, რაც მას შეუძლია სინამდვილეში ჩაიდინოს თავისი მიზნის მისაღწევად. მისი სიტყვები ჩაგვაფიქრებს რეალობის პრიორიტეტზე ხელოვნებასთან მიმართებაში. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ფილმის გმირი ეკრანიდან გველაპარაკება და აკეთებს იმას, რაც სინამდვილეში მრავალჯერ მომხდარა. აქედან გამომდინარე უნდა ვალიაროთ, რომ კინო იქცა პარალელურ სამყაროდ, სადაც რეალობის იდენტური მოვლენები ვითარდება და პირდაპირ კავშირშია მათთან, ერთი პატარა განსხვავებით, ფილმების უმეტესობას კეთილი დასასრული აქვს. ამიტომ მაყურებელმა, მიუხედავად სატიკი დაძაბულობისა და მძაფრი განცდისა, მაინც ქვეცნობიერად იცის, ამერიკული კინოსათვის დამახასიათებელი ფორმულიდან გამომდინარე, რომ ყოველივე ბედნიერად დასრულდება. ფილმის მთავარი გმირი აუცილებლად გაიმარჯვებს, დაამარცხებს ბოროტ ძალებს და ქვეყნად სიკეთე დაისადგურებს, რადგან ის რაც არ უნდა არალეარულ პირობებში იმყოფებოდეს, თუნდაც კვდებოდეს, ბოლო წამს მაინც გადაურჩება სიკვდილს და თავის მეგობარ გოგონასთან ერთად გააგრძელებს ცხოვრების რთულ გზას. კეთილი დასასრული გარდაუვალია. დაზაფრული მაყურებელი ამოისუნთქავს და ცრემლმორეული აპლოდისმენტების ქვეშ შეხვდება ეკრანზე გამოჩენილ წარწერას "The end". ცხოვრებაში ეს ასე არ მოხდა. ეს წარწერა არ მოჰყოლია იმ "ფილმს" რომელსაც მთელი მსოფლო ადევნებდა თვალყურს 2001 წლის 11 სექტემბერს მთელი დღის განმავლობაში. თავდაპირველად ბევრს ეს დადგმული შოუ ეგონა, რადგან სრულიად წარმოუდგე-

ნელი იყო დაჯერება, რასაც ტელეეკრანი აჩვენებდა.

საგულისხმოა ისიც, ეს ტერორისტული აქტი დაკავშირებული იყო არქიტექტურულ ობიექტთან, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით წარმოადგენდა სიმბოლოს, აქტუალურს კულტურულ სიტუაციასთან. ორი ნაგებობა, უნიკალური თავისი მასშტაბურობით, ერთმანეთის ასლი, იმავდროულად ორიგინალად რჩებოდა. თანამედროვე ტექნიკის ჭეშმარიტებამ ორ კადრში მოახვედრა ილუზია და რეალობა – პირველ კადრში მდგარი ორი, ერთმანეთის იდენტური შენობა და მეორეში, შეტაკების შედეგად ნგრევის პროცესში.. და ეს ყველაფერი კინოდ დარჩებოდა, რომ არა სინამდვილე, რომელსაც ათასობით მსხვერპლი მოჰყვა ყოველგვარი შელამაზებისა და ბოლო წუთს გადარჩენის გარეშე.

წლევანდელი ამერიკის კინოაკადემიის ყოველწლიური პრიზის, "ოსკარის" გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე ნაჩვენები იქნა სხვადასხვა რეჟისორების მიერ ნიუ-იორკის თემაზე შექმნილ კინოსურათების ფრაგმენტებით დამონტაჟებული ფილმი, რომელიც ვუდი ალენის "მანჰენეტის" კადრებით იწყებოდა. ვუდი ალენისათვის ნიუ-იორკი და მანჰეტენი წმინდათაწმინდა, სათაყვანებელი ადგილია. მას უსაზღვროდ უყვარს თავისი ქალაქი, რაც ყოველ მის ფილმში, ყოველ ეპიზოდსა თუ კადრში ხაზგასმულად ჩანს. თითქმის ყველა მისი ფილმის მოქმედების ადგილი ნიუ-იორკია. 2000 წელს იგი აქტიურად ილაშქრებდა კარნეგი ჰოლზე დაწყებული მშენებლობის წინააღმდეგ. ქალაქის გამგებლებს ურიგებდა ვიდეოკასეტებს, სადაც მის მიერ აღბეჭდილი იყო წარმტაცი ადგილები და ღირშესანიშნაობანი. ცდილობდა ამ სახით ემოქმედა ჩინოვნიკებზე, რათა მათში მეტი სიყვარული და გულშემატკივრობა გამოეწვია თავისი ქალაქის მიმართ. და მართლაც ამერიკული კინოინდუსტრიის მესვეურნი, ამ შესანიშნავი რეჟისორის მსგავსად, ისეთივე გულისყურითა და სიფაქიზით რომ მოკიდებოდნენ ამ თემას, ისევე გაფრთხილებოდნენ თავის მაყურებელს და მეტი ინტელექტუალობა გამოეჩინათ, იქნებ ეს კატასტროფა არც მომხდარიყო და ილუზია ილუზიად დარჩენილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Левашов В. О чем кино. ИК, №11, 2001.

2. Десятерик Д. В. А., или мистерии беспокоиства, ИК, №9, 2001.

3.Версии расследования террактов в Нью-Йорке и Вашингтоне. Цзен Гургуров. 2001.

ნატალია გაღდავაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ამერიკანისტიკის განყოფილების მაგისტრანტი

1960-იანი წლების სტუდენტური მოძრაობა აშშ-ში და ამ პერიოდის მუსიკა

კამელოტის ეპოქიდან ნიქსონის მმართველობამდე მომხდარი ამბები თითქოს არ უნდა ჩატეულიყო არც ისე მრავალრიცხოვან წლებში. 60-იანი წლების მოვლენები ელვისებური სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს და ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბიდან, მძლავრი მიმდინარეობები ყალიბდებოდა. ცნობილი პიროვნებების მკვლელობა ჩვეული გახდა. ადამიანმა მთვარეზე პირველი ნაბიჯი გადადგა და ამერიკაც საბოლოოდ მთელი მსოფლიოსათვის შესაშურ - ოცნებების ამსრულებელ ქვეყანად იქცა. მაგრამ ის, რასაც ნიქსონი თეთრ სახლში შესვლისთანავე შეეჩეხა, სახარბიელო როდი იყო: თითქოსდა ყველაფრით უზრუნველყოფილ, აყვავებულ ქვეყანაში სრული იმედგაცრუება, უკმაყოფილება და დისჰარმონია სუფევდა. განსაკუთრებით მძაფრად ის ახალგაზრდობაში, იმ დროს უკვე მომწიფეებულ ე. წ. "ბეიბი-ბუმერების"თაობაში იგრძნობოდა. მხოლოდ მატერიალურ მომხვეჭელობაზე დაფუძნებულმა, სამომხმარებლო კულტის თაყვანისმცემელმა საზოგადებამ საოცრად გააღიზიანა ისინი. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რომ აღარ სურდათ ყოფილიყვნენ მართულნი იმ საზოგადოების მიერ, რომელიც სიტყვიერ პაექრობას "ცივ ომს" ეძახდა და პირველი პროტესტი ისტაბლიშმენტის იმ მხარისადმი გამოხატეს, რომელიც მათთან ყველაზე ახლოს იდგა - ეს იყო უნივერსიტეტი. 1960 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული თავდაპირველად მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი დაჯგუფება - ახალი მემარცხენეები ანუ სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისათვის – რამდენიმე წელიწადში მძლავრ პარტიად ჩამოყალიბდა. 60-იან წლებში სტუდენტური აჯანყება მთელ ამერიკას მოედო. როგორც პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა - ტომ ჰაიდენმა განაცხადა: ჩვენ, კომფორტში აღზრდილმა თაობამ, არაკომფორტულად ვიგრძენით თავი იმ სამყაროში, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთო და ისინი მართალიც იყვნენ. მათ თანამედროვე ამერიკაში სრულიად დაკარგული იყო ინდივიდის თავისუფლება. სულიერად დაცარიელებულნი, არსებული ფასეულობებით შეწუხებული სტუდენტები ქუჩებში გამოდიოდნენ და შეუერთდნენ აფრო-ამერიკელებს ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლაში. მათ ჩამოაყალიბეს კიდევ ერთი - თავისუფალი სიტყვის მოძრაობა და ამით კიდევ უფრო დაუპირისპირდნენ საკუთარი მშობლების თაობას. მაგრამ ამ ორი მოძრაობის საბრძოლო მიზნები გამართლებული პროტესტიდან ხშირად აბსურდამდე დადიოდა - მიჩიგანის უნი-

ვერსიტეტის სტუდენტებმა, მაგალითად, კინოს მაღალი ფასების წინააღმდეგ, ფარლეი დიკინსონის მოსწავლეებმა კი ისე, უბრალოდ - საზოგადო სტუდენტური უკმაყოფილების მხარდასაჭერად მოაწყვეს დემონსტრაცია. მაგრამ ამერიკის მზარდმა ინტერესმა ვიეტნამში სწრაფად შეცვალა სტუდენტური პროტესტის არსი. ამ არაპოპულარულ ომში მათმა გაწვევამ კი უფრო დაძაბა სიტუაცია. პასიური, შედარებით "კორექტული" ლოზუნგები და გამოსვლები ნელ-ნელა აგრესიული ხდება. სტუდენტები უერთდებიან შავკანიანთა რადიკალურ მოძრაობას "Black Power"-ს და მათი გამოსვლებით (სტოკლი კარმაიკლი, ჰიუ ნიუტონი, რეპ ბრაუნი - ჯონ ბრაუნის მემკვიდრეები) შთაგონებულნი "Make love not war" ცვლიან "If necessary shoot to kill". რაც უფრო ძალისმიერი იყო სტუდენტური გამოსვლები, მით უფრო მძაფრი ხდებოდა მთავრობის რეაქცია. ათასობით სტუდენტს აპატიმრებდნენ (1964 ბერკლი, 1968 ჩიკაგო), იყო საბედისწერო დასახიჩრებებისა და სიკვდილის შემთხვევებიც.

1968 წლიდან პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი, რომელსაც თითქმის მთელი ომის განმავლობაში აძახებდნენ "Hey hey LBJ how many kids did you kill today" უარს ამბობს მეორედ არჩევნებში მონაწილეობაზე და თითქმის დააჯერებს ახალ მემარცხენეებს, რომ მათ გარკვეულ მიზანს მიაღწიეს. იმ დროსვე ჩამოყალიბებულ ახალგაზრდათა საერთაშორისო პარტიის - YIP-ის მოწოდებებში სტუდენტური სულისკვეთების გამომხატველი ახალი იდეები ჩნდება - ისინი მოითხოვენ მარიხუანას და სხვა ნარკოტიკის ლეგალიზაციას, ფულის გაუქმებას, სკოლების მართვას სტუდენტების მიერ და თავისუფალ სექსს. მსგავსი მოწოდებები მთავრობისაგან უპასუხოდ ვერ დარჩებოდა. ამის ალბათ ყველაზე ცნობილი მაგალითი ჩიკაგოში მოწყობილი აქცია იყო, რომელიც მერი დეილის მიერ გაგზავნილმა 12 000-იანმა ჯარმა დაარბია. საზოგადოება მეტად გააღიზიანა ამ ფაქტმა და ამჯერად სტუდენტების ნაცვლად მათ პოლიცია და მთავრობა გაამტყუნეს. ეს, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ წარმატებულად გამოიყენა რიჩარდ ნიქსონმა და რესპუბლიკელებმა და დაამარცხეს ჰიუბერტ ჰამფრი, ლინდონ ჯონსონის ერთგული ვიცე-პრეზიდენტი. მაგრამ ჩიკაგოში მომხდარი გამოსვლა საბედისწერო აღმოჩნდა სხვა მხრივ. მას შემდეგ შედარებით მშვიდობიანი გამოსვლების მომხრეები საბოლოოდ გაემიჯნენ ჩეგევარას რევოლუციური ტერორით აღფრთოვანებულ რადიკალებს. საკმაოდ მალე ისინი მრავალ დაჯგუფებად დაიქსაქსნენ და 1971 წლისათვის საბოლოოდ დაიშალნენ. ამის მიზეზი თავდაპირველად დემოკრატიული და პაციფისტური იდეალების მიტოვება იყო და არა სახელმწიფოს მიერ განეული დიდი წინააღმდეგობა. ომის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ნელ-ნელა ჩაქრა. 1968 წლის მოვლენებმა სტუდენტ აქტივისტებს უარი ათქმევინა რადიკალურ-ძალისმიერ ქმედებებზე, კიდევ უფრო მეტად გაუცრუა იმედები და გააერთიანა ახალ მოძრაობად - კონტრკულტურად, ანუ ჰიპებად. გრძელი თმა, ლურჯი ჯინსები, სანდლები, განწყობის, უფრო სწორად კი ჭკუის შემცვლელი ნარკოტიკი, როკი

და კომუნებად ყოფნა წარმოადგენდა მათ ცხოვრებას. ბიტნიკების ფილოსოფიის გამზიარებელნი, კეროაკის გზით შთაგონებულნი, ბუდისტური ზენიზმით გატაცებულნი, ვიეტნამის ომიდან დაბრუნებულნი მთლიანად გაუცხოებულნი იყვნენ. რასიზმი, ძალადობა, სწრაფად მზარდი, რელიგიის შემცვლელი ტექნიკა მათგან შორს იყო. შვებას იმ საზოგადოებაში, რომლისთვისაც კეთილშობილება და მომხვეჭელობა გათანაბრებული იყო, ისინი LSD-ს დახმარებით პოულობდნენ. საძულველ - საყიდლების კულტს სიამოვნებით ცვლიდნენ ჭეშმარიტი შეგრძნებებისა და სექსის კულტზე. მათ სურდათ სიყვარულსა და ბედნიერებაში გაერთიანებული თაობის შექმნა, მაგრამ მათ მოძრაობასაც დიდხანს არ უარსებია, რადგან ჰიპებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი - მე-20 საუკუნე ის დროა, რომელშიც სრულ ბედნიერებას უფულოდ ვერ მოიპოვებ. ამას ისინი მხოლოდ მოგვიანებით გაიცნობიერებენ. მანამ კი ღია ცის ქვეშ მოწყობილი როკ კონცერტები ჰიპების მთავარი შეკრების ადგილი და გატაცება ხდება. მათ შორის ყველაზე დიდი და შთამბეჭდავი - ვუდსტოკი იყო. სამი დღით შეკრებილმა "ყვავილების ბავშვებმა" - Flower children - დაანახეს მთელ მსოფლიოს რამდენად თავისუფალი შეიძლება იყოს საზოგადოება. ჯო კოკერმა, ჯიმ მორისონმა, ჯიმი ჰენდრიქსმა, ჯენის ჯოპლინმა და მრავალმა, მრავალმა სხვამ სიმღერებით გამოხატეს საერთო განწყობა. ვუდსტოკი ახალი როკის რელიგიის პირველ ევქარისტულ კონგრესად მონათლეს. როკიც ერთ დროს ზანგების მუსიკა იყო, ის 40-იან წლებში აღმოცენდა რიტმისა და ბლუზის შერწყმით. ელექტრული ინსტრუმენტები რითმულ ტაქტთან შეწყობილი სექსის თემაზე დაწერილი ლექსი - ეს იყო ზანგების მუსიკა, შესრულებული ზანგის მიერ ზანგისათვის. მაგრამ 1952 წელს ლეგენდარულმა კლივლენდელმა დისკ-ჟოკეიმ ალან ფრიდმა უწოდა ამ მუსიკას როკენროლი და წარუდგინა თეთრკანიან მაყურებელს და ამით მან რითმისა და ბლუზის მუსიკას რასობრივი სტიგმა ჩამოაშორა. როკენროლი თავდაპირველად სენტინემტალური ბალადებით მობეზრებულ მოზარდებს შორის გახდა პოპულარული. საკმაოდ მალე თეთრკანიანმა შემსრულებლებმა პოპი და ქანთრის სტილი შერწყეს რიტმთან და ბლუზთან და საბოლოოდ ჩამოაყალიბეს როკენროლი. სწორედ მას ასრულებდა ელვის პრესლი, როცა პირველად გამოჩნდა 1956 წელს. პრესლის ჯარში წასვლასთან ერთად როკი - თეთრკანიანების მიერ შესრულებული, თითქოს ჩუმდება, მაგრამ დროებით, ის ბრუნდება, ბრუნდება ინგლისიდან და ალბათ ყველაზე ძლევამოსილი და შთამბეჭდავი სახით, ვიდრე ოდესმე აქამდე ყოფილა. სწორედ ბითლებით შთაგონებულნი ქადაგებდნენ ახალგაზრდები აუცილებელ რევოლუციაზე. "მაშინ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ იმ მიმართულებას, რომლითაც უნდა განვითრებულიყო მუსიკა", - განაცხადა მაშინ ჯერ კიდევ მინესოტას უნივერსიტეტის სტუდენტმა, ქანთრის მომღერალმა ბობ დილანმა. მოგვიანებით ის მიმართულებას შეიცვლის და როკით გატაცება მას მსოფლიო აღიარებას მოუტანს. სხვებისაგან

განსხვავებით, დილანის ენა ხატოვანი, აზრი არაპირდაპირი, თითქმის ბუნდოვანი იყო. მისი სიმღერები ასახავდნენ ომისკენ მიმავალ გზაზე მდგომ ამერიკას (Highway 61); სამყაროსთან ჰიპის ზიზღიან დამცინავ გამომშვიდობებას (Maggie's Farm); შეშლილ საზოგადოებას, რომელსაც მართავს ავადმყოფი მთავრობა, ყველნი ერთად კი აპოკალიფსის ზღვარზე იმყოფებიან.

დილანი ალბათ თავისუფლად შეძლებდა ვაშინგტონში, ლინკოლნის მემორიალის წინ იმავე რაოდენობის ხალხის შეკრებას, როგორც ეს მარტინ ლუთერ კინგმა გააკეთა. ის ერთ-ერთი იმ მუსიკოსთაგანი იყო, ვინც შეძლო მუსიკისთვის სამყაროს შემცვლელი, გადატრიალების მომხდენი ძალა შეეძინა, ძველი მსოფლმხედველობა შეერყია, შეემატა ის აზრი, რომელმაც 1969 წელს ვუდსტოკში მყოფი ნახევარი მილიონი ადამიანი დაიპყრო.

დილანის გავლენა სტუდენტებზე იმდენად დიდი იყო, რომ სდს (Students for Democratic Society)-ის ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ფრთა "Weatherman"-ის სახელს ატარებდა სწორედ მისი სიმღერის მიხედვით: "You don't need a weatherman to know which way the wind is blowing".

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 70-იანი წლების დასაწყისში კონტრკულტურა გაქრება, რადგან ვერ შეინარჩუნებს თავდაპირველ იდეალებს, ჰიპები უფრო ხშირად სარეკლამო რგოლებში გამოჩნდებიან, ვიდრე რეალობაში; ყვავილების ბავშვები დაიღლებიან ძონძებისაგან და უნივერსიტეტებში დაბრუნდებიან, ეს ეპოქა შემორჩება ისტორიას, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პარადოქსული. პარადოქსული თუნდაც იმიტომ, რომ ახალი მუსიკალური მომართულების შექმნა პოლიტიკურმა და სოციალურმა გარემომ განაპირობა, რაც იქამდე უპრეცენდენტო იყო. ეს იყო ეპოქა სავსე სიყვარულითა და ცრემლებით, მშვიდობისათვის ბრძოლითა და ომით, დიდი იმედებითა და უსასრულო გულგატეხილობით, ალან გინსბერგის ყმუილითა და ჯენის ჯოპლინის ჩახლეჩილი, მაგრამ საოცრად ნაზი ხმით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gotlin, T., The Sixties: Years of Hope, Days of Rage, Banta Books, Toronto, NY, London, Sidney, Auckland, 1987.

2. Burns, J., The Crosswinds of Freedom, Part III "Liberation Struggles", New York, 1989.

3. A History of Our Time. Readings on Postwar America, Edited by W. H. Chafe, Duke University, H.Sitkoff, University of New Hampshire, Oxford University Press,1991.

4. Mackle, K.,Smith, A.,The Peace Movement of the 1960s.

5. Tindall G.B.,Shi D.E., America-A Narrative History, W. Norton&Company, New York, London, 1992.

6. The Annals of America, Vol. 18 (1961-1968). Encyclopedia Britannica, Inc.; USA, 1967.

მარიკა ნადარეიშვილი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ.
სახელმწიფო კონსერვატორიის
მუსიკის თეორიის კათედრის დოცენტი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

არადეტერმინირების ფენომენი ამერიკულ ავანგარდულ მუსიკაში

შემთხვევითობის, განუსაზღვრელობის გამოვლენის ესა თუ ის მუსიკალური ფორმა ამერიკულ სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში სხვადასხვა ცნებებით აღინიშნება. მათ შორისაა: indeterminate, chance, random, indefinite, vague, nonspecific. „არადეტერმინირება". ყველაზე ხშირად კი ამ მოვლენას აღნიშნავენ პირველი ორი ტერმინით(1).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იმატა ინტერესმა ქვეცნობიერის, ინტუიციურის, ირაციონალურის, შემთხვევითობისადმი, შეიცვალა წარმოდგენა ადამიანის ფსიქიკურ დროზე, დამკვიდრდა „ცნობიერებათა ნაკადის" ცნება, როგორც ზოგადად შემეცნებაში, ისე კონკრეტულად მუსიკალურ ხელოვნებაშიც (მონტაჟურობის პრინციპი ჩ. აივზის შემოქმედებაში). ექსპერიმინტებისა და აღმოჩენათა ეპოქის – XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი ნოვაცია ხელოვნების სპონტანურობაშიც იკვეთება, რაც მუსიკაში არადეტერმინირების ფენომენის დამკვიდრებითაც ვლინდება.

კომპოზიტორები, რომლებიც განსაკუთრებით თანმიმდევრულად მიმართავდნენ შემთხვევითობას, თვლიდნენ, რომ ფსიქოლოგიურ ასპექტში, შემეცნების ნებისმიერი მდგომარეობა დროებითია და წარმავალი, რამეთუ შეუძლებელია განვლილი შეგრძნების აბსოლუტურად ზუსტი განმეორება. შესაბამისად სწორედ მუსიკას, როგორც დროში განვითარებად ხელოვნებას, ძალუძს განასახიეროს წამიერ შეგრძნებათა მთელი ნაკადი, ხშირად შემთხვევითობით განპირობებული.

XX საუკუნის ამერიკულ მუსიკალურ ხელოვნებაში არადეტერმინირება შეეხო შემოქმედების ყველა ასპექტს. იგი გამოვლინდა შემოქმედებით თუ საშემსრულებლო პროცესებში, საკომპოზიტორო წერის ტექნიკასა თუ სანოტო დამწერლობის თავისებურებებში. ჩვენი აზრით, მუსიკაში არადეტერმინირების დამკვიდრების ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიკვეთოს:

1. არადეტერმნირება *აბსოლუტურად* ვლინდება, მუსიკალურ კომპოზიციაში იგი *არაა მართვადი*: ა) შემთხვევითია შემოქმედებითი პროცესი, ბ) შემთხვევითია საშემსრულებლო პროცესი, გ) შემთხვევითია ორივე ზემოაღნი-

შნული პროცესი.

2. არადეტერმნირების მნიშვნელობა *დიდია*, მაგრამ იგი *მართვადია*: ა) შემთხვევითობა ვლინდება ნაწარმოების ფორმის, მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების დონეზე, ბ) შედარებით მცირე ინფორმაციული ტექსტის ინტერპრეტაცია (ურტექსტი, basso continuo, საშემსრულებლო rubaro და ა.შ.).

მოხსენებაში რეგლამენტის გამო ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩება რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა _ ხელოვნებათა სინთეზის, XX ს. ავანგარდულ მუსიკაში სივრცე-დროის ფენომენის, ღია ფორმის აქტუალობისა და ახლებური აღქმის პრობლემები, არადეტერმინირებული კომპოზიციების მუსიკალურ-დრამატურგიული თავისებურებანი, ტრიადის „კომპოზიტორი-შემსრულებელი-მსმენელი" მეტამორფოზები და ა.შ. ძირითად ყურადღებას კი შევაჩერებთ კლასიფიკაციის პირველ პუნქტზე და ვისაუბრებთ არადეტერმინირების ტოტალურ გამოვლენაზე *მუსიკალური დამწერლობის არატრადიციული ფორმების* მაგალითზე.

ამერიკულ ავანგარდულ მუსიკაში შემთხვევითობის დამკვიდრება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის უნდა აღინიშნოს არაევროპული მუსიკისა და ჯაზის ფენომენები, ლიტერატურასა და ვიზუალურ ხელოვნებაში მომხდარი რადიკალური ცვლილებები.

ცნობილია, რომ ამერიკულმა პროფესიულმა მუსიკამ განსაკუთრებული სისავსით აითვისა არაევროპული მუსიკალური ტრადიციები. ამასთან დავძენთ, რომ ქვეყნის დასავლეთ სანაპიროზე უფრო მძლავრად მიმდინარეობდა არაევროპული მუსიკის შესწავლის პროცესი. შესაბამისად დომინირებდა ექსპერიმენტული დამოკიდებულება მუსიკისადმი (ჰ. ქოუელის, ჯ, ქეიჯის და სხვ. შემოქმედება). არაევროპული მუსიკის ერთ-ერთი თვისება _ იმპროვიზაციულობა – არადეტერმინირების, შემთხვევითობის მუსიკაში დამკვიდრების საწინდარია. იმპროვიზაციულობა ზოგადად თან სდევს მუსიკალურ ხელოვნებას მისი ჩასახვიდან დღემდე. იგი ევროპული მუსიკის განუყოფელი თანამგზავრია ყველა საუკუნეში. ამერიკულ აკადემიურ მუსიკაში ეს ფენომენი მკვიდრდება არა იმდენად ევროპული, რამდენადაც არაევროპული მუსიკისა და ჯაზის ზეგავლენით. მივუთითებთ ერთ მნიშვნელოვან სხვაობაზეც. არაევროპელი მუსიკოსის იმპროვაზიცია ხდება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ფარგლებში (ინდ. რაგა, აღმ. მაკამი და ა. შ.), ჯაზში იმპროვიზაცია კოორდინირებულია ვერტიკალში ჰარმონიული საყრდენების სახით, თანამედროვე ავანგარდულ არადეტერმინირებულ მუსიკაში კი უარყოფილია რაიმე ტრადიცია თუ სხვა კონკრეტული ბგერათსიმაღლებრივ-ჰარმონიული

ორიენტირი.

XX ს. პირველ ათწლეულებში ხელოვნების სხვა სფეროებში არსებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა შემთხვევითობა წარმოაჩინეს თითქმის აბსოლუტური იდეის რანგში (მხედველობაშია დადაიზმი, სიურეალიზმი, კონკრეტულად ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი).

განუსაზღვრელობის ფენომენი სრული სისავსით აისახა სანოტო დამწერლობაში. XX ს. მუსიკალური ხელოვნების ექსპერიმენტული სული ამ სფეროშიც გამოვლინდა. კომპოზიტორები ქმნიან არა მარტო მუსიკას, არამედ ხელახლა იგონებენ მისი ვიზუალური გამოსახვის საშუალებებს.

არადეტერმინირებული სანოტო დამწერლობის დამკვიდრება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: 1) მუსიკალური ბგერის ცნების გაფართოება (ბუნებრივი და ხელოვნური ბგერები, ხმაურები), 2) კომპოზიტორების განსაკუთრებული ყურადღება სივრცე-დროის ფენომენისადმი, 3) იმპროვიზაციულ-ინტუიციური საწყისის დამკვიდრება მუსიკალური შემოქმედების სხვადასხვა მხარეებში, 4) ხელოვნებათა სინთეზის ტენდენცია.

„გრაფიკული მუსიკა", „მუსიკალური გრაფიკა", „მუსიკა თვალებისათვის" – ამგვარად უწოდებენ იმ შემთხვევებს, როდესაც კომპოზიტორი მუსიკალურ ჩანაფიქრს აღბეჭდავს არა ტრადიციული სანოტო ნიშნებით, არამედ სხვა გრაფიკული ფიგურებითა თუ ნახატებით. ამ შემთხვევაში გადააზრებული და ხშირად უარყოფილია ტრადიციული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ლოგიკური მიზეზშედეგობრივი კავშირები. ცხადია, რომ მსგავსი გრაფიკული პარტიტურები უდიდეს თავისუფლებას ანიჭებენ შემსრულებელს. გრაფიკული ნოტაცია დადაისტების შემოქმედებიდანაც იღებს სათავეს და ვიზუალურად ემსგავსება აბსტრაქტული, სიურეალისტური ხელოვნების ნიმუშებს.

გრაფიკული ნოტაცია შექმნა და პირველად გამოიყენა ამერიკელმა კომპოზიტორმა ერლ ბრაუნმა (Earl Brown). მანვე საფუძველი ჩაუყარა არადეტერმინირების სხვა ფორმებსაც – დროით ნოტაციასა და მობილურ ფორმას. კომპოზიტორზე დიდი გავლენა იქონია აბსტრაქტულმა ექსპრესიონისტულმა ფერწერამ და კერძოდ ჯ. პოლაკის შემოქმედებამ – მისი ცნობილი ფერწერული აქციებით, სადაც გადამწყვეტი იყო სიურეალისტური იდეა ქვეცნობიერის მთავარი გამომსახველობითი როლის შესახებ. ე. ბრაუნი ბრწყინვალედ იცნობდა ასევე კ. ფეჩენის 40-იანი წლების ვიზუალურ პოეზიას. აქ არსებული პოეზიის, სიტყვისა და ვიზუალურის, ფერწერულის სინთეზის იდეა ამერიკელმა კომპოზიტორმა განავითარა „მუსიკალურ ნიადაგზე", ერთმანეთს დაუკავშირა რა მუსიკა და ფერწერა. მისი ქმნილებებიდან განსაკუთრებით ცნობილია ნაწარმოები „December 1952", რომელიც ვიზუალურად გრაფიკულ ტი-

ლოს მოგვაგონებს (პარტიტურა წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების კომპლექსს).

არადეტერმინირების ფენომენი ე. ბრაუნმა დაამკვიდრა არა მარტო მუსიკალური ნაწარმოების ფიქსირების, არამედ მისი დროში რეალიზების ასპექტებშიც, რამეთუ პირველმა გამოიყენა ე.წ. მობილური ფორმა (კალდერის მობილური სკულპტურების ზეგავლენით). მის კომპოზიციაში – „25 pages" (1953წ.) ერთიდან ოცდახუთი ფორტეპიანოსათვის – შემსრულებელი თვითონ განსაზღვრავს ნაწილების თანმიმდევრობას, ანუ ნაწარმოების ყოველი ახალი შესრულება მუსიკალურად განუმეორებელია.

„აუცილებელია ებრძოლო ფორმას, რომლის სიჭარბე თანამედროვე ცივილიზაციის კოშმარია. ახალო მომავალში ამან შესაძლოა საყოველთაო უნიფიკაცია გამოიწვიოს. ჩემი მუსიკა პროტესტია ყოველივე ამის მიმართ" (3; *59*) – ეს სიტყვები ეკუთვნის ჯონ ქეიჯს (John Cage), ე. ბრაუნის თანამედროვეს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკული და ნაწილობრივ ევროპული ავანგარდული მუსიკის განვითარებაში.

ჯ. ქეიჯისათვის შემთხვევითობა შემოქმედების თვითმიზანია. მისი აზრით, ფასეულია მუსიკა, რომელიც თავისუფალია ჩვენი მეხსიერებისგან, მთავარია არა შედეგი, არამედ პროცესი, არა ფორმა, არამედ იმპროვიზაცია.

არადეტერმინირებას, ირაციონალურს ჯ. ქეიჯი ამკვიდრებდა როგორც მუსიკალურ, ისე თავის ლიტერატურულ ქმნილებებში. XXს. დასაწყისის ფუტურისტების ექსპერიმენტების მსგავსად, ამერიკელი ავანგარდისტი კომპოზიტორის პოეტურ ტექსტებში სიტყვა კარგავს მნიშვნელობას(2), იგი დაშლილია მარცვლებად და ბგერებად, მთელი ტექსტი კი აიგება შემთხვევითი ოპერაციების გამოყენების შედეგად. ჯ. ქეიჯის ლიტერატურულ შრომებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვიზუალურ მხარეს, ისინი მოგვაგონებენ გრაფიკულ ნახატებს (ტექსტის სხვადასხვა შრიფტით ჩაწერა, მისი სივრცეში განლაგების თავისებურებანი).

კომპოზიტორის შემოქმედებაში არადეტერმინირების ფენომენი თანდათანობით იკიდებს ფეხს. 50-იანი წლების პირველ ნახევარში ქეიჯი მიმართავს გრაფიკული ნოტაციის იმ ნაირსახეობას, სადაც ვიზუალურად სივრცული კატეგორიაა აქცენტირებული (ე.წ. სივრცული ნოტაცია „ზამთრის მუსიკაში"), ხოლო 60-იანი წლებიდან კი – „დროით ნოტაციას" ანიჭებს უპირატესობას („მუსიკა სათამაშო როიალებისათვის").

ამგვარად, ამერიკული ომისშემდგომი მუსიკალური ავანგარდის ორ მნიშვნელოვან წარმომადგენელთან – ჯ. ქეიჯთან და ე. ბრაუნთან არადეტერმინირების ფენომენის დამკვიდრება სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა. ამა-

ვდროულად ორივე კომპოზიტორი ტიპური ამერიკელია, რამეთუ ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე ახალ აღმოჩენებს სთავაზობდა მუსიკალურ-შემოქმედებით სამყაროს.

არადეტერმინირება ამერიკულ და ევროპულ ტრადიციებში განსხვავებულად გამოვლინდა. ევროპაში იგი თავდაპირველად სერიალიზმის წიაღში დამკვიდრდა და მოგვიანებით გამოეყო მას, ამერიკაში კი დამოუკიდებლად არსებობდა როგორც სერიალური (მ. ბებიტი), ისე არადეტერმინირებული მუსიკა (ჯ. ქეიჯი, ე. ბრაუნი).

დღესდღეობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკულმა ავანგარდულმა მუსიკამ მნიშვნელოვნად განაპირობა არადეტერმინირების ევროპაში დამკვიდრება(3). მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით შებოჭილმა ევროპამ საკმაოდ მძიმედ, ფრთხილად და არასრულად გაითავისა შემთხვევითობის ფენომენი მაშინ, როდესაც ამერიკული კულტურა, თავისუფალი იყო რა ტრადიციათა მარწუხებისგან, პირიქით, სრული სისავსით ეზიარა ექსპერიმენტების სილაღეს. შესაბამისად ევროპაში პრაქტიკაშია უმეტესწილად მოწესრიგებული არადეტერმინირება, რასაც ტერმინოლოგიურად „ალეატორიკას“ უწოდებენ. ამავდროულად თვით ევროპაშიც იყო განსხვავებანი: პოლონური სკოლის წარმომადგენლები (ლუტოსლავსკი), ბულეზისა და შტოკჰაუზენისაგან განსხვავებით, ალეატორიკას უფრო მცირე მასშტაბებზე მიმართავენ.

შემთხვევითობის კონცეფცია ქართულ პროფესიულ მუსიკაში შედარებით მოგვიანებით, 70-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს. აქ ძირითადად დომინირებს ევროპული ტიპის არადეტერმინირება (ნ. მამისაშვილი, ნ. სვანიძე, თ. ბაკურაძე, ე. ჭაბაშვილი), თუმცა გამონაკლისის სახით ქეიჯისეული ჰეფენინგებისა და პერფომანსების გამოძახილსაც ვხვდებით (დ. ევგენიძე).

ამგვარად, XX ს. სანოტო დამწერლობის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება _ მუსიკალური ტექსტის აბსოლუტურად ზუსტი ფიქსირების ტენდენცია _ გარდაისახა საპირისპირო მოვლენაში, გრაფიკულ ნოტაციაში. აქ შემსრულებელს გრაფიკული ტექსტის მუსიკალური ინტერპრეტაციის უდიდესი თავისუფლება ეძლევა მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკულ პარტიტურებს კომპოზიტორის ვრცელი ვერბალური კომენტარი ახლავს-ხოლმე თან. საყოველთაო „დემოკრატიზაციამ“ განაპირობა კომპოზიტორის, შემსრულებლისა და მსმენელის ფუნქციათა გატოლება და რიგ შემთხვევაში ურთიერთშეღწევაც კი. ავტონომიური გახდა მუსიკალური ნაწარმოების ვიზუალური მხარე, რომელიც კლასიკურ ტრადიციებში ექვემდებარებოდა ქმნილების წმინდა მუსიკალურ, ზეერად მხარეს. გრაფიკულ ნოტაციაში ჰიპერტროფირებულია მუსიკალური დამწერლობის ესთეტიკური ფუნქცია.

როგორ ეღერს რეალურად ამგვარი მუსიკა? გააჩნია თუ არა მას კონკრეტული სტილური ორიენტაცია? პასუხი ამ კითხვებზე ისევე ზოგადია, როგორც მუსიკალურ-გრაფიკული პარტიტურა _ ეღერადობა სონორულია, მუსიკა აიკინძება ნებისმიერი აკუსტიკური თვისების მქონე ბგერებისგან, ხმაურებისგან, ზოგადად სონორებისგან. ამგვარ კომპოზიციაში უარყოფილია პროცესუალობა, ის კომპოზიციურ-დრამატურგიულად ღიაა. ამასთანავე აღსანიშნავია ერთი პარადოქსი: რაც არ უნდა არადეტერმნირებული იყოს ნაწარმოების შექმნისა თუ შესრულების პროცესი, საბოლოო ჯამში ეს ოპუსი აღიქმება, როგორც სტაბილური, დეტერმინირებული კომპოზიცია.

არადეტერმინირებული ნაწარმოების თავისუფალ და არარეგლამენტირებულ ბუნებას სრულად ასახავს წინასიტყვაობა, რომელიც ე. ბრაუნმა წარუმძღვარა თავის ქმნილებას „December 1952". აქ ავტორი მიუთითებს: „კომპოზიცია შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი მიმართულებით, არჩეული სივრცის ნებისმიერი წერტილიდან, დროის ნებისმიერი ხანგრძლიობითა და ოთხი როტაციული პოზიციიდან ნებისმიერში ასევე ნებისმიერი თანმიმდევრობით (4; 49).

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Indeterminate – განუსაზღვრელი, გაურკვეველი. Chance – შემთხვევითობა, შემთხვევითი.

2. „შექმნა მუსიკა ტექსტის ხმამაღალი წაკითხვის მეშვეობით", – როგორც ამბობდა კომპოზიტორი.

3. შემთხვევითობას ხომ ჯერ კიდევ ბევრად ადრე ჩ. აივზი მიმართავდა (I საფორტეპიანო სონატა); ევროპაში არადეტერმინირების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი შეიტანა ქეიჯის გამოსვლამ დარმშტადტში (1958 წ.); აქვე შესრულდა ე. ბრაუნის მობილურ ფორმაში დაწერილი ნაწარმოები „Folio" და ა. შ.

4. ნადარეიშვილი მ. შემთხვევითობა XX ს. მუსიკალურ-ალეატორიკულ კომპოზიციებში // ხელოვნება, 1999, #1-2.

5. Дубинец Е. Эрл Браун: открытия в нотации // Ars Notandi. Нотация в современном меняющемся мире. Сб. Тр,. МГК, М., 1997.

6. Супонева Г. Проблемы нотации в музыке XX века, Дроздецкая Н., Джон Кейдж: творческий процесс как экология жизни, М., 1993.

7. Nyman M., Cage and Beyond, New York, 1974.

ეკატერინე ბუჩუკური
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო
კონსერვატორიის ასპირანტი

„ჯონ კეიჯის ესთეტიკა და აღმოსავლეთი“

მე-20 საუკუნის კულტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალმა ორიენტალიზმმა, რომელიც დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ მუსიკაში უფრო გარე მუსიკალურ, რელიგიურ-მსოფლმხედველობით და ზოგად-კულტურულ იმპულსებს ემყარება.

ამ მხრივ, ამერიკული კულტურის ფენომენი უნიკალურია. აქ მიმდინარე სხვადასხვა კულტურათა და ტრადიციათა შერწყმის ინტენსიური პროცესი მუსიკაში უცბად არ განხორციელებულა. მისი თვითმყოფადობის დამკვიდრება უპრეცედენტო პროცესად იქცა და მულტიკულტურულ მოვლენად ჩამოყალიბდა. ევროპული ტრადიციიდან აღმოცენებული ამერიკული მუსიკა, ჩარლზ აივზის, მოგვიანებით ჰენრი კოუელის, ჯონ კეიჯის და სხვათა სახით, ევროპული ტრადიციის ალტერნატივად იქცა და ავანგარდული ექსპერიმენტული ძიებების გზას დაადგა. მან შეძლო ევროპული მუსიკალური კულტურისაგან გაუცხოება, მისგან შორს ყოფნა და ირონიულ პლანში აღქმაც კი. ამერიკული მუსიკისათვის ტრადიციად იქცა სწორედ ექსპერიმენტული აზროვნება. ასეთი ხედვა დაეხმარა მას ევროპული ტრადიციით „თამაშში“, რომლის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის შეუცნობადი, ეზოთერული აღმოსავლეთის „ორიენტალურ მითს“. სწორედ ასეთი აღმოსავლეთი აღმოჩნდა უძლიერესი სტიმული შემოქმედებისათვის და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკული კულტურის ევოლუციაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მუსიკალური დადაიზმის და ალეატორიკის ფუძემდებლის ჯონ კეიჯის შემოქმედება, რომელსაც წელს დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 10 წელი უსრულდება.

ჯონ კეიჯი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ძნელად გასაგები კომპოზიტორია, რომელმაც თავისი გაბედული, შორს მიმავალი ფანტაზიით ხელოვნება ჩვეულ ფარგლებს გარეთ გაიყვანა და ახალი შინაარსი შესძინა მას. კეიჯის მუსიკა წარმოადგენს შემოქმედების განსაკუთრებულ სფეროს, რომელიც მისი ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის ბგერითი გამოხატულება გახდა, ამასთანავე ის ყოველთვის არ წარმოადგენს შემოქმედების აქტს; ბგერა მისთვის განცალკევებით არსებობს, როგორც „საგანი თავისთავად“

დეტერმინირებული ან არადეტერმინირებული სახით.

„იქ, სადაც ადამიანები გრძნობდნენ ბგერების „შეწებების აუცილებლობას", რათა მიეღწიათ ერთიანობისათვის, მე პირიქით, მივისწრაფვოდი თავი დამეღწია „ამ წებოსაგან", რათა ყველა ბგერა ყოფილიყო თავისთავადი"(1) - ეს სიტყვები ჯონ კეიჯს ეკუთვნის, XX საუკუნის მუსიკის ერთ-ერთ ლიდერს, რომელმაც უარყო ყველა არსებული ნორმები. „ის თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა ამ უიმედოდ ჭკუიდან გადამდგარი მუსიკალური ავანგარდის სამყაროში"(2) – ასე წერდა კეიჯზე მისი მეგობარი, ფილოსოფოსი ალან უოტსი.

ჯონ კეიჯის აზროვნების სათავეების, მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლების დადგენისათვის აუცილებელია, პირველ ყოვლისა, მისი თეორიული იდეების გაცნობა, რომლებიც მოთავსებულია ძირითადად წიგნებში „სიჩუმე", „ორშაბათით დაწყებული წელი", „ჩემი ავტობიოგრაფია", „საუბრები არარას შესახებ". მისი თეორიული ნაშრომები ორგანულადაა ამოზრდილი ძენ–ბუდისტური მსოფლმხედველობიდან და XIX საუკუნის ამერიკელი ფილოსოფოსების – ემერსონისა და ტოროს ტრაქტატებიდან, რომლებიც თავის მხრივ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფიური პოსტულატების მეტად საინტერესო სინთეზს წარმოადგენენ.

ამ მხრივ ძენ-ბუდისტური აზროვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XX საუკუნის „კულტურის შენეცნებისათვის, როგორც რაციონალიზმის საწინააღმდეგო „აცრა". ძენით იყო გატაცებული კარლ გუსტავ იუნგი, რომელმაც კეიჯზე იქონია გავლენა. ძენი საერთოდ დაკავშირებულია თავისი ტექნიკით ფსიქოანალიზთან, ის ასევე უკავშირდება სიურეალიზმის, დადაიზმის ხელოვნებას, განსაკუთრებით ანტონენ არტოს შემოქმედებას. ზოგიერთი მკვლევარი ძენის გარკვეულ ნიშნებს ხედავს ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ლოგიკურ–ფილოსოფიურ ტრაქტატში", სადაც რაციონალიზმი შერეულია მისტიკასთან. ძენს უწოდებენ „გონების მკვლელს"; „მისი მიზანია" – წერს ძენის პოპულარიზატორი და მასწავლებელი დაისეცუ სუძუკი – „აზროვნების ჭეშმარიტ არსში უშუალო შეღწევით მასზე ისეთი ზემოქმედება, რომ ის გახდეს თავისი თავის ბატონი... ძენის პრაქტიკის მიზანია სულის სარკმელის გაღება — და ცხოვრების ძირითადი არსის გაცნობიერება". შეიძლება ითქვას, რომ ძენი ოპერირებს ლოგიკით, სადაც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი „ხო" ან „არა", (ისევე, როგორც აღმოსავლურ კულტურაში, რომელიც ორიენტირებულია ბუდიზმზე და დაოიზმზე, არ არსებობს დაბადება და გარდაცვალება), მნიშვნელოვანია მანამდე ან შემდეგ ვერბალური შეღწევა საგნების არსში — ინტელექტუალური და ემოციური შოკის მომენტში. აქედანვე მოდის ძენის

პრაქტიკაში ცნობილი უაზრო და ხშირად სასტიკი ქმედებები. ძენის თანახმად ცნობიერება ცვალებად მდგომარეობაში უნდა ამყოფო, რათა აზროვნება რაციონალიზმის ბინარული ოპოზიციებით სავსე ჩვეული კალაპოტიდან გამოიყვანო.

ძენ-ბუდისტური მსოფლაღქმა უდიდეს გავლენას ახდენს კეიჯის ფილოსოფიურ კონცეფციაზე, სადაც ისტორიული წარსული და თანამედროვება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურები ერწყმიან ერთმანეთს ადამიანის სულის სიღრმისეულ ფსიქოლოგიაში. კეიჯის თანახმად, ამ სინთეზიდან ამოიზრდება მუსიკა, რომლისთვისაც უცნობია დუალიზმი „მე" და „სხვა", წამი და მარადისობა, ბგერა და პაუზა, ფერი და უფერული(3).

კეიჯის კონცეფციის ამოსავალი დებულება, მდგომარეობს ხელოვნების წინასწარი განუსაზღვრელობის იდეაში. კეიჯი შემდეგნაირად გადმოსცემს თავის პოზიციას. „ცნობიერებისა და არაცნობიერების სფერო ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ხოლო ადამიანის ცნობიერება, თავის მხრივ, მუდმივ მოძრაობაშია. ხან გრძნობათა ორგანოებით აფასებს გარე სამყაროს, ხან ქვეცნობიერების საცავებში იძირება, სადაც დროის მილმა მდგომ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს შეიმეცნებს. ამ მეორე, ქვეცნობიერი სამყაროს უგულებელყოფა შეუძლებელია, ისევე როგორც მის წიაღში რაციონალურ-ძალდატანებითი საშუალებით შეჭრა. სწორედ ამიტომ მივმართავ შემთხვევითობას, რადგან ის ხელს მიწყობს მედიტაციის შენარჩუნებაში, ჩემი სიმპათიებისა თუ ანტიპათიების, ჩემი მიდრეკილებების სუბიექტივიზმის გადალახვაში"(4).

სტატიაში – „სიჩუმე" კეიჯი თავისი შემოქმედებით მრწამსს აყალიბებს და, ამავე დროს, ურთულეს ეგზისტენციალურ პრობლემებს მსუბუქი ირონიზებული ლიტერატურული მანერით გადმოსცემს. როგორც ვეცნობით მისი წიგნიდან, მასთან ბგერისა და სიჩუმის თანასწორუფლებიანობის იდეის თანახმად სიჩუმე ისეთივე საშენ მასალად იქცევა, როგორც ნებისმიერი სახის კონკრეტული და მუსიკალური ბგერები. ტრადიციული გაგებით, სიჩუმე, პაუზა სტრუქტურებს შორის გამყოფის ფუნქციას ასრულებდა, წინამორბედ უწყვეტ ბგერით ნაკადს დრამატულ აქცენტს სძენდა, ან მის შიგნით მელოდიურ ურთიერთკავშირში მყოფ ბგერებს შორის არსებულ შუალედურ სივრცეს უზრუნველყოფდა.

მუსიკალურ ნაწარმოებში კეიჯს აინტერესებს ბუნების ტრანსფორმაცია. ამასთანავე როგორც ნატურალური ბუნების, ასევე ურბანისტული სამყაროს ხმების ასახვა. აქედან იღებს სათავეს კეიჯის მუსიკალური დადაიზმის იდეებიც, რაც სიჩუმისადმი, როგორც თავისთავადი სონორული მოვლენისადმი დაინტერესებაშიც გამოიხატება. ტრადიციული მნიშვნელობით ეს უდაოდ მუ-

სიკალური ხელოვნების დასასრულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ, ამავე დროს, ყოველდღიურ, ყოფით მოვლენათა ქაოსის პოეტიზაციისაკენ სწრაფვითაც შეიძლება აიხსნას, რაც საუკუნის დასაწყისის ბრუიტისტების – რუსსოლოს, ბალილა პრატელას ან ერიკ სატის იდეებს მოგვაგონებს. კეიჯი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებში საშენ მასალად სმენით აღქმული ყველა სახის ბგერისა და ხმაურის გამოყენებაა შესაძლებელი.

აღმოსავლეთით გატაცება და მასთან ზიარება კეიჯის შემოქმედებაში თანდათან ხორციელდება. კეიჯის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო ჰენრი კოუელი, რომელიც ამერიკელ კომპოზიტორებს შორის პირველი სერიოზულად დაინტერესდა აღმოსავლეთით. მოგვიანებით ჯონ კეიჯი გაეცნო მოცეკვავესა და ქორეოგრაფს მერსემ ქენინჰემს, რომელთან ერთადაც განახორციელა თავისი ქორეოგრაფიული პროექტების უმრავლესობა, მათ შორის ბალეტი „ბაკქანალია" სადაც ´აფრიკული არატემპერირებული დასარტყამი საკრავების ტემბრულ ულერადობასთან დაახლოვების მიზნით პირველად გამოიყენა „პრეპარირებული" ანუ „მომზადებული" ფორტეპიანო.

ძიებების შემდგომ პროცესს კომპოზიტორი მიჰყავს აღმოსავლეთთან, როგორც მისი მიგნებების მსოფლმხედველობრივ დადასტურებასთან. 1945 წელს კეიჯი მიემგზავრება ინდოეთში აღმოსავლეთის რელიგიისა და კულტურის შესწავლის მიზნით, აქედან იწყება მისი გატაცება ძენ-ბუდიზმით. კეიჯის მისტიციზმმა მართლაც წარმოაჩინა თავისი თავი ძენის ფილოსოფიის გავლენით, მაგრამ ის არასდროს ყოფილა მისთვის „რელიგია" რიტუალების და დოგმების გაგებით. „ძენ-ბუდიზმი, როგორც აღმოსავლური ფილოსოფიის ნაწილი, ჩემთვის ფსიქოანალიზის როლს ასრულებდა" – აღნიშნავდა თავის ავტობიოგრაფიაში ჯონ კეიჯი.

ის იწყებს აღმოსავლური არატემპერირებულ 25-ტონიანი სისტემის გამოყენებას, ნაცვლად 12-ტონიანი სისტემისა: ბგერათსიმაღლებრივი რიგების ნაცვლად მეტრულზე გადადის. სწორედ მეტრული რიგების, დასარტყამი ეფექტების გამოყენებაში ვლინდება კეიჯზე აღმოსავლური მუსიკალური ტრადიციების გავლენა. კეიჯის მიერ ბგერის სივრცული ბუნების ძიება უკავშირდება ინსტრუმენტარიუმის, ხოლო მისი ტექნიკური რეალიზაციის ხერხი კი ინსტრუმენტის ახლებურ გააზრებას, როდესაც საკრავი წარმოადგენს ერთგვარ „ნახევრადფაბრიკატს" და შესაძლებელია მისი ალტერნატიული გამოყენება; ასეთი გზით მიდის ის პრეპარირებული ფორტეპიანოს შექმნის იდეამდე.

კომპოზიტორის ერთ–ერთი ცენტრალური ნაწარმოები „პრეპარირებული ფორტეპიანოსათვის" არის „სონატები და ინტერლუდიები" (1946–48). ამ ნა-

წარმოებში აისახა ინდური რაგას და მისი ესთეტიკური არსის – რასას „მარადიული ემოციები" – სიხარული, სევდა, გმირობა, გაკვირვება, შიში, სიძულვილი და ა.შ.. „პრეპარირებული" ფორტეპიანოს ულერადობა ემსგავსება ინდონეზიური გამელანის ორკესტრის შემადგენლობაში შემავალ ლიტაფონიურ დასარტყამ საკრავებს. მათთვის ტიპური სლენდროს წყობით.

ძენის „ცარიელი დროის" კონცეფცია, კოსმოსთან მედიტაციური შერწყმა, როდესაც ნაწარმოების ფორმა უტოლდება დროს, გახდა ამოსავალი წერტილი 1949 წელს კეიჯის მიერ ჩამოყალიბებული მუსიკალური დროის „არარას" (Nothing) ფენომენისთვის.

1950 წელს კომპოზიტორი სწავლობს ჩინურ იძინს — „ცვლილებათა წიგნს" და მისი გავლენით იწყებს მუშაობას პიესათა სერიაზე, რომელიც ამ 'მანტიკური~ სამარჩიელო წიგნის შესატყვისი „შემთხვევითობის" პრინციპზე იგება _ სადაც ბგერითი პარამეტრების არჩევანი მონეტების შემთხვევით განლაგებაზეა დამოკიდებული. დროის დისკრეტულობისაგან განთავისუფლების იდეა აღმოსავლური მედიტაციური იმპროვიზაციის არსს შეადგენს. ძენ-ბუდიზმის იდეათა სამყაროდან ამოიზრდება ალეატორიკის კონცეფცია; უშუალოდ კი ძველი ჩინური ტრაქტატის „ცვალებადობათა წიგნის" „ი–ძინის" გრაფიკული სიმბოლიკიდან, ეკჰარტის ეთიკიდან და იუნგის ფსიქოანალიზიდან იღებს სათავეებს. იაპონელი ფილოსოფოსის სუძუკისა და ამერიკელი სოციოლოგის მარშალ მაკლუენის ფილოსოფიურ შრომებზე დაყრდნობით კეიჯი თავის წიგნში „სიჩუმე" აყალიბებს ალეატორული კომპოზიციის თეორიას.

კეიჯს მუსიკა სუბიექტივიზმიდან თავის დაღწევის საშუალებად წარმოუდგენია, ამიტომ თავის იმპროვიზაციულ, ალეატორულ ქმნილებებში იგი ბგერათა შემთხვევით შეფარდებებს მიმართავს. მუსიკის წერის მექანიკური მეთოდით ექსპერიმენტირებისას კეიჯი ნაწარმოებს ავტორისეული გემოვნებისა და ისტორიული ცნობიერებისაგან ათავისუფლებს. – „მე ვემყარები შემთხვევითობას – ეს მეხმარება შევინარჩუნო მედიტაციის მდგომარეობა, „–ამბობდა კეიჯი. კეიჯის „შემთხვევითობით" განისაზღვრება XX საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება – მუსიკალური ტექსტის მობილურობაზე დაფუძნებული ალეატორიკა. კეიჯისათვის მუსიკა მისი იდეების არსებობის გარემოა, ამასთანავე, ის ყოველთვის არ რჩება შემოქმედების აქტად. მუსიკად მოიაზრება ყველაფერი რაც კი ულერს: მუსიკალური და არამუსიკალური ბგერები, ხმაური და სიჩუმე... ამ მხრივ საინტერესოა მისი ე.წ. „დუმილის" ოპუსებიც.

1952 წელს კეიჯის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ნოტაციური „სიახლე" გახდა ძენის „კოანის" ესთეტიკის ამსახველი მისი ცნობილი „4'33", ნებისმი-

ერი ინსტრუმენტის ან ინსტრუმენტული ანსამბლისათვის. ამ „არადეტერმინირებული ნოტაციით“ დაფიქსირებული მისი „პარტიტურა“ ჩაწერილია ერთ ფურცელზე – I ნაწ. – სიჩუმე – 33“, II ნაწ. – სიჩუმე 2’ 40“, III ნაწ. – სიჩუმე 1’20“.

ამ ნაწარმოების „შესრულება“ სკანდალურ აქტად იქცა, ვინაიდან პიანისტს ფორტეპიანოსთან შეხება, გარდა მისი სახურავის ახდის და დახურვისა არ ჰქონია 4 წუთის 33 წამის განმავლობაში. იმისათვის, რომ კეიჯისეული „სიჩუმის“ ძენ-ბუდისტური არსი უფრო გასაგები იყოს, მოვიყვან ძენის ერთ გამოცანა-თავსატეხს – კოანს: – „ყველას ესმის ორი ხელის ტაშის ხმა, როგორ ისმის ერთის?“(5).

ჯონ კეიჯმა გზა გაუკაფა XX საუკუნის II ნახევრის თითქმის ყველა მიმართულებას, რომელიც აღნიშნული იყო ექსპერიმენტულობით, ექსცენტრიულობით (და ეპატაჟითაც კი), მათ შორის მინიმალიზმს. კეიჯის გარეშე ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ომისშემდგომი ამერიკული მუსიკალური კულტურა, განსაკუთრებით მისი ექსპერიმენტული ფრთა, რომლისთვისაც კეიჯის მსგავსად აღმოსავლეთი და ზოგადად არაევროპული მუსიკა, მისი კონკრეტული გამოვლინებებით, სასიცოცხლო მნიშვნელობის შემოქმედებით წყაროდ რჩება დღესაც. მისი იდეები ძალზე სწრაფად აიტაცეს ევროპაშიც. მის კვალდაკვალ ევროპელები ცდილობდნენ სქემებისა და დოგმებისაგან განთავისუფლებას, მაგრამ კეიჯისეულ ორიგინალობას ცოტამ თუ მიაღწია.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Cage I., Silence, The M. I. T. Press, 1969. p. 71.

2. Житомирский Д., Леонтьева О., Мяло К. Западный музыкальный авангард после второй мировой войны. М., 1989, с. 54.

3. Ивашкин А., „Вечное сиюминутное“. "Советская Музыка“, М., 1988, с.101.

4. Cage I., Silence, p.71.

5. ეს თავსატეხი 1953 წელს გამოქვეყნებულ სელინჯერის ნოველების კრებულსაც აქვს წამძღვარებული.

ქეთევან გოლაშვილი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ.
სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი

ჩარლზ აივზის მუსიკალური აზროვნების პარადოქსულობა

„ამ ქვეყანაში ცხოვრობს დიდი ადამიანი – კომპოზიტორი, რომელმაც საკუთარი პიროვნული და შემოქმედებითი თავისუფლების შენარჩუნების ურთულესი ამოცანა გადაჭრა. იგი გაუცხოებით პასუხობს გარშემომყოფთა გულგრილობას და არ უგდებს ყურს არც ქებას და არც ლანძღვას. მისი სახელია – აივზი."

არნოლდ შონბერგი

უდიდესი ამერიკელი კომპოზიტორის, ამერიკული პროფესიული მუსიკის ექსპერიმენტული მიმართულების ფუძემდებლის ჩარლზ აივზის შემოქმედება XX საუკუნის მუსიკის ერთ-ერთი ღრმად ინდივიდუალური და პარადოქსული მოვლენაა. განსხვავებით მისი თანამედროვე ევროპელი კომპოზიტორებისგან, რომელთა შემოქმედებასაც აივზი პრაქტიკულად არ იცნობდა, მან შექმნა სამყაროს უნიკალური მოდელი, თავისებური უნივერსუმი, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალია ყოველგვარი რეგლამენტაციისგან, მუსიკალურ-ესთეტიკური თეორიების ნორმებისა და დოგმებისგან. აივზის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამ დროს არსებული არც ერთი მხატვრული მიმართულების ჩარჩოებით არ იფარგლება და, ამავე დროს, შეიცავს მათ ნიშნებს. მის ცალკეულ თხზულებებში გვხვდება იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმის, ნეოკლასიციზმისა და ფოლკლორიზმის, ბრუიტიზმის, ფოვიზმის სტილური ელემენტები, თორმეტტონიანი და მიკროქრომატული ექსპერიმენტები, ახალი, სტერეოფონული მუსიკალური სივრცის ათვისების პირველი ცდები და ა. შ. რასაკვირველია, აქ საუბარია არა რაიმე გავლენებზე, არამედ მხოლოდ პარალელიზმზე. მით უმეტეს, რომ აივზის ძიებები და შემოქმედებითი მიგნებები ხშირად უსწრებენ დროს და შემდგომი თაობის კომპოზიტორთა ექსპერიმენტებს წინასწარმეტყველებენ.

ჩ. აივზის მუსიკალური აზროვნების ნოვატორობა, მისი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებები, შემოქმედებაში ინტელექტის პრიორიტეტული მნიშვნელობის აქცენტირება, მუსიკალური აზრის გადმოცემის სიმკვეთრე და მკაფიოობა მხოლოდ ერთ მის თანამედროვე კომპოზიტორთან პარალელის გავლების საშუალებას იძლევა. საუბარია ა. შონბერგზე, რომლის შემოქმედება, ასევე, იშვიათი რადიკალიზმითა და ექსპერიმენტალიზმით ხასიათდება. მაგრამ შონბე-

რგისგან განსხვავებით აივზს არც სკოლა შეუქმნია და არც კომპოზიციის ახალი მეთოდი, სისტემა. პირიქით, იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სისტემატიზაციის და არც ახალი მუსიკალური ენის ფორმირებაზე არ ზრუნავდა.

ჩარლზ აივზის შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი, ცნობილი ამერიკელი პიანისტი ჯონ კირკპატრიკი კომპოზიტორის შესახებ წერდა: „ის საოცრად პარადოქსული ბუნებისა იყო. მისი ცნობიერება ყოვლისმომცველი იყო და თითქოს სრულ უწესრიგობაში მყოფ მოვლენათა უსაზღვრო მრავალფეროვნების აღქმის უნარი ჰქონდა. ამავდროულად, ის ყოველთვის აფიქსირებდა მათ ჭეშმარიტ, რეალურ ურთიერთობებს, ყოველგვარი, მისთვის მოსახერხებელი, ხელოვნური კავშირების შექმნის გარეშე."(1)

აივზის მუსიკალური სამყარო, როგორც აღვნიშნეთ, რთული და არაერთგვაროვანია. მასთან ორგანულ მთლიანობადაა შერწყმული საკრალური და სეკულარული, ყოველდღიური და მარადიული პრობლემები, ყოფითი ჟანრები და ე. წ. მაღალი მუსიკა. მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ აივზის შემოქმედებაში ამერიკული კულტურის შოკისმომგვრელი ჰეტეროგენულობა აისახა. მართლაც, მის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში – სიმფონიებში, ვოკალურ მინიატურებში თუ კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლებში, – თითქოს ქრონიკალური სიზუსტითაა ასახული XIX-XX საუკუნეების მიჯნის ამერიკის, უფრო ზუსტად კი აივზის მშობლიური ახალი ინგლისის ყოფა და სულიერი სამყარო. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რევივალიზმისა და ტრანსცენდენტალიზმის გავლენა აივზის მუსიკალურ აზროვნებაზე. მის ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით რევივალისტური ჰიმნების ციტატებს, მასობრივი რელიგიური შეკრებებისთვის დამახასიათებელ ზეაწეულ, სადღესასწაულო განწყობას. ჰიმნებთან ერთად აივზი ხშირად მიმართავს პოპულარული სიმღერების მელოდიებს, რეგთაიმს, მენესტრელური შოუებისა და სამხედრო ორკესტრების ჟღერადობას, ქალაქის ხმაურსა და ბუნების ხმების იმიტირებას. მაგრამ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი აივზის ნაწარმოებებში იმგვარ კონტექსტშია მოქცეული, იმგვარად შერწყმული თუ დაპირისპირებული ერთმანეთთან და სხვა მუსიკალურ მასალასთან, რომ აღიქმება არა ეპოქის დოკუმენტად, ფაქტების კონსტატაციად, არამედ უფრო ღრმა, განზოგადებული დასკვნების საშუალებას იძლევა, აივზის მუსიკის კონტექსტს განსაზღვრავს და იკითხება არა მხოლოდ ამერიკული, არამედ მსოფლიო მუსიკის კონტექსტში. შეიძლება ითქვას, რომ აივზის მუსიკალური აზროვნება XX საუკუნის მუსიკისა და საზოგადოდ ხელოვნებისთვის ტიპური პოლიფონიურობით ხასიათდება. XX საუკუნეში პოლიფონიური აზროვნების აღორძინება არა რომელიმე კომპოზიტორის მხატვრულ შეხედულებებზე ან მის სტილზეა დამოკიდებული, არამედ მუსიკალური აზროვნების ევოლუციის სოციალურ-ისტორიული კანონზომიერებებითაა განპირობებული და, თ. ადორნოს სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიფონია, კონტრაპუნქტი არა

მხოლოდ ახალი მუსიკის კონსტრუქციული საშუალებაა, არამედ მისი მანიფესტაცია(2). სწორედ „მანიფესტაციის“ სახე აქვს განსხვავებული სტილური, ენობრივი თუ დროით-სივრცული ორგანიზების მქონე შრეების შერწყმას და დაპირისპირებას აივზის ნაწარმოებებში, რომლებიც მოძრაობაში მყოფი რეალური საგნების ან მოვლენების ბგერით განსახიერებას წარმოადგენენ.

მეორე, სპეციფიურად ამერიკული მოვლენა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა აივზის მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმაზე, არის ტრანსცენდენტალიზმი. კონკორდის სკოლის უდიდესი მოაზროვნეები – ემერსონი, თორო, ოლკოტი, ჰოტორნი, – და მათი ფილოსოფიური იდეები არა მარტო ცალკეულ ნაწარმოებებშია კონცენტრირებული, მაგალითად, საფორტეპიანო სონატაში „კონკორდი. მასაჩუსეტსი. 1840-1860“, არამედ აივზის მთელი შემოქმედების არსობრივ თვისებებს ასახავს.

აივზი - მუსიკოსი და აივზი - მოაზროვნე განუყოფელია ერთმანეთისგან, ვინაიდან მუსიკა მისთვის ფილოსოფიის სინონიმი იყო, ყოველდღიური ცხოვრება კი – მუსიკის. ამგვარად, აივზის შემოქმედებაში წაშლილია ზღვარი რეალობასა და ხელოვნებას შორის, რასაც მხატვრული დროისა და სივრცის ახლებურ გააზრებამდე მივყავართ. ჩ. აივზი, ისევე როგორც ა. ვებერნი, ჯ. ჯოისი თუ ვ. კანდინსკი XX საუკუნის ხელოვნებისთვის ტიპური შეუქცევადი დროისა და მრავალგანზომილებიანი სივრცის კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: მეოთხე სიმფონია, „უპასუხოდ დარჩენილი კითხვა“, „ახალი ინგლისის სამი ადგილი“, სიმფონია „უნივერსუმი“ („ ნივერსე“) და მრავალი სხვა, ნაწარმოების სრულიად ახალ, სივრცეში გახსნილ, ვარიაბელურ, პოლიმორფულ ტიპს წარმოადგენს. აივზისთვის მთავარია არა საკუთრივ ტექსტი, რომელიც შესრულების ყოველ ჯერზე ზუსტად მეორდება, არამედ განზოგადებული ფილოსოფიური იდეა, რომლის არსი უცვლელია, რეალიზების გზები კი შესაძლებელია იყოს განსხვავებული. მუსიკალური ნაწარმოების, ტრადიციული ოპუს-ის მიმართ ამგვარი, პრინციპულად ახალი მიდგომა სრულიად უცხო იყო აივზის თანამედროვე კომპოზიტორებისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აივზის დაუმთავრებელი სიმფონია „ ნივერსე“, რომლის კონცეფცია და შესრულების ავტორისეული ჩანაფიქრი შეუძლებელს და უაზროს ხდის ტრადიციული სტრუქტურული ჩაკეტილობის პრინციპს(3).

საინტერესოა აივზის განსაკუთრებული დამოკიდებულება საკუთარი შემოქმედების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ მიიჩნევდა თავის თავს კომპოზიტორად და მუსიკას მხოლოდ საღამოებსა და უქმე დღეებს უთმობდა, ძირითად დროს კი სადაზღვევო კომპანიის ხელმძღვანელობას ახარჯავდა. სიცოცხლეში აივზმა მხოლოდ რამდენიმე თავისი ნაწა-

რმოები მოისმინა საკონცერტო შესრულებით, ხოლო გამოცემული იხილა „114 სიმღერის“ კრებული და „კონკორდ-სონატა“. ორივე ეს გამოცემა არ იყო განკუთვნილი გასაყიდად.

„ზოგიერთები წერენ წიგნებს ფულისთვის; მე – არა, – წერდა აივზი „114 სიმღერის“ კრებულის წინათქმაში, – ზოგიერთები – დიდებისთვის; მე – არა. სხვები სიყვარულის გამო; მე – არა... მე საერთოდ არ დამიწერია წიგნი. მე მხოლოდ ოთახი დავალაგე. ყველაფერი რაც ვიპოვე გამოვიტანე და სარეცხის თოკზე გავფინე“.

ბიზნესმენი აივზისთვის მუსიკა სამყაროსთან ურთიერთობის ფორმა იყო და პასუხის ძიება ისეთ მარადიულ კითხვებზე, როგორიცაა „რა?“ და „რატომ?“. განსაკუთრებული სიმკვეთრით ეს კითხვები გაისმის აივზის ცენტრალურ ნაწარმოებში, მეოთხე სიმფონიაში, მის პირველ ნაწილში, ხოლო ციკლის დანარჩენი სამი ნაწილი, ესაა სამი განსხვავებული პასუხი. პასუხები, ცხადია, უკიდურესად აბსტრაქტულია, მაგრამ თითოეული მათგანი, კონტექსტიდან გამომდინარე, სიმბოლიზირებს აწმყოს (II ნაწილი), წარსულს (III ნაწილი) და მომავალს (ფინალი). მეოთხე სიმფონიის ურთულეს, მრავალკომპონენტიან მუსიკალურ ქსოვილში, განსხვავებული ტემბრულ-აკუსტიკური პლანების დაპირისპირებაში, სხვადასხვა ინტენსივობის მქონე დროის ნაკადების თანაფარდობაში განსხეულებულია „სამყაროს ჰარმონიის“ იდეის აივზისეული მოდელი. აივზის მუსიკალური სამყარო, ისევე როგორც მისი თანამედროვე რეალობა, არაერთგვაროვანი მთლიანობაა, რომელშიც მრავალი, ხშირად თითქოს ურთიერთგამომრიცხავი კომპონენტი ბუნებრივადაა შერწყმული. აივზის მეოთხე სიმფონიაში და სხვა მრავალ ნაწარმოებში XX საუკუნის პირველი ნახევრის ხელოვნებისთვის უცხო დროითი პერსპექტივაა გახსნილი. აქ აშკარად იკითხება ისტორიული ცნობიერების თავისებურება, რეალური და კონცეფტუალური დროითი განზომილებების თანაფარდობა, რაც უფლებას გვაძლევს აივზს პროტოპოსტმოდერნისტი ვუწოდოთ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც აივზის შემოქმედების კვლევასთან დაკავშირებით წამოიჭრება, არის ტრადიციისა და ნოვატორობის თანაფარდობის პრობლემა. ცხადია, ეს საკითხი აქტუალურია ნებისმიერ მხატვრულ მოვლენასთან მიმართებაში, მაგრამ აივზის აზროვნების ტიპი მას განსაკუთრებულს ხდის. როგორც ამერიკული მუსიკის მკვლევარი ჯილბერტ ჩეიზი აღნიშნავს: „წარსულს იგი ისევე სრულყოფილად ასახავდა, როგორც მომავალს, რადგან აბსოლუტურად იყო განზავებული თავისი გარემოცვის ტრადიციულ კულტურაში და რაც უფრო მეტად იძირებოდა აივზი ტრადიციაში, მით უფრო თამამად შეეძლო მას მომავლის განჭვრეტა“(4).

ტრადიციული აივზის მუსიკაში, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია

ზემოთ აღნიშნულ სპეციფიურად ამერიკული საყოფაცხოვრებო ჟანრების (ჰიმნები, სიმღერები, მარშები, რეგთაიმი) გამოყენებასთან, მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით, მისთვის არც ევროპული ტრადიციის მუსიკაა უცხო. იგი მიმართავს უდიდესი ევროპელი კომპოზიტორების ცალკეულ თემა-სიმბოლოებს. მაგალითად, გვხვდება ციტატები ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიიდან, ვაგნერის 'ტრისტან და იზოლდადან~, ჰენდელის, ბრამსის, ჩაიკოვსკის და სხვათა ნაწარმოებებიდან, რომლებიც გარკვეული კულტურული ცნობიერების ნიშნებად აღიქმება და, ამასთანავე, აბსოლუტურად ორგანულად ერწყმის მის ინდივიდუალურ მუსიკალურ ენას. ამასთანავე, მთლიანობაში, აივზის მუსიკა ძალზე შორსაა ტრადიციულობისგან, იმ აკადემიური ტრადიციისგან, რომლის პრინციპებსაც ნერგავდა იელის უნივერსიტეტში აივზის კომპოზიციის პედაგოგი ჰორაციო პარკერი. აივზი რადიკალურად უპირისპირდება გერმანული აკადემიზმის სულისკვეთებას. მისთვის სრულიად მიუღებელი იყო მკაცრი კანონების ჩარჩოები.

აივზის აზროვნების თავისუფალი, არანორმატიული ტიპის ფორმირებაზე ორმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა. პირველი იყო მისი მამა – ჯორჯ აივზი, რომელიც შვილს ადრეული ასაკიდან უღვივებდა ინტერესს ახლის ძიების, ექსპერიმენტის მიმართ. მეორე – ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული ფენომენი. ამერიკული კულტურა, კერძოდ მუსიკალური ხელოვნება, როგორც ცნობილია, მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა და, ევროპულისგან განსხვავებით, არ იყო 'დამძიმებული~ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით. სწორედ ამან განაპირობა აივზის მუსიკალური აზროვნების ექსპერიმენტული ბუნება. XX საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი ამის შესახებ წერდა: 'აივზმა ტონალობის საზღვრები შონბერგამდე 10 წლით ადრე გადალახა, პოლიტონალობა 'პეტრუშკაზე~ თითქმის ორი ათეული წლით ადრე გამოიყენა, ხოლო პოლიორკესტრულ ჯგუფებთან მისმა ექსპერიმენტებმა ნახევარი საუკუნით გაუსწრო შტოკჰაუზენისას"(5). შეიძლება ითქვას, რომ აივზის პარტიტურები, რომლებიც XX საუკუნის პირველ ათწლეულებში შეიქმნა, მთელი საუკუნის საკომპოზიტორო მიგნებების თავისებური ენციკლოპედიაა. თუმცა, არც ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი გავლენაზე. არა მხოლოდ აივზი არ იცნობდა თანამედროვეთა შემოქმედებას, არც აივზის მუსიკას იცნობდნენ მისი თანამედროვე თუ შემდგომი თაობის ავანგარდისტი კომპოზიტორები, ვინაიდან მისი შემოქმედების ჭეშმარიტი აღიარება მხოლოდ 60-იანი წლებიდან, კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო.

მოკლედ შევეხოთ აივზის მუსიკალურ წინასწარმეტყველებებს:

– აივზის პარტიტურების რთული, პოლირიტმული სტრუქტურების ანალოგს ვხვდებით ი. სტრავინსკისა და დ. ლიგეტის პარტიტურებში;

– განსხვავებული სიდიდის პოლიოსტინატურ პლასტებს – მესიანთან;

— ნაწარმოების პრინციპული დაუსრულებლობის იდეამ რეალიზება პოვა ჯ. კეიჯის, კ. შტოკჰაუზენისა და პ. ბულეზის ალეატორიკაში;

— ორი და მეტი საორკესტრო ჯგუფის სივრცული ჟღერადობა კ. შტოკჰაუზენისა და ი. ქსენაკისის 60-იანი წლების სტერეოფონულ კომპოზიციებს განჭვრეტს.

ეს ჩამონათვალი არასრულია, თუმცა ესეც საკმარისია იმის კონსტატაციისთვის, რომ ჩ. აივზის მუსიკის სამყარო, მისი აზროვნების ტიპი მეტად ორიგინალური მოვლენაა, რომლის მსგავსიც თითქმის არ მოიძებნება მუსიკის ისტორიაში. აივზის მუსიკალური „აღმოჩენები" — მუსიკალური პროცესების ახლებური გააზრება, ნაწარმოების (წმინდა ენობრივი თვალსაზრისით) რთული ტექსტი, განსხვავებული სტილური შრეების სინქრონული შეერთება, მრავალგვარი ციტირებული მასალის ნიშნური გააზრება, კომპოზიციის მთლიანი სტრუქტურის აგების კინემატოგრაფიული პრინციპი და სხვა, განსაკუთრებულობას ანიჭებს მის შემოქმედებით ფიგურას და განსაზღვრავს მის საკვანძო ადგილს XX საუკუნის მუსიკის ისტორიაში.

დღევანდელი მოკლე გამოსვლა მინდა დავასრულო XX საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი დირიჟორისა და კომპოზიტორის ლეონარდ ბერნსტაინის სიტყვებით: „მოულოდნელად ჩვენ აღმოვაჩინეთ მარკ ტვენის, ემერსონისა და ლინკოლნის მუსიკალური ექვივალენტი".

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Perlis V., Charles Ives Remembered, New Haven, London, 1974, p. 124.

2. იხ.: Adorno Th. W., Die Funktion des Kontrapunkts in der neuen Musik // Nervenpunkte der neuen Musik, Hamburg, 1961.

3. ავტორისეული ჩანაფიქრის თანახმად სიმფონიის შესრულებაში მონაწილეობა უნდა მიეღო რამდენიმე გუნდს და ორკესტრს, რომლებიც მდელოებსა და ბორცვებზე უნდა ყოფილიყვნენ განთავსებულნი და ერთიან „სამყაროს ჰარმონიას" ქმნიდნენ. ნაწარმოების ფაქტურა ორ შრედ, „მიწიერ" და „ზეციურ" მუსიკად იყოფა და მისი სრულყოფილი აღქმისთვის სასურველი იყო მისი ზედიზედ ორჯერ შესრულება.

4. Chase G., America's Music. From the Pilgrims to the Present, New York, 1955, p. 677.

5. Стравинский И. Диалоги. Ленинград, 1971, с. 121.

ნანა შარიქაძე
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი

ამერიკული მუსიკალური მინიმალიზმის მხატვრული და ესთეტიკური ორიენტირები

ამერიკული მუსიკალური მინიმალიზმი 1960-იან წლებში ჩაისახა, ამერიკული კულტურის ყველაზე რადიკალური ექსპერიმენტული მუსიკის წიაღში. ეს უკანასკნელი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ცდილობდა „ბარიერებისგან" განთავისუფლებას. „ბარიერს" კი ქმნიდნენ ტრადიციული სააზროვნო კანონები. 1960-იან წლებში „ტრადიციულის" კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა - შეექმნა დასავლურის ალტერნატიული კულტურა, რამაც იმთავითვე კონტრკულტურის სახელი მიიღო. დამკვიდრებული მუსიკალური პრინციპების წინააღმდეგ მიმართულ პროტესტთან ერთად იბადება 1960-იანი წლების ამერიკული ექსპერიმენტული და მათ შორის მუსიკალური მინიმალიზმის(1) რადიკალური ესთეტიკური პრინციპები.

ახალი მხატვრული სისტემა სხვადასხვა იმპულსების - სოციალურის, ფილოსოფიურის, ესთეტიკურის, მხატვრულის, ინდივიდუალურის - კომპლექსური გადაკვეთით ყალიბდება. ერთი მხრივ, ბუნებრივად გაჩნდა მოთხოვნილება, ომის შემდგომი პერიოდის მუსიკალური ავანგარდის მრავალფეროვანი და რთული ენა შეეცვალათ „სადა" და ამავე დროს „მონოქრომული" მუსიკალური სააზროვნო სისტემით(2); მეორე მხრივ, ევროპული რაციონალისტური აზრის კრახმა აქტუალური გახადა „სულიერი ევოლუციის" იდეების აღორძინება; ამან კი თავის მხრივ გაზარდა აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებების მნიშვნელობა. განახლების ძიების გზაზე არაევროპულ კულტურებზე ორიენტაცია კანონზომიერი იყო, რადგან კონტრკულტურის წარმომადგენლები სწორედ ეზოთერულ აღმოსავლეთში ხედავდნენ დასავლური აზრის ერთადერთ ალტერნატივას. წინა პლანზე წამოიწია პერფორმანსის, ჰეპენინგის, მედიტაციური, ინტუიტიური ხელოვნების იდეამ. ანუ იმ მიმდინარეობებმა, რომლებშიც არ მოქმედებს ადამიანის შემოქმედების სასრულობის კონცეფცია. ზემოთ ჩამოთვლილ იმპულსთა კომპლექსური შერწყმა მოხდა ამერიკულ მუსიკალურ მინიმალიზმში და განსაზღვრა მისი მხატვრული და ესთეტიკური ორიენტირები (3). ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ძირითად და განმსაზღვრელ ასპექტებზე: მუსიკალური მინიმალიზმის ესთეტიკური პრინციპები; საკომპოზიციო ტექნიკა; მინიმალიზმი, როგორც უნივერსალური სინთეზის მაძიებელი სტილური მიმდინარეობა და არაევროპულ კულტურებზე ორიენტაციის საფუძვლები.

მინიმალიზმი - ზოგადი, მხატვრული და მსოფლმხედველობრივი კონცეფციაა, რომელსაც სურს შექმნას ჭვრეტითი ხელოვნება. მისი ძირითადი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები, ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში Minimal Art-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აგნეს მარტინმა შემდეგნაირად დაახასიათა: „მინიმალისტური ხელოვნება მოითხოვს მხოლოდ ერთს – მოსმენას და ჭვრეტას. ადამიანს შეუძლია უსასრულოდ უცქიროს ოკეანეს და არ მობეზრდეს ის; რადგან მარად უცვლელი ბუნება მუდამ ცვალებადია, რომელსაც საძირკველში სიცოცხლის იმანენტური თვისება უდევს"(4). ჭვრეტითი ხელოვნების შექმნის იდეა თავისი არსით ანტიინდივიდუალისტური კონცეფციაა. დასავლური ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ, განახლების ერთადერთ იმპულსად „ორიენტალური მითი" გამოაცხადა. მინიმალიზმისთვის აღმოსავლეთი არის ეზოთერული, ექსტაზური და „მე"-ს კონცეფციისგან თავისუფალი. სამყაროსადმი ანტიინდივიდუალისტური დამოკიდებულება შესაბამისად მოითხოვს ამ ესთეტიკისთვის დამახასიათებელი პრინციპებისგან გათავისუფლებას; ფუნქციონალური კავშირებისა და მიზეზ-შედეგობრივი პრინციპების აბსოლუტურ უარყოფას.

ბუნებრივად ისმის კითხვა – რა წარმოადგენს ჭვრეტითი ხელოვნების მიზანს? იგი მიზნად ისახავს უნივერსუმის წვდომას, მასში განზავებას. ამ გზაზე კი აუცილებელია დროის დისკრეტულობისგან გათავისუფლება. ეს ტიპური კონტრკულტურული დამოკიდებულებაა დროისადმი, რაც აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის, კერძოდ კი ძენ-ბუდიზმის უდიდესი ზეგავლენით ყალიბდება. მისმა ადეპტებმა შტატებში – ა.უოტსი, კერუაკი, ჰაქსლი და განსაკუთრებით კი ჰ. ჰესე – გარკვეულწილად განსაზღვრეს მინიმალიზმის „იდეალური დროითი სტრუქტურის" ესთეტიკური ბაზა. დრო მთლიანია და უცვლელი. მხოლოდ გამთლიანებულ დროში შეუძლია ადამიანს საკუთარი არაცნობიერის გაცნობიერება და თვითწვდომა. დროის რეალური აღქმა მხოლოდ ილუზიაა. მთავარია არა ფორმა, არამედ მისი შემადგენელი ატომები(5). რადგან ხელოვნება აღარ უნდა ისახავდეს მიზნად ქაოსის მოწესრიგებულ გადმოცემას, არამედ უნდა შეეცადოს გადმოსცეს თავად ქაოსი. ასე ცდილობს მინიმალიზმი „ცნობიერების გაფართოებას", რომელიც ადამიანში დაფარული ფსიქო-ფიზიკური პოტენციალის რეალიზაციისკენ არის მიმართული. რეალიზაცია კი თვითჩაღრმავებით, ტრანსული მდგომარეობით, კოსმოსთან მედიტაციური შერწყმით მიიღწევა. მუსიკალურ მინიმალიზმში ონტოლოგიური და ფსიქოლოგიური დრო უთანაბრდება ერთმანეთს. ნაწარმოების ფორმა უტოლდება დროს, მისი ელემენტები კი მთლიანს. მსმენელს რეალურად ერთმევა დროის შეგრძნება. სწორედ ეს არის „ძენის" ცარიელი დროის სიმბოლური გამოხატულება მუსიკაში. აღნიშნული იდეა პოპულარუ-

ლია შტატებში 50-იანი წლებიდან და სწორედ მისი ზეგავლენით 1949 წელს ჩამოაყალიბა ჯონ კეიჯმა მინიმალისტური მუსიკალური დროის „არარას" (Nothing) ფენომენი(6). ამ „არარა" დროში ყოფნის მდგომარეობა კი არის მედიტაცია. ფაქტიურად, ტრადიციული ევროპული ნაწარმოებისათვის აუცილებელი განვითარების პროცესს მუსიკალური მინიმალიზმი ჩაანაცვლებს მედიტაციით, ანუ „მდგომარეობაში ყოფნით". მედიტაციურობა პირდაპირ უკავშირდება თვითჩაღრმავების, გარე შთაბეჭდილებებს მოკლებული ფიქრის, თვით ჩაძირვის ესთეტიკურ მოთხოვნას. ერთფეროვანი მეტრული პულსაცია, მცირე ელემენტების ვარირება, არსაით მიმართული მაგრამ მუდმივად მოძრავი მუსიკალური ქსოვილი მოჯადოებულ სტატიკას ქმნის. ზემოთ აღნიშნული პრინციპი კი - „პროცესის ჩანაცვლება მედიტაციური მდგომარეობით" - ის პუნქტი აღმოჩნდა სადაც არაევროპული მედიტაციური აზროვნების პრინციპი, ჯაზი და მუსიკალური მინიმალიზმი თანხვდა ერთმანეთს(7).

როგორც მხატვრულ-ესთეტიკურმა კატეგორიამ მინიმალიზმმა ადრეულ ეტაპზე მიიღო გამოხატულება ლა მონტე იანგისა და მორტონ ფელდმანის შემოქმედებაში. ანტიინდივიდუალიზმი, უნივერსუმის წვდომა, დროის გამთლიანება, მედიტაცია ეს ხელოვნებისადმი აბსოლუტურად ახალი დამოკიდებულებაა, რაც ბუნებრივია მუსიკალური ენის ელემენტთა ახლებურ გააზრებას მოითხოვს და ახალი ტიპის მუსიკალური ნაწარმოების, როგორც ასეთის, წარმოშობას განაპირობებს. მუსიკალური მინიმალიზმი ადრეულ ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, მუსიკალური დროისა და ჟღერადობის ხანგრძლივობის პრობლემაა მხატვრული თვალსაზრისით. მუსიკალური ენის ელემენტთა ახლებური გააზრება უკავშირდება პირველადი ელემენტების (სიჩუმე, ცალკეული ბგერა, უბრალო აკუსტიკური შეხამება) მნიშვნელობას და მუსიკალური ბგერის (Sound) არსს. მისი ბუნება აბსოლიტური გახდა. ბგერის მნიშვნელობის გაზრდა განაპირობა იმანაც, რომ იგი ფუნქციონალურობიდან ცალკე არსებობს და დაკარგა ლოგიკური სტრუქტურის საშენი მასალის ფუნქცია. ამასთან, მას აღარა აქვს ექსპრესიულის ანუ გამომხატველის თვისებები. ამ არაშინაარსობრიობამ მთლიანზე, სივრცეზე გადაიტანა ყურადღება (8). მაგ: ლა მონტე იანგი თავის მინიმალისტურ კომპოზიციებში იყენებს ერთ გაბმულ ბგერას და მისი ობერტონული სპექტრით ინტერესდება, რაზეც განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა ინდური მუსიკის შესწავლამ და ინდურმა ფილოსოფიამ. შედეგად კი ვიღებთ მუსიკალური მინიმალიზმის ტიპურ „არა - ნაწარმოებს". მასში მთავარია, სულიერი აქტივობის გამომხატველი საწყისების - აზროვნების, შემოქმედების პროცესის, თავად ამ პროცესის ღირებულება. სწორედ ამიტომ მხატვრული საფუძველი გახდა არა პროცესის ემოციური განცდა, არამედ „მდგომარეობაში ყოფნა".

როგორია მუსიკალური თვალსაზრისით მინიმალისტური მდგომარეობა? „იგი არის სულ ერთი და იგივე და ამავე დროს მუდამ სხვადასხვა“(9). სწორედ 60-70-იან წლებში მინიმალისტმა კომპოზიტორებმა - ტერი რაილი, სტივ რაიჰი, ფილიპ გლასი - მიაგნეს პირველადი ენერგიის დაბრუნების გამომხატველ საკომპოზიციო მეთოდს, რომელიც რეპეტიტიული ტექნიკის სახელწოდებით არის ცნობილი. რეპეტიტივიზმს მრავალჯერადი გამეორების პრინციპი უდევს საფუძვლად, რითაც პარალელებს წარმოშობს ევროპული მუსიკალური ტრადიციის ისეთ პრინციპთან, როგორიც Ostinato-ა.

რეპეტიტივიზმის, როგორც საკომპოზიციო მეთოდის ფორმირებას, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა კომპლექსურად: 1. რეპეტიტიულობა ასახავს სულ ერთნაირის და ამვე დროს მუდმივად ცვალებადი საწყისის მუსიკაში გადატანის ესთეტიკურ პრინციპს. ამავე დროს იგი ამ „მდგომარეობაში ყოფნას“ უსვამს ხაზს. 2. რეპეტიტიული საკომპოზიციო ტექნიკა ამავე დროს პოსტინდუსტრიული ცნობიერების ყველაზე ზუსტი და ადეკვატური გამომხატველია; 3. 60-იანი წლების ამერიკული მუსიკა უბრალოებისა და სიმარტივისაკენ მიილტვის. მინიმალისტური მიმდინარეობა და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები პასუხობდა ამ მოთხოვნას, ხოლო რეპეტიტიული ტექნიკა „ახალი უბრალოების“ ნათელი გამოხატულებაა.

რა არის რეპეტიტივიზმის მაორგანიზებელი? მაორგანიზებელია Pattern. რეპეტიტიული ტექნიკისათვის დამახასიათებელია მარტივი რიტმი, „მოდელის“ (ანუ Pattern-ის) ჯიუტი გამეორება. სწორედ ეს გახდა როგორც პოსტავანგარდის ჯაზმენების ისე აკადემიური მუსიკის წარმომადგენელთა მხატვრული ორიენტირი. ბგერისადმი ინტერესმა გამოიწვია მოდალურ აზროვნებაზე ორიენტირება და სწორედ მოდალურ ტექნიკას უკავშირდება Pattern-ის ტერმინიც. მოდალურ ტექნიკას საფუძვლად უდევს ე.წ. მოდუსები, რომელიც ინარჩუნებს მუდმივობას და საფეხურების უცვლელობის პირობებში უშვებს ტონთა შიდა კომბინირებას. Pattern არის მყარი სტრუქტურული წარმონაქმნი – რიტმული, მელოდიური, აკორდული, ფაქტურული. მას საფუძვლად უდევს მოკლე სტრუქტურის უსასრულო გამეორება და თანდათანობითი გარდაქმნა. უსასრულო გამეორებით კი იგი ქმნის ერთფეროვან, არაფრისმთქმელ, არაფრისკენ მიმართულ მოძრაობას და უწყვეტ პულსაციას, რითაც ჰიპნოზურ გავლენას ახდენს მსმენელზე და ტრანსულ მდგომარეობაში აგდებს მას. ჯაზური იმპროვიზაციის მსგავსად, სწორედ Pattern არის რეპეტიტიული ტექნიკის საშენი მასალა და ფორმადქმნადობის მთავარი საშუალება. მაგ. ტერი რაილის “In C“ დაწერილია რეპეტიტიული საკომპოზიციო მეთოდით, ნებისმიერი ინსტრუმენტული შემადგენლობისთვის. ერთხმიანი პარტია შედგება ბგერა C და მისი 53 სეგმენტისგან, რომელიც საერთოა ყველასათვის. თითო-

ეული შემსრულებელი თანდათანობით შემოდის და იმეორებს უკვე გაჟღერებულ მასალას მანამდე სანამ მომდევნო ინსტრუმენტალისტი არ შეუერთდება და ასე უსასრულოდ გრძელდება ჟღერადობა სანამ მისი 53 სეგმენტი არ ამოწურავს თავს. ფინალში კი შემსრულებლები თანდათან ეთიშებიან ერთმანეთს. რაილიმ კი კომპოზიციის ამ ტიპს „თანდათანობითი პროცესი" უწოდა (10).

მინიმალიზმში რეპეტიტიულობა იმპროვიზაციის ფენომენსაც უკავშირდება. ამ კავშირის ესთეტიკური საფუძვლების კვლევას ჰ. ჰესეს ფიგურასთან მივყავართ. ჰესე საინტერესოა მინიმალისტებისთვის როგორც „ახალი მუსიკის" იდეის შემქმნელი. მისი აზრით *ახალი მუსიკის* შექმნას სუბკულტურათა გაერთიანება უნდა დაედოს საფუძვლად. „დღეს აღარავინ საუბრობს მუსიკაზე ფრაგმენტულად; საუბრობენ მუსიკაზე მთლიანად"(11). ეს კი გულისხმობს მუსიკალურ სუბკულტურათა ინტეგრაციას და განსხვავებულ მუსიკალურ ტრადიციათა გაერთიანებას.

მინიმალიზმი იმთავითვე ჩამოყალიბდა, როგორც ახალი სინთეზის მაძიებელი მიმდინარეობა – აღმოსავლეთსა და დასავლურს, პროფესიულსა და ეთნოგრაფიულს, მსუბუქსა და სერიოზულს შორის. ამას უსვამდა ხაზს მინიმალისტი კომპოზიტორი ტერი რაილი „მე არ ვქმნი არც დასავლურ და არც აღმოსავლურ მუსიკას, მე ვქმნი ფორმალურ ელემენტს რომელიც განაზოგადებს ამა თუ იმ სუბკულტურის პრინციპს და არა თავად ამ სუბკულტურისთვის დამახასიათებელ ენას". ამიტომ არის, რომ მათ შემოქმედებაში სინთეზირებულია ბალინეზიური, იავანური, აფრიკული, ინდური, კორეული, იაპონური მუსიკის „ერთი და იმავეს სულ ახლებურად წარმოჩენის ესთეტიკური პრინციპი".

ზოგადად არაევროპული კულტურით დაინტერესებას სულიერი ევოლუციის იდეების აღორძინებაც განაპირობებდა. მინიმალისტთა ყურადღება მიმართულია განსაკუთრებით ინდური და აფრიკული ტრადიციისადმი. კერძოდ, ინდური მუსიკისადმი ინტერესი განპირობებული იყო საშემსრულებლო ტრადიციით, რომელსაც იმპროვიზირების უსასრულობა ახასიათებს და უნივერსუმის სრულად მოცვის მედიტაციური იდეით საზრდოობს; თანაც 60-იანი წლებიდან შტატებში არსებობს ცნობილი ინდოელი მუსიკოსების – ალი აკბარ ჰანის, პანდიტ პრან ნატჰის - სკოლები(12). მან განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ფილიპ გლასის შემოქმედებაზე, სადაც რაგის საშემსრულებლო ტრადიცია და ტალას განვითარების პრინციპები ერწყმის ერთმანეთს.

აფრიკული მუსიკალური ტრადიციის აქტუალობა მინიმალიზმში განსაკუთრებული რიტმული ტექნიკით იყო განპირობებული. კერძოდ, საუბარია მეტრული და რიტმული აქცენტების დაუმთხვევლობის პრინციპზე. მისი საშე-

მსრულებლო ტრადიცია გავლენას ახდენს სტივ რაიჰზე. იგი თავად სწავლობს აფრიკულ დასარტყამებზე დაკვრის ტექნიკას და ცდილობს მეტრული დაუმთხვევლობის პრინციპი დაუდოს საფუძვლად მინიმალისტურ კომპოზიციებს, რასაც თავად „თანდათანობითი ფაზური გაწელვის ტექნიკას" უწოდებს. იგი მიიღება ორი მაგნიტოფონის ულერადობის არ დამთხვევით 2 მაგნიტოფონისათვის დაწერილ "It's gonna rain" (1965); იგივე პრინციპი მოქმედებს Piano Phase 2 ფორტეპიანოსათვის ან მარიმბებისთვის.

ტრადიციასთან პოლემიკამ მინიმალიზმის ნოტაციაზეც იმოქმედა. მინიმალიზმი ჩაწერითი მუსიკაა. თუმცა, მინიმალისტები თვლიდნენ. რომ ნაწარმოების ფიქსირება ზღუდავდა მის ინტუიტიურ შესაძლებლობებს და ავტორიტარულობით გამოირჩეოდა. მინიმალისტთა ნაწარმოებები განკუთვნილია არა იმდენად მოსმენისთვის, რამდენადაც მასში „ჩაძირვისთვის". მინიმალისტური კომპოზიციის მოსმენისას მსმენელი არ უნდა შეიბოჭოს თავიდან ბოლომდე მოსმენის აუცილებლობით. მას თავისუფლად უნდა შეეძლოს მოსმენის პროცესიდან გამოთიშვა და შემდეგ ისევ ჩართვა. ამიტომაც არის რომ მინიმალისტები საკუთარ თავს ინტერპრეტატორებსაც უწოდებენ.

როგორც უნივერსალური სინთეზის მაძიებელი სტილური მიმდინარეობა, მუსიკალური მინიმალიზმი განსაკუთრებით ფასეულია „ინტეგრალური მუსიკისათვის". მას არ ახასიათებს იერარქიული დამოკიდებულება ინტეგრირებულ კულტურათა შორის და შესაბამისად მოკლებულია პრიორიტეტულობის შეგრძნებას ამა თუ იმ კულტურის მიმართ.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. ტერმინი მინიმალიზმი უოლჰეიმმა გამოიყენა ფერწერასთან (Minimal Art) მიმართებით 1965 წელს. მინიმალიზმი ჩაისახა სახვით ხელოვნებაში 60-იანი წლების დასაწყისში აგნეს მარტინის, ფრენკ სტელას, ელსვორტ კელის, ენდი უორჰოლის, ივ კლეინის შემოქმედებაში.

2. რაც ამერიკული ექსპერიმენტული მუსიკის კომპოზიტორთა შემოქმედებით იყო შემზადებული: დენ რადჰაიარა, ლუ ჰარისონი, ჰენრი ბრანტი, მორტონ ფელდმანი და ჯონ კეიჯი.

3. ამდენად იგი მრავალმხრივ საინტერესოა მკვლევართათვის: პ. პოსპელოვი, ჰ. დენი, ს. რაიჰი, დ. უიტომირსკი, ო. ლეონტიევა, კ. მიალო, გ. ბერიაშვილი.

4. Veda Vendy Bekketh, The History of XX Century American Art, Film, NY, 1998.

5. Житомирский Д., Леонтьева О., Мяло К. Западный музыкальный авангард после второй мировой войны. М., 1989.

6. Cage J., Lecture on Nothing, Incontri Musicali SLL, August 1959.

7. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მედიტაცია, როგორც მუსიკალური აზროვნების ფორმა ამერიკულ მუსიკაში დაიბადა ჯაზში, კერძოდ კი Free-jazz-ში, ამ თვალსაზრისით კი მინიმალიზმსა და Free jazz –ს შორის პარალელები ძალიან მჭიდროა. ორივე მათგანი ყალიბდება საერთო მხატვრული ტრადიციის მიღმა და ამ ტრადიციისაგან რადიკალურად განსხვავებული საკუთარი მეთოდი და მანერა გააჩნია.

8. მინიმალისტური მუსიკალური კომპოზიციის ერთ-ერთ პირველ მაგალითს წარმოადგენს ერიკ სატის პიესა "Vexation", სადაც 840 ჯერადი da capo მითითებული. თუმცა, მინიმალიზმის უშუალო წინამორბედად ივ კლეინის 1960 წლის ანტროპომეტრული გამოფენები შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც „მონოტონური სიმფონიის" ფონზე მიმდინარეობდა: ერთი უწყვეტი ბგერა ოცი წუთის მანძილზე ჟღერდა ვიოლინოსთან, რასაც მოჰყვებოდა ოც წუთიანი სიჩუმე. ასე იქმნებოდა, მხატვრის სიტყვებით რომ ვთქვათ უნივერსალური უწონადობის ატმოსფერო.

9. Dennis B., Repetitive and Systematic Music, *The Musical Times*, 1974, #1582, p.1036.

10. იგი ძალიან გავს Free-jazz-ის მეთოდს. კერძოდ, მათი კომპოზიციები 10-12 ბგერისგან შედგებოდა, რაც ორნეტ კოულმანის სიტყვებით - ჰარმონიულ უნისონს ქმნიდა. თითოეული სასულე ინსტრუმენტი უკრავს საკუთარ ტონს, და იქმნება არა ჰარმონიული შეხამება, არამედ უნისონის მსგავსი ჟღერადობა. სხვათაშორის ეს მსგავსება ჯაზთან სავსებით კანონზომიერია, რადგან მინიმალისტი კომპოზიტორები მოღვაწეობდნენ, როგორც აკადემიურ მუსიკაში. ისე ჯაზში. მაგ., ტერი რაილიმ მუსიკოსის კარიერა დაიწყო, როგორც რეგთაიმ-პიანისტმა და მხოლოდ შემდეგ მოვიდა აკადემიურ მუსიკაში.

11. Eberendth I., Hess Between Music (ფირფიტის კომენტარიდან "Electrola").

12. მათი მოსწავლეები არიან ლა მონტე იანგი, ტერი რაილი, ფილიპ გლასი. ამ უკანასკნელს ხანგრძლივი თანამშრომლობა აქვს რავი შანკართანაც.

SUMMARIES

HISTORY, POLITICS, ECONOMICS

DORIS FRIEDENSOHN
Professor, New Jersey State University (USA)

THE FOG, THE BIG MAC, THE TWIN TOWERS AND THE FLAG: PERSPECTIVES OF SEPTEMBER 11TH

This paper is a meditation on the losses and lessons of September 11th. Among its concerns are the tension between American complacency and America's global power; and the related tension between and old notion of America's unity and nationhood and the reality of American diversity.

ALEXANDER RONDELI
Professor, Director of Georgian Foundation for Strategic and International Studies

THE NEW ROLE OF THE UNITED STATES IN EURASIA AFTER SEPTEMBER 11

The paper describes the changes in the geopolitical and strategic plans of the US after the events of September 11. Fighting with "Al Qaeda" and Taliban terrorist groupings raised the problem for the US to defend its interests in the central Eurasia and to establish new relations with Russia and with the countries of Central Asia. It also increased interest towards the Caucasus, namely, towards Georgia and Armenia.

Within the problems of international security, international terrorism became the most important. The United States is the only superpower on the global arena and it is playing the leading role in resolving global problems and establishing international peace; but the

instruments for conflict solution must be global.

The US faces new problems and challenges for its increased role in the Central Eurasia that is why it is searching new allies in the region. This fact, in its turn, creates good extra conditions for the post–Soviet countries, existing south to Russia, to strengthen their sovereignty.

LEVAN AVALISHVILI
MA student, Faculty of History, TSU

THE UNITED STATES AND THE NEWLY INDEPENDENT STATES

The United States has two basic interests in the Post-Soviet region. First, from the point of vew of strategic perspective, the creation of viable independent states is regarded as a key to building stability not only throughout the region but beyond it as well; it will restrict the imperial ambitions in Russia and to prevent the reemergence of a Soviet menace. Second, from an economic perspective, the United States has a major interest, mostly in the energy sector in Central Asia and in the Caspian region.

Overlapping of interests and perceptions can make the NIS a cause of rivalry for the United States and Russia especially in the Caucasus, which is the most explosive region of the former Soviet Union, as the resent renewal of the war in Chechnya has demonstrated.

TAMARA BAKURADZE
Head of the Department of Political Science,
Sulkhan-Saba Orbeliani Tbilisi State Pedagogical University

CIVIC VALUES OF THE AMERICAN SOCIETY

America's civic values are articulated in the Declaration of Independence, the Constitution and the Bill of Rights. Whatever values Americans may hold as individuals, the principles of freedom, inalienable rights, equality, justice, the general welfare, moderation, tolerance, patriotism shape what it means to be an American. To be an American is not simply a matter of birth or naturalization. It is a matter of conviction – a pledge of allegiance, not only to the country and its institutions, but to democracy and fundamental civic values.

VASIL KACHARAVA
Associate Professor, Faculty of History,
Director of the Center of American Studies, TSU

HERBERT HOOVER AS SECRETARY OF COMMERCE IN THE PRESIDENT WARREN HARDING ADMINISTRATION 1921-1923

Proposed article describes activity of Herbert Hoover as a Secretary of Commerce in President Warren Harding Administration. The article constitutes a part of the research of the Republican Administrations in the 1920s. H. Hoover was one of the most brilliant administrators of his times, initiator of a number of inventions who turned an ordinary bureaucratic and almost unknown Department of Commerce into a strong, active and very relevant for American economy executive body. Herbert Hoover was one of the key architects of American prosperity.

Regrettably, this great humanitarian and innovative politician was unprepared for the ordeals of the Great Depression and in the annals of the American history he remained as one of the most rigid conservative presidents. But in the beginning of the 1920s, from author's point of view, he was one of the most gifted, energetic and adaptable republican politicians and definitely stayed ahead of his time.

GEORGE KLDIASHVILI
MA student, Faculty of History, TSU

CUBAN MISSILE CRISIS

Three decades ago, during The Cuban Missile Crisis the world was as close to nuclear confrontation as never before and after. No event during the Cold War has generated more popular and scholarly attention: indeed with hundreds of articles, books and essays already written on this episode, it has become perhaps the most studied international confrontation in the twentieth century. Thirty years after the actions of the United States, the Soviet Union and Cuba brought to the light the new sensational information about the Cuban Missile Crisis. And despite the end of the Cold War, the process of exploration and discovery remains necessary to understand more fully what caused this crisis and what is more important to learn how to avoid such potentially cataclysmic events in the future.

DAVID GEGECHKORI,
Associate Professor, Akaki Tsereteli Kutaisi State University

THE KOREAN WAR

After World War II, the Japanese Army surrendered its forces in Korea to The Soviet troops north to the 38th parallel, whereas American troops accepted surrender south to that line. The attack occurred on June 25. The Truman administration took the matter to the Security Council. In the absence of the Soviet Union at the Council, the Security Council condemned the North Korean assault and demanded the immediate cease-fire. The USA tried to prevent the communist expansion, as the success of the Soviets in Korea would encourage aggression elsewhere.

The Korean War dragged on until July 10, 1951, when formal peace negotiations began, but it proved to be long, difficult process. Finally on July 27, 1953 the war ended as it broke out with North Koreans above the 38th parallel and South Koreans below it. It was a victory for Truman's containment policy.

MICHAEL MIKELADZE
MA student, Faculty of History, TSU

THE US FIGHT AGAINST THE INTERNATIONAL TERRORISM

The paper presented at the annual conference on American Studies in June 2001 was devoted to the investigation of the terrorist activities of Bin-Laden and the US fights against him. The author considers that in spite of the work of reconnaissance and the federal investigation agencies the USA is not safe from terrorism. He supposes that terrorism will take place in the future as well. He thinks that the reason of terrorism globalization is technical progress and one of the negative results of the progress is that terrorists can use modern technical equipment. The author also assumes that the current international anti-terrorist campaign under the leadership of US government is no more than the conflict between the Islam ideology and "American religion", in his opinion that means the establishment of monocracy in the world. Terrorism is the weapon in the unequal struggle. Nowadays the radical Islam is dangerous for the USA like communism used to be. Today the defeat of radical Islam ideology is in the agenda.

TEIMURAZ Z. PAPASKIRI
Ph.D., Faculty of History, TSU Sokhumi Branch

FRANKLIN ROOSEVELT AND THE DIVISION OF BALKAN STATES INTO SPHERES OF INFLUENCE IN THE FALL OF 1944

The paper focuses on the analysis of the decisions made about the "Balkan problem" in the fall of 1944. Due to the fact that F. D. Roosevelt didn't have a clear policy in this region and his attitude to the division of Balkans into spheres of influence was constantly changing. Above all, the main reason for the division of the Balkan states was the decision primarily taken by Winston Churchill and Joseph Stalin at their Moscow meeting in October 1944.

NATIA JANIBEGASHVILI
MA student, Faculty of Western European Languages and Literature, Department of American Studies, TSU

ROLE OF THE US GOVERNMENT IN SOCIAL AND ECONOMIC LIFE OF THE 1930's (THE FIRST STAGE OF THE NEW DEAL)

This paper concerns one of the most controvercial problems in the history of America. It is a long-running dispute about relationship between American Federal Government and its economy. The paper deals with the 1930s main events (great depression and F.D. Roosevelt's policy) just to underline the first precedent of Government interference into the economic policy to such extent. The paper focuses on the main problem of "laissez-faire", and F.D. Roosevelt's New Deal.

TAMAR MAISASHVILI
MA student, Faculty of History, TSU

RELATIONS BETWEEN AMERICA AND IRAN IN THE PERIOD OF ISLAMIC REVOLUTION AND AFTER (THE PROBLEM OF HOSTAGES)

The subject of the paper is the analysis of the relation between Iran and the US during the Islamic Revolution and after. The attention is focused on the problem of hostages, a very important issue during the presidential election in 1980.

Basing on American and Iranian sources the author tried to explain: the impact of the problem of 52 American hostages on Reagan-Bush presidential campaign; namely methods of Reagan presidential campaign (delay of the freeing the hostages before the elections, clandestine overtures to Iran with Israel intercession, talks with PLO).

According to the author today American policy in this region should be more flexible, though weakened Iran still remains a very influential country.

NINO BOLKVADZE
MA student, Faculty of Western European Languages and Literature, Department of American Studies, TSU

THE US FACTOR IN IRAN'S ISLAMIC REVOLUTION

The paper reveals the policy of Carter's Administration towards Iran, its interference in Iran's internal affairs by supporting the corrupt Shah, which finally led to the Islamic Revolution in 1979. Until then Iran was considered to be the closest ally of the US in the Persian Gulf, but after the revolution the US lost this country of great strategic and vital importance. Iran's Islamic Republic became one of the most dangerous rivals for the United States.

LELA CHAKHAIA
MA student, Faculty of Western European Languages and Literature, Department of American Studies, TSU

THE ROLE OF MARSHALL PLAN IN THE INTEGRATION OF WESTERN EUROPE

The paper focuses upon one of the greatest US international initiatives – Marshall Plan or European Recovery Program. Offered by US Secretary of State George C. Marshall, it played a very significant role in the restoration of postwar Europe. Alongside with economic assistance including money, food, machinery, capital equipment, etc. it created favorable ground for further economic and political integration of Western Europe. It differed from former US initiatives in that it stressed self-assistance, mutual aid and economic partnership among Western European countries. Operating via such agencies as Committee of European Economic Cooperation and Organization of European Economic Cooperation, Marshall Planners managed to restore European economy by 1951.

LEVAN BATIASHVILI
BA student, Faculty of History, TSU

SOME ISSUES ON THE US POLICY IN KOSOVO

The article reviews the USA policy on Kosovo conflict. The author draws the following conclusions on the views of Zbigniew Brzezinski:

- An active influence, so far as the victory of NATO troops would guarantee the increase of the US prestige and the peace in Europe;
- The target of the Americans in Yugoslavia was not providing independence for Kosovo, but fighting against Miloshevich totalitarian regime;

- America struggles for peace not only in one country, but in Europe and all over the world;

- Despite the success of the West, Kosovo and Balkan crisis once again proved that in the modern world weapon is not the only means of victory.

ANI MORGOSHIA
MA student, Georgian Institute of Public Affairs

REVIEW OF THE US ADMINISTRATIVE LAW

Administrative Law is concerned with the creation, operation and authority of governmental, administrative agencies, with the impact of the administrative process on private rights and protection of public interests. Administrative law is not traditionally recognized part of American law having its origin in legislation. Administrative agencies exercise significant combination of legislative, executive and judicial power and they are given investigator, rulemaking and determinative (quasi-judicial) powers. Investigator powers permit administrative agencies inspection of records and physical locations, as an agency usually needs access to information often not voluntarily supplied. Rulemaking powers are legislative in character referring to as legislation on the administrative level or legislation within the confines of the granting statue. Determinative powers concern decision-making by agencies, which effectively determine the rights and duties of parties subject to regulation. In the American administrative system the role of the courts is shaped by constitutionally created judicial power and the statutes establishing administrative agencies. To some extent the courts themselves announce principles of administrative law and seek to accommodate prompt, efficient and flexible agency action with the constitutional limits upon legislative and executive power.

RUSUDAN DAUSHVILI
Assistant Professor, Sulkhan-Saba Orbeliani State Pedagogical University

THE GEORGIAN MIGRANTS IN THE USA

The Georgians arrived in the USA in the 60-th of the XIX century. We have at hand the first sources about the Eristavis fighting in Lincoln's Army in Civil War in 1861. Even more massive migration made a start in the XX century. In 1905-1913 most of the members of the several groups taken for the building of railway could not return to their motherland and settled in Seattle and its surroundings.

In 1921, after the occupation of Georgia by Russia the number of political emigrants increased. Because of the crisis and complicated political situation in the 30's many of the Georgian emigrants were obliged to exile from Europe into America. The great deal of them

rushed to America after the World War II.

In the 30-th the growth of the number of Georgians in the USA was the result of foundation of Georgian Community on December 1, 1931. The community bought a house on the 91 Street, in New York.

The Georgian Diaspora is not so numerous as the others, but they also have done their best for well-being of their new motherland: George Matchabelli, who in the 20's created the perfume company "Prince Matchabelli" existing up today; glass manufacturer - the millionaire George Koby (Kobakhidze); Doctor Nicholos Jishkariany, who in 1941 found out medical preparation of nervous diseases and anemia "Hemodyn"; well-known constructor "Thunderbolt", vice-president of aircraft company "Republic", famous aerodynamic specialist Alexandre Kartvelishvili.

In the 40's, George Papashvili, a famous sculptor and writer, wrote the book "Everything May Happen" - the bestseller, according to which producer George Seaton made the film in 1951; a choreographer George Balanchini, a ballet-dancer Tamar Tumanishvili, pianist Erekle Orbeliani, a sculptor Lado Gujabidze, a writer Sandro Neblo, a historian Teimuras Bagrationi, engineers Alexandre Grigolia and Tevdore Lobzanidze, the UNO main consultant and interpreter Mose Shanidze, the owner of gold mines Dimitri Metreveli, doctors Shota Dvali, Givi Gabliani and Givi Kobachidze; a wine-makor Vano Givi Kobachidze, a fighter Kola Qvariani, a vice-mayor of New-York in the 70-th Konstantine Sidamon-Eristavi, a general John-Malkhaz Shalikashvili, professors - Byzantiologist Kirile Tumanishvili - of Washington Georgetown University, in agricultural branch Pavle Kvaratskhelia - of Itaky Corneal University, art critic Vakhtang Jobadze - of Utah State University, Alexandre Grigolia - of Pennsylvania University, David Japaridze - of Princeton University, Gedevan Asatiani - of Cleveland Surgery Center, an aerodynamic specialist and builder Otar Zaldastanishvili of Harvard University and others became famous.

The Georgian Diaspora exists up today and its members devotedly serve for their new Motherland.

NICK KHIDURELI
BA student, Faculty of Economics, TSU
Caucasus School of Business

REAGAN'S FISCAL POLICY (TAX REDUCTION)

This article is about the Reaganomics and, in particular, the taxation system of Ronald Reagan's Administration.

The author compares the results of the tax cuts initiated by Ronald Reagan and tax increases introduced by Bill Clinton. The statistical information provided by the author gives clear evidence that tax cuts of Reagan were practically twice more effective then the tax policy of Bill Clinton.

The author analyses the contemporary economic situation in Georgia and concludes that it is impossible to apply Reaganomics there. He thinks that Reaganomics should be part of much more broad economic policy, the main aim of which must be protection of the national production.

TAMAZ SALUKVADZE, ETERI KHELAIA, ALEXANDER BALAVADZE
M. Nodia Institute of Geophysics

HAIL QUAILING IN THE US AND CONTEMPORARY METHODS OF INFLUENCING WEATHER FOR INCREASING PRECIPITATION AND THE PERSPECTIVES OF THEIR ATMOSPHERIC PHYSICS

It's been a long time since an artificial influence on clouds has passed through the trial stage to the practical process. At present actual works on decrease of damage caused by drought and hail are being carried out on more than half a million sq/m of the world area. The analysis regarding artificial influence on hazardous natural events that was carried out under 14 projects showed that such an activity is proved as profitable one. Presented information is based on data collected by WMO and WMI.

EDUCATION, RELIGION, WOMEN'S STUDIES

VAKHTANG SARTANIA
Professor, Rector, Sulkhan-Saba Orbeliani Tbilisi Pedagogical University

THE ROLE OF THE USA IN THE DEVELOPMENT OF EDUCATIONAL SYSTEM IN GEORGIA

In the transitional period new requirements are put to the Georgian Educational System. Preparation of highly qualified specialists requires the implementation of new forms and methods of teaching based on international standards, elaboration of new programs and so on.

The technical and financial assistance of the US government and private funds in accomplishing the reforms of the Georgian Educational System cannot be overestimated. At the same time, the cooperation of Georgian and American Universities will draw closer our people both for democratic development and economic prosperity.

VAKHTANG AMAGLOBELI
Vice-Rector, Akaki Tsereteli Kutaisi State University

AMERICAN SYSTEM OF EDUCATION AND SOME ISSUES CONCERNING CURRENT EDUCATIONAL REFORM IN GEORGIA

American Educational System is based on the ideology of national development. Even the Americans admit that XX century America is the product of nationalism, which in its own turn is the accomplishment of the American school. In our opinion, the law passed by

the US congress in 2001 (the US International Education Policy) is the logical continuation of this ideology. It aims at reserving and strengthening the position of the US as the leader in modern globalization.

Sharing the US experience we consider it necessary to create a modern educational system in Georgia, which will be based on the ideology of national development. Otherwise, we cannot survive in the process of globalisation.

TAMAR SHIOSHVILI
Associate Professor of Black Sea International University

PERSPECTIVES OF AMERICAN STUDIES TEACHING IN GEORGIA

Observation on American Studies Programs of different colleges and universities in Washington D.C., Ann Arbor, Albuquerque, Memphis, Philadelphia has shown, that American Studies Curricula in different states' universities have come in response to subsequent cultural, political and social challenges of American Studies. These include challenges such as immigration, multiculturalism, ethnic and racial diversity, class and gender conflict and economic and technological change; subsequently different universities in different parts of the United States focus on major subjects according their cultural specifications. American Studies has broken down disciplinary boundaries and today it is multidisciplinary as well interdisciplinary in character.

According to thus diverse model of American Studies Curriculum, we set some perspectives of institutionalizing American Studies in universities of Georgia, taking into consideration the universities' field peculiarities, students' interests and employment perspectives, so important in present Georgian reality. Yet we can make no principal deductions, as Georgia is just taking first steps in this field.

IRINE CHANTURISHVILI
United States Informational Agency, Informational Resource Specialist

GEORGIAN AND US LIBRARY ASSOCIATIONS COOPERATION

The article depicts basic differences of post-Soviet and American library systems, which the author comprehended through her own experience during internship in one of the American university libraries. The polarization is due to Freedom of Information, which is so organic for American libraries and so new for Post-Soviet Georgian libraries.

The way to overcome all difficulties that Georgian libraries are facing is through newly educated young people that are the future of the country. A group of Muskie Programs alumni in Library and Information Science has set up the NGO actively working for bringing innovation to the outdated Georgian library management. The activity comprises countrywide and international collaboration through participation in workshops and conferences offered in the field. Granted with US government financial support Georgian library community is moving ahead in equipping libraries with information technologies,

thus giving public free access to information; at the same time continuing professional education is offered to librarians and information specialists, which is necessary for new approach in library management, fundraising, customer service etc.

OTAR NIKOLEISHVILI
BA student, Faculty of History, Kutaisi State University

FROM THE HISTORY OF MISSOURI UNIVERSITY FOUNDATION

The University of Missouri is one of the higher educational institutions of the USA located in four cities of the State of Missouri: Columbia, Rolla, St. Louis and Kansas-City. In 1997 an International Memorandum of Understanding and Memorandum of Agreement was signed between Kutaisi State University, Kutaisi State Technical University and the University of Missouri. Based on existing materials the paper deals with the history of the University of Missouri founded in 1839.

TEO NEPARIDZE
MA student, Faculty of Western
European Languages and Literature,
Department of American Studies, TSU

COMPUTERIZATION AS ONE OF THE ASPECTS OF AMERICANIZATION IN THE DEVELOPING COUNTRIES

This paper concerns the process of computerization in the developing countries. Considering that the synthesis of computer technologies and new sciences is regarded as the particular achievement of the civilization of Western cultures, this process is analyzed as the Western or namely American phenomenon spreading all over the world, involving all the countries in the globalization.

In the paper several aspects of the process are referred to. They are as follows: network access, Computer studies, computerized society, network economy and government. Those aspects are viewed on the example of Georgia in comparison with the highly developed pattern of the United States.

NANA TSIKHISTAVI
Associate Professor, Sulkhan-Saba
Orbeliani Tbilisi State Pedagogical University

PROTESTANTISM IN THE USA IN THE XIX CENTURY

America experienced an intellectual revolution in the 19th century. The English Industrial Revolution that began in the middle of the 18th century, is sparked by scientific discoveries. Many decades before Darwin's Origin of Species (1859) the scientific spirit of the Enlighten influenced American daily life, church and school. Yet religion persisted as a formative ingredient in the 19th century American education, though religious influence varied from place to place.

Pragmatism was a major break from the traditional philosophic trends. It developed in America during the 19th century, when visible results were evaluated according to their pragmatic outcome. The meaning of life for the Americans became increasingly defined by measurable accomplishments in the present rather, than in their foreign heritage or unknown future. Truth from a pragmatic viewpoint was tentative and open-ended. As problems were solved, Americans became even more scientifically and practically minded. From the mid-1800s until the present, America has continued to operate pragmatically in religion, education, almost all the aspects of life.

LALI JOKHADZE
Associate Professor, TSU

CIVIL RELIGION: AMERICAN INTERPRETATION OF RELIGIOUS FAITH

The paper deals with the development of a new religious form appearing in America from the revolutionary period up to the present. Civil religion is derived from Christian and Hebraic traditions without being either Christian or Jewish. The existence of a new religious dimension in American political life is manifested in various ceremonies and rituals as opposed to a particular dogma. One of the strengths of this religion is that it significantly affected public policy and carries a new interpretation of chastity, saints and martyrs.

ZAZA ABASHIDZE,
Associate Professor, Faculty of History, TSU

THE ORTHODOX CHURCH IN AMERICA AND ITS AUTOCEPHALY

Spreading of Orthodoxy in North America was connected with the missionary activity of Russian monks in Alaska, who began their preaching in 1793.

From that time onwards, throughout more than a century, all orthodox perishes were under the jurisdiction of the Russian Orthodox Church.

In 1921 the Greek archdioes, which was subordinated to the Ecumenical Patriarch, was founded in America. Later, other national Orthodox Churches' eparches (Serbian, Romanian, Albanian and so on) were founded. In 1933 the Synod of the Russian Orthodox Church founded the Exarchate of the Moscow Patriarchate in North and South America, which was called simply Metropolia. Mertopolia acquired from the Mother Church –the Moscow Patriarchate –the autocephaly in 1970, not been recognized by the Constantinople See and other Greek Patriarchates so far. It is caused by the fact that the Constantinople Patriarchate considers uncanonical granting the autocephaly to the part of the Church only by the Mother-Church, without participation of the Ecumenical Patriarchate.

The Russian Church, on the contrary, counts that granting of the autocephaly to the part of its church is the prerogative of any independent auto cephalic Orthodox Church.

Lately, the intensive consultations were conducted concerning the solution of the problem on the basis of the Orthodox Canon Law between the Ecumenical Patriarchate and the Orthodox Church in America.

CHRISTINE M. SELL
Cleveland State University (USA)

WOMEN'S STUDIES PROGRAMS AND THE WOMEN'S LIBERATION MOVEMENT: THEIR ROOTS, GROWTH AND IMPORTANCE TO WOMEN IN THE UNITED STATES

A brief examination of the history of the Women's Movement and the growth of Women's Studies programs at universities, colleges, and research centers in the United States reveals that, while the movements seem to have grown one from the other, their beginnings and developments have been nearly simultaneous. Although Women's Studies programs have been viewed as outcomes of the Women's Movement in fact the two are nearly coincidental in birth, synonymous in growth, and symbiotic in goals. A basic chronological discussion and presentation of the key developments and theories in both the Women's Movement and Women's Studies programs is the substantial body of the article. In addition, it attempts to elucidate the ways in which Women's Studies programs at universities in the United States have evolved to include the study of groups and issues beyond those that, strictly and traditionally, have been associated with both the Women's Movement and Women's Studies.

JANANN SHERMAN,
Associate Professor, Memphis University, USA

SENATOR MARGARET CHASE SMITH

Senator Margaret Smith of Maine was the first American woman to serve both Houses of the United States Congress, the first woman to win a seat on her own for the U.S. Senate, where she served twenty-four years, nearly all of them as the only woman among ninety-nine men. She was also the first American woman to seek the nomination of a major political party for the presidency of the United States. She came into office at a time when women's lives were constrained by rules and conventions that made her job very difficult. She spent her whole carrier trying to balance the demands of a public political life while also keeping a public image as a traditional woman. She broke many barriers for women in the public arena by leading a life and career of dignity and integrity.

TATYANA DENISOVA
Ph.D., Cleveland, USA

ELENE MEDZMARIASHVILI
Associate Professor, Center of American Studies, TSU,

THE ROLE OF WOMEN IN CONTEMPORARY POLITICAL LIFE OF THE US

The paper deals with the role of women in contemporary political life of the USA. The authors make parallels with Georgia. It is underlined that in both countries the stereotype of women is still very strong and despite the different levels of development in both - the United States and in Georgia – a woman is not considered as an independent person who is capable of making political decisions. Despite this the role of women in political life of both countries is increasing, although the representation of women on all levels of power is still insignificant.

The authors are analyzing the objective and subjective reasons of the present situation. Basing on the examples of political careers of Hillary Clinton and Eleanor Roosevelt the conditions that are needed for women to make a successful political career both in the United States and in Georgia are discussed.

TEA GERGEDAVA
MA student, Faculty of Western European Languages and Literature,
Department of American Studies,TSU

CHANGES IN THE AMERICAN WAY OF LIFE IN THE 1920'S

The paper deals with the changes in the psychology of the Americans after the World War I. It discusses the role of technological innovations in modifying American way of life in the 1920's, the creation of new consumer economy and its symbols (cars, telephones, electricity and various electrical equiment), the new approach to money, namely that it

should be spent and not kept as it was in the Victorian society. All this helped greatly to bring about a "revolution in manners and morals".

The paper pays particular attention to the changes in women's role which resulted in establishing new, modern relations between men and women; the changes in women's clothes, appearance, and behavior are tackled from this point of view. The paper touches upon the development of the most popular themes of the 1920's: radio, film industry, advertising, psychology (Freud's influence), sex, marriage etc.

The author comes to the conclusion that the mass popular culture and a modern liberal world we live in is the outcome of the decade of the 1920's.

LITERATURE, JOURNALISM, ARCHITECTURE, ARTS, MUSIC

REZO TABUKASHVILI
Writer

OUR AMERICA

The essay reflects the author's childhood and teenager periods' emotional impressions, based on American literature. Besides that the author describes Georgian writers' visit to the USA, organized in 2001 and considers the perspectives of Georgian-American literary links.

KETEVAN DGEBUADZE,
Deputy Director, Republic Center of the Young Writers

CONTEMPORARY AMERICAN LITERATURE AND ITS POPULARIZATION BY THE REPUBLIC CENTER OF THE YOUNG WRITERS

Republic Literature Center of young writers was set up in 1990.

Many literary newspapers were published by the center from 1991 till 1997, such as: the "Rubikoni", the "Mesame Gza", the "Serapimis Teatri", the Almanakhi – "Graali"and etc; The main goal of the center was to translate and popularize Contemporary American Literature in our country. During this period over 50 American poets' and writers' poems were translated into Georgian. The center also established close relations with similar American and European organizations.

Nowadays our main objective is to publish bilingual book - Anthology of Contemporary American Poetry.

We believe that alongside with political relations it is very important to establish cultural links too.

MAIA CHANKSELIANI,
BA student, Faculty of Western European languages and Literature, TSU

"LOLITA" - NABOKOV'S CONTROVERSIAL NOVEL

The essay deals with the greatest literary achievement of the famous American writer V. Nabokov. Reflecting the problematic nature of the novel the paper gives the in-depth analysis of the following aspects of the piece:

a. Humbert - aesthete, paedophilia being the symbol of utmost aestheticism. Enslaved in the illusory world he expresses the devastating force of the absolute solipsistic aestheticism.
b. Original and interesting way of perception of time. Time becomes the theme, which is realized through the whole novel.
c. Parody of literary and mythological themes that is generalized and represents Nabokov's ironic confrontation with the past mode of thinking in literature.
d. Doppelgangers-symbols of Humbert's guilt and psychological doubles.
e. The consideration that this novel is one great game („I have only words to play with"--Humbert)
f. In general, the essay discusses the main points, which create the feeling of being the part of V. Nabokov's unique artistic world.

ELENE GABUNIA
Associate Professor, Faculty of Western European Languages and Literature, TSU

PHILOSOPHIC AND AESTHETIC PECULIARITIES OF HENRY JAMES' EXPERIMENTAL PERIOD

Henry James is one of the most important figures of the end of the 19th and the beginning of the 20th centuries not only in American, but all western literature. He has discovered the new ways of perception and expression in a novel and short story. The 20th century literature has developed many peculiarities of his prose, such as "multiple points of view", "dramatization of prose". In the so-called "experimental period" James' prose has acquired features characteristic for the literature of the 20th century.

The researchers of James' works unanimously point to the link of his "experimental period" with the cognitive theory, expressed in the doctrine of "pluralistic" world. This doctrine became the cornerstone of his fiction's theory - "point of view." This theory determined uniqueness of James' manner of writing. The central principle of James' aesthetics - "point of view" is imported from the pragmatic gnosiology.

The analysis of the link between James' outlook and pragmatic philosophy leads us to the conclusion that it was American ideology, that turned out to be the closest to the writer's creative consciousness.

ALEXANDER JAVAKHISHVILI
BA student, Faculty of Psychology, TSU

WHICH IS PRIMARY: EMOTION OR COGNITION? (DEBATE OF AMERICAN PSYCHOLOGISTS LAZARUS AND ZAJONC)

Since ancient times, the investigation of emotions has always been always one of the main fields of interest of many scholars. It was in the XX century that it became a hot topic of the modern psychology, mainly in the discussions of Cognitivist Lazarus and Noncognitivist Zajonc.

According to Cognitivists Arnold, Shakhter and Lazarus, the cognition precedes the emotions and causes them.

The Noncognitivists Wundt, Izard and Zajonc contradicted this thesis and noticed that the emotions were not the consequences of cognition but are immediately caused by outer irritants, thus free from any cognitional analysis.

As the scientists suppose one of the reasons of such disagreement could be the lack of empirical data.

Unfortunately, after such long discussions it was still impossible to come to a common conclusion.

JOYCE BARRETT,
Faculty member, Caucasus School of Journalism and Media Management, Tbilisi, Georgia

JOURNALISTIC CODES OF ETHICS IN THE UNITED STATES

The paper focuses upon the importance of journalistic ethics for successful activities of mass media and for the development of general public processes. Events of September 11 and their coverage by media once more proved truthfulness of this.

The author reviews specific norms of journalistic ethics. By citing concrete examples, necessity to observe these norms for sustaining media authority is demonstrated.

GEORGI KUPRAVA
Consultant, Public Relation,
Georgia Education System Realignment and Strengthening Program

AMERICAN COUNTER-CULTURE AND MASS MEDIA

The first steps of American counter-culture have been reflected by the criticism of standards of "American Dream" values and culture. Tradition of American journalism that is

expressed by "rummaging in rubbish", desire to achieve fame and in immediate dissemination of terrible crimes or frightful news turned the mass media into the popularizer of counter- culture ideas.

In the recent decades regardless the incredibility and skepticism towards the mass media the influence of the mass media on public perception is still very important.

Free interpretation of the events taken into the rank of undisputable truth, mainly those events toward which the Americans have no direct relation, is often very harmful for the public.

NINO VARDOSANIDZE
MA student, Faculty of Journalism, TSU

PECULIARITIES OF TALK-SHOW AND IT'S MODIFICATIONS

The paper presented below covers talk-show as a specific form of TV program and reflects its peculiarities. Talk-show is not a genre, it consists of various genres and presents a TV form, the necessary attributes of which are the host, invited guests and the audience.

This form of TV program was created by American TV and analogous programs have spread throughout the world. The paper discusses the role of talk-shows on American, Russian and Georgian TV channels, describes the types of talk-shows, their differences, as well as the role of each participant. The author shows how talk-shows use the advantages of TV out of which the most important is the reality of time or live show, which makes talk-show more attractive.

KONSTANTIN AMIREJIBI
Professor, Georgian Technical University,
Head of the Chair of Design, Institute of Architecture

URBAN PROCESSES IN THE US CITIES AND ISSUES OF TBILISI CITY DEVELOPMENT

Development processes in the USA and Georgia are outlined in this work. Comparative analyses of statistical indices of population distribution in different regions and cities of these countries, their dynamics, features of land tenure, migration processes, specifics of real estate development, and building-architectural legislation enables us to define the similarity and differences in evolution of urban processes, provide some recommendations for Georgia and particularly for its capital Tbilisi in its transition to new economical forms and social organization. The experience of the USA in the field of growth of the role of local

government in the issues concerning territorial development and management of town planning programs should be emphasized.

ELENA KILADZE,
Associate Professor, Georgian Technical University, Institute of Architecture

UTOPIA IN AMERICAN AND SOVIET ARCHITECTURE

Architectural utopia occupies a specific place in the history of architecture. It is considered as an aspiration for ideal and perfect; a way of thinking on the problems of architecture and dreams of the future. The comparative analysis of the American and Soviet (Russian and Georgian) architectures, highlighted from the point of view of utopian ideas, help to find the analogies and differences and answer to the question about the reason for creation of utopias was the role of Utopia in the process of creation of architecture. The answers to these questions will help us to find common and different aspects between American and Soviet utopias.

MARINA MAISURADZE,
Associate Professor, Georgian Technical University, Institute of Architecture

THE HARMONY OF INTERACTION (EXAMPLES OF ARCHITECTURE AND MONUMENTAL ART IN NEW YORK CITY AND CHICAGO)

The world's art two phenomena architecture and the sculpture can be perceived in the space with different compositional artistic forms and distinctive representation. All this depends on people's cognition, knowledge and social practice.

Thus, the sculpture could be considered as an organic part of architectural space with its own form making some compositional claims on environment.

LADO VARDOSANIDZE
Professor, Georgian Technical University
Chairman, Association of Urbanists of Georgia

CONDOMINIUM CONTEMPORARY FORM OF HOUSING STOCK (AMERICAN CASE AND GEORGIAN REALITY)

Technical condition of housing stock in Georgia is standing near the catastrophe verge. After the Tbilisi earthquake the number of damaged houses have come to more than 20

thousand. This problem commenced early in 1992, when the Government issued the Decree on "Apartment Privatization (Transmit Free of Charge) in Georgia". This step of paramount importance caused the creation of massive social layer with unprecedented status for Georgian practice – real estate owners. The apartments were distributed practically free of charge, with minimal formalities. At the moment, approximately 9/10 of multy-flat houses in Tbilisi are privatized.

Together with this, practically is nothing done to establish the models and forms of management of housing stock, which in western countries are commonly acknowledged. These are the Home Owners Associations, which stand as the managerial body of entire complex of real estate – Condominium, primarily in the United States of America.

The report explains the methods and system of Condominium Management; also the main reasons of difficulties, which obstruct the proper management of housing stock in Georgia. In the article you can find the parallels between Georgian and American practice.

NIKOLOZ SHAVISHVILI
Professor, Head of the Chair of History and Theory of Architecture, Georgian Technical University, Institute of Architecture

MODERN AMERICAN ARCHITECTURE: WEST AND EAST COAST CONCEPTS

Modern American architecture, as well as the culture as a whole, is stimulated by two major local points: East Coast (which should include Chicago) with its intellectual capital New York, and West Coast with mass-culture capital of America – Los Angeles. The common characteristics for architecture of the two coasts are a leading role of emigrants in both trends: Mies van der Rohe and Walter Gropius are the two best examples of 1930's to 50's Harvard and Chicago, and Rudolf Schindler and Richard Neutra – for LA's pre-war architectural scene. Similar trends are observed today. East coast maintains its leading role as generator of avant-garde architectural ideas; the West still carries on to build Oceanside villas for the rich and famous.

GIORGI KHOSHTARIA
Ph.D., G. Chubinashvili Institute of History of Georgian Art, Associate Professor, Faculty of History, TSU

THE PROBLEM OF AN IN-DEPTH ANALYSIS OF AMERICAN CULTURE

The paper is devoted to the necessity of in-depth analysis of American culture. When a state becomes a superpower, its influence on other developing countries, including Georgia is increasing. However, within the atmosphere of increased contacts the possibility of

unpredictable unnecessary misunderstandings is raised. Undoubtedly, there are values, common to mankind, equally acceptable for both – the US and Georgia. Georgian orientation on the Western culture exclusively has no alternative; however, the stronger the civilizable culture is, as a result of super rationalization, more is the danger of unequal development of spheres, harmful disproportions, ousting of sphere by another one, the 20th century American visual art, art, sculpture are the vivid examples of it, though they are undergoing crisis in some spheres. And that should become a subject of special research, as everything that concerns the unique superpower, concerns all the other countries, including Georgia.

GIA BUGHADZE,
Professor, Tbilisi State Academy of Arts

AMERICAN POP ART; PRECONDITIONS AND RESULTS

The presented paper deals with one of the most interesting phenomenon in modern art, pop art. It considers conceptual-social pre-conditions of pop art and introduces its greatest representatives, such as John Cage, Jasper Jones, Robert Rauschenberg, etc. Prospects and possible trends for developing pop art in Georgia are also analyzed.

KETEVAN KINTSURASHVILI
Senior Researcher at the Georgian Art History Institute,
Associate Professor at Tbilisi State Academy of Arts

AMERICAN ABSTRACT EXPRESSIONISM AND THE SOVIET NON-CONFORMIST PAINTING

American Abstract Expressionism, the same New York School or Action Painting was the first significant manifestation of the American painting.

At the end of 1950ies in one of the newspapers published in Moscow Georgian painter Alexander Bandzeladze came across the information on an exhibition of American painters, organized in Moscow. The article was enclosed with a black and white illustration, on which the spectators were mockingly viewing some work of an American abstract expressionist. There was an inscription on the picture: "A room for laugh". Bandzeladze knew nothing about either that artist or the artistic trend he represented, but that work strengthened his desire, already fermented in him, to work on non-figurative compositions.

In Soviet times other artists had passed the same beaten track. They also could not put up with the norms and codes, established by the government. In restricted conditions they also managed to pass by the principles of Socialist Realism and thanks to the fragmentary information, obtained during the period of "warming", stepped upon the path of Abstract Expressionism.

NINO ZAALISHIVILI
Associate Professor, Tbilisi State Art Academy

GEORGIA O`KEEFE

A famous painter Georgia O`Keefe (1987-1986) and a pioneer of American modernism is unique in art history. She symbolizes the entrancing air of possibility that characterizes the history of women during the 20th century. The radicalism of her lifestyle has obscured the originality of her work. Her strictly disciplined pictures are based on reality, which she transforms into almost abstract hard figures.

KETEVAN JAPARIDZE
Vice-president of Association of Cinema Heritage Preservation,
Teacher of Tbilisi State Academy of Arts

THE ILLUSION THAT BECAME REALITY

This paper deals with the influence of the American movies on real life.

The author touches upon different perceptions of art, as a magic power, which impacts the reality, and as a copy of reality, has no power and no influence on the original.

The events of September 11th can be considered from the former view: they were "anticipated" by a number of American movies on catastrophes and terrorism. The illusion has became reality.

NATALIA BAGHDAVADZE,
MA student, Faculty of Western European Languages and Literature,
Department of American Studies, TSU

STUDENT MOVEMENT OF THE 1960'S AND MUSIC OF THAT PERIOD

This paper deals with one of the most paradoxical eras in the history of the USA, the presidency of L.B. Johnson. Student movement in 60's arose as an anti-Vietnam War movement. American youth marched and protested across the country. It was the first time in American society that there had been a vocal (musical) and active nationwide protest against not only American foreign policy, but also the government itself. Peace and student movements played the central role in shaping not only rock music, but the whole culture of the decade.

MARIKA NADAREISHVILI
Ph.D, Tbilisi State Conservatoire,
Chair of Music Theory,
Associate Professor

PHENOMENA OF INDETERMINATION IN AMERICAN AVANT-GARDE MUSIC

Indeterminate, chance, random, indefinite, vague, nonspecific - these terms designate the realization of different forms of "chance" phenomenon in music. Non-European musical traditions, jazz and experiments in the visual art (Abstract Expressionism and J. Pollock, A. Calder's "Mobiles") and literature (K. Patchens visual poetry etc.) were general ways of its development. There are two basic ways of indeterminate operation in the music: 1) absolutely indeterminate operations are in the creative process, in the performance process or in both of them, 2) partial indeterminate operations are in musical works structure or in certain elements of musical expression. It includes interpretation of specific musical text (basso continuo, accelerando, rubato, etc.).

The author researches indetermination into the graphic notation. Two composers – Earl Brown (a pioneer of graphic notation, time-space notation and mobile form) and John Cage (his literary and space notation are considered. As a result the author is comparing American and European music's indeterminate tendencies. The "chance" phenomenon in the Georgian Professional music (N. Mamisashvili, N. Svanidze, T. Bakuradze, D. Evgenidze, E. Gabashvili) was established in 1970s.

EKATERINE BUCHUKURI
MA student,
Tbilisi State Conservatoire

AESTHETICS AND THE EAST OF JOHN CAGE

New Orientalizm has greatly influenced the formation of the XX century music, which was revealed in West-European and American music in extra-musical, religious-philosophical, and general cultural impulses.

From this point of view, the phenomenon of American musical culture is unique and a famous American composer, John Cage, has played an important role in its evolution.

Cage's music belongs to the special sphere of creative work. The basic features of his mature aesthetics are: non-European manner of thinking (under the influence of Zen philosophy), a relationship between time and silence, numerical precision and objectivity, as well as an experimental approach to music.

The present work deals with the influence of Oriental philosophy on Cage's aesthetics and discusses certain aspects of the above-mentioned problem.

KETEVAN BOLASHVILI
Assistant Professor, Tbilisi State Conservatoire

PARADOXES OF CHARLES IVES' MUSICAL THINKING

The works of Ives, the greatest American composer and founder of experimental direction of professional American music, constitute one of the most profoundly individual and paradoxical phenomena of 20-th century American music. He created the unique model of the world, some kind of universe, which is absolutely free from any kind of regulations, standards and doctrines of musical-aesthetic theories. On the one hand his creative inheritance exceeds the limits of all musical directions of that time and, on the other hand it comprises the elements of each of them. Of course, this is not a question of any kind of influence, but a mere parallelism. Especially as, Ives' creative researches and artistic findings are ahead of time and serve as bases for future experiments.

Ives' musical world is very complex and versatile. At the same time it comprises both routine and eternal problems, domestic genre arts and the so-called "high music". Ives' works are said to depict magic heterogeneity of American culture.

In Ives' works we find absolutely new ideas about time and space. He is one of the founders of irreversible time and multidimensional space conception - typical for the XX century's art.

Ives' music presents an interesting form of relationship with world and seeks the answer to such eternal questions as "what?" and "why?". The world of music constitutes the varied entity where, many alternative components can sometimes find their natural mergence. In number of his works many for that time extraordinary outlooks are found, where singularity of historical development and balance of real and conceptual time criteria (sin. measures) are vividly seen.

It would be difficult to find another composer with the same unique musical world and manner of thinking as Ives had. His musical findings, innovative perception of musical events, difficult texts, and peculiarity of amalgamation of different stylistic elements, cinematographic principle of structuring of compositions and many other factors constitute his uniqueness and establish his place in the history of XX century's music.

NANA SHARIKADZE,
Associate Professor,
Tbilisi State Conservatoire

GUIDELINES OF AESTHETICS AND ART IN AMERICAN MUSICAL MINIMALISM

This paper discusses the guidelines of aesthetics in art in the most radical branch of American experimental music – Minimalism. The composers of the above-mentioned sphere of music get away from steady rules of tradition and tried to originate an alternative to traditional west culture, the so-called counter-culture. The radical aesthetic principles of American musical Minimalism were born as the consequence of such neglect. The basic principles of Minimalism's aesthetics were closely associated with H. Hess' ideology.

Minimalism appeared as an outlook, the model of perception defining creation of contemplative, meditative composition; at the same time, it determined perfect 'time-structure' called "Nothing" and defined Repetitive technique as a type of realization. Musical time in its new interpretation was formed under the influence of Oriental philosophy, in particular Zen-Buddhism theory, however originated as a direction searching for universal synthesis of styles. Universal synthesis of Minimalism includes both fusion of diverse subcultures (Jazz, folk, Professional music) and integration of other musical traditions (Indian, African, Japanese).